ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფელი

2

1979

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

261

გამოცემის მეოცე წელი

2

თებერვალი

1979

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

3. დავით ჯაბიძე — ყამირი მიწების ათვისების გმირული ეპოპეა

პროზა, პოეზია

10. ჯანსულ ჩარკვიანი — ლექსები. წიგნიდან — ერთგულების უღელი
17. გურამ დოჩანაშვილი — ალმართი
46. მირიან მირნელი — ლექსები
48. ზაქარია შერაზადიშვილი — ლექსები
51. ირაკლი გაზაძე — ლექსები
55. რაულ ჩილაჩავა — ლექსები
56. ჯემალ კვერენჩხილაძე — ლექსები
57. სულხან ქეთელაური — პატარა კაცი. მოთხრობა
71. ზურაბ რატიანი — მიუწვდომელი თამარ მეფე. მოთხრობა
75. მამუკა სალუქვაძე — ლექსები
77. დათო მაღრაძე — ლექსები
78. ავთანდილ ადეიშვილი — მოთხრობები

ინტერვიუ

86. ინტერვიუ მხედართმთავართან

კრიტიკა

91. გურამ კანკავა — სოხუმი — ქართული პოეზიის ძლიერი ფლანგი
108. მ. რჩეულიშვილი, ა. ჯანაშვილი, ლ. გოლქვაძე — ერთი ავტორის უსაფუძვლო შენიშვნების გამო
115. ვენორი ქვაჩახია — რატომ ვერ იტანენ კრიტიკას?
121. გივი ალხაზიშვილი — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“

წერილები

125. თამაზ გერაძე — ზღვაოსნობა ძველ საქართველოში
133. დურმიშხან ცინცაძე — საშვილიშვილო ძეგლი
135. იოველ ასათიანი — საჭირო განმარტება

75 — ნიკა აბიაშვილი — 75

137. ინტერვიუ ნიკა აბიაშვილთან

პირველი შთაბეჭდილება

142. რევაზ ჩხარტიშვილი — მონოგრაფია ალ. ყაზბეგზე; თედო გელეიშვილი — წიგნი მეგზური; დოდო ჯაფარიანი — კუნძული, სადაც პოეტი ცხოვრობს; ვაჟა ხორნაული — მშვენიერების დღესასწაული; ალუდა არაგული — „თაფლიან დღეთა ნაღველით“; ვაჟა მათურელი — „ჩემი ხელები შველაა და გამოსარჩლება“

სპორტი

148. ნორმან მეილერი — ბრძოლა, თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ

159. კულტურული ცხოვრების ქრონიკა

მთავარი რედაქტორი
გურამ ფანჯიკიძე

სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი,
გურამ გვერდწითელი,
გივი გეგეჭკორი,
რისმაგ გორდეზიანი,
გიორგი გუგლია,
ნოდარ დუმბაძე,
მერაბ ელიოზიშვილი,
ედუარდ მენაბდე,
იოსეგ ორჯონიკიძე,
ოტია ბაჭკორია
(მთ. რედაქტორის მოადგილე),
ნუგზარ შატაიძე,
ჯანსულ ჩარკვიანი,
გივი ძნელაძე,
ნუგზარ წერეთელი,
თამაზ წივწივაძე,
ტარიელ ჭანტურია,
რეზო ჭეიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით ჯაბიძე

ყამირი მიწების ათვისების გმირული ეპოპეა

ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოგონებათა ახალი წიგნი „ყამირი“ საბჭოთა ადამიანის სამაგიდო წიგნია. მასში ემოციურად და შთამბეჭდავად გადმოცემულია ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ამ გამოჩენილი მოღვაწის დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება, ბრძნული აზრები და ღრმა განზოგადებანი. კითხულობ მას და თვალწინ ცოცხლდება ყაზახეთის ველები საბჭოთა ადამიანის მზრუნველ, მადლიან ხელს რომ ელოდნენ.

ყამირის ათვისებით საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ ჩაბარა ისტორიის მიერ დაკისრებული გამოცდა. ამით ერთხელ კიდევ შემოწმდა მთელი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის, პოლიტიკისა და სამეურნეო ხელმძღვანელობის სისწორე, ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების სიჯანსაღე, საბჭოთა ახალგაზრდობის მაღალი სულიერი რწმენა და მგზნებარე პატრიოტიზმი, მათი მზადყოფნა თავი დასდონ სამშობლოს კეთილდღეობისა და ძლიერებისათვის. ყამირმა მარცვლეულის წარმოების გადიდების ახალი გზა უჩვენა პარტიასა და საბჭოთა ხალხს. ეს იყო ჩვენი განვითარების მოცემულ ეტაპზე პარტიის ერთადერთი სწორი და უტყუარი აგრარული პოლიტიკა, რომლის პრაქტიკულად გადაჭრის ისტორიული აუცილებლობა მეცნიერული სიღრმითაა გაშუქებული ლ. ი. ბრეჟნევის ნაშრომში „ყამირი“.

ახალი მიწების ათვისების სურვილი არა ერთხელ აღძრიათ ძველადაც, მაგრამ ქვეყნის სიღატაკის, მისი ტექნიკური ჩამორჩენილობის, უგზოობისა და სხვა სიძნელეთა გამო შეუძლებელი იყო ადამიანთა ფართო მასების ამოძრავება ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად, ხოლო ერთეული უმიწაწყლო გლეხების სურვილი ლუკმა-პურის საძებნელად წასულიყვნენ და დასახლებულიყვნენ ციმბირისა და ყაზახეთის უკაცრიელ სტეპებში, მარცხითა და უბედურებით მთავრდებოდა.

„ჩემი მშობლები, — იგონებს პავლოდარის ოლქის გორკის რაიონის ერთ-ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ი. პოლეშჩუკი, — 1910 წელს კამენეც-პოდოლსკის გუბერნიიდან ბედის საძიებლად ყაზახეთის უკაცრიელ სტეპებში — ირტისში გადასახლდნენ. დიდი ხნის ვაი-ვაგლახის შემდეგ ძლივს მივაღწიეთ დანიშნულ ადგილს. ვცხოვრობდით უსახლკაროდ, ყველანი ცინგამ შეგვიპყრო და მუსრს გვავლებდა. მიწა ბევრი იყო და ნოყიერი! მაგრამ მისი დასამუშავებელი საშუალებები არ გაგვაჩნდა.

დღეს სულ სხვა მდგომარეობაა. გვაქვს მძლავრი ტექნიკა, კოლმეურნეობა შეძლებულია. ჩვენთან მუდმივ საცხოვრებლად პარტიის მოწოდებით ბელორუსიიდან ჩამოვიდა 12 ოჯახი. თითოეულმა მათგანმა კოლმეურნეობისაგან მიიღო კარგად მოწყობილი ბინა, ძროხა, ღორი, ფრინველები. მათთან შეხვედრის დროს ძალაუნებურად მაგონდება უბედურებით და გაჭირვებით აღსავსე ჩემი ოჯახის ძველ ციმბირში ჩამოსვლა.“

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ვ. ი. ლენინმა სათანადო ყურადღება დაუთმო ყამირი და გამოუყენებელი მიწების ათვისების საკითხს. მაგრამ ამჯერადაც ამ ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელი იყო, რადგან ეს მოითხოვდა მძლავრ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს, დიდ სახელმწიფოებრივ რესურსებს, კარგად განვითარებულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, რაც იმ დროისათვის არ გააჩნდა ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანას.

„...იმ მიწების რაოდენობა, რომელთა დამუშავებას ჩვენ ვერ შევძლებთ, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი საბჭოების III ყრილობაზე, — სულ ცოტა 8 მილიონ დესეტინას შეადგენს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მდინარე ურალის გაყოლებით... — ჩინებული მიწებია, რომლებიც უნდა დავამუშაოთ, მაგრამ რადგან პირუტყვი არ გვყოფნის და საწარმოო ძალები დასუსტებულია, ჩვენ მათ ვერ დავამუშავებთ"[1].

ყამირი და ნასვენი მიწების დიდი მასშტაბით ათვისება მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სათანადო კვალიფიციური კადრების გარეშე, ინდივიდუალური შრომითი წესით და წვრილი გლეხური ინვენტარით შეუძლებელი იყო. ქვეყანას ჯერ კიდევ არ შეეძლო უკიდეგანო სტეპებში გაეგზავნა საჭირო რაოდენობის ტექნიკა, მაგრამ, როგორც ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავს „ყამირი და ნასვენი მიწების ფართო ათვისების იდეა არ ჩამკვდარა თვით ყამირის დარად, იგი ცოცხლობდა და მხოლოდ თავის ჟამს ელოდა". და ეს ჟამიც მხოლოდ ჩვენს პირობებში, მძიმე ინდუსტრიის ბაზაზე, სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების შედეგად დადგა, როცა ახალი მიწების ასათვისებლად მძლავრი მანქანა-იარაღებით აღჭურვისა და მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის შესაძლებლობა შეიქმნა, როცა რეალურ სინამდვილედ იქცა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების, მათი გეგმიანი და რაციონალური გამოყენების შესაძლებლობა.

სოფლის მეურნეობის მხოლოდ მძლავრი ტექნიკური ბაზის საფუძველზე იყო შესაძლებელი, რომ მარტო ყაზახეთის რესპუბლიკის ᲔᲙᲡ-მა და საბჭოთა მეურნეობებმა ყამირი მიწების ათვისების ორი წლის განმავლობაში (1954-1956 წლები) მიიღეს 122 ათასი ტრაქტორი (15 ძალაზე გადაყვანით), 30 ათასზე მეტი კომბაინი, 22 ათასი სატვირთო ავტომანქანა და სხვა დიდძალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

მაგრამ ყამირი მიწების ათვისების პრობლემა მარტო ტექნიკას და ქვეყნის სათანადო ეკონომიურ რესურსებს არ შეეძლო გადაეწყვიტა. ტექნიკასთან ერთად საჭირო იყო ადამიანები, რომლებიც საქმის ცოდნით მწყობრში ჩააყენებდნენ და მოძრაობაში მოიყვანდნენ მათზე მინდობილ მანქანა-იარაღებს. ადამიანები კი ახლად ასათვისებელი ყამირი მიწების მასივებში ცოტანი ან თითქმის არ იყვნენ. მაგრამ ეყრდნობოდა რა ხალხის უსაზღვრო ნდობას, მის მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებასა და ენთუზიაზმს, პარტიამ ისეთი ღონისძიებები შეიმუშავა და გაატარა, რომ ტექნიკასთან ერთად ნიაღვარივით მოასდა ყაზახეთის უკაცრიელ სტეპებს და ყამირი მიწების ათვისების სხვა რაიონებს საბჭოთა რესპუბლიკებიდან, ოლქებიდან და მხარეებიდან ჩამოსული ასეულ ათასობით ჭაბუკები და ქალიშვილები, სოფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები — ტრაქტორისტები, კომბაინერები, მექანიკოსები, ტექნიკოსები, ვეტერინარული სამსახურის სპეციალისტები, ინჟინრები, აგრონომები, ექიმები, მასწავლებლები და სხვ.

მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ყამირელთა პატრიოტულ მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურნენ საქართველოს მშრომელები, ქართველი ახალგაზრდობა. უკვე 1954 წლის პირველი აპრილისათვის რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მიიღეს 8 ათასზე მეტი ახალგაზრდის განცხადება. ისინი თავიანთ მგზნებარე პატრიოტულ განცხადებებში მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ გაგზავნას ყამირ და ნასვენ მიწებზე სიცოცხლის დასამკვიდრებლად.

კომკავშირელი აგროტექნიკოსი გ. კვაშილავა თავის განცხადებაში წერდა: „მე და ჩემი მეუღლე დიდხანს ვფიქრობდით, სანამ საბოლოოდ გადავწყვეტდით ყამირ მიწებზე გამგზავრებას. ადვილი როდია ოჯახისათვის იქ წასვლა, მაგრამ ვაუკაცობაც სწორედ ის არის, რომ დავძლიოთ სიძნელე. ჩვენ მივდივართ იქ არა სტუმრად, არამედ სამუდამოდ დასამკვიდრებლად, საშვილიშვილოდ. ჩემი ცოლი ევგენია ბეჟანიშვილი ამწეს მეოთხე თანრიგის მემანქანეა და მშენებლობაზე იმუშავებს, მე, როგორც სოფლის მეურნეობის სპეციალისტი გავილაშქრებ ყამირზე უხვი მოსავლის მისაღებად".

მარტო ყაზახეთის საბჭოთა მეურნეობებში 1954 წლიდან 1955 წლის 14 ნოემბრამდე კომკავშირული საგზურით სამუშაოდ ჩავიდა 8 446 კომბაინერი, 45 214 ტრაქტორისტი, 3 300 აღმრიცხველი, 95 658 მიმბმელი და რემონტის მუშა და სხვა პროფესიის ადამიანი. მათ შორის 4 ათასზე მეტი ახალგაზრდა სპეციალისტი ჩავიდა კომკავშირის საგზურით საქართველოდან ყაზახეთის ყამირი მიწების ათვისების რაიონებში[2].

„მე წინათაც შემიდარებია ყამირის ეპოპეა ფრონტისათვის, გრანდიოზული ბრძოლისათვის, — აღნიშნავდა ლ. ი. ბრეჟნევი, —შედარება ზუსტია. რა თქმა უნდა, ყამირზე არ იყო ხროლა, დაბომბვა, კანანადა, მაგრამ დანარჩენი ყველაფერი ბრძოლას მოგვაგონებდა". ლ. ი. ბრეჟნევის ეს შედარება ჭეშმარიტად ასახავს სინამდვილეს. ყამირზეც, განსაკუთრებით პირველ პერიოდში კაცი ადამიანური შესაძლებლობის ზღვარზე იდგა, მას დიდი სიძნელეებისა და გაჭირვების დაძლევა მოუხდა.

ახალ მიწებზე ჩასული გ. ბარნაბაშვილი

[1] ვ.ი. ლენინი. თხზ., ტ. 31, გვ. 590.

[2] დ. ჯაბიძე, ვ. ქარუმიძე. ქართველი ახალგაზრდების შრომითი გმირობა, „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1967, გვ. 16.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1954 წლის 12 აპრილს თავისიანებს წერდა: „პირველ ხანებში ცოტა არ იყოს მოგვეწყინა. ახლობლები, მშობლიური მთები და ნარინჯოვანი ველები მოგვენატრა. ჩვენმა ბიჭებმა თვალი ვერ შეაჩვიეს ერთფეროვან ტრამალებს. სიცივე გვაწუხებს. ღამით ყინვა მაგრად უჭერს, მაგრამ თანდათან გამოვდივართ მდგომარეობიდან, ხოლო ა. მერაბიშვილი კი აკმოლინსკიდან იტყობინებოდა, რომ „გატყდა ყამირი. ახლა აღარც ამინდის სიმკაცრე გვაშინებს და აღარც სხვა სიძნელეები — მეგობრობამ, მოყვრობამ და დიდმა პატრიოტულმა შემართებამ დაიმორჩილა პირქუში ბუნება“. ეს და ამის მსგავსი ასობით სხვა წერილი ნათლად მოწმობენ ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად წასული ქართველი ახალგაზრდობის მხნეობას და გამძლეობას, მათ მგზნებარე პატრიოტობას და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულს. აქედან ნათლად ჩანს ისიც, რომ სიძნელეებთან ბრძოლაში იწრთობოდა საბჭოთა ადამიანების, ახალგაზრდობის ჭაბუკებისა და ქალიშვილების ნებისყოფა და ხასიათის სიმტკიცე, საფუძველი ეყრებოდა ყამირელთა გმირული შრომით მაღალ პატრიოტულ ტრადიციებს, ყალიბდებოდა, როგორც ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავს, ყამირელთა ისტორიული ფიგურა, რომელმაც გმირული ეპოპეის ხანა განსაზღვრა.

საქართველოს წარგზავნილებმა პირველი დღიდანვე გმირული შრომის მაგალითები უჩვენეს. ლაგოდეხის რაიონის სოფ. ფოდანის წარგზავნილმა შ. შუბითიძემ მაგჯანის საბჭოთა მეურნეობაში ერთ თვეში 300 ჰექტარი ყამირი გატეხა და ამით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა, რისთვისაც იგი კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა სამახსოვრო სიგელით დააჯილდოვა, ხოლო ადმინისტრაციამ სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირად დაამტკიცა. ბრიგადამ, რომელსაც შ. შუბითიძე ჩაუდგა სათავეში ახალი დავალება მიიღო — უნდა აეთვისებინა 9 ათასი ჰექტარი ყამირი მიწა და დაემზადებინა დიდი რაოდენობით თივა. ეს დავალება შ. შუბითიძის ბრიგადამ, რომელშიც შედიოდნენ რუსი ნ. კუდრიავცევი და ნ. კოზლოვი, ბელორუსი ნ. სერაპინი, ქართველი ზ. მაჭავარიანი და სხვები, დიდი გადაჭარბებით შეასრულა.

ყამირ და ნასვენ მიწებზე ახალმოსახლეთა ჯანმრთელობისათვის ზრუნვა, სამედიცინო მომსახურების დაწესებულებათა ფართო ქსელის შექმნა პარტიის გადაუდებელი ამოცანა იყო. მარტო ყაზახეთის ახლად შექმნილ საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ში 1955 წლისათვის აშენებული იყო 297 საუბნო საავადმყოფო, 164 საფერშლო საუბნო პუნქტი, 8 აფთიაქი და 191 სააფთიაქო პუნქტი, სადაც ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, მათ შორის საქართველოდან გაგზავნილი იქნა 450 ავტომატური გამომხარშველი, 5 ათასი სტერილიზატორი, 84 რენტგენის აპარატი, 94 კლინიკური დიაგნოსტიკის ლაბორატორია. ამავე დროისათვის ყაზახეთის ყამირი მიწების ათვისების რაიონში ჩავიდა 450 ექიმი და 2 000 საშუალო სამედიცინო პერსონალი. მათ შორის 1955 წლის 25 აპრილისათვის საქართველოდან ჩავიდა 50 ექიმი, 22 ფარმაცევტი, 83 საშუალო სამედიცინო პერსონალი[1].

„ყამირი, — წერს ლ. ი. ბრეჟნევი, — მარტოოდენ სახნავი როდია. ეს არის საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები, საბავშვო ბაღები, ბაგები, კლუბები, ახალი გზები და ხიდები, აეროდრომები და მეცხოველეობის ნაგებობანი, ელევატორები, საწყობები და ქარხნები — ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც საჭიროა მოსახლეობის ნორმალური ცხოვრებისათვის“.

მეყამირეთა გმირული შრომის შედეგად, ყამირი მიწების გატეხვასა და ათვისებასთან ერთად 1954-1958 წლების მანძილზე აშენდა ათასობით საცხოვრებელი ბინა და ელევატორი, 167 სკოლა, 184 კლუბი, 189 საბავშვო ბაგა და ბაღი, 483 სასადილო, 400 პურის საცხობი, 521 აბანო. გაყვანილი იქნა ათასობით კილომეტრი რკინიგზა და გზატკეცილი.

კომუნისტური პარტიის პატრიოტული მოწოდების საპასუხოდ საქართველოდან ათასობით ახალგაზრდა მშენებელი ინჟინერი, კალატოზი, მლესავი, საგზაო მშენებლობის სპეციალისტი და რიგითი მუშა წავიდა ყამირი მიწების ათვისების რაიონებში საცხოვრებელი ბინების, გზების, პურის საწყობების, ელევატორების, საქონლის სადგომების, ელექტრო სადგურების, სკოლების, პურის საცხობების და სხვა ნაგებობათა ასაშენებლად. ამ დიდ მშენებლობებზე ჩავიდნენ აფხაზეთის ასს რესპუბლიკიდან 500, აჭარის ასს რესპუბლიკიდან 300, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან 200, თბილისიდან 1 000, ქუთაისიდან 150, რუსთავიდან 240, გორიდან 60, ახალქალაქიდან 90, ახალციხიდან 60, ტყიბულიდან 80 კაცი და სხვ. სულ 3 000 სხვადასხვა სპეციალობის ჩვენი თანამემამულე მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი ჩაება ამ საშვილიშვილო საქმის ფერხულში.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ყამირ და ნასვენ მიწებზე მოლაშქრე საბჭოთა პატრიოტე-

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, ფ. 14, აღწერა 32, საქმე 112, ფურც. 28, 39, 40.

ბის ჭირ-ვარამს იზიარებდნენ, სულიერად ამხნევებდნენ და მათთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ ამ დიდ საერთო-სახალხო მოძრაობაში საბჭოთა ლიტერატურის და ხელოვნების წარმომადგენლები.

ყამირის გამტეხ გმირებს მიუძღვნა ყამირზე მყოფმა ი. ნონეშვილმა ლექსების ციკლი „ყაზახეთის ველებზე". „ყამირზე ყოფნამ, — იგონებს ი. ნონეშვილი, — არა მარტო დამანახვა გმირი ყამირელების შრომის ახალი პათოსი, არამედ იქ ვნახე შავბნელი წარსულის საშინელი ნაშთიც: ა. გამხუაშვილის ტრაქტორზე ვიდექი. ტრაქტორი გაჩერდა და გუთანმა რაღაც მძიმე ამოიტანა, ვნახეთ კაცის ჩონჩხი და ბორკილები. იქვე დავწერე ლექსი „ბიჭო იქნებ პაპა იყო შენი". ყამირი და ნასვენი მიწების რაიონებში ხანგრძლივი დროით იმყოფებოდა აგრეთვე პოეტი ჯანსულ ჩარკვიანი, რომელმაც ყამირზე შრომაში დავაჟკაცებულ პატრიოტებს მიუძღვნა ლექსების ციკლი „142 სტრიქონი ყაზახეთის ცისქვეშ".

დიდი წვლილი შეიტანეს ყამირელი პატრიოტების კულტურული დასვენებისა და გართობის საქმეში კინოს, თეატრის და ხელოვნების სხვა დარგის მუშაკებმა. 1955 წლის სუსხიან ზამთარში ყამირ მიწებზე დამკვიდრებულ ახალმოსახლეებს ეწვია საქართველოს სსრ ცეკვის ანსამბლი ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით. ანსამბლმა მრავალი კონცერტი მოაწყო ახალი მიწების საბჭოთა მეურნეობების, მტს-ბისა და კოლმეურნეობების მშრომელთათვის. ანსამბლმა დიდი სიყვარული და აღფრთოვანება დაიმახურა კარგი კულტურული დასვენებისა და გართობისათვის.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ფილარმონიის შემოქმედებითმა კოლექტივმა პირველმა შეჰქმნა საოპერო ჯგუფი, რომელმაც ყამირი მიწების პატრიოტებისათვის საკონცერტო შესრულებით მოამზადა ოთხი ოპერა: ს. რახმანინოვის „ალეკო", ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე", თ. შავერზაშვილის „იავნანა" და ა. ბუკიას „დაუპატიჟებელი სტუმარი".

ყამირ მიწებზე დამკვიდრებულთა კულტურული ცხოვრებისა და სწავლა-განათლებისადმი პარტიის ზრუნვის მკაფიო მაგალითია ისიც, რომ ყამირის ათვისების პირველი წლიდანვე ახლად შექმნილ საბჭოთა მეურნეობებში გაიხსნა 65 დაწყებითი და 19 შვიდწლიანი სკოლა, რომელთა რიცხვი ერთი წლის შემდეგ 255-მდე გაიზარდა, ხოლო 1957-1958 სასწავლო წლისათვის კი მარტო ყაზახეთის მიწების ათვისების ექვსი ოლქის ახალ საბჭოთა მეურნეობებში 43 საშუალო, 162 შვიდწლიანი და 373 დაწყებითი სკოლა მუშაობდა.

ამ საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს ჩვენი რესპუბლიკის განათლების სისტემის მუშაკებმაც. მრავალმა ასეულმა დაწყებითი და საშუალო სკოლის მასწავლებელმა გამოთქვა სურვილი პარტიის მოწოდების საპასუხოდ წასულიყო ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში, რათა აქტიურად მომსახურებოდნენ ბავშვთა სწავლა-აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საჩხერის რაიონის მეორე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილის ა. ზეინკლიშვილისა და სხვათა პატრიოტული თაოსნობა, რომლებმაც პირველებმა გამოთქვეს სურვილი წასულიყვნენ იქ, სადაც მათი ცოდნა და გამოცდილება იყო საჭირო.

ყამირის ათვისების მეორე პერიოდი დაიწყო, როცა ნაყამირალზე უხვი მოსავლის აღებისათვის ბრძოლაში ფართოდ ჩაებნენ საბჭოთა ადამიანები, ლენინური კომკავშირის აღზრდილი ჭაბუკები და ქალიშვილები. ქართველ მეყამირეთა 2 000 მეტი ახალგაზრდა ჩავიდა 1956 წელს ნაყამირალზე უხვი მოსავლის ასაღებად. საქართველოდან ჩასული კომკავშირელი ახალგაზრდები განაწილდნენ კუსტანაის ოლქის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. მათ რაზმებსა და ბრიგადებს სათავეში ჩაუდგნენ გამოცდილი კომკავშირელი მუშაკები: ნ. ებრალიძე, შ. ცხვარაძე, ვ. ქარუმიძე, ო. თენეიშვილი, დ. დათუაშვილი, ნ. ჩხოლარია, ნ. ცხაკაია და სხვები და კომკავშირის რესპუბლიკური შტაბის ხელმძღვანელობით (შტაბის უფროსი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. შევარდნაძე) არნახულ შრომით წარმატებებს მიაღწიეს.

ქართველი ახალგაზრდების თავდადებულ შრომაზე კარგად მეტყველებს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სახელზე გაგზავნილი კუსტანაის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის დეპეშა, სადაც ნათქვამია: „კარგი სახელი მოიხვეჭეს საქართველოდან ჩამოსულმა მშრომელებმა, ქართველმა ახალგაზრდობამ. გულწრფელ მადლობას ვუთვლით ყველას, ვინც თავისი შრომითი წვლილი შეიტანა ყამირ მიწებზე მოსავლის აღებაში"[1].

პურისათვის გაშლილ ამ დიდ სახალხო ბრძოლაში კიდევ უფრო განმტკიცდა ქართველი ახალგაზრდობის მეგობრობა მოძმე რესპუბლიკებისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ახალგაზრდობასთან. რუსი, ყაზახი, უკრაინელი, ბელორუსი, ქართველი, ლიტველი, სომეხი და ჩვენი ქვეყნის სხვა ეროვნების ახალგაზრდობის გვერდით ამ წელს მოსავლის აღებაში აქტიურად მონაწილეობდა ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის,

---

[1] დ. ჯაბიძე, ვ. ქარუმიძე. „ქართველი ახალგაზრდობის შრომითი გმირობა", „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1967, გვ. 63.

ხეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, პოლონეთის ასობით წარგზავნილი. საერთო მიზნებითა და ამოცანებით შთაგონებულნი ისინი კიდევ უფრო დაუახლოვდნენ და შეუკავშირდნენ ერთმანეთს. „ყამირი გახდა ინტერნაციონალური აღზრდის ჭეშმარიტი სკოლა, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის წარმომადგენელთა ბრძნული გამოცდილების, შრომითი ჩვევების, გამარჯვების მრწამსის გამომუშავების სავანე", — აღნიშნავს ლ. ი. ბრეჟნევი.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის 15 ივლისის მოწოდებას, ისევე როგორც წინა წლების მოწოდებებს, მხურვალედ გამოეხმაურნენ ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდები. 1957 წლის ნაყამირალზე მოსავლის აღებაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად აფხაზეთის ასს რესპუბლიკიდან გაიგზავნა 400 ახალგაზრდა, აჭარის ასს რესპუბლიკიდან 300, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან 200, თბილისიდან — 2 500, ქუთაისიდან 400, რუსთავიდან 300, გორიდან 100, ფოთიდან 100, ზესტაფონიდან 100, ჭიათურიდან 80 და სხვ. სულ 6 500 ახალგაზრდა ჩავიდა ამ წელს საქართველოდან ნაყამირალზე მოსავლის ასაღებად[1].

ყამირ მიწებზე მოსავლის ასაღებად ამ წელს ჩასულმა საქართველოს მრავალფეროვანმა და მრავალათასიანმა კოლექტივმა მაღალი ორგანიზებულობის, მტკიცე დისციპლინის, შრომისმოყვარეობის, გამბედაობისა და გმირობის მაგალითები უჩვენა ყველას და დიდი ოქტომბრის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. ამ წელს საქართველოს წარგზავნილებმა მოსავალი აიღეს 690 ათას ჰექტარზე, ტრაქტორისტებმა კი მოხნეს 75 ათას ჰექტარზე მეტი მიწა, მოთიბეს და დაზვინეს 390-400 ცენტნერი თივა, დაამზადეს 551 221 ტონა სილოსი, პირუტყვისათვის ააშენეს და კაპიტალურად შეაკეთეს 70 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის სადგომი, ელექტრო და რადიოს ხაზი გაიყვანეს 225 კილომეტრზე, ამოიღეს 25, დაამზადეს და დანიშნულების ადგილზე მოზიდეს 14.800 კუბური მეტრი ხე-ტყე და დიდი რაოდენობის სხვა სამშენებლო მასალა[2].

რესპუბლიკის წარგზავნილთა მაღალი შრომის საპასუხოდ, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ყაზახური მილიარდი ფუთი პურისათვის ბრძოლაში 150 ახალგაზრდას გადაეცა მთავრობის ჯილდო-მედალი „ყამირი მიწების ათვისებისათვის", ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა 375 ახალგაზრდა, ხოლო ყაზახეთის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი დაიმსახურა 648 კაცმა, კუსტანაის საოლქოსა და რაიონული კომიტეტების საპატიო სიგელები და ქების ფურცლები მიიღო 4 800 კომკავშირელმა და ახალგაზრდამ. გარდა ამისა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 183 ათასი მანეთის ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვა 1 150 კაცი[3].

ამ წელს საქართველოს ახალგაზრდების მიღწევებში დიდი წვლილი შეიტანეს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების 52 ლექტორმა და მასწავლებელმა, რომელთაგან 32 მეცნიერებათა კანდიდატი და დოცენტი იყო. ასევე დიდი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის ახალგაზრდათა შრომის წარმატებებში 77 კომკავშირულმა ხელმძღვანელმა.

აღსანიშნავია, რომ ამ წელს საქართველოს წარგზავნილების დიდი შრომითი წარმატებები ახალი პატრიოტული თაოსნობით აღნიშნა ახალგაზრდობის რესპუბლიკური შტაბის ხელმძღვანელობამ. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის ე. ა. შევარდნაძის მეთაურობით კომკავშირულმა მუშაკებმა გ. ყიფიანმა, ნ. ებრალიძემ, დ. დათუაშვილმა, ო. თენეიშვილმა, გ. აზაურაშვილმა, ნ. ჩხოლარიამ, ო. ყანჩელმა და სხვ. სამშობლოში გამომგზავრებისას მოაწყვეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ავტო-მოტო გადარბენა ზამთრის რთულ პირობებში მარშრუტით — კუსტანაი, ჩელიაბინსკი, გორკი, მოსკოვი, სოხუმი და 1957 წლის 23 ნოემბერს სამშობლოში დაბრუნდნენ გამარჯვებულნი, რითაც კიდევ ახალი ფურცელი ჩაწერეს საქართველოს სახელოვანი კომკავშირის გმირულ ისტორიაში.

ნაყამირალზე მოსავლის აღებაში „მამაცური შრომით აღვნიშნოთ კომკავშირის სახელოვანი ორმოცი წლისთავი". — ნათქვამია საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის ივნისის მოწოდებაში. ამ მოწოდებას კვლავ მხურვალედ გამოეხმაურა საქართველოს ახალგაზრდობა, რომელმაც პარტიული ორგანიზაციების დახმარებით თავისი რიგებიდან შეარჩია და კუსტანაის ოლქის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში სამუშაოდ გაგზავნა 7 ათასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი.

როგორც წინა ორ წელს ყამირ მიწებზე მოსავლის აღებისათვის ბრძოლაში რესპუბლიკის ახალგაზრდობის მოწინავეთა რიგებში იყო

---

1 დ. ჯაბიძე, ვ. ქარუმიძე. „ქართველი ახალგაზრდობის შრომითი გმირობა,", „საბჭოთა საქართველო", თბ., 1967, გვ. 63.

2 იქვე, გვ. 68.

3 იქვე, გვ. 78.

დავით ჯაბიძე

ყამირი მიწების ათვისების გმირული ეპოპეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ახალგაზრდობა, ასევე მესამე წელსაც თბილისის 3.300-ზე მეტი წარგზავნილი ჭაბუკი და ქალიშვილი შრომისა და დისციპლინის ბრწყინვალე მაგალითებს იძლეოდნენ. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამჯერადაც თბილისელთა წარგზავნილებმა კომკავშირელთა რესპუბლიკური შტაბის ხელძღვანელობით (შტაბის უფროსი თ. ბადურაშვილი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი) სანიმუშოდ შეასრულეს თავიანთი პატრიოტული ვალი სამშობლოსა და პარტიის წინაშე და გამარჯვებულნი გამოვიდნენ ნაყამირალზე მოსავლის ასაღებად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათ 220 ათას ჰექტარზე აიღეს მოსავალი, კოლმეურნეობებში გამოიმუშავეს 300 ათასზე მეტი შრომადღე, საბჭოთა მეურნეობებში შეასრულეს 3 300 ათასი მანეთის ღირებულების სხვადასხვა სამუშაო, ააგეს 204 მარცვლეულის საწყობი და მეცხოველეობის ფერმა, 40 კულტურული საყოფაცხოვრებო ნაგებობა და ბრავალი საცხოვრებელი ბინა, ჩადეს 200 ათასი ტონა სილოსი, დაამზადეს და დაზვინეს 60 ათასი ტონა თივა, შეაკეთეს 60-ზე მეტი ტრაქტორი, 120 კომბაინი, 150 ლაფეტი და 200 სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო მანქანა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საქმიანობა. ამ წელსაც უნივერსიტეტის 600-ზე მეტი სტუდენტი და პროფესორ-მასწავლებელი შრომობდა თავდადებით კუსტანაის ოლქის პეშკოვის რაიონის 10 კოლმეურნეობასა და 2 საბჭოთა მეურნეობაში. მათ თავდადებულ შრომას, მაღალ ზნეობრივ თვისებებსა და მამაცობას კარგად ასახავს ორი ასეთი მაგალითი:

ერთხელ გვიან ღამით, სლავიანსკის საბჭოთა მეურნეობაში, ეკონომიკისა და გეოგრაფ-გეოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტები საგანგაშო ზარმა გამოაფხიზლა. შემთხვევით ცეცხლი მოედო 200 ტონა დაზვინულ თივას. ტრამალის ქარი თანდათან აძლიერებდა ცეცხლს. ფეხზე დადგა ყველა, ვინ ხელით, ვინ საკუთარი ტანსაცმლით შეება სტიქიას, მაგრამ თივის გადარჩენა არ მოხერხდა. უსაკვებოდ დარჩა ახალგაზრდა საბჭოთა მეურნეობის პირუტყვი, ზამთარი კი ახლოვდებოდა. სწორედ აქ იჩინა თავი საბჭოთა ახალგაზრდობის, ლენინური კომკავშირის აღზრდილებისათვის დამახასიათებელმა მაღალმა პატრიოტულმა და მორალურმა სულისკვეთებამ. ბიჭებმა უარი თქვეს მათთვის განკუთვნილ ისედაც მცირე დასვენების საათებსა და დღეებზე და ისინი მთლიანად თივის დამზადებას დაუთმეს. მათ ორ კვირაში სრულიად უსასყიდლოდ ხელახლა დაამზადეს და დაზვინეს 250 ტონა თივა და საჩუქრად გადასცეს იგი საბჭოთა მეურნეობას წარწერით — „თბილისის 1500 წლის თავის აღსანიშნავად". ამის შესახებ სლავიანსკის საბჭოთა მეურნეობის დირექცია, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები წერდნენ გაზ. „ზარია ვოსტოკას" რედაქციას: „რესპუბლიკის მშრომელებს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივს ნამდვილად შეუძლიათ იამაყონ ყამირ მიწებზე თავიანთი წარგზავნილების გმირობითა და ვაუკაცობით. ისინი დიდი პატრიოტული შემართებით იბრძოდნენ საბჭოთა მეურნეობის მშრომელებთან ერთად ყაზახეთის მილიარდი ფუთი პურისათვის".

ყამირი ქართველი ახალგაზრდობისათვის გახდა არა მარტო დიდი და თავდადებული შრომის საასპარეზო, არამედ წრთობის, ვაუკაცობის და გმირული შემართების დიდი სკოლაც. „გმირობის საწყისი სხვადასხვაგვარად ვლინდება: ერთსა და იგივე კაცს შეუძლია სასწორზე შეაგდოს თავისი სიცოცხლე და ცეცხლმოდებულ სახლში შევარდეს, მაგრამ გაუჭირდეს ყოველდღიურად რაიმე მონოტონური სამუშაოს კეთება. არის ანაზდეული გმირობა... და არის სადაგი დღეების გმირობა, როცა ადამიანი შეგნებულად, თავისი ნებით ყოფს თავს უღელში, თუმცა იცის, რომ სხვაგან ეს ჭაპანი შეიძლება არ ეწია. ჩემი აზრით, ყამირელებმა გმირობა გვიჩვენეს. მათ გაუძლეს პირველ ხანებში ყველა ყოფითს გაჭირვებას და წლების მანძილზე მოთმინებით და მედგრად იმორჩილებდნენ ამ ჯიუტ მიწას".

ლ. ი. ბრეჟნევის ეს გულში ჩამწვდომი სიტყვები პირდაპირ ეხმაურება ქართველ სტუდენტთა სლავიანსკის საბჭოთა მეურნეობაში ჩადენილ ვაუკაცობას და აკადემიკოს მიხეილ ნოდიას ერთადერთი ვაჟიშვილის, უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დოცენტის ნოდარ მიხეილის ძე ნოდიას გმირობას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციის სახელზე გაგზავნილ წერილში პეშკოვის რაიონის კარაბალიკის საბჭოთა მეურნეობის დირექცია, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები წერდნენ: „მიუხედავად იმისა რომ ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტთა სამუშაო დღის ხანგრძლივობა 16-18 საათს უდრიდა და კალოზე იგი აყვანილი იქნა 20 საათამდე, დოც., ნ. ნოდიას უნარიანი ხელმძღვანელობით და პირადი სანიმუშო მაგალითით სტუდენტები თვალსაჩინოდ ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნ. ნოდიას ვაუკაცობა. იგი მოხერხებულად უხამებდა ერთმანეთს სტუდენტებისადმი სწორ ხელმძღვანელობას, პირად შრომასა და ადგილობრივ მოსახლეობაში კულტურულ-მასობრივი დო-

ნისძიებების ჩატარებას. მისი უანგარო პატრიოტული შემართებისა და პირადი გმირული თავგანწირვის ნათელ მაგალითს წარმოადგენს კარაბალიკის საბჭოთა მეურნეობის პურის საწყობში გაჩენილი ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლა".

1958 წლის სექტემბრის დღეები იწურებოდა. ყამირი მიწებიდან საქართველოს წარგზავნილების სამშობლოში დაბრუნების ჟამი ახლოვდებოდა და შრომაში გამარჯვებული და მისი შედეგებით კმაყოფილი ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტებიც ნაცნობ-ნათესავებთან, უნივერსიტეტში დარჩენილ მეგობრებთან შეხვედრაზე და სწავლის დაწყებაზე ოცნებობდნენ, ამ დღეს ისინი, ისე როგორც ყოველთვის, ნაშრომ-ნაჯაფი და დაღლილ-დაქანცული გვიან დაბრუნდნენ სამუშაოდან. ხელპირის დაბანა და საჭმლის ჭამაც ვერ მოასწრეს, რომ სახანძრო განგაშმა სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლაში იხმო ისინი. ელექტროდენის მოკლე ჩართვის შედეგად ცეცხლი მოდებოდა ხორბლის საწყობს. ასიათასობით ფუთი ხორბალი იწვოდა, დიდი ჯაფით მოწეული და ნაამაგარი ნადგურდებოდა. ნოდარი არ შეუშინდა საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებას და გაბედულად შეებრძოლა სტიქიას. მოახდინა ხანძრის კერის — ელექტროდენის მოკლე ჩართვის ლიკვიდაცია და ამით ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად, სრული განადგურებისაგან იხსნა საბჭოთა მეურნეობის პურის საწყობი. დიახ, ნოდარმა იხსნა საკუთარი სიცოცხლის ფასად სახელმწიფო დოვლათი, ყამირზე დაიფერფლა მისი ახალგაზრდა სიცოცხლე, მაგრამ მან გადაარჩინა არა მარტო ძვირად ღირებული სახალხო დოვლათი, არამედ ბრწყინვალედ დაიცვა ამ სახალხო დოვლათზე კიდევ უფრო ძვირად ღირებული ადამიანის სახელი, მისი დიდება და ღირსება და თავისი გმირობით უჩვენა ყველას თუ როგორი უნდა იყოს საბჭოთა ადამიანი, რომელმაც სამშობლოს ბედნიერებისა და სიდიადისათვის ბრძოლაში ისევე უყოყმანოდ გასწირა თავი მშვიდობიან ვითარებაში, ულრუბლო ცის ქვეშ, როგორც სამამულო ომის ქარცეცხლიან დღეებში ალექსანდრე მატროსოვმა და ქართველმა მატროსოველებმა ბეჟან ბესიაშვილმა, შალვა კიკალეიშვილმა, ვიქტორ სამხარაძემ, ვასილ პეტრიაშვილმა, ადამ ქავთარაძემ, ვლადიმერ ფაჩულიამ, გიორგი მაისურაძემ და სახელოვანმა ქართველმა ქალმა ალექსანდრა ნოზაძემ.

სწორედ ამ გმირულ თავგანწირვას შესანიშნავად ესადაგება ლ. ი. ბრეჟნევის ეს სიტყვებიც: „ჩემი ცხოვრების მანძილზე არაერთხელ დავრწმუნებულვარ, რომ ჭეშმარიტი გმირები ყოველდღიურ ვითარებაში, ჩვეულებრივ მოკრძალებულნი, თითქმის შეუმჩნეველნი არიან. ისინი უბრალოდ და უსიტყვოდ აკეთებენ თავიანთ საქმეს". დაღუპვის წინა დღეს დაღლილ-დაქანცული, მტვერით გამურული ნოდარი და მე უკან გამომგზავრების საკითხზე ვსაუბრობდით, და აი ამ უბრალო, დიდი გამბედაობისა და შრომისმოყვარე ვაჟკაცმა ჯიბიდან ბავშვის სურათი ამოიღო და მითხრა, არავინ და არაფერი არ მენატრება ამასავითო, რომელსაც ესლა კი ალბათ მალე ვნახავო.

დოც. ნ. ნოდიას ცხედრის სამშობლოში გაცილებასთან დაკავშირებით სამგლოვიარო მიტინგზე, რაიონის ყველა მშრომელის სახელით, ყაზახეთის კპ პეშკოვის რაიკომის პირველმა მდივანმა ივანე პუგაჩოვმა განაცხადა: „უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები მეორედ მონაწილეობენ მოსავლის აღებაში ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თვალუწვდენელ მინდვრებზე. მე კარგად ვიცნობ მათ საქმიანობას, რასაც ყოველთვის განცვიფრებაში მოჰყავდა რაიონის მშრომელები, მაგრამ ასეთი ვაჟკაცობისა და გმირული თავგანწირვის მაგალითს სამამულო ომის ფრონტზე თუ შევხვედრივართ. გადაეცით უნივერსიტეტის კოლექტივს, განსვენებულის მშობლებს, მის ოჯახს, რომ კარაბალიკის საბჭოთა მეურნეობისა და პეშკოვის რაიონის მშრომელები ღირსეულად მოვიგონებთ ყოველთვის დოც. ნოდარ მიხეილის ძე ნოდიას სახელს, რომელმაც სიცოცხლე შესწირა საქვეყნო საქმეს". მანვე წაიკითხა ზემდგომი ორგანოების დადგენილება დოც. ნოდარ მიხეილის ძე ნოდიას მედლით — „ყამირი მიწების ათვისებისათვის" და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამკერდე ნიშნით დაჯილდოვების შესახებ.

ჩვენ, ქართველმა ყამირელებმა წიგნში „ყამირი" ჩვენი შრომის ნაყოფიც დავინახეთ და უდიდესი მადლიერების გრძნობით გავიმსჭვალეთ ამ ნაწარმოების ავტორისადმი, მგზნებარე ყამირელისადმი, რომელმაც ასე მაღალმხატვრულად წარმოგვისახა ყამირელთა თავდადების დიდი და ნათელი სურათი და მასში ყველას გარჯა სათანადოდ შეაფასა. „ყამირის ეპოპეამ ერთხელ კიდევ უჩვენა მთელ მსოფლიოს საბჭოთა ადამიანების კეთილშობილური, ზნეობრივი თვისებები, იგი გახდა სამშობლოს ერთგული სამსახურის სიმბოლო, სოციალისტური ეპოქის დიადი გამარჯვება"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯანსულ ჩარკვიანი

ნიგნიდან
გრთვალების ყელი

ქ ა რ ი

მე უარესი მინახავს ქარი
უფრო ბავშვური და ჭირვეული,
მე გამიღია იმისთვის კარი,
გადაეფურცლა ჩემი რვეული.
გადაეკითხა ერთი, მეორე,
მერე, მეხუთე, უცებ მეათე,
მე ახლაც ვხედავ, ვით იმეორებს
ერთ ლექსს საბძელში, როგორ მიათრევს.
შეათრევს კიდეც და ბზეს შეაყრის,
ახლა მეორეს წაიღებს სხვენზე,
მესამე ლექსი უკვე ქვენა ქრის,
მეოთხე ველურ შემჯდარა ცხენზე.

სხვენიდან სხვენზე, ცხენიდან ცხენზე,
სიმინდის ფუჩეჩს მიაქვს მეხუთე,
ჩამომხრჩვალივით ვკიდივარ ხეზე
მოდი, გრიგალო, და ჩამეხუტე.
სათოფურებში შეძვრა მეექვსე,
საბედისწეროდ გაქრა მეშვიდე,
კედლის სუყველა ბზარი შელესეთ,
ამ სიხარულით სანამ შემშლიდეთ.
მერვეს და მეცხრეს ქვითინი მესმის,
მეათე მცხეთის ჯვარზე ქადაგებს,
დაჰქროლე, ქარო, და ყველა ლექსი
მოსწყვიტე ძუძუს და გადაჰკარგე.

●

დაწურული სისხლი მტანჯავს
დაწურული სისხლით ვწუხვარ,
მოდი, გამისინჯე მაჯა,
მოდი, ასე უცხოდ ნუ ხარ!
ვეღარავის ვხედავ ირგვლივ,
სიმწარე მაქვს გაკვეთილად,

ჩვენი სიყვარულის წიგნი
დაშლილა და დაფლეთილა.
გადათოვლილ მამადავითს
შიგ გულში რომ ჩაეწეროს,
ვინც ჩემსავით ავად არის
ვსვამ იმ კაცის სადღეგრძელოს.

როდის ნერთ?!

იუსტინას მარცინკევიჩუსს

ღამით და დღისით,
წვიმაში, თოვლში,
ჟამს მდუმარების,
ვედრების ჟამსაც.
მთელი სიცოცხლე,
უგროშოდ, გროშით,
ისე, უფასოდ,
სიცოცხლის ფასად.

ვწერ, ვშლი და ისევ
ვწერ, ვშლი და ისევ...
ვწერ მთვარის შუქზე
ვწერ შუქზე სანთლის,
ისე, უმიზნოდ,
არავის გისმენთ,
რომც მოგისმინოთ
არაფრად ჩათვლით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვწერ ზერდაგ ცხენზე,
ჰალსტუხზე, ქნარზე,
ვწერ ნისლზე, სახლზე,
ღამეზე, დღეზე.
საზიზღარ კაცზე,
მშვენიერ ქალზე,
ძილში, ღვიძილში,
ვირებზე, თხებზე.

ვწერ, ვწერ გვალვაზე,
სეტყვაზე, ვაზზე,
ანგელოსებზე,
ვაგონზე, გმირზე,
ვწერ ღამის ორზე,
შვიდზე და რვაზე,
ვწერ, როცა, ჩუმად
ვიღაცა მიმზერს.

ვწერ, ვშლი და ისევ
ვწერ, ვშლი და ისევ...
გრგვინვით, გრიალით,
სიმღერით, ყეფით,
ვიდრე არ მადენს
უფალი სისხლებს,
ახალი თიხით
ვიდრე არ შემქმნის.

ვწერ შხამზე, ცრემლზე,
კევრზე და გემზე,
ვწერ გამყიდველზე
ხველებით, ქუშით,
კუდზე შემართულ
ყავისფერ გველზე,
გველზე, რომელიც
მიძვრება სულში.

ვწერ, მერე ვლანძღავ,
ვაგინებ, მერე
როგორც ტუსაღებს,
ციხეში ვკეტავ...
ერთი მათგანი
მოუშვებს წვერებს,
და რუსთაველზე
გაივლის კენტად.

ვწერ, ვშლი და ისევ
ვწერ, ვშლი და ისევ...
ვინძლო სიბერის
დროსაც გადავწვდე,
მკითხავ: როდის ვწერ,
გპასუხობ მყისვე —
მე მაშინაც ვწერ,
როცა არა ვწერ.

ჩვეულებრივი სინანული ანუ ლეჭსი დედაზე

თურმე ქვეყნად ყველაფერი ჭკნება,
წყნარდება და ემსგავსება ზღაპარს,
ჯვარზე მოსჩქეფს ღვთივ-დაცული ვნება —
მიმსუბუქებს ჯოჯოხეთურ ჭაპანს.

უცხო ქუჩებს მარტო მივსდევ ფეხით,
შენს მოწყენას მე რა თავში ვიხლი,
მეცხრე ციდან მომივარდა მეხი
და ჭინჭილა გამიტეხა თიხის.

იქნებ, მართლა არაფრისთვის გავჩნდი,
არაფრისთვის მივსდევ მზისკენ მერნებს,
ვენაცვალე შენს დაღალულ აჩრდილს,
ლოცვასავით შენს დაქანცულ ნერვებს.

გაძარცული ხენი დგანან თუთის,
მეჩვენები ფრთებით ნათლის წრიდან,
მე ცოდვილი შემიწყალე წუთით
და მფარველი მომივლინე წმინდა.

თ ა ნ დ გ ო მ ა...

ოკეანის ფსკერზე ვწევარ,
გემზე ვგზავნი ზღაპრულ ვირთხებს,
მე ვარ შენი ბედისწერა,
დამიძახე, რამე მკითხე.

მივაბარე შენი სული
ჩემს მშობლიურ ცისფერ ზვირთებს,
დახვალ გულმკერდშეისრული,
დამიძახე, რამე მკითხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძილი რომ არ გეკარება,
ა, ის ძილი მე დაგიფრთხე,
თავი რომ არ გებრალება,
დამიძახე, რამე მკითხე.

ველი გადაგიტიალეს,
ველზე ხმები ისე ვით ხე,
ეშმა ცუდად გიტრიალებს,
დამიძახე, რამე მკითხე.

დანა შენი მოსაკლავი,
შენ გალესე, შენ შეთითხნე,
იქნებ არ გაქვს მოსამკალი,
დამიძახე, რამე მკითხე.

. . .

ეს ლექსი რომ წავიკითხე,
დავჯექი და ვიხითხითე,
რისი მკითხე, რაის მკითხე,
რაის მკითხე, რისი მკითხე.

ყ ა რ ა მ ა ნ ს

ქალაქს დროებით გავერიდე. წავედი ჩემს რაიონში, მაგარ პატივში ვარ, სამსართულიანი სახლიც წამოვჭიმე, სამი ბუხარიც დავუტანე, ეზოს გადაღმა არ გავდივარ, ქვა ქვაზე ნუ ყოფილა...

ყარამანის წერილიდან

რომ არ მოაკლდეს
სითბო შენს ცოლ-შვილს,
ბუხართან უნდა
იჯდე, ყარამან,
დილიდან უნდა
ყეფდე ეზოში
და შორით ჭვრეტდე
წასულ ქარავანს.

მაგ შენი მამის
სულის ცხონებამ,
ნურც ნახავ
ველი როგორ გადახმა,
მე ნუ მიყურებ,
მთელი ცხოვრება
ყეფა მიხდება
ეზოს გადაღმა.

ს ა ნ მ ო კ ლ ე დ ი ა ლ ო გ ი

ის ყოველ დილით მხვდება ქუჩაში,
დაბალი შუბლით, პაჭუა ცხვირით,
გამოწკეპილი შავი ულვაშით
და მოწკურული თვალების სხივით,

უცებ შეკრთება, უცებ მიცხრება,
თვალით მანიშნებს, გამიყვანს განზე
და დიალოგი ასე იწყება,
რომელიც უმალ მთავრდება ასე:

— ძმობილო, საქმე კარგად გქონიათ,
მე კიდე, ხელის გამოწვდა მსურდა...
— არც ისე კარგად, შენ რომ გგონია,
მე რომ მგონია, არც ისე ცუდად.

●

სათიბები, ჭალები და ტყეები,
მობრძანდება მთვარე ჭრელი კიდობნით,
აღმიდგინე განშორების დღეები,
ერთხელ კიდევ მათქმევინე — მშვიდობით.

ერთხელ კიდევ მაგრძნობინე ნამთვრალევს
საუკუნის მწუხარების სიკეთე,
მერე? ღმერთო,
მერე ცხრამდე დავთვალე,
მარადისი სიჩუმე შევიერთე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იქეთ, ჭილეშის ალმაცერ ფერდზე,
გაუთიბავი სათიბი ჩანდა,
თვალი მოვკარი გაბღენძილ ვერძებს,
პატარა მწყემსის პატარა ჩანთას.

იმზირებოდა ბიჭუნა წყენით,
თვალმოჭუტული თაკარა მზეში,
ძველ ზვინთან ძოვდა წითელი ცხენი
და ხელს გვიქნევდა პატარა მწყემსი.

პიერ ბონნარს

შორს, მუქ მწვანეში ჩაფლული
ოდებს ამოსდით ბოლი,
მიწა ფერია თაფლის,
გახუნებული მოლით.

სატვირთო მატარებელს
მოვყვები თქვენი მონა
და ვყვირი, როგორც რეფრენს —
სალამი პიერ ბონნარს.

ზურაბ ჩარკვიანს

შორი მზერა მქონდა,
აივანი შორი,
შორი სიო ქროდა,
ვით სოფლური ჭორი
ცაში ქორი ქროდა,
ცხრა ქათამის სწორი,
იდგა ჩვენი ოდა,
ძაღლი ყეფდა წყრომით:
გვქონდა თაფლის ფიჭა,
შაშხი გვქონდა სახლში,
შუაცეცხლთან იჯდა
პაპა, როგორც მახვში.
მზეც მწამდა და მზეში
ჩახატული კაციც.

მიყურებდა ეშხით
ლიტრიანი ყანწი.
ლაჯანური ქვეით,
ხელიმური აქეთ,
ასე, ქეიფ-ქეიფ —
ჩრდილოეთ და სამხრეთ,
მერე, ის რომ ჰქვია,
რაც ლანდივით დაგვდევს,..
პაპა, გვიან, გვიან,
შენ, ადრეზე ადრე.
ახლა შურის ხელა
მთები ჩანან მწვანე, —
ჩემო ზურიკელა,
როგორ ჩამამწარე.

სიყვარული სიკვდილამდე

ცეცხლის და სიავის ტალღებო,
აუშვით სუყველა აფთარი,
რათა ვერ მოვასწრო გაღება,
კართან მოვადინო ზღართანი.
გულში დანა მქონდეს გაჩრილი,
ეშმამ შხამი მასვას ჯურღმულით,

ველარ მომარჩინოს დაჭრილი —
უკვდავების წყარომ ძუღურის.
ვერვინ მომისწრებდეს ნაზავთარს,
მინდორი სულ გადაიჯეგოს,
და თუ ნაადრევად დაზამთრდა,
ზამთარს გაუმარჯოს, ბიჭებო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბავშვობიდან...

თავაწყვეტილ ჯარებად
შენზე ფიქრი მესევა,
სულ იქ მიმეჩქარება,
საცა არ მიმესვლება.

სამაჭრიაც იქ არის,
სამარწყვიაც იქ არის

იქედან გეპარები,
საიდანაც ქრის ქარი.

კვლავ მკერდში ჩაგეკონე.
რაღა დამრჩა, ორი დღე,
მანამ კარგად მეყოლე,
სანამ მანდ არ მოვიდე.

1978 წლის სამი ნოემბერი

ი. აბაშიძეს

ესეც ჩვენი საჭაშნიკე,
ესეც ჩვენი „ნიკალა“,
აბაშიძემ თამაში ქნა,
ჭიქა წააკინკლავა.
— ჩვენ გვიყურებს მთელი ქუჩა,
ბიჭო, კარი მიხურე,
ხინკალს თვალი მოუხუჭავს
და გვერდულად მიყურებს.
ღვინომ ღვთისგან მოცემულმა
ყველას გზები მოუჭრა,
მკერდმოღეღილ ბროწეულებს
ძოწის მძივი მოუჩანთ.
კვლავაც მიყმეთ, თუ მიყმევით,
თუა თავდავიწყება,
ალვანური გუდის ყველი
შოთის პურზე იწევა.
სიმინდს კაბა ისე მოსთრევს,
სუფრაზე თავს მოიჭრის,
მედლებიან ღვინის ბოთლებს
სურა გასცქერს დოინჯით.
თიხა მღერის,
რთველი რთველობს,
და კედლიდან
დაგვყურებს,
საყვარელი
საქართველო,
ხარის ტყავზე
გაკრული,
მოთმინება დამეკარგა,
გადავკარ და ვიშარე,
გაზაფხულის ღამესა გავს
მუკუზანის სიშავე.

ერთი, ორი, სამი, ოთხი,
მეხუთე და მეექვსე,
სიყვარულის ბილო კათხით
კვდება ყველა მელექსე.
ვინ თითო და ვინ ორორი,
გადავკარით ქურდივით,
დუდუკებზე სიმონოვი,
დუდუკებზე დუდინი...
სიყვარული არ იქნება,
არ იქნება ძალადა
და მოტეხილ ანდრონიკოვს
ეფერება თამადა.
საათნავას ჰამაკია —
მიდგ-მოდის ჰანგები,
ვაი, ვისაც არ აკლია
ძველი ამხანაგები.
თუმც ცხოვრება ფიცხი არი,
წაღმა ბრუნავს ბორბალი,
პაოლოს და ტიციანის
იყოს შესანდობარი.
დღეისთვის არ მემეტებით,
ვჭვრეტთ ხვალინდელ წიგნებად,
გაუმარჯოს, პოეტებო,
იმას, რაც ხვალ იქნება.
დღეისთვის არ მემეტებით,
შორითა ვჭვრეტ გასახედს,
ვინც მიწაზე ვერ ეტევით,
ცაში გადაგასახლებთ.
სუფრაც ისე შეღობილა
სიყვარულის ჭიქებით,
ვითომ მარტო ჩვენ ვყოფილვართ,
ვითომ სულ ჩვენ ვიქნებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანტუშას – ბავშვობის მეგობარს

გაქრა ის ძველი ფარჩა
მოგონებათა სკივრის,
მიმტევებელიც არ ჩანს,
დრო ისე ხარბად კივის.

მარტყოფის ქვევით სოფელს,
სოფელს ვიგონებ ახალს,
ხბორებში წასულ სწორფერს,
ერთად მირთმეულ სამხარს.

გვეცვა შარვალი ხამის
და ფიქრის ქარავნები,
გვესიზმრებოდა ღამით —
დამბალი ქალამნები,

ამოსხმულები კოხტად,
დახვეულები თასმით,
მზეში გვიჭერდა ცოტა,
წვიმაში იყო „კლასი“

ახლა ნუ მკითხავ, რატომ
გაქრა ის ძველი ფარჩა,
ჩემო ანტუშა, ანტონ,
მომტევებელიც არ ჩანს.

თ ბ ი ლ ი ს უ რ ი

გ. ყანჩელს

სიშორე მკლავს ორი მგოსნის,
დუდუკები მარჯნით მოვრთე,
მე ვერ მითქვამს ორი გროშის,
იმათ როცა ბაჯაღლო თქვეს.

გული მათი ლექსით ტოკავს,
ერთი უბნის, ერთი ქუჩის,
საათნავას შური მომკლავს,
შური მომკლავს ეთიმ გურჯის.

მათი ჰანგი შემეხიდა,
დამითაფლა ენა მწარე,
ვენაცვალე მეტეხიდან,
ხარფუხიდან ვენაცვალე.

ზედ თბილისის გულზე დგახართ,
ლოცვად დგახართ მზე თამარის,
თქვენ რა იცით, აქეთ არ ხართ —
ღმერთი მაინც თქვენთან არი.

მ ა რ ტ ო...

აღარაფერი რა ხანია
აღარ მაწუხებს,
ძველ ხელნაწერებს
მშვენიერი აზის ობობა,
მორჩა, გათავდა,
არაფერზე არ გიპასუხებთ,
რადგან ვთამაშობ
სულით ობლობას.

ჩემი ახალი სიყვარული
წუხელ გამაცნეს,
და ვფიქრობ ჩემთვის:
ან გამოვა, ან არ გამოვა,
ისევ მოვუხმობ ტატნობიდან
ელვას ალმაცერს,
ისევ გავართობ
ბეთანიის დაღლილ ბანოვანს.

დიახ, გავძელი,
მიმატოვეს, მაინც გავძელი,
და სულერთია
ვის ვუყვარვარ, ვის ვეზარები...
გადარჩენილი ჩემი სახლით,
ჩემი საბძელით,
ზნეში გადასულ ჩვეულებას
მივესალმები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლურჯი ფრთები,
ფრთები ყანის ღაღანს,
და მიფრინავს სიყმაწვილე ყანით,
წისქვილია ხელიშურის გაღმა,
დახურული რიყის ფერი ყავრით.

გულში ჩამრჩა სიხარულის წვეთი...
ამიცხადდეს ის სიზმარი იქნებ —
ხვალ ჩამოვა ქალაქიდან ქეთი,
წისქვილისკენ გამოდენის ციკნებს.

ნანგრევებზე

ცხრაჯერ ვითხარი,
როგორ გავწამდი,
აღარც კი მახსოვს,
იქნებ მეასედ...
ვწალდე ცხოვრება
და ვერ გავწალდე,
ვავსე ფიალა
და ვერ შევავსე.

ვაქრე კოცონი
და ვერ ჩავაქრე,
გავდექი განზე,
ღმერთი ვახსენე,
ბოლოს, ქარქაშში
ხმალი ჩავაგე,
მივაგდე მტერი
და მოვასვენე.

თითქოს დროებით
ჩადგა გრიგალი,
თითქოს გამიქრნენ
მოსაუბრენი.
სუყველა ფიქრი
და ნაფიქრალი
ელვამ გაჰკვეთა,
როგორც ღრუბელი.

ფრთხილად,
სამრეკლო მოუხმობს ჯალათს,
გაეკიდება
ვარსკვლავს ვარსკვლავი,
შეიღებება უმწეო ჭალა —
იმედი ჩემი
უკანასკნელი.

მიწყნარებული
ქარბუქი ფეხზე
დგება და მიჰქრის
მიმინოს ფრთებით,
შეძლებ? ვერ შეძლებ?
უთუოდ შეძლებ
და ნანგრევებზე ამოენთები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ დოჩანაშვილი

ალმპართი

თუ როგორ მოკვდა მეხუთე დიდი კანუდოსელი

ხოლო როდესაც მარშალი ბეტანკური ცხვირსახოცს მიიდებდა პირზე, კარის ტენორი ეზეკიელ ლუნა ჩვეული ოსტატობით მღეროდა კარგ და ლამაზ და ფერადსიტყვოვან სიმღერებს —

დიდი მარშალის ვრცელ მისაღებში ზედა კამორას მთელი ნაღები შეკრებილიყო: დიდვაჭარი არტემიო ვასკეს და ხნიერთა დასის უხუცესი პორფირიო, დამსჯელი რაზმის კეთილ-გენერალი რამოს და გასაიდუმლოებული მექისე ალფრედო ევია, ლამაზ-გენერალი და დიდგვაროვანი არისტოკრატი გერმოგენ კარრასკო, მთავარი შემმოწმებელი ყოფილი ჯიბის ქურდი პედრო კარდენასი და ჯუჯა უმბერტო, მარშალის პირადი ჯალათი კადიმა და ფუნჯის ქედუხრელი დიდოსტატი გრეგ რიკიო, პირში მთქმელი პროკურორი ნოელ, წინარე ნახსენები ეზეკიელ ლუნა და ასე შემდეგ, მშვენივრად იყვნენ ჩაცმულ-დახურულნი, ოღონდ ფეხთ სუყველას ფაჩუჩები ემოსა, პირწმინდად შიშველი ანისეტოს გარდა. მათი ძვირფასად გამოყვანილ-შეკერილი ჩექმები კი ვერცხლით მოოჭვილ კარს უკან ელაგა, ყველამ იცოდა დიდი მარშალის აღიარებული სისუსტე: კრიალა იატაკისა და ნოხებისადმი ფაქიზი სიყვარული, თავად მარშალს კი ამ ფაჩუჩობანაში სხვა რამ აზრი ედო — შეუძლებელი იყო ფეხზე მსგავსი უმწეობა გცმოდა, და გეტეროორისტა.

დაძაბულნი ისხდნენ სტუმრები, რადგან თავად დიდი მარშალი დინჯ ბოლთას სცემდა, შემოკრებილთ კი წამოდგომის ნებას არ რთავდა. მკერდზე ხელები გადაიჭდო გრანდისსიმოჰალლემ, გამარჯვების აღმნიშვნელი სადღეგრძელოების შემდეგ მოიღრუბლა და ახლა მწუხარედ დაფიქრებული ჩანდა, მერე რამდენჯერმე სევდიანად, დინჯად დაიქნია თავი, მძიმედ წარმოსთქვა: „ეჰა... რა ხალხი დავკარგეთ...“ მსწრაფლ წამოიწიეს სტუმრებმა, გარდაცვლილთადმი პატივისცემის ნიშნად, მაგრამ მარშალმა ხელისგული წამით გაიშვირა მათკენ და კვლავაც სავარძლის კიდეზე ფრთხილად ჩამოსხდნენ. „საბრალო ქვრივ-ობლები ბევრნი აღმოჩნდნენ? — იკითხა დიდმა მარშალმა და პედრო კარდენასს მიაპყრო მზერა: — იჯექ.“ „დიახ, გრანდისსიმოჰალლე“. „ერთნაირი შეძლებისანი არიან ქონებრივად თუ...“ „არა, გრანდ...“ „აეს ცუდია, — აღნიშნა მარშალმა ბეტანკურმა, მისაღებში გაიარ-გამოიარა, — მე რომ ადამიანის ბუნება ვიცი, მდიდარ ქვრივებს ბევრი მთხოვნელი გამოუჩნდება ალბათ და ანგარებას კი კამორაში, როგორც ყოველთვის, ადგილი არ უნდა ჰქონდეს“. „დიახ... აჰ, დიახ... დიახ, როგორ არა“, — ხალისიანად აყაყანდნენ სტუმრები,

---

დასასრული. დასაწყისი. იხ. „ცისკარი“ № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მარშალმა ისევ აჩვენა ყველას მოკლე ხელისგული. და თუმც ხასიათზე მაინცდამაინც ვერ იყო — დილიდანვე გამოუცნობი შიში წიწკნიდა — მაინც მშვენივრად ანვითარებდა ჩანაფიქრს: „და ანგარებას ადგილი რომ არ ჰქონდეს, ყველაზე ქესატი ქვრივების ავლა-დიდება კარგად აღწერე, ჩემო კეთილ-გენერალო რამოს, და დანარჩენი ოჯახებიც იმათ შემოსავალსა და ქონებაზე დაიყვანე — გაწონასწორდებიან. ყოველი სხვაობა კი ანისეტოს ჩააბარე, თანაბარშეძლებიანი გახდება ყველა, და ანგარებას აღარ ექნება ადგილი ძველინდებურად. ცუდი აზრია?“ „დიდებულია, დიდო მარშალო, აჰ, დიდე... სილამაზე გაიმარჯვებს, გრანდის...“ მაგრამ კვლავაც ხელისგული იხილეს სტუმრებმა. „ქვრივ-ობოლთა კეთილდღეობისათვის კი, ჩემო გენერალო, ლამაზ-ქალაქელებს ხარკი საჭიროებისამებრ გაუდიდე, ნუ მოგერიდება“: „სულ ტყავს...“ — წამოიძახა კეთილ-გენერალმა და მყისვე გაჩუმდა.

პატარა ხანს დუმდნენ, და ბეტანკურმა გამომცდელი მზერა ერთადერთხელ შეავლო სტუმრებს, მერე ისევ ღრმად დაფიქრებული იყურებოდა განზე. სხვებს უხუცესმა პორფირიომ დაასწრო, ყველაზე ადრე მიხვდა: „ერთი თხოვნა მაქვს, დიდო მარშალო, ერთი რამ ძალიან უნდა გთხოვოთ“. „თქვი, ჩემო პორფირიო, გისმენ,“—დაუყვავა მარშალმა ედმონდო ბეტანკურმა. „დიდო მარშალო! გრანდისსიმოჰალლე!! — თითები გულზე აიკრა პორფირიომ, — ჩემს თვალწინაა გაზრდილი ცქრიალა სტელლა, და ძალიან გთხოვთ სახელოვანი ქმარ-პოლკოვნიკის, ჩვენთვის ყველასთვის უსაყვარლესად მოსაგონარი ფედერიკო სეზარის თავდადებული შრომისა და ღვწის მონაგარს ნუ ჩამოვართმევთ... ფედერიკოზე დარდ-გლოვა გვაკმარეთ!“ „აჰ, არა, არა, ჩემო პორფირიო, უხერხულია, — სულ რაღაც წვეთით გაკეკლუცდა დიდი მარშალი,—სტელლა ხომ ჩემი მკვიდრი დისწულია და, ხალხმა სხვაგვარად არ ჩამომართვას“. „აჰ, რასა ბრძანებთ, რასა ბრძანებთ, დიდო მარშალო, ნაგროვი თანხა სულაც ალბათ სახელოვანი ქმარ-პოლკოვნიკის საცხოვრებლის სასახლე-მუზეუმად გადაკეთებისათვის დასჭირდება ცქრიალა სტელლას, და, ბავშვებისთვის, ახალი თავშესაფარი განალა არ დასჭირდება? ბავშვზე უკეთესი...“ და აღგზნებულ პორფირიოს დანარჩენებიც ერთხმად რომ აჰყვნენ: „აჰ, ძალიან გთხოვთ, ოჰ, შეგვიბრალეთ...“, „კარგით აგრე იყოს“,— თქვა დიდმა მარშალმა. და ხელქვეითთა საზრიანობა თუმცა საკმაოდ ესიამოვნა, კვლავ შეიჭმუხნა — რაღაცა შიში ჯიუტად წიწკნიდა.

ეჭვით, უნდობლად შესცქეროდა ყველას, აფორიაქდა, რაღაცა უცხო საჩეჩელი სულს უწეწდა, ბასრ ჭანგებს გრძნობდა, და კედლისაკენ პირით შებრუნდა — „არ შემამჩნიონ!“ და მყისვე მკვეთრად მოტრიალდა, დაშინებულ ხელქვეითებს ძალად მრისხანე მზერა სტყორცნა. და ისე უბრალოდ, უცებ დაწყნარდა მერე... „მაინც რა იყო, — გაიფიქრა, — რა დამემართა?...“ და სულ ცოტათი მაინც დაბნეულს, რაიმე ბუნებრივი მოძრაობა მოეხასიათა და, უნებურად, ცხვირსახოცი სახესთან რომ მიიტანა, „ზაამთარ-ზაფხუულ მიივაბიიჯებთ...“ — ყოჩაღად წამოიწყო ეზეკიელ ლუნამ და დიდმა მარშალმაც იფეთქა: „დასჩუმდი, ბრიყვო! — და ელდანაცემ, შიშით კიღამ გულგამსკდარ კარის ტენორთან ერთად სხვა წვეულთაც მკაცრად მიმართა: — ყველანი წადით. მარტო დამტოვეთ. თქვენც გთხოვთ, მიბრძანდეთ, ჩემო გრეგ რიკიო...—თანდათან ისევ მშვიდდებოდა, — ჩემო კეთილ-გენერალო, რომ გახვალ, ამ კარის დარაჯს ჩემგან გადაეცი, თუკი არ დავუძახებ, არ შემოჭანდეს“. სისულელე თქვა — გრანდისსიმოს ოთახში უნებართვოდ ვინ შემობედავდა... „წადი, წა შენც, კადიმა...“ მოჭუტული თვალი გააყოლა არეულად მიმავალთ, და, მარტოდ დარჩენილმა, მაშინვე მჭიდროდ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხურა ძვირფასად მოოჭვილი კარი, ათასნაირი საკეტით მაგრად ჩარაზა.

შუა მისალებში, დაფიქრებული იდგა, რა იყო მაინც, ეს რა შეუჯდა... საძინებელშიც აღარ შეეძლო გასვლა, ფორიაქი რამ სჭირდა! დიდად უცნაური ბზიკი შეჩენოდა, ხან ყურებში ოდნავ უწუოდა, სულაც ქრებოდა მერე, და უცებ! — სული ეფლითებოდა... კედელთან მიაჩოჩა გადატყლარჭული სავარძელი, ჩაჯდა, ჩაეფლო, ფეხები გაშალა, „იმ უპატრონო ნახირის მწყემსებად... ჰო, კალაბრიელებს ვაიძულებ... — გეგმებს აწყობდა, საქმიან ფიქრსა ცდილობდა, — ანდაა, სულაც, ლამაზქალაქელებს გავავაკეიროებ... ეყოფათ ხტუნვა და ღრეჭა-კისკისი... ხელოსნებს არ წამოვიყვან... უსაქმურები მაინც ბევრნი ჰყავთ... ისეე, საბოლოო ჯამში, კაცმა რომ თქვას, ძალიანაც კარგი, ომი რომ შემემთხვა, — მოესალბუნა ეს გაფიქრება, — გასაცხრილები მყავდნენ მაინც და, ბუნებრივად გაიცხრილა კამორა... ხალხი კარგია, საკმარისად როცა გყავს, საკმარისზე მეტი — უკვე ცუდია... ზედმეტი ბარგია... ძალიანაც კარგად მოხდა. ხაზინაც... მშვენივრად მომემატება...“ ისევ აწივლდა ირგვლივ რაღაცა, სავარძელს ზურგი სწრაფად მოაშორა, რა ჯანდაბა და ოხრობა იყო! ყრუდ, დაგუდულად მოისმა შორიდან: „ლა-ამის თერთმეტი საათია და ყველაფერი გეენიიაალურაააადაااااა!“ ოდნავ ეამა — ეს ხომ მისი ერთ-ერთი კაცი, ომახიანი კაეტანო გაჰყვიროდა უნდოდ გატრუნულ კამორაში... კვლავ აწრიალდა — რაღაცა სურდა მარშალ ბეტანკურს, რაღაცა თბილი, სულიერი... მართლა, არუფა! აქამდე როგორ არ გაახსენდა... აქ, ამ ოთახში ეგულებოდა, რამ დაავიწყა გამორჩეული, ნებიერი კატა. „არუფა, სად ხარ, — ალერსიანად წამოიძახა დიდმა მარშალმა, — გძინავს? ა, ფისო! ფის-ფის-ფის...“ ისე გამხნევდა და გათამამდა, სულ მიავიწყდა ყველაფერი, ერთიღა ჰქონდა ახლა სურვილი, არუფა როგორმე ჩქარა ჩაეწვინა კალთაში, მოფერებოდა, აეკრუტუნებინა, წვრილ, ბასრ კბილებშუა ჩაეყო თითი და თვალები მიელულა, „არუფა, სადა ხარ, შე ცელქო, ფის-ფის-ფისოფის... — მოფერებით უხმობდა დიდი მარშალი, დაიხარა და მაგიდის ქვეშ შეიჭვრიტა, მერე სავარძლები გადააადგილა, — სად დამემალე, იცოდე, ჩქარა გამოდი, თორემ... — ცოტათი გული მოუვიდა, ამდენ ხანს რატომ ემალებოდა, სწყინდა, — თორემ იმ ნუგბარს ააღარ გაჭმევ, შენ რომ ყველაფერზე მეტად გიიყვარს...“ და უებარი ხერხი იხმარა, კატასავით დაიკნავლა დიდმა მარშალმა, აჰ, გრძნობებს აჰყვა, ისე მოუნდა გამორჩეული, დიდბეწვა, მსუყედ ფუმფულა ცხოველი, და ამან გასჭრა, როგორც იყო, მძიმედ შეირხა კუთხეში ფარდა... „აა, სად ყოფილხარ, — გაიხარა დიდმა მარშალმა, ჯერ ვერ ხედავდა, — ახლა კი გაჩვენებ სეირს, იმასაც ნახავ, როგორაც დააგსჯი... — ფარდას მსუბუქად, ფეხაკრეფით უახლოვდებოდა, — არ გამოდიხარ მაინც ხომ, არა?..“ ხელი ჩასჭიდა სქელ, მძიმე ქსოვილს, ერთხანს მაინც გაბუტულივით იცდიდა, მაგრამ არუფა აგვიანებდა, და ბეტანკურმა უცებ, ერთბაშად, მკვეთრად, ღონივრად რომ გადასწია ფარდა, შეძრწუნებული, თავზარდაცემული, დაიბღავლებდა კიდეც, ხმა რომ არ წართმეოდა —

ფარდის უკან დონ დიეგო იდგა, მაჩეტეთი ხელში.

— და დიდად გასაკვირველი მაინცდამაინც არაფერია, — განაგრძობდა მიჩინიო, — იქაც, ჭალაში, ის დანები მართლა ცალ-ცალკე კი არ ვისროლე, ერთმანეთში შედუღებული სამი დანა — ერთი რამ ნივთი იყო.

— აა... — ძლივას მიხვდა დომენიკო, გამოქვაბულის სიღრმეში, წყვდიადში იდგნენ, და მიჩინიოს, გადამრჩენელს,

---

გურამ დოჩანაშვილი
ალმართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამუქებულ ლანდად აღიქვამდა მხოლოდ; ქვისასა ჰგავდა, მყარად, ამაყად, საოცრად მძიმედ შემართულიყო, დომენიკოს კი, ზღვა განცდა გამოვლილს, გამოლეოდა არაქათი, მუხლები ეკეცებოდა, მაგრამ იმდენი რამის გაგება სურდა... აფორიაქდა, და მხსნელს სადღაც, მკერდთან, მადლიერად შეაცქერდა: — ისე, წესით კი უნდა გამომეცანით... თქვენს გარდა, ღამით, კამორაში, სხვა ვინ გაბედავდა სიარულს.

— ვერ მიხვდებოდი, — თქვა მიჩინიომ, მაინც სიმკაცრე ეტყობოდა ხმაში, — რადგან მე ასე მსურდა. რომ მიმხვდარიყავ, გათამამდებოდი, და არ ივარგებდა ეს. ახლა კი, რაიმე ხინჯი რომ არ ჩაგრჩეს, რაც გინდა, მკითხე. ბევრი დრო არ გვაქვს.

— არ გეწყინებათ?

— არა.

— სიკეთე თუ ხართ... — გაუბედავად წამოიწყო დომენიკომ, და სიბნელის იმედით, აიმ ოდნავ აბჟუტებულ თვალებში შეაცქერდა! — ხალხს როგორღა ჰკლავთ...

— მაინც რომელი დაგენანა. — მშვიდად დაეკითხა მიჩინიო.

— აი, ვთქვათ... თუნდაც... — მართლა ვერავინ გაიხსენა, გაოცდა, — არავისა ჰკლავთ?

— არა.

— და მაშინ... და რომ იძახიან, ცალკე გაჰყავს და საშინელი წამებით ჰკლავსო...

— ცალკე ისინი გამყავს, ვისაც სიკვდილი უჩემოდ მართლა ვერ ასცდებოდა. და რადგან ყველას ვერ გავწვდები, მხოლოდ იმათ ვარჩევ, ვინც ნაკლებადაა სიკვდილის ღირსი. მოკვლის სიამეს ვითომც მე დავიჩემებ, მოშორებით გამყავს და მერე ვუშვებ ხოლმე, ქვეყნად მიდიან, — და წყნარად უთხრა, — შენი ლტოლვილიც ერთ-ერთი იყო. შენც, სხვათა შორის.

— ჩემი ლტოლვილი... საიდან იცით! — აირია დომენიკო.

— ის სულ ხვა მხარეს გავაქციე, შენ ამ გაჭოქვაბულით წახვალ. კარგი კი იყო, ერთი დრაჰკანი მაინც დაგეტოვებინა სოფლად, მაგრამ რას იზამ, რაც მოხდა, მოხდა. დიდხანს ივლი და, არ შეგეშინდეს, ბნელში იმედი არ გადაიწურო, — მიუახლოვდა და მძიმე აბგა კისერზე ჩამოჰკიდა, მაინც შეეშინდა მისი ხელებისა დომენიკოს, ოდნავ მოიბუზა, — ბევრი პურია, გამოიზოგე. წყალი კი მრავალგან შეგხვდება გზაში, ხანდახან მუხლამდეც კი ჩააბიჯებ. და სინათლეს რომ დაინახავ, გამოქვაბულიდან ფეხი არ გადგა, სანამ კარგად არ დაღამდება. მერეღა გადი და დიდ საღორეს დაინახავ იქვე; თუ უმთვარობა იქნება, სუნითაც მიხვდები. ჩაუარე და სადმე მოშორებით დაიძინე. დილაადრიან კი, ჭყვირილი როცა გაგაღვიძებს, იქითა მხრიდან მოადექი. ღორების პატრონს, ვიცი, მწყემსი სჭირდება.

— მე კი მეგონა... — თქვა დომენიკომ, თავი დახარა, — სოფლად მიშვებდით. მაღალ სოფელში... ძალიან მინდა.

— კი, გაგიშვებდი, ის ერთადერთი დრაჰკანი რომ დაგეტოვებინა. რომ მიგესვლებოდეს. — გაუმკაცრდა ხმა, — რა პირით ახვალ, გინდაც იქითკენ გაგიშვა.

— ჰო. — დაიჩურჩულა დომენიკომ. თავდახრილი იდგა.

— ერთ-ერთი გზა ეგა გაქვს, ღორების მწყემსად უნდა დაბერდე.

— დაა... მეორე? — მცირე იმედი აუკიაფდა.

— მეორე უკან, ნანგრევებისკენ. ვითომ გამექეცი.

— აჰ, არა, არა, — შეკრთა დომენიკო.

— ეგებ, გერჩიოს კიდეც, ნუ აჩქარდები. იმ კაცის ხელში, შიმშილით კუჭი ამოგიხმება, იცოდე. და ის საჭმელიც გენატრებოდეს იქნება, ღორებს რომ დაუყრი.

— რატომ...

— გაიცნობ, ნახავ.

— ვინაა, ეგეთი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაიცნობ-მეთქი, — და შემპარავად დაეკითხა, — გერჩია სოფლად?

— დიახ. ძალიან... როგორ არა, კი!

— ერთი დრაჰკანი რად არ დატოვე!.. — და საზარელი ნაღვერდლები აუმოძრავდა, კვლავაც ჩაღუნა მგზავრმა, საბრალომ, თავი — ისევ მოესმა დაუნდობელი:

— რამდენი გქონდა!

— ექვსი... — მთლად დასაცოდავდა დომენიკო, მოიბუზა, — ათასი...

შეებრალა თუ რა იყო, სულ სხვა რამ ჰკითხა:

— იმ კაცს რა ერქვა, რომ მღეროდა...

— ჟოაო აბადო.

— ის მართლა დიდი კანუდოსელი იყო.

— როგორ შეატყეთ... — განცვიფრდა მგზავრი.

— ისიც მიმიხვდა.

— რას...

— ვინც ვიყავი.

— საიდან, როგორ... — მთლად აირია მგზავრი.

— ისეთი შეკითხვები დავაყარე, დამაჯერებელი პასუხები რომ გაეცა. შენ ალბათ იმან დაგაბნია, ძალიან რომ მლანძღავდა...

— დიახ.

— თვალი ჩამიკრა, სამაგიეროდ. მადლობის ნიშნად... ისე კი, სწორად მოქცეულხართ, ტივით რომ დაგიცურებიათ ქალები და ბავშვები.

— საიდან იცით!

— მოჭრილმა ხეებმა მიმანიშნეს. კანუდოსში კი მაღალი კვამლი არ აწელილა.

ერთბაშად შეძრწუნდა დომენიკო, და უკან გახტა:

— და... მდევარი რომ დაადევნეთ! თქვენ!..

აქ მიჩინიოს ბნელშიც შეეტყო, მოკლედ რომ ჩაიღიმა: — როგორ გგონია, სამ საათში შესძლებენ იქამდე ჩასვლას და ამობრუნებას? თან, ძებნა-ძებნით...

ისევ მიენდო. და უცხო ალერსით ხმაში — მერე ვის, თავად მიჩინიოს! — ჰკითხა:

— სიკეთე თუ ხართ, იქ, იმ ქალაქში... რა გაძლებინებთ...

— ჩამოვსხდეთ, გეტყვი.

რბილ სავარძელში გადაწოლილიყო დონ დიეგო, და პირში გორგალგაჩრილ, ზურგსუკან ხელებგაკრულ ბეტანკურს ზიზღით ათვალიერებდა. ვაკეიროების გაღუნული დანა, მაჩეტე, მსუბუქად ეპყრა ხელთ, სწორედ ამნაირი იარაღით სურდა დიდი მარშალის დაკვლა, ვისი ფერხთითაც — ჯერ კიდევ გათენებისას ორი თითით მიმხრჩვალი კატა-არუფა ეგდო. მთელი დღე აკრეფილი იდგა ფარდის უკან დონ დიეგო და ახლა ფაფუკ სავარძელში ჩაფლულიყო, დაბუჟებულ ფეხებს ასვენებდა, სამაგიეროდ, მარშალს სულ სხვა რამ უბუჟებდა შეძრწუნებულ ნაწილაკებად დაშლილ მთელ სხეულს, დაღლაზე გაცილებით სასტიკი — მაჩეტეიანი ხელი. ზიზღით დავიწროებულ თვალებს არ აშორებდა ბეტანკურს დონ დიეგო, და მონუსხული მარშალიც ვერა სწყვეტდა გაოგნებულ მზერას. თვალის კაკლები უზომოდ გაფართოებოდა და, თავზარდაცემულს, ნესტოები ძალიან უთრთოდა. ჰეე, რამდენი რამის თქმა სურდა დონ დიეგოს, მისთვის ჩვეული არტისტიზმით; წინ მთელი ღამე მარაგად ჰქონდა, როგორ უნდოდა რიგრიგობით: მისი გინება, მასხრად აგდება, და ისევ ლანძღვა მერე, და ისიც ეთქვა, განრისხებულს, აქ შემოპარვის ფასად რომ მიატოვა სანუკვარი ქალაქი და აი, სწორედ ამ დღის საფასურად, ალბათ მოღალატედ რომ ჩასთვლიდნენ კანუდოსელები; როგორ უნდოდა, სილა გაეწნა, მერე ჩვეული არტისტიზმით ეთქვა, რომ: „კარგა ქონება კი დააგროვე, ძალიან ყოჩაღ, აჰ, რა სახლი გაქვს...— და დაეყოლებინა, — ისე, გერჩია, სა-

---

გურამ დოჩანაშვილი
აღმართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დმე, მინდორში, ბალახი გეთიბა — ხვალაც ცოცხალი იქნებოდი...“ მაგრამ ვერ შესძლო — წინ შესაზიზღი რამ არსება ედგა, ლორწოვანი, მისთვის ერთ სიტყვასაც ვერ იმეტებდა. ის სავარძელიც შეეზარა, სხარტად წამოდგა, ოთახს მიმოავლო თვალი. კუთხეში მიდგმულ სილის ძვირფას საათებს მიუახლოვდა, დაიხარა და ხუთწუთიანი ამოარჩია, აუჩქარებლად გაიმართა, და ერთადერთი, მხოლოდ ეს უთხრა: „რომ ჩამოიცლება, მოგკლავ“. და საათი გადააბრუნა, ხელისგულზე დაიდო და მაღლა შემართა, მარჯვენაში კი, მაჩეტე ეპყრა. სამიოდ ნაბიჯზე, პირისპირ იდგნენ. თვალები ამოებურცა შეძრწუნებულ ბეტანკურს, მოკლედ, მალიმალ ქშინავდა, რაღაც ზმუილიც იწოვებოდა იმ გორგალიდან, დონ დიეგომ ჯერ ჩექმები რომ გაიწმინდა და მერეღა ჩასჩარა პირში; რა უნამუსოდ — მარშალისათვის — და რა სწრაფად იღვრებოდა ვერაგი სილა, იქით აღეპყრო ბეტანკურს ყოფაანატირები მზერა, ხანაც მაჩეტეს მიაწყდებოდა დიდი მარშალის დაბინდული თვალთა სინათლე, მერე — კვლავ მაღლა აუხტებოდა; ტანსაცმლიანა აცახცახა მარშალ ბეტანკურს, ეს ყველაფერზე საშინელი წამება იყო — ეს ხუთი წუთი, მარშალის ჯინაზე ისე ხალისით ჩამომფშვნადი, ლაღად მომჩქეფარე — არა, ეს უფრო მის უგვანო ცხოვრებას ჰგავდა... დონ დიეგოს კი ერთხელაც კინაღამ წასძლია ენამ, უნდოდა თვალთმაქცურად აღენიშნა, რომ სიცოცხლეში პირველად ხედავდა მარშალს, თანაც, უბრალოს კი არა, — თეთრ შარვალში ჩასველებულს, მაგრამ აქაც შეიკავა თავი, და ბეტანკურის სიმწრით დახუჭულ თვალებზე მიხვდა, რომ ჩამოიწურა სილა... და ის საათი ისე დააგდო რბილ, ფერადოვან ნოხზე, არც დაუხედავს, მძიმედ გადადგა ერთი ნაბიჯი და ბეტანკურმა უცებ თვალები გაახილა, იქით, კედლისკენ, მკვეთრად გააქნია თავი. დაკვირვებით შეაცქერდა დონ დიეგო, ყოველივესი გაგება, წვდომა — სისუსტედ სჭირდა, და მინიშნებულ კედელს მიუახლოვდა, თითი დაადო, და თვალებით იკითხა: „აქ?“ „არა, არა“, — გაიქნია მარშალმა თავი, და ნიკაპი წინ გაიშვირა. „აქეთ? აქეთ, ხომ...“ — ისევ შეაცქერდა დონ დიეგო, ჯიუტად უტყვი, და მარშალმაც გახარებულმა დაუქნია თავი. რას ანიშნებდა მაინც, ჯერ ვერაფერს ხვდებოდა დონ დიეგო, და, როგორც ჩქნა, კედელზე რომელიღაც ფილას მსუბუქად რომ მიადო თითი, იმედმოცემულმა ბეტანკურმა სწრაფად ააკანტურა თავი, თვალები მაგრად დახუჭა და შუბლით ვითომ ღონივრად მიაწვა რაღაცას. „მცველთათვის რაიმე ნიშანი არ ჰქონდეს სადმე, გამოსაძახებელი, — შეეჭვდა დონ დიეგო, — არა მგონია. კარი როგორც კი გაიღება, იცის ალბათ რომ, დაბნეულ მცველებს მაინც დავასწრებ, მაშინვე მოვკლავ. რაღაც სხვაშია აქ. საქმე... გადარჩენისთვის, ნეტავ რისი იმედი უნდა ჰქონდეს... უცნაურია“. და, ყოველივესი გაგების ჟინით შეპყრობილმა, ფილას ღონივრად მიაჭირა ხელისგული, და ოდნავ მაღლა, ორი ფილა გადაიწია. ერთი კი გახედა მარშალს დონ დიეგომ და სავარძელი მიაჩოჩა კედელთან, საიდუმლო უჯრა გამოსწია, დიდის ინტერესით დააცქერდა — აუწონავი განძით იყო სავსე. აქ ჩაეღიმა დონ დიეგოს და, მარშალს გახედა. იმან ხალისით, რამდენადაც ახლა ეს შეეძლო, ვითომ მხიარულად დაუქნია თავი, მაგრამ მაშინვე ნირი ეცვალა, რადგან დონ დიეგომ მოსასხამი გადაიწია, ერთადერთი ძვირფასი თვალი, მკერდზე რომ ებნია, მოიგლიჯა და იმ განძზე დაადგა, სავარძლიდან ფეხი ჩამოდგა მერე, და ბეტანკურისკენ მძიმედ გაეშურა.

მივიდა, მოკლა.

— და უზარმაზარ, ფანჯრებდაგმანულ ეტლში აღმოვჩნდი მაშინ, სხვა ქალაქისკენ მიდიოდა, — განაგრძობდა მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩინიო, გამოქვაბულში, გრილად მოჭიქულ წყვდიადში ისხდნენ, — ოცნი ვმგზავრობდით, და სუყველანი გამორჩეული ავაზაკები იყვნენ, ვიღაცა ერთის გარდა, იმას არ ვიცნობდი, თავისთვის იჯდა კუთხეში, წყნარად. ნიღაბი მხოლოდ მე მეკეთა, და საგანგებო დავალებაზე მიმავალი ვეგონე ყველას, არავინ უწყოდა, რომელი კამორელი ვიყავ, მერიდებოდნენ. ვიწრო ჭრილიდან შევცქეროდი მათ, ავაზაკებს, კარგად ვიცოდი ყოველი მათგანის ასავალ-დასავალი და სურვილისგან მაჟრიალებდა — მე ხომ სწორედ იმიტომ მივედი კამორაში, ასე მეგონა, თუკი სიკეთის მთესველი ვარ, ბოროტება უნდა მოვსპო-მეთქი და იმ დიდი ეტლის უფსკრულში გადაჩეხა მყარად. მქონდა გადაწყვეტილი. ხანდახან იმ უცნობსაც შევავლებდი თვალს — რაღაც ძალიან უცნაური იერსახისა იყო, დაფიქრებული; ვერც შეატყობდი, გულში რა ედო. მხოლოდ ის მგზავრი არ ვიცოდი, დანარჩენების მოსასპობად კი კაცი უკეთეს დროს ვერ ინატრებდა. და მეეტლემ წინასწარ დათქმულ ადგილას რომ შეაჩერა ეტლი, მძიმედ გადმოვედი, კარი მიეხურე და ვითომ ფულის მისაცემად დინჯად მივუახლოვდი მეეტლეს, მერე ვისკუპე, გადმოვაგდე და კოფოზე ჯერაც დამჯდარი არ ვიყავ, ცხენებს რომ გადავუჭირე წართმეული შოლტი, ეტლში მსხდომთ არაფერი გაუგიათ. მივჭენაობდით, თითხმეტი ცხენის სადავე მეპყრა ხელთ, კარგად ვიცოდი — უფსკრულს როგორც კი მივუახლოვდებოდით, განზე ჩაქროლების ნაცვლად სწორედ იქითკენ გავაჭენებდი ცხენებს, ერთსაც ღონივრად დავიქნევდი შოლტს და მე კი უვნებლად გადმოვხტებოდი. მოუთმენლობისგან ავწრიალდი, ზეზე დგომელა მივერეკებოდი ცხენებს, ერთი სული მქონდა, სანამ იქამდე მივაღწევდი, ასე მეგონა, მართალი ვიყავ; სულო ცოდვილო — ვზეიმობდი წინასწარ კიდეც, მაგრამ უეცრად ის კაცი გამახსენდა, აის უცნობი და ხასიათი წამიხდა; რაღაცნაირად, შევიბოჭე, სულ მისი სახე მოტივტივებდა, გამოუცნობი. „დიდი ამბავი“, — გავიფიქრე, მინდოდა თავი მემართლებინა, — ვინც გინდა იყოს, სამაგიეროდ თვრამეტ ავაზაკს მოვაცილებ ქვეყანას და ამით რამდენ კაცს გადავარჩენ-მეთქი... მაგრამ ის კაცი თავისთავად, ისევე როგორც ყველანი ჩვენ, დომენიკო, თავისი თავისთვის ერთი, ერთადერთი იყო, და როგორც ყოველს, იმასაც მარტოკინად ჰყავდა უძვირფასესი რამ ქვეყანაზე— საკუთარი თავი, მხოლოდ მისეულ, მთელ სამყაროს რომ იტევდა და მისი ქვეყანა მხოლოდ მისით ცოცხლობდა, მხოლოდ... და იმ კაცისთვის რა იყო, აბა, ის თვრამეტი ავაზაკი, რა?—არაფერი, თუკი სიცოცხლე წაერთმეოდა... თან, არც ვიცოდი, ავაზაკი იყო თუ არა, გინდაც ყოფილიყო, „რა უფლება მაქვს!“ — შევუწყერი თავს და კვლავ შევყოყმანდი; მერე ისიც კი გავიფიქრე, ეტლს თავადაც რომ გადავყოლოდი, იმ კაცისადმი დანაშაული თითქოსდა ამით გამომესყიდა; მაშინვე მივხვდი, ესეც რომ არ იქნებოდა სწორი — იმ კაცისათვის, მეც სულერთი ვიყავი, რა მე და რაღა ის ავაზაკები, ძაან არ ვენდომებოდი?—თუ მოკვდებოდა... და ღონივრად მოვზიდე სადავე, გავაჩერე ეტლი, მეწინავე ცხენისკენ გავიქეცი, სწრაფად გამოვხსენი, მოვახტი და უკანვე, კამორასკენ გავაჭენე. ამასობაში ეტლიდან გამოცვივდნენ, რაღანაირი ლანძღვა-გინება არ დამადევნეს, დაწევით რაღას დამეწეოდნენ, განაგრძობდნენ ალბათ მერე გზას, ამას არა აქვს მნიშვნელობა, მთავარი ისაა, რომ ავაზაკთაგან დღესაც არავის ეცოდინება, იმ კაცმა მისდაუნებურად ყველანი სიკვდილს რომ გადაარჩინა.

და დომენიკოს თუმცა კრინტი არ დაუძრავს, მიჩინიომ მაინც იკითხა:

— რატომ გიამბე? თუ გინდა, გეტყვი...

გურამ დოჩანაშვილი
ალმართი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— დიახ...

— ერთი იმიტომ, რომ ჩვენ ყველანი, სუყველანი, ადამიანები, უხილავი ქსელით ერთმანეთზე გადაბმულნი ვართ — არც ვიცით, ისე. შენც, მაგალითად, ვერასოდეს წარმოიდგენდი, მანუელო კოსტამ დიდი ზეს გარდა შენც რომ სიკვდილს გადაგარჩინა.

— მე არა, არა, — თავი გაიქნია სიბნელეში დომენიკომ, — მე კანუდოსიდან არც გამოვსულვარ და მხოლოდ...

— მე, როგორც ერთ-ერთი ეგრეთ წოდებული ღირსეული კამორელთაგანი, — გააწყვეტინა მიჩინიომ, — იმის წამებას ვესწრებოდი და მანუელოს საქციელით აღფრთოვანებულს, ერთთავად სული მიკაწკაწებდა, გადამერჩინა, და როგორმენაირად შევძლებდი კიდეც, მაგრამ იმჯერად ისეთ ძვირფას ტყვეს, ვითომც საიდუმლო ხვრელი რომ იცოდა, ცალკე არ გამაყვანინებდნენ და სხვაგვარად კი, გავიყიდებოდი. მეც უნდა გადავკარგულიყავ.

— მერე რა... — წამოიძახა დომენიკომ, — დიდი ამბავი... გადაკარგულიყავით, თუკი შეგეძლოთ მისი დახსნა... ის ხომ ნამდ...

— მერე შენ ვეღარ გადაგარჩენდი, დომენიკო, — კვლავ გააწყვეტინა მიჩინიომ, — შენი თავი მებარა. მანუელომ კი, როგორც ხედავ, შენც დაგდო მადლი.

შუბლზე ხელი მოისვა დაბნეულმა მგზავრმა.

— მაგრამ იმ ეტლის ამბავი მხოლოდ ამისთვის არ მიამბნია, კარგად დამიგდე ახლა ყური. იმ ღამით ბევრი ვიფიქრე, ძალიან ბევრი, რაღაცნაირად, ღრმა და მაღალი ფიქრი იყო; განთიადისას, ერთ რამეს მივხვდი!

— რას...

— რომ დედამიწას სიყვარული ატრიალებს, დომენიკო.

მთლად გაიტრუნა წყვდიადში მგზავრი.

— ასე რომ არა, დაიქცეოდა, — მკაფიოდ გაისმოდა ბნელში, — ამდენი ცოდვა დაამძიმებდა, დომენიკო, ველარ შესძლებდა ბრუნვას, ზოგ-ზოგებისადმი სიყვარული რომ არა. მე ვინ ვიყავი მაშინ, სულ ერთი ბღუჯა ხალხი მებარა, რაღაც ცხრამეტი კაცი, და ჩემისთანა ღარიბ-ღატაკსაც კი გაუჩნდა სადარდებელი; მთლად უცხო კაცმა ავაზაკები გადამირჩინა, დედამიწას კი, სხვებთან ერთად მანუელოს და ზე მორეირას, ჟოაო აბადოს, და მასიმო რომ უვნებლად გაუშვა, იმ ბერიკაცის პატრონს, სწორედ რომ მხოლოდ სიყვარული ატრიალებს, იცოდე.

— და იმიტომაც სწორედ ისინი დაიღუპნენ, არა? — გამწარდა დომენიკო.

— დაიზრდებიან.

— ვინ...

— სხვები.

— როდის...

— დაიზრდებიან, როცა იქნება. ისიც იცოდე, დომენიკო, ძალიან დიდი განსხვავება არა აქვს იმას, ადრე მოკვდები თუ შედარებით გვიან, რადგანაც ბოლო—მაინც ეგ არის. მთავარია თუ, როგორ მოკვდები. და რის ჩადენას მოასწრებ.

— ახლებს, რა დაზრდით...

არა სჯეროდა მაინც დომენიკოს, და აქ სუნთქვა შეეკრა, მაშინვე იგრძნო, როგორი დაუნდობელი სიჯიუტით შესცქეროდა მიჩინიო. რაღაცა იგრძნო, ჯერ აუხსნელი... ადამიანი რომ გამოძერწა? აჰ, არა არა...

— ზეზე აეგდე. — მოესმა უცებ და წყვილ კიაფს თვალი ააყოლა — ფეხზე წამოდგა მიჩინიო.

— რა... მე მითხარით?

— აეგდე-მეთქი.

და ისევ შიშით, ძრწოლადავლილი იდგა.

— მე კი, ესეც იცოდე, იმიტომ გამოვიყურები ყველაზე სასტიკ კაცად მთელ კამორაში, მინდა ვიფიქრო, ეგებ სხვებსაც ნიღაბი აქვთ-მეთქი. ასე რომ არა, გამიძნელდებოდა. შენ კი, უნიღბოვ, ჯერ ისევ მხოლოდ ცომი ხარ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცომი... — და შეებრალა, — ერთი დრაჰკანი რად არ დატოვე...

— მე მინდოდა და...

— ენა ჩაიგდე! ერთი დრაჰკანი მაღალ სოფელში რომ დაგეტოვებინა, ეგება კაცი გამხდარიყავ. — უცებ იმედი შეერია სიძულვილნარევ ხმაში, — კარგად მისმინე — მუდამ არსებობს გამოსავალი, ღორებშიაც კი.

წყვილი კიაფი თვალებსა სჭრიდა, ისევ თავი დახარა მგზავრმა.

— ისიც იცოდე, ვერანაირ ტყუილს ვერ მოიგონებ, სადმე სხვაგან რომ არ არსებობდეს, თუნდაც, ის საიდუმლო ხვრელი, არავინ რომ არ იცოდა, თვით მენდეს მასიელმაც კი...

— რა... არსებობდა?

— იმ ხვრელში დგახარ. ფრთხილად იარე, კედელს ხელის ფათურით გაჰყეპური გეყოფა, ნუ გამოიზოგავ. გზად წაძინება არც გაიფიქრო, თორემ სამუდამოდ ამ სიბნელეში ჩარჩები, მხარი გეცვლება. მღვიძარე იყავ. გამიგე?

— კარგით...

— იქ ვერავინ გიპოვის, შენი დარდი კამორელებს არ ექნებათ, რადგან მთელი ქალაქი აიწეწება — გუშინდელს აქეთ, დიდი მარშალი თავის მისაღებ ოთახში ალბათ ყელგამოჭრილი გდია.

— თქვენ... — სუნთქვა შეეკრა დომენიკოს, — ნამდვილად იცით?

— წესით კი ასე უნდა იყოს და... როგორ ბგონია, დონ დიეგო მართლა გაგექცეოდათ, რაიმე საქმე რომ არ ჰქონოდა?

— კი... არა!

— სწორედ მაგიტომ გაიქცეოდა, ასე რომ, მსხვილმან-მსხვილმანი ავაზაკებიც იღუპებიან ვისიმე ხელით... და მაგ საქმეში მეც ვურევივარ. ცოდო კი იყო— ბევრი ქონება დაკარგოვა, მეტი უნდოდა. რას იზამ, ასეა... შენც, ვაუბატონო, ერთი, ერთადერთი დრაჰკანი მაინც რომ დაგეტოვებინა... ვითომ სიძუნწით მოგვიდა ეს? არა მგონია, ალბათ უფრო სისულელით იყო... — ოდნავ დაუცხრა ანაღვერდლებული მზერა და, მერე ისევ აუკიაფდა, — ვიდრემდე წახვალ, ერთსაც გკითხავ — თვალი ხომ არ გეწვის...

ეწვოდა.

— არა.

— ნუ გეშინია, ოთო-ექიმისა არ იყოს, არც მე მიგაწებებ სილას. მაგრამ იმან თუ თავისი გულჩვილობით არ გაკადრა ეს, მე სხვა რამ საჩუქარი მაქვს გაშვებულთათვის შემონახული, უფრო საგრძნობი. შებრუნდი.

შეტრიალდა და მაშინვე ღონივრად აეწვა მხარი, დაიგმინა კიდეც; ბეჭიდან ხორცი ამოეფლითა, რაღაც კაშკაშა ტკივილი იყო, მცირედი ელვა დასცემოდეს თითქოს, მერე მოთბო, მძიმე სისოვლე რომ გამოეყონა, იგრძნო, ზურგზე დაუცურდა, მუხლამდე ჩაეღვარა...

— აეგ მცირედი ჭრილობაა, — გაისმა ბნელში, — მოკვლით არ მოგკლავს, სამაგიეროდ, მუდმივ სახსოვრად გექნება ჩემგან. აჰა, ეს ტილო მიიჭირე... გზად დაასველე ხოლმე და ცივი კარგია, სისხლს შეაჩერებს. ახლა კი, წადი.

აქ დომენიკომ ვეღარ მოითმინა, განზე მიაბრუნა თავი, და მხარუკუღმა დაუღრიალა:

— ადამიანის სიკვდილს რაღად მაყურებინეთ!

მაშინვე მშვიდად უპასუხეს:

— ადამიანი რომ გყვარებოდა.

მთლად მოიბუზა შეკუმშული მანამდეც მგზავრი. და გზას გაუდგა — მარცხენა მხარზე მარჯვენა ხელისგულით ტილო მიედო, ნიკაპს მორკალული იდაყვი უგრძელებდა, განზე გაშვერილი მარცხენათი კი გამოქვაბულის პირქუშ კედლებს ფათურით მიუყვებოდა, სხეულზე წყნარად ეხლებოდა კისერზე თასმით ჩამოკიდებული პური... სად მიდიოდა! წინ რა ელოდა! და სიბნელეში თეთრი ფრინველივით მსუბუქად მიეწია, იმედად ჩასწვდა მიჩინიოს უცნაურად გა-

---

გურამ დოჩანაშვილი
ალმართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცვლილი, მჭახე ალერსით გაჟღენთილი ხმა:

— მშვიდობით იყავ, დომენიკო. კეთილად გევლოს...

მეორე დღეს, გათენებისას, უკაცრიელ კანუდოსში დონ დიეგო ავიდა, მოსასხამის ქვეშ ფრთხილად ამოედო თიხის მომცრო ქილა. უჩვეული სევდა ედგა თვალებში, და არ ეხამებოდა ძველებური, მაინც ამაყი მიხრა-მოხრა და ფრთებგაჩრილი ქუდი. დამწუხრებული გასცქეროდა გაპარტახებულ ქალაქს. პირველსავე ცხედართან შედგა, დააცქერდა, მაგრამ ვერ იცნო — ცეცხლით იყო შეჭმული. მერე პირქვეჩამხობილ კანუდოსელთან შედგა, ჩაიმუხლა, ქილა ფრთხილად დადო, ფაქიზად გადააბრუნა ცხედარი, სახე შეეჭმუხნა — ეჰ, გრეგორიო პაჩეკო, გრეგორიო... — ბარძაყზე დინჯად დაირტყა ხელი. დამწუხრებული, მიმოდიოდა, ორსავ მუხლზე ჩაიჩოქებდა, — ეჰ, ინოსენსიო, ინოსენსიო, ეჰ... ეჰ, სენობიო ლადოსა. სენობიო... — და დიდ მჭედელს ხელზე დაადო ხელი. მძიმედ წამოდგა, მიმოიხედა, ბინდ-ბუნდში ღია ნაცრისფრად ბზინავდა ჭაღარა თავი, — ეჰა, მოხუცო სანტოს, ეჰ... მგლოვიარედ, ჩაფიქრებული იდგა, მერე ღიმილმა მკრთალად აუციაგა სახე, და ქილას დასწვდა, მდინარისაკენ გაეშურა, და ლოდივით კუშტად გახევებულ კანუდოსელთან ისევ შეჩერდა, ადრეული ნაოჭებით ისევ დაესერა სახე — ეჰ, ჟოაო აბადო, ჟოაო... მერე იმედით ჩახედა ქილას — შიგ წყალი იდგა, და ექვსი ლიფსიტა უთავბოლოდ დაბორიალებდა. ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენი მდინარე... და იმ თავის მდინარეში ფრთხილად ჩაღვარა ქილიდან ლიფსიტებიანი წყალი, გულზე მოეშვა, გაიმართა. მერე დინჯად, აუღელვებლად ირჯებოდა: სქელი ფიცრები იპოვნა, მაგრად გადააბა თოკით, ორი ტოტი აასხიპა გადარჩენილ ხეს, ფიცარზე მიაჭედა, და პაწია ექვნები ჩამოკიდა ზედ. ეს მცირე ტივი მდინარეში შეაცურა, ნაპირზე ჩასობილ პალოს თოკით მიუბა. მერე ერთხელაც გახედა კანუდოსს, მშვიდად, მორჩილად თქვა: ეჰ, მენდეს მასიელ, კონსელეიერო... ცრემლი მოადგა მომწვანოდ შეფერილ თვალებზე, — ეჰ, მანუელო კოსტა, მანუელ... — და დიდის კრძალვით წარმოსთქვა მერე — ეჰ, ზე მორეირა, ზე... ფრთიანი ქუდი მოიხადა, განზე ისროლა, მდაბლად დაუკრა კანუდოსს თავი, მერე მუხლამდე შეაბიჯა მდინარეში, ფიცრებზე გაწვა, რვად დაკეცილი მოსასხამი თავქვეშ ამოიდო, ჩექმის ჯიბიდან მაჩეტე ამოიღო, თოკზე არც დაუხედია, ისე გადაჭრა, და მდინარესავით ნელა დაიძრა მცირე ტივი, ექვნები მორიდებით აწკარუნდნენ— უკანასკნელი არტისტიზმი, და დონ დიეგომ აუჩქარებლად, საქმიანად გადაესერა ორთავე მაჯა, მაჩეტე გააგდო, ხელები ჩაჰყო მდინარეში. ნელინელ მიუყვებოდა ზვირთებს ეს უცნაური, ექვნებიანი არტისტული კუბო, და მდინარეში ორ მოვარდისფროდ მკრთალ ზოლს სტოვებდა, დონ დიეგო კი ყუჩად იწვა, უყურებდა ცას.

ა, ასე მშვიდად მიიცვალა სხვა დროს დიდ აყალმაყალთა ამტეხი, მეხუთე დიდი კანუდოსელი. ეს თვითმკვლელობა არ იყო, ეს — ძმათა ხათრით სიკვდილი გახლდათ, ეჰ, დონ დიეგო, დონ...

აქვე მთავრდება „კანუდოსი“-ს უკანასკნელი, მეოთხე თავი.

ალმართი

იმან კი დომენიკო ღორების მწყემსად წარავლინა. დიდი კომბალი მისცეს, ველად გაჰყავდა კოლტი. გამალებულნი დაეძგერებოდნენ ღორები ბალახს, მაგრამ საკვებად მხოლოდ ეს არ ჰყოფნიდათ, შებინდებისას, დიდად მომთხოვნი ჭყვირილი ატყდებოდა ხოლმე; ერთი ველური მცენარე იყო რაღაც, ლობიოს ჰგავდა, დილა-საღამოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასუფრალს იმ მცენარესთან ერთად აზელდნენ დიდ გობებში, ღორებს უყრიდნენ. გომურის კედელს მიყრდნობოდა დომენიკო, და ნერწყვმომდგარი მისჩერებოდა, როგორ თქვლეფდნენ ღორები სალაფავს, შიმშილისაგან სციოდა დომენიკოს, აკანკალებდა, ძალიან გახდა, შორიახლოდან გომურზე მიყუდებულ ფიჩხის მცირე რამ შეკვრასა ჰგავდა. რომ დამჯდარიყო, გადაქანცულს, მაშინვე კისერს მოსწყვეტდა ძილი და, მისუსტებული, ფეხზე იდგა, გამწარებული უცდიდა, როდის მოასუფთავებდა მდააშლილი კოლტი გობების აქერცლილ ფსკერს. გომურში შედენიდა მერე ღორებს, კარს ჩარაზავდა, კუთხეში მიგდებულ ჯვალოს დაფლეთილ ტომარაზე მოიკუნტებოდა, ზედაც ტომარას გადაიფარებდა, ამყაყებულ სუნს ვეღარა გრძნობდა — შეეჩვია, და მაშინვე ყელზე ლოდშებმულივით, იძირებოდა — ჩაძინება არ უნდა ყოფილიყო მაინცდამაინც ეს, გულის წასვლას უფრო ჰგავდა. ვერც წრიალებდა... გათენებისას მოუთმენელი ღრუტუნი გამოაღვიძებდა ხოლმე, გარეთ გამოსული, დილის საღ ჰაერზე კანკალებდა, თითებს ამობურცულ ნეკნებზე შემოიჭდობდა, ძვალს და ტყავს იზელდა. მიღველფილს, ჭვარტლი ბინდისფერ ლაქებად უტივტივებდა თვალწინ, რა იყო მაინც, რა უცნაური სისუსტე სჭირდა, ჩამოძენძილი, თავჩაქინდრული, მიდენიდა კოლტს. დილდილაობით, ხელისგულისოდენა პურს მიუგდებდნენ ხოლმე, ხანდახან ჰაერშივე იჭერდა, ხან — გულაძგერებული დასწვდებოდა და სასოებით უბერავდა სულს. ორიოდ ლუკმას იქვე ჩაკბეჩდა, და დაღეჭვასაც ვერ ასწრებდა კარგად — უცაბედობით, ეყლაპებოდა. ველად გასული, შეტყუპებულ პეშვებზე დაიდებდა პურს, სახესთან მიჰქონდა და, თვალდახუჭული, გამოზოგილი სიამოვნებით, ფრთხილად ყნოსავდა. და მერე, უცებ, ვეღარ ითმენდა — პირში მალიმალ იტენიდა. დაუღეჭავად ყლაპავდა ლუკმას, ერთი, ორი და აღარა ჰქონდა, მთელ დღეს და ღამეს, გათენებამდე უნდა ეთმინა. საღამოობით, ნაღვლიანად დახარბებული დასცქეროდა სალაფავს, ვაშლისა და კიტრის ნაფცქვენებზე უარს იტყოდა კი არა, სურვილისაგან აჟრიალებდა. მაგრამ არავინ მიუგდებდა მას.

ისე კი, შემოდგომა წელიწადის ყველა დროს სჯობდა. — შემოდგომობით, ტყისპირას რომ მიდენიდა კოლტს, მაჟალოსა და პანტას, კვრინჩხს, ზღმარტლს, ძახველას აგროვებდა და ადამიანს რომ მიეცა მისთვის ეს ხილი, გაალმერთებდა, ხეს კი არაფრად აგდებდა, მხოლოდ ნაყოფი მოსწონდა და ესურვილებოდა მისი... და ზამთრისთვისაც იმარაგებდა ხეთა მოწყალებას, მაგრამ პოულობდნენ, ართმევდნენ და ღორებს უყრიდნენ. ზამთრობით, ჭირდა... ფეხზე კანაფით ჯვალოშემოხვეული, შემციენებული, კანკალებდა და წყლის დალევის ნაცვლად თოვლის გუნდას კბეჩდა, ყინულს აკნაწუნებდა — ეს უფრო ჰგავდა საჭმელს, და სპეტაკად ჩამომდგარ მჭახე ჰაერში ახსენდებოდა, რომ ახლა, საღამოობით, მამა ოთახში, ბუხართან იჯდა. მამა ყოველდღე მუშაობდა და ყველას უკვირდა, ასეთი მდიდარია და ნეტავ რა ძალა ადგასო, იგი კი, მოღლილი, საღამოობით ბრუნდებოდა შინ, როცა სახლებისა და ხეების წაგრძელებული ჩრდილი თვალნათლივ ბაცდებოდა. ასე, მუშაობაში გადიოდა წელიწადის სამი დრო, ზამთრობით კი, როცა სალუქი თოვლი უშნოდ დაიტკეპნებოდა სოფლის გზაზე, მთებში კი რბილად ბრჭყვიალებდა მზეზე, მამა მრგვალ ბუხართან იჯდა და, თვალებმოჭუტული, ფიქრობდა ხოლმე. მამასთან ხშირად დაიარებოდნენ ყმები, ზოგი რჩევას ეკითხებოდა, ხან რას ეუბნებოდნენ, ხან რას, ხანდახან დანაშაულშიც გაუტყდებოდნენ და, თუ ძალიან გაუჭირდებოდათ, ფქვილს ხმადაბლა სთხოვდნენ და არავინ მოიძევებოდა მთელ

გურამ დოჩანაშვილი
ალმართი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფელში, მამის უმადური რომ ყოფილიყო, ეჰ! — სოფლად ასვლაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო... ერთი, ერთადერთი დრაჰკანი რომ დაეტოვებინა... გაზაფხულობით უფრო ახსენდებოდა ეს, გაზაფხულობით, ნაზამთრალ მიწას სახნისით გადაუსერავდნენ მკერდს, გაზაფხულობით, სოფლად, ძალუმი ოხშივარი ავარდებოდა ჰაერში, საკინძეს შეიხსნიდნენ ხოლმე გაბრუებული გლეხები, გაზაფხულობით, კალთააკრეფილი კოჭლი გლეხი რწევით მიმოდიოდა ხნულში და ხელის ყოველ მოქნევაზე თითო პეშვ ხორბალს აპნევდა... ბალისა და ალუბლის კენჭივით მაგარ, ციცქნა ბურთულებს სითეთრე ეძალებოდა, ლეღვის ხაოიანი ფოთლების მიღმაც ალაგ-ალაგ შეიმჩნეოდა ნაყოფი, წითლად ასაჩახჩახებელი ბროწეულის ხეები ჩამწკრივებულიყვნენ ღობეების გასწვრივ, წვიმდა... ჯვალოს ტომარაზე წრიალებდა დომენიკო, და აქაც, აქაც, ამ საღორეთშიც წვიმდა და, გამხნევებული ახელდა თვალს, მაგრამ ეჰ, არა — იქ რა უნდოდა, აქ, ქვემოთ იყო... ენანებოდა ეს გახლეჩილი, ნაღველნარევი სიამით გაჟღენთილი სიზმარი და, წვიმის ერთენოვანი ხმაურით აღვსილს, ახსენდებოდა, იქაც, სოფელში, თუ როგორ წვიმდა... წვიმდა, თბილი წვეთები ეცემოდათ გლეხებს, ზურგზე ეტმასნებოდათ ნაცრისფერი, გახუნებული ხალათები, ხის ძირას დგებოდნენ, ზოგი ამოზნექილ ფესვებზე ჯდებოდა, იცდიდნენ, ამდენი წვიმა არ გამიგია, ამბობდა პირველი ყმა, ბიბო. მიწა იჟღინთებოდა, ლბებოდა, მერე თანაბარი, ჩუმი გუგუნი ცალკეული წვეთების ხმამდე დადიოდა, ნათდებოდა, მზე გამოდიოდა ცაზე, თავ-თავიანთ ყანას უბრუნდებოდნენ შარვალაკარწახებული გლეხები, მძიმედ მიაბიჯებდნენ და ხანმოკლე დამღად აჩნდებოდა დამბალ მიწას მათი ფართო ნაფეხურები. მზე აცხუნებდა, ორთქლი ასდიოდა ბელტებს, უფრო მძიმდებოდა ისედაც გამაბრუებელი ჰაერი, მოკლე ბალახი ამოიზიდა, დამჭლევებულ საქონელს მზეზე ულაპლაპებდა მიწისკენ დახრილი კისრები, გამოგაზაფხულდა, ცხენები აჭიხვინდნენ— და ტომარაზე წამოჯდა დომენიკო, აჰ, არა, არა, ცხენს რა უნდოდა აქ, ამ ჯაგარაშლილ, სალაფავის ხათრით მოშინაურებულ ცხოველებში, წამოწვა ისევ, თვალი მილულა... მუცელი გვრემდა. მოიისფრო ბინდში ბრუნდებოდნენ სოფლად ნამუშევარი, მდააშლილი გლეხები, წვნიანით სავსე ჯამებში ხმელა პურს ჰყრიდნენ და პურითვე გულდაგულ ასუფთავებდნენ ჯამების გაცრეცილ ფსკერს, თავბრუ დაეხვა დომენიკოს, მაგრამ გადაწოლის ნაცვლად, შეშინებულმა — იკარგებოდა თითქოს!— წამოიწია, მუხლებზე დადგა... სოფლად დაბრუნებაზე ფიქრი ეგებ არ იყო სულაც ზედმეტი, და არა, არა, შვილად მიღების იმედი სრულებითაც არ ჰქონდა, მაგრამ რა იქნებოდა, ყმად რომ შესდგომოდა მას, მამას, რა იქნებოდა, თავად მამას სამუშაო რომ მიეცა მისთვის და მხოლოდ იმდენი საკვები, იმ სამუშაოს კეთილად შესრულების თავი რომ ჰქონოდა... „და რომ ავდგე, და წავიდე, და ვუთხრა მას, — გაფაციცებული ფიქრობდა დომენიკო, — დავაშავე შენს წინაშე და წინაშე კიდევ მრავალთა სხვათა, და არღარა ვარ ღირსი შენი შვილი რომ მერქვას, არამედ მიმიღე მე ვითარცა ერთი მუშაკთაგანი...“ მიიღებდა კი?

ზაფხულობით, ველად გასული, ძონძებს მოიშორებდა და მზის გულზე შიშველი იჯდა. ეხეთქებოდა კანი, იარებიდან ბაცი სისხლი სდიოდა. დიდი, მძიმე ლოდი ჩამოეკიდნა გულზე; გაზაფხულობით, მოწყურებული, წყაროსთან იჯდა, მარილს ლოკავდა. სეტყვაში მორჩილად დგებოდა, თეთრ, ბეჯით წერტილებს გასაცოდავებულ სხეულს უხვედრებდა. ზამთრობით, თოვლზე, ფეხშიშველი დაიარებოდა, ქვებზე ეძინა და ვერ მოიცილა მაინც ვერაფრით, მაინც ჯიუტად ამოუტივტივდებოდა ხო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლმე: „რომ ავდგე და... და რომ აღვდგე და წარვიდე მამისა ჩემისა და ვჰრქუა მას: მამაო, ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა, და არღარა ვარ მე წოდებად ძედ შენდა, არამედ მყავ მე ვითარცა ერთი მუშაკთაგანი". ვითარცა, ერთი, მუშაკთაგანი, — იმეორებდა... ცხელოდა, წვიმდა. და მის დროებით, მცირე პატრონსაც, ძუნწს, ხარბს, წუწურაქს, რა ჭირი ეტაკა, რა იყო, რა მოეჩვენა მაინც, ბოლო დროს შინ, საღორეში მობრუნებულს, ცხელ კერძს, ხორციანს, უხვედრებდა და სპილენძის ჯამი ნაკელიან სოხანეზე კი იდო, მაგრამ მაინც დუღდა, მძიმედ თუხთუხებდა და დამატყვევებელ, რკინის აბლაბუდასავით სუნს გამოსცემდა, აჟრიალებდა დომენიკოს, მოიკუნტებოდა, ნერწყვი სდიოდა, აძაგძაგებდა, მაგრამ იცოდა, კერძის შეთქვლეფა და — სოფლად ასვლაზე მერე ფიქრი მოშორდებოდა; და ამა ფიქრის ასარიდებლად თუმც ზამთარ-ზაფხულ თავს იწამებდა, აიქ ასვლაზე ბ̀ტანჯველ ოცნებას მაინც, მაინც რომ ელოლიავებოდა, ამ ავაზაკურად აორთქლებულ კერძზეღა მიხვდა... რაღაც სხვა იყო მაღალ სოფლად ისეთი რაღაც, საჭმელზე მეტად რომ ეზიდებოდა, მაგრამ იქ ასვლა... „არამედ მყავ მე... ვითარცა ერთი... მუშაკთაგანი..." — ლაქა უნდოდა! მიიღებდნენ კი?.. და იქამდე აღწევას, შორეულ ბილიკს გინდაც დასდგომოდა, შესძლებდა კია? — ქანცგაწყვეტილი, დავრდომილი... დაღმართზე, ცხენით, იმდენი იარა და იჭენა, იქაც კი დაიღალა და ახლა, აღმართში, მისუსტებული, ღონემიხდილი, სულ ფორთხვით მიდის, და თანაც, გზად, ბილიკებზე, ზეზუხბაიები დაძრწოდნენ, ლტოლვილთა მტერნი, ეს ბავშვობისდროინდელი თამაში იყო, სადღაციდან დაბრუნება—ვითომ ბრუნდება, ბრუნდება დიდი განშორების შემდეგ... ოთხზე დამდგარა, ადის, მიჩოჩავს, მიხოხიალებს, ამოშვერილ ფესვებზე ძლივას გადააქვს დამზრალი ტანი, მაღლა, ტოტებზე, სვავები და ყორნები სხედან, იცდიან — გაძვალტყავებულს, მაინც ექნება ცოტაოდენი ხორცი და სისხლი... როგორ მიფორთხავს, მიხოხავს როგორ... რომ არ დაცურდეს, ფესვს კბილებით ჩასჭიდებია, სიმწრით ათრთოლებული ნესტოებით მოშიებული ისუნთქავს ჰაერს, და რა ძნელია, რა მძიმეა თუნდაც ასეთი გამხდარი ტანი, რა არ ერევა, რა არ აწუხებს, ციცქნა ეკალი რომ ეკალია, ვთქვათ... მაგრამ ჯანდაბას, ეს კიდევ არაფერი — გვერდით, შორიახლოს, დიდი გველი მისდევდა, უტყვად გაყინული თვალებით აკვირდებოდა, ვინ გაიგებდა, რა ედო ცივ გულში, უთვალთვალებდა... ერთი დრაჰკანი რომ დაეტოვა... ფოთლებს ღეჭავდა დომენიკო, მისავათებული, თავს მიწაში ჩარგავდა თუ არა, კეფაზე გველის მზერა ეწვოდა, საბრალო, მგზავრი... გაფითრებული, შეძრწუნებული მიიკვლევდა ფესვთაშუა გზას, გადაჰყვლეფოდა იდაყვები, მკერდი, მუხლები, ეს დომენიკოს ბალღობისდროინდელი თამაში იყო, გლოვად ქცეული ახლა — სადღაციდან დაბრუნება... რა იყო მაინც, იმოდენა და იმდენი ეკლოვანი ბუჩქი... გაზაფხულობით სუყოველივე, ეს ეკლებიც კი, მწვანედ ბზინავდა, და მუქდებოდა მერე — საღამოვდებოდა, ისევ ის გატრუნული, ჩაშავებული ჩრდილები, ხანდახან ავად რომ შეირხეოდნენ... ისევ ის სიჩუმე, ჭრიჭინათი სუსტად გაბზარული... კვლავინდებურად, მონაცრისფრო გველის გაყინული თვალი, და სხეულში ჟღრიალით დარწეული სუსხი... ვიღაცა შავი, დიდთითება, ზანტი მუქარით მომავალი — ადრიანი გაზაფხულის ღამე... წელიწადის დრო, ყოველივესი ჩამსახველი, სუყოველივე თვალნათლივ როგორ სხვაფერდებოდა!.. გაზაფხულობით, როცა ხეთა ფერადი კვირტები პაწია ნაყოფად გადაიქცეოდა, ხალხი ერთი ღამით სტოვებდა სოფელს. ჩაფიქრებულნი, მორჩილად აიკრავდნენ გუდა-ნაბადს, ჩვილებს თბილად გაახვე-

---

გურამ დოჩანაშვილი
აღმართი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვდნენ, საქონელსაც მიერეკებოდნენ და ჯგუფ-ჯგუფად გადიოდნენ, სნეულნიც კი გაჰყავდათ ჩარდახიანი, უხალისოდ აღრჭიალებული ურმებით. რაღაც უცნაური წუხილი კი მიჰქონდათ, მაინც უფრო დიდი სევდა ბანაკდებოდა დაკარიელებულ, უადამიანებო სოფელში. ხორციელის ჭაჭანება აღარ იყო, ერთადერთი მამა რჩებოდა შინ, ქვის გალავანს მსუბუქად მიყრდნობილი. იგი გასცქეროდა სოფლელებს, მძიმედ რომ ადიოდნენ აღმართში და მერე ბორცვს მიღმა უჩინარდებოდნენ. იქით, ბორცვს მიღმა უნდა გაეთიათ დღესასწაულისწინა ღამე, კაცებს უნდა ეფხიზლათ და ვეება კოცონთან უხმოდ მსხდარიყვნენ. მამა მარტოდმარტო რჩებოდა იმ უჩვეულო სიჩუმეში, უძრავად იდგა, სანამ არ დაბინდდებოდა. შებინდებისას, გაბრუებული ჩიტების ჟრიამული რბილად იკარგებოდა ჰაერში, საღამო ხანს თითო-ოროლა ფოთოლი წამით აფრთხიალდებოდა ხეზე, მერე ისევ სიჩუმე, სიჩუმე, სიჩუმე ტლანქ, მძიმე სიშავედ იღვრებოდა სახლებსა და ეზოებში, გზებზე; თითქოს თვალნათლივ ათრთქლებულ კუპრში დინჯად იძირებოდა ყველაფერი და, როცა შავად გაელენთილი, დამძიმებული ჰაერი ყოველივეს წაშლიდა, მამა კვარს ანთებდა და გზაზე გამოდიოდა ხოლმე. მიაბიჯებდა წყნარად, უხმაუროდ, ღამენარევი იდუმალებით მოცული, და კვარის სუსტი, ოდნავ მოკიაფე სინათლე თანაბრად ირწეოდა ირგვლივ. მიწაზე მოცახცახე რკალი, წინ რომ მიუძღოდა მამას, ღობეზე სწრაფად აცოცდებოდა და ისევ მორჩილად მიცურავდა ბალახზე, მამის ფერხთით კიბეზე ტალღად გადადიოდა და მერე სუსტი ციმციმით ირწეოდა ოთახში—მამა დედაბოძთან ჩერდებოდა და მეზობლის სახლს ათვალიერებდა. კვარი მქრქალ სინათლეს ჰფენდა კუთხეში მიყრილ ქალამნებსა და ფერად წინდებს, ჭრელ ფარდაგს, თიხის ჭურჭელს, ხიდან გამოჩორკნილ კოვზებს, ყველაფერს აკვირდებოდა მამა, კუნჭულებში აბლაბუდასაც კი ამჩნევდა იმ დალეულ სინათლეში და ხელისგულს ადებდა კედლებს, სკამებს, მაგიდას, თითქოს ნივთების მდუმარებასაც კი უგდებდა ყურს. მთელ ოთახს მოივლიდა და მერე, სანამ გავიდოდა, ერთხანს უძრავად იდგა, კედელზე კი მისი წაგრძელებული, კუთხესთან თითქოს გადატეხილი ხელი ბარბაცებდა, კვარის სუსტ ციმციმს აყოლილი, მაგრამ თავად მამას მტკიცე, დაჭიმული მარჯვენით ეპყრა კვარი და რაღაცას ფიქრობდა. გასცქეროდა გზას...

დინჯად, მძიმედ გადიოდა შავად დაგუდული ღამე, თითქოს ყოველივეს ეძინა, მაგრამ ღამესაც ჰქონდა თავისი ხმები, საიდუმლონარევი, შიშისმომგვრელი — სადღაც ეცემოდა წვეთი, ერთი ციცქნა და უკუნეთის წყალობით მაინც საოცრად მნიშვნელოვანი, კედელს ავად ეხახუნებოდა გამხმარი მიხაკის გვირგვინი, სუსტად გაიჭრიალებდა ღობე და ხანდახან ძილგამკრთალი მწერიც გაიხმიანებდა, მაგრამ მამას ეს ხმები სულაც არ უშლიდა ხელს — სახლებში დაიარებოდა და დიდხანს, დაფიქრებული ათვალიერებდა ყველაფერს. მერე კი, ოდნავ რომ შემსუბუქდებოდა ცა, დასალიერზე ოდნავ რომ გაიბზარებოდა სიშავე, მამა კვარს აქრობდა და დიდ ლოდზე დგებოდა: ნელა, ძალიან ნელა თენდებოდა, მაგრამ ისე აშკარად მატულობდა სინათლე... ყოველივე იწოვდა ბინდს, საიდანღაც ნიავი წამოუბერავდა, ხეზე დაიჭიმებოდნენ ფოთლები, სახლებიც დინჯად ამოტივტივდებოდნენ მიწიდან და რომელიღაც პატარა, სულელი, ყოჩაღი ჩიტი გალობას იწყებდა. ბუნდოვან ჰაერს მკვეთრად აპობდა ეს უზომოდ გახარებული ხმა, და მამა მღელვარებით უყურებდა შორეულ ბორცვს, იქიდან კი, უთენია, ხალხი მოდიოდა! მოდიოდნენ ფეხით, ჯერ კიდევ მოლურჯო ჰაერში აბრდღვიალებული ჩირაღდნებით, ჩვილებით ხელში, ჩარდახიანი ურმებით მოდიოდა ხალხი — დიდები, პატარები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცები, კეთილნი და ბოროტნი, გულგრილნი, მაცდურნი, შეცდენილნი, — ხალხი მოდიოდა!

ისინი ქვემოთ მოაბიჯებდნენ, ერთმანეთის ახლობელნი, ნათესავნი, მძიმედ ჩამოდიოდნენ დაღმართში და ყოველი ნაბიჯი ნეკნებზე აწვებოდათ, მთელი სოფელი მოდიოდა — ზოგი დაბერილ ყვრიმალებში დაგუბებული, უთქმელი მტრობით, სხვა — გულგრილობის ჭიით გამოფიტული, მაგრამ იმ დღესასწაულით მაინც ოდნავ დაძაბული, ზოგიერთი რაღაც აუხსნელი, აუწერელი სიკეთით გულში, საბრალო და მართალი ღიმილით სახეზე, ხელიხელჩაკიდებული ბავშვები, დარიგებისას თავისას რომ ფიქრობდნენ, მორჩილი, ყავისფერხელება მოხუცები, რომლებმაც როდის ჩაუარეს რაღაც დიდსა და მნიშვნელოვანს გვერდი, არც კი იცოდნენ და ახლა მაინც საოცრად მშვიდნი, რაღაცა უმნიშვნელოს შეგუებულნი, ფრთხილად მოაბიჯებდნენ; საკუთარი თავით უზომოდ აღტაცებული ქალიშვილები და ადრე მოტეხილი ქალები, მაინც ჭრელა-ჭრელა თავსაფრებითა და მძივებით, ბრმები, საოცრად დაძაბული სიმშვიდით სახეზე, ბიბო, პირველი ყმა, აუღელვებელი, დალაგებული, სხვისი პურის მჭამელი და მაინც გულის კუნჭულში მიმალული მტრობით, გვეგვე, უხალისოდ მომავალი, მისთვის უმიზნო დღესასწაულზე დუნედ, უგულოდ გაბრაზებული, გამოუცდელი ყმაწვილები, გოგო-ბიჭები, რესას შავოსანი დედა... ხალხი მოდიოდა!

ისინი დაღმართში მოაბიჯებდნენ, ლოდზე შემდგარ მამას უკვე ესმოდა მათი ფეხის ხმა, მოდიოდნენ ჯგროდ, არეულნი, ნაჯახებითა და ნედლი, დრეკადი რტოებით ხელში, ბღაოდა საქონელი, ურმებს გამობმული ძაღლები ჰყეფდნენ, ისინი კი ხმაგაკმენდილნი ჩამოდიოდნენ ბორცვზე და როცა დილის სუსტი და თვალისმომჭრელი მზე ირიბი სხივებით გაანათებდა ფერმკრთალ, ღამენათევ სახეებს, ყველანი მაღლა სწევდნენ ხელებს: უცნაური ტყე მოდიოდა მამისაკენ, არეული ტყე — რტოები, ხმლები, ნამგლები, ყვავილები, თოხები, ბარები, ჩვილები, ნაჯახები... და ვიღაც ერთი, სახელოში ბატის ფრთას მალავდა, —

ხალხი, ხალხი მოდიოდა!

მძლავრად, ღონივრად ახლოვდებოდნენ, შედგნენ, მამას მიაპყრეს თვალი-მომლოდინე; ის ლოდზე იდგა, ლოდივით კუშტად შემართული, გახევებული: — ყველანი აქ ხართ? — იკითხა მამამ.

— ყველანი, დიახ, — გაეპასუხა პირველი ყმა, ლოყაზე მიიდო მაჯა და სახელოში მორიდებით ჩაახველა.

— ყველანი აქ ხართ? — გაიმეორა მამამ, — ვინმე ხომ არ დარჩა...

წესი იყო ასეთი, ორჯერ მაინც უნდა ეკითხა ეს, და ბიბომაც არხეინად მიუგო: „არავინ, არა“, და დაქიჩმაჩდა, რადგან მამამ თქვა:

— აის ვიღაა... მაშინ.

— სადაა... აბა...

— აი იქ, იქით...

სულ სხვა მხარეს, კოშკისკენ წაეღო გაშვერილი ხელი მამას, პირი იბრუნა ხალხმა, თვალი მოჭუტა ბიბომ:

— ვინა, აისა? — შეფიქრიანდა, — ისა, ლოდია...

— ლოდი კი არა... — შეიჭმუხნა ცალთვალა გლეხი, — ლოდი, პირიქით, გულზე ჰკიდია...

— ასე დაბალი? ალბათ ბავშვია... — თქვა დიდმა გლეხმა.

— ეგებ, ჯუჯაა...

— ლოდი კი არა, ჯუჯაა, ხალხო და კუზი ადევს გულზე!..

— მგონი, ბელია...

პირმოკუმული იმზირებოდა იქით, კოშკისკენ, ლოდზე შემდგარი მამა, კრინტს არა სძრავდა, და შექუჩებულ, უცნაურად აღგზნებულ ყმათა წამოძახილებს შუბლშეჭმუხნილი უსმენდა.

გურამ დოჩანაშვილი
ალმართი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ეგებ, ქურდია...

— ეგეთი ჯუჯა?

— გიჟი იქნება.

— დილაადრიან?

— თუ ბავშვია და...

— ბავშვი არაა! — წამოიძახა კოჭლმა ყმამ, ძაან აღელდა, — არაა ბავშვი!

— აბა, ჯუჯაა?

— არა, არც ჯუჯა... მუხლებზე დგანა! გაფაციცებით აკვირდებოდნენ.

— აგე, შეირხა...

— სადაა, აბა...

— აგეე, იქა... უფრო დადაბლდა...

— პირქვე დაემხო!

... და გარბიოდა იგი, დომენიკოსკენ გარბოდა ყვრიმალებდაბერილი მამა. ჯერაც ნამშეუმშრალ, გაზაფხულით დარბილებული მიწიდან ყრუდ და ღონივრად ამოისმოდა მისი შიშველი ფეხისგულების ბაგაბუგი, და იქაურობის, იმ არემარის — მაღალი სოფლის გული სცემდა, ძალუმად თითქოს, შორიდანვე თვალმოკრული და შებრალებული დომენიკოსკენ გარბოდა მამა, და მის მორკალულ — ნეკნებ, ხერხემალამობურცულ ზურგზე დავარდა, ეხვეოდა და ეფერებოდა, გაზინტლულ თმაზე ნაზად და ხარბად უსვამდა გრილ, ხეშეშ თითებს, ძალიან გამხდარ, სიფრიფანა, საცოდავ მხრებზე ეამბორებოდა მას... გონს მოდიოდა ღრმად დაძირული, ლამში რბილად დაფლული დომენიკო; ჩამძიმებული, პირქვეჩამხობილი, თავისი სოფლის მიწას სუნთქავდა, შეკრთა და თვალი გაახილა, ოდნავ გადახარა მოფერებული თავი, ლოყით დაეყრდნო მიწას, და ამოხედა — თვალში სინათლეგამოცლილი, მძიმედ მოტივტივე ლაქად აღიქვამდა სპეტაკ სახეს და „ისაა... ის...“ — რომ გაიფიქრა, გამხნევებული, დაიძაბა, თვალებად იქცა, ღელავდა როგორ, და იმ ლაქიდან მამის სახე გამოარჩია. წამოიწია დომენიკომ, მუხლებზე დადგა, ხელები მამისკენ აღაპყრო: ერთბაშად შემდგარნი, ადგილზევე ყუჩდებოდნენ სირბილით მოქოშინებული ყმები — რაღაცა უნდა მომხდარიყო და, თავად მამაც, მუდარადქცეულ თვალებში ჯიუტად ჩასცქეროდა დომენიკოს, იმის ლოყებზე თითები მაგრად შემოეჭდო და ისე... მგზავრმა კი სასწაულით შერჩენილი, ღონის პაწია ნამცეცები მოიკრიფა, დახეთქილ ტუჩებზე გაიხახუნა მშრალი ენა და, მისუსტებული, შეევედრა: „მამაო, ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა... და არღარა ვარ მე ღირს წოდებად ძედ შენდა... — სულს ძლივს ითქვამდა და, თავდახრილმა, დაყოლა, — არამედ მყავ მე ვითარცა ერთი მუშაკთაგანი“. თავჩაქინდრული, მუხლებზე იდგა, ყოვლად უმწეო, უსუსური, განაჩენს უცდიდა — თითები შეუშვა მამამ, მაგრამ ჯერ ისევ წინგადახრილი, გახევებული იდგა, დაკაწრულ მხრებზე ჯიუტად დასცქეროდა.

— მაგან შეჭამა საცხოვრებელი შენი მეძავთა თანა...

გაისმა იქვე, ეს — გვეგვე იყო, მამა კი წელში გაიმართა, ძლივას მოსწყვიტა დომენიკოს გამკაცრებული თვალი, პირი იბრუნა, კოშკისკენ ხელი გაიშვირა, თქვა:

— გამოიღეთ სამოსელი პირველი, და შეჰმოსეთ მას.

●

ბურანში იყო. უბედნიერესს, მშიერმწყურვალსა და გადაქანცულს ისე, თავის აწევაც ვეღარ შეეძლო, ფეხები ეკეცებოდა... მისავათებულსა და წელმოწყვეტილს, იმ მზიანი დილით უდროო ბინდი ეძალებოდა, და ძილ-ღვიძილში ბუნდოვნად გრძნობდა, მხარში რომ შეუდგნენ, ფრთხილად მიაჩოჩიალებდნენ სადღაც, ააჰ — მამის ხათრით, სხვებსაც უყვარდათ... და უცნაურმა ელვარებამ მაგრად დახუჭული თვალებიც კი მოსჭრა — მოირწეოდა კოჭლი ყმა, ცალ მხარეს ყურით უნისკარტებდა ჰაერს, სასოებით გამოწვდილ ხელებზე უძვირფასესი კაბა გადაეფინა, და კოჭლის ყოველ გადაზნექაზე ღონივრად, ფერადოვნად იფეთქებდა ხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლმე, მჩხვლეტავი სიკაშკაშე გადასდიოდა; და მიახლოებული ყმა რომ შედგა, მაინც ადგილზე ელვარებდა, დილის ამღერებულ მზეზე ხიფათიანად ქიკქიკებდა, იწელებოდა სამოსელი პირველი... ისევ ჩაექინდრა მგზავრს, დომენიკოს, თავი, და მკრთალად იგრძნო, ძვირფასი თვლებით დამძიმებული სამოსი დაკაწრულ მხრებზე ფაქიზად რომ მოარგეს, მერე კი, სადღაც, სკამზე დასვეს და ალერსიანად გადაუწიეს თავი, დიდ, უზარმაზარ პეშვზე დაიდო ვიღაცამ იმისი კეფა, და ორიოდ ყლუპი წყალგარეული, წითელი ღვინო ფრთხილად შეასვეს... შვებით გმინავდა საბრალო, მგზავრი — მრგვლად უშველებელ სპილენძის გობზე იდგა, და გაზინტლულ, წვირიან სხეულს გულდასმით ჰბანდნენ, ეკლებს უღებდნენ; ნაიარევთან, მხარზე, მთლად განაზებულ ხელისგულს მორიდებით უსვამდა კოჭლი... ჩაიკეცებოდა დომენიკო, დიდ გლეხს რომ არ სჭეროდა, ეძინებოდა ისე... ტილოს შარვალ-ხალათი ჩააცვეს, ადგილზე ბარბაცებდა და, კვლავაც თვალდახუჭული, სისუფთავის გრილად მშვიდ სურნელს მთელ სხეულზე მალიმალ გრძნობდა; განბანილი და რულდატეხილი, მადლობის სიტყვებს უღონოდ, დუნედ ლუღლუღებდა და, მაგიდას მძიმედ დაყრდნობოდა ორთავე ხელით, მაჯის ფრთხილი, გახსენებული მოძრაობით თიხის ჯამიდან ხის მადლიანი, მსუბუქი კოვზით იღებდა მომჟავო წვნიანს — ცეცხლიდან ახლად გადმოდგმულ, ორთქლადენილ მაწვნის შეჭამანდს, ხმიადჩაყრილსა და პიტნით შეკმაზულს, თვალდახუჭული, სულს უბერავდა; და რბილ ლოგინში ჩააწვინეს, საბრალოს, ისე უხაროდა რომ, ვერც იძინებდა ერთხანს, ბურანში ჰხე და ამგვარად — თავზე საბანგადაფარებულს ერჩია ყოფნა, ძილი არ სურდა, და უცებ ბლანტედ იქაც წამოწვა — სიზმარში იყო... იმ მოიისფრო, უცხო სარდაფებში, იქაც კი, იქაც — დაღლილს, ეძინა...

●

და რომ შებინდდა, შუაგულ სოფელში დიდი, მაღალი ცეცხლი დაანთეს. ლოდების უზარმაზარ გროვაზე დაეხვავებინათ შეშა, მცირე რამ წკირით ააალეს ფიჩხი, და სქელ მორებშუა ჯერ იყო და, დინჯად დატრიალდა სითბო, რადგან ახალი ცეცხლი აუჩქარებლად ირჯებოდა, წყნარად იწვოდა, მსუბუქად მიხოხავდა, მერე ხმელ შეშას ადვილად მოედო, თრთოლვით მიეწება, შიგანში გაუჯდა, და ჯერ ალაგ-ალაგ აატკაცუნა, გაფიცხდა მერე და ნედლ კუნძებზეც ააშიშხინა ხეთა ნატიფად გრილი წიაღიდან ცრემლებად გამონადენი სისოვლე, და ცეცხლის ირგვლივ განათებული ჰაერი მძიმედ ალივლივდა, კოცონსიქითა ხალხს გულზე ხელებგადაჭდობილი შესცქეროდა მამა. მისი სოფლიდან, მისიანები იყვნენ... ცეცხლს შესცქეროდა ხალხი, მოწიწებულ მზერას ვერ აშორებდნენ, და ფართოდ დახელილ თვალებში თუმცაღა ახტუნავებული ცეცხლი უელავდათ. სახეზე მაინც მორჩილება გამოსახოდათ, უჩვეულო სანახავები იყვნენ. აგიზგიზებული, ძალამოკრეფილი, ცისკენ აწელილი ცეცხლი კი მუქარიანი გუგუნით ნთქავდა დიდ მორებს, კუნძებს, ავარვარებული, დაბზარული ნაკვერჩხლები ლოდებშუა ცვიოდნენ, სახე აწითლებოდა ხალხს, მკვეთრი ჩრდილები გადასდიოდათ, სუნთქვაშეკრულნი უმზერდნენ ცისკენ აპოტინებულ როკვას — რა გაბედულად, და რა სასხარტით იწელებოდა ალი, და ავი თამაშის იშტაზე დამდგარ ცეცხლს თავისივე გუგუნი იდუმალი, წამქეზებლური დოლის ხმად ახლდა, რა ცეკვა იყო! შემოჯარულ ხალხს მკვეთრად გამსხლტარი, წაწვეტებული აჩრდილები დაუზოგავად ეხლებოდა, და შორს კი, იქით, გაცრეცილი და დაბლაგვებული, ზმანებასავით მოლიცლიცე რამ, აიმ კედელზე, ახლად გამოღვიძებული მგზავრი დაუდევრად

გურამ დოჩანაშვილი
ალმართი

რომ შესცქეროდა, მკრთალად ფართხალებდა და — სად ვარ! — ერთბაშად წამოჯდა დომენიკო, ფანჯრისკენ სწრაფად იბრუნა პირი — აიქ, სოფელში, დღესასწაულის კოცონი ხტოდა, მონატრებულ ცეცხლს ხარბად, იმედით შესცქეროდა მგზავრი, მაგრამ იქვე, ოთახში, უცხოდ გრძნეულმა ელავრებამ თვალი წაართვა — სუსტად მოკიაფე სანთელქვეშ, ტახტზე გადაეფინათ მისი აუთვნილება — სამოსელი პირველი. დაძაბული და წინგადახრილი, სწორედ იქითკენ გაეშურა, ფრთხილად ადგამდა შიშველ ფეხისგულებს, სამოსელ პირველს მორიდებით ეპარებოდა — რა კაბა იყო მაინც, რამდენი ოქრო, ცხვარი, შუშხუნა, რამდენი ქალი იმალებოდა ამ აბჟუტებულ, ყინულოვან ციალში, სამოსელ პირველს, — აჰ, რაოდენი რამ ეკუთვნოდა, რას არ იყიდდა... მოჯადოებული დასცქეროდა ამ გასაოცარ, ლამაზად აკინძულ განძს, რა თვლები იყო ასეთი მაინც, რა და რა ფერი გადასდიოდა... შემცივნებული, მხრებში მოკუნტული დასჩერებოდა და მერე შიშით მიმოიხედა, მაგრამ სხვა რამ შესამოსი ოთახში არაფერი იყო და, გამხნევებულმა, ფრთხილად, სასოებით, მოკრძალებულმა წაავლო ხელი... იქ კი, კოცონთან, გლეხები თავიანთ სამოსს — ხალათსა და დაბამბულ ჯუბას ღონიერი თითებით აგლეჯდნენ უსახურ ნაჭრებს, თვალებს ხელისგულით იჩრდილებდნენ, ფრთხილად უახლოვდებოდნენ ცეცხლს და თავიანთი სხეულის სითბოშეყოლილ ნაგლეჯს ალში ისროდნენ — ასე ამბობდნენ, თითქოს ისინი, ამსოფლელები, დიდი ხნის წინათ ციდან ჩამოვიდნენ და წინაპრები იქ დარჩნენ და ტანსაცმლის ნაგლეჯს აქაური ამბებიც სხეულიდან შეჰყვებაო, ასე ეგონათ, ასე ამბობდნენ, და სხეულის სითბოშეყოლილი ნაგლეჯის კვამლიც ხომ მაღლა ადიოდა, ცაში, და ცადარჩენილებს მათი ამბავიც ვითომ კვამლად აუვიდოდათ, ასე ამბობდნენ, სჯეროდათ ასე, და განათებული ცისკენ მიფარფატებდა აის ამბავი, დიდ-სევდიანი გლეხი თუ როგორ შრომობდა, ნაქათმეს შეჩვეული მელა ხაფანგში როგორ გაბეს, პურსა სთესდნენ და, დანაწვიმარზე როგორ ამოასუფთავეს წყარო, რომ დღით — მიწას ხნავდნენ, ეძინათ ღამით, და თავდახრილი გატრუნულიყო გვეგვეს ცოლი — ქმარი არ უყვარდა, და ეჩქარებოდა თავის ნაჭრიდან კვამლის აფანტვა; ვიღაცას შვილი ავადა ჰყავდა, და ნაღვლიანად იწეწებოდა კვამლი, გაბმულად, რწევით ადიოდა მათი ამბები იქ, მაღლა, ცაში, — თუ როგორ დააგუბეს წყალი, დამჯერი ძაღლი მეტისმეტობით როგორ გაცოფდა, რომ ზამთარს ყველა ხე გადაურჩა, თეთრშუბლა ცხენი როგორ დაჭედეს, ძაძას აგდებდა ცეცხლის განაპირას რესაჯ შავოსანი დედა, მგლებმა ფარეხში ძროხა დაგლიჯეს, და რომ ქათმები კინაღამ ერთიანად გაწყვიტა ჭირმა, ცას შესცქეროდა სევდიანი, მაღალი გლეხი — ნეტა იქ, ცაში, ფრთოსნები ჰყავდათ? ყიოდა რამე?

გამართული და თავაწეული, უნებურად გაამაყებული, მძიმედ ახლოვდებოდა დომენიკო, და უცნაური სანახავი იყო: ფეხშიშველს, ტანთ უძვირფასესი კაბა — სამოსელი პირველი ემოსა, და შორსვე, ბნელში უამრავი კაშკაშა სხივი ავი ჟღრიალით იწელებოდა... იისფრად ციაგებდა დიდი ამეთვისტო, მინანქრით მოჭედილ საყელოსთან მიბნეული, მწვანედ ლივლივებდნენ ზურმუხტები, მთელი კაბის სიგრძეზე მწყობრად დატანებულნი, ყოველ ზურმუხტს შორის ლურჯად კამკამებდნენ საფირონები, წითლად ღვიოდა, აშუქებულიყო ლალი, გვერდით კი ყოველ ქვას წყვილი მარგალიტი ებნია; მთელი კაბა ოქრომკედით იყო მოქარგული, ცივი, ყინულოვანი ციმციმით ერთმანეთში ხრაჭუნით იფშხვნებოდა უამრავი ყვითელი ნამცეცი, კოცონის ანტუნავებული ალი უწესრიგოდ ფეთქავდა. მთელ სამოსელზე ალმასებიდან კაშკაშით ისხლიტებოდა, სისხლისფრად იშმუშნე-

ბოდა ძოწი, ყვითლად შემოჯარულ ოქროში ავად კიაფობდა თლილი ბრილიანტი, ეს — დომენიკო ახლოვდებოდა, ფერადი ელვა მიუძღოდა და ყოველი ნაბიჯის გადადგმისთანავე ელვარება ემატებოდა, უფრო და უფრო თვალისმომჭრელი ხდებოდა სხარტად დაკლაკნილი, გამჭვირვალე და თან დაბინდული, ფერადოვანი გრძნეული შუქი, და ზედ კოცონთან შედგა დომენიკო, ცეცხლით დაჭმუჭვნილ, დაკრუნჩხულ ნაფლეთებს შუბლმოღრუბლული დასცქეროდა, რა იყო ნეტავ, ნეტა რა ამბებს გზავნიდნენ ძალიან მაღლა, ზემოთკენ, ცაში, და ძვირფასი კაბით უნებურად გაამაყებული, ამ ახტუნავებულ შიკრიკს — კვამლადენილ ცეცხლს ეჭვით შეპყრობილი მიჩერებოდა. ირწეოდა და იკლაკნებოდა დაუნდობელი, ფაქიზი ალი, ხან ნატიფ, თხელ ფარდასავით ცახცახებდა, ათასგან იბზარებოდა და მსუბუქად, მშრალად კოწიწდებოდა მერე, და ისევ დაფლეთილ ენად აიკლაკნებოდა, ამბებს ჰყვებოდა, როგორი რისხვით იძენძებოდა, და ცეცხლის წამიერ ბზარებს მილმა გაოგნებული იცქირებოდა დომენიკო — კოცონის იქით თავად მამა, თვით მამა იდგა! —

კოცონის მილმა, გავარვარებულ, ატორტმანებულ ჰაერში ულივლივებდა მთელი სხეული, ზმანებასავით ეწელებოდა და ეცვლებოდა; დროდადრო ცეცხლით იფარებოდა, ეწეწებოდა ნიადაგ მშვიდი, მკაცრად მართალი, სევდიანი სახე, ახლაც შემართული და მოუღლელი, ღამენათევი, იმ სწრაფი კლაკვნით აძენძილ ცეცხლში განატარებ, მცხუნვარე მზერას შვილს, დომენიკოს, ვინაც უყვარდა, ცნობისწადილით შეპყრობილი, არ აშორებდა — რაღაცა სურდა დომენიკოსგან თავად მამას, რაღაცა სურდა... აწრიალებული, ამას კი მიხვდა დომენიკო, მაგრამ რა უნდა მოემოქმედა, ვერაფრით ჩასწვდა, დაძაბულსა და წინგადახრილს, ორად მოკუნტულს მერე, მამისკენ ვედრებით აღეპყრო მზერა, ოფლით გახვითქულ, ცეცხლით დროდადრო ალაპლაპებულ სახეზე ყალბ პირსახოცად ეხახუნებოდა კოცონით ახტუნავებული ჩრდილები, მამისკენ ხელები გაეშვირა, გაფარჩხული თითებით ემუდარებოდა რაღაცას — თუნდ მცირე ნიშანს, ან რაიმეს თქმას, მაგრამ აჰ, არა — ხალხს შესცქეროდა ახლა მამა და, დომენიკომაც, ზედ კოცონთან შემდგარმა მგზავრმა, თავისი სოფლის სიტყვაძვირ ხალხზე გადაიტანა თვალი-მაძებარი — ისინი, ყმები, თავთავიანთ უბრალო, წყნარ და მიმოუკიბავ ამბებს ცეცხლის წყალობით იქ აგზავნიდნენ — ძალიან მაღლა, ზემოთკენ, ცაში, და მაწანწალა კვამლის მეშვეობით, ზემოთ ამბავი მიტივტივებდა, ისევ მიაბჯინა სიხარულით ბიკარგულმა დომენიკომ ცეცხლით განწმენდილი მზერა მამას, და სამოსელი შემოიძრო, მაგრად ჩაბღუჯა, მოიქნია და შიგ იმ ცეცხლში, სამოსელი პირველი... სამოსელი პირველი ბადესავით მოისროლა! დინჯად დახარა მამამ თავი, რა შემართული, და რა ვალმოხდილი თითქოს, ისე იდგა, მთელი ხალხი კი, პირდაღებული, ამ უცხოდ ამაღლებულ, აღზევებულ სეირს თვალდახუჭული შესცქეროდა— ცეცხლი ალერსით ედებოდა სამოსელ პირველს, ქვემოდან ნაზად შეუჯდა, ზემოდან თრთოლვით დასცახცახებდა, პირველი კვამლიც მსუბუქი ტანჯვით აიზნიქა სამოსლიდან და — ეს, დომენიკოს ჭრელი ამბავი, გრძელიც და მოკლე, ახლა ფიორა კვამლად ადიოდა ზემოთკენ, ცაში, ეს — დომენიკოს ნებსით თუ უნებლიეთ თანამგზავრნი, ჰოი, რა მკვეთრად განსხვავებული, ხალხი იწვოდა!

და ჯერ იყო და, სწორედ იმათ, შორიშორ ნაცნობთ, მოედო ცეცხლი, ეს — ოქრომკედი სწრაფად იწვოდა, ერთი თვალისგადავლება, შორეული ხალხი — მოკირწყლულ ქუჩებში არხეინად მიმომავალი ლაშაზ-ქალაქელები, დროდადრო — გრილ შადრევნებთან

გურამ დოჩანაშვილი
ალმართი

ჩამომსხდარნი; პირბადიანი ქალები, ჩახუჭუჭებულ ძაღლთა კოხტა საბელით გამასეირნებელნი, ხელქოლგიანნი, ვარდისფერსა თუ ცისფერ კაბებზე კოხტად დასკუპებული დიდი ბაფთებით; უსაქმურობისა გამო იქაური ჭორიკანა მამაკაცები, კაი სმა-ჭამის, ძილის, გართობისა და ძალად ხარხარის, ფანტის თამაშის, ჭუჭრუტანაში წაკუზულად ცქერის მოყვარულნი; იმათთან ერთად, კამორელებსაც მოედოთ ალი — იქ, კამორაში, მარმარილოს კედლებს მიყრდნობილნი, მთვლემარენი ვითომ და როგორ დაძაბულნი, აკრეფილნი როგორ, თვალს არიდებდნენ ერთმანეთს, ფრთხილად ჩავლილებს კი ცივად ანთებული მზერით შეაცქერდებოდნენ კეფაზე, ზურგზე... შენიღბულები, თვალებამოქარგული ფარდებიდან იმზირებოდნენ, ხოლო იქით, შორს, სერტანელები დააჭენებდნენ მოსხლეტილ ცხენებს, რა ხალხი იყო.. — ყველა იწვოდა. და ბაზრობათა ქალაქის უფერულნი და ერთნაირები დაახლოებით, მცხოვრებნი — მატყუარა და შიშისა გამო ზომიერად ფლიდი ვაჭრები, ვაჭრუკანები, მოგების ეშხით დიდში, მთავარში მუდამ წაგებული, საცოდავი ხალხი... და სულ პირველად სწორედ იმ ნაცნობს, ყოვლად მიჩქმალულს, გამოურჩევს, აიმ მიქელეს მოედო ცეცხლი, ყმაწვილ კუმეოს ოქროს ძეწკვისა გამო თავი რომ სდრუზა, იწვოდა კუმეოს წილი ოქრომკედიც, გახსოვთ ალბათ ის — ღორმუცელობისა გამო უშუალო ჭაბუკად აღქმულ შეყვარებული ნაზი კონჩეტინას მიერ, იწვოდა თვითონ კონჩეტინა და წამდაუწუმ მხიარული ქალიშვილებიც, იმათი ამბავი ძალიან მსუბუქ, სიფრიფანა კვამლად ადიოდა ცაში, ასევე მიფარფატებდა სილვია, ვინაც არ იცოდა ამხანაგობა, რადგან მიჯნური წაართვა დაქალს და მიჯნურწაგვრილი როზინა, აი სწორედ ის, ჭალაში რომ იყო, ჭალაში ყოფნას ვერ დავუკარგავთ, ძალიან ვერა, და მისი მეტრფე, თმაგაპრიალებული ცილიო, ქალების წუწკი, იმისი ძმაკაცი ტულიო, ლამაზქალაქელთა აღიარებული ახალგაზრდა სასიამოვნო კაცი—თავგადაგდებით ახარხარებული, დროსმტარებელი, თავშესაქცევ ამბავთა კოხტად მოყოლაში გაწაფული, მრავალ სახელოვან ოჯახად პირველ წყებაში მიპატიჟებული, მხნეობით აღსავსე, ხალისიანი და ბოლობოლო — მათხოვარი მაინც, და იმის გვერდით შემთხვევით მოხვედრილი უწყინარი მღებავი ანტონიო, ვისაც დიდი თვალები ერთთავად ზრუნვით მიებჯინა სიძე-ვინსენტებზე, რომლის გუნებაგანწყობა, საქციელიცა და სიტყვა-პასუხი დიდად იყო დამოკიდებული იმაზე, საყელო შებნეული ჰქონდა თუ არა, სიძე-ცოლიძმის გამამწარებელი, ვეება ახვარი ჯუზეპე, ვისაც სანაქებო კუნთები ფიქრისას ძალიან ებერებოდა და იმისი გამლახავი დინო — პატარა, ღირსეული და ცქვიტი... მართლა, არტურო — ძლივს გამოირჩა ჟრჟოლადავლილი სამოსლიდან ლამაზ-ქალაქელი ცბიერი, ხარბი მასპინძელი, ჯანმრთელი ცოლ-შვილით — ვულალია-ჯანჯაკომოთი და იქვე იყო დედამისიც, ყოჩაღი მოხუცი სიგილლა, და სათათბიროდ მიწვეული სისხლით ნათესავ-ახლობლები, რომელთა შორის გამოირჩეოდა კაცი, ვინც გრამატიკის სიღრმეებს წარმატებით ვერ ფლობდა... და თვით ამ სამოსელს, სამოსელ პირველსაც კი ჰქონია თურმე ყალბი თვლები, და როგორც კი ოდნავ წაეპოტინა ცეცხლი, მაშინვე დაიბზარა და დასკდა ჭყეტელა ქვები, ეს — ორჭოფულ კვამლად მიჩინდრიკობდნენ ზევით მითომ დარბაისელი სენიორ ჯულიო, და ლამაზ-ქალაქელთა მრჩეველი, დიდებულ მოსაუბრედ აღიარებული დუილიო, როგორიც იყო და მისი ყველაზე ერთგული მსმენელი, უშნოდ აცუნდრუკებული დედაბერი, მამიდა არიადნა, ვისაც ბედმა თუ ცხოველმა წარმოდგენამ ცხოვრებაში ნამდვილ მამაკაცს, ვასკოს შეახვედრა, და სამივესი ყალბი განცდები ახლა, აქედან, მაღალი სოფლიდან, ზეცაში, კიდევ უფრო მაღლა, ოცონს აჰქონდა... და რინალდოც კი ამობჟუტდა, ალბათ არ გახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოვთ — საუბრისას მხოლოდ დროდადრო გაყიდული, დახვეწილი გაიძვერა, ლამაზ-ქალაქის ბაღში მესამე კაცად ნამყოფი, ვისაც თერთმეტი წლის მკვლელის ამბავი სულ უშედეგოდ უამბეს; მწარედ იგრიხებოდა ყოვლად გამოუცნობი, თავდაჭერილი სერვილიოც, დუილიოს-ძე, ვისაც კამორელებთან რაღაც ფარული საქმეები აკავშირებდა.. იწვოდა ის უთქმელი, მამიდა არიადნასთან სტუმრად მისული უკბილო კაცი, რომლის თვალთმაქც საკრავსაც სულად უცხო, ცვალებადი ფრინველი ჰყავდა, და მის ძვირფას ქვას, ერთ-ერთ საფირონს, ძვირფას ქვათაგან პირველს გაუჯდა მაძებარი ალი, და ერთი, ყველაზე მაღალი ქვის გარდა, დანარჩენები უკლებლივ რომ აავარვარა ცეცხლმა, სიმხურვალისგან წამოიმართა. სამოსელი პირველი, განცვიფრებისგან, მოგუდული გმინვა დასცდათ ამ უცნაური სანახაობით ისედაც გაოგნებულ ყმებს— სამოსელი პირველი შუაგულ ცეცხლში, ატორტმანებულ, მხტუნავ ჰაერში სულ უარაფროდ, თვითონ, თავისით, შუაგულ ცეცხლში წამომართულიყო და იდგა, ეკიდა!.. ძალიან ძნელად, და ზომიერი თანდათანობით იფერფლებოდა ძვირფასი კაბა, ქვედა თვლებს მაგრად გაუჯდა ცეცხლი და, ერთ ადგილას, განსაკუთრებით ძნელად იწვოდა — ეს ახალგაზრდა გიჟი, უგო, ნამდვილი დანით ოფლიან ხელში, გარინდებული იმზირებოდა და ყინულოვან თვალებში ხანდახან დონდლო, ნაცრისფერი თევზები ეკლაკნებოდა, ჩაბინდული სიწითლე შემობურვოდა, ძოწისა იყო; იწვოდა ალექსანდრო, ქადაგად დავარდნილი, გიჟად წოდებული, ლამაზ-ქალაქში ყველაზე ნაღდი, კაქტუსოვანი, კეთილი კაცი... მისი ამბებიც — ამბავი თერთმეტი წლის მკვლელზე, ზღაპარი ბალახისფერ კაცზე, უცნაურად აღტყინებული საუბრები სცენიდან, ქუჩაში, ბუნების წიაღსა თუ ოჯახად, წამოძახილ-შეცხადებანი და სხვა, და სხვა, ერთ-ერთ საფირონში იწვოდა, და საფირონშივე ციაგებდა პატრიცია, ნასაცილო ქალი, ვისაც ქმარი ინტელიგენტი ეგონა და ის კი თურმე გლახა ქალებში დადიოდა, წარმოგიდგენიათ? იწვოდნენ თვით გლახა ქალებიც — ლაურა და ტანგო, და ნამდვილი ქალი, ტერეზა, თლილ ბრილიანტში კაშკაშებდა. ყვითლად შემოჯარვოდა ოქრო, საღამოობით აიქ, თავის ოთახში, თბილი წყლით სავსე დიდ კასრში იჯდა ხოლმე ქალი, ტერეზა, და გასაპნული მხრები უბზინავდა, ახლად დაბანილი, ჯერ კიდევ სველი თმა ლურჯი თავსაფრით მაღლა აეკრა და ღიმილისას მხოლოდ ცალ ლოყაზე ეჭუტებოდა პაწია ფოსო, რა ქალი იყო, ან რა ხმა ჰქონდა, დოინჯშემოყრილი, როგორ იდგა და იღიმებოდა, როგორ დადიოდა, იქ მაინც, ბურუსში... და გრძელი, ვრცელი ზამთრის ღამის მწვავე თამაშები, დიდი იისფერი საბანი, იქ დომენიკოს მკლავზე ეძინა, რა მკლავზე მერე, ეჰ, ტერეზა კი არა, ხელბოხჩიანი ქალიც კი, ლანდოს მოლოდინში უთავბოლოდ ალაპარაკებული, ლამაზ-ქალაქის მისადგომებთან პირველი რომ ნახა, ისიც კი ჩანდა წამომართულ სამოსელზე, ოქრომკედში, და სევდიანად, ყრუ მწუხარებით აელვარდა კიდევ ერთი ქვა — ედმონდო იყო, დაძაბული, მუდამ ტანჯული ამხანაგთმაძიებელი—კიდევ კარგი რომ, ამაყად მოკვდა, მწვანედ, ზურმუხტში მიიღველფა და, საკვირველებავ, აის ქალიც კი გაახსენდა, საყელოჩამოგლეჯილმა ვინსენტემ, მთვრალმა, ერთ-ერთ ქორწილში დაუნდობლად რომ უპწკინა — ვინმე გრაციაზა მატირელლი, და ორი კინკილა ქართველი მოგზაურიც — ჰაინრიხი და დრაგომირო, ტყუპად იწვოდნენ, ყველანი იყვნენ სამოსელზე თითქოს, ის უბედური ქალებიც — უგოს ბებია, ედმონდოს დედა, „და ყველაფერი რიგზეაა“, მორცხვად მოისმა ცეცხლიდან თითქოს, ეს — თვინიერი ლეპოლდინო, ლამაზ-ქალაქში ღამღამობით რომ და-

---

გურამ დოჩანაშვილი
აღმართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბიჯებდა, ღარიბი, საცოდავი, ხახვსა და პურზე რომ გადადიოდა, რაღაცა ფაჩუნს ყურმოკრული, ფრთხილად შემდგარიყო, ძირს დაშვებული ფარნით ხელში, და შიშველი, დაგვემილი, ნატანჯი ფეხები თითქოს იაფ შარავანდედში ედგა... და სულ სხვა ხმაზედ დასძახოდა შეწერილ სიტყვას — „გეენიიაალურაااადااااა“ — კამორელი ღამის დარაჯი, გოროზი კაეტანო, თვით მარშალ ბეტანკურს, ტანხვლიკიანს, კატა-არუფიანს, საიმედოდ დახშულ-დალუქულ ოთახშიაც კი სწვდებოდა მისი ხმა, ოღონდ მინამ ცოცხალი იყო... იქვე იწვოდა გრანდისსიმოჰალლეს უახლოესი დამქაში, ყოჩაღი გრანდჰალლე პოლკოვნიკი ფედერიკო სეზარ, და ცხვირში მოდუდღუნე ზედამხედველი ნავოლე, და ერთთავად სულ სხვა, არა საჭირო ადგილებში აღმოცენებული კაპრალი ელიოდორო და ბალიშით მუცელგამობერილი მისი ცოლი, შიშველი ანისეტო, წელიწადის დროთაგან ძალიან რომ უყვარდა ზაფხული და პირიქით — ზამთარი, კამორელ წარჩინებულთა მცველები, სერჟანტები, მემასსაჟენი, შიკრიკები და დილის ქალები, მალემსრბოლები, სმენადაშული მუსიკოსები — საწამლის კართან პირზე საკრავმიდებულნი, გამზადებულნი რომ იდგნენ, ცოტათი მუდო გენერალი ხორხე, გამჭრიახი ადმირალი ციცკა, ლამაზ-გენერალი, ვისაც ქალად გადაცმისას მხოლოდ მკერდის არეში სჭირდებოდა ბამბის დამატება, დამსჯელი რაზმის კეთილ-გენერალი — მსხვილმანი ავაზაკი ორფეხი რამოს, პირველი თავზეხელაღებული რიგობერტო, ვისი ნაყოფიც ძალისძალათი შეანარჩუნებინეს საიდუმლოდ გადაბირებულ დილის ქალს და რიგით მეორე თავზეხელაღებული — გაბრიელი, მეტისმეტად, ზედმიწევნით თავაზიანად რომ საუბრობდა; ცალი ღამით მასპინძელი სკარპიოზო, ეშმაკი ბრიყვი, ყველა ისინი, ყველანი იწვოდნენ — ბრიგადელები, კორპუსელები, ინტელიგენტი ქალები, ინტელიგენტურად რომ ევაჭრებოდნენ პოლკოვნიკ სეზარს, ნუსხანი ანი დილით შილიფად გამოსული, რძის რიგში მდგარი მხრებშიშველი ქალი, დილეგში ჩამწყვდეული ქაგუნსოები, ოთხი სახელოებდაკაპიწებული ჯალათი, ელამი კამორელი — ამფსონი შეუმჩნევლად რომ დაბრიდა, გალიაში სულამოხდილი დემეტრიო, და იმისი სულთამხუთავი, მარშალის პირადი აღმსრულებელი — უძვლო კადიმა, მორიგეები, წვრილმანი გამომვლენები — თავის თავში შეყვარებული ჯუჯა უმბერტო და წრიპინა ჩიჩიო, რომ არ სუქდებოდა და ჭამით კი ძალიან ბევრს ჭამდა, და მსხვილმანი გამომვლენი, ბავშვობიდანვე ყრუ-მუნჯად შერაცხილი აბსოლუტურსმენიანი ესტებან პეპე, ვინაც ძალიან სუფთად კი მუშაობდა, მაგრამ კაატინგაში მაინც ყოფა ეტირა. იწვოდა დიდი მარშალის თანამეცხედრე — მერსედეს ბოსტონი, ლურჯად და წითლად შეღებილი ცივი, ფერადი ქალბატონი, ვინაც ნამდვილი სულ არ იყო და იმ კერპს, მოლოქეს ჩამოჰგავდა, და იმისი ხათრით საკრავთან მიმჯდარი დონდლო სტელლა — პოლკოვნიკის გაუსულგულოებული მეუღლე და ენერგიული სუზანნა-სუზი, ვისაც სახიფათო სიყვარული ძალიან სწამდა... იწვოდნენ მერსედეს ბოსტონის ბინძურ დღეობაზე ფასიანი საჩუქრებით მისული სტუმრები, ათასნაირი განხრისა და მიდრეკილების ავაზაკნი, მოწამლული ხალხი, რომელთაგანაც გამოირჩეოდა ზედა კამორას დაწინაურებული ნაღები, მარშალთან დაახლოებული თანამდებობის ბედნიერ-დაძაბული პირნი— ხნიერთა დასის მეთაური პორფირიო სიძიანა, — ღამღამობით ნოხებზე მონადირე რამირეს კისპეთი, ლოყებჩამოკიდებული დიდვაჭარი არტემიო ვასკეს, მთავარ შემმოწმებლად აღზევებული ყოფილი ჯიბის ქურდი მოკლეხელება პედრო კარდენასი, გასაიდუმლოებული მექისე ალფრედო ევია, ფუნჯის დიდოსტატი, ქედუხრელი გრეგ რიკიო, პირში მთქმელი პროკურორი ნოელ, საქმია-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნად მომხიბვლელ ჭაბუკად აღიარებული გადაცმულ ჩვიდმეტთა მეთაური მასიმო, კარის ტენორი ეზეკიელ ლუნა და სხვები, სხვები, სხვანი და სხვანი, მათხოვრებად გადაცმული ჩინოსანნი და ძვირფასად გამოწყობილი მათხოვრები — ზიზღითა და ცეცხლით ამღვრეული, აჭრილი თვალებით ბოროტ, უბედურ კამორელთა წვას შესცქეროდა დომენიკო, და აიმ იმდენ ბოროტ ელვარებაში სამი ქვა მაინც სათნოდ იწვოდა, და იმდენნაირი ჯურის ხარისხოვან ავაზაკთაგან იმედად გამოარჩია ლურჯი იაგუნდი, ეს — ოთო-ექიმი იყო, მისი კამორელი მამობილი, კეთილი ძია, თვალში სისოფლე წამდაუწუმ რომ ეძალებოდა, და საცოდავად იკრუნჩხებოდა ქარვა, ნახევრად ძვირფასი ქვა — დილის უმწეო ქალი, როსა, უკანასკნელი ორმოცი გროში რომ დაუტოვა სიყვარულისთვის, მადლობის ნიშნად, და კიდევ ერთი, შავად აციაგებული, ყველაზე ღრმა და იდუმალი ქვა — ორ გიშერთაგან ერთ-ერთი, ალექსანდროს უფროსი ძმის, მიჩინიოს ავად პატიოსანი ძვირფასი თვალი ცეცხლში იწვოდა... მაგრამ იმდენი ავაზაკის ციგ ელვარებას რას ეყოფოდა მხოლოდ სამი ქვა, იმოდენა ბრბოს სად გასწვდებოდა და აუარება ძვირფასი, ნახევრად ძვირფასი და ყალბი თვალის ატკაცუნებულ წვას მოკუნტული და გაოფლილი მისჩერებოდა დომენიკო, მგზავრი, და, აწრიალებულმა, მეორე გიშერს რომ დაადგა მოწყალების მაძიებელი, ჯიუტად გაფაციცებული თვალი, ჰეე, რა მწარედ ესიამტკბილა, რომ მასაც, მგზავრსაც, მშობლიური სოფლის გარდა, თავისი ქალაქი, თეთრი კანუდოსი, ჰქონდა—ჩვენ ხომ... ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენი ქალაქი, ოღონდ ხანდახან არც ვიცით ხოლმე, როგორ არა გვაქვს, ანდა, გვექნება თიხის სპეტაკი, მომცრო სახლები მდინარის პირას, მცირე აღმართს თეთრად ამოყოლილნი, აბზინებულნი დილის გრძელ, ირიბსხივება მზეზე... და მთვარის ბაცად სიფრიფანა შუქზე რბილად აბრჭყვიალებული, მცირედ დაბუქებული კანუდოსი... იწვოდნენ უჩვეულო ბედნიერებით გაჟღენთილი — თაბისუფლებით პირთამდე სავსე ვაკეიროები, და დიდ, პირქუშსა და შავად ლამაზ ქვას, მეორე გიშერს მოედო ცეცხლი— ეს კანუდოსელთა თავკაცი, კუშტად შემართული კონსელეირო მენდეს მასიელი, იწვოდა... და მთელ ძვირფას ქვებს, იმ ერთის გარდა, მყისვე მოედო ცეცხლი — მწვანედ ბჟუტავდნენ ზურმუხტები, ლურჯად, მოცისფროდ იკლაკნებოდნენ ფირუზები და საფირონები, ყვითლად იღვენთებოდა ქარვა, წითლად ბრიალებდა ლალი, იქვე კრთებოდნენ მარგალიტები, ზღვათა უცხო, ღრმა წიაღიდან ამოსულნი და შეუმჩნეველ დაღმართს მიუყვებოდა კანუდოსელთა გრილი, მარად ახალი მდინარე, და განბანილი კანუდოსელების ამბავი ოკეანეში ჩაჰქონდა, აქ კი, მაღალ სოფელში, რა ფერადოვნად, რა ღირსეულად იწვოდა მთელი სამოსელი, სამოსელი პირველი ახლა, და მუქ ლურჯ კვამლად აჰქონდა ჩაუქი მწყემსების ამბავი კოცონს, იწვოდნენ გრეგორიო პაჩეკო — დოლის ჯადოქარი და დიდი მჭედელი სენობიო ლადოსა, იწვოდა სერტანაში დარჩენილი, ყურმოჭრილი ტოგო, ვაჟკაცი; იღველფებოდა მასთან დარჩენილი უთქმელი ძმა, გარდაუვალ სიკვდილზე ხათრით წასული, ვინ რა იცოდა, მდუმარებისას გულში რა ედო, და მესაძე ძმა მათი, შურისძიებით გაუმაძღარი პრუდენსიო... იწვოდნენ ნაღდი ვაკეიროები — ინოსენსიო, რაღაც-რაღაცებით გამორჩეული და ველინო, მიკარგული და შეუმჩნეველი; იწვოდნენ მათი ცოლები, დები, დედები, შვილები, სტუმრად ამოკუნტრუშებული შვიდი სხვადასხვანაირად შეყვარებული და ჩაცმულ-დახურული ქალიც იწვოდა ოქრომკედში და აალებულიყო კენტი როხასი, ვისაც ერთადერთს, მამაკაცთა-

---

გურამ დოჩანაშვილი
აღმართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან, გადარჩენა მიესაჯა... ტივზე შემდგარნი, გაყუჩებულნი, მოყვარულ თვალთაგან მძიმედ შორიშორდებოდნენ გასახიზნები — მოხუცები და ქალები, ბავშვები... ბავშვები... ნაღვერდლდებოდნენ დაქვრივებულნი — ჟოაოს ცოლი, მარიამი, და მანუელა, თეთრი მწყემსი... კალაბრიაში კი, შორს, მიწაში იწვა უცნაური ქალი, მირცა, ვისაც წინასწარ შეეძლო კაცის დაფასება... იაგუნდებად ელვარებდნენ აეს ქალები, და ალმასებიც რომ წამოალდნენ, სუნთქვა შეეკრა დომენიკოს, ნაბიჯი წარსდგა, და მონუსხული მიაჩერდა ცეცხლს — რადგან ეს დიდი, დიდი, დიდი კანუდოსელები — ზე მორეირა, მანუელო კოსტა, ჟოაო აბადო, მოხუცი სანტოსი და დონ დიეგო — დიდი კანუდოსელები იწვოდნენ!

და მხოლოდ ერთ ქვას — დიდ ამეთვისტოს ვერ ედებოდა მრისხანე როკვით შეპოტინებული ცეცხლი, სხვები — იწვოდნენ: ლტოლვილი, მაღალ სოფლად ღამით ამოხვეწილი, და მისმიერი უცხო ამბები — მასაი როგორ გახდა და წვიმებიანი ამბავი წინამძღოლზე, და მტაცებელი მცენარეების ზნე; იწვოდა ლტოლვილის ცინცხალფერება, ბუნდოვნად დამახსოვრებული სამშობლოს, იმ კლდის, ბუნებასა და ვიღაც ახირებულ მოქანდაკეს პეშვისთვის რომ დაემსგავსებინა და ზედ პატარა ობოლი იდგა, და იქაური ქალიშვილების, დოლის გუგუნში გრილტანა ხეებს რომ ეტრფოდნენ, ამბავი; იწვოდნენ სოფლად მხოლოდ ერთი ღამით დაბანაკებული ჯამბაზები, კუნაპეტში ჩირაღდნებათამაშებული, ცალშიშველფეხმოდუნებული ქალი და მისი შემყურე ნერწყვგამშრალი, წოწოლაქუდიანი, თეთრად სახემოთხაპნილი ბნელი ჯამბაზი — ზეზუხბაია; და იქვე, კოცონთან მდგარი ხალხიც კი, მაღალსოფლელები, რომელთა სახეებზეც აგერ, ა, აქვე, ცეცხლი რიალებდა, ისინიც კი თითქოს იწვოდნენ მიღველფილ, იმოდენა სიმხურვალით ჩამომდნარ სამოსელში — ბიბო და გვეგვე, მათი ცოლები, ნანდუ და [illegible] ვოსანი დედა, კოჭლი ყმა, დიდი, სევდიანი გლეხი, ყველა ისინი, მიწის ხალხი, მიწის კაცები, — მხვნელ-მთესველები, მეგუთნეები, მთიბავები, დროდადრო გაკალატოზებულნი, გამწყემსებულნი — ყველა იწვოდა სამოსელში, იქაურებიც, აქეთურებიც, და მხოლოდ იმ ერთს, ერთადერთს, იმ ჯიუტად მოელვარე ქვას, მაინც რამდენი უწრიალა და, ვეღარ მოედო ვერასდიდებით ცეცხლი, იცოდა მგზავრმა, ვისი ქვაც იყო დიდი ამეთვისტო, კარგად იცოდა, და ყელში მარწუხებწაჭერილი, სუნთქვაშეკრული, ცრემლებმომდგარი გავარდა წრიდან, ჯერ, განათებულს, ზურგით მიჰქონდა თითქოს ცეცხლი და მერე, გლეხთა თვალს რომ მიეფარა, გულზე ჯვარედინად მიედო ორთავე ხელი, მიწისკენ ძლიერ გადახრილიყო და, მოკუნტული, ისე გარბოდა, თითქოს ეცემოდა და შესაჩერებლადაც ვეღარ იოკებდა თავს, იმ მდინარისკენ, შუაგულ ტყეში რომ ჩადიოდა, მიილტვოდა და გულში ზლუქუნებდა — ანა... მარია... აანა-მარიაა!

ღამეულ ტყეში მიბარბაცებდა, აქოშინებული; გატრუნულ ხეებს ეჯახებოდა, გმინვა-გმინვით და ხელის ფათურით მიიკვლევდა გზას, ჰოი, ბეჩავი... სახეზე მსუბუქ სილად გადასდიოდა გაზაფხულობით ძალიან რბილი, მოქნილი ფოთლის გრილი შეხება, ფეხქვეშ კი შარშანდელი და შარშანწინდელი, და კიდევ უფრო შორეული, ჯერ — დაჭკნარნი და ტყის სისოვლეშეყოლილნი მერე, ძველი ფურცლები მსუყედ და მძიმედ შარიშურობდნენ. მდინარისაკენ ალალბედზე მიაბიჯებდა დომენიკო, მეგზურად მხოლოდ შორეული მდინარის ჩუხჩუხი ჰქონდა, სად მიდიოდა დაბნეული მგზავრი, რას დაეძებდა, რამ არივ-დარია, რაღა უნდოდა, ვიღა სურდა, ნუთუ სოფელშიც, მაღალ სოფელში ღამღამობითაც კი არ ეწერა სიმშვიდე, წოლა და მოსვენება, ღიით — დინჯად თესვა და ხვნა, სულ ასე უნდა ევლო და

ევლო? კი, რა თქმა უნდა, და მდინარისკენ ჩაუყვა იმ სიბნელიდან ძლივსღა გამორჩეულ, ზმანებასავით ატივტივებულ ბილიკს, ჩაიმუხლა და ცივ მდინარეში ხელი ჩაჰყო... გაირინდა. გატრუნულიყო და რაღაც შორეულს, მარად ახალი მდინარით ჩამოტანილს, მიუგდებდა ყურს... ასე იყო და, უცებ, ერთბაშად ამოძრავდა — გადაიხარა, ფსკერიდან ლამი ამოიღო, პეშვში მოწურა, წყალი გაადინა და ღონივრად მოზილა მერე, მიწა შეურია, გაამაგრა და ისევ მდინარეში ამოავლო, აატალახა. სათუთად ეპყრა ხელთ ეს უცნაური რამ შეხამება, დალბილებული თიხა: თან — ტალახი და თანაც — როგორი ვრცელი, ყოველივესი შესაძლებლობა, თან— მორჩილი და ჯიუტიც როგორ... დასცქეროდა და თუმც ვერა ხედავდა, გაჯიუტებული დასჩერებოდა აიმ თავისას, ერთადერთ პეშვს, დარბილებულსა და ვიღაცის ხელით უკვე ნაჯიჯგნს, ნაგვემს, თითქოს ადვილად დასამორჩილებელსა და დამყოლს, მაგრამ აჰ, აჰ, ვერა... გამწარებულმა, მაგრად მოსრისა, დააგუნდავა, და ჯერ სხეული გამოძერწა, სასაცილო და ამაზრზენი ალბათ, სულ ვერა ჩანდა... ეს მიწის ქალი იმედად სურდა, თუ როგორ, რატომ, აღარ იცოდა, განრისხებული, ჩამუხლული, კუშტად ძერწავდა, მიახლოებით გამოჰყავდა თავი და ხელი, და ისე შეკრთა!— ღამის ფრინველმა დაიწივლა ღამეულ ტყეში... წასწრებულივით შეშინებულმა, ისეთნაირი გამეტებით მოისროლა მიწის ქალი, თითქოს იმისი ბრალი ყოფილიყო ის საზარელი შეწივლება და იქ, მდინარეში, სადაც ჩავარდა ის მცირე ქალი, განათდა ვითომ, და ისე გადაფითრდა საბრალო, მგზავრი, რომ აქეთ ახლა ის გამოირჩა კუნაპეტში და, ერთიმეორეს რა უცნაურად, და სხვადასხვანაირად როგორ, შეჰყურებდნენ: თავზარდაცემული, გაშეშებული დომენიკო ადგილზე ძრწოდა, ვერ აშორებდა დაბრიყვებულ თვალს — ფესვებგაჩაჩხულ კუნძზე, თავმომწონე მაჯლაჯუნასავით რომ გაეშვირა ნაზად დარხეული მახინჯი მკლავები, შეღებილი ქალი იჯდა, ყვითლად აბზინებულ ტანზე იისფერი გადასდიოდა, მძიმედ ჩამოშლილ თმას გრძელი, ავი ფრჩხილებით ივარცხნიდა და რაც ყოველივეზე საშიში იყო, თვალებში უნდო ღიმილით შესცქეროდა დომენიკოს, მდინარის პირას ჩახეტიალებულ მგზავრს, იქ რა უნდოდა, რა ძალა ადგა... თუმცა, რა მისი ბრალი იყო ეს — ჩვენ ყველას გვადგას ჩვენ-ჩვენი სხვისი ძალა, ოღონდ ძალიან ხშირად არც ვიცით ხოლმე და ფეხზე წამოდგა, გაირინდა დომენიკო, აღარ იცოდა, პირი ებრუნა თუ არა, საშინელებისადმი ზურგის შექცევას ისევ მისკენ ყურება სჯობდა, იდგა, გახევებული, სუნთქვაშეკრული, ტყის მდუმარებაც — ეხამებოდა, მაგრამ ნიავმა წამოუბერა და მკრთალი ლანდები ოდნავ შეირხა ტყეში... ხეზე ჩამოცურებული ჩრდილი... თითქოს შებარბაცდა დომენიკო, მაგრამ სხეული შეიმაგრა და მიმოიხედა, ბნელოდა, ბნელოდა, როგორ ბნელოდა, და მაინც იმდენნაირი რამ საოცრება გატრუნულიყო ღამეულ ტყეში... თვალები მოისრისა და, წეღანდელზე მეტად დაზრინა — სიჩუმე იდგა. უშველებელი, ერთიანი... სიჩუმეში კი, რამდენი რამ, რაოდენი რამ, აურაცხელი, იყო — იყო მდინარის ავად მოშრიალე ხმა და იყო ნიავი, ფართო და უზარმაზარი, გაუვალ ტყეში მაინც მსუბუქი და მოსხლეტილი გველივით რომ დაძვრებოდა ტოტებშუა; იყო ქუხილი, ყველაფრისმძლე, მგრგვინავი, გამაყრუებელი; იყო მუქარაც, უხმო სიშავედ მხრებს დაწოლილი, მაგრამ ყველაფერზე მეტად ამაზრზენი იყო სიჩუმის გულგრილობა — საზარელი, ამორჩეული არცოდნა. ხეს მიეყრდნო და ერთხანს ასე იყო, მოღონიერდა თითქოს, და მერამდენედ, ისევ შეკრთა — ხის უკან ვიღაცა იდგა... ჯიუტად მომლოდინე! — აჰაა, აჰა, ხომ მიეახლა ბო-

გურამ დოჩანაშვილი

ალმართი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლო-ბოლო, თავისი ფეხით, ყმაწვილი მგზავრი?... — რა გულიანად, უსიტყვებოდ იქადნებოდა, მაგრამ ვინ იყო — ვეღარ გაბედა დომენიკომ, დაენახა და, შეძრწუნებული, ფრთხილად იხევდა, ფეხისგულებს შიშით ვეღარ აცილებდა მიწას, ისე მიჩოჩდა უკან, სხვა ხესთან, ზურგით მიეყრდნო, შეტრიალდა და გაშრა — იმ ხის უკანაც იდგა ვიღაც — ყოველი ხის უკან ვიღაცა იდგა! ალყაშემორტყმული, თავზე ხელებშემოხვეული, წინგადახრილი, ერთიანად ცახცახებდა, მხრები, ხელები, თითები, მუხლები უთრთოდა, ყველაზე მეტად კი მორკალულ ხერხემალს ეშინოდა... ჩაშავებული კენწეროებიდან რაღაცეები დასცქეროდნენ, და მძიმედ მოიწევდნენ დაბლა. ვეღარ გაძლო და ადგილს მოსწყდა, მდინარისაკენ გაიქცა ისევ, წყალში შეტოპა, ფსკერზე თეთრი ქვა გამოარჩია, ეამა და სანამ გახარებას მოასწრებდა, ისევ ის შეღებილი ქალი! — კვლავაც თვალებში შემოჰყურებდა, საოცრად მკაფიოდ და ბუნდოვნად მოუჩანდა გაღიმებული, ოდნავ განზე მიქცეული ტუჩები და თვალებიდან ბომწვანო-მოყვითალო მზერა გაყინული შუქივით უკამკამებდა. და, ესღა აკლდა — გაოგნებულს, ზურგზე ვიღაცამ ცივი თითები ჯერ მსუბუქად დაჰკრა და მაშინვე ფერდებში ისე დაზრინა, თითქოს იმ ვიღაცამვე გაყინული ხელები სტაცა და აყვანა დაუპირა. გაუძალიანდა და ერთხანს გაუსხლტა, მერე კი ის ყინულოვანი თითები უზარმაზარ, საკუთარ ნეკნებად გადაექცა და ისე შემოეჭდო, ისე შემოესალტა, ისე ხუთავდა... ნაპირზე ამოხტა, ფეხი დაუსხლტა, კინაღამ წაიქცა, პირველსავე ხეს მივარდა და ჩაეხუტა, ფეხებიც შეშოხვია, გრილოდა ტყეში, უფრო აგრილდა, ეყინულოვნა და ისევ გახტა — აის ვიღაცა იქაც იდგა... ყოველი ხის უკან იდგა ვიღაც! მოლის შუაგულში გავარდა, და მაინც იქვე შორიახლოს, ირგვლივ, რაღაც საზარელი ამოდიოდა, მოდიოდა, იზრდებოდა, ხეებს მიეყრდნო, მიეძალა და გაფართოვდა, გაიბერა, შეიკრა, ამოიზარდა, ეს შიში იყო — ღამის ყვავილი. მუხლებზე დაეცა, გადაიხარა, სახე მაღალ ბალახში ჩარგო, ფეხები გაშალა და პირქვე გაწვა თუ არა, გამწარებულმა მოგლიჯა გვიმრა, მერე ნედლ მიწაში ჩაასო თითები, ღონივრად მოფხოჭნა და შორს მოისროლა; მიწას გახელებული თხრიდა, ორმო უნდოდა ამოეთხარა და ჩამალულიყო, და მათრახგადაჭერილივით შემართა ზედატანი — შორიდან, ტყიდან, მისკენ სინათლე მოირწეოდა, „ის მოდის, მოდის....“ — გამწარებული, ლოყით გაეხახუნა მიწას, ისევ გამალებული თხრიდა, ეგებ მოესწრო, მაგრამ დაშინებული თვალი განზე რომ გააპარა, უფრო ახლოს დაინახა სინათლე — „მოდის.. ის მოდის...“ ვინ ის, არც იცოდა, მანამდე არნახული, საზარელი რამ არსება ალბათ, „მოდის, ის მოდის!“ პირქვე განერთხო და თავზე ხელები შემოიხვია, ახლა ყველაზე მეტად კეფას ეშინოდა. და ნაბიჯების ყრუ, მოგუდული, ღონიერი ხმა — „მოდის, მოვიდა, ისიც მოვიდა!...“ გასრისა შიშმა, ხელები მიწაზე ჩამოუვარდა, და მთელმა სხეულმა შესწყვიტა ცახცახი, მკრთალადღა ჩაესმოდა ნაბიჯების ხმა; დამძიმებული და მომჩვარული, პირქვე იწვა სასტიკი, გამათავებელი დარტყმის მოლოდინში და ეს მოლოდინიც კი გაქრა, მიილია ერთხანს, მერე მაინც შიში დაეხმარა და ისევ იგრძნო კეფა, მაგრამ მცირე ხნით, კვლავაც ბურანი ჩამოწვა და მიდიოდა, მიდიოდა, იპარებოდა, ადგილზევე უცნაურად ლღვებოდა — უმწეოდ მიგდებული სხეული აჩიჩქნილ მიწაზე რჩებოდა, თავად კი, თვითონ, სადღაც ძალიან შორს, გადაკარგულში მიდიოდა... ტკბილი იყო ეს წასვლა და შვებისმომგვრელი, მაგრამ მაინც გონს მოეგო და შიშმა ისევ რკინად უქცია მთელი სხეული, რომელზედაც ორად ორი სიტყვა ჟღრიალით გადასდიოდა — „მოვიდა, მოვიდა, ისიც მოვიდა...“ თავის აწევა უნდოდა და ვერა ბედავდა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიწაზე იწვა, მიწის მანუგეშებელსა და შემზარავსაც ერთდროულად, ძალუმ სუნს გრძნობდა, და აიკრიფა, აიწურა, მთლად გაფაციცდა — ვიღაცამ, საღღაც, სულ სხვა ადგილას, ა, ამ მიწაზეც, რაღაცა კარგი და სანდო უთხრა... ვერ იხსენებდა და დაიძაბა, მაგრად დახუჭა თვალი, და იმ მისულმა როგორც კი ხელი დაადო მხარზე, ნაიარევი აუხურდა და მიჩინეო და მისი ნათქვამი — რომ დედამიწას სიყვარული ატრიალებდა — გაახსენდა და იმედით, რწმენით შემართა თავი — კი, მამა იყო, იმ კუნაპეტში თალხ ლაქად ადგა. მყისვე წამოჯდა დომენიკო, დაწრეტილ ძარღვებში სიხარულმა დაუარა, გაბრუვდა და მხარზე დაუვარდა თავი. ერთხანს თვალდახუჭული იჯდა, ღონეს იკრებდა. და მერე ისევ აფორიაქდა — ორიოდ ნაბიჯზე გაეცალა მამა, და, შორიახლოდან, გამომცდელად თავს დაჰყურებდა. და დომენიკოს კიდევ რაღაც, რაღაც აუცილებლის მოსმენაც მოუნდა, რომ დამშვიდებულიყო — სიტყვა უნდოდა, ორიოდ ღერი სიტყვა სწყუროდა, და მამისაკენ გახოხდა. მუხლებით მიწასა და ფოთლებს ეხახუნებოდა, და ტყე ღონივრად ისრუტავდა ამ ჯიუტ შხარუნს; მერე კი, სიჩუმე რომ ჩამოდგა, დაჩოქილმა დომენიკომ ხელისგული მიადო მამას მუხლზე, ახედა და შეევედა:

— ნურაფრის მეშინოდეს?

მამა დაფიქრებული დასცქეროდა, მერე თავზე დაადო ხელი და უთხრა:

— ნურაფრის გეშინია.

და მუხლმოყრილმა დომენიკომ, შვებამოგვრილმა, განთავისუფლებულმა, ერთიც ახედა, აფორიაქდა, და ყველაფრის თქმა დააპირა, თავს რაც გადახდა დაკლაკნილ გზებზე, მაგრამ იქვე გაშრა — ყოველივე კარგად იცოდა მამამ, მშვენივრად მოეხსენებოდა ყოველი, ისე დასცქეროდა და დომენიკომ, დაბნეულმა, თავი ჩაღუნა; რაღაცა უნდა მომხდარიყო, რაღაც ელოდა, ფრთხილად, შეპარვით ააყოლა მოწიწებული თვალი, და დაძაბული შეაცქერდა — რა ღონივრად, როგორ მკაფიოდ დასცქეროდა მამა... და უცნაური, საჭიშმანო განაჩენის მოლოდინში კვლავ მიწას დასწვდა, ფრთხილად მოფხოჭნა, წყლით გაჟღენთილი პერანგის სახელოები ჩამოიწურა, აატალახა მცირე მიწა და ისევ, კვლავაც, ეს მერამდენედ ცოდვილობდა, უსუსური და უცხო, მიწის უბრალოდ გამონაგონი ადამიანი რომ გამოეძერწა, ცოდვილობდა და ვერაფერი გამოსდიოდა, მხოლოდ ხელები მოეთხვარა მაღალი სოფლის კუთვნილი მიწით, და ესეც, ესეც კი საქმე იყო და, ერთბაშად აწრიალებული, არეული, სულაწეწილი, მამის განაჩენს, დამჭკნარ ფოთლებზე განერთხო და ისე უცდიდა, იმანაც, უთხრა:

— ორჯერ გიბოძე სამოსელი პირველი, დომენიკო, — დინჯად ჩამოსცქეროდა,—და მესამედაც გიწყალობებ — მე მოგცემ სიტყვას შენ, დომენიკო.

რა, ეს რა უთხრეს, გაბრუებული წამოჯდა მგზავრი.

— კარგად იცოდე, დომენიკო, სამოსელი პირველია სიტყვა. შენი ამბავი ცად კი ავიდა, მაგრამ ჩვენთანაც, შენიანებთან, უნდა დატოვო.

თავჩაქინდრული იჯდა, უსმენდა.

—მრავალ ქვეყანას აგაშენებინებს, და უცნაური მეფე დადგები — ბევრი ყმა თუმცა კი გეყოლება, შენ მაინც ყველას მონა იქნები. და სული შენით ედგომებათ. გამიგე?

— დიახ.

— და მაგ სამოსელს რაც უფრო მეტ ხალხს გადააწვდენ და გადააფარებ, უფრო მდიდარი შეიქმნები, უფრო ტანჯული... გაწამდები და, გაიხარებ... სიტყვის თამაშად ნუ ჩამომართმევ — უბედნიერესი უბედური იქნები... და დატანჯული. თუ გესმის...

— დიახ.

— და სახელადაც უცხო სახელს, დომენიკოს გარქმევ, სიტყვებიდან დომი-

---

გურამ დოჩანაშვილი
ალმართი

ნუს, დომინიონ, და დომენ... ყურს ხომ არა გჭრის?

— არა. ცოტათი...

— არა უშავს რა, შეეჩვევი... და სიძულვილიც თუმცა კარგად უნდა შეგეძლოს, ისიც ყოველთვის, განუყრელად უნდა გახსოვდეს, თუ დედამიწას რაც ატრიალებს. გამიგე?

— დიახ.

— და აი ამ ქვას, დომენიკო, აღარასოდეს მოიშორებ.

გულზე კანაფით ჩამოჰკიდა დიდი ამეთვისტო — ცეცხლმოუდები, მეუფიანი, ანა-მარიას მოციაგე ქვა.

— ეს ლოდზე მძიმე იქნება, შვილო. აჟრიალებდა, მგზავრს.

— ძალიან ბნელა? — იკითხა მამამ.

— ძალიან, დიახ.

— მაგრამ მე — მხედავ?

— ძალიან გხედავ.

— დამიმახსოვრე.

მდინარის პირას ჩამომჯდარიყო გაბრუებული, აღზევებაშემდგარი მგზავრი, და ტუჩზე რაღაც უცხო განზრახვა, რაღაცის წვდომა ბალღმანარევ თაფლად ეცხო და, ხან მოურგები და ჭრელა-ჭრელა, ხანაც — ძლიერი, სავსე, ჟღერადი, ფერადოვანი სიტყვებით ფუტკრებივით გუნდად, ზუზუნით დასტრიალებდნენ, რაოდენი რა გამოერჩია, აღარ იცოდა, თავად კი, მგზავრი, თვალნათლივ სჭვრეტდა ცეცხლში წამომართულ, აგიზგიზებულ სამოსელ პირველს, რომლის ყოველი, ოქრომკედით შემოქარგული უძვირფასესი თუ ყალბი თვლიდან, კამორული თვლებამოქარგული ფარდის მსგავსად, ათასი ვინმე უჭვრიტინებდა, ზოგი — გონჯი და სულით მდაბალი, ზოგიც — სხვაგვარი, და მხარზე გრძნობდა მოხუცებული, ბრმა გოლიათის მოუთმენელ ხელისგულს, ზურგსუკან ედგა, იგი, სწორედ ის უნდა წაეყვანა თავის უცნაურ სამფლობელოში და ჯერ თავადაც არ იცოდა, რანაირად დაძრულიყო და, ან სად მიდიოდა, რა როგორ ეთქვა, საიდან დაეწყო — რომ დაიბადა? აჰ, არა, არა... გვეგვედან, ძმიდან? არა, იჰ, არა... და თვით მამასაც, ყველგან რომ იყო, ასე ადვილად, დასაწყისშივე, ვერ შებედავდა... სიტყვებს ეძებდა მარად ახალი მდინარის პირას, იტანჯებოდა ღამეულ ტყეში, და შორს, ცისკიდურს დიდის იმედით ავედრებული მიაჩერდა და — ჰეე, თენდებოდა... გათენებიდან უნდა დაეწყო, კი, ასე სჯობდა, ხომ ისევ აქ ხართ, მოდით, ჩამჭიდეთ უკანასკნელად ეგ უნდო ხელი, ხომ კი სჯობს ასე, მშვიდად დაწყება დამთავრებისას, აჰ, შევეჩვიეთ ერთმანეთს, მგონი, გზადაგზა რასაც კი გპირდებოდით, შეძლებისამებრ ვასრულებდი და სწორედ ახლა, დამთავრებისას, ერთი რამ უნდა შეგახსენოთ — ალბათ არ გახსოვთ, მე რომ გითხარით, რომ არ არსებობს ქვეყნად ამბავი, რომ ჰქონებოდეს ოდესმე ბოლო-მეთქი, და არ იფიქროთ, ნუ გეგონებათ რომ აი ახლა, დამთავრებისას, გამომიჭირეთ — თუმც სისულელით ისიც წამომცდა, გამოსავალი არსებობს-მეთქი, და — მივაგენი, რა, არა გჯერათ? აგერ არა ვარ, როდის რა მომიტყუებია, და ახლაც, კეთილო, მოთ, მოდით, მივდგეთ და ეს ამბავი სუულ თავიდან დავატრიალოთ, გათენებიდან, ვაბრუნოთ ასე — ჯერ კიდევ ძალიან ბნელოდა, მხოლოდ ერთგან, დასალიერზე, თითქოს ოდნავ გაბაცდა ცა. წვიმას ახლახან გადაეღო, წვეთები უხმაუროდ სხლტებოდა ერთი ფოთლიდან მეორეზე და აკანკალებული, გალუმპული, ერთიანად სმენადქცეული ლტოლვილი ყურს უგდებდა ამ ილაჯგამოცლილ ჩქამს. ყოველნაირ ხმაურს აიტანდა იგი, გარდა ფლოქვების თქარათქურისა, წამდაუწუმ მდევარი ელანდებოდა და, ღონემიხდილი, ორივე ხელით ჩაჰბღაუჭებოდა სველ ტოტებს. აქამდე ვერავინ შენიშნავდა, ისე გატრუნულიყო, ხეს ჩახუტებული; ახლა კი, გათენებისას, როცა ძალიან აცივდა და შეწუხებული ლტოლვილი აწრიალდა, იმ გაბზარულ სიბნელეში აშკარად გამოირჩია მისი ჩაშავებული, მოძრავი სახება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშინლად ეძინებოდა, შლივს იმაგრებდა დამძიმებულ თავს. კიდევ კარგი, რომ იჯდა მაინც — იმოდენა აღმართის შემდეგ დაღლილ, გადატყავებულ ფეხებს ასვენებდა. აქ, ხეზე ამძვრალს, ძაღლებიც ვერ შესწვდებოდნენ, თუმცა, ყეფა არც გაუგონია. ცოტათი გამხნევდა და იქვე მოშივდა. უბეში ჩაიყო შეციებული თითები და პურის ყუა ამოაძვრინა. ნელა, აუჩქარებლად იღეჭებოდა, მაგრამ ერთი ბეწო პური იყო და ჩქარა შემოეჭამა. უფრო აეშალა საღეღელი, სოფელს მიაჩერდა, სადაც საჭმელი უნდა ეშოვა. ოდნავ გამოიკვეთა სახლები, ისევ შეათვალიერა მიდამო და უცნაურმა შიშმა შეიპყრო: მდევრებისა კი არ ეშინოდა, სულ სხვა რაღაცის — მაინც რა საოცრად, როგორ თენდებოდა!.. უნახავს კია როდესმე ისეთი უცნაური, მკვეთრად გამოხატული ფოთლები, ანდა ისეთი მყარი მესერი თუ უნახავს, იმ ბინდბუნდში თვალნათლივ რომ იკრეფდა ძალას... როგორ მოცურავდნენ სახლები ძალიან შორიდან, ლოდებიც რა დინჯად ამოდიოდნენ მიწიდან, ისეთი საშიში სიოც თუ უნახავს სადმე, გამთენიისას რომ სცოდნია და იმ სიოსაყოლილი მკრთალი ჩრდილების მიწაზე ბოგინიც რა უცნაური და შემაშფოთ... და შემაშფოთ... და შემაშფოთ... და შემაშფოთ...

„ნუთუ ყოველივე, — გაიფიქრა დომენიკომ, მარადახალი მდინარის პირას იჯდა, — ნუთუ ყოველივე ეს...“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მირიან მირნელი

ქართველ პოეტს მირიან მირნელს დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა.

ჟურნალი „ცისკარი“ ულოცავს პოეტს ამ დღეს, უსურვებს გელნიერებას პირად ცხოვრებაში და მრავალ შემოქმედებით გამარჯვებას.

•

ჩანს ფირფიტაზე ანაბეჭდი ვიღაცის ხელის,
ათასწლეულის წინ გამომწვარ თიხის ფირფიტას
შემოუნახავს ძალიან კარგად
მარტოდენ ხელის ანაბეჭდი, სხვა არაფერი...
იქნება, თლიდა ეს ხელი აკვნებს
და აღამებდა ყრმათა ჩვილთა ალერსში დღეებს,
ვით ანგელოსი, მიწყივ მლოცველი,
კეთილი თესლის გასაღვივებლად;
ან აშენებდა ტაძრებს და სახლებს,
სრა-სასახლეებს, ბურჯებს და ხიდებს
და თვითონ თუნდაც გაქრებოდა კვარივით უმალ —
ქარში გატანილ ფიჭვის კვარივით —
თუ ნასახლარზე გაჩნდებოდა ხელახლა ფუტი...
ო, იქნებ ასე იყო ყოველი,
მაგრამ ისიც ხომ შეიძლება:
შიშის ზარივით
თავს დაჰკიოდა იგი მყოვარ
ქალაქს და სოფელს, —
აშთობდა ყველას,
ვინც კი მიწაზე განგების ძალით
ჩნდებოდა მონად, უმწეო და უმეცარ მონად;
იქნებ ანგრევდა ხელი იგი ბურჯებს და ხიდებს
და ნაცარტუტად აქცევდა სახლებს,
სრა-სასახლეებს, ტაძრებს და კოშკებს
და სულს მიჰყიდდა თუნდაც ეშმაკსაც,
რომ ცრემლს ედინა და არა წყაროს —
ამ ღვთით გაჩენილ მიწაზე მარად...

* * * * * * *

ჩანს ფირფიტაზე ანაბეჭდი ვიღაცის ხელის,
ათასწლეულის წინ გამომწვარ თიხის ფირფიტას
შემოუნახავს ძალიან კარგად
მარტოდენ ხელის ანაბეჭდი, სხვა არაფერი,
და იმ ფირფიტას ვინახავთ ახლა,
ვითარცა ძვირფას რელიკვიას
გარდასულ დღეთა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

ცხელი, ცხელი ზაფხული...
ცივი, ცივი ზამთარი...
რა კარგია ამგვარი
რიტმიული ცვლილება,
ცხელი, ცხელი ზაფხული,
ცივი, ცივი ზამთარი, —
ერთიც მუდამ გვჭირდება
და მეორეც გვჭირდება.
დილის დნობა ცვილივით
და შუადღის ღიმილი,
ზაფხული და ზამთარი,
ელვა — ცაზე გამკრთალი —
გულზე მაქვს დაბჯენილი,
რომ ამ წყაროს ლიკლიკი,
რომ ეს გზა და ბილიკი,
მზე — მთით ამოწვერილი —
არ დამოკლდეს არასდროს
ყვავის სამას წელივით.

●

ტვირთს ეზიდება ჭიანჭველა ძალიან მძიმეს —
ცხრა ჭიანჭველას აიწონის, ალბათ, რომელიც,
ო, ტვირთს კი არა, ცოდვის კითხვას მიათრევს თითქოს
და ღვთის ნაბოძებ სანოვაგით ავსებს ნელ-ნელა
მიწისქვეშეთში მარცვალივით ჩაკარგულ ბინას, —
გაუმაძღარი წუთისოფლის ერთ ჭუჭრუტანას.

●

ქარი
დაატარებს
ყვითელ-წითელ ფოთლებს ქუჩებში
და გამვლელებს ფეხებში ებლანდებათ
მხურვალე მზეების აკიდოებით,
დიონისეს ხმამაღალი ხარხარით
და მოჟამული სიბერის შიშით სავსე შემოდგომა.

●

მწვანე
ფეხებით
გამორბოდა
ქარი
კორდიდან
და წვიმასავით თავფეხშიშველი —
იდგა ფერდობზე ხმელი წიფელი
და ბებრუხანა ყანჩასავით აპრილს კორტნიდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაქარია შერაზადიშვილი

საუბარი ლოდებთან

ქვისებრ

საჯილდაო ქვებით
მუხლს ვიმაგრებ ქვისებრ,
არასოდეს ვქრები,
შთამომავალს ვისევ.

ცას მივაწვდენ შილინდს
ქვათახევით, ქვაბღით,
ჩემი სამი შვილით,
სამი წმინდა დამღით.

საკარგყმოს და საძმოს
ქვას ვუგორებ მძევლად,
რომ ქვასავით გაძლოს
ასულმან და ძემან.

დუმილი

ლოდებო,
ვეება ლოდებო,
თხოვნით შემოგცქერით აზრიანებს,
ფიქრის და ოცნების მომდებნო,
დუმილის
სიბრძნეს
მაზიარეთ...

დუმილი სიბრძნეა ნამდვილი,
საზღაპრო, საარაკო, საიგავო...
და არის ღალატის წადილი,
თუ დრო დგას
სიავე აღიგავოს...

ლოდებო, ვეება ლოდებო,
დუმილის სიბრძნეს მაზიაროთ...
გზნების და ოცნების მომდებნო —
ბოროტი სიავის
საზიანოდ.

მოთმინება

მიწილადეთ,
ლოდებო,
ეგ ზღვა მოთმინება,
იმ წინათვე
გამჩენმა
თქვენთვის რომ ინება!

მაცალოს
სვებედმა,
არ ფუჭად მაქადაგოს,
ნაცვალნო
ღმერთების
გამოგაქანდაკოთ!

გამოვძებნე
ღონე რამ:
სულის ამოწვამდე
გამოძღვრებდეთ,
თავს გადგეთ,
რაა ამოძრავდეთ!

მიწილადეთ,
ოღონდაც,
უძირო მოთმინება,
იმ წინათვე
გამჩენმა
თქვენთვის რომ ინება!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პაპა როსტომი

პაპა მყოლოდა
კენარი,
მთასა და ბარსა შვენოდა
კლდესთან,
მინდორთან მრკენალი
ქვამ
მოიქცია ქვემოდან!..

ავგლეჯდი...
ძნელი როდია
გავტყორცნო
ტრიალ-ტრიალით...
მაგრამ,
ისეთი ლოდია,
სხვას მოიყოლებს
ტიალი!..

სიჭაბუკე... სიჩაუქე...

ლოდებო,
მარადიულ სიჭაბუკეს,
თქვენებრს,
ვინ მაღირსებს, ვინ მაჩუქებს!
გამჩენმა
განა მართლა დაგვიდგინა,
სხივი
რად ჩაუქრეს, ვის ჩაუქრეს...
ისევ,
გაუმარჯოს ერთიანი
სიცოცხლის მარადიულ სიჭაბუკეს,

ყველაფერს გვიწილადებს, გვიწყალობებს,
ის მოგვიძღვნის,
ის მოგვართმევს,
ის გვაჩუქებს!
ლოდებო,
მე კი შევძლო
მოგანიჭოთ
სიჩაუქე, სიჩაუქე, სიჩაუქე!..
მაგრამ, მარადიულ სიჭაბუკეს,
თქვენებრს,
ვინ მიბოძებს, ვინ მაჩუქებს!..

გ ა ძ ლ ე ბ ა

ლოდებო, არსად გაქვთ
ხურული,
ლაფარო,
ცაგადაბურულშიც
თავშეუსაფარნო!

არსებობთ უსაბნოდ,
უნალოდ,
უჭეროდ,
მშიერნო, მწყურვალნო,
უსმელნო, უჭმელნო!..

მაბოდებს
წადილი
თქვენებრი გაძლების...
და, რასაც ვამბობდე,
არ უნდა ნაძლევი.

ამჯერად
თქვენსავით
წავბაძავ ვეშაპებს
და ჩავთვლი სასჯელად
საკეტს და ქვეშაგებს.

როგორმე
არაფრად
ჩავაგდებ ყიამეთს...
ოღონდაც, მომქონდეს
ვინმესთვის სიამე!

მაბოდებს
წადილი
თქვენებრი გაძლების,
ვამბობდე,
მაქვს ძალი
ცრუ ზნეთა დაძლევის!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მესაიდუმლე

მე არ შემეძლო,
რაც გითხარით, თქვენთვის არ მეთქვა,
და თუ არ იტყვი,
შეიქმნება ცხოვრება დუნე,
გული ისეთი ვინმე არის,
იმგვარად ფეთქავს,
სჭირია მარად საიმედო მესაიდუმლე.

გთხოვთ პატიებას,
ღობე-ყორეს თქვენთან მოვედე,
ჩემს სიყვარულზე ლაპარაკი
გულს ვერ ვაკმარე...
ჩამთვლემს კმაყოფილს, რაკი მჯერა
დილის მოედნებს,
ამ სიყვარულზე
საჭორიკნოს არ გააკარებთ.

ვთქვი სათქმელი და
სიმძიმილით გული არ მითრთის,
ფერებში მუქში აკიანთდა ფერი ლაზურის,
სიყვარულიც, სიხარულიც მძიმეა ტვირთი,
ლოდებთან თქმითაც
გავხსენ გული გადარაზული.

მწამს, რომ არ მეთქვა,
მექნებოდა სიცოცხლე დუნე,
ლოდებო, გული ისეთია,
იმგვარად ფეთქავს,
დაეძებს მუდამ საიმედო მესაიდუმლეს,
მე არ შემეძლო, რაც გითხარით,
თქვენთვის არ მეთქვა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი ბაზაძე

•

აქ არაფერი, აქ არაფერი, დაფნების ცივი ფოთლების გარდა,
თუმც ფარდებს შენი ჩრდილი ეხება, მძიმედ შრიალებს
ფარდა.
და მე გავრბივარ, ცივი ტრამალი მიცემს, გულივით მიცემს,
შენზე ოცნების ჩუმი კივილით ვკაწრავ ქარვისფერ სივრცეს.
ეს მე გავრბივარ, იქნებ როგორმე დახრილ ჰორიზონტს
გავცდე,
არა რაღაცით,
არა რამეთი — გავსებ, სინათლით გავსებ.
და ვერც ვმშვიდდები, შიშველ მზერაზე ხტიან მთები და
ზღვები.
ვხედავ: მავანნი წვანან ნაპირთან და მიცურავენ სხვები.
ნუ დამიძახებ, ნუ დამიძახებ, ნუ დამიძახებ... ნუღარ,
ისე მიყვარდა ისე მიყვარდა, როგორც უყვარდათ...
უყვართ.
და ისე მძაგდა, ღია თვალებზე ცეცხლი მეფინა რისხვის,
და იღვრებოდა მაღალ კლდეებზე ჩემი სიმღერა — სისხლი.
მაგრამ მიყვარდა, მაგრამ ვუყვარდი, ვინმე მძულდა და
ვძულდი,
ხან ვმშფოთვარებდი, ხან ვყოყმანებდი წლობით, საათით,
წუთით.
ხან მოვდიოდი წვიმის ნიღბებით, ხან გვირგვინებით ეკლის...
მე აღარ მცივა, ტანგაძარცული — თოვლის ბრმა წყვდიადს
ვეკვრი.
მე აღარ მტკივა, თითქოს აღარ ვარ, არც ფიქრს არარა
მითბობს.
მე აღარ მტკივა, მე აღარ მტკივა, ტკივილი ვიყავ თვითონ.
მაგრამ ყოველთვის ჩნდება და ჩნდება სიმად დახვეულ
ტვინში,
არა ხიკვდილის
მხოლოდ, მხოლოდღა
არდასრულების შიში.
ვუცქერ: ცა შემრჩა თვალსასეირო, ცა ქართული და თბილი,
მე კი მეგონა შენი სხეული, თეთრი ღრუბელის ჩრდილი.
აქ არაფერი, მხოლოდ, მხოლოდღა თრობა ბედით და ბედთან

აქ არაფერი,
აქ არაფერი,
იქ, იქ რაღაა ნეტა?
მე კი გავრბივარ, მრჩება სოფელი,
ღელე, ბიჭი და
შუკა,
არ მომახედო, არ მომახედო — ძალზე შორია უკან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემს შვილს, პაატას

შენ — ჩემს ოცნებას — ანგელოზი შეეხიზნები
და საქართველო გამოჩნდება შენს წინ სიზმრებით:
თავის კრწანისით,
თავის გრემით,
თავის გელათით,
ვალში ჩადგები, შვილო, ჩემებრ ერთ დროს ყელამდი.

შენში იჩქეფებს უშრეტ სისხლად — ჩემში რაც არი,
დიდი ტრფიალი წინაპართა წმინდა საძვალის.

და თბილ ქარებით ნალაღობევ-ნაქილიკევი,
შენაც გაივლი საქართველოს გზა-ბილიკებით...

და სიხარულით მონაფერებ-ნაალერსევი,
მოკრძალებულად ჩაიმღერებ მამის ლექსებით,

შენ უნდა ენთო გაუხუნარ სითბოდ, ტრფიალად
და შხამზე მეტი უნდა შესვა სიტკბოს ფიალა.

და დადიოდე საქართველოს გზებზე ოცნებით,
ამ ლურჯ ზღაპრებით, ზამბახებით და მიმოზებით.

...გვიან კი, როცა გაუღებ კარებს
შენს მშვიდ სინათლეს და სტუმარივით
შეეაცქერდები —
აღარაფრისთვის
არ იმოძრავებს ჩემი ხელები,
არ იმეტყველებს ჩემი ბაგენი,
არ იწრიალებს ჩემი ენებანი,
არც ჩემი ფიქრი არ ისხმარტალებს
ჭრელ ჭიასავით, როდესაც კუდზე
ფეხს დაადგამენ...
აღარაფრისთვის
არ გათენდება ჩემი ცრემლები
ცივ უპეებზე...
აღარაფრისთვის
არ დამჭირდები სინათლევ, ჩემო!
ახლა გეძახი, ვიდრე ენებები
მშიერ მგლებივით გზად მოგყმუიან,
ვიდრე ხელები გრძნობენ შენი
ტანის სისავსეს, ვიდრე თვალები
ვერ მალავენ შენი ნდომის ველურ
სიხარბეს,
ვიდრე ბაგენი ჩურჩულებენ
შენს მარტივ სახელს, ვიდრე
ჩემი ოცნება ჩასთვლემს
გზებზე წანწალით ქანცმილეული, —

ჩამჭიდე ხელი, ვიდრე ცაა ასე მაღალი!

უთვალთვალებენ ჩემს წყურვილს, წადილს,
ფშანიდან წერო, ზეციდან ქორი.
მოდი და მნახე, მნახე და წადი,
თან გაიყოლე ცრემლების თქორი.

მერე განათდი ჩემს მაღალ ხმაში,
ჭრელი აპრილის ზურგვერცხლა ქერცლით,
ვით დახშულ ყურთან ძალუმი ტაში,
ვით ბრმა თვალებთან ტკრციალი ცეცხლის.

რომ ვთქვა: ჩემი გზა თითქო ეგ არი —
შენი უდაბნო, შენი ედემი...
იბჯენენ მკერდზე ჩრდილებს ქედები
და გრილ ქარს შუბლზე იფენს ზეკარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახლა გაზაფხულს სხვაგვარად ახსნის
გამოღვიძება შენი სხეულის
და მიწიერიც და ცისეულიც
ჩამოღვენთილა შენს შუბლზე აზრი.
მე კი ძლივს მახსოვს... და ახლაც ჰყვავა
წყალწითელაზე ალუჩის რტონი,
მე შენში ლბილად ჩამწდარი ხმა ვარ
და მკრთალი ჩრდილი თებერვლის თოვლის.

და ძლივს ვიხსენებ იმ ვიწრო ბილიკს,
კი არ ვიხსენებ, მახსენებს შენი —
(ზმანება): თმები — წვიმები თბილი,
(ზმანება): ტანი — დამფრთხალი შველი.
კი არ ვიხსენებ, მიმაფრენს წუთი,
წუთი — ხსოვნაში გაჩრილი სოლი,
და სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის
მდგარი — ზენაარს მადლობას ვუთვლი!..

...ასე მგონია, ასე მგონია, მიწვდი, თბილ ხელებს მიწვდი,
მე კი ვერთობი ფიქრთან თამაშით, გაგირბივარ და გიცდი.

როგორ გაფრინდა მწვანეყვავილას მოსაგონარი ბევრი,
ტაძრის ეზო და თეთრი გუმბათი — ტევრი,
ტევრი
და ტევრი;

ტევრი ყვავილის და თმათა ტევრი, ტევრი ცდომის და
ცოდვის...
ეს როდის იყო? როდის იყავი? მართლა იყავი? როდის!...

დარეკეთ ყურთან ჩემი წარსული — ოქროს წკარუნა ზარი,
აქ არავისთვის არა მცალია, მივემგზავრები მგზავრი!

• საუბარი ჰამლეტის თეატრალურ ნიღაბთან

ჩემი თვალები დაცარიელდა
გაუხუნარი ლურჯი ფერისგან,
დგას ფიქრი გზათა დასალიერთან
და იცქირება მწვერვალებისკენ.
და მოირხევა სიშორე — ნისლი,
ყვითელ ფლატეებს აწყდება ქარი,
მხვდები შენ, ჰამლეტ,
მხვდები და მისმენ
მარადიული ვნებებით მთვრალი.
ცივი სიზმრების მდინარე ერთვის
ჩემს მოუსვენარ და მწყურვალ სურვილს,
ყველაზე დიდი იჭვია ღმერთი
და ვინ განკურნა იჭვისგან სული.
როცა ხმაური მაღლა მიიწევს
და ძირს კაენის ეშვება დარდი,
როცა სახეზე ამ დედამიწის
ჩრდილი გადამდის,
როგორც სიზმრების ცივი ალერსი...
შენ გესმის უკეთ და იცი ალბათ, —
ლტოლვა გასული საასპარეზოდ
ვერ ეგუება სხეულზე დაბმას.
შენ კი ბრმასავით იბრძვი იმ სენთან,
ადამის მოდგმას რომ სდევს სასჯელად,
ცდილობ, ნეტარი განკურნო სევდა,
ცდილობ, თესლშივე მოჭკლა გაჩენა.
მუდმივი ცოდვის...
არც ღირდეს იქნებ
იტირო ჯერაც გადუხდელ ვალით.
მარაოსავით მოჩრდილულ ფიქრებს
ეჭიროთ ხელში ეს სატკივარი.
და რა ძნელია ახსნა ბორკილი
მკერდს გამობმული ოქროს ჯაჭვების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ქარები ისევ ბორგავენ
და დედამიწის ზურგს აჭრელებენ,
როცა ქარები ისევ ღმუიან
და ჟრუანტელი ძვლამდე დამიარს
და, როცა იჭვის ბნელ ჯურღმულიდან
დასცინის რწმენას და ადამიანს,
შენი უღლელი გული და ტვინი, —
დადევნებული ლანდებს და სულებს...
დამშვიდდი ჰამლეტ! დაიცხრე ჟინი,
დამშვიდდი ჰამლეტ! და განესრულე!

●

აყვავებული სინათლით... თვალში,
აკივლებული სიმართლით... გულში,
ასეთი იყო ის კაცი — ბავშვი,
დავასაფლავეთ რომელიც გუშინ.

არ გაახელებს ღალატი ცოლის,
არც შეშურდება თვითმკვლელის ხვედრი,
ის აღარ არი — ცოცხალთა შორის
არ დაქრის მისი ცხოვრების ეტლი.

ის აღარ არის...
და აღარც ილტვის
თავის კაცური ჟინით და ჩვევით,
შენ რაღა გეთქმის, ან როგორ იტყვი,
რომელიც მხოლოდ წასვლამდე რჩები.

რას იტყვი მართლაც...
შეგიპყრობს მდურვა
დიდ მდინარეზე ჩაშლილი ტინის
და ცოლიც მისი — წითური ტურა —
ტირის და იქნებ...
წრფელადაც ტირის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ატენში

მზე დასავლეთით გადაიხარა,
ულონო, როგორც დაჭრილი ქორი.
წამოიმართა მწუხრის ტიხარი
დღის ნათელსა და საღამოს შორის.

კვლავ მატანს ტვირთად ტკივილს ატენი,
ტინების მტვრევით მომტირის ტანა,
ფიქრის მტრედები, მოფარფატენი,
ელტვიან ხსოვნის გატრუნულ ბანაკს.

ქართლია ირგვლივ...
სოფლებს აქაურს
დაჰკრავს იერი ღვთის აგარაკის
და ბრძნული ენით საბას არაკის —
ებაასება ცას სააქაო.

აქ ნგრევის წყურვილს ვერ დაიოკებს
ჟამი ბოროტი და დამღუპველი.
ვით ურჩხულს რაში წმინდა გიორგის, —
ებრძვის სიბნელეს თეთრი ღრუბელი.

●

მე, როგორც ჭაში ჩასული კაცი,
დღისითაც ვხედავ ვარსკვლავებს ცაზე
და მათი ხილვა იმედით მავსებს,
როგორც შემთხვევით ნაპოვნი განძი.

მახვილი ხდება სულ უფრო მზერა,
არ გამორჩება ნამცეცა ბეწვიც,
და როცა კვამლით თვალები მეწვის,
ვიცი, მიგონებს მშობელი კერა.

რაც ოცდაშვიდის შევსრულდი, წლები
მიჰქრიან, თითქოს აჩქარებთ ვიღაც,
სამაგიეროდ, სახეს თუ ნიღაბს
სულ უფრო უკეთ ვარჩევ და ვხვდები.

ვიპოვე ზღვარი სიზმრის და ცხადის
და არ დავკარგო ბოლომდე ვინძლო,
ზოგჯერ მგონია, სიკვდილსაც ვიცნობ,
თუმც ის სიცოცხლის ნიღაბით დადის.

თარგმანის შესახებ

როს ავბედითი გუგუნებს მესსა
და რეტდასხმულმა არ ვიცი, რა ვქნა,
მე უნებურად დამცდება კვნესა,
რომელსაც ლექსად სჭირდება თარგმნა.

მომივლის ჟინი — ჩავუდგე ჯიბრში
რიტმის ჯადოქარს, დიდოსტატს რითმის,
სხვისი სტრიქონი საკუთარს მიშლის
და სხვისი სევდა ჩემია თითქმის.

და ასე გადის ცხოვრება ჩემი —
სათარგმნი აზრი, სათარგმნი განცდა...
ვტორტმანებ, როგორც გრიგალში გემი,
რომელიც თავის ნავსადგურს ასცდა.

მე მიტოვებენ ფერფლსა და ნახშირს
გულის სიღრმიდან დაძრული ხმები
და ჭრილობების მთარგმნელად ვრჩები —
დანისპირებით გაფოთლილ ბაღში.

●

უბრალო ფიქრი, რომ ამქვეყნად ვიღაცას ვუშლი
სიყვარულს, კოცნას, ღვინოს, სიცილს და აღტაცებას, —
მე მაკრთობს ისე, ვით უფსკრულთან წაბარბაცება
და ჩემივ თავის სიძულვილად გროვდება გულში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უბრალო ფიქრი, რომ ჩემს გამო ვიღაცა ტირის,
რომ ვარ ვიღაცის მწუხარების, გლოვის მიზეზი, —
მიყინავს ძარღვებს, მენასკვება ყულფად კისერზე
და ვგრძნობ თანდათან მიქვავდება ფესვი და ძირი.

პოლესია

უსასრულოა ეს პოლესიე,
მივაპობ, ზღვარი ვეღარ ვუპოვე.
მის ულრანებში თვლემს პოეზია —
ჩემი მეაკვნე და მეკუბოვე.

ქარის ლოდინში ტყე მოჰგავს შეშლილს,
სიჩუმე დნება, როგორც ნაყინი.
მზეს მიასვენებს ღრუბლების ტევრში
ცის ბალდახინი.

ჯემალ კვერენჩხილაძე

იფრინე მაღლა!..

მზისკენ აიჭერ ტყვიის სისხარტით,
რომ ვეღარ მოგწვდეს ბოროტი ტყვია!
შეახე ლაჟვარდს ოქროს ნისკარტი,
ნახე ცისკიდის მუქლურჯი ია.
მაღლა იფრინე,
მაღლა იფრინე,
მტრედო, ქათქათა ღრუბლის ნაჭერო,

ნისლის ფრთა ფრთაზე გადაიფინე,
და ეს ღუღუნი არ შეაჩერო!
დღისა და ღამის თვალთა ლულვაში
ცა შენი ფერით დაწმენდილია!..
სულ მაღლა... მაღლა... ძირს, ცივ ლულაში
გაფრთხილებაა და სიკვდილია!..

ძაღლი

დაჩაჩანაკდა, დაბერდა იგი,
ვეღარ ეოაგნო საბრალომ სახლი,
სცემა პატრონმა არაფრის გამო,
იყეფება და ღამეს კბენს ძაღლი.
და სული, წლობით ნაერთგულევი,
მაინც პატრონის სამსახურს ითხოვს,

დაღამებია თვალები მურას,
ორი სიკვდილი სწვევია თითქოს.
გადალასლასდა ეზოდან ჩუმად,
მიეგდო მერე კაკლის ხის ძირში,
უკანასკნელად შეჰყეფა ზეცას
და ღობის ძირას დატოვა შიში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნულხან ქეთელაური

მხატვარი-არქიტექტორი ვარ. ჩემი ხელობის გადამკიდეს ხშირად მიხდება ძველი ხუროთმოძღვრული ძეგლების მონახულება, რომელთა უმეტესი ნაწილი, მოგეხსენებათ, ტყეებსა და დღეისათვის მიუვალ ადგილებშია გაბნეული. მშენებელმა კი, და, მით უფრო, ჩვენი დროისამ, თუ ფასეული რამის შექმნა სურს, ყველაფერი უნდა იცოდეს, თავისი თვალით ნახოს, დააკვირდეს, გაიგოს. წიგნებსა და თეორიულ კონსპექტებს დაინაბრებული ოსტატი დღეს შორს ვეღარ წავა, იმიტომ რომ, თანამედროვე ხუროთმოძღვრების რთული და აჩქარებული რიტმი უფრო კონკრეტულ ვარაუდსა და გამოცდილებას ეყრდნობა, ძველისა და ახლის ჰარმონიულ შერწყმა-შეთანაბრებას საჭიროებს და არქიტექტორისგანაც პირველ რიგში ამ პრაქტიკულ ცოდნას მოითხოვს.

ჰოდა, მეც, ყოველ წელიწადს, გაზაფხულის დამდეგს, ავიღებ ხოლმე გრძელვადიან მივლინებას, ჩავილაგებ ზურგჩანთაში ხმელ საგზალს, წყალგაუმტარ ლაბადას, ესკიზების ალბომს და საძილე ტომარას. გადავიკიდებ მხარზე ფოტოაპარატს, „იჟის“ ოცყალიბიან, ცალპირა თოფს, შემოვირტყამ პატრონტაშს და ჰაიდა! გავსწევ, საითაც გული და სურვილი გამიწევს. მე თქვენ გეტყვით და, საქართველოში ადგილს ნახავთ ისეთს, სადაც დიდი ხუროთმოძღვრების მცირე ნაშთი მაინც არ იყოს.

ამ მაძიებლობას საკმაო ჯაფა ახლავს, მაგრამ სილამაზე და ხალისიც დიდი იცის, მარტო ნანგრევთა შორის ძილი რად ღირს: ძველი კედლები თითქოს ოხრავენ და გარდასულ დროთა ამბებს მოგითხრობენ. გარშემომდგარი ტყე გრძნეული ენით გეჩურჩულება — თრთის, ფშვინავს, შარიშურობს, სადაც უჩინრად ჩამდინარი ნაკადული ძილისპირულს გიმღერის, ღამის ნელი სუნთქვა ნედლი მიწისა და ყვავილთა სურნელით გათრობს, ხოლო ტოტებშორის მოჭიატე ვარსკვლავები ჩუმი ალერსითა და სიყვარულით გიღიმიან.

რას არ ნახავ და რის მოწმე აღარ გახდები კაცი ასეთი მოგზაურობისას, ბუნების რამდენნაირ საოცრებას არ იხილავ, ხანდახან კი ისეთ ვინმესაც შეხვდები, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე აღარ დაგავიწყდება.

წელს სწორედ ერთს ასეთს გადავეყარე. მივლინება შედარებით ადრე ავიღე. ცივ-გომბორის ქედის ის განშტოება უნდა დამეზვერა, ხალხი უხეირო სერს რომ ეძახის. ამ სერზე ანტიკური დროის საქარავნო ნაგზაური გადის და, ამდენად, მშენებლობათა ნაშთების არ-

სებობაც უცილოდ სავარაუდოა. ხოლო მათი პოვნა, მიგნება და ყოველმხრივ აღნუსხვა-გამომზეურება მაშინ უფრო ადვილია, სანამ ტყე მთლიანად გაიფოთლება, სვე-ხვიარა წამოიზრდება და გასახედ-გამოსახედი შალდაყით დაიფარება.

მთელი კვირა ტყუილ-უბრალოდ ვეხეტე. ბოლოს მაინც გამიმართლა. ძებნა-ძებნით ოდესღაცინდელ ტყეკაფში გავედი და ხშირი ტევრით გარშემორტყმულ, ოდნავ შემაღლებულ შიშველ გორაკზე ერთ მოზრდილ, უნიკალურ ციხე-დარბაზს წავაწყდი. ეს იყო მოგზაურთა და მოქარავნეთა ღამის სათევი ფუნდუკი — ქარვასლა. ეს იქიდანაც ჩანდა, რომ კარიბჭე გზის მხარეს ჰქონდა დატანებული, მაგრამ კედლების სისქე, ქონგურებიან-სათოფურიანი გალავანი და დულაბის სიმტკიცე იმაზე მეტყველებდა, რომ საჭიროების შემთხვევაში ხიზნის თავშესაფარად და საბრძოლო ციტადელადაც უნდა ყოფილიყო ნავარაუდევი.

შუადღემდე აზომვა-აღწერას მოვრჩი, დულაბის ნიმუშები ავიღე, ოთხივე მხრიდან ფოტოფირზე გადავიღე და რამდენიმე ჩანახატიც გავაკეთე. ამასობაში მომშივდა კიდეც. წყარო მოვძებნე და ნადარბაზევს ქვემოთ, პაწია ღელის დასაწყისთან პურის საჭმელად ჩამოვჯექი. მზე ზომიერად ათბობდა, ნიავიც ოდნავ ჰქროდა, ყვავილი და ბალახი ისის იყო იფურჩქნებოდა და ნიავის ყოველ შემობერვაზე ლურჯ-მწვანე ზოლებად იტალღებოდა. ყვავილების თავზე აქა-იქ ფუტკრებიც ბზუოდნენ. ღელისპირა მურყნებში პაწაწინა მოუსვენარი ჩიტები—ვერცხლისფერი წიპრიები დაფუთფუთებდნენ, ციხე-დარბაზის ირგვლივ ფრთადახვეწილ მერცხლებსა და ნამგალებს ჩაებათ ფერხული, ზემოთ კი, გაზაფხულის მდორე ცაში თბილი მხრიდან ახლად დაბრუნებული წყვილი ორბი ბოინობდა.

ის იყო ჩემი საგზლის გამხმარი ნარჩენები ზურგჩანთაზე ამოვალაგე, რომ ქვევიდან ერთი მომცრო ტანის ბიჭი გამოჩნდა. ბიჭს ზურგზე სამხრეებიანი ტომსიკა ეკიდა, ტყის ნაპირ-ნაპირ ნელა მოაბიჯებდა, ცალ ხელში აბოლებული რაღაც ეჭირა, მეორე ხელს თვალებზე იჩრდილავდა და კისერწაწვდილი და გაფაციცებული ჯერ ისევ გაუფოთლავი ტყის წვერებში იყურებოდა.

ერთხანს გაკვირვებულმა ვუყურე — რას აკეთებს-მეთქი, ცოტა რომ დამიახლოვდა, გავძახე:

— ჯეილო, აბა ერთი, ახლო მოდი, დაისვენე და სუფრაზეც დამეწვიე!

ბიჭი თითქოს ელოდაო დაძახებას, მაღლა ცქერას იმავე წამს თავი მიანება და პირდაპირ წამოვიდა. ხელში ნაჭერი ნივთი თავსახურიანი კოლოფი გამოდგა, შიგ მიმქრალი ნაკვერცხალი ბოლავდა და საკმევლისნაირ სუნს გამოსცემდა. ბიჭმა კოლოფიდან დანახშირებული ნაკვერცხალი წამოყარა და თავი დაახურა. ტომსიკაც კოლოფის გვერდით დადო და მხოლოდ ამის შემდეგღა მომესალმა.

— გამარჯობათ! — მითხრა თამამად, სუფრასაც ასევე დაურიდებლად მოუჯდა, ხმელი პურის ყუა შუა გადატეხა და ხარბად შეუდგა ჭამას.

— ძეხვი მიატანე, — ვუთხარი და ჩანთა ახლოს მივუწიე.

— არ მინდა, დიდი ბედენა მაინც არ არი, — მითხრა ბიჭმა დაუდევრად და თანაც ისე, რომ ყბა ერთი წამითაც არ გაუჩერებია. ეტყობოდა, ასეთ მწირ ულუფას პირველად არ ჭამდა და ხამად არც სხვათა სუფრაზე იჯდა. უკვე თოთხმეტ-თხუთმეტი წლისა იქნებოდა, ხორბლისფერი, მოგრძო სახე ჰქონდა, ასეთივე ფერის სწორი, ჯაგარივით უხეში თმა, მოშიშვლული ლამაზი წარბები და დიდრონი, შუქიანი და ჭარბად ცნობისმოყვარე თვალები. ხნოვანებასთან შედარებით უფრო პატარა ჩანდა, შეიძლება ეს საკმაოდ შელახული და დავიწროებული მწვანე ბამბაზიის სპორტული შარვალ-კურტაკის ბრალიც იყო, თუმცა საულვაშე უკვე შეღინღვლოდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავი, მეჩხერი ბეწვები აქა-იქ ნიკაპსა და ყბებზეც წამოზრდოდა. ფეხზე მთამსვლელის სქელძირა ფეხსაცმელი ეცვა, კურტაკის დამოკლებული სახელოებიდან ჯერ ისევ ბავშვური, გამხდარი და სუსტი მაჯები გამოშვეროდა და საერთოდაც სუსტი ჩანდა, მაგრამ საქციელით და სიტყვა-პასუხით უკვე ზრდასრულ, ბევრის მნახველ კაცს ჰგავდა. მე მაოცებდა მისი სითამამე და, სიმართლე რომ ვთქვა, ოდნავ კიდევაც მწყინდა. გუნებაში პატარა კაცი დავარქვი და, წყენა რომ არ დამმჩნეოდა, უბრალოდ ვკითხე:

— რა გქვია, ძმობილო?

— მე? — ბიჭმა ლუკმა გადაყლაპა, — ჰო, მე თორნიკე მქვია, — თქვა დარბაისლურად, — თორნიკე ჯუღურაული. — პურის ნატეხს გადასწვდა და, თუ გინდათ, თიკუნიც დამიძახეთო, — მითხრა.

— თიკუნი რაღაა?

— ზედმეტი სახელია.

— ზედმეტი სახელიცა გაქვს?

— კი, პატარა კაცს მეძახიან.

ხმამაღლა გადავიხარხარე.

— რად იცინით? — ბიჭმა ყბა გააჩერა და გაოცებით მომაშტერდა, — ჰა, რა გაცინებთ?

მე გამოვუტყდი, წეღან, დანახვისთანავე, სწორედ ასე შეგარქვი-მეთქი.

ბიჭსაც გაეცინა და ბრტყელი, მეჩხერი კბილები გამოაჩინა.

— მე კი იცით, რა დაგარქვით, — მითხრა მერე და თვალები ეშმაკურად აუციმციმდა.

— რა?

— ძალად მონადირე.

— ვითომ რადა? — ვკითხე განგებ გაბრაზებით, — თოფი მაქვს, აბგა, წელზე პატრონტაში მარტყია, მეტი რაღა მინდა?

— კი, ეგ ჰო, მაგრამ მაინც, — არ დასთმო ბიჭმა, — დაგინახეთ თუ არა... გიყურებდით და ვფიქრობდი: არა, ეს ის არ არის, რაღაც აკლია, ესეც ძალად მონადირე იქნება-მეთქი.

— ეგ ძალად მონადირე რაღაა?

— ჩემი მოგონილი სიტყვაა, ეგრე ვეძახი, აი, რო არ იციან... დადიან ტყეში და თოფს ისვრიან, და არ იციან, რისთვის ისვრიან.

— განა ასეთი მონადირეებიც არიან?

— რამდენიც გინდათ. მარტო ჩვენი სოფელი კმარა... გადაიკიდებენ თოფებს და ჰაიდა! თითქმის ყველა მონადირეა და თოფებიცა აქვთ, მაგრამ სანადირო კი აღარაფერია. მარტო თოფებს ისვრიან. ჰოდა, მეც ძალად მონადირეები დავარქვი.

— მე არცა ვარ მონადირე, — ვუთხარი ბოლოს ბიჭს.

— აბა, მთაში რა გინდათ?

ვუთხარი რისთვისაც ვიყავი ამოსული.

— აი, ხომ ვთქვი? — გაუხარდა ბიჭს, — არა, მე არ შევცდები, დავინახავ კაცს და უკვე ვიცი, რაც არის.

— კი, მაგრამ შენ თვითონ ვინა ხარ, რა ხარ, რომ არც თოფი გაქვს და?..

—მე აქაური ვარ, ჩემი სოფელი ამ სერის ძირობაზეა, „მზისპირი“ ჰქვია. არ გაგიგონიათ? სააგარაკო სოფელია.

— კი, როგორ არა, გამივლია კიდეც.

— ჰოდა, იქიდან ვარ.

— მაგას კი არ გეკითხები, აქ რატომ ხარ-მეთქი?

— ესე იგი, დღეს ველზე რატომ გამოვედი, არა? — დააზუსტა ბიჭმა კითხვა და მიპასუხა, — დღეს ფუტკარს ვეძებ.

— ფუტკარს ეძებ? — გაკვირვებით შევხედე ბიჭს, — დაკარგე?

— კი არ დავკარგე, კაცო, ვეძებ, — გადაფიჩინდა ბიჭი.

— სად, აქა?

— ჰო.

— მერე აქ ფუტკარს რა უნდა?

— ფუტკარი აქ არის, აბა სადა? ტყეშია, ფუღურო ხეებში ბუდობს. ვიპოვი ასეთ ხეს, თაფლს ამოვარიდებ, მერე

სულხან ქეთელაური
პატარა კაცი

ფუტკარსაც ავკრეფ, ესე იგი, სკაში გადავსხამ, ან გეჯაში და წავიყვან.

— სად წაიყვან?

— შინ.

— მერე?

— მერე... არაფერი. მეყოლება და... ჩემი იქნება, თაფლიც და ფუტკარიც.

ბიჭს თაფლისფერ თვალებში სიანცის ცბიერი ღიმი უკრთოდა, ვერ ვიგებდი, ხუმრობდა თუ გულით ამბობდა. ნაძალადევი გულუბრყვილობა მაღიზიანებდა და მთლიანად არც ნათქვამი მჯეროდა. ბოლოს თითით დავემუქრე:

— აბა, აბა, ძმობილო, ტყუილები არ იყოს!

— ტყუილები? როგორ გეკადრებათ, — საყვედურით მითხრა ბიჭმა და წვრილი წარბები მოჭმუხნა, — მე სულაც არ ვტყუი, მართალს ვამბობ.

— რა მართალს ამბობ, ბიჭო, ამ უსიერ ტყეში... როგორ უნდა იპოვო, ყველა ხეს სათითაოდ ხომ არ გადასინჯავ?

— მე ხეს არც ვეძებ, — მოკლედ მოიჭრა ბიჭმა.

— აბა, რას?

— ფუტკარს-მეთქი.

— ჰოდა, ფუტკარი ხეში ბუდობსო, არ ამბობ?

— ვამბობ... და ასეც არის. ფუტკარი ხეს, ესე იგი, თავის საბუდარს თვითონვე მაპოვნინებს.

ჩემთვის ეს კიდევ უფრო დაუჯერებელი იყო და ბიჭს უკვე დაუფარავი ეჭვითა და ირონიით შევხედე:

— ხომ ვერ ამიხსნი, ეს როგორ ხდება?

— რატომაც არა, — ჩემსავ კილოზე მიპასუხა, მხრები აიჩეჩა, განზე გაიხედა და ტკეპნით განაგრძო, — მაშ ასე, უნდა აგიხსნათ... ვიპოვი მინდორში, ყვავილზე გამოსულ ფუტკარს, შევხედავ აქედან, შემოვხედავ იქიდან — სერს გავუსინჯავ. ისიც ამხედ-დამხედავს... გამარჯობა-გაგიმარჯოს. ასე, ერთმანეთს გავეცნობით. მერე მეტყვის, წამო ჩემთან, თაფლს გაჭმევ, არ გინდა? გამიძღვება წინ, მეც უკან მივყვები, როგორც სტუმარ-მასპინძლის წესია.... და პირდაპირ თავის ბინაზე მიმიყვანს. აი ასე...

ბიჭი სულ უფრო თავხედობდა, ცბიერად მოჭუტულ თვალებს ხან მე გამიშტერებდა, ხან განზე წაიღებდა. ლუკმას ნელა ღეჭავდა, ყბას დუნედ იქნევდა და სიტყვებსაც ასევე ტკეპნით და გამაღიზიანებელი გაჭიანურებით წარმოთქვამდა. მისმა ქცევამ და უშნო, აგდებულმა პასუხებმა მართლა გამაბრაზა და გულმოსულმა საკმაოდ მკვახედ დავტუქსე:

— უზრდელი ყოფილხარ, უფროსი არ გცოდნია, სად გაიზარდე?

ბიჭმა ჩემი დატუქსვა ყურის წვერსაც არ გაიკარა, მხოლოდ გაიოცა და მოგონილი გულუბრყვილობით მომაშტერდა.

— მე? განა ისეთი რა ვთქვი, რომ...— და გრძელი წამწამები მიამიტად აახამხამა.

ამ ნაყალბევმა თავმოკატუნებამ უაღრესად გამაჯავრა, — ეს მართლაც მეტისმეტი იყო, მაგრამ სანამ რამეს ვეტყოდი, უცბად ისე გულმართლად გადაიხარხარა, ისეთი წრფელი უშუალობითა და ბავშვური წკრიალა ხმით, რომ სათქმელი უმალ პირზე შემაშრა, უცაბედი გაჯავრებისა შემრცხვა კიდეც.

— იცით, არ გეწყინოთ, — მითხრა მობოდიშებით, — ასე განგებ გითხარით, მიყვარს ხანდახან... გაბრაზება მიყვარს. ოღონდ არ ვტყუოდი კი, აი სუფრა აალაგეთ და გეტყვით... კარგად გეტყვით.

— ჭამე და ავალაგებ.

— უკვე მოვრჩი.

— ბარემ გაათავე, რაღა დარჩა.

—აღარ მინდა.

პურისა და ძეხვის ნარჩენები ქაღალდში გავახვიე და ზურგჩანთის გარე ჯიბეში ჩავჩურთე. ბიჭმა კანფეტის კოლოფს თავი მოხადა და წინ დამიცუცქდა. კოლოფში პლასტილინივით აზელილი რაღაც იყო, მუქი ყავისფერი დაჭ-

ცრავდა და თაფლისმაგვარი მოტკბო სუნი უდიოდა.

— სწორედ თაფლში აზელილი დინდგელია! — მითხრა ბიჭმა, — საჩვევა ჰქვია.

— საჩვევა?

— ჰო, სხვანაირად სატყუარასაც ეძახიან.

— მერე ამით რას აკეთებ?

— რასა და... ფუტკარი ახლა ხომ გაღვიძებულია და საშოვარზეც გამოდის, მაგრამ სამყოფს ვერ პოულობს, ყვავილი ჯერ იმდენად არ გაშლილა, რომ... და დაეძებს, დაეძებს. მეფუტკრეებიც ასეთ დროს ვურჩევთ ხოლმე. ამას ნაკვერცხალს დავადებ, — მითხრა და კოლოფი უფრო ახლოს მომიწია, — აი, წეღან რომ წამოვყარე. ჰოდა, ასე... ცეცხლზე დინდგელი და თაფლი იწვის და ძლიერ სუნს გამოსცემს. ფუტკარს კი მახვილი ყნოსვა აქვს, თაფლის სუნს შორიდანვე იგრძნობს და ბზუუ! მოფრინდება.

— მერე?

— მერე მოწუწნის თაფლს, გაძღება და გაფრინდება. მეც უკან გავყვები...

— როგორ, გაეკიდები?

— ჰო.

მე გამეცინა.

— კაი სანახავი კი იქნები: ამ უსიერ ტყეში, ღედე-ღუდეზე, წინ — ფუტკარი და უკან — შენ.

— ფეხდაფეხ კი არ გავეკიდები, კაცო!

— აბა რას იზამ, ბაწარს ჩააბამ და ისე გაჰყვები? — და სიცილი უფრო გამიშტერდა. ჩემს უგერგილო ხუმრობასა და სიცილზე ბიჭსაც გაეცინა, თუმცა, კარგად ჩანდა, როგორც ყველა პრაქტიკოს-მეოცნებეს თავისი გატაცება მასაც დიდად უღირდა და სასაცილოდ სულაც არ მიაჩნდა.

— დამაცადეთ, გეტყვით, დამაცადეთ, — მითხრა ბოლოს უფროსის შემწყნარებლურ კილოზე და გამხდარი ხელი მკერდზე მოფერებით დამადო, — სირბილით კი არ უნდა გაეკიდო, ან სად დაეწევი, პირიქით, თავდაპირველად ადგილიდან არც უნდა გაინძრე. ფუტკარი თვითონვე მოგაკითხავს, რაკი სასუსნაეი დაიგულა, აღარ მოეშვება, თან სხვებსაც მოიყვანს; ასეთი წესი აქვთ... მოწუწნიან თაფლს და გაფრინდებიან. შენ თვალი მზირედ უნდა გეჭიროს, რომ მხედველობიდან არ დაკარგო, მერე, საჩვევამომარჯვებული ნელა უნდა გაუყვე იმ მხარეს, საიდანაც მოვლენ და საითაც გაფრინდებიან... ფუტკრები თანდათან მომრავლდებიან — წავლენ, მოვლენ, წავლენ, მოვლენ, და გაიბმება უწყვეტი მიმოდენა, აი, ჭიანჭველებმა რომ იციან, სწორედ ისე. შენც ნელ-ნელა გადაიადგილებ, მიჰყვები, მიჰყვები, მიჰყვები და, ბოლოს საბუდარ ხესაც მიადგები.

ბიჭი ცოტა ხანს გაჩუმდა და ბავშვური გატაცებით დაუმატა:

— იცით, რა სეირია! მიდიხარ გაფაციცებული, სუნთქვაშეკრული: აგერ, მარჯვნივ აიღო გეზი! ახლა — მარცხნივ, ტყეს გადაევლო თავზე, ისევ ძირს დაეშვა!.. ჰე-ჰეე, იცით, რა არი? პირდაპირ ხალისია! ახლა პოვნას აღარ იტყვით?— სიხარულით გული ლამის ბუდიდან ამოვარდეს.

მთელი ეს ნალაპარაკევი ბავშვის ახირებულ ფანტაზიად მომეჩვენა და წუთიერი დუმილის შემდეგ დაეჭვებით ვკითხე, — მაინც თუ გიპოვია-მეთქი როდისმე?

ბიჭს ჩემი უნდობლობა უკვირდა, ხოლო მიუხვედრელობა აცინებდა. ახლაც ვერ სძლია თავს, უნებურად გაიცინა და, რომ არ მწყენოდა, მოკრძალებული თავაზიანობით მითხრა:

— როგორ არა, კაცო, მარტო შარშან ოთხი ძირი ვიპოვე.

— რას უშვრები, ბიჭო, ამდენ სკას?

— წეღან ხომ გითხარით, თაფლს ამოვაცლი და ფუტკარს სკაში გადავსხამ-მეთქი.

სულხან ქეთელაური
პატარა კაცი

— კბენისა არ გეშინია?

— რა შემაშინებს! ისეთი მავთულისბადიანი მუზარადი მაქვს, რომ... ჩამოვიცვამ სახეზე და... თანაც დავუბოლებ და გავაბრუებ.

— ეგეც იცი?

— ვიცი, მაშა, მეფუტკრემ ყველაფერი უნდა იცოდეს.

— აბა კიდევ რა იცი?

— კიდევ? — ბიჭმა წარბები აზიდა, მზერა ერთ წერტილს გაუშტერა და თავი მოიფხანა, — მაგალითად, დაუბანელი ახლოს არ უნდა გაეკარო, არც ნიორნაჭამი, ვერ იტანს... ჰო, აი კიდევ, რა, ყველაზე მეტად სძულს სიყალბე, ო, ძალიან სძულს და არ უნდა აკადრო.

— სიყალბე? როგორ თუ სიყალბე?

— ესე იგი, გაიძვერობა, ქურდობა,— ამიხსნა ბიჭმა, — აი, მაგალითად, სხვის ნაპოვნ ხეს, თუ შენზე ადრე იპოვა, ხელი არ უნდა ახლო.

— კი, მაგრამ, რა იცი, რით გაიგებ?

— საიდუმლო ნიშანს ვადებთ, რაც მარტო მეფუტკრეებმა ვიცით.

— ვთქვათ და, ვინმემ მაინც იკადრა, ეს წესი არ დაიცვა და მიისაკუთრა, რა მოხდება?

— ფუტკარი არ შერჩება, ან წაუვა, ან დაეღუპება.

— თაფლს ხომ შეჭამს?

— ი, მარტო ჭამა რა არი, ღორობაა და მეტი არაფერი. არც ერთი მეფუტკრე, თუ ის ნამდვილი მეფუტკრეა, ამას არ იკადრებს.

სიტყვა „მეფუტკრეს“ ბიჭი უფრო ხაზგასმით, თავმომწონებით წარმოსთქვამდა. ეტყობოდა, თავისი ეს ხელობა ძალიან მოსწონდა და კიდეც ეამაყებოდა. ბიჭის ნაამბობმა მეც დამაინტერესა, მით უფრო, რომ ჩემდა სამარცხვინოდ, ფუტკარზე მანამდე არაფერი მსმენოდა და არც მისი ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებისა რაიმე ვიცოდი. მართალია, ბევრი რამ ახლაც დაუჯერებლად შიმაჩნდა, მაგრამ ბიჭს მაინც გულისყურით ვუსმენდი და წეღანდელივით სიტყვას უადგილოდ აღარ ვაწყვეტინებდი.

— მაშასადამე, მეფუტკრე ყოფილხარ, — ვუთხარი ბოლოს.

— ჰო, რა, — ხელი როგორღაც ბიჭურად გაიქნია, — მეც ისეთი ვარ... ვგავარ.

— შინ ალბათ ბევრი სკა გეყოლება?

— არც იმდენი, ბევრის მოვლის დრო სადა მაქვს.

— აბა რას უშვრები?

— რა ვიცი, — მხრები აიჩეჩა ბიჭმა, — ზოგი სკოლას მივეცი, ჩვენმა სკოლამ საფუტკრე სულ ჩემი ნაპოვნი ფუტკრით მოაწყო, ახლა უფრო ადგილზევე ვყიდი.

— ასეც შეიძლება?

— კი.

— ვინღა ყიდულობს?

— ისევ მეფუტკრეები, პოვნა ყველამ კი არ იცის, ჰოდა, ყიდულობენ.

— რამდენს გაძლევენ?

— ძირში ას მანეთს.

— განა ასე ძვირიცა ღირს?

— აბა რა, ოღონდ იყოს და, იხვეწებიან კიდეც. ტყის ფუტკარი ჯანსაღია, გამძლეა და ყველას უნდა.

— მაშ, ფული ბლომად გექნება?

— რა ვიცი, მე თვითონ არც კი ვთვლი, ქეთო მასწავლებელს ვაძლევ და სალაროში იმას შეაქვს ჩემ სახელზე.

— რატომ დედას ან მამას არ აძლევ?

ბიჭმა მაშინვე არ მიპასუხა, ღიმი გაუქრა და სახეზე სევდის ჩრდილმა გადაჰკრა.

— ეჰ, დედ-მამა რომ მყავდეს... რომ მყოლოდა.

„ალბათ დედა მოუკვდა და მამამ სხვა ცოლი მოიყვანა, — გავიფიქრე მე, — დედინაცვლის გამო კი მამაზეც გული აიყარა, — უყვართ-მეთქი ამ ხნის ბიჭებს ყველაფრის რომანტიკული გაზვიადება და საკუთარი თავის წამებულად წარმოდგენა. იქნებ პირიქითაც მოხდა და დედა გაუთხოვდა? ან კიდევ, რაც ჩვენს დროში ყველაზე ხშირად ხდება, ცოლ-ქმარი გაიყარა და პირმშო ბედის ანაბარა მიატოვეს?“ — დუმილის იმ მცირე ხანში რა არ ვიფიქრე და რა არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოვდგინე, მაგრამ კითხვა ვერაფრისა შევებედე, შემრცხვა. ბიჭი თითქოს მიმიხვდა და თვითონვე განაგრძო:

— ექვსი წლისა ვიყავი... ავარიაში მოჰყვნენ... თორმეტ წლამდე ბიძასთან ვიზრდებოდი, მერე ჩემს სახლში დავბრუნდი. — ბიჭმა გვერდზე გაიხედა, დანისლული მზერა სივრცეს გაუშტერა და ნელი ამოოხვრით, თავისთვის წაილაპარაკა, — ეჰ, იმათ რა ვუთხრა, თორემ ერთი ძმა რომ დამრჩენოდა, ან და, ხმის გამცემი მაინც მეყოლებოდა.

— როგორ, ახლა სულ მარტო ხარ? მარტოდმარტო?

— კი, მარტო ვარ.

— მერე, მარტო რას შვრები? საჭმელს ვინ გიმზადებს, ტანსაცმელს...

— მე თვითონ, ყველაფერს თვითონ ვაკეთებ, რაც მჭირდება.

ხმის ამოღება გამიჭირდა. ბიჭს გაოცებული შევყურებდი — მისი ნათქვამი მჯეროდა და არც მჯეროდა. მაინც რას აკეთებ-მეთქი? — ვკითხე ბოლოს დანიაზებით და ოდნავ ახლოს მივიწიე.

— ჩვეულებრივ, როგორც ყველა, — კვლავ უბრალოდ და ძალდაუტანებლად მიპასუხა ბიჭმა, — საკარმიდამო მაქვს, ერთი ოციოდ ქათამი მყავს, ათი ცხვარი, ორი ძროხა. მეურნეობაშიც ვმუშაობ. ვხნავ, ვთესავ... და ვცხოვრობ.

„ვცხოვრობო", — ეს ტევადი, ყოვლისმომცველი და რთული სიტყვა სრულიად არ შეეფერებოდა ბიჭის გამხდარ მხრებს, წვრილ კისერს, მოგრძო, ყვრიმალებიან სახეს და მთელს მის უმწეო გარეგნობას. ბავშვური, დაუხვეწავი ხმით მარტივად ნათქვამი, იგი როგორღაც უადგილოდ ჟღერდა, მეტისმეტად შეუსაბამოდ მეჩვენებოდა და სრული სიცხადით აღქმა მიჭირდა.

ბიჭი თითქოს ამ გასაჭირსაც მიმიხვდა, — გიკვირთ, არა? — მკითხა მორიდებით და წარბებქვეშიდან გაუბედავად გამომხედა.

შეკითხვამ უფრო დამაბნია, — არა, რათა... განა... — ავლუღლუღდი და უხერხულობა რომ დამეფარა, საუბარი საჩქაროდ გადავასხვაფერე, — სწავლის საქმე გამოვკითხე.

— რვა კლასი უკვე დავამთავრე, შარშანვე, — მითხრა ბიჭმა, — მას აქეთ თვითონ ვემზადები, მინდა, საშუალო სკოლის პროგრამა დაუსწრებლად ჩავაბარო და ატესტატი ავიღო.

—რატომ დაუსწრებლად? ბარემ დაგემთავრებინა, არ ჯობდა?

— ბარემ ჯობდა, მაგრამ ჩვენს სოფელში მეტი არ არი, მარტო რვაწლიანი სკოლაა.

— ადგებოდი და, შენც სხვაგან წახვიდოდი.

— აბა როგორ, — მორჩილად გაიღიმა ბიჭმა, — სახლ-კარს, კარ-მიდამოს, საქონელს რა ვუყო, ან თვითონ მე... ვინ შემინახავს?

შეკითხვა ისევ უადგილო გამომივიდა და გამოსყიდვა ახლა ნუგეშითა და თანაგრძნობით ვცადე:

— ძნელია, მარტომ, თავისით... როგორ უნდა შეძლო? გაგიჭირდება.

— ვიცი, მაგრამ, რა ვქნა, — სრული შეგნებით მითხრა ბიჭმა, — სხვა გზა არა მაქვს, როგორმე უნდა შევძლო. ქიმია-ფიზიკასა და მათემატიკაში მასწავლებლებს მოვიხმარებ, მეხმარებიან კიდეც, ლიტერატურას, ისტორიასა და ასეთ საგნებს თვითონაც დავძლევ. ბოლოს და ბოლოს, წაკითხვა და დაზეპირება უნდა, მეტი ხომ არაფერი.

— როგორ ასწრებ, ბიჭო, — წამოვიძახე გულწრფელად განცვიფრებულმა, — ამდენ რამეს როგორ ასწრებ?

ბიჭმა ქება დაიმორცხვა, თავი დაღუნა და დაბრძნილი კაცის სიდარბაისლით მომიგო:

— დროს არ ვკარგავ... უქმად არც ერთ წუთს არ ვკარგავ.

— ჰოდა, როგორ ახერხებ-მეთქი, სხვაც არა იყოს რა, გართობა ხომ გინდა, თანატოლებში გასვლა, თამაში?..

— მაგასაც ვასწრებ, დროს თუ უქმად არ გააცდენ, ყველაფრისათვის გეყოფა.

სულხან ქეთელაური
პატარა კაცი

პატარა კაცმა თითქოს აქეთ მანუგეშა და სათქმელი აღარაფერი დამიტოვა. გაოცება კიდევ უფრო გამიძლიერდა. იმავე დროს, ამ საკვირველი ბიჭისადმი სიბრალული და მოკრძალების გაურკვეველი გრძნობაც აღმეძრა. ყველაფერი, რასაც ვხედავდი და ვისმენდი, ჩემთვის, დიდ ქალაქში დაბადებული და გაზრდილი კაცისათვის, იმდენად უცნაური, უცხო და გაუგებარი იყო, რომ მაბნევდა და საუბრისათვის საჭირო სიტყვას ვეღარ ვპოულობდი. ჩემს წინ იჯდა ადამიანი, — ბავშვი, რომელიც ცხოვრებას უკვე დასრულებულ კაცად ეჭცია, ჩამოეყალიბებინა, თითქოს აღარც რაიმე აკლდა და არც ეჭარბა, მაგრამ სიმარტოვეს, ობლობას, მშობლიური სიმყუდროვისა და სითბოს უქონლობას თავისი მძიმე დამღაც საკმარისად დაეჩნია. მალულად ვუჭვრეტდი მის სუსტ ტანს, ვიწრო მხრებს, გამხდარ მაჯებს და უდროოდ ნაჯაფ ხელებს, ვისმენდი დაუხვეწავ, წკრიალა ხმას და სინდისის ქენჯნა სულ უფრო მიძლიერდებოდა — მრცხვენოდა წეღანდელი ჩემი საქციელისა, პაწია, უწყინარი გახუმრება რომ ვერ გავუგე და არაფრისათვის ასე ტლანქად და უხეშად დავტუქსე.

— წეღან, იცი... — ვუთხარი ენის ბორძიკით, — არ გეწყინოს, როგორღაც ჩემდაუნებურად... არ გეწყინოს.

ბიჭი უმალ მიმიხვდა, რაზეც ვებოდიშებოდი და თვალები კვლავ ეშმაკური სიანცით წამოენთო:

— წეღან? ი, წეღან ხომ მეც გაგაბრაზეთ? ჰოდა, ბარი-ბარში.

ორივემ ტოლებივით გავიცინეთ და უხერხული დაძაბულობაც მთლიანად გაქრა.

ერთხანს ჩუმად ვისხედით. მერე ბიჭი ჩემს თოფს გადასწვდა, — შეიძლება? — მკითხა, გადახსნა და ლულაში გაიხედა, — სწორად ესვრის?

— არა უშავს.

ბიჭმა მიზანშიც გახედა, — კარგი თოფია, — თქვა ბოლოს და ისევ ბუნგ-ჩანთაზე მიაყუდა.

— შენ კი არა გაქვს თოფი?

— არა, მე ჯერ არ მომყიდიან, უწლოვანი ვარ.

— გიყვარს თოფი?

— ძალიან.

— მაშ ნადირობაც გეყვარება?

— ნადირობა? არა. ცოდოა, რატომ უნდა მოკლა ნადირი, განა სიცოცხლე იმას კი არ უნდა?

— აბა თოფი რაღად გიყვარს?

— რა ვიცი, მიყვარს, ლამაზია, — ცოტა ხანს იყუჩა და განაგრძო,— ჩვენთან წესია: იარაღი ყველას უნდა ჰქონდეს — თოფი, ხმალი, ხანჯალი... ალბათ მეც ამიტომ მიყვარს.

უცბად ბრეზენტის ტომსიკაში რაღაც შეინძრა, გორგალივით ამოიბურცა და ბრეზენტს ზიგნიდან ფხაჭაფხუჭი აუტეხა. ტომსიკას დავაშტერდი და ბიჭს ვკითხე:

—მაგ ტომსიკაში რაღა გაქვს, თუ გყავს?

ბიჭი ცუღლუტად იღიმებოდა, ცერად მიყურებდა და პასუხს აგვიანებდა. ტომსიკა კი სულ უფრო მოუსვენრად ტოკავდა და შიგნიდან ფხაჭნის ხმაც მატულობდა.

— ჰა, რა გყავს? — გავუმეორე კითხვა.

— ო, ეს იშვიათი რამეა, — მითხრა ჭარბი სერიოზულობით ბიჭმა და ტომსიკა ახლოს მომიწია, — ნახეთ, ოღონდ ფრთხილად, არ ამოგიხტეთ, თორემ ვეღარ დავიჭერთ, ძალიან სწრაფად გარბის.

პირსაკრავ ბაწარს ნასკვი მოვუნახე და გახსნა მართლაც მთელი სიფრთხილით დავიწყე. ბიჭი კვლავ სერიოზული სახით მიყურებდა. ბაწარი რომ მოფონდა, პირი ოდნავ გავწიე, ჭუჭრუტანიდან ცალი თვალით ჩავიჭყიტე და გაწბილებულმა ბიჭს შევხედე:

— ეშმაკის ფეხო!

ბიჭმა ხმამაღლა გადაიხარხარა: ტომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკაში ბურთივით შეკრული ზღარბი იდო და მოუხერხებლად იგორგლებოდა.

— სად დაიჭირე?

— ქვევით, ტყის პირას, ბუჩქებში დაცუნცულებდა.

— მერე და, რად გინდა?

— წავიყვან და ეზოში გავუშვებ.

— რისთვის?

— ი, იცით, რა არი, ბოსტნის მავნე ჭიებს და მატლებს სულ მუსრს ავლებს. იქ ერთი სხვაცა მყავს, ნემსას ვეძახი, ამას ეკალას დავარქმევ.

მე ტომსიკას პირი შევუკარი და ისევ ძველ ადგილზე გადავდე. ბიჭმა განაგრძო:

— ეზოში ერთი კუცა მყავს — ტანკი, ორი ციყვი — ფეფენა და ჩალხო, შაშვები — რამდენიც გინდათ, და ერთიც მამალი ჩხიკვი. ზაფხულობით მერცხლები და შოშიებიც მყვანან...

— მოიცა, ვერ გავიგე, — შევაწყვეტინე ბიჭს, — გყვანან — ეს როგორ, გალიებში გისხედან?

— არა, კაცო, რის გალიებში! — გაიცინა ბიჭმა, — თვითონ არიან, შეჩვეულები მყვანან და... ციყვებს კაკალს ვაჭმევ, შემოდგომით, კაკლებს რომ დავბერტყ, თავიანთ წილს ხეებზევე ვუტოვებ ხოლმე. მოვლენ, თითო ცალს მოწყვეტენ და მიარბენინებენ, კიდევ და კიდევ, სანამ სულ არ გაკრეფენ. ხანდახან ზამთარშიც მეწვევიან ხოლმე, როცა სარჩო შემოელევათ, წამოსკუპდებიან კაკლის ტოტზე გვერდიგვერდ და ჩამომყურებენ, თვალებს ჩქარ-ჩქარა და მფრთხალად ახამხამებენ, ვიცი, რაც უნდათ, რასაც გამომელიან. გავუტან ჯამით დარჩეულ კაკალს და დაბლა ტოტზე შემოვუდგამ. ნელა ჩამოცოცდებიან, მივლენ ჯამთან და თან მე მითვალთვალებენ — ხომ არ გვიწყრებაო. მე მეცინება: წაიღეთ-მეთქი, სულელებო, ნუ გეშინიათ, თქვენია, არავინ დაგიშლით-მეთქი.

კაკალი ჩხიკვსაც უყვარს, მაგრამ სიმინდი ურჩევნია: ისიც კაკლის ხეზე შემოჯდება და აბურძგნილი, მომლოდინე მზერით ჩამომყურებს. ვატყობ, მშიერია და ელოდება, ქათმებს საკენკს როდის დავუყრი. იმავე წამს ჩამოფრინდება, აიღებს ერთ-ორ მარცვალს, საჩქაროდ გადაყლაპავს და ისევ ხეზე შეფრინდება. არ მენდობა უსინდისო, ჰგონია, დავაღალატებ და რაღაცას ვუხიმანებ. ქათმები ხამობენ, მაგრამ გგონიათ, ეპუება? სულაც არა, პირიქით, თვითონვე ედიდგულება — წამოიქოჩრება, თვალებს გადმოკარკლავს და ხანდახან კიდევაც ჩაუნისკარტებს. თან ფეხებს როგორ იბოტიტნებს, როგორ იბღინძება!.. პირდაპირ სიცილით მოკვდებით.

—გეტყობა, ცხოველები ძალიან გყვარებია, — ჩავურთე მე.

— მართლაც მიყვარან წყეულები... ძალიან მიყვარან. — ბიჭმა თვალები ოცნებით მილულა და პირდაპირ თოვლშეუმშრალ მწვერვალებს გახედა, — დიდი რო გავიზრდები, ავაშენებ ლამაზ სახლს... და მთელს ჩემს ეზო-კარმიდამოს ზოოპარკად გადავაქცევ. ადრე გაზაფხულზე დავიჭერ შვლისა და ირმის ნუკრებს, დავზრდი, გავამრავლებ და ისევ ტყეში გავუშვებ. ნიამორებსა და შურთხებსაც დავზრდი, ხოხბებსაც... დათვის ბელებსა და მგლის ლეკვებსაც მოვიყვანდი, მაგრამ ხელში ვერ დავიჭერ, მტაცებლები, ავაზაკებია.... იცით, — ბიჭმა ისევ მე შემომხედა, — შარშან ერთი მელია მყავდა, ტყეში ვიპოვე და თვითონ გავზარდე, სახელად ბეწინას ვეძახდი. ცხოველები ძალიან ჰგვანან ადამიანებს — სახით, ხასიათით, ქცევით. ის მელაც ერთ ჩვენებურ კაცს ჰგავდა, ისე ჰგავდა, ისე, რომ... ჰოდა, მეც იმისი სახელი დავარქვი — ბეწინა. მეტისმეტად წუწკი კი იყო ის შეჩვენებული, ვერაფრით ვერ მოვაშლევინე ქურდობა, თვალი სულ ქათმებისაკენ გაურბოდა. ეზოში, როგორც იქნა გადავაჩვიე, მაგრამ ღამღამობით გამეპარებოდა და მეზობლების საქათმეებ-

---

სულხან ქეთელაური
პატარა კაცი

ში დაძვრებოდა. სულ ვუშლიდი, ვეჩხუბებოდი: რა გინდა, სულელო, რატომ არ გაჩერდები, ხომ არაფერს გაკლებ, მშიერი არა ხარ და, რაღა გინდა-მეთქი, მოგკლავენ-მეთქი... და მოკლეს კიდეც. სწორედ იმ ბეწინამ მოკლა... უსინდისო, — დააბოლოვა ბიჭმა გაჯავრებით,— სეხნია მაინც არ ყოფილიყო!

საუბარში კარგა დრო გავიდა, მზე გადაიხარა და ჩამოთბა. მე წამოვდექი და წყლის დასალევად ღელისაკენ წავედი.

—ეგ წყალი არ ვარგა, — მომაძახა ბიჭმა და თვითონაც წამოდგა. — აგე, სერს გადაღმა გადავიდეთ და იქ დავლიოთ. იქ კარგი წყაროა. მუხის ფესვებში ამოდის და მუხის წყაროც ჰქვია.

ჩვენ ჩვენი ბარგი წამოვკრიფეთ და სერის დამრეც ფერდობს ნელი ნაბიჯით შევუყევით. ნაზამთრ მიწას სითბოს ხშირი ოხშივარი ასდიოდა და თითქოს ბოლავდა. ყვავილები ის-ის იყო იფურჩქნებოდა, დროდადრო ნიავიც ისევ წამოუბერავდა, ნელა, ძლივშესამჩნევად გაიქროლებდა ხან აქ, ხან იქ და პირგახსნილ ყვავილებს აბიბინებდა. ბიჭმა კარგად შენიშნა.

—თითქოს იცინიან, მღერიან, კისკისებენ...

ყვავილებზე ახლად გამოღვიძებული პეპლები და ბორა-ბუზანკალი მიმობზუოდა, მათში თითო-ოროლა ფრთებდაბუხული ფუტკარიც ერია.

— აი, ფუტკარი უკვე გამოსულა, — ვუთხარი ბიჭს და ცისთვალა ყვავილში თავჩარგული მწერი დავანახვე, — მე რომ არა, ახლა იქნებ ნაპოვნიც გყოლოდა, მაგრამ მოგაცდინე, დრო უქმად დაგაკარგვინე.

— უქმად რათა? — შემომედავა კვლავ დაბრძნილი კაცივით, — ერთმანეთი ხომ გავიცანით, შევხვდით, ვისაუბრეთ. ფუტკარი რა, სად წამივა, რაც ჩემს ბედობაზეა, მაინც ვიპოვი, ხვალ, ზეგ, უმზეგ, ჯერ დრო მაქვს. — ცოტა ხანს გაჩუმდა და დაუმატა, — აი, წყალი დავლიოთ და, ერთ საიდუმლოს კიდევ გაგანდობთ.

ბიჭმა ღელის დასაწყისში მდგარ, მურყნებითა და კუნელებით გარშემორტყმულ მუხასთან მიმიყვანა. მთაში ასეა: ძალიან ცოტაა ან სულ არ არის ვაკე და სწორე ადგილები, სამაგიეროდ, ბევრია აღმართ-დაღმართი, ღრანტეები და შალდაყითა და ჯუჯა ხეებით თავდახურული ღრმა ღელეები, ღელეებში აყირავებულია უზარმაზარი კუთხოვანი ლოდები, რომელთა შორის უხმოდ მიიკლაკნება ცივი წყლის მოლილისფრო ნაკადი. არყები, მურყნები, დიდგულები და კენკროვანი ხეები გაღმა-გამოღმიდან ერთმანეთისაკენ გადახრილან, მჭიდროდ ჩახლართვიან ტოტებით ერთიმეორეს და მთელი ღელე მწვანე, ფაფუკ გვირაბში მოუქცევიათ. გვირაბში გრილა და გაფუებული მიწის მძაფრი სუნი ტრიალებს. მწვანე ჩარდახი ისეა თავშეკრული, რომ შიგნით ნიავსაც არ უშვებს, მაგრამ მზის ცელქი სხივი საიდანღაც მაინც ეპარება, ეცემა ნაკადულის ჭავლოვან გრეხილს, თრთის, ტოკავს, ლივლივებს და ხავსიან ლოდებსა და ძირდახრილ რტოებს მოიისფრო ანარეკლით ავარაყებს. ისეთი ლამაზია ეს მზით დაფერილი მოლურჯო, კლაკნილი ჩქერალი, ისეთი ანკარა, გამჭვირვალე, მსუბუქი და თანაც ისეთი მაცდური, რომ არ შეიძლება, არ დაიხარო და არ დალიო. რომც არ გწყუროდეს, მაინც დაეწაფები, თორემ, თუ გწყურია, ხომ რაღა თქმა უნდა!

— მოგეწონათ? — მკითხა ბიჭმა და ამაყად მომაშტერდა.

— უჰ, ძალიან!

— მომიკვდეს თავი! — წამოიძახა უცბად და ხელი შუბლში შემოირტყა,— სულელი ვარ, ნამდვილი სულელი!

— რა მოხდა?

— რატომ ბუერით არ დაგალევინეთ? აი მაშინ ნახავდით, აი! — თუმცა კიდევ შეიძლება, ცოტა, სულ ცოტა, უბრალოდ, გემო გაუსინჯეთ, — ამ სიტყვებით ქოლგასავით გაშლილი ბუერა მოწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვიტა, ბოლოები მოუკუჭა, წყლით გაავსო და გამომიწოდა. აღარ მწყუროდა, მაგრამ ბიჭის ხათრით წყალი ბოლომდე გამოვცალე.

— ჰა, როგორია? — ბიჭმა ამოსუნთქვა არ მაცალა.

— ნამდვილად სხვანაირი გემო აქვს, უფრო უკეთესი.

— სუნი?

— სუნიც, რა თქმა უნდა.

ბიჭმა წყალი თვითონაც დალია, ბუერა იქვე დააგდო, ტომსიკა და კოლოფი აიღო და მითხრა:

— ახლა წავიდეთ და ჩემს საიდუმლო საგანძურსაც გაჩვენებთ.

—ეგ რაღა საგანძური გაქვს?

— ო, ეგ... მართლაც არის... აი მივალთ და ნახავთ.

ბიჭი სულ უფრო დამიმეგობრდა, გამიშინაურდა. აღმართზე ხტუნვა-ხტუნვით მიმიძღვოდა. ხანდახან შემობრუნდებოდა, გზას უკუსვლით განაგრძობდა და გაუჩერებლად მელაპარაკებოდა. მასში ყველაფერი ხალასი იყო, უშუალო და თავისთავადი, მაგრამ ამ სიმარტივეში მაინც რჩებოდა რაღაც გამოუცნობი, აუხსნელი და იდუმალებით მოცული. ზოგჯერ იგი იმ ციხე-დარბაზთა ნანგრევებსაც კი მაგონებდა, რომელთაც მე დავეძებდი, და რომელთა თითოეული ტალანი, თაღი, ლაბირინთი და ფასადი ყოველ მიახლოებისას თვალწინ სულ ახალ საოცრებას გადაგიშლის.

და მართლაც, ავედით თუ არა ნაციხართან, ბიჭმა მიმოიხედა და მარცხენა, ქვედა კედლისკენ წამიყვანა. ქონგურებიდან გადმოკიდული სუროს ტოტები გადასწია, კუთხის ძირას ხელებით მიწა მოთხარა და ბრტყელი, მთლიანი სიპი გააშიშვლა.

— ეს ჩემი საიდუმლოა, — მითხრა ბიჭმა გამაფრთხილებლად, ჩუმი ხმით,— თქვენ გარდა, კაციშვილს არ უნახავს, არც ვისმეს გავანდობდი, მაგრამ თქვენ გაჩვენებთ.

ბიჭმა ბრტყელი სიპი ასწია და ფერადი ქვების ნატეხებით სავსე, ნაპირებშემოტკეპნილი ორმო გამოაჩინა. სახურავი სიპ კედელზე ფრთხილად მიაყუდა, ოდნავ განზე გადგა, რომ თავისი სამალავი ჩემთვის უკეთ დაენახვებინა და მოლოდინით მომაშტერდა.

— ეს მართლაც მდიდარი საგანძური გქონია, — მოვუწონე და ხელი მხარზე მეგობრულად დავარტყი, — როდის შეკრიბე ამდენი, საიდან?

ქება გაუხარდა, მაგრამ არ დაიმჩნია. ორმოს პირას ჩაცუცქდა, სათითაოდ იღებდა სხვადასხვა შეფერილობის ქვებს ორმოდან, როგორღაც სათუთად, მოკრძალებით გადაჰქონდა ხელიდან ხელში და თითოეულის ხარისხზე, ღირსებასა და დანიშნულებაზე მთელი ბავშვური გულუბრყვილობით და გატაცებით ლაპარაკობდა:

— აი, ეს ქარვისფერი კაჟია, ხედავთ, რა ფერი დაჰკრავს? დამდნარი სპილენძისა, ახლა შრეები! — თითქოს შიგ ცისარტყელები ჩამსხდარანო. ამისი პატარა ნატეხი ქეთო მასწავლებელს ვაჩვენე და იცით, რა მითხრა? — ამისთანა ქვა ძალზე იშვიათია, ძალიან ძვირფასი ქვაო. წინათ ამას თოფის კაჟადაც ხმარობდნენ თურმე... აი ეს კი ლურჯი მარმარილოა, — ბიჭმა ორმოდან ახლა მუქლილისფერი ქვის ნატეხი ამოიღო, მზრუნველად გადაწმინდა მიწა-მტვერი კურტაკის სახელოთი და განზე გასწია,— ეს შარშან ვიპოვე, სწორედ ამ დროს, აი, დიდი წყალდიდობა რომ იყო, მაშინ. რამდენიმე ნატეხი წყალს გამოერიყა. ქეთო მასწავლებელს ამისი ნიმუშიც ვაჩვენე. თურმე ეს ფერი ყველაზე ძვირფასი ყოფილა: ოქროდ ფასობსო, ეს მთელი აღმოჩენაა. და კიდევ, იცით რა მითხრა, ამას სადღაც ფესვი ექნება, თორემ იმ ხევში შემთხვევით არ გაჩნდებოდაო. მაშ, ეგრე მითხრა!

— აქ რად ინახავ, რატომ შინ არ მიგაქვს? — ვკითხე მე.

— ი, მაშინ ხომ ყველა დაინახავს,— შეიცხადა ბიჭმა.

სულხან ქეთელაური
პატარა კაცი

— დაინახონ, შერე რა?

— არა, არ შეიძლება, — ხელი გაიქნია ბიჭმა, — დამიწყებენ გამოკითხვას, საიდან, როგორ, რისთვისო?... და ყველა გაიგებს. მე კი მინდა, დრომდე არავინ არაფერი იცოდეს. ჯერ მე თვითონ გავიგებ, რა რაში გამოიყენება, რისთვის ივარგებს, რა გაკეთდება, კიდევ სხვებსაც დავძებნი და მერე ერთბაშად გამოვაჩენ. განა ასე არ ჯობია?

ბიჭს თვალები უბრწყინავდა, სახეც, მკერდი ძლიერად აუდ-ჩაუდიოდა და მღელვარებისაგან ხმაც უთრთოდა. მართალია, იგი სხვათა ნათქვამს იმეორებდა, მაგრამ მასში, ამ ნალაპარაკევში საკუთარიც საკმაოდ ერია, — მას უკვე სწამდა რაღაც, სწამდა საკუთარი თავის, კარგად ჰქონდა შეგნებული თავისი მოვალეობა, ესმოდა შრომის სილამაზეც და სარგებლობაც და ცხოვრებას უკვე სრულფასოვანი მესაკუთრის თვალით უყურებდა. ბიჭის გატაცება მეც გადამედო, მომწონდა მისი თვითდაჯერება, რაღაცისადმი ლტოლვა, დაუზარებლობა, გამბედაობა და უკვე მთელი გულისყურითა და თანაგრძნობით ვუსმენდი.

— ამათგან თურმე საუკეთესო მხატვრული ფილაქანი კეთდება, — განაგრძობდა ბიჭი გაზეპირებულ სიტყვებს და ადგილობრივი კაქის ლურჯ, წითელ და ფირუზისფერ ნატეხებს ორმოს პირზე ალაგებდა, — და, ვინ იცის, სხვა კიდევ რამდენი რამ არის ამ მთებში დაფარული, — თქვა ბოლოს, როცა ორმოდან უკანასკნელი ნიმუშიც ამოიღო,— ქეთო მასწავლებელმა მითხრა, ეს მთები უამრავ სიმდიდრეს ინახავს და კაცის ხელს ელის, რომ გული გადაიხსნან და გადმოაფრქვევინო. მე მგონი, ეს მართალი უნდა იყოს: აი, მაგალითად, ამას წინათ, თოვლი რომ აშრა, ღანძილზე ვიყავი და ერთი საკვირველი რაღაც ვიპოვე — ქვაა, აღარც ქვაა, ლითონია, აღარც ლითონია, ტყვიასავით მძიმეა, ხოლო ფერი ოქროსი აქვს. რა უნდა იყოს? იქნებ აქ ოქროც არის სადმე და პირველმა სწორედ მე ვიპოვე? ჰა, ხომ შეიძლება? — გამიმეორა კითხვა და დიდრონი, შუქიანი თვალები იმედითა და მოლოდინით მომაშტერა.

— რატომაც არა, — დავაიმედე და ხელი ისევ მხარზე დავადე, — შენისთანა კარგი ბიჭისაგან ყველაფერიც შეიძლება. — ბიჭმა ქება დაიმორცხვა და თავი დაღუნა, — ჰო, ჰო, იცი, რა კარგი ბიჭი ყოფილხარ, — განვაგრძე მე,— ძალიან, ძალიან კარგი... და უნდა დაგხატო.

ბიჭმა უნდობლად ამომხედა:

— დამხატოთ? როგორ?!

— როგორ და... ჩვეულებრივ, როგორც ხატავენ ხოლმე!

— მხატვარიც ხართ?

— ისე რა, დაახლოებით.

ბიჭი წამოდგა და დოინჯი შემოიყარა:

— მაშინ აი, ბარემ ამ ჩემი საგანძურის გვერდით დამხატეთ.

— ჰო, სწორედ ეგრე.

ზურგჩანთა გავხსენი და ესკიზების ალბომი და ფერადი ფანქრები ამოვიღე. ბიჭი ორმოს პირას დავაყენე, ხელში მოზრდილი კაქის ნატეხები დავაჭერინე და სურათს „მაძიებელი“ დავარქვი. ალბომი ბიჭს გავუწოდე:

— ნახე, აბა, თუ მოგეწონება.

ბიჭმა ნახატს დახედა და გახარებულმა ხმამაღლა წამოიძახა:

— ი, მართლა მგავს განა! რა კარგი ხატვა გცოდნიათ, აბა, კიდევ, ერთხელაც...

„მაძიებლის“ კიდევ ერთი ჩანახატი გავაკეთე. ბიჭს ისიც ძალიან მოეწონა. მერე დავსვი, ტომსიკიდან ზღარბი ამოვაყვანინე და ისიც წინ დავუსვი. სურათს „ბუნების მეგობარი“ დავარქვი.

— აჰა, ეგეც ნახე.

ბიჭი სურათს დაჰყურებდა, თან მოუსვენრობა ემჩნეოდა, თითქოს რაღაც უნდოდა და თქმას ვერ ბედავდა; ბოლოს გამომიტყდა:

— ამ სურათებს ხომ მომცემთ?

— კი, როგორ არა.

— უჰ, რა კარგია, — ტაში შემოჰკრა

ბიჭმა, — კედელზე გავაკრავ და ყველას ვაჩვენებ.

— მაშ მოდი და, ერთხელ კიდევ მეფუტკრის ფორმაშიც დაგხატავ.

სანამ მე სახელდახელო ჩანახატებზე შუქ-ჩრდილებს გავამკვეთრებდი, ბიჭმა კაჟისა და მარმარილოს ნატეხები ისევ ორმოში ჩაალაგა, სიპი ქვაც იმგვარადვე დაახურა, მიწა მოასწორა და მეტი სიფრთხილისათვის მაღლიდან ბუჩო-ნეშომპალა დააყარა.

ამასობაში მოსაღამოვდა კიდეც, მზე გადაიწვერა და ციხე-გალავნის ირგვლივ მდგარ ხეთა ჩრდილები ვაკე დაბლობზე წაგრძელდა. ბიჭს შინ დაბრუნების დრო მოუვიდა, მეც ვჩქარობდი: ნათლით უნდა გამეღწია საავტომობილო გზამდე, რომ რაიონშიც დროზე ჩავსულიყავი, სასტუმრო დამეჭირა, ტანი დამებანა და დაცარიელებული საგზლის გუდაც შემევსო. მაგრამ არ მინდოდა, ბიჭს ისე დავშორებოდი, რომ ჩემი პატივისცემა და თანაგრძნობა არაფრით გამომეხატა, და რაკი ხელთ სხვა არაფერი მქონდა, ზურგჩანთაზე მიდებული თოფი ავიღე და გავუწოდე:

— ეს შენი ფეშქაში!

ბიჭმა უნდობლად შემომხედა და გრძელი წამწამები მისთვის ჩვეული სიჩქარით აახამხამა.

— თოფი?!

— ჰო, ჩემს სამახსოვროდ გქონდეს.

— მერე, თოფის გაჩუქება რომ არ შეიძლება?

— აქ კი, მთაში შეიძლება.

ბიჭს თვალები სიხარბის ნაპერწკლებით უელავდა, — ვატყობდი, თოფზე სული ელეოდა, მაგრამ თავს იკავებდა და ცდუნებას დიდსულოვნად უძლებდა.

— ჰა, აიღე, ნუ გრცხვენია.

ბიჭმა უფრო დაიმორცხვა, მასში რაღაცნაირად შერწყმული იყო თავხედობამდე მისული სითამამე და უკიდურესი მოკრძალება. სახეზე სიწითლემ გადაჰკრა, ერთი ნაბიჯით უკან დაიწია, თავი დაღუნა და ხელები გაასავსავა:

— არა, არა... ვერა... უხერხულია.

—რატომ არის უხერხული, მე ხომ თვითონ გჩუქნი?

—კი, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ, — შევაწყვეტინე მკაცრად, — უფროსი რომ გეუბნება, უნდა გაიგონო!

ბიჭმა თავი ასწია და უსაზღვრო მადლიერებით შემომხედა:

— სამაგიეროდ რომ არაფერი მაქვს, მე რაღა მოგცეთ?

— როდის იყო, საჩუქარს საჩუქარზე ცვლიდნენ?

— მაშინ შინ მეწვიეთ, — იპოვა ბიჭმა გამოსავალი და ისევ გახალისდა,— შორი კი არ არი, აქვეა, ჩავირბენთ და...

— რით გამიმასპინძლდები? — ვკითხე განგებ გამომწვევად და გამაღიზიანებლად, — მარტოხელა კაცს რა უნდა გქონდეს ისეთი რომ... იქნებ ისიც არ იცი, რომ სტუმარს კარგი დახვედრაც უნდა?

— რატომაც არ ვიცი, — იწყინა ბიჭმა, — და ყველაფერიც მაქვს: კარგი ჟიპიტაური, მსუქანი დედლები... კეთილი გული.

— ჟიპიტაურიცა გაქვს?

— დიახ, მაქვს! — ჯიქურ მომიგო ბიჭმა.

— სვამ კიდეც?

— სმით არა, მაგრამ მაქვს, ვხდი და ვინახავ.

— რისას ხდი?

— პანტა, მაჟალო, ანწლი... ქლიავისასაც ვხდი, შვინდისასაც.

— რაღაც არ მჯერა.

— აი, წავიდეთ და ნახავთ. ბიძაჩემს გაგაცნობთ, მეზობლებსაც დაგიპატიჟებთ. — და თხოვნა ისევ ბავშვური ღიჯინით დააბოლოვა, — წამოდით რა, წამოდით, ძალიან გთხოვთ!

— მეც ძალიან მინდა, მაგრამ, რა ვქნა, ახლა არ მცალია, — ვუთხარი მო-

---

სულხან ქეთელაური
პატარა კაცი

ბოდიშებით და ხელი გავუწოდე, — ძალიან მალე ისევ ჩამოვალ და მაშინ შემოგივლი.

— არ მომატყუებთ?

— არა, როგორ შეიძლება.

— მაშ, გელოდებით, — მითხრა დაიმედებულმა და პაწია ხელი ჩამოსართმევად გამომიწოდა.

ბიჭმა ტომსიკის სამხრეებში მკლავები გაუყარა, ჩემი ნაჩუქარი თოფიც მხარზე გადაიგდო, ნახატი ფურცლები ხელში დაიჭირა და წავიდა.

დაღმართზე როგორღაც ფეხტეხით მიაბიჯებდა, ტომსიკა მის სუსტ, უძლურ მხრებს უფრო გამოკვეთილად აჩენდა, მომცრო ტანს თოფის სიგრძეც შესამჩნევს ხდიდა — კონდახი კინაღამ შუა წვივამდე სწვდებოდა და მუხლზე უხერხულად ექლაშუნებოდა. თავდახრილი მიდიოდა, არ ვიცი, ნახატებს ათვალიერებდა თუ ისე, უბრალოდ ძირს იყურებოდა. ზურგიდან ისე ჩანდა, თითქოს რაღაცაზე გული სწყდებოდა და სათქმელიც კიდევ რაღაც ჰქონდა. და მართალაც, ტყის პირას, ბუჩქნარის დასაწყისთან რომ ჩავიდა, უცბად შემობრუნდა, — იცოდეთ, არ დამაღალატოთ, უსათუოდ მეწვიეთ, უსათუოდ! — ამომძახა გამჭოლი, წკრიალა ხმით და კლაკნილ ბილიკზე ხტუნვა-ხტუნვით დაეშვა.

აი ასეთ საკვირველ ბიჭს გადავეყარე წელს. ჩემდა სამარცხვინოდ, დანაპირები ვერ ავუსრულე, სტუმრად ვერ ვეწვიე, — იქით წასვლა არა და აღარ მომიხერხდა, ისე კი ხშირად ვიგონებ, უფრო მაშინ გამახსენდება, როცა რუსთაველზე ჩავივლი და ჭადრების ჩრდილში ჩამომდგარ, მხარ-მკლავებდაკუნთულ და უშინაარსოდ მოლაყბე ოცი-ოცდაერთი წლის ვაჟკაცებს შევხედავ. ასეთ დროს ბიჭი თვალწინ ცოცხლად დამიდგება, მისი მაშინდელი ნათქვამიც — „ვხნავ, ვთესავ, ვმუშაობ და ვცხოვრობო“, — ისევ ცხადად ჩამესმის და გულზე ძლიერი სინანულის გრძნობა შემომაწვება ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ რატიანი

ეიუნვლოეული ია ვარ ეევე

ფრთხილად, მორიდებულად შეაღო კარი, ოთახში შეიხედა და ჩუმად იკითხა:

— შეიძლება? — და მაშინვე გაიფიქრა, — „რაღა შეიძლება, ოთახში ვარ და ეგა

“.

პროვინციული გაზეთის ორივე განყოფილების გამგემ თავი დაუქნია ახალგაზრდას. ვაჟმა შეხედა ტახტზე წამომჯდარ უცნობს, მისალმება დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. უცნობს არც შეუხედავს მისთვის.

პროზის განყოფილების გამგემ მაგიდაზე დახვავებულ ქაღალდებში დაიწყო ქექვა. ახალგაზრდამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ფანჯრის მოაჯირს ხელისგულები დააყრდნო და ქუჩაში გადაიხედა. ათიოდე გამვლელი, სადალაქოს წინ მდგარი ტალახიანი „ნივა“ და ერთიც ნელა მიმავალი ტრაქტორი „ბელორუსი“ დაინახა. მძღოლს მუხლებზე პატარა გოგო დაესვა და თვალებგაფართოებული ბავშვი პაწია ხელებით ეჭიდებოდა საჭეს. ზემოდან არ ჩანდა, როგორ უღიმოდა შვილს სახეგაბადრული მძღოლი, მაგრამ ვაჟი აშკარად ხედავდა ამას. „ეჰ, სამას ნაბიჯზე ეს ასფალტი გათავდება და მერე იმ ოღროჩოღროებზე ხომ გამოლაყდა ბავშვი“, — უკმაყოფილოდ გაიფიქრა ახალგაზრდამ.

ვაჟმა თავისი სახელი გაიგონა და მიტრიალდა.

— კიდევ ვერ წავიკითხე შენი მოთხრობა. ხომ იცი, ძალიან დაკავებული ვარ, მაგრამ ახლა, იღბლად, თავისუფალი დრო მაქვს და წავიკითხავ, დაჯექი.

—არა, მაშინ მე გავალ, დერეფანში დაგელოდებით.

— დაჯექი, კაცო, დერეფანში რა გინდა!

— არა, გავალ, გავივლი და ათიოდე წუთში მოვალ.

ახალგაზრდამ ფრთხილად გაიხურა კარი.

პროზის განყოფილების გამგემ მანქანაზე გადაბეჭდილი რამდენიმე ფურცელი აიღო და ბოლო გვერდს დახედა.

— იჰ, სულ ცხრა გვერდი ყოფილა! — ჩაილაპარაკა და შეუდგა კითხვას.

ახალგაზრდა დერეფანში ზურგით კედელს მიეყრდნო და იატაკს დააცქერდა. მერე პალტოს ჯიბიდან ხელნაწერი ამოიღო და ფურცვლა დაუწყო. ეს არ იყო იმ მოთხრობის ხელნაწერი, რომელსაც ახლა პროზის განყოფილების გამგე კითხულობდა. ვაჟი თავის სხვა მოთხრობას აყოლებდა თვალს, მაგრამ გულს ვერ უდებდა. ისევ თავიდან იწყებდა კითხვას და ერთსა და იგივე წინადადებას რამდენჯერმე უაზროდ იმეორებდა გულში.

პროზის განყოფილების გამგემ კითხვა შეწყვიტა. ჯიბიდან მოდური გაზის სანთებელა ამოიღო, სიგარეტს მოუკიდა და სანთებელა ისევ ჯიბეში ჩაიდო. ერთი-ორი ნაფაზი დაარტყა, რძისფერ ბოლში გაეხვია და დაამთქნარა. მერე განაგრძო კითხვა. დროდადრო სიგარეტს მოქაჩავდა და თავაუღებლივ ხელს საფერფლისაკენ იშვერდა.

დერეფანში ლიტმუშაკმა გაიარა. ახალგაზრდა მიესალმა მას, თუმცა არც სახელი იცოდა მისი, არც გვარი. ქალმაც ღიმილით დაუქნია თავი. „ჰმ, გაიფიქრა ახალგაზრდამ, ნაღდად არც ამან იცის ჩემი სახელი და გვარი. ისე კი მაინც ნაცნობები ვართ, აბა რა, — რაც მე ესენი რედაქციაში დამაწანწალებენ...“

პროზის განყოფილების გამგე კითხულობდა და აღარ ეწეოდა. მარცხენა ხელის შუა და საჩვენებელ თითებს შორის გაჩრილი სიგარეტი ბოლავდა. მაღალი ხარისხის თამბაქო ორიოდ მოქაჩვის შემდეგ თავისთავად იფერფლებოდა, მაგრამ ფერფლი მაშინვე არ შორდებოდა სიგარეტის ანთებულ წვერს.

ახალგაზრდა ისევ იმ მოთხრობას ჩაჰკირკიტებდა და გონებაში მეორეს ადარებდა, იმას, რომელსაც ახლა პროზის განყოფილების გამგე კითხულობდა. ვაჟს თავისი ორივე მოთხრობა ძალიან მოსწონდა. ვერ გადაეწყვიტა, რომლისთვის მიეცა უპირატესობა. ნახევრად ბნელ დერეფანში დიდი ნაბიჯებით ნელა მიმოდიოდა და ფიქრობდა.

პროზის განყოფილების გამგე აგერ-აგერ დაამთავრებდა მოთხრობის კითხვას. ფერფლი მაგიდაზე ეყარა და განახევრებული სიგარეტის წვერი მოწითალოდ მოჩანდა. რძისფერი ბოლი სწორი ნაკადით მიისწრაფოდა ზევით, მერე იშლებოდა და ქრებოდა.

ახალგაზრდა ისევ კედელს მიეყრდნო. „მაინც რას მეტყვის? — ფიქრობდა,— რა უნდა მითხრას? არ შეიძლება, რომ არ მოეწონოს, ყველას ძალიან მოეწონა ეს მოთხრობა, ვისაც წავაკითხე. რა თქმა უნდა, ამასაც მოეწონება. თუკი მაშინ ის მოთხრობა დამიბეჭდეს, ეს ხომ უფრო მოეწონება. რომ არ მოეწონოს? რა არ უნდა მოეწონოს?! მოდი, ბარემ შევალ, აქამდე წაიკითხავდა კიდეც“.

პროზის განყოფილების გამგე ბოლო გვერდს კითხულობდა, როცა სიმხურვალე იგრძნო მარცხენა ხელის შუა და საჩვენებელ თითებზე. სწრაფად ასწია თავი, თითებს დახედა და თითქმის ბოლომდე დაფერფლილი სიგარეტი ცივად გააგდო ხელიდან. მაშინვე მარჯვენათი აიღო და საფერფლეში ჩააქრო. მერე ისევ განაგრძო კითხვა.

ახალგაზრდამ ისევ ფრთხილად შეაღო კარი. ამჟამად აღარ უკითხავს, შეიძლებაო. ვაჟმა პროზის განყოფილების გამგეს მიაშურა, — დაინახა, რომ ის ბოლო გვერდსა კითხულობდა და ამიტომ ისევ ფანჯარასთან გაჩერდა. ტალახიანი „ნივა“ წასულიყო, ტრაქტორის ხმა აღარც ისმოდა, მთელ ქუჩაზე სამად სამი კაცი მიაბიჯებდა. ახალგაზრდამ ცას ახედა. ცა ზამთრის მძიმე ღრუბლებით იყო დაფარული და მხოლოდ აქა-იქ გამოკრთოდა მისუსტებული მზის ნელთბილი სხივი .

პოეზიის განყოფილების გამგე მისთვის შეუფერებელი, თითქოს სხვისი, ბოხი ხმით რაღაცას უმტკიცებდა უცნობს. უცნობი ასაკით მასზე გაცილებით უფროსი ჩანდა და იქნებ ამიტომაც სიტყვას არ არჩენდა მოკამათეს. პროზის განყოფილების გამგემ ბოლო გვერდიც ჩაიკითხა, თავი ასწია და ისე მიმოიხედა, თითქოს იქაურობა ეხამუშაო. ახალგაზრდამ სახეში შეხედა, მაგრამ იმან თავი დახარა და მოთხრობას დაუწყო ფურცვლა, თუმცა მალე წვრილი თვალებით სივრცეს შეაცქერდა. ახალგაზრდამ ისევ შეხედა, მაგრამ მისი თვალები ისეთი წვრილი იყო, რომ შიგ ვერაფერი ამოიკითხა.

— ჰო, წავიკითხე, — დაიწყო პროზის განყოფილების გამგემ, — წავიკითხე და იცი... არ მომეწონა. არა, ისე თითქოს არა უშავს, მაგრამ მე პირდაპირ მიყვარს თქმა, იცი, რაღაც, აი რაღაც არ მომეწონა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდამ საკუთარი გულისცემა გაიგონა.

— მაინც რა არ მოგეწონათ?! — ვეღარ შეიკავა თავი, თუმცა, რაც შეეძლო წყნარად და ხმადაბლა ჰკითხა.

პროზის განყოფილების გამგემ ხელები გაშალა, ერთხელ კიდევ გადაფურცლა მოთხრობა და იმავე ხრინწიანი ხმით განაგრძო:

— საერთოდ არ მომეწონა, აი, რა გითხრა ახლა, მოკლედ, მთლიანად არ მომეწონა.

— რა, იდეა არ მოგეწონათ?

— არა, იდეა კარგია, მაგრამ...

— აბა, რა, ცუდად არის დაწერილი?

— რა არის, იცი, ასე არ წერენ საერთოდ, რაღაც უცნაურად დაგიწერია, იქნებ ეს ექსპერიმენტია შენი? ჰო, ქვეშეცნეულად... აი, ადრე რომ მოთხრობა გქონდა ჩვენთან, ხომ დაგიბეჭდეთ ის...

— მე ახლა ამ მოთხრობაზე მაინტერესებს თქვენი აზრი.

— ამ მოთხრობაზე... მე პირდაპირ მიყვარს თქმა და, ხომ იცით, ახლა ის, რომ, აი, ქვეშეცნეულად...

— კონკრეტულად მითხარით, რა არ მოგწონთ ამ მოთხრობაში, — ისევ ვერ შეიკავა თავი.

— კონკრეტულად... აი, თუნდაც ეს ავიღოთ, ჰო, სადაა ისა, ჰო, ა, აგერ, შენ წერ, რომ ლამაზი ქალიშვილის დანახვაზე ბავშვები ეკითხებიან დედებს: „—დედი, ასეთი ლამაზი იყო თამარ მეფე, არა?“

— მერე რა?

— მერე და ის, რომ საიდან იციან ბავშვებმა, როგორი იყო თამარ მეფე?

— რას ჰქვია, საიდან იციან?! — ვერ გაიგო კითხვის აზრი ახალგაზრდამ.

— ჰო, აბა მითხარი, მითხარი ერთი, საიდან უნდა იცოდნენ ბავშვებმა, როგორი იყო თამარ მეფე, მათ ხომ ის არასოდეს არ უნახავთ?

— გამოდის, რომ უფროსებს უნახავთ თამარ მეფე?!

— აი, საქმეც ეგაა. უფროსებს შესწევთ უნარი, ის წარმოიდგინონ, რაც არ უნახავთ და ბავშვები კი მხოლოდ იმას იცნობენ, რაც თავისი თვალით აქვთ ნანახი. რაც ბავშვებს არ უნახავთ, იმას ვერასოდეს წარმოიდგენენ, ამიტომ, თქვენ როცა წერთ: პატარა ბავშვები ეკითხებიან დედებს — ასეთი ლამაზი იყო თამარ მეფე, არა? — ეს აშკარა სიყალბეა.

— კი მაგრამ, მაშინ ის რაღაა, პატარა ბიჭები ჯოხს ფეხებშუა რომ გამოიჩრიან, დარბიან და გაიძახიან — აჩუ, ცხენოო?

— აი, თქვენ რაში ცდებით, ცხენი ხომ ყველა ბავშვს უნახავს...

— ჯერ ერთი, ცხენი დღეს უკვე ყველა ბავშვს არ უნახავს, მეორეც კიდევ, აბა ომობანას რომ თამაშობენ ბავშვები, ის რაღაა, იქნებ ბავშვებს ომიც ნანახი აქვთ?

— ოჰ, ომობანას! ომის შესახებ პატარებს იმდენი ესმით უფროსებისაგან, რომ...

— აჰაა, უფროსებისაგან ესმით, ხომ...

— დიახ, და თანაც კინოსა და ტელევიზორში ბავშვები ძალიან ხშირად უყურებენ ომს!

— თქვენ დაგავიწყდათ გეთქვათ, რომ თოჯინების თეატრშიც უყურებენ ომს ბავშვები! — გაკენწლა ახალგაზრდამ.

პროზის განყოფილების გამგემ ამოიხვნეშა და პოეზიის განყოფილების გამგეს გასძახა:

— გააგებინე, ერთი ამას, თუ ძმა ხარ!

პოეზიის განყოფილების გამგემ ნაღვლიანი თვალები ააფახუნა, სახე ქაღალდებში ჩარგო და რაღაც გაურკვეველი ჩაიდუდუნა.

ახალგაზრდა თავს ვერ იკავებდა:

— მაშ, გამოდის, რაც ზღაპრებში პერსონაჟია, ბავშვებს ყველა თავისი თვალით უნახავთ. ეს ცხრათავიანი დევი, ეს ნაცარქექიაო... ანდა ის მელია ლექსად რომ ეუბნება ჩიტს — ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო...

— ეეჰ, — ისევ უკმაყოფილოდ ამოიხვნეშა პროზის განყოფილების გამგემ: — ასეთ ნიჭიერ ახალგაზრდას ეგე-

---

ზურაბ რატიანი
მიუჯდომელი თამარ მეფე

თი ლაპარაკი როგორ გეკადრება?! დამიჯერე, ხომ იცი, ცუდს არ გირჩევ, კოლეგები ვართ ბოლოს და ბოლოს, — გაღიმება სცადა გამგემ და უმარილოდ გაიღიმეჭა.

—ჰმ, კარგით, უკაცრავად, რომ ცოტა გავცხარდი, წავიღებ ამ მოთხრობას! — ხელი ჩაიქნია ვაჟმა .

— მოიტანე კიდევ სხვა, ახალი და აუცილებლად დაგიბეჭდავთ, — მოლბა პროზის განყოფილების გამგე.

— კარგი, გმადლობთ გულახდილობისათვის, თორემ ამდენი ხანია ეს მოთხრობა რედაქციაშია და კაციშვილმა აქამდე პასუხი არ მაღირსა.

— აი, მაშინ ხომ დაგიბეჭდეთ, ახალი მოიტანე და კიდევ დაგიბეჭდავთ.

— გმადლობთ, თუკი რაიმე კარგი გამომივიდა, რა თქმა უნდა, თქვენთან მოვალ, ნახვამდის.

ახალგაზრდამ ნელა გაიხურა კარი და მონიკელებულ სახელურზე ცივი წინწკლები დატოვა.

პროზის განყოფილების გამგე თავის სამი წლის გოგონას ეთამაშებოდა. შვილის სათამაშოებიდან მამას განსაკუთრებით ის თოჯინა მოსწონდა, ტურისტული მოგზაურობიდან რომ ჩამოუტანა პატარას. ბავშვს სხვაც ბევრი ჰქონდა სათამაშო, მაგრამ მამა მაინც იმ თოჯინას აჩეჩებდა ხელში შვილს. თოჯინა ნამდვილად არაჩვეულებრივად ლამაზი და მორთულ-მოკაზმული იყო. გოგონას კი რატომღაც დიდად არ უყვარდა ის ულამაზესი თოჯინა. პატარას გაცილებით მოსწონდა ყბაგასიებული ელამი დათუჩა და აშკარად მახინჯი, მუქი წაბლისფერი მაიმუნი.

მამა ყოველნაირად ცდილობდა გაეგებინებინა შვილისათვის, რომ პარიზული თოჯინა ულამაზესია, ხოლო დათვი და მაიმუნი მახინჯები არიან, მაგრამ ამაოდ.

პროზის განყოფილების გამგე მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ბავშვებმა საერთოდ არ იციან, რა არის ლამაზი და რა არის მახინჯი. (ყველა ბავშვს ხომ თავისი დედა ულამაზესად ეგონა, ფიქრობდა ის). მას სჯეროდა, რომ მისი გოგონა როცა გაიზრდებოდა, ბევრს იცინებდა, თუ როგორ უყვარდა პატარობისას ყბაგასიებული, ელამი დათუჩა და მახინჯი მაიმუნი. მაგრამ მამას ძალიან უნდოდა, რომ შვილს ახლავე, უკვე პატარაობაშივე გაერჩია ერთმანეთისაგან ლამაზი და მახინჯი.

ბავშვს მობეზრდა სათამაშოები:

— მამი, სახლი დამიხატე, ლაა!

მამამ დაუხატა სახლი.

— ახლა გემი დამიხატე!

მამამ გემიც დაუხატა.

—მამი, ახლა თამალ მეფე დამიხატე!

მამამ ერთი კი შეხედა შვილს, თითქოს რაიმე გაახსენდაო და მერე რაღაც ადამიანის მაგვარი დახატა ფურცელზე.

პატარამ დახედა ნახატს და ისეთი კისკისი ატეხა, როგორიც მხოლოდ ბავშვებს შეუძლიათ.

მამამ გაკვირვებით შეხედა შვილს.

— ეგ ლოგოლი თამალ მეფეა, კალგი დამიხატე, ლაა! — ბავშვურად სწრაფად იცვალა გუნება გოგონამ და მოიღრუბლა.

პროზის განყოფილების გამგემ ისევ ადამიანის მსგავსი რაღაც დახატა ქაღალდზე.

— ლა ალი, მამი, ლაა, ლატომ ალ მიხატავ ლამაზ თამალ მეფეს? — ცოტაც და ბავშვი ატირდებოდა.

მამამ სწრაფად დაუხატა მესამე „თამარ მეფე“.

ბავშვმა დახედა, პაწია, ვარდისფერი პირი გააღო და გულსაკლავი ტირილი ატეხა:

— ااال მინდااا!... ეგ ال... ال... ال ال თამალ მეფეე, თამალ მეფე სუყელაზე ლამაზიااا, ეგ ال ا-اال ال ال

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამუკა სალუქვაძე

●

ძინ, ძინ, ძინ.
ქარავანი მიდის, მიირწევა;
როცა დღე მიიქცევა,
სადმე ოაზისთან შეჩერდებიან,
წყალს დალევენ, შეჯერდებიან.
ჯერ კი — წინ, წინ, წინ!..

●

საფრთხობელაზე სხედან ჩიტები,
უკუღმართ ბედს შენაჭიდები.

და უკვირთ, რატომ დაამტვრია ქარმა
რტოები
ტირიფს, ბაღის პირას რომ დგას
— განმარტოებით.

●

წვიმებად იქცნენ წიწვები ნაძვის
და მზის უეცარ აციმციმებით,
ისევ წიწვებად იქცნენ წვიმები.
. . . . . .
ხან წვიმს, ხან არ წვიმს.
ვეღარ გავიგე, რა ამინდია,
თუ კი დილაა, რაღა ბინდია;
ღრუბლებიც დგანან, თანაც დადიან,
ტალღებიც უაზროდ მოდიმიდიან,
თუ სიზმარია, რაღაც დიდია,
ან პატარაა, თუკი ცხადია.
. . . . . .
ოჰ, ვეღარ გავიგე, რა უნდათ ამ წვიმებს,
ამ ტალღებს, ამ ნაძვებს, ამ კაცებს, ამ
ქალებს...
და ვფიქრობ, იქნება ფიქრებმა დამღალეს,
ფიქრი ხომ ცხოვრებას საოცრად ამძიმებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდხანს ვუმზერდი რაღაც ერთ წერტილს
და მერე ვწერდი,
რომ მივაჩერდი და ვუცქერდი რაღაც ერთ წერტილს,
როცა ოთახში შენ შემოხვედი,
შემომხედე,
მითხარი რაღაც...
მე ვერ გავიგე, რადგან ვუმზერდი წერტილს და ქაღალდს...
და შენ გახვედი.

. . . . . .

სარკმელიდან გზას გავხედე.
მიდიოდა მოხუცი ქალი კალათით.
მერე, წერტილი გადაიქცა ქალად
და ბოლოს გაქრა.

ᲬᲕᲘᲛᲓᲐ

ჩემი ფიქრი ჰგავდა წვიმას,
წამით რომ შეწყდა.
ვიჯექი ცეცხლთან
და ნაპერწკლების მესმოდა ფეთქვა...
მახსოვს, რაღაც მინდოდა მეთქვა...
ოთახში იდგა კვამლი,
სავარძელი, კარადა, მაგიდა.
მაგიდაზე ვაზა იდგა და სარკე.
ვაზაში — მიხაკები.
სარკეში — ვაზა მიხაკებით, —
მაგიდა, კარადა, სავარძელი...

. . . . . .

ჩემი ფიქრი ჰგავდა წვიმას,
წამით რომ შეწყდა, და რომ გავაგრძელე.

ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲛᲘᲬᲐᲡ ᲒᲐᲜᲐᲡᲔᲑᲝ, ᲓᲐᲰᲞᲘᲠᲓᲐ...

ზღვამ პატარა ნაფოტი,
დარდით გამონაფიტი,
მოაცურა ნაპირთან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით მაღრაძე

●

ნელა შრიალებს ზაფხულის სიო,
ორღობეებში არ ისმის ჩქამი,
ქარი ფოთლებში რაღაცას სძიობს,
და გიშრის თვალებს ედება ნამი.

ღამემ დუმილი თვისი გამანდო
ჰოი, ბუნებავ! არ დაბერდები,
„ო, სიყმაწვილევ! აწი არასდროს
იმგვარად აღარ ამეტყველდები“.

უკუნ ღამით ხენი რაღას ითხოვენ ნეტა?!

ისევ ვიყრი მუხლთ
შენს წინაშე სვეტიცხოველო,
შენს კედლებს შინა,
სიჩუმეში ვიღაცა ზღერის.
ჩემ სულში უხვად,
ოცნებების მუდამ მთოველო,
ისევ მამხია თავზე ღამე,
ვით მონასტერი.

და ისევ ვითხოვ,
თეთრ ოცნებებს ტაძარო წმინდავ!
ანგელოზივით რომ გამოჩნდა
ამაყი მცხეთა,
ოცნებებს ვითხოვ
და ღამეში გაფრენა მინდა.
ამ უკუნ ღამით
ხენი რაღას ითხოვენ ნეტა?..

●

ამ გზაზე ისევ შემოწყენაა,
და ისევ სცივა გაძარცვულ ალვას.
მე მახსენდება წარსული ჩვენი
და ღამეებში ოცნებებს ვმალავ.

ახლა ამ სულის ირგვლივ ღამეა,
და სვეტიცხოვლის სულშიაც ბნელა,
გემშვიდობები, ნატვრაო ჩემო!
ღამემ წაიღო ოცნება ყველა...

თითქოს მომწყინდა წუთისოფელი
და ღამეებზეც უკვე ვიმღერე,
მშვიდობით! ჯარო ღამეებისავ,
მაშ გამარჯობა ნათლის სიბერევ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავთანდილ ადეიშვილი

ერი მეთრეტა



ყივილი

უნაგირა მთაზე დიაცის თმებივით ჩამოიშალა ღრუბელი. საჯიხვეებზე ნათოვლი პირიქითა ალაზანში იწრიტებოდა; გაზაფხული მწვანით ენაცვლებოდა ზამთრით ნათევ შენაქოს სამანებს.

მთვარეს ვერ მოესწრო შენაქოს ციდან გადაგორება, ისე დაათენდა გამკვდარებულ ეზო-კარს.

სოფელში ორი-სამი ოჯახიღა ჭაჭანებდა და ერთი საზიარო ძაღლი. ქოფაკი დაჩაჩანაკდა, ცხვარ-ძროხას ვეღარ უთავდებოდა. ჰოდა, თივის ზვინთან მიაბანაკეს. თეთრი, შავწინწკლება, ყურდაჭრილი მოზოზინე ძაღლი მთელი ზამთარი მდუმარებაში იწვა და ეძინა.

სოფელ შენაქოს უკანასკნელ მკვიდრებს ყოველ წელიწადს ჰგონიათ, ეს ქოფაკი ამ ზამთარს ვერ გააღწევსო, მაგრამ, ნურას უკაცრავად! გაზაფხულმა ძვლებში თბილი მზის სხივები ჩაუნთო, ბეწვი აუბზინა, ისე კი არა, როგორც წარსულში.

ძაღლის გამხნევებას შურით დასცქერიან მოხუცობის წლებში მოფათურე ქალ-კაცნი და ბუტბუტებენ, „საიდან უმთელდება ამ ძაღლს სიცოცხლე?!"

ნაჯაფარ-ნაგერანალი ძაღლისათვის შენაქოელები ლუკმას იმეტებენ;

— აჰა, სიკვდილის კერძო!

ჰაერში რიტმული გუგუნი გავრცელდა, შენაქოს ძაღლი დიდი მინდვრისაკენ გაიქცა, გზა-გზა ბუხუნებდა.

ნაზამთრი შენაქოელები ძაღლისგან იგებენ, რომ თუშეთში შვეულმფრენის გუგუნმა სეზონური სიცოცხლე ჩამოაზაფხულა.

— ნეტავი ვინ იქნების?

— ფერმის გამგე ჭვრიტიძე იქნება, თავის ცოლ-შვილს ჩამოიყვანდა, იალაღებზე ბინებს დაზვერავს,—გადაძახილ-გადმოძახილით იხეოდა ჰაერი.

შვეულმფრენი ნარნარად დააფრინდა შენაქოს „აეროპორტს". მდუმარებით გაკაჟებული მკვიდრნი მისჩერებიან რკინის კალიას, მისი ფრთებისაგან გამოსროლილი დაგრეხილი ჰაერი ქალების თავსახვევებში ძვრება და თმებს უწეწავს. ბერიკაცები რკინის კალიის ილუმინატორში იცქირებიან, მოფრენილთა ვინაობის გაგებას ლამობენ. მარტოობასთან შეხორცებული მათი სულები ხალხთან ყოფნის წყურვილით იცრიცებიან.

„ადამიანს ადამიანი სჭირდება, სიყვარულში და სიძულვილშიც".

„მერედა, ბარს მიესტუმრეთ!"

„არა, შვილო! ჩვენი წასვლით საქართველოს სამანები დავიწროვდება!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაფდაფობს შენაქოელთა კანტიკუნტად დარჩენილი გულები.

პილოტმა სარკმლიდან თავი გამოყო.

— გამარჯობათ, ხალხნო! ზამთარმა ვინმე ხომ არ ჩამოგაცილათ, ისევ ხუთნი ხართ, გმირებო?!

პილოტის ღიმილმა გაალღო მდუმარებით გამყინვარებული შენაქოელთა სახეები.

ძაღლი ვერტმფრენის კარებს მიედრუნჩა.

ჩხაკ, გაიხსნა რკინის კალიის გულმუცელი. პირველი ფერმის გამგე კარლო ჭვრიტიძე გადმოვიდა, მერე ცოლშვილი დაიმგზავრა.

— გამარჯობათ!

— გაგიმარჯოთ! — ჩაიბუხუნეს მასპინძლებმა. არც კი უკითხიათ, ბარში რა ამბებიაო. მერე იბრუნეს პირი და ხვნეშა-ხვნეშით დაიძრნენ თავიანთი ეზო-კარისაკენ. გზა-გზა ხმიანობდნენ:

— სეხნიაიძე აპალო ჩამოვა!

— მერე ოშორიძე მიშა!

— გარსევანი მოჰყვება!

— გარსევანი აგიურთობის დღეობაზე შულტად არის დანიშნული.

— მისი მამა-პაპა კარგ ლუდს ხარშავდა, უკეთესს ვერ დალევდი!

— პროფესორს ლუდის ხარშვა რა ეკითხების?! — ჩაიხითხითა ბერიკაცმა.

ძაღლი კუდის ქიცინით მიაცილებდა ტვირთაკიდებულ ჭვრიტიძეებს.

— ნესტორ, შენი შვილები როდის გეახლებიან?

— ბარე ორი წელია, მოკითხვებითღა ვმამაშვილობთ, — ბერიკაცს ხითხითში ნაღველი ჩაესხა.

— თუ საჰაერო გზა არ ჩაიკეტა, დღეს და ხვალ სოფელი აივსება ჩვენიანებით.

— ჩამოიტანენ თავიანთ საძღომს და ბარში გაჩალისფრებულ პირს.

— ჩვენც ბარისთვის უნდა მიგვეცა თავი!

— ჯიხვი ჭიუხზი კვდების! — ჩაიბუხუნა ნესტორმა.

იმ დღეს შვიდჯერ მობუბუნდა რკინის კალია და შვიდი ოჯახი მოაფრინა შენაქოში, ომალოში, დიკლოში...

შენაქოელი აბორიგენები ყოველდღე აღრიცხავენ მოაგარაკე თუშებს, აჩერდებიან მუდამჟამ მიტოვებულ სახლებს, რომლებსაც მარტოობა ამძიმებთ. სწორედ ამ მარტოობამ ჩამოახრიალა ფიდოს, სოსოს, შოთას სახლის კედლები, უმრავლესობას კი სახურავები ჩაუზნიქა.

— ხევხუვს მიჰყვება ჩვენი მამაპაპათა ნაჯაფარი! — საფეხვნოს თავზე სიტყვა გაიგზიანა ნესტორმა.

— ნუ გეშინია! ძეგლთა დაცვამ მე ჩამაბარა აგიურთა, წისქვილები, ნიშები... — შეყოყოჩდა დავითა-კაპიტანა.

— საფეხვნოს ჯვარიანი ეკლესია?

— ეგ შემოსავალზე არა მაქვს! — ჩაიხითხითა დავითა-კაპიტანამ.

მზე ბარს მწვავედ დააცხრა, ყველა თუშმა მთაში იწყო ასვლა.

ხანდახან ორი-სამი დღე ელოდებიან ახმეტის აეროპორტის უფროსის ნებართვას: ზოგს ვერ მოეთმინა და თუშეთის ბილიკებს ცხენებით აჰყოლოდა, გზა-გზა არაყს ეძალებოდა, კლდე-ღრეში ჩაკარგულ წინაპრის შენდობას წრუპავდა: „თუში გზაზე კვდება, თუშს ლოგინი დიაცისთვის სჭირდება“.

ივლისსა და აგვისტოში თუშეთის საზიარო სალუდეები ახრჩოლდებიან: იხარშება დარკო, სვიანათი გააზავებენ და დამტკბარ ზიანს ჩაასხამენ დიდ-დიდ სპილენძის ქვაბებში დასადუღებლად. საკლავს ყიდულობენ, ერთიანად არაყს იმარაგებენ — ასე ხვდებიან დღეობას შენაქოში.

სტუმრებით გაივსო სოფელი. ხმიანობს ტრანზისტორები.

ჩამავალი მზის სხივით ნაფენ საფეხვნოზე წამოგორებული თუშები წვანან თავიანთ ნეტარებაში გარინდებულნი, ახლოს არიან ცასთან, მთვარესთან, ვარსკვლავებთან და ოცნებებთან.

ნასკოლარის წინ ანთებული კოცონი ალვანური გარმონის ჰანგებს სწვავს, იწვიან ვნებაში ხელნაკრავი გოგონები. თუშის გოგონა გარმონზე ამღერებს ტარი-

---

ავთანდილ ადეიშვილი
მოთხრობები

ელ-მფრინავის დაღუპვის ეპიზოდს და რატომღაც ის ჰგონია ლეგენდა-კაცი, მღერის და უყივის სიყვარულის ეფემერას.

სადღეობოდ ჩამოსულები კანტიკუნტად გაიკრიფნენ სიპით ნაშენ მამა-პაპათა სახლებში. გარმონი ჭყმუტუნ-ჭყმუტუნით აცალკევებდა ვნებაგახლართულ გოგო-ბიჭებს.

სიზმარში შეეხვია შენაქო.

. . .

—წყალობდეს, წყალობდეს! გათენდა დღეობა.

ზედაშეს ზედიზედ სცლიდნენ მზის ამოსვლას ნაჯობნი თუშის კაცები. მოხუცი ქალები ლუდს ასხამდნენ კათხებში.

ხატთან ჭედილა წამოაქციეს, ყელი ალისფერი სისხლით გადაუღებეს, ჩამოატყავეს და ქვაბში ჩაკუწეს.

— წყალობდეს, წყალობდეს! — ყელი ამოიხახა ფერმის გამგემ ჭვრიტიძემ.

ხატს ასე ოცი, ოცდაორი წლის ქალი მიუახლოვდა, თუშის მოხუცი ქალები გაწბილდნენ:

— არ შეიძლების, არ შეიძლების!

ვილაც მამაკაცმა ჩაიქირქილა:

— მიუშვით ხატთან, ბერწი არს, არ უწმინდურდების!

თუშის ქალებს ბაგეზე სიცილი მოადგათ, სიდარბაისლე რომ არ დაეკარგათ, სახეზე შავ-შავი ხილაბანდები აიფარეს.

შენაქოს ბომბორა ძაღლსაც „სტუმრები“ მოსვლოდა და ღრენა-ღრენით კვნეტავდნენ ნახევრად დატკვერილ ხორციან ძვლებს.

დღეობა შენაქოს ნასკოლარის ოთახებში გაგრძელდა. მაგიდები დაიზნიქა ოხშივარადენილი ხორცით, არყითა და ცივ-ცივი ლუდით. სუფრაზე სარა ბებიას შვილი შოთა გაათამადეს.

ენაგასხეპილმა თამადამ ლუდი და არაყი მიაძალა მედღეობე ხალხს. სუფრა დამძიმდა გაყალბებული მჭევრმეტყველებით, აიმღვრა ცისფერი, შავი, თაფლისფერი თვალები. წამისწამ ისმოდა:

— წყალობდეს!

— წყალობდეს!

რძისფერ ბოლში გაეხვია ბახუსთან მორქენალი ხასიათები, აკრაჭუნდა კბილები. გარმონი სულმოუთქმელად ჭყვიტინებდა.

თამადის ოთახის ზღურბლზე ამუქდა წელში გაწურული, ოქროსფერთმიანი მამაკაცი.

— დავითოს გაუმარჯოს!

— რაში მჭირს თქვენი გამარჯობა?! — დავითოს მოგრძო ნიკაპი შეუტოკდა:

— სუფრას მოუჯექ! — მიმართა თამადამ.

— არა, არა! — იუარა დავითომ.

— მართლაც ვირდავითოა! — ჩაიჩურჩულა ვილაცამ.

— ეე, სვავებო, დასძეხით? — შეატორტმანა დავითომ მედღეობენი.

— დავითო, რად უბნობ ამგვარად? დაგვესუფრე! — ნესთხოვეს ერთგან.

— აეყარენით, სვავებო! — იღრიალა დავითომ, მერე შთამაგონებლად, დამაისრებლად გაუტარა თავისი კვარივით ანთებული თვალები მედღეობე ხალხს. ლუდ-არაყში მობორიალენი წამიერ გამოფხიზლდნენ, საჩხუბრად აიტკრიცნენ, მერე აფორიაქებული ხასიათები ჩაიქრეს, არ უნდოდათ, დავითოს რკინის მაჯაგანის გარჯა ენახათ.

— დაწყნარდი, დავითო!

— გაიტანეთ თქვენი საღორმუცლო ტაბლა!

— იკმარე, დავით! — არყითა და ლუდით გატრეტილმა კაცმა სცადა დავითოს დაშოშმინება.

— გაიტანეთ თქვენი საღორმუცლო ტაბლა!

მედღეობე ხალხის ძარღვებში ბრაზი აანთო დავითომ.

— შენ თვითონ გაეთრიე! — წაჰყვირეს დავითოს.

— გაეთრიე, შენი... — სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო დავითომ, ნასროლმა ბოთლმა სახე წითლად გადაუღება.

დავითო არ შეცბუნებულა, ფართო მტევნით სახიდან სისხლი ჩამოიწმინდა,

ზედ დახედა და იატაკზე დააწუწა. მედღეობენი აიშალნენ.

— ვინ გაბედა, ვინ ისროლა?.. ასეთი რამ ამ ადგილს არ ახსოვს! — გაჰყვიროდა თამადა.

დავითო კარებში ჩადგა, გატეხილი შუბლიდან და წარბიდან სისხლი ღაწვებზე ჩამოსდიოდა.

— გაიტანეთ თქვენი საღორმუცლო! ისე არ გაგიშვებთ! — არ ცხრებოდა დავითო.

დავითოს ამგვარი ახირება ვერ აეხსნათ, გაკოჭვით კი გაკოჭავდნენ, მაგრამ რისთვის? ისიც ვერ მოენელებინათ თუშებს, ვიღაც დამთხვეულმა ბოთლი რომ ესროლა. ასეთ დღეებში თუშები აყალმაყალს არ იყვნენ ჩვეულნი. ჰოდა, არც ახლა უნდოდათ ჩხუბი, დავითოს სურვილს უსრულებდნენ: მაგიდები გარეთ გამოიტანეს, სადღეგრძელოები გაგრძელდა.

დავითომ ნასკოლარის კარს შავი კლიტე დაადო, მერე კიბე მიაყუდა, ავიდა ზედ, თეთრნაჭერგადაფარებული აბრა აიტანა და ფასადის თავზე ორი დიდი ლურსმნით მიაჭედა. არავინ იცოდა, თეთრი ნაჭრის იქით აბრაზე რა ეწერა. იცოდა მხოლოდ დავითომ.

დავითომ კიბე ახლა სხვა, მიტოვებულ სახლს მიაყუდა. კვლავ თეთრნაჭერაკრული აბრა ჩამოკიდა. კიბიდან ჩამოიზლაზნა და წყაროსკენ წავიდა, შემხმარი სისხლი წყლით ჩამოიბანა, ფართო ცხვირსახოცით სახე ჩამოიმშრალა, მერე ქვაზე ჩაიმუხლა, თავი მარწუხივით მკლავებში ჩაიმწუხარა; ფიქრმა აუფეთქა შუბლის კიდეები.

— დავითო! — თავს წამოადგა დალალდაწნული, ჭროღათვალება ქალი.

— იამზე?!

— ჰო, მე ვარ!.. მთვრალი ხარ?

— არა.

— მაშადა, ის რად ჩაიდინე?

— მე არაფრის ჩამდენი არ ვარ!

— დავითო, წამოდი ხალხთან, გვერდზე მიუჯექი, ეგ ბოდიშის მოხდაც იქნება!

— ვისთან, მუცელღმერთებთან?!

— წამოდი, თუ გიყვარვარ!

დავითო გაირინდა.

— გეხვეწები, ყველას პირს ნუ დააღებინებ შენზე!.. წამოდი!

— მოიცა, მოიცა! გახსოვს, ჯიხვებზე სანადიროდ რომ აგვეტორღიალე, რამდენი წლის იქნებოდი? ასე — თხუთმეტი-თექვსმეტისა არა? ბიძაშენ გარსოსა ნანიაღვრალს მიუგავდა თავ-პირი, შენი წადილი რომ გაიგო. გზა-გზა სულ იმას ბუხუნებდა: „რა უნდა საჯიხვეებზე, ეგ რა ოჩოპინტრეა, თუ ქალღმერთი დალი!.. ქალს ნადირი უფრთხის, თარსივით ჩაგვივარდება მოსარეკში!“ მე ყურად არ ვიღე გარსო ძიას ბუზღუნი და დაგიმგზავრე. სანამ ჭიუხებს ავუყვებოდით, ლოყებზე ვარდი გიღუოდა, ცხენზე შეჯდომა არ ინებე... მთისკენ ავარდნილი ნიავივით მოგვდევდი უკან. ხანდახან თუ მოვიღრეცდი კისერს და იმედმომცემ ღიმს დაგიტოვებდი. მერე შეგაყოვნე და გკითხე: — ვინ გიკარნახა, ჯიხვის კვალს რომ დაადექი? ამ ბილიკებს შენ დალეკავ?! შენ ღიმით გამომეპასუხე. მზის სხივები ჩვენს თვალებში რო ჩაიწვა, კიდევაც დაბინდდა, თავზე გამურული ჭიუხები დაგვადგნენ თუ არა, ჩვენც დავბანაკდით. ნაბდებში გაეეხვიეთ და შუაღამეს დავუსაფრდით, რომ უთენია ჯიხვებს დავრეოდით. შენ თვალი არ მოგიხუჭია, მთვარიანი ღამე ჩაგივარდა უპეში. შორიშორს დათვი ბურტყუნებდა. მონადირენი ფშვინავდნენ. მე შენი სუნთქვა არ მაძინებდა, მერე შენთან მოვცოცდი, დიაცური ალმური მეცა... ნაბადში შემოგიგორდი და გარსოც დაგვაჭოტდა თავს:

„ის, რაც ჩვენ მამა-პაპას არ შემოუქმედია, თქვენ რად ირჯებით? ბარემ ცხორშიც ახორხოცეთ დიაცნი, ხომ იქნება საამო? ან მგელი შეჭამს შენს დიაცს, ან მოგტაცებენ სხვები! აეყარენით! ახლა არ შევძრავ ამათ და გულში ბოღმას არ ჩავუღვრი... შენ, დავითო! ცხენს უზურგე, ნადირობაში ვერ ივარგებ! შენ კი, ძუკნავ, უთენია უკუღმა

ავთანდილ ადეიშვილი
მოთხრობები

შეგსტამ ცხენზე და ისე ჩაგლალავ ბარში!“

ცხენს რომ უნაგირი დავადგი და თასმები დავქანჩ-დავამარყუჟე, შენც წამოდექი, აცახცახებულ ტანზე ნაბადი მოისხი, ცხენს ამოეტუზე და მითხარი:

„მეც მოვდივარ!“ — გარსომ იგუმანა, რომ შენ წადილს ცხრა უღელი ხარი ვერ შეაჩერებდა, თანაც დისწულისათვის თავლაფდასხმა არ ეწადა, დაზავდა, მითხრა:

„სირცხვილი არ აჭამო თუშეთს!“

ჩვენ დავყევით ბილიკებს. ისე გარინდულიყო იქაურობა, რომ შიში დამიტრიალდა ტანში, მაშინვე ჩემი ფიქრი შენ მოგწვდა... შენ ცხენზე იჯექი, ბილიკს მთვარე ანათებდა. წინ მე მივდიოდი და შენზე ვფიქრობდი, შენ კი — ჩემზე... გარსო ძიას დანაბარები არ მცილდებოდა ყურებიდან. ერთი ხანობა ჩაგთვლიმა და კინაღამ კლდეში ჩაიკარგე. დაკიდებული ბილიკები რომ გავაკდა, მზემაც ამოაბიჯა არემარეს. ერთ ჩირგვთან ცხენი შეჩერდა, მისი თვალები ხელისგულა მინდორს დაეისრა. ჩვენც ავყევით მის ცქერას. ხელისგულა მინდორზე დედა-კურდღელს ბაჭიები გამოეყვანა და მზის სხივთა ციალს აჩვევდა, ბაჭიებს ეშინოდათ, ბუჩქებში იმალებოდნენ, ხოლო რა წამს დედა კურდღელი ტუჩებს ააცმაცუნებდა, ბაჭიები მზის სხივებზე კამარას ჰკრავდნენ და კვლავ ჩირგვში ძვრებოდნენ. დედა კურდღლის ირიბ ხედვაში ნათელი კიაფობდა. მერე გაქრა ხილვები. ჩამოვედით სოფელში. ნასკოლარის დაცარიელებულ ოთახებში შევედით, იატაკზე დავსხედით. მე სკოლას ვამთავრებდი, შენ მეცხრე კლასში გადადიოდი. „აქ სწავლას ავაღორძინებთ, მე ვიქნები ქართული ენის მასწავლებელი!“ თქვი შენ. მე არ მიფიქრია მასწავლებლობაზე, ნადირთა ჩლიქებს ველტვოდი.

— კარგი, დავითო! გეყოფა. ნასოლარს დუმილი უფრო უხდება! — ანაზდად შეაჩერა იამზემ.

— თუმცა კი გამოხვედი მასწავლებელი, მაგრამ ვისთვის? მოიცა, ამ ზამთარს დარჩი ჩემთან... არ გესმის, შორს მგლები ყმუიან?

— გაგიჟდი?! — იამზე დავითოს გასცილდა.

მედღეობენი აშლილიყვნენ, ნასკოლარის კედელზე ჩამოკიდებულ თეთრნაჭერაფარულ აბრას შესცქეროდნენ.

— ეს რა ჯადო ჩამოგვიკიდა იმ გადარეულმა?

— ქვეშ რაღაც წარწერა მოჩანს!

— ჩამოვაძროთ თეთრი ნაჭერი!

უმალ აგზავნეს ბავშვები ნასკოლარის სახურავზე, პატარა თითებმა აბრას თეთრი ნაჭერი ჩამოაცალეს, მარღი ასოები ამოიხატა მედღეობე ხალხის თვალებში.

— შე-ნა-ქოს სკო-ლა! — დამარცვლა პატარა ბავშვმა.

ყველანი გაირინდნენ, ერთმა ჭარმაგმა მოხუცმა გაიხსენა:

— სამოცი წლის წინ აქ სკოლა არსებობდა!

— წყალობდეს!—სუფრაზე შეტოვებულის არყით გაბზარული ხმა გველივით ეტმასნებოდა ნასკოლარის წინ გარინდული თუშების სულებს.

დაღამდა, კუპრი გადაეკრა ცას, უფროსები სახლებში დაიქსაქსნენ.

დროდადრო აგიზგიზებული ცეცხლი ნასკოლარის ფასადს ანათებდა.

ცეცხლის გარშემო გარმონი თუშურ მოტივებზე იწელებოდა, ფეხმორთხმული გოგო-ბიჭები ერთმანეთს ელტვოდნენ.

დავითო სონეხის მთაზე ასულიყო, ბებერი ძაღლიც თან აჰყოლოდა.

სონეხის მთიდან სოფლები ვარსკვლავებივით ციმციმებდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯამაათი

კოლმეურნეობის მანქანა სოფლის ცენტრში გაჩერდა. მანქანიდან თოხები ჩამოხრიალდა.

— აიი, გაგიწყრეს მომგონი!..

— ეგ არის, პურს რო გაჭმევს!..

— ვისაც თოხი არ უჭირავს, მშიერი კვდება?!

— რაკეტის გაკეთება თუ შეგიძლია, ჰა, მიდი! რაღას უყურებ? იოლი, სარფიანი საქმეა!

— კაცო! შენ რა მოურჩენელი ავადმყოფობა შეგეყარა?! ყველამ ხომ არ უნდა ისწავლოს?

უკანასკნელი თოხიც ჩამოცურდა მანქანის ძარიდან, მერე ქალები ჩამოფოფხდნენ. გოგონები კი ტყაპატყუპით ხტებოდნენ ძირს.

მანქანაზე უმეტესობა ქალები იყვნენ, ისინიც შუახანს გადაცილებულნი. ბერიკაცები კანტიკუნტად ჩანდნენ, მათ გარუჯულ სახეზე მაჯაგანის ქნევისგან გამოჟურული ოფლი მარილის ხაზებად შემშრალიყო. სოფლის მსუყე მიწიდან ადენილი მტვრისაგან გადარუხებოდათ შავი, ცამოქარგული კახური ქუდები.

როცა ქალებმა თან წაიღეს ვიშვიში, კისკისი, წაკივლება: „უი“, „ქაა“ და სხვა შეძახილები, შოფერმა კანტიკუნტად დარჩენილ ბერიკაცებს ბრიყვულად ასძახა:

— ლიფტით ჩამობრძანდებით, თუ თქვენით ჩამოხვალთ?

ბერიკაცები ხვნეშა-ხვნეშით ჩამოძვრნენ მანქანის ძარიდან. შოფერმა კარგახანს აბღუილა მანქანა, მერე ადგილიდან მოწყვიტა და მტვერში აბურდავებული ქაღალდები დაუტოვა ბერიკაცებს, პირის ბანით და საჯამაათო სუფრის გაწყობით რომ იყვნენ გართულები:

— გუშინ ღვინო გადავიღე სამჩაფიანში, ოცი ლიტრა დამრჩა ცალად!

— წუხელ ზაქის ბასტურმა ჩავდე...

— დილას ჩვენმა დედალმა ცეთაანთ ცელზე კისერი ჩამოითალა... დედაკაცს ცივად მოვახარშვინე!

— ჩემმა ბიჭმა კვლევითიდან დოლის პური ჩამომიტანა!.. დედაკაცმა გამოაცხო. მთელი დღე მისი სურნელი მიდგა ნესტოებში!

სოფლის თავში, კენტად დარჩენილი მუხის ძირში, ღვინით აჭრელებულ მუშამბაზე ბერიკაცების სუფრა გაიშალა.

— დღეს ბევრს ნუ დავლევთ, წუხელ, მთვრალი, კარადას დავეჯახე და სამი თეფში მივამსხვრიე.

— მე კიდევ ჩემი სიდედრის სურათი შემომეხია! რას ვერჩი იმ ქვეყანაზე?! ბრაზი მომივიდა, ჩემს სახლში დედაჩემის სურათი რატომ არ უნდა იყოს-მეთქი?! დედაჩემს სურათი არ გადაუღია და...

— მე კი სკამის ფეხი შემომემტვრა...

— ეჰ, წუხანდელი სიმთვრალე დედაკაცთან ჩხუბში გამოვინელე! არ იკითხავთ, რაზე?

— რატომაც არა?!

— არ დამასვენა, არ დამასვენა, ღვინოში ჩამბალი ტვინი გაქვსო!..

— ჩვენს შეკრებას გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს! — ერთხმად მიაძახეს თამადას, რომელსაც არჩევა არ სჭირდებოდა.

— დალიე!

— ვერ დავლევ! ხომ გითხარი, ცოლს ვეჩხუბე-მეთქი... მობეზრდა იმ ქალს ჩემი სიმთვრალე.

— ადამიანო! მთვრალი როცა ხარ, თავი შეიკავე, მოერიდე!

— დავლევ, დავლევ! სახლში კი ნიავივით შევიპარები, ჩემთვის ცალკე დავეგდები.

წელში გამოყვანილი ჭიქა იქამდე მოემწყვდა დაკოჟრილ თითებში, სანამ თხელი სიფრიფანა ტუჩების წრუპუნი არ გაისმა.

— ეგრე რა! მეც იმ იმედით დავიწყე

ავთანდილ ადეიშვილი
მოთხრობები

სმა, რომ ჩემი სიდედრის სურათს აღარ დავხევ!

— ჩვენი სოფლის თამადობით, ჩვენს ქვეყანას გაუმარჯოს! ეს ველ-მინდვრები ხან მწვანდებოდეს, ხან თეთრდებოდეს! ჩვენს საბადლოდ ჩვენი შვილები მრავლდებოდნენ თავთავიანთ ეზო-კარში!

— გაუმარჯოს!

— შენ რა, კრიჭა შეგეკრა?

— ხომ გითხარით: წუხელ თეფში გამიტყდა-მეთქი!..

— თეფშები დაგრჩა?

— მაშა!

— ჰოდა, ნულარ გასტეხ!

მოალისფრო ღვინო ყანყრატოგამოჩრილ ყელში არუყრუყდა.

— ხვალიდან მე მეჩხერიან ვენახში აღარ ვიმუშავებ! ფუჭია ჩვენი შრომა, გადაწვენილი ვაზებით სამამულე რქას ვერ მივიღებთ!

— აქ ჩვენ რას გვეუბნები, იქ უფროსობას ვერ ეტყვი?!

— მაგის გაგონებაც არ უნდათ, ახლა იგრე ლაპარაკობენ, თითქოს ჩვენს ბრიგადაში ყველაფერი გამოსწორდა; მეჩხერიანობა მოისპო, გახაზულია და იარეთო!

— ჰოდა, ჰო, ძველად ვაზის გამრავლება გადაწვენით შეიძლებოდა, ახლა კი არ იცი, ფილოქსერა საიდან დაგეტაკება!

— არც ჩვენ ვართ ნაკლები ფილოქსერები, ვიცით, რა დოზანაც არის ჩვენი აგრონომი, მაგრამ ცეტი ცხვრებივით მივყვებით მაგ პომპოლიკას!

— რა ენაღვლება, ერთ მედალს კიდევ ჩამოიკანკურებს, ჩვენ პრემიებს მივიღებთ, ოჯახში შესატანს შევიტანთ, მერე კი მოვა ჩვენივე გაზრდილ-გაჩენილი და საფლავში ჩამოგვაფურთხებს!..

— კაცო! რატომ?

— რატომ და, ჩვენს გასაკეთებელს ისინი რო გააკეთებენ, თავიანთი საქმისათვის კი რო ვეღარ მოიცლიან.

— ეგრე ყოფილა, მამებს ... მებს შვილები გაასწორებენ. ჩვენს მშობლებს გაუმარჯოს! მათ გვაჩვენეს ეს მშვენიერი ცა და მიწა! შეგვაქმნევინეს ოჯახები, გაგვაჩენინეს შვილები და, რაც მთავარია, გვასწავლეს შრომა, ვაზის მადლი და ბარაქა!

— გაუმარჯოს!

— ჩვენი შვილებიც ასე დალევენ?

— მაშ რას იზამენ!

— რა ვიცი, ძალიან კი გაურბიან ვაზის ძირში ტრიალს.

— ვაზთან ის დარჩება, ვისაც გულზე ეჭიდება ვაზის ფესვები!

— მასეთები ჩვენს სოფელში ძალიან ცოტანი არიან.

— ნუ გეშინია! ჯილაგი და ჯიში თავისას იყივლებს! გული ნუ გისკდებათ, რომ კოლმეურნეობა თავმჯდომარის გარეშე დარჩება! ფარა მეცხვარის გარეშე და ვაზი მევენახის გარეშე? სანამ მზე დაიარება საქართველოს თავზე, მანამ იქნება ის, რაც ჩვენს მამა-პაპას შემოუქმედია, თავის სისხლი აუზელია და გაუნოყიერებია ეს ჩვენი მიწა... სიტყვამ მოიტანა, ჩვენი წინაპრების სადღეგრძელო დავლიოთ!

— ჩვენს მამა-პაპას გაუმარჯოს!

— ჩვენი ბარის დამკვრელს გაუმარჯოს!

— იმ დედას გაუმარჯოს, ვინც პირველად თავის შვილს ქართველი უწოდა!

გამოიცალა წელში გამოყვანილი ჭიქები. ერთი ხანობა ბერიკაცები გაირინდნენ. ათასში ერთხელ მომუწულ ტუჩებს თუ ააცმაცუნებდნენ, ულვაშებს ჩამოითითებდნენ; როცა კი ასეთი მდუმარება ჩამოეფარდებოდა ხოლმე მათ თოვლივით თეთრ წვერ-ულვაშს, მაშინ მათი გულები სასიმღერო ზარს დარეკდნენ.

თამადამ გაბზარული პირველით დაიწყო სიმღერა: „ბერიკაცი ვარ... ნუ მომკლავ! ყველა დაგიწყებს გმობასა!..“

სიმღერის ჰანგი დანარჩენების სულ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ში და გულში გაიკრიფა, იქაურობა დაითაფლა. მათი სიმღერა ნელ-ნელა ტოროლასავით იწეოდა ცაში. ბერიკაცებს სიფრიფანა ყელის ძარღვები მზისგან გადახუნებულ კისერზე ლურჯად ებერებოდათ. სიმღერის დროს თანაბრად სუნთქავდნენ; ყოველი ბგერით თავიანთ სულში მუსიკის კოშკურებს იგებდნენ.

ღვინომ თავისი გაიტანა, ბერიკაცები ბარბაც-ბარბაცით მიაცილა თავიანთ ეზო-კართან.

იქ კი გეზელქორებივით დაეტაკნენ ჯაფაში ჩაღვრილი ცოლები:

— კიდევ გასკდი?

— მაშა!..

— შენი დღე და მოსწრება მაგ მუცელს ჩასტირი!

— ეე, შენ რას გაიგებ!

— რა უნდა გელაპარაკო, ბურნასავით ძვრები ღვინოში!

— როდის იქნება, ჩვენი ქვევრივით დაგინახო მუცელგაბზარული.

ბერიკაცები პასუხად თეფშებს ამტვრევდნენ და ღამეში იკარგებოდა ბრაზიანი, უწმაწური სიტყვები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინტერვიუ მხედართმთავართან

23 თებერვალს მთელი საბჭოთა ხალხი და მსოფლიოს პროგრესული მოსახლეობა დიდი ზეიმით აღნიშნავს უძლეველი საბჭოთა არმიის შექმნის 61-ე წლისთავს.

ამ თარიღთან დაკავშირებით მკითხველს ვთავაზობთ გვარდიის გენერალ-ლეიტენანტის, საბჭოთა კავშირის გმირის **ვლადიმერ ჯანჯღავას** და საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის **პეტრე შამათავას** საუბარს.

— ბატონო ვლადიმერ, მოდით, ჯერ ცხოვრების მიზანი, დასაწყისი გავარკვიოთ მეომარი კაცისა: რამ განაპირობა, რატომ აირჩიეთ, ამხანაგო გენერალო, ცხოვრებაში სამხედრო სამსახური, რამ შეგაყვარათ მეომრული ცხოვრება?

— ადამიანის, ახალგაზრდა კაცის ცხოვრება ბევრი რამითაა განსაზღვრული, განპირობებული, ჩემი ცხოვრების დასაწყისიც არ ყოფილა საგანგებო, გამონაკლისი, ისიც ჩვეულებრივად, მაგრამ თავისებურად დაიწყო და წარიმართა თავიდან.

ჩემი მშობლიური სოფელი — გუბი წულუკიძის რაიონშია. იგი მდიდარია თავისი რევოლუციური, შრომითი და საბრძოლო წარსულით. აქ არაერთმა თვალსაჩინო რევოლუციონერმა აიდგა ფეხი, მეც მათთან, მათ სასურველ კვალზე გამოვედი ცხოვრების გზაზე. აქ მივიღე შრომითი და ორგანიზატორული წრთობა, აქ 1926 წელს შევედი ლენინური კომკავშირის რიგებში, იარაღიც აქ ავიღე პირველად 1924 წელს მშობლიური საბჭოთა ხელისუფლების მონაპოვართა დასაცავად და აქედან, ქუთაისში საშუალო განათლებამიღებული ყმაწვილკაცი, კომკავშირული საგზურით წავედი გმირობითა და მამაცობით, მიმზიდველი რომანტიკით განთქმულ წითელ არმიაში. მის საბრძოლო რიგებში ჩავდექი და აგერ 50 წელზე მეტია, რაც მისი ერთგული ჯარისკაცი ვარ.

— აქვე, ხელთა გვაქვს თქვენი საბრძოლო სამუშაო რუკა, სამხედრო კაცის, მეთაურის აზრისა და შთანაფიქრის, მოქმედების, გულადობისა და ვაჟკაცობის ამსახველი. მასზე ბევრი მოვლენაა აღბეჭდილი. რას გვეტყვით, ამათგან რომელია ყველაზე თვალსაჩინო თქვენს საბრძოლო ბიოგრაფიაში?

იქნებ დიდი სამამულო ომის პირველი, მკაცრი და გმირული დღეები, თქვენი და თანაპოლკელთა თავგადასავალიც გაიხსენოთ!

— ომის წინ ბესარაბიაში ვმსახურობდი, მე-16 სატანკო დივიზიაში, შენაერთის შტაბის უფროსის მოადგილე ვიყავი. მცირეოდენი საბრძოლო გამოცდილებაც მქონდა, ვმონაწილეობდი თეთრფინელთა წინააღმდეგ ომში, სადაც მივიღე „საბრძოლო ნათლობა“ და პირველი საბრძოლო ჯილდო — "წითელი ვარსკვლავის" ორდენი.

ომის პირველი დღეები სასტიკი და გმირული დღეებია, 1941 წლის 22 ივნისს, დილის 4 საათზე, გერმანელმა ფაშისტ-დამპყრობლებმა, მოულოდნელად, ომის გამოუცხადებლად გადმოლახეს საბჭოთა საზღვარი, გამოიყენეს მოულოდნელობის დროებითი უპირატესობა და ჩვენს ტერიტორიაზე შემოიჭრნენ. ჩვენი ჯარები ომის პირველ დღეებშივე მძლავრ დარტყმებს, კონტრდარტყმებსაც აყენებდა მოწინააღმდეგის ძლიერ და გამოცდილ ძალებს, არც ჩვენ, ტანკისტები დავრჩენივართ მტერს ვალში. ჩვენი მე-16 სატანკო დივიზია, მისი ნაწილები, ქვეგანაყოფები მედგრად დაუხვდნენ გერმანელებს საზღვარზე...

— საბრძოლო ბიოგრაფიის სქემაზე ჩანს თქვენი შემდგომი მხედრული გზაც. რას იტყვით ამაზე?

— ყველაფრის გახსენება, თუნდაც მოკლედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყოლა, შორს წაგვიყვანდა, მოდით ამჯერად კურსკის ბრძოლაზე შევჩერდეთ. 1943 წლის ზაფხულში, ძალზე დაძაბულ დღეებში, კურსკის შვერილზე წითელი არმიის გაერთიანებები, შენაერთები და ნაწილები გამუდმებით ვემზადებოდით გადამწყვეტი შეტაკებისათვის.

საბჭოთა დაზვერვამ შესძლო ზუსტად დაედგინა ივლისის პირველი რიცხვების სამი დღე-ღამის განმავლობაში მოწინააღმდეგის შეტევის დაწყების დრო. უმაღლესმა მთავარსარდლობამ დაადასტურა, რომ მტერი მართლაც ემზადებოდა ასეთი შემოტევისათვის სამიდან ექვს ივლისამდე, მაგრამ ჯერაც არ ვიცოდით, სახელდობრ, როდის, რომელ დღეს, რომელ საათზე დაიწყებოდა შეტევა.

გასაგებია, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა დღისა და დროის დადგენასა და დაზუსტებას.

— იმჟამად როგორი იყო თქვენი დივიზიის უპირველესი, კონკრეტული მოვალეობა?

კურსკის შვერილზე მყოფი ცენტრალური ფრონტის სარდლობამ (სარდალი გენერალი კ. როკოსოვსკი) დივიზიის მეთაურებს გვიბრძანა, მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში ვყოფილიყავით, მოგვეწყო უწყვეტი, ყველა სახის დაზვერვა, რათა, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, შეგვეპყრო ისეთი „მოენე", რომელსაც ზუსტად ეცოდინებოდა როდის დაიწყებოდა შეტევა ჩვენი ჯარების წინააღმდეგ.

გადიოდა დაძაბული, მოუსვენარი დღეები. მრავალი ცდის მიუხედავად, შედეგი არ ჩანდა. მაგრამ 5 ივლისს, ჩვენი მე-15 მსროლელი დივიზიის მამაცმა მზვერავებმა მიზანს მიაღწიეს, ღამით დაატყვევეს საჭირო „მოენე"... დადგინდა: საგულდაგულოდ მომზადებული შეტევა იწყებოდა დღეს, ხუთ ივლისს, 2 საათსა და 30 წუთზე. ჩვენს განკარგულებაში საჭირო კონტრზომებისათვის მხოლოდ ერთი საათი რჩებოდა...

— საინტერესოა თუ როგორ მომზადდა და განხორციელდა ეს მეტად საჭირო, დიდმნიშვნელოვანი დაზვერვა?

— დიახ, მართლაც მნიშვნელოვანი, დაუვიწყარია ეს საბრძოლო აქტი; ფრონტზე ყოველთვის გულდასმით ვამზადებდით ჩვენს მზვერავებს მორიგი საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად.

პირველ რიგში საგანგებოდ შევარჩიეთ მზვერავები, სულ ნაცადი, გულადი, მოხერხებული ბიჭები იყვნენ, კომუნისტები და კომკავშირელები, ავუხსენით საბრძოლო დავალება, ამასთან ვურჩიეთ, მთავარი ყურადღება მიექციათ მოწინააღმდეგის თავდაცვის ზღუდეზე, თუ აუცილებელი გახდებოდა, მის სიღრმეში შემჩნეულ წერტილზე, სილუეტზე, ყოველ მოძრაობასა და მოქმედებაზე, კერძოდ, ვინ რას აკეთებდა, თუ შეტევისათვის ემზადებოდნენ, პირველ რიგში, ცხადია, ჩვენს წინ დანაღმული ველი უნდა გაენაღმათ, მავთულხლართებში გასასვლელები მოემზადებინათ.

ორი დღე-ღამის დაძაბული, უწყვეტი თვალთვალის პროცესში ჩვენმა მზვერავებმა სუბოტინმა, ბელეშნიკოვმა, ბუზინიკმა და სხვებმა, დივიზიის დაზვერვის უფროსის ამხ. კოლესოვის მეთაურობით დასახულ მიზანს მიაღწიეს. ჩვენი შენაერთის მოგერიების წინა ხაზზე ღამით შენიშნეს ფაშისტი მეომრების ერთი ჯგუფი. მოქმედებაზე ეტყობოდათ, რომ მესანგრეები იყვნენ. უხმაუროდ, ფრთხილად მოქმედებდნენ, უთუოდ ნაღმებს ეძებდნენ, შემდეგ მავთულხლართებს ჭრიდნენ, მაშასადამე, გასასვლელებს ამზადებდნენ.

აქ უეცარი მოქმედება იყო საჭირო და ჩვენი ბიჭები ელვის სისწრაფით თავს დაესხნენ, მაგრამ უიარაღოდ ვერ მოგუდეს ისინი, ცივ იარაღთან ერთად, სროლაც ატყდა. რამდენიმე ფაშისტი იქვე დაეცა უსულოდ, ორმა გაქცევით უშველა თავს, ხოლო ერთი მესანგრე, ვიდრე მოწინააღმდეგის ბანაკიდან ცეცხლს გახსნიდნენ, ჩვენმა მზვერავებმა ტყვედ წამოიყვანეს. ცხადია, გერმანელი „მოენე" დაუყოვნებლივ დავკითხე. მისი ჩვენებიდან დავადგინე, რომ მოწინააღმდეგე შეტევას აპირებდა სწორედ დღეს, 5 ივლისს, განთიადისას, 2 საათსა და 30 წუთზე. ამ დიდად საჭირო ცნობის შესახებ მაშინვე მოვახსენე ჩვენი მე-13 არმიის სარდალს, გენერალ პუხოვს, რომელმაც მოგვიწონა მზვერავთა მოქმედება და გვიბრძანა „მოენე" სასწრაფოდ გადაგვეგზავნა ცენტრალური ფრონტის შტაბში. ტყვემ ფრონტის შტაბშიც იგივე გაიმეორა, დაადასტურა, რომ ჰიტლერელთა შენაერთები და ნაწილები უკვე ნაზად იყვნენ შეტევისათვის.

— რამდენად სანდო, სარწმუნო ჩანდა „მოენისაგან" მიღებული ცნობები, დაეჭერებოდა თუ არა მის ჩვენებას ასეთ დიდმნიშვნელოვან, გადამწყვეტ მომენტში?

— ჩვენი მზვერავების მიერ მოყვანილმა „მოენემ" არაერთი საგულისხმო, საინტერესო ამბავი გვამცნო, ზოგი ახალი, ზოგიც ცნობილი, მაგრამ დაზუსტებას, დადასტურებას რომ მოითხოვდა. ყველაზე მთავარი, არსებითი მის ჩვენებაში მაინც მათი შეტევის დაწყების დღე და საათი იყო. დაყოვნების დრო არ გვქონდა. შეტევამდე მხოლოდ ერთი საათი რჩებოდა, საჭირო იყო სწრაფი, გონივრული გადაწყვეტილების მიღება, უმაღლესი მთავარსარდლობის მოწონებული, წინასწარი საარტილერიო კონტრდარტყმის განხორციელება. მხედართმთავრულმა ანალიზმა უზრუნველყო ეს ჭკვიანური გადაწყვეტილება და მისმა ზუსტად, თავის დრო-

ზე და მაღალი ოსტატობით ხორცშესხმამ სასურველი შედეგი მოგვიტანა.

1943 წლის 5 ივლისს, დამის 2 საათსა და 20 წუთზე, 10 წუთით ადრე მტრის შეტევის საარტილერიო მომზადების დაწყებამდე, ცენტრალური ფრონტის, მისი შენაერთებისა და ნაწილების 600 ქვემეხმა და ნაღმტყორცნმა მოულოდნელად დაარტყა შეტევის მოლოდინში მყოფი მოწინააღმდეგის პოზიციებს. ცეცხლის ეს ქარიშხალი 30 წუთს გრძელდებოდა და მის შედეგებსა და ბრძოლის შემდგომ მსვლელობაზე ბევრი დაიწერა. ამიტომ ამაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. მხოლოდ იმას დავსძენ, რომ კურსკთან დიდი გამარჯვების აღსანიშნავად, უმაღლესი მთავარსარდლის 1943 წლის 5 აგვისტოს სპეციალური ბრძანებით გამარჯვებულ საბჭოთა ჯარებს პირველად მისცეს სალუტი 120 ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით. ეს ღირსება თანაბრად გავიზიარეთ საბჭოთა მეომრებმა— მებრძოლი იყო, მეთაური თუ პოლიტმუშაკი და საბრძოლო ჯილდოსთან — „წითელი დროშის“ ორდენთან ერთად, სამუდამოდ ჩაიწერა ჩემს საბრძოლო ბიოგრაფიაში და ასევე ჩემი თანამემამულეების, დივიზიის მეთაურების კირილე ჯახუას, ნიკოლოზ კალაძის, ნიკოლოზ თავართქილაძის, მფრინავ შოთა შურღაიას, ახეულის მეთაურის გიორგი ლელაძის, მესანგრეების გიორგი ჩხენკელის, ანტონ ფერაძის, არტილერისტ ლონგინოზ ერისთავის და სხვათა საბრძოლო მატიანეში.

— საინტერესოა, პრაქტიკულად და მორალურად რა შედეგი მოჰყვა ცენტრალური ფრონტის არტილერიის ამ უეცარ საარტილერიო დარტყმას?

— ჩვენი ცენტრალური ფრონტის არტილერიის ამ მოულოდნელმა ცეცხლმა მნიშვნელოვანი არევ-დარევა გამოიწვია და მორალურად დასცა მტრის ჯარების პირადი შემადგენლობის შეტევითი განწყობა, მოწინააღმდეგეს ორი საათი დასჭირდა წესრიგში მოეყვანა შეტევისათვის გამზადებული შენაერთები და ნაწილები და მხოლოდ დილის 4 საათსა და 30 წუთზე გახსნა საპასუხო საარტილერიო ცეცხლი.

საარტილერიო ცეცხლთან ერთად ჩვენი მე-13 არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება მოწინააღმდეგის 300-მდე ბომბდამშენი, მაგრამ ბევრი ვერაფერი დაგვაკლეს, რადგან ჩვენი ფრონტის არტილერიის მოქმედების შედეგად თვალსაჩინოდ დაირღვა მათი არტილერიისა და ავიაციის ერთობლივი თანამოქმედება.

ამას მოჰყვა ჩვენი ფრონტის ჯარების განმეორებითი საარტილერიო საპასუხო დარტყმა. მიუხედავად ამისა, 5 საათსა და 30 წუთზე მაინც დაიძრა ჰიტლერელთა არმია ჩვენი პოზიციებისაკენ, გაჩაღდა დიდი საჯარისო შენაერთების და გაერთიანებათა უმაგალითო შეტაკება...

— სახელოვანი საბჭოთა მხედართმთავარი გიორგი ჟუკოვი თავის შესანიშნავ წიგნში — „მოგონებები და ფიქრები“ — კურსკის ბრძოლის მსვლელობაზე რომ საუბრობს, წერს: „განსაკუთრებით გმირულად იბრძოდნენ პოლკოვნიკ ა. ბარინოვის 81-ე და პოლკოვნიკ ვლადიმერ ჯანჯღავას მე-15 დივიზიები“...

თუ შეიძლება, კომენტარი გაუკეთეთ მარშალ ჟუკოვის ამ ნათქვამს, გვითხარით, რაში იყო საქმე, რით დაიმსახურეთ ასეთი მაღალი, ავტორიტეტული შეფასება, რომელიც ხაზგასმითაა აღნიშნული დიდი სამამულო ომის ისტორიაში.

მოწინააღმდეგის მთავარი შემტევი ძალები (ქვეითი ჯარი, არტილერია, ტანკები, ავიაცია) ჩვენი მე-13 არმიის მარცხენა ფლანგს მოეძალა, სადაც მოგერიებაზე მე-15 და 81-ე მსროლელი დივიზიები ვიდექით. მტერი ყოველნაირად ცდილობდა საბჭოთა შენაერთების წინააღმდეგობის გატეხვას. ამ მიზნით ჩვენს პოზიციებს მარტო პირველ დღეს უტევდა ჰიტლერელთა 4 ქვეითი დივიზია, რომელსაც არტილერია, 250 ტანკი და 100 თვითმფრინავი ეხმარებოდა.

ადვილი წარმოსადგენია, რა ძალის შემოტევას იგერიებდნენ ჩვენი დივიზიების მეომრები, მათი ნაწილები და ქვეგანაყოფები. იმ დღეს ხუთჯერ სცადეს ჰიტლერელებმა ჩვენს საბრძოლო რიგებში შემოჭრა, მაგრამ ოთხჯერ უკან დავახევინეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთ. მხოლოდ დღის ბოლოს, მეხუთე, თავგანწირული შემოტევის ფასად მოწინააღმდეგემ მოახერხა ვიწრო მონაკვეთში, 8 კილომეტრით შემოჭრილიყო ჩვენს თავდაცვაში, მაგრამ მალე მეზობლებთან ერთობლივი კონტრდარტყმით აღვადგინეთ მდგომარეობა.

სწორედ ამ გადამწყვეტ ბრძოლებში, მკაცრ შეტაკებებში ჩვენმა მე-15 და 81-ე დივიზიებმა, მათმა მხარდამჭერმა ნაწილებმა ნამდვილი გმირობა გამოიჩინეს. უსაზღვროა დიდ სამამულო ომში საბჭოთა მეომრის მამაცობა და გმირობა. საბჭოთა ჯარისკაცის ნიჭითა და უნარით, მისი სიმტკიცითა და გულადობით იქნა მოპოვებული დიადი გამარჯვება. ჯარისკაცი პირდაპირ უცქერდა საშიშროებას, თვალს უსწორებდა სიკვდილს. მის მხრებზე გადადიოდა ომის სიმძიმე.

— 1969 წლის ნოემბერში, ქართული კულტურის დღეებში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გახლდით დელეგაციის შემადგენლობაში. გერმანელი მეგობრების მიწვევით, პოტსდამში სტუმრობისას, მოკავშირე სახელმწიფოთა ლიდერების ცნობილი დასკვნითი შეხვედრის სახლში, სხვა მრავალი დაუვიწყარი სამუზეუმო ექსპონატების ნახვისას, ჩემი ყურადღება მიიპყრო დიაგრამამ, რომელშიც ასახული იყო მეორე მსოფლიო ომში მონაწილე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეომარი სახელმწიფოების ადამიანთა დანაკლისი. რამდენიმე მონაცემმა საგანგებო ყურადღება მიიქცია და დაგვაფიქრა...

20 მილიონი საბჭოთა ადამიანის სიცოცხლე შეეწირა ომს!.. დიდი მსხვერპლი გაიღო ჩვენმა პატარა რესპუბლიკამაც. ძნელად მოიპოვება საქართველოში ოჯახი, რომელსაც ომის წლებში თავს არ დასტყდომია ნათესავებისა თუ ახლობლების დაკარგვით გამოწვეული მწუხარება. ექვსასი ათასი მეომრიდან ერთი მეოთხედი მილიონი კაცი არ დაბრუნებულა ომიდან. მაშინ, როდესაც ამერიკამ მხოლოდ 357 ათასი კაცი დაკარგა ამ ომში. სამწუხაროდ, დანაკლისი მარტო ამით როდი ამოიწურება. სპეციალისტების, დემოგრაფების, სოციოლოგების და სხვათა აზრით, პერსპექტივაში აღნიშნული დანაკლისი ჩვენი საზოგადოებისათვის გაცილებით მეტია, ვიდრე აქამდე ვვარაუდობდით.

ამ საკითხს თავისი დინამიკა აქვს. სამშობლოსათვის თავდადებულ შვილთა შორის ბევრს შვილი არ ჰყოლია. უნდა ვიფიქროთ, რომ შინმოუსვლელთა შორის დაახლოებით 50 პროცენტი უცოლშვილო იყო. ამ მონაცემს შემდგომში კვლევა-ძიებისას, შესაძლოა, პროცენტსა და რიცხვში დაზუსტება დასჭირდეს, მაგრამ საკითხის არსი უთუოდ უცვლელი დარჩება, და თუ დავუშვებთ, რომ ჩვენში ერთ ოჯახზე საშუალოდ სამი შვილი მოდის, მაშინ რესპუბლიკას დააკლდა კიდევ 375 ათასი ადამიანი.

ახლა შინმოუსვლელთა მესამე მოდგმასაც თუ ვიანგარიშებთ, ძალზე დამაფიქრებელ რიცხვს — მილიონზე მეტს მივიღებთ. აი, სამი-ოთხი ათეული წლის შემდეგ რას უტოლდება წარსულ ომში ადამიანთა აუნაზღაურებელი დანაკლისი მარტო საქართველოში.

— მართლაც, ნამდვილად დამაფიქრებელი მონაცემებია. 1965 წლის 1 ნოემბერს თბილისში საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა: „დიდი სამამულო ომის მრისხანე ჟამს ქართველი ხალხი, ყველა მოძმე საბჭოთა ხალხებთან ერთად, აღსდგა საბჭოთა სამშობლოს დასაცავად. საქართველოს თითქმის 600 ათასი შვილი, — კომუნისტები, კომკავშირელები, უპარტიოები — იბრძოდა ფრონტზე გერმანელ ფაშისტდამპყრობთა წინააღმდეგ. რუსების, უკრაინელების და ბელორუსების, სომხებისა და აზერბაიჯანელების, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხის შვილების მხარდამხარ ისინი მონაწილეობდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის დაცვაში, იცავდნენ მშობლიურ კავკასიას, სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძოდნენ სტალინგრადის კედლებთან და კურსკის რკალზე, ძლევამოსილი მარშით შევიდნენ ბერლინში. 40 ათასზე მეტი ქართველი მეომარი დაჯილდოებულია მთავრობის ჯილდოებით, მათ შორის საუკეთესოებს მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება. დიდება ომის ვეტერანებს! ომის გმირთა საქმენი უკვდავია!“

— ისტორიული ამბების გახსენებას, მათ შეფასებას, განსჯას შესაფერისი, დამახასიათებელი ფაქტები, დოკუმენტები სჭირდება, აი, თუნდაც ამ ისტორიული დოკუმენტების კრებულში, ჩვენი თანამემამულე ოფიცრებისა და გენერალიტეტის ღირსეულ წარმომადგენელთა გვარები და სანაქებო საბრძოლო საქმეები არაერთხელაა მოხსენიებული საბჭოთა უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის ბრძანებებში. მათ შორის არმიის სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი, საბჭოთა კავშირის გმირი პორფილე ჩანჩიბაძე ცხრაჯერაა ნახსენები, არმიის სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი, საბჭოთა კავშირის გმირი კონსტანტინე ლესელიძე—ხუთჯერ, არმიის სარდლის მოადგილე, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი, საბჭოთა კავშირის გმირი ვლადიმერ ნანეიშვილი — ექვსჯერ, შენაერთის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი, საბჭოთა კავშირის გმირი ვლადიმერ ჯანჯღავა — ცამეტჯერ და ა. შ.

ჩვენს თანამემამულეთა მხედართმთავრული ნიჭის, მათი ოპერატიული ხელოვნების შესახებ რას გვეტყოდით კონკრეტულად? თუნდაც, მაგალითისათვის, კონსტანტინე ლესელიძის სარდლობით მე-18 სადესანტო არმიის მიერ 1943 წლის შემოდგომაზე ნოვოროსიისკთან განხორციელებული ოპერაციის თაობაზე რას მოახსენებდით „ცისკრის“ მკითხველებს?

— მართლაც მნიშვნელოვანი, ფრიად საგულისხმო და დამახასიათებელი ოპერაცია გიხსენეთ.

მთელი საბჭოთა ხალხი იცავდა საბჭოთა კავკასიას, აზოვის ზღვიდან კასპიის ზღვამდე იყო გადაჭიმული კავკასიის ფრონტი. ერთმანეთის გვერდით იბრძოდნენ ეროვნული საბჭოთა დივიზიები. აქ იბრძოდნენ 242-ე, 276-ე, 392-ე, 414-ე ქართული მსროლელი დივიზიები, რომლებსაც სხვადასხვა დროს უნარიანად მეთაურობდნენ გენერლები გიორგი ყურაშვილი, ისიდორე სილაგაძე, გიორგი ყუფარაძე, ივანე ბაბალაშვილი, ვალერიან ძაბახიძე.

კავკასიისათვის ბრძოლის ერთ-ერთი გადამწყვეტი შემადგენელი ნაწილი იყო ნოვოროსიისკის დაცვა, მტრის შეჩერება, განადგურება.

1943 წლის თებერვალში, სუსხიან შტორმიან ღამეს მე-18 არმიის (სარდალი, გენერალი კონსტანტინე ლესელიძე, პოლიტგანყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი ლეონიდ ბრეჟნევი, სამხედრო საბჭოს წევრი, გენერალი სემიონ კოლონინი) სადესანტო რაზმმა მაიორ ცეზარ

კუნიკოვის მეთაურობით შესძლო შეუძლებელი — გადასხა საზღვაო დესანტი „მცირე მიწაზე", მტერს გამოგლიჯა მცირედი პლაცდარმი და ძირითადი ძალების მოსვლამდე სასკიტ ბრძოლებში შეინარჩუნა იგი. ამ ოპერაციაში ბევრი ჩვენი თანამემამულეც მონაწილეობდა, მათ შორის პოლკის კომისარი, ფილოსოფიის დოცენტი, ქვეითი მეზღვაურების წინამძღოლი, პარტიის წევრი 1914 წლიდან კალენიკე გიორგაძე. მისი დამსახურება აისახა დოკუმენტურ ფილმში „კომისარი".

„მცირე მიწაზე" 225 დღე-ღამე, როცა ზურგსუკან ზღვა იყო, წინ ძლიერი მტერი, გასაოცარი გმირობითა და თავდადებით იბრძოდნენ საბჭოთა მეომრები. მოძმეთა საბრძოლო მწყობრში აქაც ვაჟკაცურად იბრძოდნენ 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის მეომრები.

ამ თავდადებული ბრძოლების შემდეგ მე-18 არმიის სარდლობამ 1943 წლის სექტემბერში ნოვოროსიისკში გადასხა დიდი დესანტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ყველა სახეობის ჯარები, რომელთა შეთანხმებული, შეწყობილი თანამოქმედება, პირადი შემადგენლობის გმირობა და მოსაზრებულება გამარჯვების საწინდრად იქცა.

ამ დაუვიწყარი ბრძოლების შესახებ დიდი ადამიანური სითბოთი და სიმართლით გვიამბო თავის მოგონებაში — „მცირე მიწა" სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა.

— სამამულო ომის 1943 წლის გიგანტურ შეტევით ოპერაციებში, რომლებშიც თქვენ უშუალოდ მონაწილეობდით, ერთ-ერთი კლასიკური ნიმუში, როგორც ცნობილია, იყო ბრძოლა ბელორუსიის განთავისუფლებისათვის. ამ შეტევით ოპერაციაში, მოძმე ხალხთა შვილების საბრძოლო მწყობრში ქართველი მებრძოლები, მეთაურები, პოლიტმუშაკები და პარტიზანებიც მონაწილეობდნენ.

გთხოვთ, გვიამბოთ ამ ოპერაციის თავისებურებისა და მნიშვნელობის შესახებ.

— ბელორუსიის შეტევითი ოპერაცია სიმბოლური იყო თავისი კოდური სახელწოდებით — „ბაგრატიონი", 1812 წლის სამამულო ომის გმირის, ინფანტერიის გენერლის პეტრე ბაგრატიონის საპატივცემოდ. იგი სტრატეგიული შთანაფიქრით, სიღრმით, მოცულობით, მოზეზადებით, ამოცანის შესრულების ტემპითა და მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე ბაგულისხმო ოპერაცია იყო.

სწორედ ამ ოპერაციის დაწყების წინ, აქ მოქმედი 65-ე არმიის სარდალმა გენერალმა პავლე ბატოვმა ჩამაბარა 354-ე მსროლელი დივიზია და მომავალ ბრძოლაში წარმატებამდე სურვა. დიდი პატივი და პასუხისმგებლობა იყო ასეთ დიდმნიშვნელოვან ოპერაციაში მონაწილეობა და სხვებთან ერთად ჩვენმა შენაერთმაც ისახელა თავი. აქვე დავსძენ, რომ ამის შემდგომაც ამ სახელოვანი დივიზიით ვმონაწილეობდი ყველა შეტევითს ბრძოლაში და ათეულობით ქალაქი, ასობით დასახლებული პუნქტი გავანთავისუფლეთ მტრისაგან.

ამ ოპერაციის წარმატებით დამთავრების შედეგად განადგურდა მტრის არმიის დიდი დაჯგუფება „ცენტრი", რომლის 110 დივიზიიდან განადგურდა 70 შენაერთი, განთავისუფლდა ბელორუსია, ლიტვის მეტი ნაწილი. ლატვიის ნაწილი, პოლონეთის მნიშვნელოვანი ტერიტორია. მოწინააღმდეგემ დასავლეთიდან გადმოისროლა რეზერვები, მაშველი ძალები, რითაც საშუალება მიეცა ამერიკა-ინგლისის სარდლობას დაეწყო შეტევა ნორმანდიაში შექმნილი პლაცდარმიდან. გაეშალა საბრძოლო მოქმედება დასავლეთ ევროპაში.

— მდიდარია და მრავალფეროვანი ქართული სამხედრო-მემუარული ლიტერატურა. როგორია თქვენი აზრი ამ წიგნებზე, მათს ავკარგზე. მათ მნიშვნელობაზე ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში?

— ქართული საბჭოთა სამხედრო მემუარული ლიტერატურა მართლაც მრავალფეროვანია, საინტერესო და სასარგებლო ჩვენი ახალგაზრდობისათვის, პირველ რიგში მხედველობაში მაქვს ფრონტელ ავტორთა წიგნები, ნარკვევები, მოგონებები, რომლებიც თავად იყვნენ აღწერილი მხედრული ამბებისა და მოვლენების მონაწილენი, რომლებიც მიმზიდველად ალადგენენ ნანახსა და განცდილს, სრულყოფილად უჩვენებენ მებრძოლ ადამიანს, საშშობლოსათვის მის თავდადებას. რომლებიც სწორად, ობიექტური სიზუსტითა და კეთილსინდისიერებით გადმოსცემენ ფაქტებს და აანალიზებენ მოვლენებს.

ეს კი მხოლოდ იმ ავტორს შეუძლია, რომელმაც საფუძვლიანად იცის სამხედრო საქმე, გაიჩინა საბრძოლო გამოცდილება. მაგრამ ადგილი აქვს არასასურველ ავტორთა მოძალებასაც. ჩემის აზრით, მიზეზი ის გახლავთ, რომ ბევრი სარგებლობს მეომრული თემატიკის პოპულარობით, ხოლო ზოგიერთი ჟურნალ-გაზეთი თუ გამომცემლობა ხშირად ვერ იგერიებს ასეთ ავტორებს.

საჭიროა მომზადდეს სამხედრო მკვლევართა, ისტორიკოსთა, ეკონომისტთა, სოციოლოგთა, ფრონტელ მწერალთა და ჟურნალისტთა კომპეტენტური, შემოქმედებითი ჯგუფი, რომელიც შექმნიდა ნამდვილად მეცნიერული ღირებულების სამაგიდო წიგნს — „საქართველო დიდ სამამულო ომში".

ეროვნული ბიბლიოთეკა



გურამ კანკავა

სოსუმი — ქართული პოეზიის ძლიერი ფლანგი

ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის სახელი კარგადაა ცნობილი ქართველი მკითხველისთვის: იგი ავტორია არაერთი ხალექსო კრებულისა. ამჟამად ჩვენი ყურადღების საგანია პოეტური კრებული „ფიფქები", გამოცემული „ალაშარას" მიერ 1977 წელს. რა შეადგენს ამ კრებულის არსებით ნიშანს? როგორი ხასიათისაა იგი? უნდა თავიდანვე ითქვას, რომ სტილისტიკურად იგი ორ უკიდურესობას შორის არის მოქცეული, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ სავსებით არაიდენტურნი არიან, თურმე მაინც ურთიერთგანმაპირობებელნი ყოფილან და თანამონათესავე სტილებად შეიძლება გამოვაცხადოთ.

საქმე ისაა, რომ კრებულ „ფიფქებში" მოთავსებული ლექსების დიდი უმრავლესობა სახოტბო, მაღალფარდოვანი თუ საზეიმო სულისკვეთებით არის განხორციელებული. ცუდი შეიძლება ამაში არაფერი ყოლიფიყო, თუკი ეს ე. წ. სახოტბო-დეკლარაციული მეტყველების ტონი არ ქცეულიყო ავტორისთვის ნორმად, ძირითად სტილურ საშულებად და თითქოს ბუნებრივ სააზროვნო ფორმად. როდესაც ავტორი საკუთარ შვილებს მიმართავს (აზასადმი მიძღვნილი „ჩემი ოცნების ვარდო ფერადო", შვილებისადმი: „ჩემი ბაღის ყვავილები"), მაშინაც კი იგი ვერ გაურბის დეკორატიულ და მაღალფარდოვან ფრაზეოლოგიას. სხვა დანარჩენი თემებიც (თვით სახიყვარულოც...) ასეთივე პოეტური დეკორით, პოეტიზმებით და პანეგირიკული განწყობილებით გამოირჩევიან. თემის ინდივიდუალური გადაწყვეტა ავტორის მიზანს თითქოსდა არ წარმოადგენს...

რა შეიძლება მოჰყოლოდა ამ გარემოებას? მხოლოდ ის, რომ ლირიზმის დონე კრებულში მინიმუმამდეა დაყვანილი. კრებულში მოთავსებულ ლექსებს აკლიათ ლირიკულობა. სახოტბო მაღალფარდოვნება, როგორც წესი, ულმობლად ახშობს სუბიექტურ საწყისს შემოქმედში; საერთო ფრაზები, მრავალგზის ნაცნობი პოეტური ტროპები, ერთგვარი ბუტაფორიულობა ტონში — პიროვნულ თვისებებისგან ცლის პოეზიას, ვნებს გემოვნებას და აკლებს მას ლირიკულ სიმწვავეს. ვერც სენტიმენტები, ვერც საზეიმო განწყობილება, ვერც პროფესიონალიზმი და ოსტატობის დონე, ვერც პოეტური ფერ-უმარილი და ვერც ხელოვნურად დაყენებული პათეტიკა ვერ შეცვლის წმინდა ლირიზმს.

ჩვენ ზევით ვთქვით რომ „ფიფქები" ორ სტილურ უკიდურესობათა შორისაა მოქცეული. მართლაც, მეორე დიამეტრალურად განსხვავებული ტიპია რომანსული ყაიდის ლექსები. ჩვენი აზრით, ეს კანონზომიერი მოვლენაა. ზეაწეული, პათეტიკურად ამაღლებული ტონალობა „ფსიქოლოგიურად" გადაიზრდება უკიდურეს მოვლენაში — ლექსში ადვილად იკიდებს ფეხს იაფფასიანი პოეტური დეკორი, სენტიმენტები და ყოველდღიურ-საყოფაცხოვრებო ემოციები. ჭეშმარიტი ლირიზმი კი, ამ შემთხვევაში, ოქროს შუაგულია, რომლის მისაკვლევად, ალბათ, გარდუვალია

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი № 1.

გემოვნების დიდი დაყვავებით წვრთნა და ყოველგვარი მაამებლობისგან მკაცრად არიდება.

როგორც ჩანს ერთი უკიდურესობა მოითხოვს მეორე უკიდურესობას. მარტივი სასიმღერო ფრაზა, სენტიმენტალობის მოძალება თუ უპრეტენზიო სალექსო კომპოზიცია — დამახასიათებელია ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის რომანსული პოეზიისათვის. აი, ყველაზე წარმატებიანი ლექსი ამ ჟანრიდან:

მე პატარა ღელე ვიყავ,
ჩემს წალკოტში ვთამაშობდი,
რა ვიცოდი, უცხო მგზავრი
ერთი შესმით დამაშრობდი...
მე პატარა ვარდი ვიყავ,
სხვა მებაღის დარდი ვიყავ,
მოხველ, ფრთები დამალეწე,
რას შერჩოდი, გავშრდილიყავ...
მე ალმასის კენჭი ვიყავ,
ერთი ვინმეს ეჭვი ვიყავ
და სრულებით არ მინდოდა
შენს ცივ გულში შევჭრილიყავ...
მიკვირს, ასე მედიდური
ჩემად როგორ დაგიგულე...
დღეს აღარ გსურს ჩემი გული?
მოდი, უკან დამიბრუნე...
იყოს შენგან განწირული,
დამიბრუნე მხოლოდ ისე,
რომ არ აკლდეს ყმაწვილური
სიცოცხლე და სიხალისე...

... როგორც ვიცით, ფაშიზმის ბატონობის დროს გერმანიაში დასწვეს ჰაინრიხ ჰაინეს წიგნებიც. მაგრამ მის ერთ ლექსს (უფრო სწორედ „სიმღერას") „ლორელაის" წიგნის ჯალათებიც კი ვერ შეელიენ და ავტორის გვარის დაუსახელებლად სისტემატურად ბეჭდავდნენ თავის ყურნალებსა და პერიოდულ გამოცემებში — იმდენად უღრმეს ეროვნულ განცდებს აღძრავს ეს ნაწარმოები ყოველ გერმანელში. ჰაინეს „ლორელაი" ჩვენ ყველას გვახსოვს, ამიტომ ყველას გვახსოვს, რომ მასში ერთი სახოტბო ან სასიყვარულო სიტყვაც არაა მიმართული სამშობლოსადმი. მდინარე რაინის ფერიაზე შექმნილი ეს ლექსი ბევრად უფრო ფაქიზი არხებით მიემართება გერმანელის გულისკენ...

ე. სამხარაძე-ჯღამაძის დასახელებული პოეტური კრებულის შემამკობელი მხარეა ღრმა პატრიოტული გრძნობა. ეროვნული ცნობიერება მასთან მოიცავს არა მარტო საზოგადოებრივ საკითხებს, არამედ მისი ცხოვრების თვით საყოფაცხოვრებო ნაწილსაც. ეროვნული შეგნებითაა ნასაზრდოები მისი ცხოვრების უმრავლესი მოვლენები და გამოვლინებები. მოქალაქეობრივი სიმწიფე მის ლექსებში სახეზეა. ამ მხრივ, იგი ვალმოხდილ პოეტად შეიძლება მივიჩნიოთ. ყველაზე მეტად დაგვამახსოვრდა მისი პატრიოტული ლექსი „რადგანაც მოველ...", რომლითაც იხსნება კიდეც მისი პოეტური რვეული:

რადგანაც მოველ ამ ქვეყანაზე,
მოდი, შენი ცის ეშხით ამავსე,
არ მომიშორო წამით ხელიდან,
მზე არ მომაკლო ოცნებით დაღლილს.
თორემ ეგ სხივი თუ განმერიდა,
მითხარ, უშენოდ სიცოცხლე რად ღირს...
მე შენს იალბუზს მარად თავს ვუხრი,
შენს ცვრიან ბალახს მინდა ვემთხვიო,
მკერდზე მებნიოს ოქროს თავთუხი,
წელზე ქართული ვაზი მეხვიოს.

●

ერთ-ერთ თავის ადრეულ ლექსში („გზები და წლები") ცნობილი ქართველი პოეტი ხუტა გაგუა წერს:

ო, პოეზიავ! მე ვხვდები უკვე:
თვით ბუნებაში იგრძნობა უკეთ,
ვიდრე ქაღალდზე — რა არის ლექსი!..

ხუტა გაგუას ამ სტრიქონებმა მე მომაგონა ერთი საუბარი, გამართული სიმონ ჩიქოვანის ბინაში, როდესაც მსჯელობისა და ეჭვის საგნად იქცა თავად ლექსის „ადგილ-სამყოფელი": სად არის ლექსი, ქაღალდზე? ბეჭდურ სახტამბო ნიშნებში? ადამიანის მეხსიერებაში?..

მართლაც, სად არსებობს ლექსი ლოკალურად? სიმონ ჩიქოვანის მიერ კითხვის ამგვარად დასმა თითქო „აღმოჩენას" ჰგავდა, ისევე როგორც უჩვეულო იყო იმის აღიარებაც, რომ ლექსის დასტამბულ ტექსტს წიგნთან მხოლოდ ჭვარტლით გაპოხილი პირობითი ტიპოგრაფიული ნიშნები თუ აკავშირებს. ლექსი ხომ დაბეჭდვამდეც არსებობს... ქაღალდის ფურცელი, როგორც ლექსის არსებობის თავშესაფარი, იმთავითვე გამოირიცხა.

ერთი იქ დამსწრე ლიტერატორი ჭირვეულობდა, ლექსი ადამიანის მეხსიერებაში არსებობსო. მაგრამ ამ სურვილს ეწინააღმდეგებოდა ის გარემოება, რომ არსებობენ პოეტური ნაწარმოებები, რომლებსაც ადამიანის მეხსიერებაში ადგილი არა აქვთ მიჩენილი.

სად შეიძლება მართლაც, ლექსის ძიება და შეიძლება თუ არა იგი ვეძიოთ მატერიალურ სამყაროში, საერთოდ: „ქაღალდზე", „ბუნებაში", სასტამბო დაზგაზე?..

ლექსი, როგორც ვიცით, პოეტის პიროვნების, მისი ერთიანი ფსიქო-ფიზიკური მდგომარეობის ანარეკლია და ამიტომ იგიც მთლიანობისკენ ისწრაფვის. ლექსი მთლიანია, როგორც სისტემა (რომელიც ბერძნული სიტყვაა და ცალკეული ნაწილებისგან შემდგარ მთლიანობას ნიშნავს). ლექსი მთლიანობაა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან მისი საშენი მასალა ქმნის ერთიან, პირობადებულ მტკიცე სტრუქტურას. ეშ-მარიტი ლექსის სტრუქტურა მიისწრაფვის მონოლითის ბუნებისკენ.

ამიტომ, თუკი ძიებას განვაგრძობთ, ლექსი აღმოჩნდება იქ, სადაც იპოვება მისი ინდივიდუალური აღნაგობა, მისი მხატვრული სტრუქტურის ერთადერთობა. ლექსი საკუთარ ინდივიდუალურ მხატვრულ სისტემაში არსებობს („მდებარეობს"), როგორც იდეალური სახის ნაგებობა. ლექსის რეალობა (არსებობა) იდეალური, არამატერიალური ბუნებისაა, ისევე როგორც არამატერიალურია ჩვენი აზრი ან გრძნობა.

ლექსი, უდავოდ, არსებობს იქამდე, სანამ მას მკითხველი აღიქვამს, რადგან იგი უკვე თავის თავშია მოცემული. ყველაზე მატერიალური მხარე ლექსისა, რომელიც კი მას გააჩნია — ეს მისი ბგერითი ორგანიზაციაა. ლექსს აქვს დროისა და სივრცის საკუთარი, განსაკუთრებული განზომილებები, რომლებიც არ ემთხვევა მათ ჩვეულებრივ გაგებას. როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ლექსის მხატვრულ (სტრუქტურულ) განუმეორებლობაზე და ერთადერთობაზე, ფორმის შეუვალობაზე და მხატვრული მასალის შეუნაცვლებლობაზე, ლექსის კარკასზე—მის შინაგან მეტრულ სქემაზე, მელოდიური წყობის უნიკალობაზე თუ კომპოზიციის შემკვრელ ძალაზე და ა. შ. და ა. შ., მაშინ ჩვენ, არსებითად, ვლაპარაკობთ იმაზე, რომ ლექსი პოეტისთვის განკუთვნილი მასალით ნაგებ შენობაშია მოქცეული, რომელსაც დასრულებული მხატვრული აღნაგობა და არქიტექტონიკა გააჩნია.

გამოთქმა: „ლექსი შეტანილია წიგნში"—წმინდა წყლის მეტონიმიაა.

ბარათაშვილის „შერანი" სივრცობრივად საკუთარ მონუმენტურ პოეტურ კონსტრუქციებში ცოცხლობს და უკეთეს ადგილს მას ვერ მოვუძებნით, რომც მოვინდომოთ. მისი საარსებო ბინა მისივე მხატვრული გრძნობადაზრობრივი მკვიდრი სისტემაა.

რაც შეეხება ხუტა გაგუას ზემოხსენებულ ლექსს, მასში, რა თქმა უნდა, გადატანითადაა ნათქვამი, რომ ლექსი ბუნებაში ან ქაღალდზე შეიგრძნობა, მაგრამ გადატანითი ხმარების შემთხვევაშიაც ამგვარი მეტაფორულობა ჩვენ უხერხულად მიგვაჩნია.

ლექს „გზები და წლები" მოთავსებულია მის კრებულში „სიჩუმე" (1967), რომელიც პოეტის განსწავლის ერთ-ერთი ადრეული საეტაპო წიგნია. ამ კრებულში შეინიშნებოდა როგორც გრძნობისა და ვნებების (დაუნაწევრებელი, დაუხვეწავი სახით) არსებობა, ისე ინტელექტუალური წვდომის ერთგვარი ნიშნებიც.

ამავე კრებულშია დასტამბული საინტერესო (თავისი ჩანაფიქრიც და ასევე მხატვრული განხორციელებით) ლექსი „ნაკლი". ამ ნაწარმოებში პოეტი თეზისურად გვაცნობებს, რომ ყოველი ადამიანი (ისტორიულად) სრულყოფილებას ელტვის და ეს ლტოლვა ისეთივე სტიქიური ბუნებისაა, როგორც მცენარის მიერ ბელტის გარღვევაო.

მაინც გზა სრულყოფისაკენ უხინჯო არაა და მიუხედავად მცდელობისა, ყოველ ადამიანს რაღაც ნაკლი უნდა სვდეს წილად. რაც ითქვა, ყოველივე მართებულია, მაგრამ ავტორის დაკვირვების თანახმად, ადამიანისთვის ეს ზნეობრივი ნაკლი უნდა სრულყოფისკენ სწრაფვის სტიმულად იქცეს: „ნაკლი ნაკლია, მაგრამ ის არის ლტოლვის დედაც"... ცხოვრება ზნეობრივი სრულყოფის ასპარეზი უნდა იყოს და ადამიანი ყოველ ახალ საფეხურზე ასვლას ცხოვრების მარად ახალ სფეროში შეღწევას უნდა უთანაბრებდეს. ცხოვრების ზნეობრივი გაღრმავების სიხარული აღუმატებელია. ამიტომ ადამიანი საკუთარ ნაკლს უნდა იცნობდეს, რათა შესაძლებლობა მიეცეს მათი მისხალ-მისხალ დათრგუნვით ზნეობრივი სრულფასოვნების ანუ ცხოვრებისეული სრულყოფილების ბედნიერებას ეწიოს: „ის არის ბრძოლის ველიც, შეგრძნებაც მარად ახლის და საკუთარი ნაკლი უნდა იცოდეს ყველამ"...

მაგრამ ყველაზე საინტერესო მოსაზრებას „ნაკლის" ავტორი ბოლო სტროფში გვთავაზობს. იგი პირდაპირ გვიმხელს, რომ „თურმე ხანდახან ნაკლიც გვიხდებაო"... ამ ფრაზის მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ მისი ინტერპრეტაცია მრავალნაირად შეიძლება. მაგალითად, წარმატებით შეიძლება მტკიცება იმისა, რომ ხშირად ადამიანის ინდივიდუალობა „იკითხება" მისი ნაკლის შუქზე და შეიძლება მხოლოდ ამ ნაკლთან ერთად გამოვლინდეს; რომ დამახასიათებელი ნაკლის გარეშე ადამიანის პიროვნების თავისებურებანი მკრთალად აღიქმებიან.

ლექსის უკანასკნელი სტროფი ჩვენ მაინც იმგვარად გავიგეთ, რომ ადამიანმა საკუთარი ნაკლისგან უნდა შექმნას საკუთარი ღირსება; მოახდინოს საკუთარი ზნეობრივი ნაკლის გადაფასება, გაღახალისება, ზნეობრივ სკალაზე ახალი განზომილება უნდა მიუჩინოს. თუმცა ამგვარ მეტამორფოზებს უდიდესი ნებისყოფა, წარმოსახვა და პიროვნული კულტურა ესაჭიროება.

აი, ეს სტროფიც:

მე არ ვიცოდი უწინ, —
თურმე ხანდახან ნაკლიც

გვიხდება — აგრე აქლემს
უხდება ხოლმე კუზი...

ამ სტროფის აზრი კი იმგვარი უნდა იყოს, რომ ადამიანის არსებისთვის განუყოფელია მისი ნაკლი, მაგრამ ეს ნაკლი უნდა იყოს გაცნობიერებული, თავისებურად ესთეტიზირებული და ასე გასინჯეთ, გაბუნებრივებულიც. სხვანაირად რომ ვთქვათ, შეიძლება ნაკლის „მოშინაურება", მისთვის პეწის გამონახვა და „გაადამიანურება".

ამ ზნეობრივ ოპტიმიზმს ყოფიერების მაღალი სიმართლე უდევს საფუძვლად. ცხოვრებისა და ისტორიის მსვლელობის კანონები კვერს უკრავენ პოეტს. ნაკლი უნდა იქცეს სტიმულად — მიუახლოვდე საკუთარი პიროვნების დაუფლებას.

ინტერესს იწვევს ხუტა გაგუას კრებული „თანხმობა", სადაც თავმოყრილია მოქალაქეობრივი მოტივები, სოციალური კრიტიციზმის შემცველი საზოგადოებრივ-ეროვნული საკითხები. მართალია, ყველა ეს პრობლემა მკრთალად და თითქოს გაუბედავადაა კრებულში დამუშავებული, მაგრამ მათი ოდნავი წარმოჩენაც იმედს იძლევა, რომ მომავალ წიგნებში პოეტი მათ უფრო გადამწყვეტად და ხმიერად მიეტანება. მოქალაქეობრივ-ეროვნული ყღერადობისაა ლექსები „წმინდა ტაძარი", „ქარი", „კერპები", „მეუბნებიან, მიმტკიცებენ: თუ ივლი ისე...", პოემა „დაბრუნება სათავეებთან" (დაბეჭდილი კრებულში „თანაგრძნობა").

ლექსში „წმინდა ტაძარი" მკითხველი გრძნობს, რომ ბიუროკრატიზმი უდიდესი ეროვნული სენია. რა ულმობელი ხდება ადამიანი, როდესაც იგი ვერ პოულობს საკუთარ ზნეობრივსა და პიროვნულ ძალას დაქვემდებარებულ ადამიანებთან დაპირისპირებისას და ცვლის მას თავისი გამგებლობის ძალით. პოეტი სწვდება ქართული ბიუროკრატიზმის უახლეს ისტორიას, რომლის წარსულიდან ათიოდე წელიც არ გვაშორებს:

რა მძიმე, აუტანელი
ვრძნობები გვეუფლებოდა,
როდესაც ფეხის წვერებზე
იწევდნენ ქონდრის კაცები,
მთელი სიგრძე და სიგანით
რომ დავენახეთ ზემოდან.
რა ცოტა გვყავდა მფარველი,
რა ბევრი გვყავდა მრჩეველი...
გმადლობთ! ნურავინ იფიქრებს,
თითქოსდა ვართ უმადურნი,
მაგრამ — უფალმა გვაშოროს
მრჩეველი — განურჩეველი,
და ნამთვრალევი თვალების
ზიზღით ჩვენს სულში ფათური.

პოემა „დაბრუნება სათავეებთან" დაწერილია პუბლიცისტური გააზრებით, პოეტური პუბლიცისტიკის სტილში. პოემა, უდავოდ, მოკლებული არაა მოქალაქეობრივ პათოსს, სოციალურ კრიტიციზმს, ზნეობრივ ქირდვას — თემების გაშუქება ხდება მორალურ პლანში — და რაც უმთავრესია, ეროვნულ დვრიტას.

როცა საჭიროა, ავტორის ხმა აღივსება ვაუკაცური გამბედაობით, მომწოდებელი ადამიანის კეთილშობილი რისხვით, გამომაფხიზლებელი პირდაპირობით:

მე მისთვის ვბორგავ მთელი სხეულით,
რომ შენც ჩუმ-ჩუმად და უხმაუროდ,
ამდენი ვაჭრის ხელში, მამულო,
არ გაიყიდო, ვით დეკეული...

ხუტა გაგუას ეჭვი არ ეპარება, რომ ერი პიროვნებებისაგან შედგება; ეროვნული ცნობიერების სიღრმე პიროვნებას გამოარჩევს გარემომცველი მასისგან. ადამიანი განსხვავებული მასალისგან უნდა იყოს შემზადებული, რათა თავისი ცხოვრების ნირი შეუთანასწოროს ეროვნული ცხოვრების დიდ კალაპოტებს. ეროვნული შეგნება ემოციური მდგომარეობა კი არაა, ნებისყოფის პირველივე კარნახით ცხოვრებაა, ცხოვრების ზღვრული ვითარებაა:

ჩემი ჯილაგი და ჩემი ჯიში
ციხე-ტაძრების ქვებისგან იშვა.
ენის და რწმენის დაკარგვის შიშმა
დამაკარგვინა სიკვდილის შიში...

თავის პატრიოტულ „სიმღერაში" პოეტი თავის შვილებს, ჯინას და ირაკლის, პლაკატური პირდაპირობით და თვალსაჩინოებით მიმართავს: „მე ამ სიმღერას ხმამაღლა ვმღერი — მჭონდა მამული, მაქვს და მექნება. მტრის ფეხით აღარ დაიტკეპნება ბიბინა ყანა პურის და ქერის!"

როგორც ეს სოხუმელი პოეტებისთვისაა საერთოდ ნიშანდობლივი, ხუტა გაგუას შემოქმედებაშიც ფართო ადგილი უკავია ბუნების განცდას. მაგრამ ამ უკანასკნელთან ისე ხშირად არ ვხვდებით ზღვის თემის დამუშავებას. ზღვის თემას მასთან უფრო „სახმელეთო" პეიზაჟი სჭარბობს, რომელიც ზოგჯერ ბედნიერი და ინტიმური განცდითაა გამსჭვალული: „...მსიამოვნებს, რომ ოდნავ სველი ბალახი, როგორც ბაბუას წვერი, ლოყაზე მჩხვლეტს და მიწაზე მაბამს"...

ბუნება — ჩვენი ბედნიერებაა. იგი იძლევა იმაზე მეტ მადლს, სილამაზეს და იწვევს უფრო მეტი ერძნობის გამაოგნებელ სისავსეს, „ვიდრე მას თხოვენ" (პასტერნაკი), თუ ვიდრე ადამიანს ძალუძს აითვისოს, ვინ და, პოეტმა კი იცის, რომ ბუნების ჭვრეტა, მისი განცდა —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანის ბედნიერების ერთ-ერთი უძირითადესი წანამძღვარია:

კვლავ განთიადის გრილი ხანძარი,
როგორც ბუნების ფრთა იდუმალი,
ბედნიერებას ისევ მაძალებს,
თითქოს ოდესმე მეთქვას უარი.
ტყე აბოლებულ შუქში ირწევა
და მერე თვალწინ მწვანდება ჩქარა.
ბედნიერება ორ ნაბიჯზეა,
რომ დაფრთხეს, ხელის განძრევაც კმარა...
შეფოთლილ ტოტზე ჯდება ფრინველი,
გაოცებული და ოდნავ სველი
და ისე უსტვენს, თითქოს პირველად
დღეს მიანიჭეს უფლება სტვენის,
ან თითქოს სივრცე არ აძლევს საშველს
და ლაქვარდებში ქროლა გიჟური,
და, ჰა, მსუბუქად აიჭრა ცაში,
ვით, სული, სხეულს გამოთიშული...

პოეტის ადრეული ლექსებისთვის თითქოს ნიშნეული იყო მიდრეკილება პროზაიზმებისკენ, მხატვრული პროზის ფრაზეოლოგიისკენ (როდესაც ამგვარი ფრაზა აყვანილია პოეტურ ხარისხში, აქ მოულოდნელობის ეფექტი აძლიერებს აღქმის პოეტურობას, მხატვრული პროზისთვის ნიშანდობლივი ფრაზეოლოგია ორმაგი სუგესტიური ძალით ავლენს თავის პოეტურ ბუნებას. ეს მხატვრული მიგნება ჩვენში მოიპოვა და კლასიკურ დონეზე შეიმუშავა სიმონ ჩიქოვანმა). ბოლო კრებულებში მსგავსი ფრაზები სულ უფრო და უფრო ნაკლებად გვხვდება: „ჯერ არ ვიცოდი, კრთომა დაისის რას გულისხმობდა“, „... ტალღა, რომელიც დასაყრდენს ეძებს...“ და სხვა და სხვა.

ჩვენი სურვილია ხუტა გაგუამ მომავალ თავის პოეტურ წიგნებში მეტი ყურადღება მიუჩინოს ენობრივ ფენომენს, შემოქმედების ენობრივ მომენტს.

●

თავის ახალ წიგნს, რომელსაც ავტორმა — მურმან ხურციელავამ — „აღმართი“ უწოდა, პოეტი ხსნის ლექსით „ერთი დღე“. ეს ლექსი გამოირჩევა ერთგვარი ფილოსოფიურობით და თუმცა ნათქვამი მთელის მკაფიოებით არაა დამუშავებული და „ბოლომდე“ მიყვანილი, მკითხველი მაინც ეთანხმება ლექსის ჩანაფიქრს და წამყვან აზრს.

მ. ხურციელავას სამართლიანი შეხედულებით, იმისათვის, რათა ადამიანმა სრულფასოვანი ცხოვრება განვლოს, სრულყოფილად იცხოვროს, თავისი ცხოვრების შუაგულად დღევანდელი დღე უნდა ჩათვალოს. თუ ადამიანს სურს მომავალი, ხვალინდელი დღე იყოს სრულქმნილი, უნდა იყოს ბედნიერი დღევანდელი დღე — ამ მერმისის საფუძველთა საფუძველი. „შენა გაქვს ნიჭი გააღვივო ხნულში მარცვალი, უშველო მწყურვალს, დააპურო ყველა მაშვრალი. მადლობას გწირავს ამ ნიჭისთვის ძეხორციელი. შენ — ფუძეთ-ფუძევ მომავლისა, დღეო ძლიერო!“ — ეს მ. ხურციელავას სიტყვებია.

ადამიანმა ხვალინდელი და მერმინდელი დღეების იმედით კი არ უნდა ისულდგმულოს, რომელსაც დღევანდელი დღის ინტერესები შეეწირება, ყოველი გათენებული დღე ერთ დამთავრებულ სიცოცხლედ უნდა აღიქვას და ისე იცხოვროს, მისი გაგრძელება სურდეს, რადგან: „სხვისთვის დღე არის, ჩემთვის იქნებ — საუკუნეა“ — წერს პოეტი. ადამიანი ცხოვრობს „დღეს“. „ხვალ“ სხვა ცხოვრება იქნება. ჯერ ისევ სახარებიდან იცოდა ქართველმა კაცმა — ხვალინდელ დღეზე ნუ იზრუნებ, ხვალინდელმა დღემ თვითონ იზრუნოს თავის თავზეო. ეს უზრუნველი სიბეცე კი არ იყო, არამედ დღევანდელი დღის ყადრის ცოდნა და გაგება, დღევანდელი დღის წინაშე მოწიწება, ცხოვრების ახალი კულტურა, ახალი მსოფლშეგრძნება.

პოეტის აზრით, ადამიანის თვითგამოხატვის მიჯნები, საკუთარი ძალების ბოლომდე წვდომა, სიცოცხლით აღვსება და დაღლა — ერთ დღეს აქცევს მთელი სიცოცხლის მოდელად. ავტორის აზრით, ყოველი დღე ჰგავს ტაძრის შენებას; ყოველი დღე ახალი ტაძრის აღნაგობისა უნდა იყოს.

თვეები რაა, წლები რაა, დღეა რაც არის,
დღე ისე ღვივის, როგორც ხნულში
ხორბლის მარცვალი.
ეს დღეა ჩემი. გუშინდელი უკვე სხვისია...
ხვალის ცისკარი სხვა ცხოვრების
დასაწყისია.
ერთ დღეში უნდა მოვიარო მთელი დუნია,
სხვისთვის დღე არის, ჩემთვის იქნებ —
საუკუნეა.
ეს ერთი დღეა, ეს ერთი დღე, ჩემთვის
რაც არის...

შემოქმედი ადამიანისთვის მოსულ დღეს კიდევ უფრო მძაფრი მნიშვნელობა აქვს. როდესაც იგი ქმნის, მას უნდა ჰქონდეს გრძნობა, თითქოს უკანასკნელად ქმნის.

ქართველი კაცი დღის დამთავრებას მწუხარებას უკავშირებდა, აქედან მოდის „მწუხრი“ (შეღამება).

კრებულში შთაბეჭდილებას ახდენს, აგრეთვე, ლექსი „მსახიობი“, რომელშიც დახატულია ერთი ადამიანის სულიერი პორტრეტი. მას კონკრეტული ადრესატი ჰყავს — იგი ყოფილი

მსახიობია. დრამატიზმი ამ ადამიანის არსებობისა იმაშია, რომ მას შეუნარჩუნეს სიცოცხლე, მაგრამ წაართვეს მოწოდება, წაართვეს ცხოვრების სიმაღლე, მადალი ცხოვრების უფლება, სიმაღლის განცდა, საკუთარი პიროვნების თვითგამოხატვის საშუალება, დიდი ვნებებითა და ფიქრებით ცხოვრება.

ფსიქოლოგიურად გამართულ ამ ლექსში ავტორი გვეუბნება, რომ ეს მარტოსული ადამიანი შეუპყრია შურისძიების გრძნობას, მაგრამ ამის გამო ვერც თავისი თავი გაუნადგურებია და ვერც საკუთარი მტრები. ასეთ შემთხვევაში, თურმე გამოსავალია მაღალი „დუმილი" და ღმერთებთან ამგვარად საუბარი. ასეთია მისი დამარცხება: მისი უკანასკნელი თავშესაფარი, ავტორის თქმით, „ღმერთებია", არარსებული ღმერთები, რომლებთანაც იგი თანასწორად გრძნობს თავს...

პოეტი, უდავოდ, თანაუგრძნობს ძლეულ მსახიობს, მაგრამ მაინც მოსწონს მისი არსებობა, მის მიერ საკუთარი ჯვარის ტვირთვა. თანაუგრძნობს მას ზნეობრივად, ხოლო მის ამაყ არსებობაში მშვენიერებას სჭვრეტს. ზნეობრივ გამძაფრებებს თან უნდა ახლდეს მშვენიერის განცდაც — ასეთია ჰუმანიზმისა და ჩვენი კულტურის ალტერნატივა.

საერთოდ, მ. ხურცილავა მომხრე უნდა იყოს მღელვარე, დრამატიზმით აღბეჭდილი, უჩვეულო ცხოვრებისა, როდესაც ადამიანს თვითგამოხატვის მეტი შესაძლებლობა ეძლევა. მართალია, ერთ სხვა ლექსში იგი ფერებს ამუქებს, მაგრამ მაინც რიხიანად კითხულობს: „აქვარიუმში ყოფნა სჯობია, თუ ამოგდება წყლიდან რიყეზეო?!". ხსენებულ ლექსში („მსახიობი") ავტორი მოხიბლულია თავისი გმირის შინაგანი შეუდრეკლობით და სულიერი სიძლიერით:

მწირს და მარტოსულს მაინც ჰქონდა რაღაც
მეფური.
ის დადიოდა ყველასაგან მივიწყებული...
ის დადიოდა— გულზვიადი და შუბლნათელი,
ელანდებოდა ფეხზე მდგარი ხალხი, პარტერი,
სცენის სიღრმიდან აღმავალი საფეხურები...
ვაი, რა ადრე გადაბრუნდა მისი ურემი!
ჩუმად, თავისთვის ატარებდა გვირგვინს
კაცობის,
თითქოს არასდროს არ ჰყოლია ვინმე
ნაცნობი.
არვის ამჩნევდა, გარდა ზღვაში ჩაყრილ
მთიების.
დუმდა. დუმილი იყო მისი შურისძიება.
„ყოფნა-არყოფნა" — ჩურჩულებდა
თავისთვის თრთოლვით
და მხოლოდ ღმერთთან საუბრობდა
ღმერთების ტოლი.

ყურადღებას იპყრობს უსათაურო ლექსი „ჩემო შაშვო, მგალობელო". ყურადღებას იპყრობს იგი პოეტური კილოს ორგანულობით, თავისი ზღაპრული შეუნაცვლებელი კილოთი, შელოცვის თუ სოფლური ლოცვის უშუალო იდუმალებით. საერთოდ, ჩვენ არ მიგვაჩნია პოეტური დრამატიზმი მ. ხურცილავას მხატვრული ხელწერისთვის ნიშანდობლივად: უფრო დამახასიათებელი და ორგანულია მისი პოეტური ხმისთვის ფოლკლორული ჩამწვდომობა. ამ მხრივ, საყურადღებოა „ჩემო შაშვო, მგალობელო", რომელსაც ახასიათებს პოეზიაში კარგად ცნობილი „ხინედლე", „წებოვანება", სიცოცხლის წვენის სიტკბო და მშვენიერი ნატვრითი ინტონაცია.

ეს ლექსი არის წრფელი, მაგრამ მარტივი და უეშმაკო ლოცვა, აღვლენილი ავტორის მიერ, არსებითად, თავისი ვაჟიშვილების მიმართ. აქედან მომდინარეობს ლექსის ამაღელვებელი და ჩამწვდომი თვისებები. პოეტს სურს, მისმა მემკვიდრეებმა თავისი სიყვარული ამ ცხოვრებისა, თავისი მსოფლშეგრძნება და სიოცოცხლის განცდა შეიმუშაონ იმ პატრიარქალურ გარემოში, რომელშიც მისი წინაპრები ეწეოდნენ ცხოვრებას და სადაც ასე ადვილია გაგიჩნდეს წარუხოცელი და გამაბრუებელი სიყვარული ამ გარემო-სამყოფლისა.

„ჩემო შაშვო, მგალობელო" რომ უფრო იყოს გამდიდრებული ადგილობრივი ფოლკლორულ-მითოლოგიური სახეებითა და ანტურაჟით, ალბათ მისი მიმზიდველობა მეტი იქნებოდა. ფოლკლორული სახეებისა და პოეტური ინვენტარის შეტანა პოეზიაში მეტად საშური საქმეა და ყოველი აფხაზეთში მომუშავე პოეტი ამით უნდა იყოს დაინტერესებული.

აი, ამ ლექსის დასაწყისი სტროფები:

ჩემო შაშვო მგალობელო —
ღმერთო, ჩემო მწყალობელო,
ჩემი სახლის ერდო გელის,
ჩემკენ რატომ არ მოფრენო?
ჩემო გიჟო ტეხურაო,
მთის ნაჟურის გამორბენო,
კარგად მესმის, ეგ ზვირთები
გულში რასაც ამბობენო.
ჩემი სოფლის დიდო მზეო —
ადრე დილით ამოსულო,
ბეერის ნისლო და ღრუბელო,
თქვენზე ვფიქრობ და ვლოცულობ.
ჭინკავ, ჭინკავ — კუდიანო,
არაბიას გამხედნელო...
მოვიმარჯვე ჭოგრიტი და
ჩემს ბავშვობას გავხედეო...

კრებულში იკითხება ლირიკული მინიატურები: „მთვარე", „დუმილი" და განსაკუთრებით „ხიზმარი". სასურველია უფრო ხშირად გვხვდებოდეს ასეთი ლამაზი სახეები, როგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიც „სიზმარშია"; ავტორი ასე გვაწვდის თავის ხილვას: „ერთხელ მესიზმრა მთვარეზე ვიყავ და ვუკითხავდი ვარსკვლავებს ლექსებს, — უნდა ვიწამო სიზმარი ყველა"... კარგად იკითხება, აგრეთვე, ოდნავ ბოჰემური განწყობილებით შექმნილი „პოეტები შეგაყვარა ღვინომ, განა წიგნებმა". იგი, როგორც ავტორი გვაცნობებს, იეთიმ გურჯის მიბაძვითაა დაწერილი და ამ თბილისელი აშუღის მადლი მართლაც იგრძნობა ხსენებულ ლექსში.

ბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ კრებულში ვხვდებით საინტერესო რითმებს. ჩანს, ავტორი ნაყოფიერად მუშაობს ამ მიმართულებით და მიღწევებიც აქვს. მას უყვარს არაზუსტი, დიხონანსური, რთული ან შედგენილი რითმები და არაიშვიათად ოსტატურადაც იყენებს მათ. რითმები: „შრიალი არი — შეატრიალე", „ლერწამის — ვეწამო", „მომშივა — ორშიმო" და სხვა და სხვა მოწმობენ ავტორის სერიოზულ დაინტერესებას პოეტიკის ამ უბნით.

●

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მიხეილ ჩაჩუას ლექსები თავისი მხატვრული ღირებულებით საოცრად არაერთგვაროვანია. მკითხველს ანცვიფრებს მხატვრული სხვაობის ის მკვეთრი ამპლიტუდა და თვისობრივი მერყეობა, რომელიც მისი ლექსების კითხვისას შეიმჩნევა. მხატვრული სიმდარე განსაკუთრებით მაშინ იგრძნობა, როდესაც იგი ლექსის ემოციური სიღარიბითაა გამოწვეული, ლექსში მკვეთრი ემოციური უკმარობაა. ეს ემოციური განძარცულობა ლექსში არაფრით არაა კომპენსირებული. ასეთ შემთხვევაში, ლექსი საკუთარ კარკასს, უხორცო სქემას გვაგონებს. კრებულ „ანთებული ფოთლების" მკითხველს სხვადასხვა ადგილას რომ წაეკითხა ხელმოუწერლად დაბეჭდილი მისი ლექსები „მთაწმინდაზე ადიოდა გალაკტიონი" და „სამსონ" (რომლებითაც იხსნება ხსენებული კრებული), იგი ვერასდროს ვერ დაუშვებდა, რომ ეს ორივე ლექსი ერთ ავტორს ეკუთვნის. ან კიდევ: რაოდენ სულიერად გამოფიტული ჩანს საოცრად ემპირიული „ივლისის სამი დღე" — გრძნობით აღსავსე, მძაფრი ვნებებით შემკულ და მხურვალე მოქალაქეობრივი პათოსით აღბეჭდილ „სიჩუმეს თან". პირადად ჩვენთვის აუხსნელია ამგვარი პოეტური ზიგზაგები...

მ. ჩაჩუას ზემოხსენებულ ლექსს „სამსონს" ბიბლიური მოტივები უდევს საფუძვლად. ავტორი ყოველგვარი სტილიზირების გარეშე, არქაული ნიღბის მოუშველებლად და ენობრივი მისტიფიკაციის მოუხმობლად აღწევს განცდის ნამდვილობას და ჩამწვდომობას. ჩახრუხაული წყობა ლექსისა ხელს უწყობს პოეტს სათანადო ეპიკური სიდინჯე და სიღრმე შემატოს თემის ტრაგიკულ განვითარებას. თვით ქვეყნიერებისათვის ძველი მითის ეპიკურ ბუნებას კარგად ერწყმის სამსონის ეროტიკულ ვნებათა დუღილის გადმოცემა, მძაფრი ლირიკული გრძნობების მოძალება. განსაკუთრებით პოეტურია ლექსის ის ძირითადი ნაწილი, ვიდრე ფილისტიმელი დალილა დასტყუებდეს მძლეთამძლე სამსონს მისი უძლეველობის საიდუმლოს.

მდინარესავით მოედინება, დებორა, შენი
ლამაზი სული...
მე ნაფოტივით მივყევები ახლა დალილას
თმებით ამდვრეულ ღელეს
და შენკენ ვიწვდი საშველად ხელებს.
მინდა გამოვყვე და ვერ მოვყვები შენკენ
თოკივით გასროლილ სურვილს.

ცენტრალური ადგილი უჭირავს მ. ჩაჩუას პოეტურ რვეულში ლექსს „გავუფრთხილდეთ საქართველოს", რომელიც დიდი ქართველი მწერლის, ნიკო ლორთქიფანიძის ხსოვნისადმია მიძღვნილი. მკითხველი ლექსის სათაურიდანვე ხვდება თუ რატომაა იგი მიძღვნილი დიდი ქართველი პროზაიკოსისადმი და მის ყურში კვლავ გაისმის მწერლის საგანგაშო ძახილი: „იყიდება საქართველო!" მ. ჩაჩუას ლექსში ძირითადი თემა ოდნავ სახეცვლილია და წამყვანი მოტივი ამგვარ სახეს იღებს: „გავუფრთხილდეთ საქართველოს — ერთიანს და გაუთიშავს"...

ავტორს ბრწყინვალედ ესმის, რომ სამშობლოსადმი საკუთარი მოვალეობის პატაკი ეს არის, ერთდროულად, პატაკი დიდი წინაპრების უკვდავი აჩრდილებისადმი და მომავალი თაობების ღირსეული არსებობისადმიც. სამშობლოს ღირსებისადმი სამსახური გამოხატავს ყველა დროის ისტორიულ შინაარსს: წარსულის ბაღალ ტრადიციებს, „ერთიან, გაუთიშავ" აწმყოს და აზრით გაშუქებულ მომავალს.

„მოვუაროთ, მივეშველოთ" ჩვენს სამშობლოს, მოგვიწოდებს პოეტი. რით შეიძლება გამოხატოს ჩვეულებრივმა მამულიშვილმა, უბრალო მოკვდავმა საკუთარი მზადყოფნა სამშობლოს კეთილდღეობისადმი? თუ პოეტის სიტყვები ფიქციაა, ლიტონი მოწოდებაა, მოჩვენებითობაა? არა. მ. ჩაჩუას სიტყვები ნამდვილია, წონადია, გამართლებულია, რადგან საკმარისია ყოველი რიგითი მოკვდავი განწყობილი იყოს სამშობლოსადმი ერთგულების აქტიური გრძნობით, გააჩნდეს გრძნობის სოციალური პლანი და — სამშობლოს გადარჩენა თავის ხორცშესხმას მიუახლოვდება.

გურამ კანკავა
სოხუმი — ქართული პოეზიის ძლიერი ფლანგი

ამგვარი იდეური სარჩული უდევს ლექსს „გავუფრთხილდეთ საქართველოს“.

გავუფრთხილდეთ საქართველოს...
მოვუაროთ საქართველოს! —
ჩემი დიდი წინაპარის ღაღადისი მარად
მესმის.
ყველაფერი რიგზე არის? არც მთას უჭირს,
აღარც მდელოს?
იქნებ შველას ითხოვს ჩვენი მუხისა და
ძელქვის ფესვი.

მოვუაროთ, მივეშველოთ, ვიდრე
ძალგვიძს მიშველება —
ყველამ, ვისაც თავი მოგვაქვს საქართველოს
ღვიძლ შვილებად.
რომ ამქვეყნად ყველა იყოს ბედნიერი,
გულმცინარე,
თავის მამულს მოუაროს ყველამ, ყოვლის
უწინარეს.

მივიხედოთ, მოვიხედოთ ეზოშიც და ეზოს
გარეთ.
ყველაფერი რიგზე არის? მართლა არაფერი
გვიშავს?
სიყვარული მივაუქოთ საქართველოს
შემოგარენს,
გავუფრთხილდეთ საქართველოს —
ერთიანს და გაუთიშავს.

მ. ჩაჩუას „განახლების პოემა“ მოქალაქეობრივი მოტივებით აღბეჭდილი ნაწარმოებია. — მეტი ყურადღება მოგვაპყარით ჩვენ, ვინც დაშორებულნი ვართ დედაქალაქის ცხოვრების რიტმს, აი, მისი მამოძრავებელი აზრი: „მივხედოთ მთებში გასროლილ ბილიკს, მთებში ძნელია მეხთან ჭიდილი. ჭირისუფალი ეყოფა თბილისს, ჭირისუფალი სოფელს სჭირდება. ამ მიწის შვილნო, ამ მიწის მკვიდრნო, ამ მიწის ღვიძლნო, სხვანო კი არა, ამ მიწის ტვირთი წამოვიკიდოთ და პროსპექტებზე ასე ვიაროთ“...

უდავოდ, კარგია ლირიკული ლექსი „დღეს არც ადრეა, არც გვიან“. აქ განცდის ინტიმურობას და გრძნობის უტყუარ დრამატიზმს ხელს უწყობს ზოგი სალექსო სახის მიახლოვება ფოლკლორული პოეზიის ხატოვანებასთან (მაგ., „ცა პერანგივით მეხევა...“). ჭეშმარიტი ინტიმური ლირიკა იშვიათი საპოვარია, თითქმის „ტერა ინკოგნიტაა“ სოხუმელი პოეტების შემოქმედებაში. ამ მიმართულებით მათ ხერიოზული ბრძოლების გადახდა მოუწევთ, რათა მიხხალ-მიხხალ დაიპყრონ და თავის შემოქმედებით ასპარეზად აქციონ ეს შესანიშნავი პოეტური სფერო. მით უფრო ყურადღებას იქცევს მ. ჩაჩუას გამარჯვება ამ ლიტერატურულ ყანრში. ლექსი, უდავოდ, სასიყვარულო შინაარსისაა:

დღეს არც ადრეა, არც გვიან, ხვალ უკვე
გვიან იქნება...
ცა პერანგივით მეხევა, მზე სარკმელივით
მიქრება.
აგვისტოს ბოლო დღე არის, ხვალ
შემოდგომა იწყება
(ო, მთელი საუკუნეა დაღამებამდე კიდევ)
თქვი, ვიდრე გადაყვითლებულ მინდორზე
მწუხრი მიწვება,
ფოთლები ნათურებივით გადიწვებიან ვიდრე.
დღეს არც ადრეა, არც გვიან, ხვალ უკვე
გვიან იქნება...
ცა პერანგივით მეხევა, მზე სარკმელივით
მიქრება.

●

მირიან მირნელი თითქოს ორ პოეტურ გასაღებში წერს, მას თითქოს ორი სხვადასხვა შემოქმედებითი გასაღები აბადია. როდესაც ლექსის შექმნის საათმა უნდა დაჰკრას, მ. მირნელი ლექსის საიდუმლო ლარნაკის გასაღებად ამ ორიდან ერთ-ერთს შეარჩევს და, შესაბამისად, სრულიად განსხვავებული წყობისა და თვისობრიობის ლექსებს „ღებულობს“...

ერთ შემთხვევაში (სამწუხაროდ, მათი რიცხვი შეუდარებლად სჭარბობს), ავტორი უცხოდ, გაუცნაურებულად, ცოტა არ იყოს, გამოპრანჭულად მოსავს და ქმნის ლექსს. აქ პოეტური მეტაფიზიკის ყველა ცნობილი თუ ქრესტომათიულად აღიარებული მხატვრული ცნება გამყოენებულია და აგურ-აგურ მიტანილია საკუთარ „სამშენებლო ობიექტზე“.

მეორე შემთხვევაში, მ. მირნელი იმ გასაღებს შეარჩევს, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს პოეტის ნაღდი, შეურყვნელი, ლაღი და სინამდვილიდან მომდინარე გრძნობა, აზრთგანწყობილება. აქ რეალიზმის სიცოცხლის დამამკვიდრებელი ძალმოსილება ყოველთვის თვალსაჩინო ხდება, ეფექტი გარანტირებულია.

პირველ შემთხვევაში, მ. მირნელის პოეტური აზროვნების მანერა უფერულია: კრებულის („სიღრმეების ექო“) სუსტ ადგილს წარმოადგენს მჭვრეტელობითი ხასიათის ლექსები, სადაც ნაწარმოების მთავარი მიზანია, რადაც არ უნდა დაუჯდეს, შექმნას განწყობილება. მისი მჭვრეტელობითი ლირიკა აშკარად სცოდავს ლიტერატურიზმებით, პასიური წაბაძვის ტენდენციით, ეპიგონური, უზუსტო სახეებით.

ბევრად აქტივიზებულია მისი შემოქმედებითი ენერგია, როდესაც ლექსი უფრო რეალისტური სულისკვეთებითაა შექმნილი, აღწერითი ბუნებისაა და სურს გადმოსცეს არა „ლირიკული განწყობილება“, არამედ ზნეობრივი თუ იდეური აფორიაქება, სულიერი ამღვრევა და დაუფარავი გულისტკივილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ასეთია მისი ლექსი „წუთები". იგი თითქოს ერთ-ერთი ყველაზე თანმიმდევრული და ემოციურად კომპაქტური ლექსია მის შემოქმედებაში, მაგრამ ავტორი თავისი სათქმელის (ზეამოცანის) არც ერთ კონკრეტულ შტრიხს არ უმხელს, არ ანდობს მკითხველს და თითქოს პოეტურობის განყენებულ, ზოგად ფორმებს იმისათვის იყენებს, რათა შენიღბოს კონკრეტული აზრი. ლექსი კი, რომელიც მკითხველს არ ენდობა, მხოლოდ გაკვირვებას იწვევს და არა თანაგრძნობას.

როგორ უნდა გაიგოს მკითხველმა ლექსის დამაბოლოებელი ასეთი „დაშიფრული" სტრიქონები: „კაცის და წუთის კავშირი რთული ურთულეს ბილიკს წარმოშობს ბოლოს... და არ იღლება ამაყი სული, რომელშიც თეთრი ფენიქსი ცხოვრობს?" „ფაუსტის" შემდეგ („შეყოვნდი წამო...") არ გვეგულება მეორე ნაწარმოები, რომელიც დროის ასეთ მცირე ნაწილაკს მიმართავდეს და მასში ამგვარი გრანდიოზული მნიშვნელობის აზრს დებდეს თუ გულისხმობდეს, როგორც ეს მ. მირნელის „წუთშია". არ უნდა ვიყოთ ამგვარად პრეტენზიულნი!

ერთი კი ცხადია, ლექსის ზოგადი აზრი ასეთია — "წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო"; ეს არის ლექსი-იმედი, ლექსი-სურვილი:

მიდიან წყალნი, გროვდება ქვიშა,
ზვირთები ისევ თრთიან და თრთიან,
და ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს,
რომ წელიწადში თორმეტი თვეა.
გზები და გზები ახელენ თვალებს —
დამპყრობნი ყველა მაღალი ზღუდის...
თორმეტჯერ თორმეტს გავათევ ღამეს,
ოღონდ ნამდვილად მაცხოვრეთ წუთით!
ფეთქავს დღეების ძლიერი კუნთი,
რომელიც ყველა დარდისგან გვთიშავს,
და ცნობილია, ხანდახან წუთი
წაგებულ ომის მოგებას ნიშნავს.
ბედნიერ წუთის გაშლილი აფრა
მიაფრენს სადღაც ზენაარ ფიქრებს,
შენ თუნდაც ციხე ანგრიე სწრაფად,
ის წუთი მაინც აღმართავს კიბეს,
წუთი — გასული მზიან აღმართზე —
გაუძლებს ყველა ქარსა და სეტყვას
და მე ვამტკიცებ, ღირს ამ ღამაზე
ერთი წუთისთვის გაჩენა ქვეყნად...

დესკრიპციული (აღწერითი) ლირიკის ნიმუშია ლექსი „ჩავალ სოფელში". იგი სიუჟეტურ ლექსს უახლოვდება მასში ეპიკური ელემენტის შეტანით. სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს ლექსის ეთნოგრაფიული ჩანახატით შემკობა. ამ ნაწარმოებში ავტორი გვიყვება, საახალწლოდ რომ თავის სოფელში ჩავიდოდა და ციკოლიების უბანში მშობლიურ კერას ეწვეოდა, იქ ამგვარი მისტერია ელოდა: გაიჭრიალებდა ჭიშკარი და სუროს ყლორტებით შემოსილი თეთრწვერა ბიძა დღესასწაულის მისალოცად კარს მიადგებოდა. „და შემდეგ წუთი ისეთიც დგება, რომ თითო ჭიქის დალევის ნებას გვაძლევენ ბავშვებს..." — გვიამბობს პოეტი.

და დატვირთული სუროს შტოებით
(ჩვენში მილოცვა ასე იციან,
რამეთუ ძველი წესი ეს არის)
თეთრწვეროსანი თედო ბიძია
კარს მოგვადგება ცოცხალ ხესავით...

სუროთი შემოსვა მართლაც უძველესი დიონისური რიტუალია, რომელიც წარმართულ დღესასწაულებს თან ახლდა. თვით დიონისეს და მისი მარადი თანამგზავრების კვერთხები, თირსები, მარადმწვანე სუროთი და ვაზის ფოთლებით იყო მოწნული. ანტიკური ხანის ძველკოლხურ სოფელში დიონისური მისტერიების დამკვიდრება ბუნებრივი იქნებოდა. ხოლო რა ძლიერი უნდა ყოფილიყო ეს უძველესი წარმართული რელიგია, ჩანს იქიდან, რომ მან ჩვენს დრომდე მოაღწია, როგორც ამის შესახებ პოეტის ლექსი იუწყება.

რა კარგი იქნებოდა, რომ მსგავსი, ეთნოგრაფიულ-მითოლოგიური ხასიათის ჩანახატები ავტორს სხვა ლექსებშიც გაეკეთებინა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არაა.

როგორც ითქვა, მის ლექსებში უფრო ხშირია ერთგვარი მიდრეკილება ექსტრავაგანტულობისკენ. დეკლარაციული ხასიათის ლექსში „იკლებს ვიღაცა სოფელს ჩივილით" მ. მირნელი გვარწმუნებს: „ყამი ყოველი არის ლამაზი მხოლოდ თავისი ბუნდოვანებით". უდავოდ, ბუნდოვანებაც არის და ბუნდოვნებაც. როდესაც მაიაკოვსკი ამბობდა: „Тот, кто постоянно ясен, тот, по-моему просто глуп". დიდი პოეტი აქ ლაპარაკობდა მეტისმეტად გასაგები აზროვნების ბანალურობაზე. მაგრამ არც ზომიერების გრძნობა და არც მხატვრული ტაქტი მაიაკოვსკს უფლებას არ მისცემდა ეთქვა — „ლამაზი მხოლოდ ბუნდოვანიაო"...

თუკი ბუნდოვანების კულტივირება ხდება უპირატესად ელიტარულ პოეზიაში, აქ „გამოუთქმელის" პოეტიკა სულ სხვაა: იგი ირრაციონალური სფეროს წვდომას და გამოხატვას ემსახურება და არა იმას, რასაც მ. მირნელი გვთავაზობს. პოეტი კი განაგრძობს თავისი დებულების გაღრმავებას:

ბრძენი არ არის იგი, რომელსაც
კარგად გაუგეს სიცოცხლეშივე...

გურამ კანკავა

სიტყვიერი — ქართული პოეზიის ძლიერი ფლანგი

ახლა ვნახოთ როგორ ესმის პოეტს ბუნდოვანებისა და ექსტრავაგანტულობის თვისება პოეზიაში. მართლაც, ჩვენი ავტორი არაერთხელ ნათელჰყოფს საკუთარი პრაქტიკით თავის „თეორიულ“ დებულებებს და, პირდაპირ უნდა ვთქვათ, არ ინდობს თავის ლექსებს ნაწვალები და არაბუნებრივი სახეების შემოსევისაგან. ერთგან („ხმები“) იგი მართლაც რომ გაუგებრად მიგვანიშნებს:

> და ისე, როგორც მეჩხერ ტყეში მწიფე
> მოცხარი,
> კოსმიურ მტვერში მიელავენ
> მეწინავენი...

მაგრამ აქ, ჩვენი აზრით, მეტ გაუგებრობას აღწევს:

> ტკარცალებს შორი ხილვების თქეში,
> თუ სძვრებათ დღეებს წარსულის
> ქურქი?
> და ოლიმპიურ სიმშვიდის ფრთებქვეშ
> სამყაროს ჭრელი მიცოცავს ზურგი.

ავტორი, ალბათ, კმაყოფილია ამგვარი სახით:

> და მწიფობისთვის დაბრაწულ ლოყას
> მზის ათინათი შამფურზე აცვამს...

ანდა ამგვარი მეტაფორით:

> და სევდა — კატის კნავილი ჩუმი —
> ყვითელ მდინარის ნაპირებს ფხაჭნის...

მაგრამ მკითხველების სახელით უნდა ვუთხრათ ავტორს, რომ მსგავსი ტროპები შედგება მისივე „თეორიისა“ და გამოწვეულია პლასტიკური კულტურის სიმდარით, რომელსაც ექსტრავაგანტულობისკენ სწრაფვა ვერაფრით ვერ უშველის. რა თქმა უნდა, მკითხველზე შთაბეჭდილებას ვერ მოახდენ ასეთი უცნაურობა:

> არ წაგვცხებია შუბლზე ერთხელაც
> კოსმიურ მტვერში მყონავი სისხლი...

უგემოვნოდაა აგებული ეს მეტაფორაც:

> და შენი თმების მწვანე სურნელში
> ღამე გაბმულა ორივე ფეხით.

არაბუნებრივია ამგვარი მეტაფორა:

> გზა ბორგავს, როგორც ლომი დაჭრილი
> და თავსასთუმლად ტკივილი უდევს...
> და სხვა და სხვა...

მაშასადამე, საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ ამგვარი შეუსაბამობა თუ „ბუნდოვანება“, რომელიც მ. მირნელს პოეზიაში, ეტყობა, კარგ ტონად მიაჩნია, სინამდვილეში მომდინარეობს, უბრალოდ, ტროპებისა და ხატოვანი გამოთქმების უწიგნური, неграмотный აგებისაგან. ასეთი პოეზია — არაკვალიფიციური პოეზიაა.

როგორც ეს საერთოდ სოხუმელი პოეტებისთვისაა ჩვეული, მ. მირნელის ლექსების არსებითი კომპონენტი პოეტური ფერწერაა. ცხოველი ფერის შეტანის გარეშე ლექსი არ ლექსობს და არ არსებობს. ყოველ ლექსში — რამდენიმე მკვეთრი, ხასხასა ფერი, რათა პოეზია დაემსგავსოს და მიუახლოვდეს ამა ქვეყნის ფერადოვნების ბრწყინვასა და სიკისკასეს. ასეთია მათი მხატვრული დევიზი, რომელიც ქართული საერთო პოეზიისა და კერძოდ, რუსთაველის უკვდავ ტრადიციებთანაცაა ახლო.

პოეტი იშვიათად პოეტური გრაფიკის ენასაც მიმართავს; ასეა შექმნილი ზამთრის პეიზაჟი:

> ყვავის გუნდმა ხიდან ფრთები
> წამოშალა
> და მინდორი უცებ დაიჭორფლა შავად...

როგორც ითქვა, დეკლარაციული თუ აღწერითი ხასიათის ლექსებში პოეტი მთელი თავისი მხატვრული შესაძლებლობით იმართება მკითხველის წინ და სულ ადვილად იმორჩილებს მის აზრთა მსვლელობას. ამ მხრივ, შესანიშნავია მისი ჭეშმარიტად პატრიოტული ლექსი „ენა ვარ ქართული“. სულიერი მღელვარება, გრძნობის სიღრმე და სათქმელის სიცხადე უზრუნველყოფენ ლექსის აზრობრივი და ხატოვანი მხარის სკულპტურულობას, მხატვრულ რელიეფურობას. ჩვენი აზრით, ავტორი უნდა დაფიქრდეს მისი პოეზიის ამ თვისებაზე: სიცხადე, სინათლე და ხიაშკარავე ამკობენ მის ლექსებს, როდესაც ეს ლექსები ზედმეტი კაზმულობის გარეშე შეიცავენ უტყუარ სათქმელს, დიდი გრძნობის აღმძვრელ თემებს; მეორე მხრივ, მისი კრებულების ხშირი სტუმარია ნაწვალები სახეები, მათი საეჭვო ბუნდოვანება და ასეთ შემთხვევებში პოეტი ან შესამჩნევად გაუბედავია (წაბაძვაც — სულიერი გაუბედაობის ნიშანია) თემის დამუშავებისას ანდა უმნიშვნელო და თითიდან გამოწვეულ მოტივებს შესჭიდებია...

ლექსი „ენა ვარ ქართული“, რომელიც „სრულიად საქართველოს ხიმდიდრე პირველს“ ეხება, გვხიბლავს თემის ლაღი დამუშავებით, წარმოსახვის კარგი დონით, გრძნობის სიწრფელით:

> ღმერთებთან ვიდავე,
> ხატებთან ვიდავე,
> მჯეროდა —
> სიმღერას ვიტყოდი ოდესმე
> და სხვები ჯერ კიდევ ენას რომ
> იდგამდნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერაქვით ამოვჭერ წარწერა ლოდებზე
მე კვერთხი მაღალი დამქონდა
კარდაკარ,
მზეს შუქი მოვტაცე,
ღმერთს ცეცხლი წავართვი,
ვიარე ქადაგად, მშვიდობის ქადაგად
და კაცად ვაქციე ჯიუტი წარმართი.
კვირტობა მოსდევდა სუსხსა და
იანვარს,
აპრილის ხმაური კერპივით ვიწამე
და მარტო მცხეთას და
დიდ მესხეთს კი არა,
სიყვარულს ვნერგავდი ელინთა
მიწაზეც...
მე მქონდა ხალისი ცარგვალის ოდენა,
ცამ ღია გული და ღიმილი მაჩვენა
და მაშინ მეასედ აღმომხდა გოდება,
როდესაც დიდოსტატს მოჰკვეთეს
მარჯვენა!
და ღმერთებს ვედავე და ხატებს
ვედავე,
ვუსურვე სამშობლოს აკვნების დარწევა,
მე სული ჩავუდგი უძველეს
პერგამენტს
და შოთას უკვდავი შაირი დავწერე...

●

ერთ თავის ლექსში, რომელსაც „ლაკადა“ ეწოდება, ალიო ქობალია პოეტურად მსჯელობს იმის შესახებ, თუ რა არსებითი მნიშვნელობა აქვს ტრადიციას ამა თუ იმ საგნის დღევანდელი ღირებულებისათვის. ტრადიცია არის საგნის უშუალო წარსული, მისი განვითარების მატიანე და მისი მომავლის გარანტიაც. ყოველივე ამას კარგად გრძნობს ა. ქობალია და საკუთარი მოწოდების ტრადიციებზე შემდეგს გვიამბობს. თავისი ახლობლებისაგან პოეტს არაერთგზის სმენია, რომ მის სოფელ ლაკადას ჯერ შემოქმედებითად დაჯილდოებული მწერალი კაცი არ ჰყოლია. ავტორი ამ ლექსისა — პირველია. მაგრამ პოეტი გუმანით წვდება, რომ მგოსნური ტრადიცია მათ სოფელში ნამდვილად იგრძნობოდა, ალბათ, საუკუნეების მანძილზე. გამოუმეღავნებელი პოეტები, ალბათ, მის სოფელსაც ჰყავდა. მათი პოეზია და „ტკბილი ჰანგები“ მარტო მათს სიკეთესა და სილამაზეში კი არ ვლინდებოდა, სოფლური სიმღერები — ახლა რომ მღერიან — მათი დიდი შემოქმედებაა.

მათ გარეშე, ასკვნის ავტორი, შეუძლებელი იქნებოდა გამხდარიყო იგი ამ სოფლის, ლაკადას, პირველი პოეტი... ცხადია, ეს არის ლამაზი ლეგენდა, შექმნილი პოეტის მიერ საკუთარ მოწოდებაზე, საკუთარ პოეტურ წარსულზე. იმიტომ, რომ „ტრადიცია“ ბევრად **უფრო ფართო ცნებაა: საქართველოს კულტურული ტრადიციები ავტორზე შეუდარებლად** უფრო მძლავრად ვრცელდება, ვიდრე თვითონ ლაკადას ადგილობრივი ტრადიცია. ეს შესანიშნავად იცის ავტორმა და შეიძლება ამიტომაცაა, რომ აძლევს საკუთარ თავს უფლებას — შეჰქმნას ლეგენდა სწორედ ამ საგანზე.

შთაბეჭდილებას ახდენს ა. ქობალიას ლექსი „კოლხი“ (კრებულიდან „შენი ხახელი“, 1976).

მე მოვდიოდი
მკერდმორღვეულ კლდეკარებიდან,
დევივით ლოდებს ვეფარებოდი...
მე მოვდიოდი
ათასწლეულ მრუმე ღამეთა,
საშიშარ თვალთა პირისპირ მზერით...
სუდარა გაცვდა
ქალკიოპეს ცრემლით ნაქარგი,
მიწამ ვერ ჭამა მტრების სისხლში
ნაფერი ჯაჭვი,
ქარში ჭიხვინებს დარახტული ჩემი
ულაყი
და გულზე მადევს
ხმლის ვადასთან შეზრდილი მაჯა.

შთაბეჭდილებას ახდენს, უპირველეს ყოვლისა, ისტორიზმის განცდა, რომელიც ზემომოყვანილ ლექსში წინა პლანზეა და რომელიც პირველად ქობალიასთან შეგვხვდა — სოხუმელი პოეტების ამქარში. უძველესი დროის შეგრძნების, ვრცელი ისტორიული პერსპექტივის შექმნის, ბინდ-ბუნდით სავსე გარდასული დროის რეპროდუქციის — „კოლხი“ ყოველივე ამის ნიჭიერი ცდაა.

ისტორიზმის ჭეშმარიტი წვდომის გარდა ლექსს ამკობს მითოსური სურათოვნება (ქალკიოპეს სახე და სხვა). ემოციური დაძაბულობა და ლექსის ვაუკაცური ექსპრესია ქმნიან ნაწარმოების არა მარტო სახეს, ანიჭებენ მას მნიშვნელოვნებას. ამგვარ ლექსში ეროვნული ნერვი მეტად მგრძნობიარეა და გამახვილებული. მამულიშვილური განცდები არსად ისე მძაფრად არ წამოიშლება, როგორც ამ ხასიათის ლირიკაში. ყოველივე ეს მიანიშნებს იმაზე, რომ აფხაზეთში მოღვაწე პოეტები მთელი არსებით უნდა ჩასწვდნენ და აითვისონ ადგილობრივი (მეგრული, აფხაზური, სვანური და სხვ.) მითოსურ-ფოლკლორული ძირები და მათი მაღალი პოეტიზაცია მოახდინონ.

თანამედროვე თემატიკიდან ყურადღებას იქცევს „ბერიკაცი ენგურზე“, სადაც თემა — ენგურჰესის მშენებლობა — სავსებით არაშაბლონურადაა წარმოდგენილი. ამ პატარა ლექსში ოდნავ გაუცხოებული და შემკრთალი ბერიკაცის მიერაა დანახული ენგურზე კაშხალის

გურამ კანკავა
სოხუმი — ქართული პოეზიის
ძლიერი ფლანგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლობა. ამ ბერიკაცს ფიქრადაც არ მოუვიდოდა, რომ სოფელ ჯვარში იგი ოდესმე ამდენ ხალხს ნახავდა ერთად თავმოყრილს. თავის შეცბუნებას იგი იმით ფარავს, რომ ხშირად ჯვარს ისახავს და ახალი ცხოვრების რიტმს ამგვარად აკურთხებს. საერთოდ, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ა. ქობალიას აუმღვრეველი, წყნარი, არაძლიერი პოეტური ხმა აქვს, მაგრამ სიყალბე მასში არაა გარეული. მისი კრებული („შენი სახელი") იხსნება ლექსით „ჩიტები". წიგნის სათავეში ამ რომანტიკული ლექსის მოთავსება ნიშანდობლივია ა. ქობალიას ფაქიზი მგრძნობელობისა და მსოფლგანცდისთვის.

აი, მისთვის ნიშანდობლივი ხატოვანი აზროვნების ნიმუშები: ცისკენ გაფრენილ ბაბუაწვერას თითქოს მწყემსის მიჰყვება ფიქრი; ტყეში შესული ბილიკი იქ აგვისტოს სიცხეს ემალება; ნაპოვნი თეთრი ნიყარა მას ზღვის ნატერფალად მიუჩნევია, ხოლო როდესაც რემას მოშორებული კვიცი თავლაში მთელი ღამე ჭიხვინებდა. ქარმა მისი ჭიხვინი გაატანა მშობლიურ ჭალისაკენ...

უნდა ისიც ითქვას, რომ მიუხედავად მათი სიმრავლისა, სატრფიალო ხასიათის ლექსები კრებულში სუსტია. მათ აკლიათ ჭეშმარიტი დრამატიზმი, განცდის სიმძაფრე და ლირიკული ჩამწვდომობაც. მათ ჩემზე ზერელე შთაბეჭდილება დატოვეს.

ძმები კალანდიების მსგავსად, ა. ქობალიაც იყენებს პიქტოგრამის ტექნიკას, მაგრამ ამ ხელოვნებას, ჩემი აზრით, მეტი გამომგონებლობა სჭირდება, რათა მკითხველის წარმოსახვა დაინტერესოს. პიქტოგრამის გაბედული, სავსებით ორიგინალური გამოყენების გარეშე ლექსში მისი არსებობა გაუმართლებელია და ლექსის ეს გრაფიკული პრინციპი მკითხველის მხარდაჭერას ვერ პოულობს.

არასასიამოვნო შთაბეჭდილებას იწვევს მის ლექსებში ნაკლებადბუნებრივი, ღვლარჭნილი და ამდენად, მცდარი მხატვრული სახეები. მაგალითად, ლექსში „კვირტები" თითქმის არც ერთი მეტაფორა არ აღწევს მკითხველის წარმოსახვამდე და ამიტომ ემოციურ ზეგავლენასაც ვერ ახდენს:

> თოვლის ვარდებზე,
> თოვლის ვარდებზე ცაა მაღალი...
> ტყე იცისფრება,
> იცისფრება მარტის იერით.
> ფუტკრის ფრთებივით
> კვირტებს გაშლის სერზე იელი.

ამავე რიგის მეტაფორებს განეკუთვნება: „ურუანტელივით მივლის მიწის ფრთიანი რწმენა"... საერთოდ, თავისი ლექსების ემოციური სიმწიფისათვის მეტი უნდა იბრძოლოს ავტორმა.

სოხუმელი პოეტების ერთი წყებისათვის ფართოდ პოპულარულია მყისიერი, სინამდვილიდან გამოტაცებული სურათების ფიქსირება მოკლე, რამდენიმე სტრიქონიან ლექსში. ასეთი ლექსისთვის ნიშნეულია ბუნების სურათის პირველშობილების შენარჩუნება, ხელუხლებლობა და ამდენად თავისებური ნაივური პოეტური „ობიექტივიზმის" მიღწევა. ავტორი ძალზე ეტანება ამ ლირიკულ ეანრს. აი, ორიოდე მაგალითი ა. ქობალიას პოეზიიდან (ეს პოეტური კულტურა, ალბათ, უკავშირდება, ძირითადად, იაპონური ლირიკის შუასაუკუნოებრივ ტრადიციას, რომელიც ჩვენთვის მეტად მისაწვდომი გახდა განსაკუთრებით ამ ბოლო ათწლეულებში):

> ფოთოლი მოწყდა...
> სველი ტოტიდან შემოდგომის
> ფოთოლი მოწყდა —
> უმწეო ბარტყი გადმოვარდა თითქოს
> ბუდიდან.

ან კიდევ:

> მინდორს
> წვერივით მოუშვია ბალახ-ბულახი
> და ღეროებზე ლოკოკინა მიბობღავს
> ზანტად
> და წყაროსთვალა ყვავილები
> ბრწყინავენ მზეზე.

ამ ლირიკული მინიატურების აკვარელური პეიზაჟური ჩანახატები თუ სურათოვანი ხედი ისეთი უდრტვინველი, ავტორისაგან „ჩაურეველი" იერითაა წარმოსახული, თითქოს ფოტოაპარატის ობიექტივით იყოს დაჭერილი. ეს შუასაუკუნეობრივი ნაივური იმპრესიონიზმი, გადმონერგილი ქართულ ლექსში, ძალიან ლამაზია, მაგრამ მის დაუსრულებელ ექსპლოატაციას ახლავს ერთფეროვნების საშიშროებაც. მომავალში იგი შეიძლება მონოტონური და მოსაწყენი გახდეს მკითხველისათვის, თუკი ქართველი ავტორები ამ „ეანრში" ინდივიდუალურ მომენტს არ შეიტანენ ანდა მათ ემოციურ სიმწვავეს მოაკლებენ.

●

> თაფლის სანთელი როს სურნელს
> აკმევს,
> მე ღიად ვტოვებ ოცნების სარკმელს.
> ოთახის კარსაც მე ვტოვებ ღრიჭოდ,
> ვინძლო გახვიდე შინიდან, იჭვო...
> ო, გეფიცებით თქვენს ალალ ძმობას,
> მაქვს უფრო დიდი ნდობა და გრძნობა.
> და მცირე ნიჭის ქომაგს და პატრონს
> ნუ მიმატოვებთ კლიტულში მარტო.
> კარი თუ დამრჩა საღამოს ღრიჭოდ,
> არ მომიკეტო, კეთილო ბიჭო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გულწრფელ, სასიამოვნოდ დაწერილ ლექსში ჩანს ავტორის პროფესიონალური თავმდაბლობაც. ავტორი, დიმიტრი გიგიბერია შეუპყრია ერთგვარ შემოქმედებით სკეპტიციზმს, პოეტურ დაეჭვებას, უკმარობის განცდას. საკუთარ შემოქმედებით უნარს უწოდებს „მცირე ნიჭს“ და ლექსი შემკრთალი ადამიანის განწყობილებითაა დაწერილი, რომელიც შეშფოთებულია „კლიტულში მარტო“ არ მოექცეს, პოეზიის სფეროს მიღმა არ დარჩეს, რადგან პოეზია მისი თვითდამკვიდრების შინაარსად ქცეულა. პოეტს ამ ლექსით უნდა გაეხსნა თავისი კრებული.

მეორე მხრივ, დაეჭვების, შეშფოთებისა თუ უკმარობის გრძნობა დიმიტრი გიგიბერიასათვის პოზა არ გახლავთ. ზემოჩამოთვლილი უარყოფითი ემოციები რეალურ საფუძველს ეყრდნობა: ლექსში აზრის თანმიმდევრული განვითარება და სათანადო დასკვნამდე მიყვანა მას უჭირს, გრძნობის გაშლა და განვითარება მხატვრული ლოგიკის მიხედვით, აგრეთვე, მისთვის საძნელოა.

ყოველივე ზემოთქმული ეხება პოეტურ კრებულს „დაბრუნებას“ (1977). ამბობენ: ლექსების წიგნში ერთი ან ორი ნაღდი ლექსი თუ მოიპოვება, ამ წიგნის არსებობა გამართლებულია. მე პირადად არ ვეკუთვნი ამ შეხედულების გამზიარებელთა წრეს, ჩემი აზრით, წიგნი შედარებით ერთგვაროვანი და თანაბარი ღირსების უნდა იყოს, მაგრამ თუკი ამგვარი წიგნი ხელთ მომხვდა, სადაც ლექსების ზღვაში ერთი ან ორი სულის დამაშოშმინებელი ნაწარმოებიღა მოიპოვება — მათ ავტორის შემთხვევით მონაპოვრად მეც არ ჩავთვლი ზემოთ ციტირებული ლექსი („ღრიჭო“) ავტორის უდავო მიღწევას წარმოადგენს, მაგრამ კრებულში ბევრ ლექსზე ამას ვერ ვიტყვით, ერთ სხვა ლექსში („პოეტის ხვედრი“) დ. გიგიბერია ამგვარ უსწორო არითმეტიკას გვთავაზობს: „თუ ნაღდი ყალბზე მეტია — შექება პოეტის ხვედრია. თუ ყალბი ნაღდზე მცირეა — პოეტის ხვედრი მძიმეა“... ბოლო ფრაზაში უდავო შეცდომაა. აზრის მიხედვით, უნდა იყოს: „თუ ნაღდი ყალბზე მცირეა — პოეტის ხვედრი მძიმეა“... პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ხსენებულ კრებულში, სამწუხაროდ, „ნაღდი ყალბზე მცირეა“...

დ. გიგიბერიას კრებულში „დაბრუნება“ ზოგჯერ გაიელვებს მძაფრად, ექსპრესიულად შესრულებული სტროფი, მაგრამ მისცეს ამ სტროფს შესაფერისი განვითარება და შემდეგი სტროფებიც ამგვარადვე მაღალ დონეზე შეასრულეს, ერთ მთლიან ლექსად შეკრას — მას არ ძალუძს. ეს მხატვრული უსწორმასწორობა განსაკუთრებით თვალნათლივია ისეთ ლექსებში, რომლებშიც, როგორც ითქვა, ერთ-ერთი სტროფი პოეტური აღმაფრენითა და ექსპრესიით გამოირჩევა. ასეთია, მაგალითად, ლექსი „ლანდები“, რომელიც ორი სტროფისაგან შედგება. ჩვენ საილუსტრაციოდ მოვიტანთ მხოლოდ პირველ სტროფს, რადგან მისი მომდევნო ტაეპი თავისი მელოდრამატულობით უსიამოვნო კონტრასტს ჰქმნის დასაწყის სტროფთან.

„ლანდები“ სასიყვარულო ხასიათის ლექსია. მასში ავტორი მარტოობის შემაძრწუნებელ განცდას უპირისპირებს სიყვარულის გრძნობის სისავსეს:

> განიერ ბანზე არ ჩანს არავინ,
> შორს გაფრენილა მერცხალიც ბუდის
> და სიმარტოვე გულშემზარავი
> უმისამართოდ დაკარგვას უდრის...

ლექსი „ლოტბარი“ მიძღვნილია გარდაცვლილი მუსიკოსის ხსოვნისადმი. არც ეს ლექსია შექმნილი ერთგვაროვნად, ერთნაირი სიძლიერით, მაგრამ ზოგი ადგილი მასში გამოიყოფა თავისი ლირიკულობით. ასეთია, მაგალითად, ბოლო სტროფი:

> დღეს სამუდამოდ ის სადაც სახლობს,
> ნელა ირხევა ტოტი,
> თითქოს ნიავი იქ შორიახლოს
> ეძებს სიმღერის მოტივს...

დ. გიგიბერიას ლექსი, საერთოდ, არაა მოკლებული პროფესიონალიზმს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზოგჯერ აზრობრივ გადახვევებს შეიცავს. მაგალითად, ყოვლად დაუშვებელია მარადიული სიმბოლოების უაპელაციოდ გადასხვაფერება თუ დამახინჯება. არ შეიძლება ცნობილი მითოსური ხატის ასე მკრეხელურად გადაკეთება: „ვით მილურსმული კედელზე ქრისტე“. ნონსენსია ამგვარი ფრაზაც: „დაგვჭირდებოდა? თვით პრომეთეს ცეცხლს მოვსტაცებდით“... მითოსის მიხედვით, პრომეთემ ცეცხლი მოგვიტანა და მოტანილს რაღა მოტაცება სჭირდება?..

●

როდესაც ჩვენ გადავშალეთ ჯანო ჯანელიძის ლექსების კრებული „გამგზავრებიდან დაბრუნებამდე“ (1978), ყურადღება მიიქცია ავტორისეულმა ანოტაციამ, რომელიც, ბუნებრივია, წინ უძღვის კრებულს. ავტორი წერს: „ბუნების სახესხვაობით თუ მრავალსახეობით აიხსნება ადამიანის ცხოვრების მრავალფეროვნებაც, რომელიც სიკეთესაც შეიცავს და ბოროტებასაც, სილამაზესაც და სიმახინჯესაც...“

ამ შეხედულებაში არ იგულისხმება და არ ჩანს (უნდა კი ჩანდეს), რომ ბუნების სახე-

---

ხვაობის გვერდით ადამიანის ფიზიონომიას აყალიბებს ისტორიის მსვლელობა, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება...

ჯ. ჯანელიძე განაგრძობს: „დრო ცდილობს ყველაფერი თავის არეში მოაქციოს და გარდაქმნას, მაგრამ სამყარო მარად შეუცნობელი და გარდუქმნელია, მარად მთლიანი და მარად დანაწილებული, მარად ბებერი და მარად ახალგაზრდა. ადამიანიც თითქოს მას ბაძავს".

ამ კონსტრუქციაში არალოგიკურია „მაგრამ" კავშირის ხმარება („მაგრამ სამყარო მარად შეუცნობელი და გარდუქმნელია..."), თორემ გამოდის თითქოს დრო ცდილობს შეიცნოს და გარდაქმნას სამყარო...

გაუგებარია, აგრეთვე, ვის ბაძავს ადამიანი: სამყაროს? დროს? ორივე შემთხვევაში შედარება შეუსაბამოა.

ავტორის ანოტაცია ამგვარი სიტყვით მთავრდება: „ამ წიგნის განყოფილებანი: „მარადდღე", „ნიღბები", „მზე ტაძარში" სამყაროს საიდუმლოებათა პოეტური შეცნობის თავისებური გამოვლენაა".

ასეთი განცხადება ავტორის მხრივ, სხვა რომ არა იყოს რა, მეტისმეტად პრეტენზიულია. რაც მთავარია, არსებითი განცხადება-ანოტაცია არაფრით არ შეესატყვისება წიგნის მხატვრულ-შემეცნებით დონეს.

რატომ დავიწყეთ ჯ. ჯანელიძის წიგნზე ანოტაციით საუბარი? ალბათ იმიტომ, რომ ანოტაციამ უნდა განგაწყოს წიგნის მიმართ სიმპატიით და მის რეალურ ღირსებებზე მიახლოვებითი სიზუსტით მაინც მიგანიშნოს. რა დასამალია და კრებულის შინაარსი, აზრობრივი ორიენტირები ანოტაციასთან კავშირში არ იმყოფება... თუკი ანოტაცია ფილოსოფიურობაზე პრეტენზიითაა დაწერილი, ამგვარი დონე, სიბრტყე თუ პლანი კრებულში არაა.

მაინც რა უმთავრეს ნაკლზე უნდა ითქვას, როდესაც კრიტიკულად ვმსჯელობთ კრებულზე „გამგზავრებიდან დაბრუნებამდე"? ჩვენი აზრით, ყველაზე გავრცელებული და ფეხმოკიდებული სისუსტე წიგნისა მდგომარეობს თავისებურ ულოგიკობაში, რომელიც მრავალნაირად მყღავნდება მის ლექსებში. ზოგჯერ ულოგიკოდაა აგებული პოეტური სახე, ზოგჯერ ლოგიკა არ ჩანს სტრიქონთა ერთმანეთთან დაკავშირებაში, ზოგჯერ არალოგიკურად გამოიყურება ამა თუ იმ პოეტური ხატის არსებობა თავად ლექსში და სხვ.

ჩვენი შენიშვნა ლიტონ ნათქვამად რომ არ დარჩეს, მოვიტანთ რამდენიმე საილუსტრაციო ნიმუშს. ერთ-ერთი ლექსი პოეტისა „ვალი" იწყება ამგვარად:

მივალ, მიმყვება მე ვალი ძველი,
ის ჩემთან ერთად საფლავში ჩადის,
რადგან ყველაზე ყოფილა ძნელი
უკანასკნელად შემართო ჩანგი.

ამ სტროფში მოწესრიგებულია მხოლოდ რითმების ფონეტიკური კონტაქტი. სხვა მხრივ, როგორ შეიძლება პირველი ორი სტრიქონი კავშირით „რადგან" გადავბათ და დავუკავშიროთ ბოლო ორ სტრიქონს, როდესაც მათ შორის შინაარსობრივი ურთიერთმიმართება და ლოგიკური თანმიმდევრობა არაა?

არც ასე შეიძლება წერა:

საჩემო ღრუბელს მირეკავს ქარი,
მე მასში სტრიქონს ვხედავდი გუშინ,
დღეს ის სტრიქონი ჩემს სულში ჰყვავის,
ვით უნაზესი ყვავილი ნუშის.

ვკითხოთ ავტორს: რომელი ლოგიკის ძალით შეიძლება დღევანდელ ღრუბელში გუშინდელი სტრიქონის დანახვა?..

ჯ. ჯანელიძე ბევრად უფრო მკაცრად და გადამწყვეტად უნდა ებრძოლოს ულოგიკობას თავის ლექსში. ლაპარაკია არა მარტო მხატვრული ლოგიკის დარღვევაზე, არამედ ელემენტარული ლოგიკის დაუცველობაზე. მაგალითად, ერთ-ერთ ლექსში ვკითხულობთ: „ცრემლივით მცირე და უშიშარი". როდის არის ცრემლი უშიშარი?

ლექსში „მარადდღე" უკანასკნელი სტროფი ასეთია:

და მომაქვს გული, გული — ზვარაკი,
ისე, ვით დროშა ზეაწეული,
განათებული მთვარის ქალაქით
და ქვადქცეული ათასწლეულით.

მე ვეთანხმები ავტორს, რომ გარკვეული მნიშვნელობით, გარკვეულ კონტექსტში მეტაფორები: „განათებული მთვარის ქალაქით და ქვადქცეული ათასწლეულით" — ლამაზია, მაგრამ, მეორე მხრივ, არა ვარ დარწმუნებული, თვით ავტორს კარგად ესმოდეს რა მიმართებაშია ეს მეტაფორები წინა სტრიქონებთან. ყოველი რომანტიკული ან ზღაპრულ-ფოლკლორული სახე მისაწვდომი უნდა იყოს თავისი შინაარსითაც, კონკრეტული მნიშვნელობით და ლექსში მხატვრული ლოგიკის კანონებს უნდა ემორჩილებოდეს. გული — განათებული „მთვარის ქალაქით" — ნონსენსია...

მეტი მოთხოვნილება, მეტი სიმკაცრე, მეტი ლოგიკურობა, მეტი თანმიმდევრულობა—ერთადერთი საშუალებაა ავტორმა თავიდან აიცდინოს ის ჩავარდნები, რომელებზეც ზევით ვილაპარაკეთ და რომლებსაც შეუძლიათ კურიოზამდეც მიიყვანოს ავტორი:

რა ვუყოთ, ისე, ვით ცირკის ლომი
თუ არ ვსწავლობდი, ვხვეწდი მანერებს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლექსია ჩემში პირველად ყოვლის,
ხამ რომ ამანთებს და ხან მანელებს.

მოყვანილი სტროფი, ცხადია, არ საჭიროებს კომენტარს, მაგრამ მაინც აღვნიშნავთ, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მანერები მხოლოდ ადამიანს კი არ გააჩნია, არამედ ცირკის ლომსაც...

ამიტომ ჩვენ გვინდა ჯ. ჯანელიძე მეტი სიმკაცრით, შეუბრალებელი დაუთმობლობით მისდევდეს იმ კარგ დევიზს, რომელიც თვითონვე ჩამოაყალიბა ერთგან:

მე მიყვარს სიტყვა, როგორც მარცვალი
თავის შესაფერ ხნულში რომ ხვდება...

ლექსი „სხვა მახსოვრობა ჰქონიათ ქარებს" ჩანს, ავტობიოგრაფიულია. ამაში გვარწმუნებს თვით ლექსი „გამგზავრებიდან დაბრუნებამდე", რომლის სათაურიც იქცა კრებულის სახელწოდებად. ამ უკანასკნელში იგივე — მშობლიური კერიდან მოშორების — მოტივია არსებითი, რომელზეც აგებულია აგრეთვე „სხვა მახსოვრობა ჰქონიათ ქარებს". ლექსი „სხვა მახსოვრობა..." იკითხება და თავისი გამოუთქმელი სევდა მკითხველამდე მოაქვს. მაგრამ თუ ეს ნაწარმოები ავტობიოგრაფიულია, მას ნაკლებად სჭირდება ე. წ. ფსევდორომანტიკული ანტურაჟი (სახაფლაო, მთვარე...), ანდა მკითხველის გასარკვევად ლექსში მეტი უნდა იყოს ინფორმაცია, გადმოცემული უფრო რეალისტური სახეებით. ავტობიოგრაფიულ ლექსში დრამატიზმს უნდა ქმნიდეს ფაქტთან (რის გამოც ლექსი დაიწერა) მაქსიმალურად მიახლოვებული პოეტური წარმოსახვა. აქ კი ყველაზე ძლიერია ფსევდოპოეტური, ფსევდორომანტიკული პლანი და ნამდვილი მხატვრული გრძნობისათვის ადგილი ცოტა რჩება.

უდავოდ, მაინც კარგია ლექსის დაბოლოება, სადაც მრავალი პერიპეტიების შემდეგ შინ დაბრუნებულ პოეტს მობერილი მშობლიური ქარი ეხვევა, რომელიც მისთვის უკანასკნელ თავშესაფარს წარმოადგენს.

ჯ. ჯანელიძეს აქვს ანალიტიკურად დაწერილი შინაარსიანი ლექსი („ძიება"), სადაც იგი პოეტურ რეფლექსიას ეძლევა, გულწრფელია და ერთგვარად თავს არც ინდობს: მისი აზრით, მან საკუთარი შემოქმედი „მე" საკუთარი პოეტური სამყარო ჯერ ისევ ვერ „წაიკითხა", ვერ დაიმორჩილა, ვერ დაექვემდებარა:

ყველაზე ძნელი, ყველაზე რთული:
ვერ მიპოვნია ჩემივე თავი,
ვერ წამიკითხავს, გარშემო ვუვლი,
როგორც გადაშლილს, ძველთაძველ
თარიღს...

ეს შემოქმედებითი უკმაყოფილება საწინდარია იმისა, რომ ძიება გაგრძელდება და თვითკმაყოფილებას იგი ადგილს არ დაუთმობს.

●

პირობითად შეიძლება ითქვას, რომ გივი ბერაიას ლექსები ორი ტიპისანი არიან: მცირე ნაწილს წარმოადგენს აღწერითი ხასიათის ლექსები; უფრო დიდი ადგილი აქვს დათმობილი მის კრებულში ტრადიციული სიმბოლიკით, მინაზებული გრძნობითა და ორნამენტალიზმით აღბეჭდილ ლექსებს. ეს უკანასკნელნი ხასიათდებიან არა მარტო აზრის ბუნდოვანებით, გრძნობის განყენებულობით, გულწრფელობის „შიშით" (ამიტომ აშკარა ლიტერატურიზმებითაც), არამედ თავისებური სნობიზმითა და ფსევდომხატვრულობით...

რას ვგულისხმობთ პოეტურ სნობიზმში ან ფსევდომხატვრულობაში?

ვგულისხმობთ პოეზიის ძველი სკივრებიდან და ზანდუკებიდან ამოღებული მორთულობების, მოკაზმულობათა, მოძველებული გარდერობისა და სხივდაკარგული ფერ-უმარილის უხვად გამოყენება.

ფსევდოპოეტურია მის ლექსებში, მაგალითად, ფერის მხატვრული გამოყენება. უნდა ვუთხრათ ავტორს, რომ პოეზიაში ფერს იყენებენ იმ შემთხვევაში, თუკი იგი პოეტური სიმბოლიკის დონეზეა გააზრებული. მაგრამ თუკი ფერწერული ხერხების გამოყენება იქნება ნაწილობრივ მექანიკური, ნაწილობრივ მიმბაძველური (როგორც იყენებდნენ ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში) და ლექსში დამოკიდებული ფუნქცია არ ექნება, ასეთი ფერწერა მხატვრული ბალასტის მსგავსად იქცევა.

ჰა, მაძღარ ფერებს გადაურბენს უფსკრულის
ფერი,
ააწიოკებს ტკივილები განცხრომით ლპობას...
ჰა, ფიქრის ფერი, მშვიდი ფერი,
წყურვილის ფერი,
უიმედობის მწარე ფერი, ტკივილის ფერი —
ერწყმიან ერთურთს, გადადიან ერთურთში
ისე,
რომ ვგრძნობ რაღაცა აკლიათ თითქოს —
და შენზე ვფიქრობ.

ლექსში— „ოდიში. წვიმა", გვხვდება ხან ლურჯი წვიმა, ხან ფერადი წვიმა, „ყველა ფერის და ფერთა ნათელის" ხსენებაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ლექსისთვის ასეთი თეატრალური იერის მინიჭება მას მხოლოდ ბუტაფორიული არაბუნებრივობის შეგრძნებას აძლევს. აქვე ამგვარ კურიოზს ვაწყდებით: ავტორი ხსენებულ ლექსს ამგვარად ამთავრებს — „სული ფერებით სავსე თასია და სოკოსავით უცებ ვიზრდები"... ეს იშვიათი ნიმუშია თვითშეურა-

---

ცხოვრების, რომლის აცილებისათვის წიგნის რედაქტორსაც უნდა ეზრუნა.

ზემოაღნიშნული „ტიპის“ ლექსებს აკლიათ სიზუსტე და გამოკვეთილობა, კონკრეტული თვალსაჩინოება და გარკვეულობა, სიცხადე, რელიეფურობა და საოქმელის სიაშკარავე. როდესაც სილამაზე (**красивость**) ასე გარეგნული და მოჩვენებითია, მას აზრი ეკარგება და მკითხველზე არ მოქმედებს: „ოცნების ფრთებით მოწნული ქოხი ამშვენებს ღამის მთრთოლვარე პროფილს...“

მეორე ყაიდის ლექსები, როგორც აღვნიშნეთ, აღწერითი ხასიათისაა და მეტი დამაჯერებლობა აქვთ შეძენილი აქ მეტია სიზუსტე, სიცხადე და მხატვრული გარკვეულობა. მათში მოქალაქეობრივი პათოსიც შეინიშნება. ასეთია, მაგალითად, „სიფხიზლის ბალადა“. „სიმაღლე (კოსმონავტებს)“ და სხვ. „სიფხიზლის ბალადაში“ მკითხველი კარგად ხვდება ავტორის გულისტკივილს და იმასაც, თუ ლირიკული გმირი გამვლელ-გამომვლელს ჩუმად და დაყინებით რატომ ჩასცქერის თვალებში. ენგური მის განაპირა სოფლებში მცხოვრებლებისთვის სასიცოცხლო ენერგიის და დიდი სიფხიზლის მიმცემი წყარო თუ სტიმული იყო. როდესაც მდინარე გვირაბში მოექცა, ახლა მის კალაპოტში ნაენგურალიღა მობობღავს და კოდუებსა თუ ბიგვავებს ალბათ სასიცოცხლო ძარღვი ჩაუწყდებათ... ინდუსტრიული პროგრესი არ გამორიცხავს ზოგიერთ უსიამოვნო მომენტებს — ასეთია ავტორის გულწრფელი და საფუძვლიანი აზრთგანწყობილება.

როგორც ვხედავთ, გ. ბერაია ბევრად უფრო საინტერესოა როგორც პოეტი, როდესაც კონკრეტულ და თვალსაჩინო თემას ჰკიდებს ხელს, როდესაც გულახდილია და სათქმელი მისთვის დღესავით ნათელია, როდესაც რეალისტურ გამომსახველობით ხერხებს მიმართავს და მოქალაქეობრივ-პუბლიცისტურ საკითხებს გამოუგონებელი გულისტკივილით ამუშავებს. ყოველივე თქმულისგან, ჩვენი აზრით, გ. ბერაიამ თავისათვის შესაფერისი სამოქმედო გეგმა უნდა გამოიმუშაოს.

●

მიუხედავად იმისა, რომ საბავშვო ლიტერატურის სპეციალისტი არამც და არამც არ გახლავართ, ორიოდე სიტყვით გვინდა შევჩერდეთ ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტის ტიტე მოსიას საბავშვო ლექსების კრებულზე — „კოდალა და ძილისგუდა“. ეს პოეტის პირველი წიგნია, მაგრამ ავტორი თავის მოვალეობას კარგად არმევს თავს და წიგნიერად აქვს გამომუშავებული საბავშვო მწერლობის ესთეტიკური თავისებურებანი, პედაგოგიური დანიშნულება და მიზნები. ტრადიციულია თუ არა მისი საბავშვო პოეზია? უდავოდ, ტრადიციულია. ამ მხრივ, ფესვებს მივყევართ გოგებაშვილის მიერ დანერგილ დიდ კულტურასთან.

„კოდალა და ძილისგუდას“ მიხედვით ჩვენ ვრწმუნდებით, საბავშვო ლირიკის თავისებურება და ამავე დროს, დიდი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი ლექსი სიუჟეტურად დამთავრებული უნდა იქნეს. აქ ერთსტროფიან ლექსსაც კი აქვს სიუჟეტური კომპოზიცია, ფინალი. ფინალი კი უფრო ხშირად მოულოდნელია, მახვილგონიერი და ლექსის (თუნდაც ერთსტროფიანი) დამაგვირგვინებელი. ასეთ ლექსებში თავს იჩენს მოქმედება, ამბის მომენტალური განვითარება და ამდენად, მცირეფორმიანი ლექსი ნოველისებურ აზროვნებას მოითხოვს. ტ. მოსია დაუფლებულია საბავშვო ლექსის პოეტიკას და მისი შემდგომი შემოქმედებითი ძიებები და მიღწევები, იმედია, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება.

კარგია, რომ კრებული იხსნება ლექსით „ჩემი მამული ჰქვია“. ეს ლექსი არა მარტო ემოციურია, არამედ შემეცნებითი ხასიათის მახალასაც აწოდებს სკოლამდელ ნორჩ მკითხველს. ბავშვი, რომელსაც ეს ლექსი წაუკითხეს, იქამდე, ვიდრე უნახავს, შეისმენს და დაიმახსოვრებს, რომ მტკვარი, ენგური და ალაზანი — მას თანაბრად ეკუთვნის; თბილისი, ქუთაისი და სოხუმი — მისი საკუთარი საამაყო ქალაქებია. სამშობლო — თურმე ეს მისი სიმდიდრეა, მისი მზიანი არსებობის წყაროა.

პოეტი ცდილობს კოლორიტის მცირე გრძნობაც აღუძრას თუ გაუღვივოს ნორჩ მკითხველს, რადგან ერონვულ კოლორიტში უკვე იგულისხმება სიყვარული და შეთვისება დედა-სამშობლოსი.

ამ ჭალებს, ბორცვებს, ამაყ მთებს,
მწვანე ხეების შრიალს,
ამ მტკვარს, ენგურს და ალაზანს
ჩემი მამული ჰქვია.
ეს ბილიკი თუ გზაშარა,
ამ მზის სხივების ჩქერი,
დამტევნებული ვენახი, —
აი, მამული ჩემი.
ამ წვიმას, ამ კვამლს ბუხრისას,
ლერწამს თუ ბალახს ცვრიანს,
აკვანთან დედის „ნანინას“
ჩემი სამშობლო ჰქვია.
თბილისს, ქუთაისს, სოხუმს,
სვანეთს, აჭარას მზიანს...
ჩემი უკვდავი სიოცოცხლე —
ჩემი მამული ჰქვია!

ტ. მოსიას ერთ ოთხსტრიქონიან ლექსს ეწოდება „თბილისში“. ავტორისთვის ჩვეულია, რომ ლექსს მოქმედების განვითარება მიანიჭოს და ამგვარად, ნაწარმოების აზრობრივ-ესთეტიკური მხარე გაზარდოს. როგორც სათაურიც მიგ-

ვანიშნებს და ლექსიდანაც ირკვევა, ლაპარაკობს ბავშვი, რომელიც თბილისში ჩამოსულა. იგი პირველადაა თავის დედაქალაქში, მაგრამ ინსტინქტი უკარნახებს, რომ იგი მისთვის ყველაზე საამედო და მნიშვნელოვან წერტილში იმყოფება. დედა-თბილისი მისი ნორჩი ცნობიერებისთვისაც საოცარი მიზიდულობის ცენტრია, სინათლის დიდი წყაროა, ისტორიული არსებობის წინამძღვარია, ყოვლის შემკრები მშობლიური კერაა. ყოველივე ეს იგრძნობა და განიცდება შეუმცდარი ინსტინქტის დონეზე:

> აქ სხვაგვარი ყოფილა
> მზის სხვების კაშკაში...
> თავს ისე ვგრძნობ თბილისში,
> როგორც დედის კალთაში.

ჰუმორის ზომიერი გრძნობა ამშვენებს კრებულს. მამლები აქ სიზმრებს ნახულობენ, კოდალა ხეს უყვება მატლზე გამოცხადებული ძებნის ამბებს, ბიჭები სპილოს დასახატად მისი ზომის ქაღალდს ეძებენ, ხოლო სოკოს ქოლგის ფორმა მიუღია, რათა თავს დაიცავს წვიმისაგან და ასე გასინჯეთ, მცხუნვარე მზისაგანაც...

არა მარტო ეკოლოგიური მოსაზრებითაა გაუმართლებელი ლექსი, რომელშიც ლაპარაკია ბაბუას მიერ შაშვის მიზანში ამოღების შესახებ („ზამთრის სურათი"). ჩვენ ვიცით, რომ ქართულ სოფელში შაშვს დღესაც თოფს ესვრიან, მაგრამ მკითხველმა ბავშვებმა უნდა ისიც იცოდნენ, რომ ეს განუმეორებელი მკრეხელობაა, ბუნებისადმი ნასროლი ტყვიაა, პირველყოფილი ინსტიქტების გამოძახილია. ხსენებულ ლექსში (რომლის სათაურიც სავსებით შეუსაბამოდაა შერჩეული) ბავშვს, მართალია, ეცოდება მოსაკლავად განწირული შაშვი, მაგრამ იმის მაგივრად, შაშვი გააფრთხილოს და მოახლოვებული საფრთხე აცნობოს, როგორც ეს ლექსში ხდება, სჯობია ბაბუას აუკრას ხელი თოფზე (რომც ეს უესტი პედაგოგიური თვალსაზრისით გამართლებული არ იყოს).

ჰუმორის ფარგლებში დასაშვებია, რომ ბავშვმა, აქსელერაციისა და ეკოლოგიური ეპოქის შვილმა, მცირე ბავშვური ნოტაცია წაუკითხოს თავის „ძველმოდურ" თუ „დრომოქმულ" ბაბუას...

ერთ-ერთ ლექსში („უფრო ის უკვირს") მისი ნორჩი გმირი, ბიძინა, ავტორზე შესამჩნევად მართებულად მსჯელობს, როდესაც უფრო ის უკვირს, კვერცხიდან როგორ იბადება წიწილა, ვინემ ის ტექნიკური სირთულე, რომელიც ტელევიზორისა და რადიოს მუშაობას თან ახლავს. მკითხველი, ცხადია, პატარა ბიძინას შემეცნებით ინტერესებს უფრო თანაუგრძნობს!..

და ბოლოს გვინდა ვთქვათ, რომ კარგი იქნება თუკი გამომცემლობა „ნაკადული" დაინტერესდება ტიტე მოსიას ლექსებით და უფრო ფართოდ, სრულყოფილად გააცნობს რესპუბლიკის მკითხველს მის შემოქმედებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთი ავტორის უსაფუძვლო შენიშვნების გამო

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის პირველივე ტომის გამოსვლამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ფართო გამოხმაურება პოვა მკითხველ საზოგადოებაში. მთავარი სამეცნიერო რედაქცია ბევრ წერილს, შენიშვნას, შეკითხვას, წინადადებას, თხოვნას იღებს რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან. ნიშნეულია, რომ მეტი წილი წერილებისა ასახავს მკითხველთა გაცხოველებულ ინტერესს ტერმინოლოგიური ხაკითხებისადმი. გვაწვდიან საინტერესო სიტყვა-ტერმინებს, გვიზუსტებენ ეთნოგრაფიულ ყოფასთან დაკავშირებული რომელიმე ცნების შინაარსს, არც თუ იშვიათად იწუნებენ საყოველთაოდ აღიარებულ და გავრცელებულ ტერმინს, სანაცვლოდ გვთავაზობენ მათ მიერ მიკვლეულ სიტყვას და სხვ.

უნდა ითქვას, რომ მკითხველთა წერილებს დიდი სარგებლობა მოაქვს ჩვენთვის. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ასეთი წერილი ხასურველი მიმართულებით წარმართავს ჩვენი კოლექტივის შემდგომ მუშაობას რომელიმე უბანზე. მაგრამ არის ერთი წყება კორესპონდენტებისა, რომლებიც შეურიგებელ ოპოზიციაში უდგანან ყოველივე აღიარებულს, უეჭველად მაზნეულს და მოითხოვენ, ხაზი გადაუსვით მაგ თქვენს ლექსიკონებში ჩაწერილ ტერმინებს და მაინცდამაინც ესა და ეს სიტყვები იხმარეთ იმათ ნაცვლადო. რა თქმა უნდა, ასეთი რადიკალიზმი უკვე იმის გამო არ შეიძლება რაიმე ნაყოფის მომცემი იყოს, რომ იგი ხელაღებით უარს ამბობს მეცნიერ-ტერმინოლოგთა ათეული წლების ნაღვაწ-ნაკაფზე.

დაკანონებული ტერმინოლოგიის გათვალისწინებით იწერება სამეცნიერო გამოკვლევები, ქვეყნდება სახელმძღვანელოები, იკითხება ლექციები, სამინისტროები და უწყებები ადგენენ საქმიან ქაღალდებს, სტატისტიკურ დოკუმენტებს, დაბოლოს, სპეციალისტები ფრავალი წლის შრომის, შეჯერება-დაზუსტებისა და ცალობის შემდეგ გვთავაზობენ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებს და, რომ გვგონია, ახლა კი მოგვარებულია საქმეო, გამოჩნდება ხოლმე კრიტიკის ყინით შეპყრობილი ვინმე და ცდილობს კატეგორიულად უარყოს ის, რაც თითქოს ალარ უნდა იწვევდეს დავას. ვერ ვიტყვით, რომ ამ კრიტიკოსთა პრეტენზიები ყოველთვის უსაფუძვლო იყოს. უფრო მეტიც, იშვიათად არის ხოლმე, რომ რაიმე თვალსაზრისით მაინც არ იმსახურებდნენ ისინი ყურადღებას, მაგრამ მათი უმრავლესობისათვის სხვა უარყოფით მხარეებთან ერთად ერთი უმთავრესი ნაკლია დამახასიათებელი, ეს უარმყოფელები თავისი დებულებების მოტივირებისას ხავსებით ივიწყებენ, რომ ისინი ებრძვიან ცოცხალს, უკვე დამკვიდრებულს (გინდაც უკანონოდ გაჩენილს) და გვთავაზობენ შევცვალოთ იგი ოდესღაც არსებული, აწ კი საყოველთაოდ მივიწყებული, ან მხოლოდ მეცნიერ-ლინგვისტთა სამეურვეოდ გამხდარი სიტყვით. ჩვენ აქ უხერხულად მიგვაჩნია ვრცლად იმაზე საუბარი, რომ ენა იცვლება, ვითარდება, რაღაცას კარგავს, რაღაცას იძენს, რომ ხალხია ენის შემოქმედი, რომ მოგვწონს თუ არ მოგვწონს, უნდა ვცნოთ და შევურიგდეთ ენის შინაგანი განვითარების კანონებს, მაგრამ ერთი რაე კი უნდა შევახსენოთ არქაისტებს, რომლებიც ერთი შეხედვით თითქოს ძალზე მიმზიდველ საქმეს ემსახურებიან — სურთ დაიცვან, გადაარჩინონ, გააცოცხლონ ძველი, ქართული, წინაპართა ნაანდერძევი და ა. შ. ენობრივი ნიადაგიდან ერთხელ ამოგდებული და ფესვგამხმარი სიტყვის გაცოცხლება ძალზე რთული საქმეა და თუ მის მაგივრად ამავე ნიადაგზე უკვე სხვამ იხეირა, — თითქმის შეუძლებელიც.

არა ერთი და ორი ასეთი „ნოვატორის" მოგერიება მოუხდა ქსე-ის რედაქციას წლების მანძილზე. ენათმეცნიერთათვის ცნობილი ფაქტია, მეცნიერების არც ერთ დარგს არ შეუჩნდება იმდენი ენერგიული დილეტანტი, რამდენიც ეტიმოლოგიასა და ტერმინოლოგიას ერჩის ხოლმე. ეს ალბათ ამ ძალზე რთულ დარგთა მოჩვენებითი ხელმისაწვდომობით აიხსნება.

დილეტანტის „გაუვნებლება" შედარებით ადვილი საქმეა. მისი არ სჯერათ. დილეტანტის ლინგვისტური ნაფიქრ-ნააზრევი იშვიათად გაატანს ხოლმე სამეცნიერო თუ საგამომცემლო ინსტანციათა ფილტრში. ხულ სხვაა სპეციალისტი ოპონენტი. ხშირად მას ვერაფერს აკლებს თვით ლოგიკის მარწუხებიც კი, იგი არ იწვის უმრავლესობის მიერ გაჩაღებული ფაქტების ცეცხლში. მას ჭეშმარიტების ერთადერთი დამცველის ტოგა აქვს მოსხმული და ჩასაფრებული მოელის, ვინ ამოყოფს თავს „გალაღებული" უმრავლესობის სანგრებიდან. ეს ის ზემდეგია, რომელიც დარწმუნებულია, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ასეულიდან მხოლოდ თვითონ ადგილს ფეხს სწორად.

„ცისკრის“ ა. წ. მე-7 ნომერში გამოქვეყნდა ზოოტექნიკოსის, ქსე-ის სოფლის მეურნეობის რედაქციის ყოფილი უფრ. სამეცნიერო რედაქტორის დოც. ალ. ქუთათელაძის „მოსაზრებანი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის პირველ ორ ტომში წარმოდგენილ ზოგიერთ ზოოტექნიკურ და ზოოლოგიურ ტერმინზე“. პატივცემული რეცენზენტის ეს მოსაზრებები ქსე-ის რედაქციისათვის, რა თქმა უნდა, არ არის ახალი. თითქმის უკლებლივ ყველა ამ დებულებაა იცავდა ალ. ქუთათელაძე ჩვენთან მუშაობის დროს და ცდილობდა გაეტარებინა გამოცემაში, მაგრამ მისი მოსაზრებები არ გაიზიარა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო საბჭომ, რომელშიც რესპუბლიკის წამყვანი სპეციალისტები შედიან.

ვიდრე ალ. ქუთათელაძის მოსაზრებათა განხილვას შევუდგებოდეთ, სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადოთ, რომ, როგორც ყველა სხვა დარგში, სოფლის მეურნეობის თუ ბიოლოგიის ტერმინოლოგიური საკითხების გადაწყვეტისას ქსე-ის მთავარი სარედაქციო კოლეგია პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა მეცნიერთა ამა თუ იმ სკოლის, დაჯგუფების თუ რომელიმე გავლენიანი მეცნიერის სუბიექტური მოსაზრებების, დებულებების, ინტერპრეტაციის, ტერმინოლოგიის გამოცემისათვის თავზე მოხვევის ყოველგვარ ცდას.

ქსე-მ უნდა ასახოს ქართული მეცნიერების დღევანდელი რეალური მდგომარეობა. ენციკლოპედიაში, როგორც პოპულარულ, ფართო მკითხველისათვის განზრახულ გამოცემაში, თავის ადგილს პოვებს მხოლოდ მეცნიერულად დადგენილი, აღიარებული და საყოველთაოდ გაზიარებული ფაქტები და დებულებები. ამ ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება ქსე-ის დარგობრივი რედაქციები. მათი მუშაობის მეცნიერულ-მეთოდოლოგიური დასაყრდენია ავტორიტეტული სამეცნიერო საბჭოები. რედაქცია ფართოდ იყენებს სპეცრეცენზირებასა და სპეცრედაქტირებას.

სტატიის რედაქტირებისას წამოჭრილი ტერმინოლოგიური საკითხი პირველ ყოვლისა ტერმინოლოგიური თუ ორთოგრაფიული ლექსიკონების საფუძველზე წყდება. იმ შემთხვევაში, თუ ამა თუ იმ ცნებისთვის დღესდღეობით არ არსებობს ქართული ტერმინი, დარგობრივი სამეცნიერო საბჭო აძლევს რეკომენდაციას წარდგენილ სავარაუდო ტერმინთაგან ერთერთს, შემდეგ ტერმინს განიხილავს ქსე-ის მთავარ რედაქციასთან არსებული სატერმინოლოგიო კომისია და დასამტკიცებლად გააქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სალიტერატურო ქართულის ნორმების დამდგენი კომისიის სხდომაზე. მხოლოდ ამის შემდეგ იძენს ტერმინი მოქალაქეობრივ უფლებებს.

არც ერთი ტერმინი, რომელსაც საცილობლად ხდის ჩვენი რეცენზენტი, არ გახლავთ ჩვენ მიერ შეთხზული ან გამოგონილი, მკითხველს შეუძლია თითოეული მათგანი საკუთარი თვალით იხილოს სათანადო ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში.

შეგვეძლო ჟურნალის მეშვეობით კიდევ ერთხელ შეგვეხსენებინა პატივცემული რეცენზენტისათვის, რომ ენციკლოპედია არ შეიძლება გახდეს სპეციალურ სამეცნიერო ინსტანციებში წამოწყებული ტერმინოლოგიური თუ სხვა ბრძოლების გასაახლებელი ასპარეზი, რომ ჩვენ უბრალოდ უფლება არა გვაქვს ოფიციალური ეროვნული, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მასობრივი გამოცემა დავუპირისპიროთ ყველაფერ იმას, რასაც სკოლის მერხიდან მოყოლებული უცილობლად მიიჩნევს მკითხველი. შეგვეძლო თითოეული ენციკლოპედისტისათვის ცხადზე უცხადესად მიჩნეული ეს დებულება შეგვეხსენებინა ჩვენი ყოფილი მუშაკისათვის და აქვე დაგვესვა წერტილი, მაგრამ რაკი მისი კრიტიკული შენიშვნები დაიბეჭდა ისეთ პოპულარულ ჟურნალში, როგორიც „ცისკარია“, იძულებული ვართ ანგარიში გავუწიოთ მკითხველის ინტერესს და პასუხი გავცეთ დოც. ალ. ქუთათელაძის შენიშვნებს.

მივყვეთ თანმიმდევრობით.

1. რეცენზენტს არ მოსწონს ცხენის სვლის ხერხის (ალურის) აღმნიშვნელი ტერმინები, რომლებიც ჩვენ გამოვიტანეთ ქსე-ის ზოგიერთ სტატიაში. არსებულ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებსა და სპეციალურ ლიტერატურაზე დაფუძნებით გამოცემაში ალურის სახეების აღმნიშვნელ ტერმინებად მიღებულია:

ნაბიჯი — რუს. **шаг**

ჩორთი — **рысь**

თოხარიკი, იორღა — **иноходь**

ნავარდი — **галоп**

ჩორთით მოსიარულე ცხენის (**рысак**) აღსანიშნავად ვხმარობთ „ჩორთმავალს“, თოხარიკით მოსიარულეს (**иноходец**), ბუნებრივია, „თოხარიკს“ ვუწოდებთ.

ასევეა წარმოდგენილი ეს ტერმინები საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1959 წელს გამოცემულ „სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგიაში“. ერთის გამოკლებით: ალურის — **галоп** შესატყვისად მოცემულია „ოთხით სვლა, ოთხახმით სვლა, ოთხი“, გამორჩენილია „ნავარდი“. ამ ტერმინის გამოტოვება წიგნის რედაქტორებს იმდენად მნიშვნელოვან

მ. რჩეულიშვილი, ა. ჯანაშვილი,
ლ. ბოლქვაძე

ერთი ავტორის უსაფუძვლო
შენიშვნების გამო

შეცდომად მიუჩნევიათ, რომ წინასიტყვაობაში საგანგებოდ აღნიშნავენ ამ ფაქტს.

ალ. ქუთათელაძეს დიაგონალური ალურის აღსანიშნავად „ჩორთის“ ხმარება შეცდომად მიაჩნია. რატომღაც მტკიცედ სწამს, რომ ქართულში ამ ცნებას ოდითგანვე აღნიშნავდა „მერნობა“. სრული პასუხისმგებლობით უნდა გავაცხადოთ, რომ არც ძველსა და არც XIX-XX საუკუნეების ლიტერატურაში აღნუსხული არ არის ეს სიტყვა. არც ალ. ქუთათელაძის მიერ დაკისრებული, არც სხვა რაიმე შინაარსით (ჩვენ საგანგებოდ გადავსინჯეთ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების მდიდარი საილუსტრაციო კარტოთეკა). „მერნობა“ თავის ქართულ ლექსიკონში შეუტანია ხაბას. ტერმინ „სლვის“ განმარტებისას ადამიანისა და სხვა არსებათა სიარულის სახეობებს რომ ჩამოთვლის, ამბობს: „...უმმობენ... ცხენთა გოგმანით სიარულსა — თოხარიკობა; სხვარიგს კეთილსა სიარულსა — მერნობა; ავს სიარულსა — ჯაგჯაგი“.

ქართული ლექსიკონიდან შემდეგ ეს სიტყვა დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ-ფრანცუზულ ლექსიკონში“ მოხვედრილა. იქ ავტორს განუმარტავს როგორც **иноходь, рысь**. ჩვენს რეცენზენტს ჰგონია, რომ ღვაწლმოსილი ლექსიკოგრაფი ერთმანეთისაგან ვერ არჩევს ორ სხვადასხვა ალურს. ნამდვილად კი დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი კეთილსინდისიერად ასახავს ტერმინის რეალურ შინაარსს ერთადერთ წყაროზე — ქართულ ლექსიკონზე დაფუძნებით. მართლაც, საბა ტერმინ „სლვაში“ ცხენთა გოგმანით სიარულს თოხარიკობას უწოდებს, ტერმინ „სიარულში“ კი გოგმანით სიარულს მერნობას არქმევს. ძნელი სათქმელია, „გოგმანი“, თუ გინდა „კეთილი სიარული“ რამდენად გადმოსცემს ამა თუ იმ ალურის კონკრეტულ თავისებურებას, მაგრამ ფაქტია, რომ არც საბას და არც ჩუბინაშვილს არა აქვთ ზუსტად განსაზღვრული ამ სიტყვის შინაარსი.

ალ. ქუთათელაძეს დიდი სურვილი აქვს პარალელური ალურის მქონე ცხენის **рысак**-ის შესატყვისად ქართულში „მერანი“ დაამკვიდროს და არაფრად დაგვიდევს არც იმას, რომ ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა არასდროს უხმარიათ და არც იმას, რომ „მერანი“ იმთავითვე აღნიშნავდა გამორჩეული ზღაპრული ღირსებების მქონე ცხენს, რაშს. რუსთველამდე ქართულში „მერანი“ არ არის დადასტურებული წერილობითს ძეგლებში. „ვეფხისტყაოსანში“ ტარიელის პირველ გამოჩენას ზღაპრული ელფერი აქვს, ზღაპრულია მისი გარეგნობა, ძალ-ღონე, ქცევა. ზღაპრულია, რა თქმა უნდა, მისი ცხენიც. ამიტომაც ამბობს შოთა: „ტაიჭი მიუქს მერანსაო“, ე. ი. ცხენი მერანს მიუგავსო. აქ ალბათ ალ. ქუთათელაძეც დაგვეთანხმება, რომ „ჩორთმავლის“ სიტყვას ლისსმობს პოეტი. შესადარებლად და ისიც რუსთველისთვის იგი ძალზე პროზაული იქნებოდა. კიდევ ერთხელ გვხვდება ეს სიტყვა პოემაში: „ზედა ჯდა შავსა ტაიჭსა, — მერანი რამე შავია“. აქაც მისი შინაარსი ოდნავადაც არ გამოხატავს კონკრეტული ალურის მქონე ცხენს. არის ერთი შეუსაბამობაც. ჩორთი არც თუ ისე ჩქარი ალურია, უფრო ჩქარია თოხარიკი, განსაკუთრებით კი ნავარდი. თავის შავ მერანზე ამხედრებული ტარიელი მიუწვდომელი იყო მდევრისთვის, თვალის დახამხამებაში გადაიკარგებოდა ხოლმე. უნდა ვიფიქროთ, რომ მისი რაშის ალური არ იქნებოდა ჩორთი. აღორძინების ხანის ლიტერატურაშიც „მერანის“ ჩორთმავლობა არ დასტურდება არც ერთ ძეგლში. საბა მერანს განმარტავს როგორც „კეთილად მოარულ ცხენს“, ე. ი. ჩინებულ, საუკეთესო ცხენს. არც მეტი, არც ნაკლები.

მომდევნო, XIX-XX საუკუნის არც ერთ წერილობით ძეგლში, არც ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში „მერანი“ არ აღნიშნავს **рысак**-ს, არამედ მხოლოდ ჩინებულ ცხენს, ზღაპრულ რაშს. გვხვდება მეტწილად როგორც პოეტური ეპითეტი, ხშირად ირონიულ კონტექსტშიც.

ალბათ ჩვენი რეცენზენტიც კი არ დაიწყებს სერიოზულად იმის მტკიცებას, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის თავგანწირული გმირი სწორედ პარალელური ალურით აპირებდა „ბედის სამზღვრის“ გადალახვას და იმიტომ ამხედრდა მერანზე და არა, ვთქვათ, თოხარიკზე.

თანამედროვე ქართველს მერნის ხსენებაზე პირველ ყოვლისა დიდი პოეტის გენიალური ფანტაზიით შექმნილი მფრინავი რაში წარმოუდგება და არა იპოდრომის ჩორთმავლები.

ვთქვათ, საბას დროს ეს სიტყვა მართლაც აღნიშნავდა მაინცდამაინც **рысак**-ს, განა ეს საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ ხაზი გადაგვესვა მისი შემდგომი, თითქმის სამასწლიანი არსებობისათვის, ამ ხნის განმავლობაში შეძენილი და ჩვენამდე მოღწეული მისი აზრი და ელფერი დაგვეკარგებინა და არსებითად სულ ახალი შინაარსის მატარებელ სპეციალურ ტერმინად გვექცია?

რისთვის უნდა გავწიროთ ეს მშვენიერი პოეტური სიტყვა? თურმე მხოლოდ იმისთვის, რომ „ჩორთი“ და „ჩორთმავალი“ არაქართული წარმომავლობისაა. ბარბარიზმებიაო, გვაშინებს ალ. ქუთათელაძე. ჩვენ შეგვიძლია ვანუგეშოთ პურიზმის მქადაგებელი რეცენზენტი: თურმე ეს ჩვენი „მერანიც“ არ ყოფილა თავანკარა ქართული, თანაც სწორედ იმ თურქულ-მონღოლური ენობრივი სამყაროდან შემოსუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლი ჩანს, რომლის მიმართაც განსაკუთრებულ სიფხიზლეს მოითხოვს იგი.

ასე რომ, მხოლოდ ამის გამო „ჩორთი“ არ გაიწირება. გარდა ამისა, ამ სიტყვას აქვს უპირატესობაც, იგი მართლაც გარკვეულ ალურს — рысь-ს აღნიშნავს. ჯერ კიდევ 1846 წელს გამოსულ „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“ ნ. ჩუბინაშვილი განმარტავს: „рысак — ჩორთით მორბენალი ცხენი“.

ცნობილია, რომ კიუვიემ შემოხვევით ნაპოვნი კბილის მიხედვით აღადგინა ნამარხი ცხოველის სრული სახე. არსებობს ლინგვისტური პალეონტოლოგიის ცნებაც, მაგრამ იგი თავისებურად გაუგიათ ალ. ქუთათელაძეს და მის თანამოსაგრეთ. ამ მხრივ საინტერესოა სიტყვა „ოთხახმის“ ისტორია. რუსთაველი მხოლოდ ერთგან ხმარობს პოეტურ გამოთქმას — „ოთხ-ახმით“: „ავთანდილ იგი მინდორი ოთხ-ახმით გარდაიარა“. „ოთხ-ახმით“ გრამატიკულად ზმნიზედაა და სიტყვასიტყვით ოთხის აღებას ნიშნავს. ე. ი. ჩვენს გმირს ისე გადაუვლია მინდორი, რომ მის ცხენს არც ერთი ფეხი არ დაუკარებია მიწაზე. „ვეფხისტყაოსანში“ ყოველ ნაბიჯზე გვხვდება ცხენთა ჭენება, ნავარდი, ქროლა, მაგრამ პოეტი აღარსად იმეორებს ამ გამოთქმას. ხაქმე ის არის, რომ ეს არ არის მზა სიტყვა, იგი იმწამიერად შექმნილი პოეტური ფიგურაა. 800 წლის შემდეგ ჩვენს დიდ მწერალს კონსტანტინე გამსახურდიას მოეწონა რუსთველისეული სიტყვა და „ჩორთის“ მაგიერ გამოიყენა. მწერალს აქვს ამის უფლება. თუმცა ენობრივად სიტყვის „ახმა“ (ალება) გადმოღება „ახმი“ ფორმით ისევე არ შეიძლება როგორც, ვთქვათ, სიტყვის „კერვა“ ასე: „კერვი“.

ალ. ქუთათელაძის თანამოაზრეებმა შემდეგ თავისებურად „გაუსწორეს“ მწერალს და რახან „ჩორთისთვის“ უკვე „მერანი“ ჰქონდათ გამონახული, „ოთხახმით“ „ნავარდი“, „ოთხი“ აღნიშნეს.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც ზემოთ მოგახსენეთ, თვალის გადასავლებად გთავაზობთ (უცვლელად) ციტატას ალ. ქუთათელაძის სტატიიდან: „როგორც ვხედავთ, მეცხენეობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქართველ ხალხს ძველთაგანვე ჩამოყალიბებული ჰქონდა ბუნებრივი ალურის აღმნიშვნელი ყველა ტერმინი (ნაბიჯი, მერნობა, თოხარიკობა, ოთხახმი და სხვა)“. თქმა არ უნდა, რომ ტერმინოლოგიური თვალსაზრისით ამ „მრავალსაუკუნოვანი ისტორიის“ ყველაზე მეტად ნაყოფიერ წლებად სწორედ ალ. ქუთათელაძის და მის თანამოაზრეთა მოღვაწეობის ხანა უნდა ჩავთვალოთ: 4 ალურიდან 2 ამ პერიოდში შექმნილი.

ალ. ქუთათელაძე წერს: „სტატიაში „ალური“ არის კიდევ ერთი უზუსტობა: რატომღაც პარალელური ალური ტერმინით „თოხარიკი“ აღინიშნება. თოხარიკი პარალელური ალურით მოსიარულე ცხენია, ხოლო თვით ალურს თოხარიკობა ეწოდება“. უნდა მოვახსენოთ პატივცემულ რეცენზენტს, რომ თანამედროვე ქართულში სიტყვა „თოხარიკი“ აღნიშნავს პირველ ყოვლისა ალურს და შემდეგ ამ ალურით მოსიარულე ცხენს (იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, გვ. 479). ალურის მნიშვნელობით ამ სიტყვას ხმარობენ ისეთი ბრწყინვალე მოქართულენი, როგორიც არიან ნიკო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე გამსახურდია, სერგო კლდიაშვილი და სხვ.

პარალელური ალურის აღმნიშვნელ ძირითად ტერმინად ჩვენ ვხმარობთ თოხარიკს, მის სინონიმად — აგრეთვე ქართულში ფრიად გავრცელებულ თურქული წარმომავლობის „იორღას“. უპირატესობას ჩვენ თოხარიკს ვაძლევთ, მაგრამ სათანადო კონტექსტში „იორღის“ ხმარებაც არ მიგვაჩნია რაიმე შეცოდებად. წარმომავლობის გამო სიტყვის დაწუნების გზა მეტად საეჭვმანო გზაა.

2. ცნობილია, რომ „ძროხა“ — „ზროხა“ ძველს ქართულში „ფურისა“ და „ხარის“ აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი იყო. შემდეგ თანდათანობით იგი „ფურის“ სინონიმად იქცა. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში „ძროხას“ აღარ აქვს ადრინდელი ზოგადი მნიშვნელობა. რატომღაც ალ. ქუთათელაძე ფიქრობს, რომ XIX საუკუნეში „ძროხა“ ისევ ზოგად ტერმინად რჩებოდა. უნდა მოვახსენოთ პატივცემულ მკვლევარს, რომ მის მიერ დასახელებული მწერლები „ძროხას“ როგორც წესი, „ფურის“ მნიშვნელობით ხმარობენ. აი მაგალითები: „შვილებს საკუთარი რძითა ზრდის ძროხა“ (ი. გოგებაშვილი, მოთხრობები, 128,9); „ძროხამ იწველა, იწველა, ბოლოს ჰკრა წიხლი და სულ დაღვარა“ (ი. გოგებაშვილი, დედა-ენა, II, 31,2); „ლეილას და ეთერს მოუწველიათ ძროხები“ (შ. არაგვისპირელი, რჩ. ნაწ. 53,22).

მეტის თქმაც შეიძლება. „ძროხის“ ზოგადობის შეგნება იმდენად წაშლილა, რომ როცა სურთ სრულად ჩამოთვალონ პირუტყვი, ძროხის გვერდით იმავე წინადადებაში ხარის ხსენებაც მიაჩნიათ საჭიროდ. ყური დაუგდეთ დედა ენის ავტორს:

„ცხენები, კამეჩები, ხარები, ძროხები და ცხვრები სიცივისა და სიმშილისაგან დაიხოცებოდნენ, ზამთარში რომ გარეთ სცხოვრობდნენ“. (ბუნების კარი, 222,21)

მ. რჩეულიშვილი, ა. ჯანაშვილი,
ლ. ბოლქვაძე

ერთი ავტორის უსაფუძვლო
შენიშვნების გამო

„ხარისა და ძროხის ყოლა გახშირებულია, ცხვარს კი ცოტას ინახავენ". (იქვე, 454,10)

ვაჟა წერს ლექსად:

„სათემოდ გამოირეკეთ
ცხვარი, ძროხა და ხარები"
(ტომი III, 82, 13)

და პროზად:

„ერთხელ ერთს სოფელში გაჩნდა დათვი, გაატიალა სიმინდები, გაზიდა ხარები, ცხვარი, ძროხა". (ტომი V).

ე. გაბაშვილი წერს: „...ათი ძროხა და ხარი დაიკლა"; რ. ერისთავი· „ულელი ხარი კარზედ მყავს, ძროხა და ერთი ფურ-ზაქი..." (ტომი I, 123,23).

კიდევ ბევრი ასეთი მაგალითის ამოწერა შეიძლებოდა. ისეთი მაგალითი კი, რომ აშკარად ჩანდეს „ძროხის" ზოგადი გაგება, ჩვენ ახალ სალიტერატურო ქართულში არ გვეგულება. ვთქვათ ასეთი ფრაზა: „მწყემსმა ძროხის ნახირი ორად გაყო: ხარები თავად დაიტოვა, ფურები კი ბიჭს გაატანა".

ასეთია მდგომარეობა. ზოგადი მნიშვნელობა ძროხას დიდი ხანია დაკარგული აქვს. რა თქმა უნდა, ამას თავისი ყოფით-ეკონომიკური მიზეზიც ედო საფუძვლად.

ივ. ჯავახიშვილი ბრძანებს: „მესაქონლეობის მეურნეობაში მთავარი მნიშვნელობა სწორედ მეწველ საქონელს ჰქონდა და ძროხაც უმეტესად დედალ საქონელს წარმოადგენდა, ამდენად ბუნებრივია, რომ შემდგომში ამ ზოგად სახელს დედალი პირუტყვის მნიშვნელობა მიჰკუთვნებია" („ქართველურ და კავკასიურ ენათა თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა", გვ. 219).

იქნებ ერწმუნოს დიდ მეცნიერს ჩვენი რეცენზენტი და დაიჯეროს, რომ ყველაფერი ბუნებრივად მოხდა, არავის შეცდომით არაფერი გადაუგდია და არც არაფერი შეუცვლია.

სხვა საქმეა, რომ უკეთესი იქნებოდა, „ძროხა" ზოგადი ცნების გამომხატველ სიტყვად დარჩენილიყო. მაგრამ რაკი ეს არ მოხდა, ვფიქრობთ, ხელოვნურად ენობრივი სიტუაციის აღდგენა არ მოხერხდება. კიდევ ვიმეორებთ, ენციკლოპედიას არ ძალუძს დაკარგული ტერმინის (თუნდაც მნიშვნელოვანის) გაცოცხლება.

სხვათა შორის, რუსებსაც ჰქონდათ ზოგადი ცნების აღმნიშვნელი სიტყვა корова-სა და бык-ისათვის — говядо, მაგრამ ვერ შეინარჩუნა მეტყველებამ (შემორჩა говядина-ში), მკვდარი სიტყვის გაცოცხლებას მეცნიერებმა აღწერილობითი крупный рогатый скот არჩიეს, თუმცა მათთვის უფრო ადვილი იყო არქაული ტერმინის გამოყენება. ქართულ „ძროხას" თუ მნიშვნელობა შეცვლილი ჰქონდა და ამ ახალი შინაარსით ძალზე ხშირად ხმარებული სიტყვა იყო, говядо სავსებით უქმად ირიცხებოდა ლექსიკონებში.

ამ ვითარებამ მიიყვანა სათანადო სამეცნიერო საბჭო „მსხვილფეხა რქოსან საქონლამდე" და არა იმან, რომ საბას ქართულ ლექსიკონს არ ვიცნობთ, როგორც ალ. ქუთათელაძე ფიქრობს. დარგობრივი სიტყვანების შედგენის ეტაპზე ჩვენ ანგარიში გავუწიეთ სალექსიკონო ტრადიციას და სოფლის მეურნეობის დარგობრივ სიტყვანში შევიტანეთ „ძროხა" „მსხვილი რქოსანი საქონლის" მნიშვნელობით, მაგრამ საბოლოოდ დარგობრივმა სამეცნიერო საბჭომ უარი თქვა მასზე და თავისი არჩევანი „მსხვილ რქოსან საქონელზე" შეაჩერა.

აქვე უნდა ითქვას, რომ არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში (სტატისტიკური სამმართველოს ცნობები, პარტიული და საბჭოთა ორგანოთა დადგენილებანი) მსხვილფეხა რქოსანი საქონელი არ იხსენიება როგორც ძროხა.

ალ. ქუთათელაძეს შეცდომად მიაჩნია თხის ან აქლემის ბეწვის მიმართ „მატყლის" ხმარება. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი გვეუბნება მატყლი ზოგიერთი ცხოველის (უპირატესად ცხვრის) ბეწვიაო და ჩამოთვლის: ცხვრის მატყლი, აქლემის მატყლი.

4. რეცენზენტი გვიკრძალავს „ვირის" სინონიმად „სახედრის" ხმარებას, ტერმინით „სახედარი" ცხენის, ვირის, ჯორის გამოყენების ერთ-ერთი ხერხი აღინიშნებოდა ყოველთვის". აქაც ჩვენი არქაისტი ტერმინოლოგი დროისა და სივრცის გარეშე მსჯელობს. განმ. ლექსიკონი განმარტავს: „სახედარი 1. იგივეა, რაც ვირი". იქვე მოყვანილია სათანადო მაგალითები ვაჟას, ი. გოგებაშვილის, ი. გრიშაშვილის ნაწერებიდან. არა გვგონია რომელიმე მათგანს ქართული დაეწუნებოდეს. მინიშნებით „ძვ. (ძველი) ლექსიკონში მოცემულია მე-2 მნიშვნელობაც: „საჯდომი პირუტყვის (ცხენი, ჯორი, ვირი) ზოგადი სახელწოდება".

5. ასევე შეცდომად გვითვლის დედალი ცხენის მნიშვნელობით „ფაშატის" ხმარებას. თურმე ფაშატი მხოლოდ დედალ კვიცს ჰქვია, „ხოლო დედალ ცხენს ყოველთვის ჭაკი ეწოდებოდაო". ჩვენ ვერც ერთ ლექსიკონში ვერ დავადასტურეთ რეცენზენტის კატეგორიული მტკიცება. გამოგიტყდებით, საილუსტრაციო მასალის კარტოთეკებშიაც ბევრი ვეძიეთ (რაღაც საფუძველი ხომ უნდა ჰქონოდა რეცენზენტის შენიშვნას) და ბოლოს ისევ საბას ქართულ ლექსიკონს მივადექით. ღმერთმა დაგვიფაროს საბას დაუფასებლობისაგან, მაგრამ საქმე მე-18 საუკუნის დასაწყისში ამომწყდარ ცხოველს ხომ არ ეხება! მას შემდეგ აგერ მესამე საუკუნეა ქართველ კაცს ჭირსა და ლხინში ერთგულად ემსახურებოდა ცხენი. როგორც მოგახსენეთ, „ფაშატი" და „ჭაკი" სრული სინონიმებია ყველა არსებული ტერმინოლოგიური თუ ლიტერატურული მასალის მიხედვით.

6. ბატკანძერს, ორბსა და სვავს თავ-თავისი ადგილი უკავიათ ფრინველთა სამყაროში. ისი-

ნი ურთიერთისაგან ისევე განსხვავდებიან, როგორც ხოხობი კაკბისაგან და ეს უკანასკნელი გნოლისაგან. ჩვენი რეცენზენტი ცდილობს დაარწმუნოს ქართველი ორნითოლოგები, რომ ბატკანძერის (ბატკანიჭამიას, კრავიჭამიას) ნამდვილი სახელია „ორბი". ძალზე რთული ამოცანა დაუსახავს მიზნად ჩვენს რეფორმატორ რეცენზენტს. ყველა არსებული ტერმინოლოგიური ლექსიკონი, სახელმძღვანელო თუ ორნითოლოგთა სამეცნიერო ნაშრომი ორბს უწოდებს — Gyps fulvus, ხოლო ბატკანძერს — Gupaëtus barbatus.

რაც შეეხება თვით ტერმინის ისტორიას, იგი ასეთია. „ბატკანიჭამია" პირველად იხმარა თავის „საქართველოს ხერხემლიანთა ნომენკლატურაში" ცნობილმა ქართველმა ორნითოლოგმა ივანე ჩხიკვიშვილმა 1926 წელს. შემდეგ მის პარალელურად გაჩნდა „კრავიჭამია". 1967 წელს გამოქვეყნებულ დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებში აღმოჩნდა ტერმინი „ბატკანძერი" მისი რუსული შესატყვისით — „იაგნატნიკ" და ამ ფრინველის მოკლე აღწერილობით. ამის შედეგად ზოოლოგიური ნომენკლატურის საერთაშორისო კოდექსის თანახმად, სათანადო პრიორიტეტის წესის დაცვით ძირითად ტერმინად აღიარებულ იქნა „ბატკანძერი", ხოლო „კრავიჭამია" და „ბატკანიჭამია" დარჩა სინონიმებად.

7. „ბარისა" და „გავაზის" სინონიმებად დასახელება ა. ქუთათელაძეს აშკარად შეცდომად მიაჩნია. ყველა თანამედროვე ქართულ ნომენკლატურულ ტერმინოლოგიაში ბარი და გავაზი შეესატყვისება რუსულ балобан-ს, ასევეა სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგიაშიც, რომლის შედგენაშიაც გარკვეულ მონაწილეობას იღებდა პატივცემული რეცენზენტიც.

8. დოც. ა. ქუთათელაძე გვიწუნებს ტერმინს „აღკაზმულობა" (ცხენისა) და ერთადერთ მართებულ ფორმად „აკაზმულობას" მიიჩნევს. განმარტებითიცა და ორთოგრაფიული ლექსიკონიც ორივე ფორმას კანონიერად აღიარებს.

9. რეცენზენტი წერს: „ტერმინი „ბოსელი" არ არის ტერმინების „გომისა" და „გომურის" სინონიმი". განმარტ. ლექსიკონი გვამცნობს: „ბოსელი — მსხვილფეხა რქოსანი საქონლის საზამთრო სადგომი (სინონ. გომი, გომური: თუშ. ბაშტე...)"

ამასთან ვაცნობებთ ალ. ქუთათელაძეს, რომ სტატია „ბოსელი" არსებითად ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი ინფორმაციას აწვდის მკითხველს და ჩვენ სხვა ამოცანას არც ვისახავდით. თანამედროვე ტიპის კაპიტალური სადგომი სასოფლო-სამეურნეო ცხოველისათვის გაშუქებული იქნება სტატიებში: „ხაძროხე", „ხალორე" და ა. შ.

10. ჩვენი რეცენზენტი გვარწმუნებს „წვრთნასა" და „წაფვას" შორის განსხვავება დიდიაო და ცდილობს თავისებურად განმარტოს ეს ორი სიტყვა, მაგრამ ჩვენ ვერ ვირწმუნებთ ავტორის მტკიცებას. ყველა ქართული ლექსიკონი ერთხმად „წვრთნასა" და „წაფვას" სინონიმებად მიიჩნევს.

11. რეცენზენტს მოსწონს მართლაცდა მშვენიერი, მითოლოგიური პოეზიის შუქით შეფერილი სიტყვა „წმინდასაწმისიანი". იგი ჩვენც შევიტანეთ სიტყვანში, მაგრამ სტატიებში ძნელი გამოსაყენებელი აღმოჩნდა. ასე გამოდიოდა: პირველ ფრაზაში ვახსენებდით ამ კარგ სიტყვას, შემდეგ კი იძულებული ვიყავით გადავსულიყავით „მატყლზე",. ვთქვათ, „საწმისის ნაპარსის წონა" ან „საწმისის სიგრძე" არ იხმარება. თვით ალ. ქუთათელაძეც კი ასეთ შემთხვევებში წერს: „მატყლის ნაპარსი" და „მატყლის სიგრძე".

სამეცნიერო საბჭომ გაითვალისწინა ეს უხერხულობა და გაერთგვაროვნების მიზნით შესაწყნარებლად მიიჩნია „წმინდამატყლიანი", „უხეშმატყლიანი" და ა. შ.

12. რეცენზენტი გვიკრძალავს ტერმინების „საქონელი", „მესაქონლეობა" და მათგან ნაწარმოები სიტყვების ხმარებას. „მსხვილი რქოსანი (თუ რქიანი) მესაქონლეობის" მაგიერ მოითხოვს „მეძროხეობას", მაგრამ იმას აღარ გვასწავლის, რა ვუყოთ წვრილ რქოსან (თუ რქიან) მესაქონლეობას. სხვათა შორის, ორივე ეს ტერმინი, როგორც მეცხოველეობის დარგების სახელწოდება მოხსენებულია სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგიის წინასიტყვაობაში. იმაზე აღარას ვამბობთ, რომ ყველა ოფიციალურ დოკუმენტში, პრესაში, რადიოსა თუ ტელევიზიაში მხოლოდ „საქონლიდან" ნაწარმოები ფორმები იხმარება. ჩვენს გამოცემაში, „მსხვილი რქოსანი მესაქონლეობის" პარალელურად, როცა საუბარი მეცხოველეობის კონკრეტულ დარგებს შეეხება, ნახმარი იქნება ტერმინი „მეძროხეობა", ისევე როგორც მეკამეჩეობა, მეცხვარეობა, მეთხეობა, მეღორეობა და ა. შ. „ძროხის" ზოგადი მნიშვნელობა თავს იჩენს აგრეთვე ტაქსონომიურ ტერმინში „ძროხისებრნი" — Bovinae (შ დრ. რუს. быковые).

14. რეცენზენტი სავსებით სამართლიანად გვისაყვედურებს, რომ ქსე-ის I ტომში ერთმანეთშია არეული ძროხის ჯიშების ძველი და ახალი სახელწოდებანი. მართლაც, ასტრახანული ჯიშის ძროხა დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მესამე გამოცემაში იხსენიება როგორც ყალმუხური. ერთი და იგივეა ყირგიზული და ყაზახური ძროხა, ჩვენ კი სამწუხაროდ, ორ სხვადასხვა ჯიშად მიგვიჩნევია ჩამოთვლაში.

15. სამართლიანია რეცენზენტის რამდენიმე

მ. რჩეულიშვილი, ა. ჯანაშვილი,
ლ. ბოლქვაძე

ერთი ავტორის უსაფუძვლო
შენიშვნების გამო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტილისტური შენიშვნა. სტატიაში „ანგორული თხა“ ვკითხულობთ: „რქები აქვთ ვაცებსაც და ნეზვებსაც“. უნდა ეწეროს: „რქები აქვს ვაცსაც და ნეზვსაც“.

სტატია „ბეკონში“ გვაქვს „... ამზადებენ საგანგებოდ გასუქებული ღორების ნაკლავისაგან“, უმჯობესია: „ღორის ნაკლავისაგან“.

სტატიაში „ბარი“ ასევე გაგვპარვია უხეირო ქართული: „ბ-წვრთნიან ფრინველებზე, კურდღლებსა და ქურციკებზე სანადიროდ“. უნდა იყოს: „ფრინველზე, კურდღელსა და ქურციკზე“.

სტატიაში „აკანთოცეფალოზი“ გვიწერია: „ავადმყოფი ღორებიდან 30%-ზე მეტი იღუპება“. ა. ქუთათელაძე შენიშნავს. „ამ წინადადებაში ტერმინი „ღორის“ ხმარება მრავლობით რიცხვში სწორი არ არის ...ამახინჯებს წმინდა ქართულს“. აქ კი ღალატობს რეცენზენტს სტილისტური ალღო: „ავადმყოფი ღორიდან 30%-ზე მეტი იღუპება“ — საერთოდ გაუგებარია.

ასევე უცვლელად დავტოვებთ სიტყვა „ყალმუხურს“ როგორც ერთადერთ სწორ ფორმას. ვერც ახალი ნიჩბისის საბჭოთა მეურნეობას შევუცვლით სახელწოდებას, ვიდრე ამას სათანადო სამინისტრო არ მიიჩნევს საჭიროდ. ასეთი რწმუნებანი ჩვენთვის არავის მოუცია.

ქსე-ის რედაქციას სპეციალისტი თუ არა. სპეციალისტი მკითხველის არა ერთი და ორი მოსაზრება გაუთვალისწინებია თავის მუშაობაში და იგი კვლავაც მადლობით მიიღებს ენციკლოპედიის, ქართველი ხალხის ამ მეტად მნიშვნელოვანი კულტურული ძეგლის, მეგობართა თითოეულ შენიშვნას, მაგრამ სრული გულახდილობით უნდა მოვახსენოთ მკითხველ საზოგადოებას, რომ ჩვენ არც რაიმე უფლება და არც სურვილი გვაქვს დავთმოთ სამეცნიერო თუ მეთოდური პოზიციები იქ, სადაც ჩვენი თვალსაზრისი ემთხვევა თანამედროვე მოწინავე ქართული მეცნიერების თვალსაზრისსა და ტენდენციებს.

მ. რჩეულიშვილი,
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ქსე-ის მეცხოველეობის სექციის თავმჯდომარე;

ა. ჯანაშვილი,
პროფესორი, ქსე-ის ზოოლოგიის სექციის თავმჯდომარე;

ლ. გოლჭვაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ქსე-ის სამეცნიერო კონტროლის რედაქციის გამგე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვენორი ქვაჩახია

რატომ ვერ იტანენ კრიტიკას?

ეს წერილი დიდი ხანია დაწერილია. ასე დაგვიანებით რომ მიმაქვს „ცისკრის“ რედაქციაში, ამის მიზეზის შესახებაც თუ არ ითქვა წინასწარ ორიოდე სიტყვა, ისე საქმის ვითარებაში გარკვევა გაუჭირდება მკითხველს.

„ცისკრის“ 1978 წ. № 4-ში მწერალი რევაზ ჯაფარიძე „მნათობის“ მიმოხილვის დროს შემდეგსაც წერს: „პროფ. გურამ თევზაძის არსებითი ხასიათის პასუხი ვენორ ქვაჩახიას განმაქიქებელ კრიტიკაზე“... მე განმიქიქებია თევზაძის ნაშრომი და მას საკადრისი პასუხი გაუცია. სამწუხაროდ, პატივცემული რევაზ ჯაფარიძე არ არის სწორი. ამას კი შეუძლია მკითხველი შეცდომაში შეიყვანოს.

გ. თევზაძის „არსებითი პასუხი“ „მნათობის“ 1977 წ. № 1-ში დაიბეჭდა. ამ პასუხის შესახებ მე არსად არაფერი გამომიქვეყნებია. შესაძლოა ამანაც შეიყვანა შეცდომაში პატივცემული რევაზი, — ალბათ, სწორია პასუხი და სათქმელი რაღა აქვსო. საქმის ვითარება ასე არ არის. სანამ თვითონ საქმის არსის გარკვევაზე გადავალ, ორიოდე სიტყვით უნდა მოვიგონო ამ საქმის, ასე ვთქვათ, ისტორია.

ჩემი რეცენზია „მნათობმა“ დაბეჭდა 1976 წ. № 10-ში. ამას კი აი რა მოჰყვა. მკითხველის ნებართვით მოვიყვან ადგილს წერილიდან, რომელიც გავუგზავნე ჟურნალის რედაქტორს: „ღრმად პატივცემულო რედაქტორო, ბატონო გიორგი! ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ პროფ. გ. თევზაძეს სრულიად შეუფერებელი საქციელი უკადრებია: 17 ნოემბერს მას თსუ ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის საბჭოზე საკითხი დაუსვამს — ქვაჩახიამ გამაკრიტიკა და პასუხის გაცემის დადგენილება გამოიტანეთო. ჟურნალის ნომერი ესესაა გამოვიდა, საბჭოს წევრთაგან ჯერ არავის ჰქონია წაკითხული, მით უფრო მათ არ ჰქონდათ გ. თევზაძის პასუხი. ბუნებრივი გაკვირვების შემდეგ უკითხავთ — თუ მიმართეთ რედაქციას? გ. თევზაძეს უპასუხია — სამჯერ მივმართე და უარი მითხრესო. მეორე დღესვე, როგორც კი ეს ჩემთვის ცნობილი გახდა, მივმართე საბჭოს თავმჯდომარეს, მოვითხოვე მისგან, რედაქციაში გაეგო იყო თუ არა ეს მართალი. ცოტა ხნის შემდეგ გ. თევზაძემ საბჭოს თავმჯდომარეს, საბჭოს ორი წევრის დასწრებით განუცხადა, რომ წინა დღეს მან საბჭოს არასწორი განცხადება გაუკეთა, რომ მას რედაქციისთვის პასუხი არ მიუტანია...

...მინდა ერთი სათხოვარი გაგიბედოთ — თუ შესაძლებელი იქნება, დაბეჭდოთ გ. თევზაძის პასუხი. ამ ჩემი სურვილის განხორციელებას, გაძლევთ პატიოსან სიტყვას, ჩემგან არ მოყვება თხოვნა პასუხის პასუხის დაბეჭდვის შესახებ: ამ მხრივ უხერხულობას აგაცდენთ“...

ამის შემდეგ მოხდა ისე, რომ გ. თევზაძის პასუხი დაიბეჭდა. მე მისთვის პასუხის გაცემის საშუალება დღემდე არ მქონია. ახლა კი შევეცდები გავარკვიო მკითხველი, თუ რაშია საქმე.

რატომ ვერ იტანენ კრიტიკას? ჩვენი ბევრისგან გვსმენია იმის შესახებ, რომ ვერა და ვერ იქნა, ვერც კრიტიკა დადგა სათანადო დონეზე და ვერც კრიტიკისადმი დამოკიდებულება. ამჟამად ამ ერთი მაგალითის მიხედვით ვიმსჯელოთ.

პროფ. გ. თევზაძემ ჩემს შენიშვნებს უკიდურესად გაღიზიანებულმა უპასუხა, მე რომ შეურაცხმყოფელი არაფერი მიკადრებია მისთვის. მკითხველს მოვაგონებ ჩემი რეცენზიის დასკვნით ფრაზას: „ავტორს ალბათ კიდევ ბევრი შრომა დასჭირდება, რათა მისი ნაშრომი კანტის შესახებ გაუთანაბრდეს კანტზე შექმნილ საუკეთესო ნაშრომთა დონეს“. რატომ არის ეს წიგნის განქიქება? ან იქნებ რეცენზიაში სადმე ამ დასკვნის შეუსაბამო მიწერია? არა! იქნებ გ. თევზაძე ელოლიავებოდა აზრს — კანტზე საუკეთესო ნაშრომის ავტორი ვარო? იქნებ ეს ასე რომ არ აღმოჩნდა — რაც მტკიცდებოდა ჩემს რეცენზიაში, ამიტომაც სრულიად გაუფასურდა მისი წიგნი? ეტყობა, ზედმეტი ილუზიიდან კონტრასტული დასკვნა გამოუტანია ავტორს. მაგრამ თუ მას ჰქონდა ასეთი ილუზია საკუთარ ნაშრომზე, ხომ მით

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო მწვავედ უნდა დავსვათ საკითხი ამ ნაშრომის წინმორბედ მეცნიერთა ნაშრომებთან დამოკიდებულების შესახებ?!

ჩემი შენიშვნების ძირითადი შინაარსი, როგორც მკითხველმა იცის, მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულება იყო. სწორედ ამ ძირითადის გარკვევისთვის დამჭირდა სხვა საკითხებზე, მაგალითად, ინტერპრეტაციის საკითხზე მსჯელობა. რა გვიპასუხა გ. თევზაძემ: პირდაპირ უნდა ვთქვა, მეგონა, რომ გ. თევზაძე ჩემს რეცენზიაზე პასუხს არ დაწერდა. წიგნის განხილვისას მას არაფერი აღმოაჩნდა საპასუხო, ამიტომაც მჯეროდა ასე. და თუ ის მაინც დაწერდა პასუხს, არამც და არამც არ მქონდა წარმოდგენილი, რომ ასე დაუსაბუთებელი იქნებოდა მისი პასუხი.

ჩემი უმთავრესი საყვედური ის იყო, რომ გ. თევზაძემ არ თუ სათანადოდ არ შეაფასა, არამედ ლიტერატურის სიაშიც კი არ მოიხსენია შ. ნუცუბიძის, ს. დანელიას, კ. მეგრელიძის ნაშრომები, რომ სხვა ავტორები (კ. ბაქრაძე, მ. გოგიბერიძე, ს. წერეთელი) თუმც მოიხსენია, არსებითად უმნიშვნელოდ და ა. შ. რას მპასუხობს გ. თევზაძე? „მე მგონი, სპეციალისტს ადვილად უნდა დაენახა, მთითებული ადგილების გარდა აკად. კ. ბაქრაძის გამოკვლევების გავლენა გვ. 281, 231, და სხვ., პროფ. მ. გოგიბერძის გავლენა იქ, სადაც კანტის პოზიტიურ დიალექტიკაზეა ლაპარაკი, ანდა „იდეალიზმის უარყოფაზე", პროფ. ს. დანელიასი, სადაც ჰიუმის შეფასებაზეა ლაპარაკი. აკად. შ. ნუცუბიძესი ე. ლასკის შეფასებისას (გვ. 441-442), ს. წერეთლისა — თითქმის ყველგან, სადაც საკითხი კანტის კატეგოროგოგიას ან ჰეგელს ეხება".

ეს არის პასუხი? ეს ხომ აღიარებაა იმ უმთავრესი საყვედურისა რაც მე გამოვთქვი?! ნუთუ გ. თევზაძე ვერ ატყობს, რომ ამ აღიარების შემდეგ მისი პასუხი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, სრულიად გაუფასურებულია?!

გ. თევზაძე წერს: „არც ერთ ობიექტურ ადამიანს არა აქვს საბაბი ეჭვით შეხედოს ჩემს დამოკიდებულებას მასწავლებლებისადმი. ვფიქრობ, შეძლებისდაგვარად, ყველაფერს ვაკეთებ მათი თეორიების პოპულარიზაციისთვის და მათი მემკვიდრეობის დაცვისთვის (რასაც ვერ ვიტყვით ჩემს რეცენზენტზე)".

ისეთ დამოკიდებულებას, როგორიც გამოვლინდა გ. თევზაძის მხრიდან, რა თქმა უნდა, ჩემზე ვერავინ იტყვის! რაც შეეხება მასწავლებლების მიმართ უანგარო თავდადებას მათთვის მძიმე პერიოდებში, ამისი მოწმეები, მადლობა ღმერთს, ცოტანი როდი არიან სხვათა შორის, თვითონაც კარგად იცის...

გ. თევზაძე წიგნის მიხედვით დაკვირვებულ მკითხველს ანდობდა თვითვე გაერკვია, თუ ვისგან რა აუღია მას. პასუხში იგი სპეციალისტებს მიმართავს. გაუგონარია ფილოსოფიისა — ულოგიკობა. „ნაშრომი გათვალისწინებულია როგორც სპეციალისტების, ისე ფილოსოფიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის", — ვკითხულობთ ნაშრომის პირველ. სავე გვერდზე, სტუდენტებისთვისო, ვკითხულობთ მეშვიდე გვერდზე. ამ „ფართო წრეებმა" და სტუდენტებმა სპეციალისტებთან იარონ, გაგვაგებინეთ, სად რა უწერია გ. თევზაძესო? გ. თევზაძემ მე არ მიმიჩნია სპეციალისტად, ალბათ სხვებიც, ვინც ჩემი რანგისაა. სპეციალისტები მხოლოდ ისინი ყოფილან, ვინც კანტზე და მხოლოდ კანტზე მუშაობენ. საინტერესოა რამდენია ასეთი, რამდენი კაცისთვის დაწერა წიგნი გ. თევზაძემ? იქნებ ამ სპეციალისტების გვარებიც გვითხრას ჩვენ, არასპეციალისტებს, „ფართო წრეებში" მოქცეულთ, რომ გარკვევისთვის მათ მივმართოთ. გ. თევზაძე ამ სპეციალისტებზე დიდ იმედს ამყარებს. იგი წერს: წიგნის განხილვისას სპეციალისტებმა კარგი შეფასება მისცესო წიგნს. რომელი და რამდენი იყო იმ გამოსულებში გ. თევზაძის ნომენკლატურის შესაბამისი სპეციალისტი, ე. ი. ისინი, ვინც კანტზე მუშაობს? თითქმის არავინ! გ. თევზაძე არც აქ ღალატობს თავის ლოგიკას — როცა მას ხელს აძლევს, ყველას სპეციალისტად მიიჩნევს და მათს აზრს საყურადღებოდ გვიცხადებს, როცა ხელს არ აძლევს, არავინ არაა სპეციალისტი...

რადგან სპეციალისტებზე აპელირებას ასე ხშირად მიმართავს გ. თევზაძე, აბა, ერთი გავყვეთ ამას. ცნობილი ფაქტია, კანტი თეორიულ ფილოსოფიაში ფართოდ იყენებს ლოგიკას. ამიტომ ლოგიკის ცოდნის გარეშე ძნელიცაა კანტის ნააზრევში გარკვევა, მით უფრო მისი სწორი ანალიზი. გ. თევზაძე არაა ლოგიკის სპეციალისტი. კანტის მეორე უმთავრესი ნაშრომი — „პრაქტიკული გონების კრიტიკა" კანტის ეთიკაა. გ. თევზაძე არ არის ეთიკის სპეციალისტი: კანტის მესამე უმთავრესი ნაშრომი — „მსჯელობს უნარის კრიტიკა" კანტის ესთეტიკაა. გ. თევზაძე არ არის ესთეტიკის სპეციალისტი. არცერთ ამ სფეროში მას შრომები არა აქვს. ასეთ პირობებში რა ვთქვათ სპეციალისტობაზე? იქნებ კიდევ გავაგრძელოთ? ის, ვინც ამ სფეროებში სპეციალურ შრომების ავტორია, ამასთან კანტის ნააზრევის გათვალისწინებითაა ეს ნაშრომები დაწერილი, მივიჩნიოთ თუ არა სპეციალისტად? ვინ მოხვდება, ნეტავ, გ. თევზაძის ნომენკლატურაში სპეციალისტებისა?

გ. თევზაძე იმასაც წერს, რომ სხვა ნაშრომის დაწერის დროსაც იყენებდა შ. ნუცუბიძის, ა. დანელიას, კ. ბაქრაძის შენიშვნებსა და შეხედულებებს. („მნათობი", 1977, № 1, გვ. 191). ძალზე საინტერესო ლოგიკაა — ამიტომ არ მოი-

ხსენია მათი ნაშრომები? თუ პირიქით, კიდევ უფრო მეტად ყოფილა მათგან დავალებული?!

მოკლედ უნდა შევჩერდე გ. თევზაძის ზოგიერთ სხვა პასუხზეც.

ღირებულების პრობლემა ამჟამად მეტად აქტუალურია, ამ კუთხით შეიძლებოდა კანტის ნააზრევის გადმოცემა, ანალიზი, შეფასება, ინტერპრეტაცია, ვამტკიცებდი მე. გ. თევზაძე წერს: „ღირებულების პრობლემასთან კავშირში რეცენზენტს აუცილებლად მიაჩნია ნეოკანტინელთა თეორიის შეფასება"... ...„რეცენზენტს უნდა შევახსენოთ, რომ აქსიოლოგია უკვე 40 წელია გამოეყო ნეოკანტინელობას და ნეოკანტინელობა როგორც დამოუკიდებელი ფილოსოფიური მიმდინარეობა დღეს აღარ არსებობს" (გვ. 189). ჯერ ერთი, ნეოკანტინელთა თეორიის შეფასება მე არსად არ მიწერია. მეორე, როცა მე ვწერ, ნეოკანტინელთა ღირებულების თეორიას უპირისპირდება ამჟამად მარქსისტული გაგება ღირებულებისაო, ნუთუ არ ყოფილა ცნობილი ჩემთვის, აქსიოლოგია რომ არ არის დარჩენილი ნეოკანტინელობის ფარგლებში? რას ნიშნავს, რომ ნეოკანტინელობა... აღარ არსებობს? რისი თქმა უნდა ავტორს?

არაცნობიერის პრობლემასთან დაკავშირებით გ. თევზაძე ასახელებს რამდენიმე ნაშრომს და მიმითითებს, არც ამ ნაშრომებშიაო არაცნობიერის შესახებ სპეციალური მსჯელობა. არსად არ ყოფილა, გ. თევზაძის წიგნში კი ყოფილა და მე, თურმე, აქედან გამიგია არაცნობიერის მნიშვნელობის შესახებ „კანტის თეორიული ფილოსოფიის ბირთვში", არაცნობიერის „არსებითი მნიშვნელობა გერმანული კლასიკური ფილოსოფიის განვითარებაში", (გვ. 120). ეს რომ დაწერა გ. თევზაძემ, როგორ დაავიწყდა წინა გვერდზე დაწერილი: „ამ საკითხთაგან გადამწყვეტად კანტის განხილვის დროს ვერც ერთი ვერ ჩაითვლება" (გვ. 189). ან კიდევ: ამ პრობლემებს „კანტის კვლევაში არავითარი გადამწყვეტი უპირატესობა არ გააჩნიათ" (გვ. 191). მაშასადამე, არც არაცნობიერის პრობლემას. სწორია? თუ ეს სწორია, მაშინ, ამ არაცნობიერის გარეშე ბირთვი როგორღა გავიგოთ, მთელი გერმანული კლასიკური ფილოსოფიის არსება როგორღა გავიგოთ? თუ ერთია სწორი, მეორე არ შეიძლება, რადგან მისი საწინააღმდეგოა და პირიქით. უნდა მეთქვა: თუ ერთი დაწერა გ. თევზაძემ, მეორე არ უნდა დაეწერა, რადგან ეს სრული ულოგიკობაა.

ასევეა ემპირიული ცნობიერებისა და საზოგადოდ ცნობიერების დამოკიდებულების შესახებ. ასევეა ზოგადობის საკითხზე. გ. თევზაძე ყველგან ცვლის კამათის საგანს, სხვა თეზისს ასაბუთებს. იგი ოთხივე პრობლემის განხილვისას იმას ამტკიცებს, ამ საკითხებზე წიგნში არისო მსჯელობა. ყველა ამ საკითხზე რამე რომ არ ითქვას, ისე ხომ კანტზე წიგნი კი არა, სტატიაც არ დაიწერება! ამას ხომ არ უმტკიცებდნენ გ. თევზაძეს? უმტკიცებდნენ — ამ პრობლემის მიხედვით შეიძლებოდა კანტის ნააზრევის ინტერპრეტაცია, ნაშრომში კი ეს არ არისო. იგი ამტკიცებს, ამ საკითხებზეც არის ლაპარაკი. ნუთუ ძნელი გასაგებია ის, რომ რაიმეზე იყოს ლაპარაკი წიგნში, ეს არ ნიშნავს ამისი მიხედვით იყოს მოაზროვნე გაანალიზებული, ინტერპრეტირებული.

ესთეტიკური ზოგადობის საკითხზე ცალკე უნდა შევჩერდე, რადგან აქ სხვაგვარი პასუხიც გამცა გ. თევზაძემ — შენც არა გაქვსო მითითებული წინამორბედი მეცნიერების ნაშრომები (გვ. 190). უპირველეს ყოვლისა, აქაც ლოგიკას დავაკვირდეთ. მართლაც ხომ არა მაქვს მეც ისეთივე დამოკიდებულება მეცნიერულ მემკვიდრეობასთან, როგორშიც გ. თევზაძე აღმოჩნდა? ვიმეორებ, ეს ასეც რომ იყოს, განა აქედან გამომდინარეობს, რომ გ. თევზაძე მართალია? არა! მთავარი კი ისაა, რომ მე არ აღმოვჩნდი გ. თევზაძის მდგომარეობაში.

ა. ბოჭორიშვილის ნაშრომი, რომელიც თურმე მე უნდა დამემოწმებინა, გამოვიდა 1967 წელს. ესთეტიკური ზოგადობის პრობლემაზე მე სადოქტორო დისერტაცია წარვადგინე 1964 წელს (დავიცავი 1965 წელს), რომელშიც ვრცლად არის განხილული კანტის ესთეტიკური ნააზრევი, 1965 წელს გამოვიდა წიგნი, რომელშიც ასევე განვიხილე ეს ნააზრევი. თუ მითითებაზე მიდგება საქმე, უფრო სამართლიანი იქნებოდა, ალბათ, ჩემი ნაშრომი მიეთითებინათ მერე გამოსულ ნაშრომში. შემდეგ გამოსულ ნაშრომში მე რად დამჭირდებოდა ჩემივე ადრე გაკეთებულის ნაცვლად სხვაზე მიმეთითებინა?! ამასთან 1975 წელს გამოქვეყნებული „ესთეტიკური ზოგადობა" არის თსუ ესთეტიკის კათედრის თანამშრომლებთან 1972 წელს წაკითხული სამი ლექციის შემოკლებული ჩანაწერი. სხვათაშორის, ამანაც განსაზღვრა სქოლიოების მინიმალური რაოდენობა. ამ ლექციების წაკითხვა, შემდეგ ნაშრომის ასე კონდენსირებულად გამოქვეყნება იმის გამოც მოხდა, რომ ესთეტიკური ზოგადობა, როგორც მე ვუწოდებ — ღირებულებით — განწყობისეული ზოგადობა — ჩემი სამეცნიერო მუშაობის შედეგია. ამ ახალი ცნების შემოტანა და დასაბუთება იყო ძირითადი მიზანი ნაშრომისა, რომელშიც ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მომენიჭა. სხვა ავტორებს ამის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერი აქვთ ნათქვამი და, ბუნებრივია, არც შემეძლო მათი ნაშრომების დამოწმება.

თუ კადნიერებაში არ ჩამომერთმევა, აქვე დავუმატებ შემდეგსაც. ყველა ოთხი პრობლემა, რომლების მიხედვითაც კანტის შესაძლო ინტერპრეტაციაზე ვწერდი, მეტ-ნაკლებად გაანზრებული და გაანალიზებული მაქვს სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ ნაშრომებში. სწორედ ამიტომ ამოვარჩიე მე ეს პრობლემები, რადგან სწორედ ამ შემთხვევაში შემეძლო მემსჯელა როგორც სპეციალისტს.

გ. თევზაძე წერს: („მნათობი", 1977, № 1, გვ. 190) „საიდან მოიტანა რეცენზენტმა დებულება კანტის ფილოსოფიაში არაცნობიერების მნიშვნელობის შესახებ?... ჩემი წიგნიდან". 1974 წელს გამოქვეყნებული წიგნიდან როგორ უნდა გამეგო მე ის, რაც პრინციპული მნიშვნელობისა იყო ჩემთვის ყველა ზევით ჩამოთვლილი პრობლემის კვლევისას, რის შესახებ გამოქვეყნებული მაქვს (უფრო ადრინდელს რომ თავი დავანებოთ) 1969 წელს („სოციოლოგიური ნარკვევები"), 1970 წელს («Социология сознания—сфера исследования, основные проблемы и понятия»), 1971 г. (Социологические исследования) და სხვა. ფილოსოფიაში კანტის ტრანსცენდენტალური ცნობიერების, ჰეგელის „უბედური ცნობიერების", „სახალხო სულის", ნეოკანტინელების ღირებულების ცნებისა და მარქსის საზოგადოებრივი ცნობიერების კატეგორიის, ფსიქოლოგიაში ფროიდის არაცნობიერი ფსიქიკურის, უზნაძის განწყობის, სოციოლოგიაში დიურკჰეიმის კოლექტიური ცნობიერებისა და სხვათა ერთიანობაში ინტერდისციპლინარული მოაზრების ცდა, ჩემს მიერ განხორციელებული, იქნებ სხვისგან მაქვს აღებული? მე არ ჩამოვთვლი კონფერენციებს, როგორც გ. თევზაძემ გააკეთა. 10-12 წლის განმავლობაში კონფერენციებზეც, სიმპოზიუმებზეც, მსოფლიო კონგრესებზეც არაერთხელ მქონია საშუალება ამის შესახებ მომეხსენებია. ერთი დანამდვილებით ვიცი — ჰეგელის 250 წლისთავისადმი მიძღვნილ სესიაზე წაკითხული ჩემი მოხსენება და მისი გამოქვეყნებული თეზისები (1970) ხომ კარგად იცის გ. თევზაძემ?

გ. თევზაძე დაობს ინტერპრეტაციის კრიტერიუმის თაობაზე. ყველაფერს აქაც ვერ შევეხები. გამოვყოფ რამდენიმე მომენტს. გ. თევზაძე წერს: „მე არ მესმის რატომ მიაჩნია რეცენზენტს საპირისპირო შეხედულებათა (ინტერპრეტაციათა) ბრძოლა უმნიშვნელოდ ამა თუ იმ მოაზროვნის სწორი გაგებისათვის?" (გვ. 191) და რომ მე, თურმე, არასწორად „დამისვამს კითხვა" პირველი ინტერპრეტაციის შესახებ" (იქვე). არ მესმისო და რა უნდა ქნას კაცმა?! გაუგებარი ხომ აქ სრულიად არაფერი არ არის: თუ განსხვავებული შეხედულებების არსებობა საზომია (კრიტერიუმია), პირველი ინტერპრეტაცია ხომ არასდროს არ გვქონია და მით უფრო, არასდროს არ გვექნება განსხვავებული ინტერპრეტაციები. მართლაც რომ გაუგებრობაა, როდესაც გ. თევზაძე წერს: მაგრამ განა ის, რაც დღეს მეცნიერებისათვის აქტუალურია, თავისთავად ცხადი რამ არის" (გვ. 191). სწორედ იმის დადგენას ვცდილობდი, თუ რა პრობლემებია ამჟამად მნიშვნელოვანი, რაც ინტერპრეტაციის პრინციპად გამოდგებოდა. მაშასადამე, დიახაც რომ არ ვფიქრობდი, ეს თავისთავად არის ცხადი და დადგენა არ სჭირდებაო.

ასეთივე მდგომარეობაა რასელთან დაკავშირებით. გ. თევზაძე წერს: „თუ მეთოდს არ მივიღებთ მხედველობაში, შედეგის თვალსაზრისით კანტის პოზიციას ვერ გავარჩევთ ბერკლისეულისაგან. რასელი მხოლოდ შედეგს აქცევს ყურადღებას კანტთან. ვფიქრობ, კანტის მეთოდის არსებითობის ჩვენება სავსებით საკმარისი საბუთია „კოპერნიკისებური გადატრიალების" რასელისეული გაგების უარყოფისათვის" (გვ. 199). კარგი, ჩავთვალოთ, რომ არის საკმარისი. ახლა ერთხელ კიდევ მოვაგონოთ გ. თევზაძეს ადგილი მისივე წიგნიდან: „კოპერნიკისეული გადატრიალების" ცნების სრული შინაარსი კანტის მთელი ფილოსოფიაა" (გვ. 187). არის კანტის მთელი ფილოსოფია მარტო მეთოდი? არ არის! ე. ი.? ყოფილა თუ არა საკმარისი თვით გ. თევზაძის მისედვითაც მეთოდზე მითითება რასელთან დავისათვის? არა! უწარმოებია თუ არა გ. თევზაძეს თანმიმდევრული დავა რასელთან? არა! წინააღმდეგობრივია მისი მსჯელობა თუ მე მეჩვენება, როგორც მაბრალებს! მე არ მეჩვენება. ნამდვილად ასეა.

ასეთია გ. თევზაძის პასუხები. ზოგიერთ საკითხს, რაც ნაკლებ მნიშვნელოვანია, არ შევეხე. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, იქაც ანალოგიური მდგომარეობაა. არ შემეძლია არ ამოვწერო ის გამოთქმები, რითაც კაზმავს თავის ასეთ ულოგიკო პასუხს გ. თევზაძე, რადგანაც არგუმენტები არ ყოფნის, შეურაცხყოფას აყენებს რეცენზენტს: „გაუფასურება და მიჩქმალვა სურს", „მისთვის „არავითარ არგუმენტს არა აქვს მნიშვნელობა", „შეუსაბამობაშია კამათის ეთიკურ ნორმებთან", „რეცენზენტის უმაღლესი კრიტერიუმია მისი ღრმა რწმენა საკუთარ შეუმცდარობაში", „წინასწარი განწყობის რეალიზაცია", „სულაც არ აინტერესებს იმისი დადგენა, თუ რა არის არსებითი" და სხვ.

„რეცენზენტი, — წერს გ. თევზაძე, — სარეცენზიო წიგნის არც ერთ საკითხს არ აკრიტიკებს მთელი ნაშრომის გათვალისწინებით" (გვ. 199). კი მაგრამ, წიგნის რომელიმე ნაწილის მიხედვით მოვითხოვდი მე, თუ სწორედ მთელი წიგნის მიხედვით შ. ნუცუბიძის, ს. დანელიას, კ. მეგრელიძისა და სხვათა შრომების

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუნდაც დასახელებას მაინც? გ. თევზაძე წერს: რატომ უნდა შეეკამათებოდი წინამორბედებს ასეთ ნაშრომშიო. თუ კი საკამათო ჰქონდა, როგორ ნაშრომში უნდა გაეკეთებინა ეს, თუ არა სწორედ ასეთ ნაშრომში? და თუ ეს კამათი იქნებოდა სათანადო მეცნიერულ დონეზე, განა ეს არ იქნებოდა წინამორბედ ავტორთა გათვალისწინება? მოხსენიება მაინც ხომ იქნებოდა? გ. თევზაძეს მითითებული ლიტერატურის სიაში შეტანილი აქვს 20-მდე ისეთი ავტორიც, რომელთაც წიგნში არ იყენებს. ასე არასწორად მაინც დაესახელებინა ეს ავტორები, ეს მაინც გაეკეთებინა! ხოლო იმ ადგილებში, რაც მანვე ახლა იძულებით დაასახელა, გავლენა მაქვს ამ მოაზროვნეებისაო, რამ შეუშალა ხელი? როგორი თავის მართლებაა ეს ყველაფერი?!

თანდათანობით მივუახლოვდით დასასრულს. რამ მაიძულა გამოვხმაურებოდი გ. თევზაძის წიგნს? გ. თევზაძეს ზევით მოყვანილი გამოთქმები არგუმენტების სისუსტის დასაფარავად სჭირდება, თორემ ძალზე კარგადაც იცის საქმის ვითარება. მე რომ მართლაც ისეთი მიზანი მქონოდა, როგორც იმ გამოთქმებით დაახასიათა გ. თევზაძემ, მაშინ განა არ დავძებნიდი სწორედ საამისო შენიშვნებს?

გ. თევზაძის წიგნიდან მოვიყვან ერთ ადგილს, რაც რეცენზიაში არ შევიტანე: „უნივერსიტეტმა კანტის სამახსოვრო დღედ დაიწყო 23 აპრილი, რადგან დაბადების დღე — 22 აპრილი კვირას ემთხვეოდა“ (გვ. 31). ხომ არის კურიოზი? მე რომ ის მიზანი მქონოდა, რასაც მაბრალებს გ. თევზაძე, მაშინ ამის მსგავსი მაგალითებს მივეძალებოდი, ეს ხომ უფრო ხელსაყრელი იქნებოდა გაუფასურების მიზნის მისაღწევად? რეცენზიაში კი, როგორც მკითხველმა იცის, არც ერთი ასეთი შენიშვნა არა მაქვს.

რატომ ვწერ ახლა ამას? ამას ვწერ იმისათვის, რომ საბოლოო დასკვნამდე მივიყვანო მკითხველი. ამისათვის სამ მომენტს გამოვყოფ.

ჯერ ერთი, მეცნიერული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების საკითხი, როგორც რეცენზიაში ვწერდი, ძალზე გართულდა ჩვენში. გ. თევზაძე რომ ერთადერთი იყოს, ამაზე, ალბათ, არც ეღირებოდა ამდენი ყურადღების მიქცევა. წლების განმავლობაში გრძელდება ეს. მე შემიძლია არა ერთი მაგალითის მოყვანა.

მეორე მომენტი მოკლედ მინდა ავღნიშნო, თუმცა ნაკლებ მნიშვნელოვნად როდი მიმაჩნია. თანამედროვე ფილოსოფიური, სოციოლოგიური, ესთეტიკური თუ ეთიკური პრობლემატიკის დამუშავების საჭიროებანი უნდა იყოს განმსაზღვრელი ისტორიულ თემატიკაზე მუშაობისას. ამისი ჩვენების მიზანს ისახავდა ჩემს რეცენზიაში მსჯელობა იმის თაობაზე, თუ ისტორიულად როგორ დგებოდა ესა თუ ის პრობლემა და ამ პრობლემის თვალთახედვით შუქდებოდა წარსულის მოაზროვნეების, კერძოდ, კანტის ნააზრევი. შ. ნუცუბიძის, კ. ბაქრაძის, კ. მეგრელიძის ნაშრომები სწორედ ასეთ ნიმუშებად ამიტომაც მივიჩნიე. ამავე მიზანს ემსახურებოდა მსჯელობა იმ 4 პრობლემაზე, რომლებიც აქტუალურია, თავად მეც მიმუშავია მათზე, ამიტომ უფრო მიმიწვდებოდა ხელი და კანტზე შრომაში, ბუნებრივია, მსურდა სწორედ თანამედროვეობის ამგვარი გათვალისწინება მეხილა. ნუთუ სადაოა, რაოდენ დიდია აქ საქმის ინტერესები, მეცნიერული კვლევის ინტერესები და მასთან შედარებით რაოდენ უმნიშვნელოა პირადული მოტივები.

ცოტა უფრო ვრცლად შევჩერდები მესამე მომენტზე. სხვა დროს მქონია შესაძლებლობა გამომეთქვა აზრი იმის თაობაზე, თუ რამდენად დიდი და საპასუხისმგებლოა ამჟამად ფილოსოფიური კადრების, სპეციალისტების მომზადების საქმე. ამაზე ახლა არ გავაგრძელებ (დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია იხილოს „სოციოლოგიური გამოკვლევები“ II, თბ. 1976).

ამ საკითხებზე ფიქრმა და დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ სტუდენტები ისე ამთავრებენ უნივერსიტეტს, კარგად ვერ ერკვევიან იმაში, თუ როგორ ვითარდებოდა ჩვენში მეცნიერების ეს ურთულესი დარგი, საფუძვლიანად ვერ ერკვევიან ამ დარგის გამოჩენილ წარმომადგენელთა შრომებში. ამა თუ იმ საგნის სწავლისას მათ უხდებათ გაცნობა ზოგიერთი ნაშრომისა, ეძლევათ გარკვეული ინფორმაცია, მაგრამ ამას არა აქვს სისტემატიური ხასიათი. ზოგიერთ წარმომადგენელს, ან მის რომელიმე ნაშრომს თუ მეცნიერულ შედეგს მეტად იცნობენ, სხვას ნაკლებ, არა აქვთ საშუალება ეს ყველაფერი ერთ მთლიანობაში, ამასთან ფილოსოფიური მეცნიერების ამა თუ იმ დარგის საერთაშორისო, საკავშირო დონის გათვალისწინებით შეაფასონ და ა. შ.

ჩავთვალე რა ეს გარკვეულ ხარვეზად, თანაც ისეთად, რომლის გამოსწორება შეუძლებელი როდია, 1972 წელს ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტს წარვუდგინე წინადადება და გეგმა — მე-5 კურსის სტუდენტებისათვის შესაბამისი სპეცკურსის შემოღების შესახებ. ზოგიერთმა მკითხველმა შეიძლება არ იცოდეს და ამიტომ აქვე შევნიშნავ, რომ ცენტრალიზებული სასწავლო გეგმები ტოვებს ასეთი შემთხვევებისათვის საათების საკმაოდ დიდ რაოდენობას, რაც, სამწუხაროდ, ყოველთვის როდია საჭიროებისამებრ გამოყენებული. საკითხი დადებითად გადაწყდა, თუმცა ჩანაფიქრის განხორციელებას, აქამდე დაგვიანდა. 1975 წელს შევძელი ისევ დამეგსვა ეს საკითხი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას წარვუდგინე სპეცკურსის გეგმა. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ საკითხი გადაწყვიტა — წელს ამ გეგმის მიხედვით ეს კურსი წაკითხულ იქნება.

ალბათ, ზედმეტი არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ასეთი კურსის მოსმენა და ათვისება საგრძნობლად შეუწყობს ხელს ახალგაზრდა სპეციალისტთა მეცნიერულ, მოქალაქეობრივ, პატრიოტულ და, ალბათ, ინტერნაციონალურ ჩამოყალიბებას. ან იქნებ იმისი თქმაც არ იყოს უადგილო, რომ ჩვენი მეცნიერების სხვა დარგებში — ისტორიაში, ფილოლოგიასა და ენათმეცნიერებაში, ფსიქოლოგიაში, ასევე სხვა დარგებში ანალოგიური სასწავლო კურსებისა და შესაბამისი წიგნების შექმნა ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმისათვის სასარგებლო იქნება. როგორც ჩამოთვლილ, ისე სხვა მრავალ დარგს ჩვენში ამ მხრივ მდიდარი მასალა გააჩნია. ამისი განხორციელების შესაძლებლობა, თუ საჭიროდ ჩათვლიან ამ დარგთა მესვეურები, ნამდვილად არსებობს...

ყოველ შემთხვევაში, ფილოსოფიაში კურსის შექმნა სავსებით რეალურია. ჩემთვის, ამ საქმით დაინტერესებული პირისათვის, ბუნებრივია, სულერთი როდია, ამა თუ იმ ნაშრომში როგორ იქნება წარმოდგენილი ჩვენი ფილოსოფიური მემკვიდრეობა, როგორი წიგნი ეძლევათ სტუდენტებს.

ასეთია ის სამი ძირითადი მომენტი, რაც იძულებულს მხდიდა პროფ. გ. თევზაძის წიგნის შეფასება გამომექვეყნებინა. განხილვის დროს გამოთქმული შენიშვნები, რაც შემდეგ გამოქვეყნებულ რეცენზიაში არსებითად გავიმეორე, წიგნის ავტორს რომ საქმიანად შეეფასებინა, მაშინ არც რეცენზიის აუცილებლობა იქნებოდა. ხოლო რეცენზიაზე პასუხი რომ ასეთი არ ყოფილიყო, ეს მეორე წერილი სრულიად ზედმეტი გახდებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი კლასაზიშვილი

„პოეზია უპირველეს ყოვლისა“

— „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ასე ჰქვია პოეზიის დღისადმი მიძღვნილ წიგნს, რომელიც გამომცემლობა „მერანმა“ გასულ წელს პირველად გამოსცა. „აქამდე ერთდროული გაზეთი გამოდიოდა. რასაკვირველია, ესეც კარგი იყო, მაგრამ წიგნი მაინც სულ სხვაა, თუნდაც იმიტომ, რომ ეს არის პოეზიის მნიშვნელობისა და დანიშნულების გაზრდის, აუცილებლობად ქცევის კიდევ ერთი დადასტურება“,—წერს თამაზ ჭილაძე წერილში „პოეზიის დღე“, რომლითაც იხსნება კრებული.

პოეზიის დღისადმი მიძღვნილი წიგნის გამოცემამ უფრო ნათლად დაგვანახა, თუ რისი გაკეთება შეგვეძლო განვლილი წლების მანძილზე. ამ შესანიშნავი წიგნის გულდასმით წაკითხვის შემდეგ აღფრთოვანებას ვეღარ ვმალავდი, თუმცა ძალაუნებურად კითხვაც მებადებოდა: ნუთუ არ შეიძლებოდა ამგვარ კრებულებს პოეზიის ჭეშმარიტი მკითხველი უფრო ადრეც ზიარებოდა?

მაგრამ წარსულს ვეღარ დავაბრუნებთ! მთავარი ახლა ისაა, რომ მრავალი წლის ნაოცნებარი სინამდვილედ იქცა — უმოკლეს დროში მომზადდა მასალა კრებულისათვის და ასევე უმოკლეს დროში გამოიცა. ამ წიგნის გამომცემლებმა (რედაქტორი ჯ. ჩარკვიანი, სარედაქციო კოლეგია: მ. ლებანიძე, ტ. ჭანტურია, ვ. ჯავახაძე, მ. წიკლაური) შესაშური ენთუზიაზმი გამოიჩინეს და შესანიშნავ საქმეს ჩაუყარეს საფუძველი. ადვილად ითქმის — უმოკლეს დროში შეიკრიბა და გამოიცაო წიგნი...—საქმეში ჩახედულმა კაცმა იცის, რამდენი სირთულის დაძლევაა საჭირო ასეთი წიგნის მოსამზადებლად, მის დასაბეჭდად. ასეა თუ ისე, „ნავსი გატყდა“, „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ ინტერესით წაიკითხა ქართველმა მკითხველმა (იგი ამ წიგნს კიდევ მრავალჯერ დაუბრუნდება) და გაუჩნდა სასიამოვნო მოლოდინის გრძნობა — „პოეზია უპირველეს ყოვლისა — 79“-ის მოლოდინის გრძნობა, ხოლო პოეტები გულდასმით შეინახავენ თავიანთ საუკეთესო, გამოუქვეყნებელ ლექსებს მოსწდევნო კრებულისათვის, რადგან იციან, რომ ამ კრებულში მხოლოდ გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები უნდა დაიბეჭდოს.

თამაზ ჭილაძის ბოლო წლებში გამოქვეყნებულმა წერილებმა მკითხველთა დიდი ყურადღება მიიქცია. ამ ყურადღების უმთავრესი მიზეზი ის გახლდათ, რომ იგი დაუპირისპირდა კლასიკურ მწერლობაზე ჩვენს ცნობიერებაში დალექილ ზოგიერთ მცდარ შეხედულებას, პასიურ ცოდნას, ზერელე ინფორმაციას მარად ცოცხალ კლასიკურ ლიტერატურაზე, რომელსაც ზოგიერთი დოგმატიკოსის წყალობით ბრმად ვითვისებდით საშუალო სკოლასა თუ უმაღლეს სასწავლებელში. თ. ჭილაძე წერილში „პოეზიის დღე“ (ამ წერილით იხსნება კრებული „პოეზია უპირველეს ყოვლისა“) მრავალ საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს პოეზიის უნაპირო და იდუმალ სამყაროზე, კერძოდ, ქართული პოეზიის უმთავრეს ხაზზე, რომელიც ბუნებრივად გრძელდება საუკუნეებიდან საუკუნეებში და ქმნის თვალუწვდენელ მთლიანობას დასაბამიდან დღემდე.

„ქართული პოეზიის თვითეული სტრიქონი გულისხმობს მომავლის ადამიანს, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია, ასევე იფიქროს თავის მომავალ „მოძმეზე“ — და ეს დაუსრულებელი ესტაფეტა ბედისა, ეს გაორკეცებული სიამე თუ შხამი თვითეულ ქართველ პოეტს აქცევდა დიდ პიროვნებად, რომლის ცხოვრებაც თავისთავად უკვე პოეტური იყო“. „რომ ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სავალი გზისა გაუადვილდეს“, —ბარათაშვილის ამ სტრიქონს იხსენიებს წერილის ავტორი, როცა „მომავლის ადამიანზე“, „მოძმეზე“ დაფიქრებას და ზრუნვას გვირჩევს.

როგორც არასოდეს, დღეს ისე სჭირდება ქართულ პოეზიას „მოძმეზე“, „მომავლის ადამიანზე“ ზრუნვა, უფრო მეტი სიმართლე და სიზუსტე — ცრუპატრიოტული, ფუჟე სიტყვებით აშენებული ბუტაფორიების დასანგრევად. თანამედროვე პოეტი, რომელიც ფლობს ქართული პოეზიის (და არა მარტო ქართული პოეზიის) უზარმაზარ გამოცდილებას, რომელმაც

გაითავისა პოეტური მიღწევები, დაყურსული უნდა უსმენდეს „მოძმესა“ თვისსა, თავად უნდა ქმნიდეს „მომავლის ადამიანის“ მრწამსს, უნდა სწამდეს, რომ ხვალინდელი „მოძმის“ სულიერი სისავსე რაღაცით მასზეა დამოკიდებული.

თანამედროვე პოეტი „ხმელი წიფელის“ იმ ძლირ და იმედიან ფესვს უნდა ჰგავდეს, დღენიადაგ რომ ნორჩი ყლორტის გადასარჩენად ზრუნავდა.

ქართული პოეზია, დასაბამიდან დღემდე, უპირველეს ყოვლისა, თავისი მრავალფეროვნებით და „ლექსის სიღრმეში დანთქმული საიდუმლოს“ ამოუხსნელობით გვიზიდავს. განვითარების ის ბუნებრივი გზა, რაც ქართულმა ლექსმა გაიარა სიახლეებისაკენ მარადისი სწრაფვის წყალობით, დღეს ჩვენი ერის სულიერი საუნჯეა. განახლებისა და ძიების გზას ადგას თანამედროვე ქართული პოეზიაც.

არ შეიძლება სიახლისაკენ ბუნებრივი სწრაფვა ტრადიციულობის უარყოფად, გაუფასურებად მოინათლოს. არც იმან უნდა შეგვაშინოს, ფეხის ხმას აყოლილი უნიჭოები თუ დაპირებენ „ამღვრეულ წყალში თევზის ჭერას“. დრო სწორუპოვარი მკურნალი და შემფასებელი, ყველას თავისას მიუზღავს. მკითხველს შევახსენებ გასტონ ბუაჩიძის წერილს —„პოეზია ჯინსებში“, რომელიც სარეცენზიო კრებულში გამოქვეყნდა. „ანთოლოგია, რომელიც საფრანგეთში გამოიცა 1974 წელს დაიბეჭდა და მისი შემდგენლის არჩევანით აერთიანებს ორმოც წელს მიუღწეველ ავტორებს... დროის ულმობელი არჩევანი, რაღა თქმა უნდა, თვით შემდგენელსაც სხვაზე ნაკლებად არ მოეხსენება და იუმორით წერს კიდევაც: აქ წარმოდგენილი პოეტებიდან ხუთი წლის შემდეგ მხოლოდ ნახევარი დარჩება, ათი წლის შემდეგ — ოცი ოდე, ორმოცდაათი წლის შემდეგ კი სულ ორი თუ სამი (ხომ არ გავკადნიერებულიყავი და დამესახელებინა ისინი?)“.

ასევე იქნება ჩვენშიც („წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“). მხოლოდ „მომავლის ადამიანი“ დაასახელებს იმ პოეტებს, რომელნიც ჰოძმესა თვისსა სავალ გზას გაუადვილებენ.

არ შეიძლება ტრადიციის ერთგული ვუწოდოთ იმ პოეტს, რომელიც სხვათა გაკვალულ გზაზე უდარდელად დასეირნობს და წამითაც არ ფიქრობს ხვალინდელ „მოძმეზე“. პოეტური ტრადიციების გაგრძელება დაკანონებული სალექსო ფორმების გაზიარებით ან უარყოფით არ აიხსნება. პოეტური ტრადიციების მძლავრი ფესვები უფრო ღრმად, სულის წიაღშია დაქსელილი, მიუკვლეველია უხილავი სათავე მისი.

„ჩვენში ვერლიბრის გამოჩენა მართლაც უცხოური გავლენით რომ იყოს შთაგონებული, განა ამით ჩვენს ლიტერატურას რამე დაკლდება? ეს ხომ იმას მოწმობს, რომ ჩვენი ლიტერატურა, როგორც ყოველთვის, ახლაც მზად არის თავის სამფლობელოში სიახლის დასანერგად. იმის თქმა, რომ ჩვენს წინაპრებს ჩაი, ცეტრუსები კარტოფილი, სიმინდი არ მოჰყავდათ და ამიტომ ჩვენც არ მოვიყვანთო, რასაკვირველია, დღეს სამართლიანი გაკვირვების ღიმილს გამოიწვევს მხოლოდ. ეს ტრადიციების ერთგულება კი არ იქნება, არამედ არასწორად გაგებული ტრადიციულობა“ (თ. ჭილაძე).

„პოეზია უპირველეს ყოვლისა“ მრავალფეროვანი წიგნია, მრავალფეროვანია, რადგან მის ფურცლებზე მკითხველი შეხვდება სხვადასხვა თაობის პოეტებს აქამდე გამოუქვეყნებელი ლექსებით. ლექსების გარდა ამავე წიგნში პირველად ქვეყნდება „ოლია ოკუჯავას წერილები გალაკტიონისადმი“.

წარმოუდგენელია აუღელვებლად წაიკითხოს კაცმა უწმინდესი სინათლითა და ჭეშმარიტი სიყვარულით გამთბარი სტრიქონები ოლია ოკუჯავას წერილებისა. „ოლია ოკუჯავას წერილები გალაქტიონისადმი“ თითქმის უერთმანეთოდ, მაგრამ მარად ერთმანეთზე ოცნებით, ფიქრით განვლილი წლების რექვიემია. საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში დაცული ეს წერილები ლეილა სანაძეს მოუმზადებია გამოსაქვეყნებლად. „ოლია ოკუჯავას წერილები გალაკტიონისადმი“ იმ სანთელსა ჰგავს შუქს რომ ჰფენს ბინდიანი ტაძრის შუაგულს, მკრთალი შუქი ვრცელდება ირგვლივ და შეუმჩნევლად კვლავ ბინდში გადაიზრდება, განზავდება.

თანამედროვე პოეზიის „მწარნაღვლიან თემას“ ეხება სიმონ ჩიქოვანის „პასუხი ჟურნალ „ოპროსი ლიტერატურის“ ანკეტაზე“. საკმაო დრო გასულა მას შემდეგ, რაც „ოპროსი ლიტერატურის“ ანკეტას უპასუხა პოეტმა, მაგრამ რაკი მის „პასუხში“ აღძრული პრობლემები კვლავ არსებობენ, სიმონ ჩიქოვანის ნააზრევი დღეს კიდევ უფრო დამაჯერებლად გვესმის, დღეს კიდევ უფრო დასაფასებელია თანამედროვე ქართული პოეზიის მდინარების შეუმცდარი ანალიზი, რამეთუ ეს მდინარება კვლავ გრძელდება ახალი მიღწევებით და ისეთივე ნაკლოვანებებით. „მე შეგნებულად დავაყენე ერთიმეორის გვერდით ორი ცნება: ნაღდი ნიჭი და მოქალაქეობრივი მოვალეობა და გამოვყოფ მათ, რათა გითხრათ: ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში მთლად გარკვეულად ვერ წარმოგვიდგენია ამ მაღალ ცნებათა ურთიერთდამოკიდებულება. ერთი მიზეზთაგანი ჩემი აზრით, ისიცაა, რომ ჩვენ ლიტერატურული ნაწარმოების შეფასებისას უფრო მეტ ყურადღებას თვით მასალას და თემას ვაქცევთ, ვიდრე მისი ხორცშესხმის სიღრმესა და თავისებურებას, იდეურ პრობლემატიკას და ლიტერატურულ დონეს. პოეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ მასალით „ფონს არ უნდა გავიდეს". სამწუხაროდ, ის პოეტი, რომელიც „მასალით ფონს გადის", არ ცდება სახოტბო პოეზიის საზღვრებს გამალებით აშენებს ეპითეტებისა და გაცვეთილი შედარებების კვარცხლბეკს, რომ მერე ზედ შესკუპებულმა ყინჩად გადახედოს ქვეყნიერებას. ჩვენ ვიცით, გვახსოვს ჭეშმარიტ პოეტებს შესანიშნავი საგალობლებიც და ელეგიებიც შეუქმნიათ, მაგრამ როცა მავანი შემოქმედის ყველა ლექსი, ერთთავად სახოტბო სტილის მორჩილია, მყისვე ნათელი ხდება ამ ავტორის სულიერი სიმწირე და „მასალით ფონს გასვლის" სურვილი. მხოლოდ სახოტბო პოეზიით პოეტი „მოძმეს ხმას ვერ მიაწვდენს", სიმონ ჩიქოვანის წერილში — „პასუხი „ჟურნალ „ვოპროსი ლიტერატურის" ანკეტაზე", მკითხველი ბევრ საინტერესო შეკითხვაზე იპოვნის პასუხს.

„პოეზია მეტყველებს ლექსის ენით (სულ ერთია, რითმიანი იქნება, თეთრი თუ ვერლიბრი,) მაგრამ რომ ვთქვათ, ლექსი პოეზიის ერთადერთი ენაარ, ამით უსათუოდ დავამცირებდით პოეზიის მნიშვნელობას. პოეზია არის ყველგან, სადაც ადამიანია." (თ. ჭელიძე — „პოეზიის დღე"). პოეზია მწუხარების ჟამსაც ადამიანის წილხვედრია, ამის შესანიშნავი მაგალითია ჩვენი ხალხური პოეზია, კერძოდ ფშაური ნატირლები (გოგი თურმანაულის კომენტარებით). „სოფელში გარდაიცვალა ღარიბი და უთვისტომო კაცი, სახელად იერემი, მეზობელმა დედაკაცმა იგი ასე დაიტირა.

მაჰკვდია, ბეჩავო-იერემო,
დასდევა სიღარიბის ჯოხი!
მიწანიმც დაილოცებიან,
შიშველნი მოგიმალნა ხორცნი!

კარგი ვაუკაცი კი ასე დაიტირეს:

ვაჟუნავ, ხახათ ვაჟუნაო,
ვარსკვლავო ცაზე მოარულო,
ჩამოარდნილო, დაკარგულო,
ბიჭო, რა იქენ, სადრა წახველ?
ბეჭებ სად დასხენ ლომისანი,
კბილნ სად დაჰყარე ბროლისანი".

ნატირლები — აღსარება-მონოლოგებია, მიმალული ჭეშმარიტების გამჟღავნებაა, რაც აქამდე მოტირალის სულში გარინდულიყო და უეცარი მწუხარების ტალღამ დასძრა აისბერგივით. ნატირლებში ზედმეტ, უფუნქციო სიტყვას ვერ მიაკვლევ. ტექსტის ასეთი სიზუსტე მწუხარებით გამოწვეული აგონიის შედეგია, ბევრი რამე უნდა ისწავლოს პოეტმა ხალხური პოეზიიდან, ძლიერ ბევრი, უმთავრესად კი ზედმეტი, უფუნქციო სიტყვების განდევნა. მხოლოდ სულის კამერტონს მიყურადებულ პოეტს ძალუძს უარი თქვას ისეთ ლექსებზე, ხელოვნური წვიმებითა და ბრჭყვიალა სათამაშოებით მორთულ სინთეტიკურ ნაძვის ხეს რომ წააგავს. ერთხანს კი თვალისმომჭრელია ასეთი ლექსი, მაგრამ იმ ნაძვის ხისა არ იყოს, ძველი სტილის ახალ წლამდე თუ მიაღწია, ისიც დიდია.

ადამიანური ცხოვრების დრამა ასაზრდოებს ჭეშმარიტ პოეზიას. ჩვენს ირგვლივ კი უამრავი რამ ხდება, რასაც ხშირად ისე გულგრილად ჩავუვლით, რომ ვერც კი შევნიშნავთ. თუმცა, ჩვენში პასიურად არსებული შემთხვევა პირველყოფილი სიძლიერით აღდგება თვალწინ, თუ ნაღდი პოეტის ლექსმა მიგვახედა იქითკენ.

ადრეც ხშირად მიფიქრია ორი პოეტის — ნიკო სამადაშვილისა და შოთა ჩანტლაძის ბედზე. არსებობს ლექსების ორი პატარა წიგნი: „ბეთანია" და „წავიდა თოვლი". ეს ორი პოეტი თავისი ხელწერით ისე განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწა, კიდევ ერთხელ ვირწმუნე ორი სხვადასხვა სტილის პოეტის ჰარმონიული თანაარსებობის აუცილებლობა, როცა მათი გამოუქვეყნებელი ლექსები წავიკითხე კრებულში — „პოეზია უპირველეს ყოვლისა".

სადღაც კიაფობს მთვარის ბულული,
შუქი დამეძებს — უნდა რომ სწუხდეს.
თითქოს მე ვიყვე გამოქვაბული
და ჩემს ქვეშ სისხლის მდინარე ჰქუხდეს.

მკითხველი ალბათ მიხვდება, რომ ნიკო სამადაშვილი „ვერსიფიკატორის შალაშინს" საერთოდ არ ხმარობდა, თუმცა მაღალპოეტური, ხორკლიანი სტრიქონები ბზის ფოთლისა და ცაცხვის ყვავილის სურნელს გამოსცემენ.

შოთა ჩანტლაძის „ტრამვაი (რექვიემი)" მართლაც რექვიემია ადამიანზე, პოეტზე, რომელშიც, რაც ირგვლივ ხდება, არა მარტო აღიბეჭდება, არამედ მასში, მის სულსა და სხეულში ხდება. ეს ურთულესი მონოლოგი ადამიანისა, რომელიც ლიანდაგზე შემდგარი „ტრამვაივით" უმისამართოდ მიექანება, 1958 წელს დაუწერია შოთა ჩანტლაძეს — გაცილებით მეტი იქნებოდა ეფექტი, თავის დროზე რომ გამოქვეყნებულიყო, თუმცა ოცი წლის წინ დაწერილი „ტრამვაი" ქართული ვერლიბრის საუკეთესო ნიმუშია დღესაც.

შენში ეხება ადამიანი ორი,
შეხებით შემთხვევით
და ვერ შეხვდებიან ერთმანეთს
სიკვდილამდე,
შენში შიშვლდება ნერვები...

ყველაფერი, რაც ფიქრში ხდება, რაც უნდა მოხდეს, რაც ირგვლივ ხდება — ილექება

ადამიანის სულში. ლიანდაგებზე შემდგარი ადამიანი იღლება უთავბოლო ხეტიალით: „ნუ დარდობ, ძმობილო! შენც მალე გადმოგაბრძანებენ ლიანდაგებიდან...“

კრებულში — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, ბევრი კარგი ლიტერატურული მასალაა გამოქვეყნებული. საყურადღებოა: — „პოეტების საუბარი პოეზიაზე“ (მეყიროვი, ოკუჯავა, ქვლივიძე), აკაკი შანიძის „გვახსოვდეს რომ შოთას ქვეყნიდან ვართ“, გურამ ასათიანის „მეგობრული ტრიპტიქი“, ირაკლი კენჭოშვილის „კონკრეტული პოეზია“, ირაკლი გოგოლაურის „ფშაური კაფია“, ვახუშტი კოტეტიშვილის „ძველ მელექსეთა მემკვიდრე“ და სხვა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „ახალი თარგმანები“. ამ საერთო სათაურით შეუკრებიათ ერთად ჰომეროსის, მოშე იბნ ეზრას, ფრანსუა ვიიონის, სტეფან მალარმეს, ჰერმან ჰესეს პოეტურ ქმნილებათა თარგმანები. „ახალი თარგმანები“ კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, თუ რა დიდი წვლილი შეაქვთ თარგმნილი ლიტერატურის შესანიშნავ ნიმუშებს ეროვნული ლიტერატურის განვითარების საქმეში.

გაკეთდა კარგი საქმე, გამოიცა პოეზიის დღისადმი მიძღვნილი პირველი წიგნი —„პოეზია უპირველეს ყოვლისა“. კრებულში თანამედროვე ქართველი პოეტების მრავალი, აქამდე გამოუქვეყნებელი ლექსია დაბეჭდილი. ლექსების შეფასება მკითხველისათვის მიგვინდვია, მკითხველი კი, რაც არ უნდა მკაცრი შემფასებელი იყოს, თავის პოეტს, თავის თანამოაზრეს მაინც იპოვის ამ კრებულში და გაიხარებს; სიხარული იმედით აღავსებს და 1979 წლის „პოეზიის დღეს“ დაელოდება. ეს მოლოდინი კი ამ წიგნის ყველაზე დიდი გამარჯვება იქნება. მოლოდინი შემდეგმა წიგნმა უნდა გაამართლოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბროლეპი

თამაზ ბერაძე

ზღვაოსნობა ძველ საქართველოში

ქართველები შავი ზღვის აუზის უძველესი მკვიდრი მოსახლეობაა. ახალი ქვის ხანიდან ჩვენმა წინაპრებმა დაიწყეს ზღვის სანაპირო ზოლის ათვისება და თანდათანობით დაიკავეს აღმოსავლეთ და სამხრეთ შავიზღვისპირეთის დიდი ნაწილი. ასე რომ ძვ. წ. ა. VI საუკუნეში, რომლის შესახებ უკვე მოგვეპოვება წერილობითი ცნობები, შავი ზღვის სანაპირო ზოლი მდ. თერმოდონტიდან მოკიდებულა (ეს მდინარე, რომელსაც დღეს თემურ ჩაი ეწოდება, ტრაპიზონის სამხრეთით შეერთვის ზღვას) ყუბანის შესართავამდე ძირითადად ქართველური ტოტებით იყო დასახლებული.

საქართველოს ისტორიის მომდევნო ოცდახუთი საუკუნის განმავლობაში, ჩვენი წინაპრების წარმატებანი თუ მარცხი მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობაში ძალზე ხშირად ქვეყნის საზღვაო საზღვრების ცვალებადობით აისახებოდა. ადრე და შუაფეოდალურ ხანაში ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში შავიზღვისპირეთის ვრცელი ნაწილი შედიოდა ტრაპიზონის სანახებიდან ნიკოფსიის ჩათვლით (ეს ციხე-ქალაქი დღევანდელი ტუაფსის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა 47 კმ.-ის დაშორებით). გვიანშუასაუკუნეებში კი, რომელიც ქართველი ხალხისათვის ძალზე მძიმე პერიოდს წარმოადგენდა, ქართული პოლიტიკური ერთეულების საზღვრებში მოქცეული შავი ზღვის სანაპირო ზოლი კატასტროფულად შემცირდა, ხოლო XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საქართველო მოწყვეტილი აღმოჩნდა ზღვისაგან.

შავი ზღვის სამეურნეო ათვისების ადრეულ ხაფეხურზე ჩვენი წინაპრები ზღვაზე თევზაობით და ზღვის წყლიდან მარილის გამოხდით კმაყოფილდებოდნენ. თანდათანობით, სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლეოდა საზღვაო კავშირის მეზობელ ხალხებთან, რომლის მთავარ მიზანს სავაჭრო ურთიერთობის დამყარება წარმოადგენდა.

ადრეანტიკური ხანის გარიჟრაჟზე ჩვენი ქვეყნის საზღვაო ნაპირებთან ძველი ბერძნების ბირემები თუ ტრირემები გამოჩნდა. ასე დაიწყო საქართველოს საზღვაო ვაჭრობაში თვისობრივად ახალი ეტაპი, როდესაც იგი მსოფლიო ვაჭრობის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად გადაიქცა. დაახლოებით ხუთი საუკუნის შემდეგ ძველ ბერძნებს რომაელები მოყვნენ, შემდეგ კი ისინი ბიზანტიელებმა შეცვალეს. ფეოდალურ ეპოქაში ჩვენს ნავსადგურებს ახსოვთ ვენეციელების თუ გენუელების გალერები, თურქთა გემები, კაზაკთა ჩაიკები...

საქართველოს ზღვისპირეთის როლი მსოფლიო ვაჭრობაში ყოველთვის ერთნაირი არ იყო. ზოგჯერ (ელინისტური ეპოქა, XIII-XV სს.) ჩვენი ნავსადგურები წარმოადგენდნენ იმ მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო მაგისტრალების შემადგენელ ნაწილს, რომლებიც აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან აკავშირებდა. გვიანფეოდალურ ხანაში კი პირიქით, საქართველოს საზღვაო ვაჭრობას ძალზე ლოკალური ხასიათი ჰქონდა და იგი შავი ზღვის აუზის რამდენიმე ქვეყნით შემოიფარგლებოდა.

საქართველოს ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში განსხვავებული იყო აგრეთვე შავი ზღვის როლი ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების საქმეშიც. თუ ძველ ბერძნებთან ან ბიზანტიელებთან კონტაქტი დიდად უწყობდა

ხელს ქართული საზოგადოების წინსვლას, ისეთი ბარბაროსულ ქვეყანასთან საზღვაო ურთიერთობა, როგორიც ოსმალეთის იმპერია იყო არა მარტო არაფერს მატებდა ქვეყნის განვითარებას, არამედ რამდენიმე საუკუნით უკან ეწეოდა.

ერთი სიტყვით, შავმა ზღვამ ძალზე დიდი როლი ითამაშა საქართველოს ისტორიაში, რაც დღეისათვის არც შესწავლილია და არც შეფასებული ჯეროვნად. განსაკუთრებით ძალზე ცოტა რამ ვიცით ჩვენი წინაპრების ზღვაოსნობის შესახებ: როგორ სანაოსნო საშუალებას აგებდნენ ისინი, ან კიდევ, შეეძლოთ თუ არა შორეულ მხარეებში ნაოსნობა. ჩვენი წერილი მიზნად ისახავს ერთგვარად შეავსოს ქართული ისტორიოგრაფიის ეს ხარვეზი.

ჩვენი წინაპრები შავი ზღვის ნაპირებზე რამდენიმე ათეული საუკუნეა რაც მოსახლეობენ. ასეთი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეუძლებელია არ შექმნილიყო ზღვაზე მიმოსვლის ორიგინალური საშუალებანი, ან კიდევ საზღვაო საქმესთან დაკავშირებული მრავალფეროვანი ტერმინოლოგია.

დღევანდელმა ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ ქართული ზღვაოსნობის შესახებ ძალზე ცოტა მასალა შემოინახა. განუზომლად მეტ დახმარებას ამ საქმეში გვიწევენ ძველ ქართველ თუ უცხოელ ისტორიკოსთა თხზულებები, აგრეთვე უცხო მოგზაურთა ჩანაწერები. ფეოდალური ხანის ზღვაოსნობის ტერმინოლოგიის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს საბა-სულხან ორბელიანის „სიტყვის კონა", აგრეთვე ნიკოლოზ და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკოგრაფიული შრომები. ამის შესახებვე დიდძალი მასალაა დაცული ფეოდალური ხანის ორიგინალურ თუ თარგმნილ ქართულ ლიტერატურაში.

ყოველგვარი საზღვაო ექსპედიცია, ჩვეულებრივ, ნავმისადგომიდან იწყება. ჩვენც პირველ რიგში მასთან დაკავშირებული ფეოდალური ხანის ქართული სახელწოდებების ჩვენებით დავიწყებთ.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სანაპირო ზოლი უმნიშვნელო დანაწევრებით გამოირჩევა, რის გამოც შავიზღვისპირეთის ამ რეგიონში ნაოსნობისათვის მოსახერხებელი ყურეები ძალზე ცოტაა. ფეოდალური ხანის საქართველოს სანაპიროზე ასეთი სულ რამდენიმე მოიპოვებოდა. ნავმისადგომების როლს ჩვენში ჩვეულებრივ მდინარეთა შესართავები ასრულებდნენ, რომლებსაც ქართველები „თუალს"||„თვალს" უწოდებდნენ.

უძველესი ქართული ლიტერატურის ძეგლების მიხედვით ადგილს „სადაცა ნავი დადგომად შესაძლებელ არს ზღვათა შინა", ნავთსადგური ან ნავთსაყუდებელი ეწოდებოდა. ამ ტერმინებიდან მივიღეთ ნავსადგური და ნავსაყუდელი, რომლებიც გვიანფეოდალური ხანიდან მოკიდებული დღემდე იხმარება. ფეოდალური ხანის უკანასკნელ საუკუნეებში ამ სიტყვების პარალელურად ხმარობდნენ ლიმენა||ლიმონა||ლიმონი; რომელიც ბერძნულიდან მოდის და ასევე ნავსადგურს აღნიშნავს.

უძველეს ქართულ სალიტერატურო ნაწარმოებში — „შუშანიკის მარტვილობაში", რომელიც იაკობ ხუცესის კალამს ეკუთვნის, მოხსენებულია სიტყვა ნავთსადგური, რაც მოწმობს, რომ ტერმინი ნავი, რომელიც ამ სიტყვის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს, V საუკუნეზე ბევრად ადრე უნდა იყოს ჩვენს ენაში დამკვიდრებული. იგი ბერძნულიდან მოდის და ისევე როგორც ან ენაში, ჩვენთანაც სანაოსნო საშუალებათა ზოგად სახელწოდებას წარმოადგენდა. ქართველები მდინარეზე და ზღვაზე მიმოსვლის ყველა საშუალებას, ტივის გარდა, ნავს უწოდებდნენ. ეს ზოგადი მნიშვნელობა ამ სიტყვამ ჩვენს ენაში გასული საუკუნის მეორე ნახევრამდე შეინარჩუნა.

ფეოდალური ხანის ორიგინალურ თუ თარგმნილ ლიტერატურულ ძეგლებში მცირეოდენი გამონაკლისის გარეშე, ნავს უწოდებდნენ ყველა ტიპის საზღვაო ტრანსპორტს ყოველგვარი დაკონკრეტების გარეშე. ჩვენ ქვემოდ, როდესაც საუბარი გვექნება სანაოსნო საშუალებათა ტიპებზე, აგებულებაზე ან კიდევ მისი ეკიპაჟის შემადგენლობაზე, ამ ტერმინს ვიხმართ, ზოგადი ძველი ქართული მნიშვნელობით.

ყველაზე მცირე ზომის ნავს ფეოდალური ხანის საქართველოში ნიში||ნუშა ეწოდებოდა; ეს სიტყვა მეგრული ნისონიდან უნდა მოდიოდეს, რომელიც საოჯახო გობს ნიშნავს. როგორც ჩანს ქართველურ ენებში, ისევე როგორც მთელ რიგ ევროპულ ენებში, ძველად პატარა ნავი და საოჯახო გობი ერთიდაიგივე სიტყვით გამოიხატებოდა. ამის მიზეზია ის, რომ ორივე ერთი ხისაგან იყო გამოთლილი და გარეგნულად გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებდნენ ერთმანეთთან.

დღემდე შემორჩენილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ნიში||ნუშა ერთ ხეში გამოთლილი მცირე ზომის ნავს წარმოადგენდა. მას სულ რამდენიმე კაცი გადაჰყავდა მდინარეების და ზღვის სანაპიროს გასწვრივ, აგრეთვე რეიდზე მდგომი დიდი ზომის ნავებიდან ხმელეთზე და უკან. ნიში||ნუშა ტიპის სანაოსნო საშუალება საქართველოს ზღვისპირეთში ძვ. წ. ა. V საუკუნიდანაა დამოწმებული. მხედველობაში გვაქვს ბერძენი ისტორიკოსის ქსენოფონტეს „ანაბაზისი", სადაც მოხსენებულია ერთ-ერთ დასავლურ ქართული ტომის მოსინიკების „მთლიანი ხისაგან გამოთლილი სამახი ნავი, რომლებშიც სამ-სამი კაცი იჯდა.||ამ ნავებში უეჭველია, ნიში||ნუშა ნავები იგულისხმება.

ერთ ხეში გამოთლილ შედარებით დიდი ზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ნავს ფეოდალურ ხანაში ვარცლი ეწოდებოდა. ეს ტერმინი „ვარცხლას“ ფორმით ეთნოგრაფიულ სინამდვილეში უკანასკნელ ხანებამდე შემორჩა. იგი ბიზანტიური ხანის ბერძნული სიტყვა βατσελλο მოდის, რომელიც ამ ენაში საომარ ნავს აღნიშნავდა. ვარცლის ტიპის ნავის ძველი ანტიკური ხანის ქართული სახელწოდება ღღეისათვის უცნობია. ბერძენი ისტორიკოსი სტრაბონი (ძვ. წ. ა. I ს.) აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ასახელებს „წვრილ და ვიწრო ნავს“, რომელშიც ოცდახუთიდან ოცდაათ კაცამდე ეტეოდა. აღწერის მიხედვით „კამარა“ (ასე უწოდებს ნავის ამ ტიპს ბერძენი ისტორიკოსი), ერთი ხისაგან იყო გამოთლილი და გვიანფეოდალური ხანის ქართული ვარცლის ანალოგიას წარმოადგენდა. ასე, რომ ამ ტიპის ნავები ჩვენ შავიზღვისპირეთში უძველესი დროიდანაა დამოწმებული.

გვიან ფეოდალურ ხანაში ამგვარი ნავის აღმნიშვნელად ქართულში აგრეთვე იხმარებოდა რომელიღაც აღმოსავლური ენიდან შემოსული ტერმინი — კანჯო. ასე, რომ ვარცლი, კამარა და კანჯო ერთმანეთის სინონიმები უნდა იყოს.

ცალფა ნავებისაგან განსხვავებით, ოლეჭკანდერის||ოლაჭკანდერის ტიპის ნავები გემთმშენებლობის უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენდა. ეს ტერმინი მეგრული ალეჭკადუა-დან მოდის, რომელიც გვერდის აჭედვას ნიშნავს. სახელწოდების შესაბამისად გვიანფეოდალურ ქართულ წერილობით წყაროებში მოხსენებული ოლეჭკანდერი||ოლაჭკანდერი წარმოადგენდა ერთი ხისაგან დამზადებულ ნავს, რომელსაც ასამაღლებლად გვერდებზე ფიცრები ჰქონდა მიჭედილი. ეს კი ნავის სანაოსნო თვისებებს და მოცულობას მკვეთრად ზრდიდა.

ოლეჭკანდერის ტიპის ნავები საქართველოს შავიზღვისპირეთში ანტიკური ხანიდანაა დამოწმებული. ასეთია ჩვენი აზრით, I-II საუკუნეების რომაელ ისტორიკოსის ტაციტის მიერ მოხსენებული, შავ ზღვაზე გავრცელებული ნავების ერთი რიგი, რომელსაც რომაელი ისტორიკისი, სტრაბონის გავლენით „კამარებს“ უწოდებს. სინამდვილეში, ტაციტისავე აღწერით ამ ნავებს არაფერი არ აქვთ საერთო კამარებთან. მათ ჰქონდათ განიერი მუცლები და დაბალი გვერდები. ისინი შეკრული იყვნენ ბრინჯაოსა და რკინის სამაგრის გარეშე (ე. ი. გვერდის ფიცრები მიჭედილი ქონდა ერთ ხისაგან გამოთლილ ტანს). ზღვის ღელვის დროს „ტალღების სიმაღლის მიხედვით“ ნავებსაც სიმაღლეს უმატებდნენ ფიცრებით“, ვიდრე სახლის სახურავივით არ გადაიხურებოდა“. ტაციტის აღწერილ ნავებს გააჩნდა, ორივე ბოლოს „ერთნაირი ცხვირები და ერთნაირი მოსასმელი ნიჩბები, ისე რომ ორივე ცხვირით თანაბრად და უვნებლად შეეძლო ნაპირზე მიდგომა“.

ფეოდალური ხანის საქართველოს ზღვისპირეთში, კერძოდ, ლაზეთში, ამგვარი ტიპის ნავები ეთნოგრაფიულ სინამდვილეში უკანასკნელ ხანამდე იყო შემორჩენილი. XVII საუკუნის ცნობილ თურქ მოგზაურს ევლია ჩელების აღწერილი აქვს ამავე რეგიონის ნავი, რომელსაც იგი მენექსილას უწოდებს. ეს სახელწოდება ბერძნული მონოქსილოს დამახინჯებული გადმოცემაა და ერთი ხისაგან გამოთლილს ნიშნავს. თურქი მოგზაურის ცნობით, ამგვარი ნავი მდ. ჭოროხის ნაპირზე მოჭრილი სამი ალვისხისაგან იყო აგებული და გობის მოყვანილობა ჰქონდა. მენექსილას ერთი დიდი ფიცარი ქვემოდან ჰქონდა მიჭედილი, თითო-თითო გვერდებზე დამატებით ნავის გვერდებზე ლერწმისა და ჭილის წნული იყო მიკრული, რის გამოც ზღვის ქარიშხალი მენექსილაში ვერ აღწევდა. ევლია ჩელების ცნობით, ამგვარი ტიპის ნავები „გობის მოყვანილობის საუცხოო ნავებია, რომელთაც თავი და ბოლო არ ატყვია“. რაც იმას ნიშნავს, რომ თურქი მოგზაურის მიერ აღწერილ ნავებს ტაციტის „კამარასავით“ ორივე მხარეს ერთნაირი ცხვირები გააჩნდა. რომაელი ისტორიკოსისა და თურქი მოგზაურის მიერ აღწერილ სანაოსნო საშუალებაში იმდენი რამაა საერთო, რომ ისინი ერთი ტიპის ნავებად უნდა მივიჩნიოთ. მათი ქართული სახელწოდება კი, ჩვენი აზრით, ოლეჭკანდერი||ოლაჭკანდარი უნდა იყოს.

ეს უკანასკნელი კი ჩვეულებრივ, მეკობრეთა ნავს წარმოადგენდა, რომელზედაც რამდენიმე ასეული მეზღვაური ეტეოდა. ოლეჭკანდერის ეკიპაჟი თავს ესხმოდა ღია ზღვაში მოცურავე ნავებს ან კიდევ სანაპირო ზოლში მცხოვრებ მოსახლეობას.

ქართველ ლექსიკოგრაფებთან და ფეოდალური ხანის წერილობით ქართულ ძეგლებში მოხსენებულია სხვადასხვა ტიპის თუ ზომის ნავების რამდენიმე სახელწოდება. მათ შორის ქრონოლოგიურად ყველაზე ადრე დამოწმებულია კარაპი (ვარიანტები კარაპა, კარაპითა). ეს სიტყვა ბერძნულია. ამავე ძირიდანაა მიღებული აგრეთვე რუსული კორაბლი და ევროპიული კარაველა. იგი ჩვენში, ისევე როგორც საბერძნეთში, საშუალო ზომის ნავს აღნიშნავდა, ასეთივე ტიპის ნავი უნდა ყოფილიყო ქართულ წყაროებში დამოწმებული კოპანოც.

გვიანფეოდალურ ხანაში შედარებით დიდი ზომის ნიჩბიანი ნავებს კარპაჭს უწოდებდნენ. იგი ერთ იალქნიანი იყო. ერთ აფრიანი მოდიდო ნავს წარმოადგენდა სანდალიც, რომელსაც ძირითადად ტვირთის გადასაზიდად იყენებდნენ.

საშუალო ზომის ნავებს შორის ქართველი ლექსიკოგრაფები ასახელებენ ონჩხომელი||ორჩხომელის. ეს სახელწოდება მეგრული

სიტყვიდან ჩხომი (თევზი) უნდა მოდიოდეს. იგი თავდაპირველად ზღვაზე სათევზაო ნავს ეწოდებოდა. შემდგომში, ონჩხომელი||ორჩხომელი დიდი ზომის ნავს აღნიშნავდა, რომლითაც, როგორც თევზაობა, ისე შორეულ მხარეში მოგზაურობა იყო შესაძლებელი. ასეთი ტიპის ნავი გამოხატულია ქრისტეფორე კასტელის ალბომში. იგი წარმოადგენს ნიჩბიან ნავს, რომელსაც ერთი ანძა გააჩნია. ონჩხომელის სანაოსნო შესაძლებლობებზე კარგად მეტყველებს წარწერა, რომელიც ამ ნავის გამოსახულებას ახლავს აქ: „ჩვენი პატრების ნავი სოფელ ანაკლიაში, რომლითაც სათევზაოდ მიდიოდნენ და კონსტანტინოპოლში შემოსული სანოვაგეც მოჰქონდათ, რომელსაც პაპი ურბანოს განკარგულებით კონგრეგაცია გზავნიდა“.

IX-Xსს.-დან შორეულ ნაოსნობაში ყველაზე მეტი გავრცელება მოიპოვა გალერის ტიპის ნავებმა, რომელზედაც ნიჩბები ორივე მხარეს თითო რიგად იყო განლაგებული. თვითოეულ მათგანთან „დასაჯდომელი სკამის სახედ ფიცარზედ“ ხუთი-ექვსი მენიჩბე იჯდა. დიდი ზომის გალერაზე თვითოეულ მხარეს ოცდაათ-ოცდაათი ნიჩაბი იყო განლაგებული, ხოლო მენიჩბეთა რიცხვი სამას კაცს აღწევდა. გალერას ერთი აფრა გააჩნდა. მისი სიჩქარე, რომელიც შედარებით მაღალი იყო, ძირითადად მენიჩბეებზე იყო დამოკიდებული, გალერა გამოიყენებოდა როგორც სამხედრო, ისე მშვიდობიანი დანიშნულებისათვის.

„საქმეთა მოციქულთას“ X საუკუნის ქართულ ხელნაწერში მოხსენებულია „ჟუამალდი“, რომელიც გალერის უძველესი ქართული სახელწოდება უნდა იყოს. მოგვიანებით ამ მნიშვნელობით იხმარებოდა ხომალდი, ხოლო „ჟუამალდს“ საბა-სულხან ორბელიანის ცნობით, მცირე ზომის გალერას მნიშვნელობა შემორჩა.

ჟუამალდი||ხომალდის ეტიმოლოგია უცნობია. შუა ბერძნულში სიტყვა (ხელანდონ) ყოველგვარი ტიპის ნავს აღნიშნავდა. ეჭვის გარეშეა. რომ ქართული ხომალდი და ეს ხელანდი ერთი წარმოშობის უნდა იყოს. სამწუხაროდ არც ამ ბიზანტიური სიტყვის წარმომავლობაა გარკვეული.

გალერების ერთ ტიპს, რომელსაც ძირითადად სამხედრო დანიშნულება ჰქონდა, ქართველები კატარღას უწოდებდნენ. ეს სიტყვა ბიზანტიური ხანის ბერძნულიდან მოდის. კატარღა ამავე მნიშვნელობით ქართულის გარდა გავრცელებული იყო რუსულში და ბალკანეთის ტერიტორიაზე მოსახლე ზოგიერთ სამხრეთ სლავური ხალხების ენებში.

დღეს ქართველები დიდი ზომის ნავს (ფეოდალური გაგებით) გემს უწოდებენ. ეს სიტყვა თურქულია და ჩვენს ენაში გასული საუკუნის მეორე ნახევარში დამკვიდრდა ამ ზოგადი მნიშვნელობით. გვიანფეოდალურ ხანაში გემის ნაცვლად იხმარებოდა ხომალდი, რომელიც კონკრეტული სანაოსნო ტიპის ნავს გარდა ყველა დიდი ზომის საზღვაო ტრანსპორტს გამოხატავდა. ამავე დროს ტერმინმა ნავმა თავისი ყოვლისმომცველი მნიშვნელობა ქართულში XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე შეინარჩუნა.

შუაფეოდალურ ხანაში დიდი ზომის ნავებს შორის, ხომალდის და კატარღას გვერდით გავრცელებული იყო დრომონი; იგი ბერძნული ბიზანტიურ ხანაში შემოდის, ჩვენთან, ისევე როგორც სხვაგან, ეწოდებოდა გრძელ და ვიწრო გემს, რომელზედაც მენიჩბეები თვითეულ მხარეს ორ-ორ რიგად იყვნენ განლაგებულნი, გვიანფეოდალურ ხანაში ამგვარი ტიპის გემები აღარ არსებობდნენ, მაგრამ სახელწოდება დრომონი შემორჩა. თუმცა შინაარსი შეეცვალა. ამ პერიოდში ეს სახელი ეწოდებოდა დიდ გემს, რომელსაც იტალიელები გალეას, თურქები კი გალიონს უწოდებდნენ. მისი ეკიპაჟი ათას კაცამდე აღწევდა. თავდაპირველად მასზე ორი ქვემეხი იდგა, ხოლო თურქულ გალიონზე კი 60-დან 120 ქვემეხი. გვიანფეოდალური დრომონი სამ ანძიან გემს წარმოადგენდა.

დრომონისაგან განსხვავებით, ამ ხანაში კატარღას ქართველები უწოდებდნენ ორანძიან გემს, რომელიც თურქულ კადარგას შეესაბამებოდა. ამ გემის თითოეულ მხარეს დაახლოებით ოცდაოთხი ნიჩაბი ჰქონდა, და ერთი დიდი, ოთხი საშუალო და რვა პატარა ქვემეხით იყო შეიარაღებული.

საბას ლექსიკონში მოხსენებულია კიდევ ორი ტიპის ნავი: პურკატა||პურკატი და ზარბუნა. პურკატა||პურკატი ფრეგატის დამახინჯებული თურქული გადმოცემაა. იგი წარმოადგენდა მცირე ზომის იალქნიან გემს, რომელზედაც ათი-ჩვიდმეტი წყვილი ნიჩაბი იყო განლაგებული. ზარბუნაც თურქული სიტყვაა და მცირე ზომის სატვირთო გემს ეწოდებოდა.

„მრავალ ნავს“ ე. ი. ფლოტს ქართველების სტოლას-სტოლს უწოდებდნენ. ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობის ბერძნული (სთოლოს)-დან მოდის.

ქართველი ლექსიკოგრაფები და ფეოდალური ხანის ქართული ლიტერატურა საშუალებას იძლევა შევისწავლოთ ამ ხანის სანაოსნო საშუალებათა აგებულება. დავადგინოთ შესაბამისი ტერმინოლოგია.

ნავის წინა ნაწილს, ცხვირს „ნავის თავი“ ეწოდებოდა. მასზე ჩვეულებრივ სპეციალური ტარანი იყო მიმაგრებული, რომელიც მოწინააღმდეგეთა ხომალდების დასაზიანებლად გამოიყენებოდა. ამ ტარანს ძელი ეწოდებოდა, ხოლო მასზე წამოცმულ რკინას „სახნისი“, ნავის უკანა ნაწილს, კიჩოს ქართველები უწოდებდნენ „ბოლო კერძოჲ ნავისა“ ან კიდევ „ბოლო ნავისა“, ხოლო ნავის გვერდებს — „ბაგე ნავისა“.

წყალზე ნავისათვის მიმართულების მიცემა, ისევე როგორც დღეს, საჭეთი ხდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერმინი ქართული წარმოშობისაა და სიტყვა საჭერი-დან მოდის. მცირე ზომის ნავებში ამ მიზნით წვრილ და გრძელ ჯოხებს იყენებდნენ, რომელსაც „ხალას“ უწოდებდნენ. დიდი ზომის ნავებში საჭე წარმოადგენდა გრძელ ფიცარს, რომელიც წყალში იყო ჩაშვებული და ამავე დროს გემის კორპუსზე იყო მიმაგრებული. ხშირად საჭის ფიცარი ხომალდის კიჩოს ერთ გვერდზე იყო მიმაგრებული. დიდი ზომის ხომალდებში კი ორი საჭის ფიცარი იყო გამოყენებული, რომლებიც კიჩოს ორივე მხარეს მაგრდებოდა. ამის გამო ქართულ ლიტერატურის ძეგლებში ზოგჯერ მრავლობითი ფორმით „საჭენნია“ ნახმარი. გვიანფეოდალურ ხანაში საჭის ფიცარი, როგორც წესი, ნავის უკანა მხარეს იყო მიმაგრებული. ჩვეულებრივ მისი მართვა სპეციალური სახელურით ხდებოდა.

ძველ ქართულში საჭის პარალელურად რამდენიმე ტერმინი იხმარებოდა, როგორიცაა: „ნავის სახერველი“, „ნავის სამართი“, „აფთიონი“ „პიდალიო“ და ტიმონი“. ბოლო ორი ტერმინი ბერძნულიდან მოდის და ქართულის გარდა მრავალ ევროპულ ენებშია შესული. ამ ენებში, ისევე როგორც ბერძნულში ისინი საჭის მნიშვნელობით იხმარებოდა.

საჭიდანაა მიღებული მესაჭეც, რომელსაც ნავის კურსის გამართვა ევალებოდა. ამის პარალელურად ქართულს ენის ძეგლებში გვხვდება „ნავის მავლინებელი“, ნავის მმართებელი“, „ნავკოსალარი“ და „მენავეთ მოძღვარი“, რომელიც მცირე ზომის ხომალდებზე შეიძლება დღევანდელი ტერმინოლოგიით კაპიტანსაც გამოხატავდა (საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში ორივე ფუნქციას ერთი პირი ასრულებდა).

საჭის ძელი კიჩოზე იყო მიმაგრებული. აქვე, კიჩოზე იყო მესაჭის ადგილი. „ნავის თავში“, ნაოსნობის დროს მესაჭის თანაშემწე იდგა, რომელიც თვალყურს ადევნებდა ნავის წინ გადაშლილ ზღვას და ღამე — ცის ვარსკვლავებს, ხოლო დღე — მზის გადაადგილებას. ამავე პირის მოვალეობას შეადგენდა თვალყური ედევნებინა ნავის ეკიპაჟის წევრების საქმიანობისათვის. ბერძნულად ნავის წინა ნაწილს პრორა ეწოდება; ამის გავლენით ქართველები მესაჭის თანაშემწეს „მეპრორეს“ უწოდებდნენ, ან კიდევ ქართულ ტერმინს — „მპირველობს“.

მეზღვაური ქართულში ახალი სიტყვაა; ძველად ნავის ეკიპაჟის ყველა წევრს, მენავე ეწოდებოდა. ნაოსნობაში ქარის გამოყენება ადამიანმა ჩვენი ერის დადგომამდე ორი ათასი წლის წინათ ისწავლა, მაშინ, როდესაც იალქანი გამოიგონა. თვითონ ეს სიტყვა თურქულია და ჩვენს ენაში გვიანფეოდალური ხანის უკანასკნელ საუკუნეებშია შემოსული. მის ნაცვლად თავდაპირველად ქართველები „აფრას“ ხმარობდნენ, ხოლო მოგვიანებით — „აფქიონსაც“. იალქანის მომსახურე პერსონალს „მეაფქიონე“ „მეაფრე“ ან კიდევ „ნავის აფრათ განმგე“ ეწოდებოდა.

ნავის იმ ძელს, რომელზედაც აფრა იყო დამაგრებული, ანძა ეწოდებოდა.

გვიან შუასაუკუნეების დადგომამდე ნაოსნობაში ქარის ძალის გამოყენებას დამხმარე მნიშვნელობა ჰქონდა. ძირითადი იყო ადამიანის კუნთები, რომლებიც ნიჩბების დახმარებით ამოძრავებდნენ ნავებს. ამ უკანასკნელთ თავდაპირველად არავითარი ფორმა არ გააჩნდათ და უბრალო ხის ჯოხებს წარმოადგენდნენ. ანტიკური ხანის საბერძნეთში იგი თავისი ფორმით ყველაზე გავრცელებულ სამიწათმოქმედო იარაღს ნიჩაბს დაემსგავსა და სახელიც შესაბამისი მიიღო, რაც ქართველებმა ნიჩაბად თარგმნეს. ქართულში შემოდის ხოპი||ხოფი, რომელიც ამავე მნიშვნელობის ბერძნულ სიტყვა (ხოპე) მოდის.

ნიჩაბთან მსხდომ ნავის ეკიპაჟის წევრებს ქართველები ჩვეულებრივ „ნიჩბის მცემელებს“, „მენიჩბეებს“ ან კიდევ „მეხოფეებს“ უწოდებდნენ.

ყოველგვარი სანაოსნო საშუალების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს ღუზა. თვითონ ეს სიტყვა ქართულში შედარებით გვიან არის შესული, მკვლევართა აზრით. ირანული წარმოშობის ერთ-ერთი ენიდან. როგორც ცნობილია, თავდაპირველად ადამიანები ქვის ღუზებს იყენებდნენ, რომლის ქართული შესატყვისი დღეისათვის არაა დადგენილი. მოგვიანებით საბერძნეთში გამოგონილი იქნა რკინის ღუზა, რომელიც შემდეგ მთელ იმდროინდელ მსოფლიოში გავრცელდა. ძალიან დიდი ხნის განმავლობაში რკინის ღუზებს კავის ფორმა გააჩნდა, რის გამოც ანტიკური ხანის ბერძნებმა მას (აგკურა) უწოდეს, რომელიც ამავე დროს კავსაც ნიშნავს. ეს ბერძნული სიტყვა თანდათანობით გავრცელდა შესაბამისი გახმოვანებით ევროპის თითქმის ყველა ენაში, აგრეთვე არაბულში. ქართველებმა ღუზის ბერძნული სახელწოდებაც გადმოიღეს „ანკურა“ და ამ ტერმინის ქართული თარგმანიც „კავი“—ასე ეწოდებოდა ღუზას ქართულში ადრე და შუა ფეოდალურ ხანაში. გვიანფეოდალურ ხანაში ამ ტერმინის პარალელურად შემოდის მისი დღევანდელი სახელი ღუზაც, რომელმაც კავი ხმარებიდან მხოლოდ გასულ საუკუნეში გამოდევნა.

თუ ღია ზღვაში ნავის გასაჩერებლად ღუზა იყო საჭირო, ნავსადგურში მისი ნაპირზე დასაკავებლად თოკი იყო საჭირო, რომელსაც „საბელი“ ეწოდებოდა. გვიანფეოდალურ ხანაში, მსხვილ საბელს, რომელზეც ნავის დასამაგრებლად იყენებდნენ ბაგირი ეწოდა.

თამაზ ბერაძე

ზღვაოსნობა ძველ საქართველოში

ნავის კაპიტანს ქართველები „წინამძღვარს“ ან კიდევ „ნავის უფალს“ უწოდებდნენ, ეს უკანასკნელი ხშირად ნავის მეპატრონესაც აღნიშნავდა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ჩვეულებრივ ნავის კაპიტანი და მეპატრონე ერთიდაიგივე პირი იყო, რომელსაც ნავის დამქირავებელი ქირას „სანავეს“ უხდიდა.

როგორც წესი, ნავებს ტვირთთან ერთად მგზავრებიც გადაყავდათ. მათ ფეოდალურ ხანაში ეპივატი ეწოდებოდათ. ეს ტერმინი ბერძნულია და ამავე მნიშვნელობის ბერძნული სიტყვიდან მოდის.

დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის მცხოვრებლებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზღვაში თევზაობას, რომელიც ჩვეულებრივ იალქნიანი ნავებით წარმოებდა... ამ საქმიანობით დაკავებულ ადამიანს „მეთევზე“ ან კიდევ „მეთევზური“ ეწოდებოდა, როგორც წესი, თევზაობდნენ ბადით ანუ სათხეველით, რის გამოც ბადის სროლას „თხევლასაც“ უწოდებდნენ. ზღვაში მეთევზეები იყენებდნენ სასროლ და მასე||მოსე ბადეებს. ამ უკანასკნელს სიმძიმეები არ გააჩნდა და მოსასმელ ბადეს წარმოადგენდა.

„ნავის მაშენებელ“ ხელოსნებს „ნავსე“ ან კიდევ „ნავის მოქმედნი“ ეწოდებოდა. ზოგჯერ ამ ცნების გამოსახატავად ტერმინ „კალაფტანსაც“ ხმარობდნენ.

ნავის ეკიპაჟს შორის ყველაზე საპატიოდ მესაჭის ხელობა ითვლებოდა, რომლის „ხელოვნება“ ძალზე ფასდებოდა. ნაოსნობის დაწყებისათვის ჩვეულებრივ შესაფერ ამინდს „ტაროსს“ ირჩევდნენ. „ტაროსის ქარი“ „კეთილ და ჰამო“ ნიავს წარმოადგენდა, რომელიც ნავს ზურგიდან უბერავდა.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ზღვის სამეურნეო ათვისება ნეოლითის ეპოქაში დაიწყო. ამავე ხანაში ჩაეყარა საფუძველი ზღვაოსნობის განვითარებას აქ მოსახლე ქართული მოდგმის ტომებში, რამაც ამ ტომებს მძლავრი საშუალება მისცა შავი ზღვის სანაპიროების ათვისების საქმეში: ძვ. წ. ა. VI საუკუნის დასაწყისისათვის მათ ეკავათ თითქმის მთელი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი და სამხრეთ შავიზღვისპირეთის დიდი ნაწილი.

პირველი ცნობა ქართველთა ზღვაოსნობის შესახებ, არგონავტების ბერძნულ მითშია დაცული, სადაც ლამაზად არის მოცემული თუ როგორ შეაცურეს კოლხებმა თავიანთი აფრიანი ხომალდები მდ. რიონში და შემდეგ ზღვაში, რათა ოქროს საწმისის გამტაცებელ ბერძნებს დადევნებოდნენ. მდევარი, არგონავტებს შორს, მდ. დნეპრის შესართავში დაეწია. მხოლოდ იასონისა და მედეას მზაკვრობამ გადარჩინა ბერძნები სამართლიან შურისძიებისაგან.

საკმაოდ მრავალი ცნობა შემოგვინახა ქართველების ზღვაოსნობის შესახებ ანტიკურმა წყაროებმა. ძვ. წ. ა. V ს-ის ბერძნულ საისტორიო მწერლობაში (ქსენოფონტე, ჰიპოკრატე) მოხსენებულია დასავლურ ქართული ტომების „ერთ ხეში ამოღებული ნავები“, რომლებიც ფართოდ გამოიყენებოდა სანაოსნოდ, როგორც კოლხეთის დაბლობზე მდინარეებსა და არხებში, აგრეთვე შავი ზღვის გასწვრივ საკაბოტაჟო ნაოსნობისათვის.

ელინისტურ ხანაში კოლხები შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთ საუკეთესო ზღვაოსნებად ითვლებოდნენ. სწორედ ამიტომ, რომის მრისხანე მეტოქეს, პონტო მეფე მითრიდატ VI „მეტი ძალებისა სანაოსნო სამსახურისა“ კოლხეთიდან მოდიოდა, ხოლო პონტოელებისა და შემდეგ რომაელთა ბატონობისაგან თავისუფალი ქართველური ჰენიოხთა ტომი თავის კამარა ნავებით შიშის ზარს სცემდა შავ ზღვაზე მოცურავე ხომალდებს. ისინი თავიანთი ნავებით არა მარტო აღმოსავლეთ შავი ზღვისა და ყირიმის სანაპიროებს არბევდნენ, არამედ თავს ესხმოდნენ ყირიმის სამხრეთით მდებარე შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, I საუკუნის რომაელი ისტორიკოსი ტაციტი თავის თხზულებაში აღწერს საქართველოს ზღვისპირეთში გავრცელებული ერთი ტიპის ნავს და საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევს მის საზღვაოსნო თვისებებს.

ანტიკური ხანის ქართული ზღვაოსნის მაღალ დონეზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის აგათია სქოლასტიკოსის ერთი ცნობის მიხედვითაც: „ამ მხარის წინანდელ მცხოვრებლებს (ლაპარაკია დასავლეთ საქართველოზე, — თ. ბ.) სრულიად არ სცოდნიათ ზღვის დადებითი თვისებები... სანამ მათთან არგოს ნავი მოვიდოდა. ეხლანდელი მცხოვრებლები დასცურავენ კიდეც რამდენად შესაძლებელია და ვაჭრობაშიც (იგულისხმება საზღვაო ვაჭრობა — თ. ბ.) ნახულობდნენ დიდ სარგებლობას“.

ადრე და შუაფეოდალური ხანის წერილობითი წყაროები ფაქტიურად სდუმან ქართველთა ზღვაოსნობის შესახებ. სინამდვილეში შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ უძლიერეს ქვეყანას, როგორსაც წარმოადგენდა ამ ხანის საქართველო, თავისი ფლოტი აუცილებლად უნდა ჰყოლოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი საუკუნეთა მანძილზე ვერ შეინარჩუნებდა ისეთ ციხე-სიმაგრეს, როგორიცაა ნიკოფსია. უკადურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში მდებარე ამ ციხე-ქალაქის მომარაგება საქართველოდან. მხოლოდ ზღვით იყო შესაძლებელი.

შუაფეოდალური ხანის ქართული საისტორიო თუ საეკლესიო მწერლობა ამყარებს საზღვაო საქმისა და შესაბამისი ტერმინოლოგიის კარგ ცოდნას. აქვე დაცულია რამდენიმე ცნობა, რომლებიც არაპირდაპირ ქართველთა ზღვაოსნობაზე მიგვითითებენ.

„მატიანე ქართლისას“ ავტორი მოგვითხრობს IX საუკუნის დასასრულს. აფხაზეთის სამეფო კარზე მომხდარი გადატრიალების შესახებ, რის შედეგად კანონიერი ტახტის მემკვიდრე ბაგრატი „შთაგდეს ზღუასა. ხოლო ღმერთმან განარინა იგი მიიწია ქალაქ კონსტანტინოპოლად“. ამ შემთხვევაში ღმერთი ხომალდისა და გამოცდილის მესაჭის სახით მოევლინა უფლისწულს, რომელმაც ზღვით მიაღწია ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქს. საეჭვოა, რომ ბაგრატს უცხო ქვეყნის ნავი გამოეყენებია: ეს ფაქტი ჩვენ ისტორიკოსს მოუხსენებელი არ დარჩებოდა, როგორც უფლის წყალობის კიდევ ერთი გამოვლენება.

1168 წლის ახლო ხანებში სამშობლოდან ბიზანტიაში დაბრუნდა გამოჩენილი ქართველი ექვთიმე მთაწმინდელი. კონსტანტინოპოლში იგი ზღვით გაემართა. გიორგი მცირე, რომლის კალამსაც გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება ეკუთვნის, საკმაო დაწვრილებით აღწერს იმ სიძნელეებს, რომლებიც ცუდი ამინდის გამო შეხვდათ ზღვაში მოგზაურებს. ამავე დროს იგი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნოდა ის ნავი, რომლითაც გიორგი მთაწმინდელმა იმოგზაურა.

ანალოგიურად იქცევა თამარის პირველი ისტორიკოსიც როდესაც თავის თხზულებაში მოგვითხრობს საქართველოდან გაძევებული თამარის პირველ მეუღლე გიორგიზე, რომელმაც „აურაცხელი ლარითა სიმდიდრითი და საჭურველითა... მიიწია ნავითა ზღუად კონსტანტინოპოლად“.

ორივე შემთხვევაში დუმილი ხომალდის წარმომავლობის შესახებ სრულებითაც არაა შემთხვევითი. ორივე ნავი ადგილობრივი უნდა იყოს, თორემ ავტორები აღნიშნავდნენ თუ რომელ ქვეყანას ეკუთვნოდა ისინი. ქართველთა ზღვაოსნობა შუა ფეოდალურ ხანაში კი იმდენად ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენდა, რომ არც გიორგი მცირეს და არც თამარის ისტორიკოსს, აზრითაც ვერ მოუვიდოდათ ხომალდების ადგილობრივ წარმოშობისათვის გაესვათ ხაზი.

შუაფეოდალური ზღვაოსნობის მაღალი დონე ქართულ საერთო მწერლობიდანაც კარგად ჩანს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ და ჩახრუხაძის „თამარიანი“.

შოთა რუსთაველის პოემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ზღვას. აქ მოხსენებულია ნავი და მისი რამდენიმე სახეობა: კატარღა (ეს უკანასკნელი ქართულში პირველად „ვეფხისტყაოსანშია“ დამოწმებული), ხომალდი; აქვე დაწვრილებითაა აღწერილი „ნავი მეკობრე“ თავისი „დროშითა მეტად გრძელითა“, რომელსაც „ნავთა სალეწად სახნისი ჰგია ძელითა“.

„თამარიანის“ VIII და IX ოდებში მოცემულია შუა ფეოდალური ხანის უმნიშვნელოვანესი სახმელეთო და საზღვაო გზების სქემატიკური აღწერილობა. ჩახრუხაძე ერთ-ერთი პირველი მსოფლიო ლიტერატურაში, აღწერს მაგისტრალს, რომელიც ინდოეთსა და ჩინეთს დასავლეთ ევროპასთან აკავშირებდა. ეს გზა გაივლიდა შუა აზიას, ვოლგისპირეთს და ჩრდილოეთ კავკასიის ველებს. შემდეგ აზოვისა და შავი ზღვით იგი კონსტანტინოპოლამდე აღწევდა, ხოლო აქედან კი დასავლეთ ევროპის ხმელთაშუა ზღვისპირა ქვეყნების ნავსადგურებამდე. როგორც ცნობილია ეს უმნიშვნელოვანესი სავაჭრო მაგისტრალი ევროპიელებისათვის „თამარიანის“ შექმნიდან დაახლოებით სამი მეოთხედის საუკუნის შემდეგ გახდა ცნობილი.

შოთა რუსთაველი და ჩახრუხაძე თავის დროის ძალზე განათლებულ ადამიანებს წარმოადგენდნენ. მიუხედავათ ამისა, ზღვაოსნობისა და სავაჭრო გზების ასე დაწვრილებით ცოდნას ისინი მხოლოდ წიგნებიდან ვერ მიიღებდნენ. ამაში დიდი როლი ითამაშა ზღვაოსნობისა და საზღვაო ვაჭრობის მაღალმა დონემ, რომელიც ამ დროს ჩვენ ზღვისპირეთს ახასიათებდა. ჩვენი აზრით, სრულიადაც არაა შემთხვევითი, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენებული ქაჯეთის ციხე თავისი სეხნიას შავი ზღვისპირეთში პოულობს. როგორც ცნობილია, ეს სახელი ეწოდებოდა იმ ციხეს, რომელიც ზღვის პირას იდგა დღევანდელი ციხის ძირის მიდამოებში.

XIV-XV სს. წერილობითმა წყაროებმა ძალზე ცოტა ცნობა შემოგვინახა საკუთრივ დასავლეთ საქართველოზე. შესაბამისად ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით ამ საუკუნეების ქართული ზღვაოსნობის შესახებ. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ქართველთა აქტიურ მონაწილეობას ამ ხანის შავი ზღვისპირეთის ვაჭრობაში, უნდა ვიფიქროთ, რომ ზღვაოსნობა დასავლეთ საქართველოში კვლავინდებურად მაღალი იყო. ამავე დროს მთელი რიგი მიზეზების გამო მას არ შეხებია ის პროგრესი, რომელიც დასავლურ ევროპულმა ნაოსნობამ განიცადა XIV-XV სს.-ში. ქართული ზღვაოსნობა გაიყინა და კვლავინდებურად შუა ფეოდალური ეპოქის დონეზე დარჩა.

XVI საუკუნის წერილობითი წყაროები კარგად მოწმობენ, რომ ქართველებს ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ძალები გააჩნდათ შავ ზღვაზე. 1533 წელს დასავლეთ საქართველოს ლაშქარი ოდიშისა და გურიის მთავრობის მეთაურობით ჯიქეთში გაემართა „საბრძოლოდ, ზღჳთ ნავებითა“ ქართველების ლაშქარი ჯიქეთის სანაპიროზე გადასხდა. ეს არის ქართული ფლოტის ერთადერთი სადესანტო ოპერაცია, რომელიც კი ჩვენთვისაა ცნობილი. სამწუხაროდ, ოპერა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცია მარცხით დამთავრდა. პირველ დღეს, 30 იანვარს ქართველებმა ომი მოიგეს. მეორე დღეს, კი პარასკევს, 31 იანვარს ქართულ ლაშქარში ღალატმა იჩინა თავი. ფლოტმა ბრძოლის ველი მიატოვა და სამშობლოსაკენ გამოემართა. ზღვიდან დახმარებას მოკლებული ქართველები სასტიკად დამარცხდნენ: მეომრები ან გაწყდნენ ან კიდევ ტყვედ ჩავარდნენ.

ღალატმა გადაწყვიტა სამხედრო კამპანიის ბედი XVI საუკუნის 50-იან წლებშიც, როდესაც, თურქები გურიას შემოესივნენ. ოსმალებმა აიღეს გონიო. შემდეგ გადმოლახეს ჭოროხი და ბათუმიც დაიკავეს. გურიის მთავრის ლაშქარმა ბათუმი გაანთავისუფლა, მაგრამ ნავების სიმცირის გამო ჭოროხი ველარ გადალახა და გონიო ვერ დაიკავა. რეალური დახმარება მხოლოდ ოდიშის მთავარს შეეძლო, რომელსაც როგორც ჩანს მოეპოვებოდა ძალები, რომ თურქეთის ფლოტს გამკლავებოდა. სამწუხაროდ ღალატმა საქმე ჩაფუშა. ფოთში, „რიონის ლიმონში" დასადგურებული ლევან I დადიანი თავის მეზობლებს ვერ მიეშველა. ამათაც „კატარღა და ნავები" ველარ იშოვეს და გონიოს ციხე და ჭანეთიც თურქებმა დაისაკუთრეს.

ლევან I დადიანი კარგად გრძნობდა იმ ტექნიკურ უპირატესობას, რომელიც ამ დროისათვის მსოფლიოში უძლიერეს თურქულ ფლოტს, გააჩნდა ქართულ საზღვაო ძალებთან შედარებით. 1557 წელს ოდიშის მთავარი სტამბოლს გაემგზავრა. სხვა სათხოვარ მუხლებს შორის ერთ-ერთ მთავარს წარმოადგენდა ოდიშის მთავრის სურვილი რამდენიმე პირველ ხარისხოვანი სამხედრო ხომალდი მიეღო ჭიქებთან საბრძოლველად. ამ ხომალდების ეკიპაჟი ლევან I დადიანს სახვეწარი არ ჰქონდა. ეტყობა ოდიშში მრავალი მეზღვაური იყო, რომელიც იმ დროისათვის მოწინავე ხომალდების მომსახურებას შეძლებდა. ოდიშის მთავარს თან ახლდა ქრისტეკოჩი რატიანი, რომელიც მთავრის „მდივანი ყოფილა". ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად თურქეთის სულთანმა თხოვნა დააკმაყოფილა და ოდიშის მთავარს ცხრა ხომალდი გადასცა, რაც ამ დროისათვის მთელ ფლოტს წარმოადგენდა. შესაბამისად ქრისტეკოჩი რატიანი, რომელიც ლევან დადიანმა ამ ხომალდებად „წინამძღოლად" დასტოვა და „ხომალდის მდივნობა, მებაჟეობა და მოლარეობა" უბოძა, დღეისათვის ერთადერთი ქართველი „ადმირალია", რომელიც კი ჩვენთვისაა ცნობილი.

გაცხოველებულია ზღვაოსნობა საქართველოს ზღვისპირეთში თითქმის მთელ XVII საუკუნის განმავლობაში. ცდილობენ წყლის ტრანსპორტი გამოიყენონ ყველგან, სადაც კი ეს ოდნავ მაინც შესაძლებელია. ასე უნდა ყოფილიყო მთელი ფეოდალური ხანის განმავლობაში: წყლით ადამიანს ექვსჯერ მეტი ტვირთის წაღება შეეძლო, ვიდრე ხმელეთით, ერთიდაიგივე ენერგიის გამოყენებით. ამავე დროს სახმელეთო გზები ყოველთვის ვერ იყო წესრიგში. ამის გამო, ნავებით გადადიოდნენ და ტვირთი გადაჭქონდათ არა მარტო ზღვისპირა გურიას, ოდიშსა და აფხაზეთში, არამედ ქვეყნის შიგნით დიდი მდინარეების გაყოლებით. ჩვეულებრივ მდ. რიონით ვარციხის ციხემდე ადიოდნენ, მდ. ხობით დახობის მონასტრამდე, მდ. მოქვით—მერკულამდე და ა. შ. ამის გამო დასავლეთ საქართველოში ამ ხანაში ისეთი ხომალდები იგებოდა, რომლებიც ზღვაზე გამოდგებოდნენ და მდინარეზეც. ამგვარი ნავით მოგზაურობა აღწერილი აქვს პატრიარქ დოსითეოს. 1658 წ. იგი, როგორც რიგითი საეკლესიო პირი თან ახლდა პატრიარქ პაისს. მგზავრებმა ზამთარი ხობის მონასტერში გაატარეს. „დიდი მარხვის დროს" — წერს დოსითეოსი—„გაიხსნა ნაოსნობა და ჩვენ ჩავსხედით იბერიულ ნავში და მდინარის დინებით დავეშვით ზღვისკენ და მივაღწიეთ ფაზისს, რომელსაც ივერიელები რიონს უწოდებენ. მდინარე რიონიდან მივედით გურიის ნავსადგურ ქობულეთში, საიდანაც ავუვლეთ რა მდინარეს, ორი საათის განმავლობაში მივადექით ტაძარს და სასახლეს გურიელისას" (მოგზაური აქ გურიელთა საზაფხულო რეზიდენციას ალამბარს გულისხმობს).

არქანჯელო ლამბერტის ცნობით ნავებს იპეციალური ხელოსნები აგებდნენ, ცალკე იყო ხის მასალის გამყიდველი, ცალკე ლურსმნის მჭედელი. ამ დროს ოდიშსა და გურიაში დიდი რაოდენობით ამზადებდნენ ტილოს, ამიტომ საგულისხმოა რომ ადგილზევე მზადდებოდა იალქნებიც.

ოდიშის მთავრებს XVII საუკუნეშიც გააჩნდათ გარკვეული რაოდენობის სამხედრო ნავები, ვახუშტი ბაგრატიონი ხაზგასმით აღნიშნავს ლევან II დადიანის წარმატების ერთ-ერთ მიზეზს — მეკობრეობას. „განმდიდრდა ფრიად რამეთუ შემუსრნა ნავნი ზღუსანი"-ო აღნიშნავს სახელოვანი ქართველი ისტორიკოსი.

გვიანფეოდალურ ხანაში ზღვაზე სამსახური ერთ-ერთ ფეოდალურ ვალდებულებას წარმოადგენდა. დასავლეთ საქართველოს საბუთებში მრავალგზის არის მოხსენებული „მეთევზე", რომელიც თავის მოვალეობის ნაწილს ბატონის წინაშე თევზით იხდიდა ამის გვერდით რიგ საბუთში მოხსენებულია „მენავტობა", როგორც საპატიო ფეოდალური ვალდებულება. ეს ტერმინი ბერძნულიდან (ნაუთოს) მოდის, რომელიც ამ ენაზე მეზღვაურს—მენავეს ნიშნავს. „ნავტობა" ზღვისპირეთის ოდიშის გლეხების ვალდებულება იყო მთავრის წინაშე და ნავის სამსახურს ნიშნავდა მდინარეზე და ძირითადად კი ზღვაზე. საგულისხმოა, რომ ამ ვალდებულების საფუძველზე ოდიშის მთავრის საზღვაო ძალების შევსება ხდებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დურმიშხან ცინცაძე

საშვილიშვილო ძეგლი

ახლახან ქართულმა საზოგადოებამ დიდი პატივისცემით იტალიიდან ჩამოასვენა და დიდების პანთეონში სამარადისო ადგილი მიუჩინა გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსის მიხეილ თამარაშვილის ნეშტს. დიდია დამსახურება იმ ადამიანებისა, რომლებმაც ამ საშვილიშვილო საქმეს უთავკაცეს და თავი დაადგეს. ამის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა; ჩვენ მხოლოდ იმის გახსენება გვსურს, ვინც ქართველი საზოგადოების წინაშე ამ ღვაწლმოსილი მამულიშვილის სახე ისე წარმოაჩინა, როგორიც დღევანდელ განვითარებულ საბჭოთა ქართულ ისტორიოგრაფიას დამშვენდება.

თოთხმეტი წლის წინათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ დასტამბა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ახალი ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის შოთა ლომსაძის მონოგრაფია „მიხეილ თამარაშვილი". მკითხველთა განსაკუთრებული ინტერესისა და მონოგრაფიის მცირე ტირაჟის (იგი სულ 1000 ცალის რაოდენობით გამოიცა) გამო, მოკლე დროში წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და დღეს, როცა რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა ასეთი დიდი ამაგი დასდეს მიხეილ თამარაშვილის სახელის უკვდავყოფას, ვფიქრობთ, შოთა ლომსაძის მონოგრაფიის ხელახალი სრულყოფილი გამოცემა ჭეშმარიტად კარგი საქმე იქნება.

გამოჩენილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი 1911 წლის სექტემბერში, იტალიის სოფელ სანტა-მარინელაში 53 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა. 67 წლის შემდეგ იგი მიაბარეს ქართულ მიწას, რომლის ისტორიის შესწავლას მან თავისი შეგნებული ცხოვრება მთლიანად მოახმარა

მიხეილ თამარაშვილი ერთ-ერთი პირველი მკვლევართაგანია, რომელმაც საზღვარგარეთის სიძველეთსაცავებში დაცული საქართველოს ისტორიის დოკუმენტური მასალები გამოავლინა. მისმა წარმოჩენილმა საბუთებმა გააფართოვა საქართველოს ისტორიის კვლევის არე და ბევრი მანამდე საკამათო ფაქტი უდავო გახდა. მაგრამ საქართველოს ისტორიის ზოგიერთ მკვლევართა მსგავსად, ათეული წლების განმავლობაში მ. თამარაშვილის ღვაწლი მეცნიერული შეფასების გარეშე რჩებოდა. მის შესახებ არსებობდა ორიოდე საგაზეთო ცნობა და დაუღალავი მკვლევარის ზ. ჭიჭინაძის თამარაშვილისადმი მიძღვნილი ათიოდე გვერდიანი წიგნაკი, რომელიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. ამიტომაც შ. ლომსაძის მონოგრაფიამ „მიხეილ თამარაშვილი" ეს ხარვეზი შეავსო, მკვლევართა და ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა.

შ. ლომსაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მონოგრაფიაში მან არამარტო მ. თამარაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა აღწერა, არამედ ქართველ კათოლიკეთა ისტორიის საინტერესო საკითხებსაც შეეხო.

თამარაშვილების მკვიდრი სამყოფი ოდითგანვე მესხეთი იყო. გადმოცემით რაბათელი თამარაშვილები ჯავახეთის სოფლის თოკიდან გადმოსულან და ახალციხის რაბათში დასახლებულან, სადაც მისიონერ პატრებს მათთვის კათოლიკობა მიუღებინებიათ.

მიხეილის დედა გაიანე ბათმანაშვილი თავის დროისა და პირობების კვალობაზე — გამჭრიახი, გულისხმიერი და მწიგნობარი ქალი ყოფილა, რომელიც შვილებს სამშობლო ქვეყნისა და მშობლიური ენის ერთგულების გრძნობით ზრდიდა.

მიხეილ თამარაშვილი, რომელსაც ერისკაცობაში ალექსანდრე ერქვა, დაიბადა 1858 წელს, იგი ათიდან მეცხრე შვილი ყოფილა.

14 წლის მიხეილს მამა გარდაეცვალა, უმამოდ დარჩენილ ოჯახს გაუჭირდა. სკოლას თავი დაანება და ხარაზობა ისწავლა, 1874 წელს ის ქუთაისში ძმის სოლომონის სახელოსნოში ბედსა სცდის. ამავე დროს იგი ასომთავრულსა და ხუცურ წერა-კითხვას სწავლობს;

ახალციხეში დაბრუნებული მიხეილი, ივანე გვარამაძის დაჟინებული რჩევით, 1877 წლიდან სწავლის გასაგრძელებლად კონსტანტინეპოლში, ქართველი მოღვაწის პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ სასწავლებელში შედის, სადაც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა სწავლა. აქვე ჩინებულად დაეუფლა ფრანგულსა და ლათინურ ენებს

კონსტანტინეპოლის სასწავლებელში წარჩინებული სწავლისათვის მ. თამარაშვილი სამი წლით ესპანეთში გაიგზავნა სასწავლებლად, სადაც მან წარმატებით დაამთავრა სასულიერო სემინარია და კვლავ კონსტანტინეპოლში დაბრუნდა. აქ მას დიდხანს არ დაუყვია და შემდეგ სასწავლებლად პარიზს გაემგზავრა. აქა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ურმა სამეცნიერო ცხოვრების გაცნობამ თამარაშვილზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, პარიზის მუზეუმებში, წიგნთსაცავებსა და არქივებში მიიღო მან მომავალი მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის პირველი ნათლობა.

1888 წელს მ. თამარაშვილმა წარმატებით დაასრულა პარიზში ლაზარეს სასულიერო სასწავლებელი და კონსტანტინეპოლს გაემგზავრა. საიდანაც იგი საქართველოში დაბრუნდა, ცარიზმის ერთგულმა სატრაპებმა სულ მოკლე ხანში ის „სერიოზულად საშიშ“ პიროვნებად ჩათვალეს და მშობლიურ ახალციხეში გაასახლეს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ, სადაც კვლავ თავისი მასწავლებლის ივანე გვარამაძის ერთგულ თანაშემწედ იქცა სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადო საქმიანობაში. ახალციხეში მას დიდხანს არ დაუყვია. რამდენიმე ხნის შემდეგ ნასესხები ფულით ფარულად კონსტანტინეპოლის გავლით რომში ჩავიდა. აქ მან სასულიერო აკადემიაში წარმატებით ჩაბარა მისაღები გამოცდები და ჩვეული ენერგიით განაგრძო სწავლა. მ. თამარაშვილმა 1894 წელს წარჩინებით დაამთავრა სასულიერო აკადემია და ღვთისმეტყველების დოქტორის წოდება მოიპოვა.

აქედან იწყება მიხეილ თამარაშვილის ინტენსიური მეცნიერული მოღვაწეობა, მაგრამ ამ დიდი საქმის კონტურები ჯერ კიდევ ადრე მოხაზა, როდესაც პირველი კურსის სტუდენტმა ფრანგულ გაზეთში საკმაოდ ვრცელი წერილი გამოაქვეყნა საქართველოს ისტორიისა და ქართველი კათოლიკების შესახებ, რომელმაც გარკვეული გამოძახილი ჰპოვა ევროპაში.

1897 წლიდან მ. თამარაშვილი საფუძვლიანად მუშაობს ვატიკანის არქივებში. სულ მოკლე დროში მან მოამზადა 700 გვერდიანი ნაშრომი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, რომელიც დიდის ვაივაგლახით მხოლოდ 1902 წელს დაიბეჭდა. ნაშრომში მოტანილი დოკუმენტები და მეცნიერის მიერ წამოჭრილი საკითხები სცილდებოდა მის სათაურს და იგი საქართველოს ისტორიის მრავალ საკითხს მოიცავდა და ახლებურად აშუქებდა მას.

შ. ლომსაძე მისთვის დამახასიათებელი მეცნიერული კვლევის ანალიზით ცალ-ცალკე განიხილავს ყველა მნიშვნელოვან საბუთს, რომლებიც სიძველეთსაცავებში მ. თამარაშვილმა მიაკვლია და გამოამზეურა. ამ საბუთებს საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, საქართველოს ისტორიისათვის მე-13 საუკუნიდან მე-19 საუკუნემდე მოყოლებული. „ამ წერილების აღმოჩენითა და გამოქვეყნებით თამარაშვილმა ნათელჰყო, რომ მე-12 და მე-13 საუკუნეების (მონღოლთა შემოსევამდე) საქართველოს სამხედრო პოლიტიკური ძლიერება შესამჩნევი იყო საერთაშორისო მასშტაბით და რომ მსოფლიოს ბევრ სადაო საკითხის მოწესრიგებაში მას ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. როგორც პოლიტიკურ, ისე იდეოლოგიურ სარწმუნოებრივ შეხედულებებში სრული დამოუკიდებლობა ჰქონოდა მოპოვებული და საბერძნეთისაგან ანგარიშგაუწევლად ამყარებდა ურთიერთობას დასავლეთის სახელმწიფოებთან“, — სამართლიანად ასკვნის მკვლევარი..

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს გვიანფეოდალური ხანის ისტორიულ საბუთებსაც„ რომლებშიც ვეცნობით ქართული სახელმწიფოს საჭეთმპყრობელთა დიპლომატიურ და სამხედრო-პოლიტიკურ საქმიანობას. ამიტომაცაა, რომ თამარაშვილის ნაშრომს სავსებით სამართლიანად ქართველი ერის თავკაცის დიდი ილია ჭავჭავაძის „ივერია“ (1902 წლის № 254-ში), შემდეგ შეფასებას აძლევდა: „წიგნს ქართველობისათვის უფრო მეტი, უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ამ მნიშვნელობას გამოხატავს თვით გამოცემის სათაური... ეს მარტო კათოლიკობის ისტორია კი არ არის, არამედ საქართველოს შინაგანი ცხოვრების და პოლიტიკური მდგომარეობის ისტორიაა და ამ მხრივ ეს შესანიშნავი წიგნი მეორე „ქართლის ცხოვრებაა“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქართლის ცხოვრება უფრო პოლიტიკური მდგომარეობის ამბებს გვაძლევს და ეს წიგნაკი პოლიტიკურსაც და ეთნოგრაფიულსაც“,

ამ მეტად მნიშვნელოვანი შრომის გამოცემის შემდეგ მიხეილ თამარაშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რითაც მან გამოამჟღავნა დიდი მეცნიერის ალღო და ერუდიცია.

მიხეილ თამარაშვილის პოლემისტურმა გამოსვლებმა აღაფრთოვანა ქართველი საზოგადოება, ღვაწლმოსილ მეცნიერს სამადლობელი წერილები მისდიოდა რომში. თბილისში ცალკე წიგნად გამოიცა მისი უმთავრესი პოლემისტური შრომა „პასუხი სომხეს მწერლებს, რომელიც უარყოფენ ქართველთ კათოლიკობას (ისტორიული გამოკვლევა)“.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მ. თამარაშვილის მიერ ფრანგულ ენაზე გამოცემულ საქართველოს ეკლესიების ისტორიას, რომელიც მაშინ ევროპულ ენაზე ქართველის მიერ დაწერილი თითქმის ერთადერთი „უნივერსალური“ შრომა იყო, რომელიც საქართველოს საკითხით დაინტერესებული ევროპელი და სხვა უცხოელი მეცნიერებისათვის ნამდვილ მაგიდის წიგნად გადაიქცა, რასაც მის დიდ მეცნიერულ ღირებულებასთან ერთად განაპირობებს მისი შედგენილობის ხასიათი და მდიდარი, ლიტერატურული ფრანგული ენა,

ასეთია არასრული ნუსხა იმ დიდი საქმეებისა, რომლის გაკეთება მისი ცხოვრების მოკლე მანძილზე შეძლო ჩვენმა დიდმა მამულიშვილმა მიხეილ თამარაშვილმა, რითაც სამუდამო ძეგლი დაიდგა ქართველი ერის გულში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საჭირო განმარტება

ჟურნალ „ცისკრის“ 1978 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა იოსებ ბოცვაძის წერილი „იძულებითი განმარტება“. როგორც ჩვენი დიდი თანამემამულე სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს: „იძულება ესე არს სამარადისო იგივეობა, ესე იგი არს დაჟინება“. ი. ბოცვაძე თუ რას იჟინებს, რატომ აქვს მიდრეკილება დაჟინებისადმი, ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ მკითხველს.

ი. ბოცვაძის წერილი, რომელიც მიმართულია ჩვენი წერილის წინააღმდეგ „ერთხელ კიდევ ი. მაჩაბლის დაკარგვის ერთი ვერსიის შესახებ“ („მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1977, № 2), იმის ნიმუშია, თუ როგორ წერენ ადამიანები, როდესაც ზომიერების გრძნობა ღალატობთ.

ჩვენს წერილში („ლიტერატურული საქართველო“, 1978 წ. № 25) მოტანილი მოსაზრება ემყარება, როგორც ცნობილ ისე ჩვენს მიერ მოპოვებულ საარქივო მასალებს. ჩვენ წერილს არავისთვის ჩრდილი არ მიუყენებია, არავინ არ შეურაცხუყვია, იგი მიმართული იყო უხამსი ჭორებისა და ლეგენდების წინააღმდეგ. რაც ფართოდ გავრცელდა ი. მაჩაბლის დაკარგვისთანავე და რომლებსაც, სამწუხაროდ, ზოგიერთებს შორის ახლაც აქვს გასავალი.

აღნიშნულ საკითხზე, ჩვენს წერილში მოტანილ მოსაზრებებს თავს არავის ვახვევთ, თუ ჩვენი ოპონენტი მას არ იზიარებს, ეს მისი საქმეა. ი. მაჩაბლის დაკარგვის საკითხზე არც ერთ ოპონენტს არ ვეკამათებით, ჩვენ მხოლოდ პატივცემული ელენე მაჩაბლის მიერ დასმულ ზოგიერთ კითხვებზე გავეცით პასუხი, სავსებით ახალი მასალების მოშველიებით და არა ჩვენს პირველ წერილში მოტანილი მასალების განმეორებით, როგორც ი. ბოცვაძე ბრძანებს.

„მაცნეში“ გამოქვეყნებულ წერილში ი. მაჩაბლის დაკარგვის საკითხზე ი. ბოცვაძესთან კამათი არც გვიფიქრია, რადგან ზედმეტად ჩავთვალეთ, პაექრობა 1001-ე მონაჭორზე, რასაც იგი თავის წერილში გვთავაზობს.

ი. ბოცვაძე წერს: „ზემოხსენებულმა წერილებმა მომავალ მკვლევარს საგულისხმო მასალა მიაწოდეს ივ. მაჩაბლის დაკარგვის საკითხთან დაკავშირებითო“. მას უპირველეს ყოვლისა მხედველობაში აქვს მისი წერილი, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზ. „სახალხო განათლებაში“. საკითხავია, რომელ საგულისხმო მასალებზეა ლაპარაკი? ი. ბოცვაძე წერს: „არსებობს კიდევ ერთი ვერსია ივ. მაჩაბლის გაუჩინარების შესახებ, რომელიც ჩვენ ყველაზე სანდოდ და სარწმუნოდ მიგვაჩნია. გამოითქვა აზრი (?). რომ გამთენიის ხანს, როდესაც ყველას ეძინა, ვანო გამოიპარა ოჯახიდან და მის სახლთან ახლოს მდებარე საკირეში ჩავარდა თვითმკვლელობის მიზნით“.

ყოველივე ეს თურმე მას უამბო მის ოჯახთან დაახლოებულმა მოხუცმა მასწავლებელმა ბუქურაულმა, რაც ი. ბოცვაძეს სიახლეებით სარწმუნოდ მიაჩნია.

აი როგორ „საგულისხმო მასალებს“ აწოდებს მომავალ მკვლევარებს პატივცემული ავტორი.

ი. ბოცვაძის პოლემიკური მანერის „აპოთეოზია“ მისი შემდეგი სტრიქონები: „ი. ასათიანი აღშფოთებულია, რომ მისმა ოპონენტებმა მისი შეხედულებისაგან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქვეს და ამით არ დაკმაყოფილდნენ... საოცარია, რა ნახა საერთო ი. ასათიანმა ჩვენსა და საკუთარ თვალსაზრისს შორის?“

ჩვენ ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე ი. ბოცვაძის წერილიდან გრძელი ამონაწერების მოტანისათვის, მაგრამ სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი ოპონენტის საოცარი მანიპულაციების ჩვენება.

ჩვენ ვწერდით: „მე უთუოდ თავს შევიკავე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბდი საპასუხო წერილის გამოქვეყნებაზე, რომ ჩვენს ოპონენტებს ო. ჩხეიძეს და ი. ბოცვაძეს მხოლოდ განსხვავებული მოსაზრება გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხის ირგვლივ და მით დაკმაყოფილებულიყვნენ".

მართლაც, რომ საოცარია, რატომ „აღვშფოთდებოდით" თუ ოპონენტები ჩვენ თვალსაზრისს გაიზიარებდნენ? რაც მთავარია, ზემოთ მოტანილი სტრიქონებიდან ის აზრი უნდა გამოვიტანოთ, რომ ჩვენ და ჩვენს ოპონენტებს აღნიშნულ საკითხზე ერთნაირი თვალსაზრისი გვაქვს?

დაუჯერებელია, რომ ქართული ფილოლოგიის პროფესორს ი. ბოცვაძეს ქართული წინადადებიდან აზრის გამოტანა არ შეეძლოს. მაშ რით, როგორ უნდა ავხსნათ მისი ასეთი მოქმედება?

ი. ბოცვაძე ბრალსაც კი გვდებს მისი წერილების შინაარსის დამახინჯებაში. იგი წერს: „ი. ასათიანი... მოგვაწერს ისეთ რამეს, რის შესახებაც ჩვენს წერილებში არაფერია ნათქვამი... მაგალითად. ჩვენ თურმე ბრალი დავდეთ დიდ ილიას მაჩაბლისადმი პირად მტრობაში, საინტერესოა ჩვენი რომელი წერილიდან გამოიტანა ი. ასათიანმა ასეთი უხამსი აზრი?"

ი. ბოცვაძე იმ ფრინველს ბაძავს, რომელიც თავს ფრთის ქვეშ მალავს და ფიქრობს, რომ მას ვერავინ ხედავს. ჩვენ უხერხულად მიგვაჩნია იმის განმეორებაც კი, რაც მან შავით თეთრზე დაწერა (გაზ. „სახალხო განათლება" 1973 წ. № 74) მაგრამ იძულებული ვართ ეს გავაკეთოთ. ი. ბოცვაძე წერს: „ილიამ მაჩაბელს ყველა სამოქმედო გზა გადაუღობა, ყველგან ფეხი ამოუკვეთა, იგი ფაქტიურად მოსწყვიტა საზოგადოებრივ საქმიანობას", ი. ბოცვაძის წერილის სწორედ ეს სტრიქონები მივიჩნიეთ ჩვენ ავტორის უნებლიე და უხერხულ გამონათქვამად, რომლითაც ილიას ბრალს დებს ი. მაჩაბლისადმი პირად მტრობაში, დევნაში. ჩვენ წერილში თავაზიანად შევნიშნეთ ავტორს, რომ საზოგადო საქმისათვის პრინციპული ბრძოლა ილიას არასოდეს არ გადაჰქონდა პირადულ მტრობაში, რის შესახებაც ნათლად მეტყველებს მისი დამოკიდებულება საერთოდ მოწინააღმდეგეებისადმი და კერძოდ, ი. მაჩაბლის მიმართ. ი. ბოცვაძის ზემოთ მოტანილი მოსაზრება ჩავთვალეთ გაუგებრობის ნიადაგზე აღმოცენებულ მცდარ შეხედულებად.

„ცისკრის" ფურცლებზე გამოქვეყნებული მისი წერილიდან კი ირკვევა, რომ ზემოთ მოტანილი ადგილი მისი წერილიდან უნებლიე გამოთქვამი არ ყოფილა, ვინაიდან იგი მას დღესაც იცავს.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია მოვაგონოთ ი. ბოცვაძეს ილიას შემდეგი სტრიქონები:

ნუ, ნუ მაყვედრი, რომ ყოველს ჩვენგანს
ხელსა ვაწვდიდი მეგობრობისას,
რომ უარვყოფდი ჩემთ მოძმეთ შორის
სულის სიმდაბლეს, შხამსა მტრობისას.

ი. ბოცვაძე, ჩვენი წერილისათვის მასალების შერჩევას გვიწუნებს. იგი წერს: „რომ ილია მაჩაბლისადმი ობიექტური იყო, ამის ნათელსაყოფად ი. ასათიანს მოაქვს ამონაწერი 1896 წლის „ივერიაში" დაბეჭდილი წერილიდან, რომელშიც „იულიოს კეისრის" მაჩაბლისეული თარგმანის მაღალი შეფასებაა მოცემული. ასეთი საჭოჭმანო მასალის მოტანას ის არ აჯობებდა, რომ ჩაეხედა თვით ილიას თხზულებებში ან ჩვენს წერილში (ხაზი ჩემია—ი. ა.), სადაც გარკვევით ვწერდი: „ი. მაჩაბლის მიერ „ჰამლეტის" თარგმანის მაღალი შეფასება რაც ილიამ მოგვცა, მისი კაცობის გვირგვინის ერთ-ერთი ბრწყინვალე მარგალიტია".

როგორც ზემოთ მოტანილი ამონაწერიდან ჩანს, ი. ბოცვაძე გვისაყვედურებს ილიას თხზულებებში და თავის წერილში ჩაუხედაობას და საჭოჭმანო მასალად თვლის „იულიოს კეისრის" მაჩაბლისეულ თარგმანზე ილიას შეხედულებას, რაც 1896 წელს დაიბეჭდა, როდესაც სამანკო ბრძოლების ცხარე დღეები იყო. მისი აზრით უმჯობესი იქნებოდა „ჰამლეტის" მაჩაბლისეული თარგმანის ილიას შეფასება მოგვეტანა. კი მაგრამ, განსწავლულმა კაცმა, ილიას თხზულებებში ჩახედულმა რატომ დაივიწყა, რომ „ჰამლეტი" მაჩაბელმა თარგმნა 1886 წელს, როდესაც ილია და მაჩაბელი შეთანხმებულად მუშაობდნენ საადგილმამულო ბანკში?

საერთოდ რა შეიძლება ითქვას ი. ბორცვაძის, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ასე „ჰაიჰარად" მსჯელობის თაობაზე? მაინც როგორ ათავსებს ერთმანეთთან ი. ბოცვაძე ილიას ობიექტურობას და თავის გამონათქვამს, რომ „ილიამ, მაჩაბელს ყველა სამოქმედო გზა გადაუღობა, ყველგან ფეხი ამოუკვეთა, იგი ფაქტიურად მოსწყვიტა საზოგადოებრივ საქმიანობას?"

მართლაც რომ განსაცვიფრებელი „ლოგიკურობით" ყოფილა დაჯილდოებული პატივცემული ავტორი.

იოველ ასათიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

75—ნიკა აგიაშვილი—75

ინტერვიუ ნიკა აგიაშვილთან

მწერალ ნიკა აგიაშვილს ესაუბრება ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი პოეტი ტარიელ ჭანტურია

— ჩვენო ნიკა! თქვენ ჟურნალ „ჩვენი თაობის“ წარმომადგენელი ხართ, მაგრამ „ჩვენი თაობა“ „ცისკრის“ წინაპარია. ასე რომ — თქვენ „ცისკრის“ ყველაზე უხუცესი წარმომადგენელიც გამოდიხართ, უკვე გავრცელებული სიტყვა რომ ვიხმაროთ, „ცისკრელი“ ბრძანდებით. ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციის, მის მკითხველთა მრავალათასიანი კოლექტივის სახელით სულით და გულით გილოცავთ დაბადების 75-ე წლისთავს. რას უსურვებდით საპასუხოდ „ცისკარი-79“-ს?

— ამ შემთხვევაში მადლობის მეტი რა მეთქმის, ოღონდ 75 წელიწადი ხუმრობა საქმე როდია. აბა, რა უნდა იფიქროს და რა უნდა თქვას კაცმა, როცა მას თანდათან აკლდება „მზე, თბილერება და ნაპერწკალი“.

ისე, თუმც ძალზე გაჭიანურდა ეს ამდენი ათწლეული და თანაც მეტად მძიმე და გრძელი გზა განვლეს ჩემი თაობის ადამიანებმა, მაგრამ ჯერ მაინც არ მოგვწყენია სიცოცხლე და გვინდა — დიდხანს გაგრძელდეს ასე... მიუხედავად ყოველისა, ჩვენს თაობას ბედნიერი თაობა უნდა ეწოდოს, რადგან მუდამ და ყოველთვის საინტერესო ამბების მოწმე და აქტიური მონაწილენი ვიყავით ყველანი.

„ცისკარს“ და ცისკრელებს ვუსურვებ: სულითა და გულით, სიტყვითა და საქმით, მთელი შემოქმედებით ჭაბუკები დარჩნენ მარად!

— მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი თქვენი მოგონებები. ამიტომ ამჯერად წარსულის გახსენებით აღარ შეგაწუხებთ. რამდენიმე შეკითხვას მოგცემთ და მადლობელი ვიქნებით, თუ გვიპასუხებთ. ერთი ფრანგული მაქსიმა მაგონდება ამასთან დაკავშირებით: ერთ რეგვენს შეუძლია დასვას შეკითხვები, რომელსაც ათასი ბრძენი ვერ გასცემსო პასუხს. ამჯერად ერთი ბრძენისთვის სამყოფ შეკითხვებს მოგცემთ, თანაც, შეძლებისდაგვარად, უბრალოსი და იოლს. პირველი კითხვა: მწერალს ყოველთვის დიდი გეგმები აქვს. თქვენ ამჟამად ხანდაზმულ კაცად ითვლებით: ხომ არ იცვლება, მწერლის ასაკთან დაკავშირებით, მისი შემოქმედებითი გეგმების ხასიათი? ხომ არ ჩქარობს მწერალი, და თუ ჩქარობს, რაში გამოიხატება ეს სიჩქარე? ხომ არ მძაფრდება მოსწრების ჟინი?

— დიდი გეგმები დიდ მწერლებს მივანებოთ, საკუთარი თავის ფასი ყველამ უნდა იცოდეს. მიუწვდომელს არ შეწვდეს და, რაც მისი საქმე არ არის, არ შეეპოტინოს. დიდი გეგმები არასოდეს არ მქონია; რის გამოც ახალგაზრდობისას ვოცნებობდი, ახლაც, ხანდაზმულობის დროსაც, მენატრება, — ზოგს ფრთა შეესხა და გავიხარე, ზოგჯერ იმედი გამიცრუვდა, მეწყინა, მაგრამ წუწუნი არ დამიწყია.

ვფიქრობ და იმედი მაქვს, იმდენს კი გავძლებ, ზოგიერთ სანუკვარ გულის წადილს რომ ვეწიო და თავი გავართვა. თუ არა და, ამით ქვეყანა არ დაიქცევა.

მოსწრების ჟინი, შესაძლოა, გამძაფრდეს (ეს ძალიანაც კარგი ამბავია?), მაგრამ აჩქარება არას გვარგებს. ცხოვრების წყარო ისეთი ტემპით ჩქეფს და მიმდინარეობს, რომ სულ ერთია, რაც უნდა ვიჩქაროთ, ბევრი და კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩება დაულეველი...

— სოციოლოგები ამტკიცებენ, რომ წიგნურ ცივილიზაციას ნელა, მაგრამ დაჟინებით ავიწროებს ცივილიზაცია, რომელსაც ისინი პირობითად ტელეცივილიზაციას უწოდებენ. ჩვენ ყველანი ამ ორი ცივილიზაციის ზღვარზე ვიმყოფებით. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ ახალი ცივილიზაციის უმთავრესი კომპონენტის — ტელევიზორის მიმართ? რას ეტყოდით ამის თაობაზე ჩვენი ჟურნალის ახალგაზრდა მკითხველებს?

— ტელევიზიაცია დიდი საქმეა ამქვეყნად, ვგონებ — ჩვენი ეპოქის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაც. ზოგ-ზოგები ჩივიან: უწიგნურებს ამრავლებსო, ბევრმა თეატრებსა და კინოებში სიარულს უკლოო, მოზარდ თაობას ასნეულებს და სიზარმაცეს აჩვევსო... ამას, ვგონებ, მეტისმეტად გადატვირთული სახელმ-

ეროვნული

ძღვანელოები უფრო უწყობს ხელს... დავწეროთ კარგი წიგნები (შედევრები!), დავდგათ ჯადოსნური სპექტაკლები (მარჯანიშვილისებური!) და წარმტაცი კინოფილმები და მერწმუნეთ, ტელევიზორთან სასაუვედურო არაფერი გვექნება.

მიბრძანდით და ნახეთ, როგორი რიგებია და თავპირისმტვრევა წიგნის მაღაზიებსა და კიოსკებთან, როცა საიშვიათო თხზულებები გამოჩნდება გასაყიდად! განმეორებით კვლავ მიბრძანდით თეატრებში და განიცადეთ თავბრუდამხვევი სიხარული და აღფრთოვანება „კავკასიური ცარცის წრისა" და სხვა მსგავს საუცხოო წარმოდგენათაგან, ნუ იქნებით გულგრილნი, ნუ დაიზარებთ და კიდევ და კიდევ რამდენიმეჯერ ნახეთ: „ვედრება", „ფიროსმანი", „შერეკილები", „არ იდარდო", „თუში მეცხვარე" და მერე არც ტელევიზორთან მისვლა დაგენანებათ. ესაა, რომ გადამეტებული არაფერი ვარგა.

ტელევიზორი სწორედ რომ ზედგამოჭრილია და მისწრებაა ჩემი ასაკის კაცისათვის. ზიხარ შენთვის, შენს ოთახში, და გასაოცარი ამბავი ხდება ტელეეკრანზე. რაც ოდესმე გინახავს და ასე გგონია, ვედარ ვნახავო, რაც ბავშვობიდან დაგამახსოვრდა და თანდათან ფერმკრთალდება შენს ხსოვნასა და წარმოდგენაში, რაც დიდი ხანია წავიდა და დროის დენამ შელახა, უცბად ყველაფერ ამას შემოიტანს ეს ჯადოსნური სარკე და თვალმწყაზარი დიქტორები დღისითა და ღამით ყურში ჩაგჩურჩულებენ, ჩაგძახიან და თვალწინ გადაგიშლიან მთელი მსოფლიოს წარსულ, აწმყოსა და მომავლის საინტერესო ამბებს.

რა სჯობია ახლა ამას! თითქოს ადამიანის მთელი ცხოვრება თვალნათლივ და ხელშესახებად კვლავ მეორდება და გიმძაფრდება სიცოცხლის სიხარული და სურვილი მთელი ქვეყნის სიმდერებით მოვლისა.

ამას წიგნი ვერ გეტყვის და ვერ გაჩვენებს, არც მოეთხოვება, მაგრამ მას სულ სხვა ძალა, ეშხი და პეწი აქვს. ჰუტენბერგის უცვეთ ლიტერებსა და რუსთაველის გრძნეულ ქნარსა და ელვარე სიტყვას სხვა ჯადოთილისმა მოეპოვებათ, და ჯერჯერობით მათ ვერავინ შეეტოქება... ოღონდ ესეცაა: კარგი დიქტორის ხმით წარმოთქმული რომელიმე დიდი შემოქმედის გულისა გასაგმირონი სტრიქონები სულ სხვანაირი თავზარდამცემი ზარ-ზეიმით შესძრავს, შეარხევს და გათანგავს ტელემაყურებელთა გულსა და გონებას...

უტელევიზოროდ ცხოვრება აღარ შეიძლება!

— თქვენ ორი მსოფლიო ომის მომსწრე ბრძანდებით, ამასთან—მეორე მსოფლიო ომის მონაწილეც. გვითხარით რამე ომსა და მშვიდობაზე! ომის მონაწილე მწერლებზე! მშვიდობის სიკეთეზე! ჩვენს მოვალეობაზე!

— ჩვენი დროის ომებში მუზები [illegible] ბრძოლდნენ, მაგრამ მილიონები დადუმდნენ და განადგურდნენ. მე პირველი ომის ამბებიც კარგად მახსოვს — მრავალი ჩვენი ნათესავი, მეზობელ-თანასოფლელი და ნაცნობ-ახლობელი წავიდა ფრონტზე და თითო-ოროლა დაუბრუნდა თავის სახლკარსა და ცოლ-შვილს. დიდ სამამულო ომში 50-მდე ქართველი მწერალი მონაწილეობდა. მათ შორის 20 ახალგაზრდა მწერალი ბრძოლის ველზე დაეცა. მათგან მხოლოდ მირზა გელოვანის სამარეა ცნობილი.

საერთოდ, ჩვენმა საქართველომ იმ სასტიკ ომში 300 ათასამდე კაცი დაჰკარგა, — ექიმებისაგან გულდასმით გასინჯულ-შემოწმებული და შერჩეული, ჯან-ღონითა და სიხსნ-ხორცით აღსავსე ვაჟკაცები, — ეს არის ასიათასობით შეუქმნელი ოჯახი და გადაუხდელი ქორწილი, ათიათასობით დაუბადებელი ქალ-ვაჟი და აუშენებელი ახალი სახლ-კარი და კარ-მიდამო, მრავალი ათეული დაუწერელი წიგნი და უთქმელი სიმღერა და, ვინ მოთვლის კიდევ, რამდენი აუხდენელი ოცნება...

ომში ყოველი ჩვენგანის უპირველესი მოვალეობაა მტრის დამარცხება და მასზე გამარჯვება, რასაც მოჰყვება ქვეყანასა ზედან მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება. ამის გამო იბრძოდნენ მარადის და ახლაც იბრძვიან ყველა დროისა და ქვეყნის კეთილი ნების ადამიანები. მშვიდობა დიდი სიკეთეა ამქვეყნად.

უნდა ვთქვა, რომ ომგადახდილმა ადამიანებმა ბევრი რამ ნახეს და განიცადეს. ის ომი რომ არა, მრავალი ჩვენგანი, ვგონებ, ნავთლულსაც ვერ გასცილდებოდა...

— ჩვენ ვიცით თქვენი განსაკუთრებული სიყვარული სერვანტესის მიმართ. ამიტომ სერვანტესი უნდა გამოვტოვოთ და ისე დაგისვათ ერთი ბანალური შეკითხვა. თქვენ რომ უკაცრიელ კუნძულზე მიდიოდეთ რამდენიმე წლით, ვთქვათ, იმავე სერვანტესზე ახალი წიგნის დასაწერად, რომელი ხუთი მწერლის წიგნებს წაიღებდით თან? ვგულისხმობთ არაქართველ მწერლებს.

— პირველ რიგში ისევ სერვანტესს წავიძღვანიებ, მას ვერ შეველევი, რადგან „მას აქეთ, რაც „აპოლონი აპოლონობს, მუზები მუზობენ და პოეტები პოეტობენ, „დონ კიხოტზე" მშვენიერი და შმაგიანი თხზულება ჯერ არავის დაუწერია", თანაც, ის ცხონებული სერვანტესი მუდამ და ყოველთვის მამობრივ მზრუნველობას მიწევდა. ბევრჯერ გამოუწვდია დახმარების ხელი და კაი ხანს ვიცხოვრე მისი წყალობით. ჩვენმა გამომცემლობებმა („საბლიტგამი" — „ნაკადული", „სახელგამი", — „საბჭოთა საქართველო", „ლიტერატურა და ხელოვნება" — „მერანი") ჩემი რედაქტორობით რიგ-რიგობით დაბეჭდეს და გამოსცეს „დონ კიხოტი", სერვანტესის თხზულებათა ოთხტომეული, ჩემს მიერ თარგმნილი მისივე ცნობილი რომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი „პერსილესისა და სიგიზმუნდას ყარიბობა“ და ჩემი წიგნი „სერვანტესის ცხოვრება“, რომელიც კარგა გვარიანი კომპილაციური ნაწარმოები იყო, მაგრამ — გავიდა!

„დონ კიხოტის“ გარდა თან წავიღებდი მოსწავლეობის დროიდანვე შეყვარებულ „ოდისეას“, ბევრჯერ გადაკითხულ და კვლავ დაუსრულებლად, ყოველწლიურად გადასაკითხავ ბაირონის ვაუკაცურ პოემებს, ფლობერის პირად წერილებს, ზოლოტოვის „ლევ ტოლსტოის ცხოვრებას“... ნება მიბოძეთ, აქვე დავუმატო მეექვსეც: ყველა მარად ჭაბუკად დარჩენილთა საყვარელი წიგნი — სტენდალის „წითელი და შავი“.

სერვანტესზე მეტს ველარაფერს დავწერ, — ხელმისაწვდომ საკომპილაციო მასალათა ლიმიტი ჩემთვის ამოწურულია.

ისე კი, უკაცრიელ კუნძულზე წასვლა ჩვენს დროში მაინცდამაინც არც ისე სახარბიელოა, ოღონდ თუკი ამას ისურვებს კაცი, იმ წიგნებთან ერთად ერთი თანამედროვე პარასკევაც თანვე უნდა წაიტანო — ასე აჯობებს!

— პატივცემულო ნიკა! თქვენთან საუბარი მარტო ჩვენთვის როდია საინტერესო. თქვენთან საუბარი საინტერესო იქნებოდა გერონტოლოგებისათვისაც: თქვენი სამოცდათხუთმეტი წლის კვალობაზე პირდაპირ ბიჭივით გამოიყურებით. მე ვიცი, თქვენ არასდროს მოგიწევიათ სიგარეტი. შეიცავს თუ არა, ამის გარდა, თქვენი ცხოვრების წესი რაიმე საიდუმლოს, და თუ შეიცავს, მაშინ თქვენ, ხანდაზმული „ცისკრელი“, ნუ დაუმალავთ მას ყველაზე ახალგაზრდა „ცისკრელებს!“

— ჯერჯერობით გერონტოლოგებს ჩემთან (თქვენი აზრით — „ბიჭთან“) არაფერი ესაქმებათ. ბევრი რამ არის ამქვეყნად, რისთვისაც ღირს სიცოცხლე. მე ისე ვცხოვრობ თავიდანვე, როგორც ყოველი ნორმალური ადამიანი, ასე რომ აქ არავითარი საიდუმლოება არ იფარება. მთავარი ისაა, რომ სიცოცხლე კარგია, იგი უნდა გიყვარდეს და გეხალისებოდეს. მთავარია სული გქონდეს უსპეტაკეს თოვლისა.

დრო იყო, პოეტთან ერთად ვიმეორებდი: არ ვთვლი ჟამთა სვლას-მეთქი. ახლა, ეს სტრიქონები რომ იწერება, 75 წლისა და 100 დღისა ვარ. უკვე დღეებს ვითვლი. მაგრამ ვიცი, ბოლო არც ისე ახლოსაა. ბევრ რამეს მოვესწრები. ადამიანი ყველაფერს გარდაქმნის, ყველაფერს დაიპყრობს, ყველაფერს მიაღწევს და მოიპოვებს. მხოლოდ საჭიროა: „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი!“ ყველაზე ძნელი ეს არის...

სიგარეტი და თამბაქო არასოდეს მომიწევია. მგონი, არ უნდა იყოს ცუდი. რადგან უმეტესობა სწევს — ქალი და კაცი, ექიმებიც. ხანდახან მიფიქრია და მომწყალებია კიდეც, როცა ვინმე კარგ ვაუკაცს ან ტურფა ასულს კოხტად უჭირავს ხელში „სუნოვანი გლარჯის მილი“ და მოხდენილად სწევს და აბოლებს, შვენის და უხდება: თუ ასე ლამაზად დამმშვენდება, ნეტავ მეც მომაწევინა-მეთქი, ოღონდ არ მიცდია, კაცია და გუნება!

— გთხოვთ, დაგვისახელოთ ათი ყველაზე კარგი თანამედროვე ქართველი პოეტი. თუ თქვენ თავს არიდებთ პასუხს, მაშინ ესეც ხმამაღლა თქვით, და ჩვენ გვეცოდინება, რომ ნიკა აგიაშვილს ხანდაზმულობისას შეუძენია ახალი თვისება — შიში!

— ყველაზე კარგი ათი თანამედროვე ქართველი პოეტი! — ძალზე მაღალფარდოვანი და გაბედული ფრაზაა. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მაშინ რატომ ათი, და არა უფრო მეტი? ცხოვრება ხომ წინ წავიდა... ბევრი კარგი პოეტი გვყავს, მაგრამ შერჩევა და ფიქრი უნდა... ეს არც ისე ადვილია, თქვენ კი მაჩქარებთ. იქნებ, თქვენი კარგამყოფობით, ჩემი დაბადების მე-80 წლისთავზე გავახერხო ეს ამბავი. იმ დღისთვის გადამიდევით, და თუ ვივარგე, მივიხედ-მოვიხედავ და პირუთვნელად გიპასუხებთ.

რუსთაველიდან მოყოლებული დღემდის დიდმა გალაკტიონმა ჯერ შვიდად შვიდი დიდი პოეტი ძლივს შეარჩია და დაასახელა, ისინიც — გარდაცვლილნი, და შვიდიც არ გამოუვიდა, ხელთ ექვსი შერჩა მხოლოდ... მეშვიდედ, მოიარებითა და შეფარვით, გვარის დაუსახელებლად—მოკრძალებით საკუთარი თავი მიგვანიშნა და მიგვახვედრა (ღირსეულადაც!)... ასე, ასეული წლების მანძილზე ექვსი საუკეთესო ქართველი პოეტი და მეშვიდედაც — ის, მათი ფარდი და ფერი — გალაკტიონი! ყოველ საუკუნეში თითქმის თითო-თითო კარგი პოეტი!..

ჩემი რანგის კაცსაც შეუძლია დაასახელოს ათი-თხუთმეტი კარგზე კარგი პოეტი, მაგრამ აგრეთვე — გარდაცვლილთაგან. გუშინ და გუშინწინ ისინი ჩვენთან რომ იყვნენ და ბედნიერი იყო საქართველო და ქართველი ხალხი, როცა სიტყვითა და საქმით მოძმეობას ჩემობდნენ ჩვენს ჭმუნვასა და სიხარულში და აგერ, ჩვენს თვალწინ, ჩვენდა საამაყოდ, ჩვენი თანდასწრებით („არა მარტო ტკბილ ხმათათვის“) დაიმკვიდრეს ყველა ქართველთათვის სანეტარო ადგილები — მთაწმინდა და დიდუბე!

ამით პასუხს თავს როდი ვარიდებ, და არც ახალი თვისება — შიში შემოძენია. შიში ვერ იხსნის სიკვდილსაო, მაგრამ, ჩემი აზრით, ასაკოვანი კაცისათვის არც სიკვდილია მაინც და მაინც საშიშარი. რადგან აკვნიდანვე ყურსუკან გვიდგას და შეჩვეულნი ვართ დიდი ხანია. „მე სიკვდილს როდი შევუშინდები, იგი, ძმა, მუდამ ჩვენს მხარეზეა, მე მეშინია იმგვარ სიცოცხლის, სიკვდილს რომ ჰგავს და უარესია“, — ამბობს იგივე გალაკტიონი.

მაშ გაუმარჯოს იმგვარ სიცოცხლეს, სიცოცხლეზე რომ უტკბოესია!..

ინტერვიუ ნიკა აგიაშვილთან

— თქვენ გამომცემლობა „მერანში“ თარგმანის განყოფილებას ხელმძღვანელობთ. ამდენად თქვენი რეკომენდაციები მეტად საინტერესოა. თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარ სარედაქციო კოლეგიას, რომელიც დიდ და საჭირო საქმეებს აკეთებს, ხომ ვერ დაუსახელებდით ათ საუკეთესო წიგნს, რომელთა თარგმნა და გამოცემაც, ქართული კულტურის ინტერესებიდან გამომდინარე, სხვაზე მეტად საშური საქმეა?

— 1. უნდა გვქონდეს ქართულად: მთელი „ბიბლია“ თანამედროვე ქართულით, კარგად გამართული სტილითა და ენით, პოეტურად გადმოღებული გამოცდილ მთარგმნელთა ჯგუფის მიერ. 2. ჟან-ჟაკ რუსოს „აღსარება“, 3. ხენ-სიმონის მემუარები, 4. კარლაილის „საფრანგეთის დიდი რევოლუცია“, 5. ბაირონის „ჩაილდ-ჰაროლდი“ და „დონ ჟუანი“—ერთ წიგნად, 6. ლამარტინის „ჟირონდის ისტორია“, 7. დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“, 8. თომას მანის „იოსები და მისი ძმები“, 9. ერაზმ როტერდამელის „სისულელის ქება“, 10. თომას ვულფის რომანები. და კიდევ ათობით რამდენი ასეთი წიგნია, სულმოუთქმელად რომ ელის ჩვენი მკითხველი...

— პირადად თქვენ რას თარგმნით ამჟამად, და საერთოდ, თქვენს რომელ ახალ წიგნს უნდა ელოდეს უახლოეს ხანში მკითხველი?

— უკანასკნელ ხანს ვთარგმნე და „საბჭოთა საქართველოს“ ჩავაბარე ჟან-ჟაკ რუსოს საქვეყნოდ ცნობილი რომანი „ახალი ელოიზა“, გამოვა მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკაში. იგივე გამომცემლობა ბეჭდავს, ახალი მასალებით შევსებულს, ჩემს წიგნს — „ჭაბუკები დარჩნენ მარად“, და იქვე ჩემი რედაქციით გამოვა ლადო ასათიანის ნაწარმოებთა სრული კრებული (ვრცელი ბიოგრაფია, ლექსები, პოემები, თარგმანები, დღიურები, პირადი წერილები).

— აგრძელებთ თუ არა მუშაობას წიგნზე „ჭაბუკები დარჩნენ მარად“, და თუ აგრძელებთ, ფიქრობთ თუ არა შიგ ჟურნალ „ცისკარზე“ და მის ავტორებზე საუბარს? ჩვენს ჟურნალს ხომ ოც წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს უკვე, ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, მას „ჩვენი თაობის“ ესთაფეტა მიაქვს.

— „ჭაბუკები დარჩნენ მარად“ თხუთმეტ წელიწადზე მეტი ხნის წინათ დაწერილი და გამოცემული წიგნია, სადაც, შეძლებისამებრ, ასახულია ჩვენგან ადრე წასულ და უდროოდ დაღუპულ ახალგაზრდა პოეტთა ცხოვრებისა-საქმიანობისა და შემოქმედების ზოგიერთი მხარე და მათი სევდიანი თავგადასავალი.

ამ წიგნით ქართველმა მკითხველმა უფრო ახლოს გაიცნო, შეიყვარა და შეიტკბო საყვარელ, დაუვიწყარ პოეტთა სახელები, შეიყვარა ისე, როგორც ჩვენ, მათ ტოლ-მეგობრებს, გვიყვარდა ისინი და როგორებიც გვინდოდა ყოფილიყვნენ. იქ უფრო ამაღლებულად და კეთილშობილურად გამოჩნდნენ ჩვენი დაუვიწყარი ამხანაგები, როგორც კარგი პოეტები და განათლებული ადამიანები.

რაც მათზე ვიცოდი, სულ აქ არის მოთხრობილი და მეტის მოგონება და ახალი მასალების შეკრება-გამომზეურება ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. რაც შეეხება „ოცი წლის ცისკრელებს“, მათი ამბების გამო მოსაგონარი და საამბობელი ჩემი ხნის კაცს არ დაელევა. სათქმელი უამრავია, — განსაკუთრებით ცალ-ცალკე ყოველ მათგანზე.

ვნახოთ, რაგვარის სახით დაექანება და დაეშვება წელთდაღმართი — მომავალში.

— ჩვენ ვიცით, რომ თქვენს მაგრად გამოკეტილ უჯრებში ბევრი ეპიგრამა, პაროდია, ე. წ. „ფუნაგორია“ — მეგობართა სათრეველი ბევრი სალაღობო სტროფი ინახება. ხომ არ ფიქრობთ მათი ნაწილის გამოქვეყნებას?

— ამ ხელნაწერ წიგნს ზოგმა „ავენაობა“ უწოდა, ზოგმაც — „ზოგადი ქვეყანათმცოდნეობა“. ეს მეორე სახელი, ალბათ, სახუმაროდ შეარქვეს.

მისი წიგნად დაბეჭდვა და გამოცემა დღეს-დღეობით არ შეიძლება, — ეს შემდეგ უნდა მოხდეს, როცა ჩვენი თაობის ადამიანები ჩვენ-ჩვენს უკანასკნელ გზას გავუდგებით — სამუდამოდ და მოუბრუნებლად. ზოგი რაიმეს გამოქვეყნება, იქნებ, არც მაშინ იყოს მიზანშეწონილი და საჭირო, რადგან უმრავლესი მათგანი მართლაცდა სალაღობოდ და ფიქრთგასართველად როდია შეთხზული. „ფუნაგორისტები“ აგრე ტყუილ-უბრალოდ და ჭაი-ჭარად კი არ „აგუნდავებდნენ“ და აგორებდნენ“ იმ თავიანთ ეპიგრამებსა და ნაკვეს-სხარტულებს, — ძალიან შორსაც ისროდნენ და „პირდაპირ შუბლში ხვდებოდა“ ზოგიერთს.

აკი თავადვე ამბობდნენ: „ფუნაგორია სტილია ამომავალი კლასისა, ბევრის პერანგი შეღება, ბევრი უნიჭო გასრისა. სწრაფია ფუნაგორია, ხელიდან ხელში გადადის, აკანონებს და ანმტკიცებს ლიტერატურულ ხინდიხს, ეინი სჭირს მწერლუკანათა მონიკელებულ ცილინდრის“.

რამდენიმე ნიმუშმა კი იხილა მზის ხინათლე, აქა-იქ — ცალკე მოგონებებში, ზოგიერთ ჩვენ-თაობელთა წიგნებში და ა. შ. მერე და მერე კი გამოჩნდება იმდროისათვის შესაფერი რომელიმე მკვლევარი, ამოქექავს არქივიდან იმ ეპიგრამებს და სათანადო შენიშვნა-სქოლიოებით „გაუშვებს ხალხში“...

— გაქვთ თუ არა გამოწერილი „ცისკარი?“

— საერთოდ, ვერ შევეჩვიე სქელტანიანი ჟურნალების გამოწერას. ხასიამოვნოა, როცა მათ წიგნის მაღაზიებსა და კიოსკებში ეძებ (პოულობ და ვერც პოულობ!) რომელიმე გვარიანი ნაწარმოების წასაკითხად, ან ხელიდან

წარსტა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲘᲚᲔᲑᲘ

ᲛᲝᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ ᲐᲚ. ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲖᲔ

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲑᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ, ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“, ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Თ. ᲓᲐᲣᲨᲕᲘᲚᲘ, 1978 ᲬᲔᲚᲘ.

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ იმისა, რომ ალ. ყაზბეგის ლიტერატურული მოღვაწეობა საოცარი ხანმოკლეობით განისაზღვრება (1880-1885 წ. წ.), მან მაინც შეძლო საკმაოდ მდიდარი შემოქმედება დაეტოვებინა. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის ყოველმხრივ შესწავლა და შედარებით სრული ანალიზის მოცემა მხოლოდ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობამ შეძლო. ცნობილი ქართველი ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსი დიმიტრი ბენაშვილი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც ალ. ყაზბეგის მრავალმხრივი შემოქმედების საფუძვლიანი კრიტიკულ-მეცნიერული ანალიზი მოგვცა.

წინამდებარე ნაშრომში ავტორი ჩვეული სიღრმით მიმოიხილავს ალ. ყაზბეგის ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვან ეტაპებს. მისი საყურადღებო ბელეტრისტული ნაწარმოებების ლიტერატურული განხილვისას არსებითი მნიშვნელობა აქვს მწერლის ცხოვრების გზის შესწავლას. დ. ბენაშვილი როდი ეყრდნობა მარტო თავისი კოლეგების მიერ შესწავლილ მასალებს, თავად მან ბევრი საარქივო დოკუმენტი მოიძია, შეისწავლა და გამოამზეურა, რითაც არაერთი სიცხადე შეიტანა მწერლის ცხოვრების ბურუსით მოცულ ფაქტებში. ალბათ უფრო სწორი იქნება ვთქვათ: თუ დღეს ასე თუ ისე საკმაო სიღრმით იცნობს ქართველი მკითხველი ალ. ყაზბეგის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის რთულ გზას, ამაში მნიშვნელოვანი წვლილი პირველ რიგში დ. ბენაშვილს მიუძღვის.

ცნობილი კრიტიკოსი ალ. ყაზბეგის ბელეტრისტული ნაწარმოებების მიმოხილვისას მთავარ ყურადღებას ამახვილებს „ელგუჯას“, „ხევისბერი გოჩას“, „მამის მკვლელის“, „მოძღვარის“ და ნაწილობრივ „ელეონორას“ იდეურ-მხატვრულ თავისებურებებზე. ჩვენი აზრით, ალ. ყაზბეგის შემოქმედების ძირითადი მხატვრული თავისებურებანი და არსებითი ნიშნები მთელი სიდიადით სწორედ ზემოთდასახელებულ ნაწარმოებებში გამჟღავნდა და ამ თავისებურებათა და არსებითი ნიშნების ყოველმხრივ წარმოჩენა, რაც დ. ბენაშვილის მონოგრაფიის უმთავრესი ღირსებაა, მკითხველთა უფართოეს მასებს საშუალებას აძლევს დრმად შეისწავლოს ალ. ყაზბეგის შემოქმედება.

მართალია, დრამატურგიას მნიშვნელოვანი ადგილი არ უჭირავს ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში, ვინაიდან მწერალი, როგორც თავად აღნიშნავდა, დრამებს მხოლოდ იმიტომ წერდა, რომ ორიგინალური დრამატურგიით გამოეკვება იმჟამინდელი თეატრის რეპერტუარი, მაგრამ დ. ბენაშვილი მწერლის არც ამ მხარეს სტოვებს უყურადღებოდ. მონოგრაფიის ავტორი ალ. ყაზბეგის მხოლოდ ორ დრამატულ ნაწარმოებს („კონსტანტინე ბატონიშვილი,“ „არსენა“) მიმოიხილავს და სათანადო კრიტიკულ შეფასებას აძლევს მათ.

მონოგრაფიის ერთ-ერთი საინტერესო თავია ესთეტიკისა და ეთიკის პრობლემის განხილვა ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში, რომელსაც ნაწილობრივ შეეხო ნაშრომის ავტორი. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პრობლემა მეტად მნიშვნელოვანია ალ. ყაზბეგის მხატვრულ შემოქმედებაში და მისი სრული შესწავლა მომავლის საქმედ უნდა დარჩეს.

დიმიტრი ბენაშვილის წინამდებარე მეცნიერულ-კრიტიკული ნაშრომი „ალექსანდრე ყაზბეგი“ გამიზნულია ლიტერატურით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო მასებისათვის, ამიტომ გაუგებარია წიგნის ტირაჟის (2000) სიმცირე.

რევაზ ჩხარტიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნი — მეგზური

ჯურხა ნადირაძე — „ადამიანი და პირამიდა“, გამომცემლობა „ნაკადული“, რედაქტორი მ. სოხაძე, 1978 წ.

ჯურხა ნადირაძე არქეოლოგია პროფესიით, და, ბუნებრივია, თემას, რომელზეც იგი გვესაუბრება, საფუძვლიანად იცნობს. კერძოდ, იგი მკითხველს მოუთხრობს ეგვიპტის პირამიდებზე და იქაურ გახმაურებულ არქეოლოგიურ აღმოჩენებზე. ავტორს ეგვიპტეში უმოგზაურია და თავისი თვალით უნახავს ის, რასაც ლიტერატურიდან იცნობდა. მაგრამ, ჩემის აზრით, არც მხოლოდ ცოდნა და არც საკუთარი თვალით ნახვა კმარა იმისათვის, რომ ამ თემაზე წესიერი წიგნი დაწერო. საჭიროა კიდევ — თვისება მწერლისა, მთხრობელისა, საინტერესო მოსაუბრისა, ვინც ამბავს ისეთ მარილს მოაყრის, ისე შეაზავ-შეალამაზებს სათქმელს, რომ აუცილებლად—ყური უნდა მიუგდო. ჯ. ნადირაძეს ეს ძვირფასი თვისება საკმაოდ აღმოაჩნდა. ყოველ შემთხვევაში, „ადამიანი და პირამიდა“ ამის დასტურია. ძველეგვიპტურ ცივილიზაციაზე მრავალი წიგნი არსებობს, ზოგი ქართულადაც გამოვიდა. ყველაფერს, რასაც ჯ. ნადირაძე თავის წიგნში გვიყვება, თითქმის აქამდეც ვიცოდი, მაგრამ ეს წიგნი მაინც სულმოუთქმელად წავიკითხე. ამით, იმის თქმა მინდა, რომ ავტორი თხრობის, ხატოვანი თხრობის საიდუმლოს ფლობს და მკითხველი, ჩვენი ახალგაზრდობა, ვისთვისაც ეს წიგნია გამიზნული, აუცილებლად დიდ შემეცნებით მასალას გაეცნობა შიგ. თანაც სულ სხვაა, როდესაც, ვთქვათ, თარგმანს, უცხო ენაზე დაწერილს კითხულობთ, და სულ სხვაა, როდესაც შენი თანამემამულე წერს. რაღაც უფრო ახლობელი, უფრო საინტერესო ხდება მასალა, მეტია ინტიმი, რაც ამგვარი წიგნების აღქმაში ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ქართული სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა მაინც და მაინც სიმდიდრით ვერ დაიკვეხნის. ბევრი შესანიშნავი მკვლევარი გვყავს მეცნიერების თითქმის ყველა დარგში, მაგრამ პოპულარული წიგნები — ცოტაა.

ალბათ აზრი არა აქვს და მოკლედაც კი არ მოხერხდება ამ პატარა წერილში იმ საკითხებზე საუბარი, რასაც ეს წიგნი მოიცავს. ანდა მე რა შემიძლია, რა უნდა ვუთხრა მკითხველს. გარდა იმისა, რომ თუ ჯერ არ აუღია, აიღოს ხელში ეს პატარა წიგნი და იგი დიდის სიამოვნებით იმოგზაურებს იმ მართლაც ფანტასტიკურ ქვეყანაში, კაცობრიობის ცივილიზაციის დასაბამად რომ ითვლება და დღემდე აოცებს ქვეყნიერებას თავისი გრანდიოზული კულტურის ძეგლებით.

თედო გეკიშვილი

კუნძული, საიდან პოეტი ცხოვრობს

მამუკა წიკლაური — „კუნძული“, გამომცემლობა „მერანი“, რედაქტორი გრ. ჯულუხიძე, 1978 წელი.

ამაოა პოეტის განაცხადი, თუკი მის ლექსებში არ იგრძნობს მკითხველი პოეტის სულში ჩაწურული ტკივილის ურუანტელს, თუკი მკითხველს მეტად თუ არა, ოდნავ მაინც არ შეაკრთობს იმგვარი შიში და გაოცება ჭეშმარიტი პოეზიის ძალას რომ ახლავს მარად და რასაც ამგვარ პოეზიასთან ზიარებით ვლებულობთ.

პოეტის წინაშე მწვერვალივით აღიმართება ნიადაგ ათასგვარი თემა, რომელთა გადმოცემისათვის საჭირო ენერგია ხშირად ერთი ადამიანის ვნებასა და სულიერ სიძლიერეს აღემატება.

აქ და, მხოლოდ აქ გამოიცდება პოეტი ყველაზე ნათლად, რათა ჩვენ, მკითხველებს იმგვარად დაგვანახვოს ყოველივე ის, რაიც საკუთარი სულის უფსკრულებზე გადმოატარა, როგორც თავად ჭვრეტდა პირველხილვისას...

ხილვებიც ხომ უთუოდ სჭირდება პოეტს. ხილვები იმგვარი, დაშრეტილი თვალთა გუგებიც რომ აამხედველოს. და რა მრავლადაა მამუკა წიკლაურთან (კრებული „ვუნძული“) ამგვარი ხილვები. ხილვა — სამშობლო: „აქ უნდა ვიდგე — მეხით გათხრილ ჭიუხებთან, ხეტყვით დაცხრილულ ჭიუხებთან, წვიმით ჩარეცხილ ნაპრალებთან, ამ კლდის ხრეებში უნდა იწვალონ და გზები ძებნონ ჩემმა ფესვებმა, სხვაგან ვერ წავალ — მე ამ ფესვებს ვერ გავეყრები...“

ხილვა — „გაველდა ცხენი.... ვერ შეანასკვეს თოკი ყელზე, ფეხზე — ბორკილი. ველარ ჩაუდეს მოთმინება — მჟავე ლაგამი. დადის სერებზე, შესჭიხვინებს წითელ ვარსკვლავებს“... ხილვები პოემიდან „წარწერები ბარა-

თაშვილის ბიოგრაფიაზე", ხილვები ბურსაჭირის მთებში გარჩენილ ბავშვობაზე, პირველ სიყვარულზე, როგორც „გადატეხილ ტოტის სევდაზე"...

მამუკა წიკლაურის ლექსებში თითქმის ყველგან ფრაზის სიმძიმე და სინაზე კეთილსასურველი სილბოთი თუ სიმტკიცითაა გაჯერებული. ის მკვიდრად აგებს ლექსის არქიტექტონიკას და ჩვენც, ერთ მთლიანობაში გამოქანდაკებულს ვლებულობთ მას. პოეტი თავის სათქმელს რომელიმე მშვენიერ სამოსში კი არ ახვევს, არამედ ყველგან სიშიშვლის პირველყოფილურ სიწმინდეს და უბიწოებას ირჩევს ლექსისათვის, ამას თან ერთვის ლექსთა თავისუფალი ფორმა (ეს შეკნასკნელი პოეტისთვის ფიქრების გამოხატვის ერთ-ერთი ძირითადი და მართალი საშუალებაა) და იგი ამგვარი აქსესუარებით უაღრესად თანამედროვე და ნიჭიერ პოეტად გვევლინება.

ახალი კრებული „კუნძული" თანამედროვე ხელწერის პოეტისათვის კიდევ ერთი გამარჯვებული ნაბიჯია, ნაბიჯი, რომელიც გვიკვლევს გზას რეალური სამყაროდან ადამიანის სულისაკენ.

დოდო ჯაჰვლიანი

მშვენიერების დღესასწაული

„ძველი ბერძნული ლირიკა" — მთარგმნელი გ. სარიშვილი — გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", რედაქტორი ლ. იმერლიშვილი, 1978 წელი.

ალკეოსს, ეოლიური მელიკის ბრწყინვალე წარმომადგენელს, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მე-7 საუკუნეში მოღვაწეობდა ლესბოსის ქალაქ მიტილენში, აქვს ერთი ლექსი, რომელიც ასე იწყება:—„მშვიდობით მოგვიხველ შორეულ ქვეყნიდან..." ამ სიტყვებით შეიძლება მივმართოთ ამ პატარა წიგნს; „ძველი ბერძნული ლირიკა" ჩინებული ნიმუშია იმისა, თუ რას და როგორ უნდა თარგმნიდეს მთარგმნელი; ამ წიგნში, რომელიც გიგლა სარიშვილს დიდი სიყვარულითა და კეთილსინდისიერებით უთარგმნია, მკითხველი გაეცნობა ძველი ბერძნული ლირიკის ისეთ საუკეთესო წარმომადგენლებს, როგორებიც არიან საფო, ალკეოსი, ანაკრეონტი, სოლონი, სიმონიდე ამორგოსელი, პინდარე და სხვანი.

არა ერთი შედევრით გაუმდიდრებიათ ანტიკური ლირიკა ელეგიისა და იამბის საქვეყნოდ აღიარებულ ოსტატებს, მაგრამ, როგორც „ძველი ბერძნული ლირიკის" წინათქმაშია აღნიშნული, „სრულიად თავისებური და განსაკუთრებული მოვლენაა ბერძნულ პოეზიაში ეოლიური მელიკა... მელიკურმა პოეზიამ უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ადამიანთა ინტიმური განცდები და უპირველესი ადგილი მიუკერძა პოეტისეული სამყაროს სუბიექტურ აღქმას"; სწორედ მელიკური პოეზია (საფო, ალკეოსი, ანაკრეონტი) წარმოადგენს კრებულის ხერხემალს.

ულამაზესია ბერძენი პოეტების სულიერი სამყარო; სადაც სიბრძნეა, სიკეთისა და მშვენიერების სიყვარულიც იქაა, ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ კრებულში ასე ძალუმად და ხალისიანად გაისმის ამ სიყვარულის დღესასწაული: „ძმაო, მოიღე კოკობა თასი, რომ გამოეცალო შეუსვენებლად; ათ ტარკოშ წყალმი შენაზავი ხუთჯერი ღვინო, რომ უბოროტოდ კვლავ გავწიო ბაკხოსის ლხინი. მოიღე კვლავაც... ჩვენ არასოდეს სკვითურ ღრეობით და ყაყანით არ აგვამღვრევს ანკარა ღვინო! ჩვენ დავლევთ მხოლოდ და ვიღიღინებთ ხელისგულებზე ჩამომსხდარი ჭრელი თასებით" (ანაკრეონტი); ბერძენი შემოქმედი რომ თავდავიწყებითაა შეყვარებული სიცოცხლეზე და ბუნების გაუხუნარ სილამაზეზე, ამის დასტურად იკმარებდა თუნდაც სოლონის ერთი ლექსი „ფილოკიპროსისადმი": „შენ იხელმწიფე სოლიელებზე მაგ შენს ქალაქში, მრავალყამიერ, მოდგმასთან ერთად. მე კი კიპრიდას იის გვირგვინით მაგ სახელქებულ კუნძულიდან შორს მქროლავ ნავში ვიცხოვრებ ლაღი. და დედუფალმა სიკეთე და გულმოწყალება მოიღოს ჩემდა და ბედნიერი დამაბრუნოს ჩემს სამშობლოში".

ძველი ბერძნებისათვის ღვთაებრივი პოეტია საფო, რომელმაც ულამაზესი ჰიმნები უძღვნა სიყვარულსა და ამ სიყვარულისათვის დაბადებულ ადამიანებს; „მე არა ვუწყი მტრობა და რისხვა, გული ჩემი უმანკოა და უმეცარი", — ამბობს იგი, ხოლო ადამიანის ბედნიერებით გამოწვეული მისი სიხარული თავბრუდამხვევი და გამაოგნებელია: „მაღლა ასწიეთ სრასასახლე, ჰეი, ჰიმენე! მაღლა ასწიეთ, ხუროებო, ჰეი, ჰიმენე! პალატში ნეფე მობრძანდება არესის დარი, ჰეი, ჰიმენე! უდიადესი კაცთა შორის, ჰეი, ჰიმენე!"

ყოველი ერის პოეტისათვის (და არა მარტო პოეტისათვის!) საამაყოა ის ფაქტი, რომ ბერძენი პოეტი მამულის სიყვარულს მახვილათაც ადასტურებდა: პოეტი-მეომარი კალინე კიმერიელთა შემოსევების დროს იცავდა მშობლიურ ქალაქს; პოეტი-მეომარი გახლდათ ალკეოსი, რომ-

ელიც ტირანებს ებრძოდა და ქვეყნის გასაგონად ამბობდა: „ჩვენი სამშობლოს უბედურება არის ტირანი“... ტირანის სიძულვილმა და მშვიდობიანი დღეების სიყვარულმა ათქმევინა ქორიკული მელიკის ცნობილ წარმომადგენელს სტესიქორეს: „ომსა მომკვეთე, მუზავ ჩემო, მიდიდე ღმერთი, ქორწილი, ლხინი. მლხენელნი დაბლით. ნეტარნი მაღლით“.

კაცობრიობის ისტორიის ნებისმიერ მონაკვეთზე ყველა ჭეშმარიტი შემოქმედი ცდილობდა, ჩასწვდომოდა სამყაროს მარადიულ იდუმალებას, თუ წუთისოფლის გზაზე შემდგარი ადამიანის მოგზაურობის მიზანსა და მიზეზს: „ვინ რას გაიგებს ქართა ქროლვისას, რად აყალყუდა და დაძრულა ტალღა ტალღაზე... ან ჩვენ რად ან სად მივეშურებით ამ შუა ზღვაში შავი ხომალდით, უამინდობის დიდის მთმენელნი“ (ალკეოსი).

მკითხველი აღტაცებაში მოჰყავს ძველ ბერძენ ლირიკოსთა ნათელსა და ჰაეროვან სტილს; მათ შესანიშნავად იციან, რომ „ის, რის მიმატებას, ან გამოკლებას არავითარი სინათლე არ შეაქვს ნაწარმოებში, მთელის არავითარ ნაწილსაც არ შეადგენს“ (არისტოტელე). მათი ლექსები არაა დამძიმებული და მოდუნებული ზედმეტი შედარებებითა და ყალბი სამკაულებით; როდესაც მათ პოეტურ სამყაროს ვეცნობით, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ უბრალოება და მშვენიერება განუყოფელია, რომ მარადიულ ჭეშმარიტებად დარჩება ჰეგელის სიტყვები: „არავითარი მანერის აკვიატება — ეს იყო უხსოვარი დროიდანვე ერთადერთი დიადი მანერა და მხოლოდ ამ აზრით უნდა ვუწოდოთ ორიგინალური ჰომეროსს, სოფოკლეს, რაფაელს, შექსპირს“.

გიგლა სარიშვილმა კიდევ ერთი ბრწყინვალედ თარგმნილი წიგნით გაახარა მკითხველი; მთარგმნელი შესანიშნავად ფლობს ქართულ ენას, კრებულის ყოველ გვერდზე იგრძნობა ჭეშმარიტი პოეზიის სიყვარული, მაღალი გემოვნება და უზადო ოსტატობა: „ზოგი ცხენოსან ლაშქარს იტყვის დიდმშვენიერად, ზოგი კი ქვეითს ან ზღვაოსანს ამ შავ მიწაზე, ჩემთვის კი ოდენ სიყვარულით მთხრობელი ჩემი უსატრფოესობს“ (საფო), ან კიდევ: „კვლავაც ეროსმა ქერათმიანმა წითელი ბურთი სათამაშოდ გამომიგორა გოგოსთან, ვისაც ხალებიანი ხამლები ეცვა იმ ქალყვავილმა, მოწეულმა ლესბოსის ბაღით, მრეზით მოხედა ჭაღარას ჩემსას და მერე, ვაგლახ, სათამაშოდ სხვა გაიწვია“.

ვაჟა ხორნაული

„თაფლიან დღეთა ნაღველით“

დოდო ჭუმბურიძე — ლექსები. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, რედაქტორი ზ. კუხიანიძე, 1978 წელი.

სასიხარულო ამბებს რა გამოლევს ცხოვრებაში, ოღონდ ეს კია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მათ შორისაც გამოირჩევა. ასეთი, ამ ბოლო ხანებში, გამომცემლობის ფილიალის შექმნა იყო ქუთაისში. ახლა თუ ვიტყვი, ქუთაისის ლიტერატურული ცხოვრება უფრო სისხლსავსე გახდა და დიდი გზის სათავეებთანაც მივიდა, ასე ლაპარაკის საშუალებას თვით ფილიალის მიერ გამოცემული პირველივე წიგნები იძლევა,

ამჟამად ერთ მათგანზე, დოდო ჭუმბურიძის ლექსების წიგნზე მინდა რამდენიმე სიტყვის თქმა...

დოდო ჭუმბურიძემ თავისი ფერები მოიტანა ქართულ პოეზიაში, თავისი საოცრად ტკბილი ნაღველით მოვიდა. —

...და რუსთაველის სინათლით,
ვსდევ შენი ტრფობის ტკივილს,
თაფლიან დღეთა ნაღველით,
ტკბილით, საოცრად ტკბილით.

მას ისე შეუძლია დაგვარწმუნოს ნაღველის სიტკბოსა და წუხილის სილამაზეში (ლამაზი წუხილიც, — მისი სიტყვებია), რომ ეჭვიც კი არ გამოიწვიოს. ეს, რა თქმა უნდა, პოეტის თავისებურებათა მხოლოდ ერთი მხარეა, მას კი უამრავი რამ აფიქრებს და აწუხებს ამ ცის ქვეშეთში. მაგალითისათვის მოვიტან რამდენიმე სტრიქონს სხვადასხვა ლექსებიდან: „...და დაუფარავ ცრემლებით ვუმზერ, არაგველებით ამოზრდილ მიწას...“, „ათასი გზა გაქვს, მე მშვენიერს მივყვები ბილიკს“, „ფეხი ფრთხილად დამადგი, როგორც ეკლესიაში“ ან „მეძიე ლამაზ მაისის პირზე, სადღაც მშვენიერ მისადგომებთან“...

ახლა ვნახოთ ეს სტრიქონები ცალ-ცალკე: თუ მათ აბსოლუტური ჭეშმარიტების მხრიდან შევხედავთ, უნდა ვთქვათ, რომ მიწას ცრემლებით კი არა, თვალებით უმზერენ, მაგრამ ეს ხომ ჩვეულებრივი მიწა არაა, ამიტომ არც შეიძლება მას ჩვეულებრივად უმზირონ. პოეტის მხარეზეა ლოგიკური სიმართლე და ესაა დ. ჭუმბურიძის ლექსების ყველაზე საუკეთესო თვისება. ესაა სწორედ ის მშვენიერი ბილიკი — პოეტი რომ მიჰყვება. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას: „არაგველებით ამოზრდილი მიწაც“, „მშვენიერი ბილიკიც“ და

„მშვენიერი მისადგომებიც მაისის პირზე“ — ის წმიდათაწმიდა მშობლიური ადგილებია, რომელნიც ფეხის ფრთხილად დადგმას მოითხოვენ, „როგორც ეკლესიაში“.

დ. ჭუმბურიძის პოეტური სამყარო არაა შემოფარგლული ვიწრო ინტერესებით. მისთვის არც ცრემლია უცხო და არც სიხარულის მომნიჭებელი „მამულის ტკბილი ლაჟვარდები“, არც კაცთა მეგობრობაზე ფიქრი და არც ქალური სინაზე. მაგრამ ყველაზე უძვირფასესი და გამორჩეული ტრფიალის საგანი მისთვის მაინც მამულია: „განათებულო უცხო სინათლით და უცნაური ბედის ტრიალით, ვარსკვლავთა ბრწყინვით, ცისკრის ციალით, ვარ ბედნიერი შენი ტრფიალით“.

და ბოლოს: აუხდენელის სავსებით შეგნებული ნატვრა, პოეზიისათვის მუდამ-ყამს ნიშანდობლივია. დ. ჭუმბურიძეს ძალზე კარგად აქვს ნათქვამი: „ისეთი რამ უნდა ვინატრო, ახლენია ცოტა იმედი მქონდეს“. — მერე კი ძალზე გამშობლიურებული, მხოლოდ ქალური გულთბილობისათვის დამახასიათებელი წამოძახილი — „უნდა წავიდეთ ერთად აქედან, უნდა ვეახლოთ მზეს უკვდავებით“.

ცხადია, პოეტს აქვს შედარებით მდარე ლექსებიც, მაგრამ ამ პატარა წერილში, მთლიანი წიგნის ვერც საფუძვლიანად განხილვა მოხერხდება და ვერც სრული შეფასება, ამიტომაც საერთო შთაბეჭდილებიდან ლაპარაკმა მხოლოდ მცირედზე მომიწია და ისიც ძალიან ზოგადად. ერთი კი გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: დოდო ჭუმბურიძე ფრიად საინტერესო და ნიჭიერი პოეტია.

ალუდა არაგული

„ჩემი ხელები ფველაა და გამოსარჩლება“

> იგორ სიკირიცკი, ლექსები, მთარგმნელი გრ. ჯულუხიძე, რედაქტორი ლ. ზედგენიძე, „მერანი“, 1978 წელი.

ადამიანისათვის დიდი ბედნიერება და სიამაყეა, როდესაც მისი ერისა და მამულის სიყვარული შორეული ქვეყნის შვილებსაც ალაპარაკებს; ეს ის სიყვარულია, რომელსაც ამ ქვეყნად ყოველი სიმაღლისა და სამანის გადალახვა ძალუძს და რომელიც დედამიწის სხვადასხვა მხარეების ბინადართ ერთმანეთთან აახლოვებს.

მიმდინარე წელს გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა გამოჩენილი პოლონელი პოეტის იგორ სიკირიცკის ლექსთა პატარა კრებული. როგორც წიგნის ანოტაციაშია აღნიშნული, იგორ სიკირიცკი ქართული ლიტერატურის დიდი თაყვანისმცემელი და მოამაგეა—„პოლონელმა მკითხველმა სიკირიცკისეული თარგმანით გაიცნო „ვეფხისტყაოსანი“, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ვაჟას, ილიას, აკაკისა და გალაკტიონის ლექსები. ამჟამად გამოსაცემად ამზადებს ქართული პოეზიის ანთოლოგიას“... საქართველოს სიყვარულს ი. სიკირიცკი მხოლოდ ნაყოფიერი მთარგმნელობითი მოღვაწეობით როდი გამოხატავს; მისი შემოქმედება ის სარკმელია, რომლის მეშვეობითაც პოლონელი მკითხველები არა მარტო ჩვენი ქვეყნის დღევანდელობას, არამედ მის წარსულსაც ეცნობიან...

საქართველოს სიყვარულითაა შთაგონებული კრებულის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „ვარძია“, რომელიც სიმონ ჩიქოვანის ხსოვნას ეძღვნება. „გაქვავებული თაფლის ფიჭები აქ, ამ მტკვრის პირას, ისე როგორც პირამიდები, ცისკენ წასულან. ამ ქვაბულიდან შევარდენთა თვალები კრთოდნენ“, — წერს პოეტი და აღტაცებულია იმ ჩვენი წინაპრებით, რომლებიც ამ ზღაპრულ ლაბირინთებში „კეთილშობილურ ყურძნის წვენს სვამდნენ და ადიდებდნენ ღმერთსაც და კაცსაც“; აქ ნიადაგ გაისმოდა და მიწას სერავდა „კივილი სისხლის“, ხოლო ისინი, რომელთაც მამული უნდა ეხსნათ, აქ იბადებოდნენ... „შთამომავლობა ამ ფიჭაში იბადებოდა... ვეფხის ტყავებზე ჩურჩულებდნენ შეყვარებულნი და მთვარის ნალებს უჭედავდნენ მხედრები ცხენებს. ბრძოლაში ნაწრთობ ორლესულებს ლესავდნენ სისხლით... შთამომავლობა ამ ფიჭაში იბადებოდა. დედაფუტკარი — თამარ მეფე მზესავით ენთო“... პოლონელი პოეტისათვის თამარი საქართველოს მეფეების მთავარია. რომელიც მთვარის ელვარებასავით ლამაზია...“ „და წავიდა რუსთაველი წამებით, ვერ გაგიტყდა სიყვარულში, ისე. ვით შეეძლო, სახე არ ჰყვარებოდა, სილამაზით საქართველოს მსგავსი“, — მიმართავს პოეტი თამარს სხვა ლექსში („თამარ მეფის სურათთან“,) ეს ის თამარია, რომელსაც ვაჟა-ფშაველამ „ჩვენი ლამაზი დედა“ უწოდა. სულ ერთი წამით გაიელვებს წინამდებარე წიგნში დავით აღმაშენებლის სახე და სამუდამოდ გვამახსოვრდება: „ის საქართველოს კვარცხლბეკზე დგას, როგორც ოცნების უზადო პირმშო... მის დანახვაზე ქედს იხრიან შთამომავლები და საალდგომო კრავებივით მორჩილად დგანან.“

საქართველოს ღვთაებრივ სილამაზესა და მტერთაგან დაუპყრობელ სიმაღლეებს ეძღვნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, აგრეთვე, ლექსები: „კავკასიური“ და „წუნდა“...

როგორც ყველა ჭეშმარიტი შემოქმედი, ი. სიკირიცკი თავდავიწყებითაა შეყვარებული იმ მიწაზე, რომლის სინათლეშიაც დაიბადა და სადაც მისი პირველი სტრიქონები დაიწერა; მის პოეზიაში სევდიან ძახილად გაისმის პოლონეთის მწარე წარსულის ექო: „ჩემო მდინარევ, შენში ჩაინთქა ალალ-მართალი ხალხის თვალები... არ გაიღვიძებს აწი ოროდეს ის, ვინც შენს ფსკერზე ჩაწვა წვალებით! ჭაღაროსანი, ძველი მეაბჯარე, მეჩეჩის პირას წყალს აყურადებს, — მისი ქალწულიც შენში ჩაიხრჩო... ცრემლად დაეცა წარსულ სურათებს“ („ვისლა“).

ი. სიკირიცკი ის პოეტია, რომელსაც მშობლიური ენა სიცოცხლესავით უყვარს და რომლის უკვდავებაშიც ეჭვი არ ეპარება: „ენავ მშობელო, მე უშენოდ სიცოცხლე არ მწამს... თუ ისტორია გადასწონის ჟამს მისხალ-მისხლით და ხელაღებით წიგნის ფურცლებს უგულოდ დასწვავს, შენი ნათელი ყველა აზრებს დაწვისგან იხსნის“.

ი. სიკირიცკის პოეტური აზრი ნათელ და ოხტატურად ნაძერწ მხატვრულ სახეებშია გაცხადებული: „მეგობრებო, გაიხედეთ, დრო მოსულა ძილის... ღამეს ყელზე შეუბია ვარსკვლავების მძივი. მთვარის კალმით წერილები იწერება თეთრი, მთვარე შეყვარებულია — დედამიწას ეტრფის“.

პოლონელი პოეტის სიყვარული იმ ადამიანებს ეკუთვნის, რომელთაც იციან მამულისა და წინაპრის ფასი; იგი ერთ ლექსში ამბობს: „ჩემი ხელები ზარი არის დღესასწაულის, ჩემი ხელები შველაა და გამოსარჩლება“. სწორედ ამ ხელების მიერ მოპოვებული განძის მცირე ნაწილით — ლექსების ამ პატარა წიგნით — ქართველი მკითხველიც ამაყობს და ხარობს...

ი. სიკირიცკის პოეტური სამყარო ჩვენთვის ახლობელია, ხოლო ის ფაქტი, რომ ამ სიახლოვეს მკითხველი ლამაზად და დაუბრკოლებლად გრძნობს, ეს უდავოდ ამ წიგნის მთარგმნელის გრიგოლ ჯულუხიძის დამსახურებაა.

იგორ სიკირიცკის პოეზია სიცოცხლისა და თავისუფლების საგალობელია.

ვაჟა მათურელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნორმან მეილერი

ბრძოლა

მუჰამედ ალი — ფორმენი

II. ნგოლი

ალის მყუდრო გასახდელი არ შეხვდა. ეს იყო მრგვალსვეტებიანი, თეთრი კაფელით გაწყობილი დიდი ოთახი, რომელშიც შპალერიც კი თეთრი იყო. აქაურობა ხოპერაციოს ჰგავდა. ასეა, ამ საცხედრედან ერთი კვნესის ხმაც კი არ გავა. ირგვლივ სულ თეთრი კაფელია. ჰოდა, მოდი და დადექ ბრძოლის ეშხზე!

აჭ მყოფთა განწყობილება ალის ვერ ახალისებდა. სათქმელი არავის არაფერი ჰქონდა.

— რაო, რა ამბავია? — იკითხა ალიმ შემოსვლისთანავე. — შიშისაგან ენა ჩაგივარდათ, არა? რა დაგემართათ, მართლა და მართლა?!

მან ტანსაცმელი გაიძრო, ტრუსისამარა დარჩა და წაცეკვებული ნაბიჯით, უჩინარ მოწინააღმდეგესთან ბრძოლის იმიტაცია-იმიტაციით გაიარა ოთახში.

მისი სპარინგ-პარტნიორი როი უილიამსი, რომელსაც პროგრამის მთავარ მოვლენამდე ათრაუნდიანი შეხვედრა უნდა ჩაეტარებინა ჰენრი კლარკთან, სამასაჟე მაგიდაზე იჯდა რინგზე გასასვლელად ჩაცმული. რაღაც გაუგებრობა მოხდა: სტადიონზე ალის ამალასთან ერთად მოსულმა როიმ შეიტყო, რომ მან თავის ორთაბრძოლაზე დააგვიანა. ახლა ფიქრობდნენ, რომ იგი ცენტრალური შეხვედრის შემდეგ უნდა გასულიყო რინგზე. ვერაფერი გულგასახარი ამბავი იყო.

— გეშინია, როი? — ჰკითხა ალიმ, როცა მას ცეკვა-[illegible]ითი მოძრაობებით მიუახლოვდა.

— [illegible]ინია, არა!

იბეჭდება შემოკლებით.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 1.

უილიამსი მშვიდად, გარკვევით ლაპარაკობდა. გასახდელში შეყრილთა შორის ყველაზე შავი და ყველაზე თავაზიანი ის იყო.

— კარგია, ჩვენ კიდევ ცოტას წავუცეკვებთ. — და ალი უკან-უკან წავარდნის დროს ლამის ზურგით ბოძებს ედებოდა და ეს სიამოვნებას ჰგვრიდა. ბავშვის მსგავსად, მას ჰქონდა ნიჭი, ეგრძნო თუ რა იყო ზურგს უკან, თითქოს მხოლოდ კანით როდი შეეძლო შეხებით შეგრძნება. დიახ, კიდევ წავუცეკვებთ, კიდევ, — „დარტყმების“ სერია ჰაერში, — ჩვენ იმას ჯიგრიანად მივტყეპავთ.

როი უილიამს გარდა მხოლოდ ალი ჩანდა მშვიდი და მხიარული. როცა ალი სულის მოსათქმელად ჩამოჯდა, ნორმანმა მას უთხრა:

—მე მეშინია. შენზე მეტად მეშინია.

— საშიში რაა? უბრალოდ ეს იქნება კიდევ ერთი მოვლენა მუჰამედ ალის დრამატულ ბიოგრაფიაში. კიდევ ერთი წავარჯიშება, მორჩა და გათავდა. — იგი მიუბრუნდა რეპორტიორ პლიმპტონს და დაუმატა: მეშინია, როცა კოშმარების ფილმებს ვუყურებ და კიდევ ჰექა-ქუხილისა მეშინია. რეაქტიულ თვითმფრინავებშიც მეშინია. სხვა ამბავია, როცა იცი, რომ ყველაფერი შენზე, შენს ძალაზე, შენს უნარზე ჰკიდია, როცა ასეა საქმე, მაშინ არაფრის გეშინია კაცს. თავზარს მე მხოლოდ ალაჰი მცემს. და, იცი, რატომ? იმიტომ, რომ მასთან უმწეო ხარ, დგახარ მის წინაშე და ელოდები. იგი მარტოა, მას მრჩევლები არა ჰყავს.

— საშიში რა უნდა იყოს. აბა, დაფიქრდი: ილაია მაჰმადმა (ილაია პული, რომელმაც ილაია მაჰმადი დაირქვა, „შავი მუსულმანობის“ მოძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაობის ლიდერი — მთარგ.) იმდენ რამეს გაუძლო, რომ ჩემი ამბავი იმასთან მონაგონია. მე, რა თქმა უნდა, ილაია არა ვარ, მაგრამ ცოტა რამ მეც გადამიტანია. აი, როცა პირველად ლისტონს ვეჩხუბე, იმას ვერაფერს შევადარი — არც ჯორჯ ფორმენს, არც თვითონ მე ამდენი არ მოგვხვედრია. ისეთი შიში ვჭამე, ისეთი, როგორიც, ალბათ მხოლოდ მაშინ თუ მიგრძვნია, მალკოლმ იქსი რომ მოკლეს (თვალსაჩინო ზანგი მოღვაწე, მოკლეს 1965 წ. — მთარგ.) და მეც მოკვლით მემუქრებოდნენ. ნამდვილად მოკვლას მიპირებდნენ. დღეს კი სულაც არ მეშინია, საშიში რა მაქვს.

იგი ფიცხლად წამოხტა, თითქოს რაუნდსა და რაუნდს შორის შესვენება გაუთავდა, და ისევ დაიწყო ორთაბრძოლა ადევნებულ მეტოქესთანო, ხოლო გასახდელში მოხროვილნი გვერდზე დგებოდნენ, იმიტომ, რომ ალის მუშტები მათ სახეს სანტიმეტრებზეღა ცდებოდა. ალიმ თავის მასაჟისტს, ტანმორჩილ თურქს, ჰასანს, გვერდზე რომ გაუარა, წაუჩქმიტა.

მაგრამ, მორჩა, გასახდელში გუნება ვერა და ვერ გამოიკეთეს. თითქოს საავადმყოფოს მისაღებში ახლო ნათესავები შეიყარნენ და ოპერაციის შედეგს ელოდნენო.

ალი ახლა ოთახის შუაგულში მდგარ სამასაჟო მაგიდაზე იწვა, გრძელ თეთრ ხელთათმანებს იქერდა, რიგრიგობით ხან ერთ, ხან მეორე ფეხს იქიმავდა ჰაერში, რათა სეკუნდანტს მისი ფეხსაცმლის ლანჩები დანით გაეხეხა — ნაკლებ ისრიალებდა. ვიღაცამ სამკბილა ფოლადის სავარცხელი მოაწოდა — ასეთ სავარცხლებს ატარებენ შავკანიანები, როცა უნდათ, რომ აფრიკელებს დაემგვანონ. ალიმ გულდასმით დაივარცხნა თმა. ანიშნა და ადვილობრივი ფრანგული გაზეთი მოართვეს, რომელშიც ფორმენის და ალის მიერ ჩატარებული ორთაბრძოლების სრული სია იყო გამოქვეყნებული. მან მეილერსა და პლიმპტონს ჩაუკითხა აქ მოხსენებული გვარები და არ დავიწყებია მათთვის შეეხსენებინა, რომ ფორმენი მხოლოდ ბითურ ხალხთან იყო ნაჩხუბარი, ხოლო თავად მას, ალის, ერთიერთმანეთზე უკეთესი მეტოქეები ჰყავდა. მას, თითქოს, უნდოდა კიდევ ერთხელ მიეხედა უკან, კიდევ ერთხელ თავიდან ბოლომდე გადაევლო თვალი თავისი ცხოვრებისთვის. ეტყობა, მთელი ამ თვეების მანძილზე მან პირველად გაუმხილა ხალხს, აქამდე რა შიშიც ტანჯავდა მალულად.

ალიმ უცებ თავი გააქნ-გამოაქნია. დარაბებს იქით თითქოს კაციქამია შუაღამე იდგა. ალიმ იმ ღამეს თვალში ჩახედა და დაილაპარაკა:

— ალბათ, როცა ნოკაუტში ხარ, ირგვლივ ბნელდება, ყველაფერი უჩინარდება. ნოკაუტში მე არავის ჩავუგდივარ. ნოკდაუნი? რამდენიც გნებავს! — მაგრამ ნოკაუტში არც ერთხელ არ ჩავვარდნილვარ. და ძილმღვიძარე, შიისგან გამოღვიძებული კაცივით, ვინც გაიაზრა, რომ მისი ეს სიზმარი მხოლოდ სიკვდილისგან წინმსწრობელი რამ იყო, ალიმ იყვირა: „რა უცნაური ამბავია... არაფერი შეგიძლია კაცს, არაფერი...“

ისევ გადააქნია თავი.

— დიახ, — თქვა მან, — საძაგლობაა, ღამე რომ სულს გიხუთავს, — ორივე ჟურნალისტს იმ ავადმყოფის ცარიელი თვალებით შეხედა, რომელმაც სიკვდილის მუქარის უჩინარი ლანდი დალანდა, — ამქვეყნად ვერცერთი ექიმი ვერ დაინახავდა მას.

ამის შემდეგ, ეტყობა, დამთავრდა ის ბრძოლა, ჭიდილი საკუთარ განცდებთან, რომლებმაც ნისლივით დაბურეს ალი, რადგან წარმოთქვა მან საკრამენტული ფრაზა, — უკვე დროა „შუალამის ბრაგაბრუგისთვის“ შევემზადოთო და ერთიერთმანეთზე მიყოლებით დაუწყო ხალხს ძახილი.

— რაო, ბუნდინი, წავუცეკვოთ? — გასძახა მან თავის მწვრთნელს. — წავუცეკვოთ, მაშ?

ბუნდინი დუმდა. ჰაერი ნაღველით იყო დატენილი.

— თქვენ, ეტყობა, დაყრუვდით, წავუცეკვოთ, თუ არა-მეთქი, გკითხეთ...

— წავუცეკვოთ, წავუცეკვოთ, — ნაღვლიანად შეეხმიანა ჯინ კილროი, მისი აგენტი.

— წავუცეკვოთ, — თქვა ალიმ. — წავუცეკვოთ!

სეკუნდანტმა ხელის შეხვევა დაუწყო. ამ ოპერაციას ყურადღებით ადევნებდა თვალს დოკ ბროდესი, ფორმენის წარმომადგენელი-მეთვალყურე. ეს იყო ტანმორჩილი, მკვრივად ნაგები სამოციოდე წლის ზანგი. მრავალი წლის წინათ მან ფორმენი აღმოაჩინა მოკრივეთა მოსამზადებელ ცენტრში და მას აქეთ თითქმის სულ მასთან მუშაობდა. „ინტერკონტინენტალში“ ბროდესს ყველა იცნობდა, იმიტომ, რომ დიდი ხანია სახელი გაუვარდა თავისი წინასწარმეტყველური სიზმრების მეოხებით. მან სიზმარში ნახა ის ნოკაუტები, რომლებითაც წერტილი დაუსვა ფორმენმა ფრეიზერთან და ნორტონთან ბრძოლას. ახლა ბროდესს ესიზმრა, რომ მისი ჯორჯი მეორე რაუნდში გაიმარჯვებდა, მაგრამ იგი ერიდებოდა დაბეჯითებითი პროგნოზების გაკეთებას. მის სიზმარში რაღაც მთლად ყველაფერი არ იყო რიგზე.

ალი დოკ ბროდესს ისე ელაპარაკებოდა, თითქოს განსაკუთრებით დიდ რამედ მიიჩნევსო იმის შესაძლებლობას, რომ ფორმენისთვის გაეგებინებინა ყველაფერი, რაც აქ, ამ გასახდელში, ორთაბრძოლამდე რამდენიმე წუთით ადრე ხდებოდა. მან ბროდესს მიაცივა თვალი და ჭარმაგი ზანგი ამ მზერამ შეაძრწუნა. ბროდესი

ნორმან მეილერი
ბრძოლა

ალის გვერდით თავს უხერხულად გრძნობდა. შესაძლოა, იმიტომაც, რომ დიდხანს ეთაყვანებოდა ალის, როგორც მოკრივეს, ამჯერად კი მის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა.

— გადაეცი იმ შენს ყმაწვილკაცს, — მინდობით უთხრა ალიმ, — საცეკვაოდ გაემზადოს.

ბროდესი ისევ შეიჭმუხნა. ამ დროს გასახდელში შემოიჭრა ფერდი პაჩეკო, რომელიც ფორმენთან მეთვალყურედ იყო გაგზავნილი. გადარეული იყო კაცი.

— ყური მიგდე, — ულრიალა მან ბროდესს, — თქვენთან არ მიშვებენ, გესმის! რა ხდება ეს, დღეს კრივია თუ მესამე მსოფლიო ომი? — იგრძნობოდა, რომ პაჩეკო დაბნეული და დაფეთებული იყო. ეტყობა, მასზე იმოქმედა მძვინვარების იმ ატმოსფერომ, რომელიც ფორმენის გასახდელში სუფევდა. ბროდესი სწრაფად წამოდგა. ისინი გავიდნენ.

ალი ბუნდინის ელაპარაკებოდა:

— რაო, ბუნდინი, ვიცეკვებთ, აბა, ვიცეკვებთ?

ბუნდინი დუმდა.

— ვიცეკვებთ, მაშ?

დუმილი:

— რატომ დუმხარ, დრიუ, რატომ? — ეს ითქვა ისეთი თეატრალური პათოსით, თითქოს მხოლოდ ამით შეიძლებოდაო ამ კაცის შენძრევა. — ვიცეკვოთ, ბუნდინი? — ისევ ჰკითხა ალიმ და ყასიდად თვინიერი ხმით დაუმატა: — უმაგისოდ ხომ ვერ ვიცეკვებ, მართლა და მართლა?

— ისეთი კარგი ხალათი გაგიმზადე, შენ კი არ გინდა ნახო, — ხრინწიანი ხმით უთხრა ბუნდინიმ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ძალზე ღელავდა.

— კარგი, ბუნდინი, კარგი. მე ხომ ჩემპიონი ვარ. მოგიწევს, რომ რაღაც-რაღაცეების ნება დამრთო. შენ ხალათის არჩევის უფლებასაც არ მაძლევ და ის კი გინდა, რომ ბრძოლა მოვიგო. იქნება ისიც კი შენ გადაწყვიტო, რა ვჭამო და რა არა? რას იტყვი, ა, ბუნდინი? იქნება, ხელი ჩამჭიდო და ისე მატარო, ა? მოწყენილობა, მკლავს, ბუნდინი, მოწყენილობა, საშინელებაა. შენ, რაო, არ გინდა, რომ გამამხნევო და გამახალისო?

ბუნდინი ჯერ ისევ პირქუშად იყო, მაგრამ ტუჩებზე უკვე ღიმილი ეფინებოდა.

— აბა, მითხარი, მითხარი, ვიცეკვებთ? — ჰკითხა ალიმ.

— მთელი ღამე, გათენებამდე.

— ზუსტად ასეა. ვიცეკვებთ, ბუნდინი, ვიცეკვებთ...

მალე ბროდესიც მობრუნდა, რომელმაც პაჩეკო ფორმენის გასახდელში შეიყვანა და ალიმ მის თვალწინ მთელი სპექტაკლი გაიმეორა.

— იცით, ჩვენ რას ვიზამთ? — ჰკითხა მან ბუნდინის და კილროის, — ჩვენ ვიცეკვებთ, — კილროის შეუვარებული კაცის ხელიანად ალმილი დაეფინა სახეზე, — მთელი ღამე, გათენებამდე ვიცეკვებთ.

— დიახ, დიახ, ჩვენ ვიცეკვებთ, — გაიმეორა ალიმ, ბროდესს მიუბრუნდა და შეახსენა: — გადაეცი, მოემზადოს.

— ეგ ჩემს ჭკუაზე არ დადის, — ჩაიბურღღუნა ბროდესმა.

— არა, შენ უთხარი, უთხარი, რომ საცეკვაოდ გაემზადოს.

— იმას ცეკვა არ შეუძლია, — ბროდესმა ეს ისე თქვა, თითქოს გააფრთხილაო: ჩემს ყოჩს უფრო სერიოზული საქმეები აქვსო.

— აბა, რა შეუძლია?

— ცეკვა არ შეუძლია, — თქვა ბროდესმა.

— აი, ეს კაცი, ფორმენის კაცი, ამბობს, ჯორჯს ცეკვა არ შეუძლიაო, — თქვა ალიმ ყველას გასაგონად, — გესმით, ჯორჯს ცე-კვა არ შესძლებია!

— გამოსვლამდე ხუთი წუთი დარჩა! — დაიძახა ვილაცამ.

ალის ფორთოხლის წვენი მოართვეს. სანახევროდ სავსე ჭიქიდან მოსვა, ბროდესს გადახედა და მხიარულად უთხრა:

—კეთილი, გადაეცი, რომ მირტყას მუცელში.

●

ჯორჯი ასეც აპირებდა. უნდოდა, რომ სწორედ მუცელში ერტყა. ნამდვილი ბრძოლა იყო მოსალოდნელი. ისეთი ღრიანცელი იდგა, ხუთი წუთია დარჩენილი დაწყებამდეო, არავის გაუგონია. გასახდელს აბაზანა ეკრა და ალი იქ შევიდა თავის მენეჯერთან, ილაია მაჰმადის შვილთან, ჰერბერტ მაჰმადთან ერთად. ამ პირმრგვალი, სანდომიანი კაცის ნათელი გარეგნობა ცხადჰყოფდა, რომ ანგარებისა არა ეცხო რა, — ამიტომაც იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მისი მოტყუება ძალზე ძნელი იქნებოდა. ახლა თეთრი ქიტონი ჰქონდა წამოსხმული, ტერფთან დასთრევდა, როგორც ეს შეჰფერის მუსულმან ქადაგს, რომელიც თავის შეგირდთან ერთად სალოცავად მიემართება. კედლის იქიდან მოისმოდა ყურანის ლექსები — ასეთი არაბული მხოლოდ ყურანში შეიძლება იყოს. ალი გავიდა თუ არა, გასახდელი მაშინვე დაცარიელდა და ვინც დარჩა, ხმას არ იღებდა — ესმოდათ, რომ არაფრის თქმა არ იყო საჭირო.

გამოჩნდა ფერდი პაჩეკო, რომელიც ფორმენის გასახდელიდან გამოვიდა: „ყველაფერი რიგზეა. წავედით“. წუთის შემდეგ აბაზანიდან გამოვიდა ალი, რომელიც წარმოსახულ მეტოქეს ეკრივებოდა. ილაია მაჰმადის შვილი ლოცვა-ლოცვით მოჰყვებოდა გვერდით.

ვილაცამ ჰკითხა პაჩეკოს, ფორმენი რასა იქსო.

— ფორმენი ხმას არ იღებს. ზის ზეწრებში გახვეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტადიონიდან მოისმოდა ტალღისებური ყვირილი:

— ალი, რინგზე! ალი, რინგზე!

ბუნდინმ ზარ-ზეიმით მოასხა ალის მხარზე მისგან არჩეული თეთრი აფრიკული ხალათი. და ყველა, ვინც კი მაშინ გასახდელში იყო, ოცამდე კაცი გრძელ მწკრივად გამოედინა იქიდან, შესასვლელთან მცველად მდგარი ჯარისკაცების რაზმის წინ გაიარა, მერე კიდევ და კიდევ სხვა, აუარებელი ჯარისკაცის თვალწინ გაუყვა ბეტონისა და აგურის დერეფნებს, რომლებსაც ჯერ ისევ ახსოვდა, აქ რომ ზალპების გრიალ-გრიალი იდგა. იმისი ექო და ის, თუ როგორ იხოცებოდა აქ ხალხი. გამოვიდნენ ჰაერზე, თვალწარმტაც მშვენიერ მწვანე მინდორზე, რომელიც სიურრეალისტების ნახატების მსგავსად, ელექტროშუქით იყო გაკაშკაშებული. ალი რომ გაჩოვიდა, გაისმა ზღვა ხალხის გუგუნი, თუმცა, ეს გუგუნი ისეთი გამაყრუებელი არ ყოფილა, როგორც მოსალოდნელი იყო. ეს გასაგებიც გახდათ — უილიამსისა და კლარკის ბრძოლა ხომ გადაიტანეს და ხალხი მთელი საათი ცარიელ რინგს იყო მიჩერებული, მანამდე კი ცეკვავდნენ, სხვადასხვა ტომის ცეკვებს ცეკვავდნენ, გაუთავებლად დილის ოთხ საათამდე, და მთავარ მოვლენამდე დარჩენილ დროს რის ვაი-ვაგლახით კლავდნენ. ამ მოვლენას ზაირელი ხალხი მთელი სამი თვე ელოდა და, აი, სამოცი ათასი კაცი შეიკრიბა, ფართო წრედ შემოეჯარა ფეხბურთის მოედნის ცენტრში აღმართულ რინგს. ეტყობა, ხალხს მოლოდინი გაუცრუვდა. ეს იმას ჰგავდა, ტიპიურ სახლში რომ შევიდეს კაცი და გზატკეცილს გადაღმა, თორმეტი საავტომობილო ნაკადის იქით მდგარ სხვა ტიპიურ სახლში თავმოყრილ ხალხს ფანჯრიდან უცქიროს. რინგის თავზე დააყენეს და კოჭზე დაამაგრეს ასაწყობი თუნუქის წინაფრა, რომლის ქვეშაც, არენის ირგვლივ, მოექცა ორიათას ხუთასი ადგილი. — ვაითუ ტროპიკული ღვართქაფი მოვარდნილიყო, რაც ყოველწუთს იყო მოსალოდნელი, რადგან კალენდრით სწორედ წვიმების სეზონი იდგა. წვიმებმა ორ კვირაზე მეტი ხნით დააგვიანა. თითქმის ყოველდღე წვიმდა ცოტ-ცოტას და მრუმე ცა ავბედითად გადმომხობოდა მიწას. ამერიკაში ასეთი ცა გაზაფხულის ფაზიფუხა, ძლიერი ჭექა-ქუხილის მომასწავებელია, მაგრამ აფრიკის ღრუბლები, ადამიანებივით სულგრძელობას იჩენდნენ...

...იგი მთლად მარტოხელა იდგა რინგზე, — ეს მაძიებელი, ვინც ხელთათმანი ესროლა ჩემპიონს, ეს უფლისწული, ვინც, განსხვავებით სხვა მოკრივეებისგან, რომლებიც იმ გრძელ წუთებში, როცა ტიტულის მფლობელის გამოჩენას ელიან, თრთიან, ალი მეფურ სიამოვნებას გრძნობდა იმით, რომ რინგის მთელი სივრცე ახლა უწილადოდ, მთლიანად მას ეკუთვნოდა. იგი უშიშარი და თითქმის ბედნიერი ჩანდა და ცხადი იყო, რომ იმ ორიათასი დღის მანძილზე, მას შემდეგ, რაც მას — ასპარეზობის გარეშე — მსოფლიოს ჩემპიონობა და რინგზე გამოსვლის უფლება წართმეული ჰქონდა, მან ისეთი ჯოჯოხეთი გამოიარა, რომლის გავლაც სპორტსმენისთვის ისევე საშინელება იქნებოდა, როგორც ის, რომ მწერალს დაეწერა „მშვიდობით, იარაღო!“ და მისი დაბეჭდის იმედი დაეკარგა. ეტყობოდა, რომ ამ ბიბლიური გვემა-გამოცდის შვიდ წელიწადში მან დაიწესა დისციპლინა, რომელმაც საშუალება მისცა ხელუხლებლად დაეცვა, შეენარჩუნებინა თავისი ღირსება, თავისი ტალანტი, თავისი სწრაფვა, აღტკინება, რომ ყოველთვის დიადი ყოფილიყო და ეს ახლა, ამ გადამწყვეტ წუთს მძლავრად აშუქებდა ალის არსებიდან. მისი სხეული პრიზების მფლობელი ჩორთით მოსიარულე ცხენის ბალანივით ლაპლაპებდა. იგი სავსებით მზად იყო იმისთვის, რომ შებმოდა ყველაზე ძლიერ და ყველაზე ავ მძიმე წონის მოკრივეს, როგორიც უკვე კარგა ბევრი წელია არ უნახავს რინგს, ან, შესაძლოა, ეს მოკრივე საერთოდ ყველაზე ავი ადამიანიც იყო, და ვიდრე უფლისწული მარტო იდგა და ელოდა ჩემპიონს, იდგა თავის ფიქრებში დაძირული — სულერთია, რა ფიქრებიც იყო — და თავისთავზე რაღაცას ეუბნებოდა ალაპს, — სულერთია, როგორ გამოსდიოდა ეს, — ვიდრე იგი ასე იდგა, ფეხსაცმლის ლანჩას იხეხავდა და ჰაერს მუშტებს უბრაგუნებდა, ყოვლადძლიერი პირადი წარმომადგენელი, მაიამელი ანჯელო დანდი, ალის სეკუნდანტი, აუჩქარებლად უვლიდა ირგვლივ რინგს და ზღვა ხალხის თვალწინ მშვიდად უშვებდა ოთხივე ბრჯენის სამაგრებს სიმქაშებისა და ქანჩების დახმარებით, რომლებიც ჩანთაში ჯერ კიდევ ნზელეში ჩააწყო. როცა, მისი აზრით, იმდენად შეასუსტა, მოუშვა დაჭიმული ბაგირები, რომ ზამბარასავით არ წამოეგდოთ მათზე გადაწოლილი კაცი, დანდი იმ კუთხეში მიდგა, რომელიც ალის აერჩია. მისთვის განსაკუთრებული ყურადღება არავის მიუქცევია.

ფორმენი ჯერ ისევ თავის გასახდელში იყო. თუ რა ხდებოდა იქ, შემდეგში გაიგო პლიმპტონმა თავისი ძველი მეგობრისგან, არჩი მურისგან. „რინგზე გასვლის წინ, — წერდა პლიმპტონი, — ფორმენმა და მთელმა მისმა ტრესტმა წრე შეკრეს და გულზე ხელები დაიკრიფეს — შეასრულეს ლოცვის მსგავსი რიტუალი, რაც აუცილებელ წესად ჰქონდათ იამაიკაზე იმ ბრძოლის შემდეგ, როცა ფორმენი ჩემპიონი გახდა... მათ, აქაც, ზაირში, დაიჯვარედინეს გულზე ხელები და არჩი მურმა, რომელიც თავჩაღუნული იდგა, უცებ გაიგო, რომ მუჰამედ ალის სიცოცხლისთვის უნდა ელოცა. მან შემ-

---

ნორმან მეილერი
ბრძოლა

დეგ თქვა: „მე მისთვის მთელი გულით ვლოცულობდი, ვლოცულობდი, რომ ჯორჯს არ მოეკლა იგი. მე ვიცოდი, — სავსებით შესაძლებელი იყო, ასე მომხდარიყო, სხვებმაც იცოდნენ.“

და, აი, ფორმენი რინგზე გამოჩნდა. მას გვერდებზე თეთრზოლიანი წითელი ველვეტის ტრუსები ეცვა და ცისფერი ქამარი ერტყა. ეს ამერიკის დროშის ფერები იყო. თეთრი ბათინკები ეცვა. საზეიმოდ გამოიყურებოდა და რამდენადმე მოტუტუცო-მოჩერჩეტო ჩანდა. არჩი მურის სიტყვით, ამ ყმაწვილმა „თვითონ არ იცოდა, როგორი ძლიერიც იყო“.

რეფერი ზაკ კლეიტონი, ზანგი, რომელიც დიდი პატივისცემით სარგებლობდა, უკვე იცდიდა. ჯორჯმა ძლივს მოასწრო თავის კუთხეში ადგილის დაკავება, მაგნეზიით ბათინკის გახეხვა, ფეხების დასრესა და თავისი ტრესტისთვის რაღაცეების გადაჩურჩულება, რომ რეფერიმ ორივე მოკრივე თავისკენ, რინგის ცენტრში გამოიხმო. ასეთ წუთებში მეტოქეები თავიანთი გამოხედვითაც კი შიშს გვრიან ერთმანეთს. მეტოქეების დაშინება განსაკუთრებით ლისტონს შეეძლო, ვიდრე არ შეხვდა ალის, მაშინ ჯერ კიდევ ოცდაორი წლის კასიუს კლეის, რომელმაც ლისტონის შემოხედვა მოიგერია კიდევ უფრო მძვინვარე შემოხედვით, რომელშიც აკუმულირებული იყო მთელი მისი ნებისყოფა და იმის რწმენა, რომ დიადი მოწოდება ჰქონდა განგებისგან დაკისრებული. ფორმენს შეეძლო დაშინება — ეს ჯერ ფრეიზერმა გაიგო, შემდეგ — ნორტონმა. სიკვდილივით თავზარდამცემი, დამთრგუნველი შემოხედვა ჰქონდა, იმ აკლდამაში კარის მიჯახუნების მსგავსი, რომელშიც შენ იწექი მკვდარი.

შემდეგ ყველამ შეიტყო, რაც უთხრა ფორმენს ალიმ: „შენ ჩემი სახელი ბავშვობაშივე გესმოდა. სულ ცდილობდი გამტოლებოდი. ახლა ნახავ, როგორი მასწავლებელი გყავს!“ მაშინ ჟურნალისტებმა, ცხადია, ერთი სიტყვაც კი ვერ გაიგონეს, მხოლოდ ის დაინახეს, რომ ალი ფორმენს თვალით ხვრეტდა, ახლოს იყო მასთან მისული და რაღაცას ბუტბუტებდა. ფორმენმა თვალი დაახამხამა; ეტყობა გაოგნდა — ალის სიტყვებმა მასზე უფრო ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე ვარაუდობდნენ. მან ალის ხელთათმანზე ხელთათმანი მოუთათუნა და ეს დაახლოებით ამას ნიშნავდა: „კეთილი, ეს რაუნდი შენ მოიგე, ახლა კი დავიწყოთ!“

თავიანთ კუთხეებში მიდგნენ. იდაყვებმოხრილი, თვალდახუჭული ალი ლოცულობდა. ფორმენმა ზურგი შეაქცია. მას ბაგირისთვის ჩაევლო ხელი, მოხრილ ფეხებზე დაყრდნობილს ზორბა დუნდულები გადმოეყარა. არ იძვროდა და თავისი პოზით იგდებდა მოწინააღმდეგეს: „მოდი, მოდი, უკანალზე მაკოცეო“. ასე გავიდა ბოლო ნახევარი წუთი.

გაისმა გონგი! ტრიბუნებმა შვებით ამოისუნთქა. ეს უსაშველოდ გაწელილი ამოხვნეშა და რანგის ცენტრისკენ ალის წავარდნა ერთი იყო. იგი ფორმენზე ნაკლებ ძლიერი და გაბედული არ ჩანდა და ამიტომ თავს იკავებდა, თითქოს მთავარი საშიშროება თვით მისგან მოდიოდა ისინი შორიდანვე, ერთმანეთს შეჯახებამდე, შეიბნენ — მეტოქეებს მეტრნახევარი ჰყოფდა და მაშინვე ორივემ უკან დაიხია, უკან დაიხია ორმა ერთნაირმა მაგნიტურმა პოლუსმა, რომლებიც ერთმანეთს ენერგიულად უკუუბიძგებდნენ. ისევ წინ წავიდა ალი და ფორძენმაც მის შეხვედრად გაიწია; ტრიალ-ტრიალით, ცრუმოძრაობებით ისინი ბრუნავდნენ დაელექტროებულ წრეზე და, უცებ, ალიმ დაარტყა — ეს იყო პირველი, საცდელი დარტყმა მარცხენათი. არ გამოუვიდა. მაგრამ ამას მოჰყვა მარჯვენათი პირდაპირი, ელვასავით მოქნილი, მკვეთრი დარტყმა — გაოგნებულ ფორმენს ამჯერად ზუსტად მოხვდა თავში და მას ჭახე ყრუ დარტყმის ხმამ აგრძნობინა, რა ძლიერი იყო ეს დარტყმა. პუბლიკამ იღმუვლა. როგორც არ უნდა დამთავრებულიყო ბრძოლა, ფორმენს უკვე მოხვდა. მრავალი წლის მანძილზე არცერთ მოწინააღმდეგეს არ დაურტყამს მისთვის ასეთი ძალით, ხოლო სპარინგ-პარტნიორები ხომ ამას ვერასოდეს გაუბედავდნენ.

გაძვინვარებული ფორმენი შეტევაზე გადავიდა. ალიმ ჩააქრო მისი მძვინვარების ხანძარი. მან ფორმენის თავი ხელში მოიგდო და უხეშად და მაგრად უბიძგა ქვევითკენ, რითაც ცხადი გახადა, რომ, ვიდრე ეგონათ, იმაზე გაცილებით უფრო სასტიკი იქნებოდა, ყველამ იგრძნო, რომ საქმე სერიოზულად მიდიოდა. მოწინააღმდეგეები ერთმანეთის მოძრაობას ფხიზლად ადევნებდნენ თვალს, და ყურადღების დამფანტველ მოქნევებს შეტევები და უკუქცევები მოსდევდა. თითქოს ორივეს პისტოლეტი ეჭირაო ხელში. ისროლე, ოღონდ არ ააცდინო, თორემ მეორე არ ააცდენსო. შეუტიე, მაგრამ მეტოქე თუ მზად დაგხვდა, თვითონ მოგხვდება თავშიო. ეს კი საშინელებაა. ეს იგივეა, მაღალი ვოლტის მავთულს რომ ჩაეჭიდო ხელით, — მაშინვე უგონოდ დაეცემი ძირს;

ალი არ ცეკვავდა. იგი უფრო კუთხიდან კუთხეში ქანაობდა, ხტოდა და შეტევისთვის ხელსაყრელ მომენტებს ეძებდა. ფორმენიც იგივეს აკეთებდა. თხუთმეტი წამი გავიდა. უცებ, ალიმ ისევ დაარტყა. ამჯერადაც მარჯვენათი დაარტყა. ახლაც მაგრად გამოუვიდა. თითქოს კომბლის მოქნევით ხაზამორო შუაზე გახეთქესო. ფორმენმა ისევ შეუტია მეტოქეს, ალიმ კი ისევ დაუჭირა თავი, მარცხენა კი ხელთათმანით შეუბოჭა. ფორმენი კლინჩს ვერ გაექცა. ალიმ მას თავდაცვის დაწყებითი კურსის გაკვეთილი მისცა. „ბრეიკ!“ — გაისმა რეფერის ბრძანება და ყველაფერი თავიდან დაიწყო — უხილავი დე-

ნი ერთმანეთთან აერთებდა მათ და ისევ აცილებდა, ერთმანეთზე ახლოდა. ისინი ერთმანეთს უტევდნენ, მერე უკუიქცეოდნენ, თავს არიდებდნენ ერთმანეთის მუშტებს, და ორივე ცდილობდა მეორის არსებაში ჩაეთესა პანიკის მარცვალი და ორივე პუმასავით უზარმაზარი და სწრაფი და ვეფხვივით მძვინვარე იყო, — თვალითუხილავ ნაპერწკლებს აფრქვევდა მათი ყოველი მოძრაობა. ისევ ალიმ შეუტია იღბლიანად—ჯერ მარცხენათი პირდაპირ, შემდეგ მარჯვენათიც ასევე პირდაპირ დაარტყა. ფორმენმა გაგიჟებული ხარისნაირი რეაქციით უპასუხა. ეს მრისხანე ხარი მატადორს დაჟინებით აწვებოდა და მისი რქები მისი წყვილი ხელთათმანი იყო. სივრცე არ ჰყოფნიდა იმისთვის, რომ ეჩხვლიტა მისთვის და უკუქცეულიყო, გაეკაწრა და ისევ უკუქცეულიყო და ამ მოძრაობებით მოეტყუებინა იგი. ალი უკან იხევდა, თავს არიდებდა, ისევ უკან იხევდა და, აი, იგი ბაგირზე აღმოჩნდა გადაწოლილი. ფორმენმა მოიმწყვდია იქ, სულ ნახევარი წუთი გრძელდებოდა ბრძოლა და ფორმენმა იგი უკვე მიაგდო ბაგირთან. ალი კი სულაც არ ცდილობდა გამომძვრალიყო აქედან, სულაც არ ირიდებდა ამ პირდაპირ დამიზნებულ მუშტებს, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ ალის გრაციოზული სიმსუბუქის გასაქრობად, გასაცამტვერებლად. ალი, ალი უბრალოდ უკან იხევდა, ოღონდ, თავისი კუთვნილი ხარკის წაღება არ ავიწყდებოდა. კიდევ მოხვდა ფორმენს ჯერ მარცხენა, მერე — მარჯვენა.

ტრიბუნებზე ღრიანცელი იდგა. ყველა ხედავდა: ალი ბაგირსაა მიჯაჭვული. საკითხავ-საალაპარაკო სხვა არაფერი იყო: დიდხანს გასძლებდა თუ არა იგი ამ დღეში? არადა, მეტისმეტად მალე აღმოჩნდა მძიმე დღეში. მაგრამ ფორმენმა მიზანს ვერ მიაღწია. ალის უკანასკნელმა დარტყმებმა იგი შეაჩერეს. ფორმენის შეტევები მოუმზადებელი აღმოჩნდა. ალი მათ აქრობდა. კლინჩი. ბრეიკი. ალიმ ბაგირს სულ უმნიშვნელო ფასად დააღწია თავი...

მაგრამ რაც მეტი ხვდებოდა, ფორმენი მით უფრო და უფრო აფთრდებოდა. ეს დარტყმები მას აცოფებდა, მაგრამ არ ასუსტებდა. მის ადგილზე სხვა მოკრივე უკვე ბანცალს დაიწყებდა. ფორმენი მხოლოდ უფრო სასტიკდებოდა. მას არც სისწრაფე დაუკარგავს და მისი ხელები, მხოლოდ იმ შემთხვევების გამოკლებით, რაც მას ალის მუშტი ხვდებოდა, მუშამედის ხელებივით სწრაფად მუშაობდა, ხოლო მისი სახე მკვლელის მადის გაღვიძებას ამყღავნებდა. ამ წუთში ვინ დაიჯერებდა, რომ ეს ის ფორმენია, ვინც ჟურნალისტებთან ასეთი თავაზიანი იყო! ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. მან მტკიცედ გადაწყვიტა, ალი დაეხეიბრებინა. რაც უფრო მეტი ხვდებოდა, რაც უფრო უმწეოდ იბრძოდა კლინჩში, მით უფრო მეტი შიში იპყრობდა რანგის ირგვლივ მსხდომთ. ფორმენი რაღაც ავისმომასწავებელ სახეს იღებდა. ალიმ უკვე თხუთმეტიოდჯერ მაინც დაარტყა თავში ძლიერად, თვითონ მისთვის კი ერთხელაც არ მოურტყამთ. მაგრამ რა მოხდება, როცა თვითონაც მოარტყამენ? ამისთანა სისწრაფეს ხომ ვერც ერთი ძმიმე წონის მოკრივე ვერ გაუძლებს. ყოველ შემთხვევაში, ასე ვის შეუძლია დარჩენილ თოთხმეტ რაუნდს გაუძლოს?

მაგრამ ჯერ პირველიც კი არ დამთავრებულა. მის მიწურულს ფორმენმა ალი კუთხეში მოიმწყვდია, გასანძრევი მოუსპო, უკან გადაიხარა და მეტოქეს ჯერ ერთი — პირველი აპერკოტი აჭამა, მერე — მეორე. ეს პირველი დარტყმა შუბივით მოხვდა ალის თავში. მისი გამოხედვა გაქვავებული იყო, ვიდრე მარცხენა ხელით ფორმენის მარჯვენას აკავებდა და ცდილობდა თავისკენ მიეზიდა. ფორმენი კი სწორედ მარჯვენით დარტყმას აპირებდა და ეს შესძლო კიდეც: შებორკილი ფორმენიც კი ისე სდევდა ალის, როგორც ვეშაპს მებარჯე სდევს: მისი მარჯვენა, თუმცა, სანახევროდ დაჭერილი ჰქონდა, ოთხჯერ მაინც მისწვდა ბრაგუნით ალის თავს, შემდეგ ორჯერ კორპუსშიც დაარტყა და ყველამ დაინახა, როგორი მტკივნეულიც იყო ეს დარტყმები. ალი მოშორდა ბაგირს და მეტოქე ისე მაგრად, ისეთი ძალით მოიქცია მკლავებში, ისე მაგრად მოეხვია, როგორც არავის მოხვევია თავის სიცოცხლეში — მან ფორმენის თავს ორივე ხელთათმანით მოუჭირა. მისი თვალების თეთრი გარსი ისე გაიყინა, როგორც იმ ჯარისკაცისა, რომელმაც აფეთქების შემდეგ თავი ასწია და დაინახა, როგორ ბიფრინავს ჰაერში მისი წაგლეჯილი ხელი. რა ურჩხულის დაჩოქება დაუსახავს მიზნად ალის!

ფორმენმა მარცხენა უძლიერესად დაარტყა. მერე კიდევ დაარტყა მარცხენა, მერე — მარჯვენა, კიდევ — მარცხენა, და კიდევ — მარცხენა და მარჯვენა. ურტყამდა თავში, კორპუსში, ხელთათმანებში, ურტყამდა და აცილებდა, ერთი კი პირდაპირ მოძაგძაგე ნეკნში გლიჯა — ეს იყო სასტიკი, არაზუსტი, მაგრამ იმ ძალის დარტყმები, რომ მეტოქე ღრანტეებზე ნელა გადაშვავალ სატვირთო მანქანასავით ჯაყჯაყებდა.

კაცი შეიძლებოდა დაყრუებულიყო, ისე ღრიალებდნენ. ალიმ მარჯვენა დაარტყა, ფორმენმა მარცხენათი, შემდეგ მარჯვენათიც უპასუხა. მათ ერთმანეთს დააყარეს მუშტები, გაისმა გონგი. ხალხი შეძრწუნებული იყო.

როგორი კრივია, როგორი!

...და, აი, ისინი ერთმანეთის პირდაპირ, თავთავიანთ კუთხეში სხედან. მეორე რაუნდის

ნორმან მეილერი
ბრძოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდგომი შესვენებაა. ბრძოლის შედეგი ჯერ გაურკვეველია. ერთისთვისაც და მეორისთვისაც. ალი უსაზღვროდ დარწმუნებულია თავის თავში, მაგრამ ასევე უსაზღვროდ დიდი პრობლემის გადაჭრა მოუხდება მას. ყველას ეშინოდა, რომ იგი პირველ რაუნდებს ვერ გაუძლებდა, როცა ფორმენის დარტყმები განსაკუთრებით ძლიერია. ალიმ გასძლო და ახლა სხვაგვარად ისმის კითხვა: შესძლებს კი იგი ისე მიასავათოს ფორმენი, რომ თვითონაც არ მისავათდეს, მანამდე შეასუსტოს ფორმენის ძალა, ვიდრე გამჭრიახობისა და გონებამახვილობის უნარისგან თავად დაიცლებოდეს?

ფორმენს თავისი ხიძნელეები აქვს, რომლებიც მას, კუთხეში სულის მოსათქმელად მიმჯდარს, შესაძლოა აზრადაც არ მოსდის. მასში ჯერ კიდევ ჩაბუდებულა იმის შიში, რომ, შესაძლოა. ეს ორთაბრძოლა წააგოს. შეუძლია კი ლომს თუნდაც გაფიქრებით გაიფიქროს, რომ მაიმუნის დაბდღვნას ვერ შესძლებს? ოღონდ კი, ხელში მოიგდოს ალი, ოღონდ კი, მაგრამ ვერა და ვერ მოუხერხებია და ამიტომაც ცოფდება. ფორმენის ტრესტი სწორედ მისი გამძვინვარებითაა შეშფოთებული. საეჭვოა, მისთვის ახლა რაიმე რჩევის მიცემა შეიძლებოდეს. დამშვიდებისკენ მოწოდებას ახლა აზრი არა აქვს. ბოლოს და ბოლოს, ხომ მძვინვარებამ ჩააგდებინა მას ამდენი მეტოქე ნოკაუტში? დამშვიდდეს, დაცხრეს? ძროხასავით მოთვინიერდეს? და, მაინც მოუხდება თავის თავის ხელში აყვანა, დაცხრომა, ვიდრე ალის გამოუვალ ვითარებაში მოაქცევდეს. სხვანაირად, უბრალოდ, სიქა გაეცლება და ის იქნება.

გონგი. ალის ისეთი სერიოზული და მძვინვარე სახე აქვს, ეტყობა, მტკიცედ გადაუწყვეტია, რომ ამ რაუნდში თვითონვე შეუტიოს, მაგრამ, როცა რინგის ცენტრამდე ცოტაღა რჩება, იგი თითქოს ჭოჭმანს იწყებს, ყოყმანობს, ხვდება, რომ საშინელ შეცდომას სჩადის და მაშინვე ცვლის გეგმას, უკან იხევს და ისევ ბაგირზე წვება. ფორმენი უტევს. ბრძოლა ისევ და ისევ ნაცნობი სცენარით მიმდინარეობს: ალი ბაგირისკენ იხევს, ფორმენი კვალში უდგას. რაუნდიდან რაუნდამდე ალი ოცდაათორმოც წამს, ზოგჯერ კი მთელ წუთსაც ბაგირიდან რაღაც სანტიმეტრებზე დგას ან სულაც ზედაა გადაწოლილი, როცა შინაგანი რწმენა ან კლინჩის უბრალო ლოგიკა უკარნახებს, რომ ამ მონაკვეთზე მან უკვე საკმარისად წაიმუშავა, ალი უკან იხევს, რინგს კვეთს და საწინააღმდეგო მხარის ბაგირთან იკავებს სასურველ პოზიციას. ასე რომ, იგი რინგის ოთხივე მხარის ბაგირებთანაა ყოველი რაუნდის მეოთხედი დროის მანძილზე. თითქოს ჩრდილოეთის, დასავლეთის, აღმოსავლეთის, სამხრეთის რიტუალურ ღვთაებებს რიგრიგობით შეჰვედრის და თითოეულისგან ძალას იმატებსო. ამ მნიშვნელობის ორთაბრძოლა არასოდეს არ წარმართულა ასეთი ერთფეროვანი რიტმული სქემით. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ უყურებ დადგმას ქორეოგრაფისა, რომელსაც ფეხების მოძრაობისა არა გაეგება რა, მაგრამ ხელების მოძრაობის თვალსაზრისით დაუშრეტელი ფანტაზიის კაცია. რაუნდიდან რაუნდამდე მეორდება ერთი და იგივე და მაინც დაძაბულობა არ ნელდება, რადგან ალი თითქოს სულ მუდამ საფრთხეშია და მაინც სულ თავს აღწევს მას. იგი თავდაყირა აყენებს კრივზე არსებულ მთელ წარმოდგენებს. ნათელყოფს, რომ იქ, სადაც სხვა მოკრივეებს ყველაზე მეტად უჭირთ თვითონ ყველაზე ძლიერია. ფორმენს რომ ავარჯიშებდნენ, ასეთ მოთხოვნას უყენებდნენ: განუწყვეტლად იცვალე პოზიცია, ალის რინგზე სწრაფი გადაადგილების საშუალება არ მისცე, აიძულე, რომ ბაგირს მიეჯაჭვოსო. მაგრამ ალი ფორმენს არც უშლის ხელს ამაში. ალი არ მოძრაობს, ფორმენს ირგვლივ არ უტრიალებს. იგი უკან-უკან იხევს. ფორმენს და მისივე წინწაწვდილი ხელები უშლის, ვერ წვდება მის წინ მოცახცახე მიზანს და იძულებულია უფრო ახლოს მოვიდეს მეტოქესთან და ამ დროს ალი ორივე ხელით ურტყამს სწრაფად და მძლავრად — კარატეს სჩვევია ასეთი დარტყმები.

მესამე რაუნდის ბოლოში ალი რამდენჯერმე მაგრად არტყამს ფორმენს. ეს მთელი ამ ორთაბრძოლის მანძილზე უმძიმესი დარტყმები იყო. მარჯვენა, მარცხენა, ისევ მარჯვენა... ფორმენი თავზარდაცემულია ამ სერიით. ასეთი ჯერი მისთვის, ალბათ, არასოდეს დაუყრიათ მას აქეთ, რაც უკანასკნელად იჩხუბა ქუჩაში. შესვენებამდე დარჩენილ რამდენიმე წამს მეტოქენი კლინჩში იმყოფებიან და ალის სახეზე ზიზღი აწერია. ფორმენი რის ეაი-ვაგლახით მიდის თავის კუთხემდე. იგი იმ კაცს ჰგავს, დიდიხნის ავადმყოფობის შემდეგ ძლივს რომ ასწია ტანი ლოგინიდან და ოთახში პირველ ნაბიჯებს დგამს. წაქცევას ცოტა აკლია და ხელის ფათურით აგნებს მოთავაზებულ ტაბურეტს.

მეხუთე რაუნდში იგი იერიშზე გადადის, ცდილობს დაანოკაუტოს ალი, მართალია, ალი ბაგირთან ახლო ბრძოლაში ძალზე გაიწაფა, მაგრამ ფორმენსაც უმტკიცდება რწმენა, რომ იგი შესძლებს მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევას. როცა ორივე მხარე ასე დაჯერებულია თავის თავში, ომს ელოდე. ეს რაუნდი კრივის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს რაუნდად დარჩება — იმდენად კარგი იყო იგი. სცენარი პირდაპირ მოქმედების პროცესში იქმნებოდა და იგი შედიოდა მარადისობაში, კრივის ისტორიის ანალებში ოქროს ასოებით იწერებოდა სიტყ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვები: „ალისა და ფორმენის ორთაბრძოლის მეხუთე დიადი რაუნდი“.

როგორც ყველაფერი დიადი, ეს რაუნდიც შეუმჩნევლად დაიწყო. წინა რაუნდის დასასრული ფორმენმა კარგად ჩაატარა, მაგრამ, მაინც, იმათ, ვინც რინგის ირგვლივ იხსდნენ, უძლიერდებოდათ წინათგრძნობა, რომ გრანდიოზული მოულოდნელობა ახლოვდებოდა. თვით ჯო ფრეიზერმაც კი, რომელსაც ფორმენის გამარჯვება ასე სჯეროდა, აღიარა, რომ ჯორჯი „რაღაც განერვიულდა“. ჯონ დელიმ კი მხიარულად ჩაუკრა თვალი მეორე კომენტატორს, დევიდ ფორსტს და უთხრა: „მე კი ვფიქრობ, რომ ალი უკვე იგებს. კიდევ ოთხი რაუნდი და ალი ჯორჯს ხელს მოუთავებს“.

ფორმენი ასე არ ფიქრობდა. როცა მეოთხე რაუნდში მან ძლიერად მოარტყა ალის, წამით აინთო გამარჯვების რწმენა: „რაო, კიდევ ფეხზე დგახარ?“ მეხუთე რაუნდზე იგი ერთ რამეში დარწმუნებული გამოვიდა: თუკი ძალამ ალის ჯერ-ჯერობით ვერ მოუღო ბოლო, მაშასადამე, მეტი, იმდენად დიდი ძალა ყოფილა საჭირო, როგორსაც ალი ჯერ არ წასწყდომია. მერე რა, რომ ჯორჯს სახე სულ მთლად შეუშუპდა და ფეხები რკინის სასწორებივით დაჰქონდა. მერე რა, რომ ხელები ტყვიასავით დაუმძიმდა, ხოლო სუნთქვით ისე სუნთქავდა, როგორც ქარიანში კოცონიდან ცეცხლის ალი ვარდება, — მაინც იგი იყო ღონიერების, ძალის საოცრება, მას შეეძლო ტანჯვა-წამებისთვის გაეძლო და არ შეეწყვიტა თავისი კანონადა, მაშინ, როცა სხვები უკვე საწყის დგომასაც კი ვერ დაიჭერდნენ და სხვისთვის გაძლება მას თითქმის სხვის დასჯაზე უკეთ შეეძლო — პენდელტონში, ამ ბრძოლისთვის როცა ემზადებოდა, მან ხომ ორჯერ ჩაატარა თხუთმეტრაუნდიანი სპარინგი შვიდ პარტნიორთან, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, თანაც, რაუნდებს შორის შესვენების დრო ოცდაათ წამამდე შეამცირა. ჯორჯს შეეძლო ემუშავა, ემუშავა უსასრულოდ, მისმა ხელებმა არ იცოდნენ რა იყო დასვენება, შეეძლო დარტყმებით მთელი ტყე მიწაზე დაეწვინა — დიახ, უნაჯახოდ, ერთიერთმანეთზე მიყოლებით წააქცევდა აურაცხელ ხეს, მთელ ტყეს და ახლა კი ალის დანგრევა გადაეწყვიტა.

პირველი ნახევარი წუთი ისინი ერთმანეთს ეზომებოდნენ, ცდიდნენ. შემდეგ, შემდეგ გრიგალი ამოვარდა. ბაგირზე გადაწოლილმა, გადართხმულმა ალიმ ზღვიდან ვეება თევზი რომ უნდა ამოათრიოს, იმ მებადურივით, თავზე ხელი აიფარა. ფორმები კი მას ეძგერა. რაც ახლა ხდებოდა, ის კაცს მოაგონებდა პირველი მსოფლიო ომის დროინდელ საარტილერიო ბრძოლებს. მომდევნო წუთი-წუთნახევრის მანძილზე მეტოქეებს თითქმის არ შეუცვლიათ პოზიცია. ფორმენმა ოთხ-ოთხი, ექვს-ექვსი, რვა-რვა, ცხრა-ცხრა დარტყმების ჯერი მიაყარა ალის, — ეს იყო მძიმე, გააფთრებული, ზუსტი სერიები, ეს იყო ტანს მოხვედრილი აფეთქებული ჭურვები, თავზე დაცემული ყუმბარები, ეს იყო ისეთი შეგრძნება, თითქოს ორპირ ქარში მუხის კარები მოგიჯასუნეს სხეულზე. ფორმენი სულის შეგუებებამდე უტევდა, მერე წამით უკან იხევდა, რათა ჰაერი ჩაესუნთქა, და ისევ, ყუმბარასავით, ფუგასივით უტევდა, არ ეშვებოდა, ცდილობდა გაესრისა, დაენაკუწებინა მის თვალწინ მობუნდოვანე ეს რაღაც საგანი, უნდოდა მეტოქისთვის ხელები დაემსხვრია, ნეკნები დაეშალა, მუცელი გამოეფატრა, ფეხქვეშ მიწა გამოეცალა, ებურთავებინა, გაესრისა, სისხლში ჩაეხრჩო,, — ო, როგორ ტკბებოდა თავისი ისტერიკით ფორმენი, ეს დიდი მორკინალი, რომელიც ანგრევდა და ვერ ანგრევდა მის თვალწინ მორიალე გახელებული სხეულის ამ გორგალს.

ალი, ალი კი ხელთათმნით იფარავდა თავს, მხრებთან იდაყვებმიჭეჭყილი იდგა, ბანცალებდა, ვიდრე ურტყამდნენ და ურტყამდნენ, ძაგძაგებდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, ბაგირები კი, გასაშრობად გამოკიდებული ზეწრები გრიგალს რომ უძალიანდებიან, ისე ირხეოდნენ, როცა ფორმენი მარჯვენას საფეთქელში უმიზნებდა ალის და ალი თვალის დახამხამების უმალ ასწრებდა თავის მორიდებას, შემდეგ კი ჯოხით წინ ვარდებოდა, რათა ფორმენის იდაყვი შეებორკა და თვითონაც „დახურულიყო“. ამის შემდეგ იგი ისევ უტევდა და ისევ ირიდებდა დარტყმას და ისევ ბაგირს აშურებდა შველად და ყოველივე ამას გრიგალში ზღვაოსნებს რომ თავი უჭირავთ, იმ სიმშვიდით აკეთებდა, მთელი ამ ხნის განმავლობაში მისი აბჯარი თვალები იყო ვარსკვლავებისხელა თვალები ჰქონდა. ამით ატყუებდა ფორმენს. ალი ისე კარკლავდა თვალებს, გეგონებოდათ, პანიკას შეუპყრიაო, თუმცა რა პანიკა, რისი პანიკა, იგი ფორმენს ანკესზე აგებდა, ცრუმოძრაობებით ატყუებდა, თავს რომ მარცხნივ წააგდებდა, კორპუსით მარჯვნივ იხრებოდა, ან უცებ, ფორმენს ჯიქურ მიალურსმნავდა მზერას, სულს უწყალოდ უჭმუჭნიდა და მაშინ მის თავს ხელში იგდებდა, ხელს უბორკავდა, უკუქცევებით წონასწორობიდან გამოჰყავდა და როგორც კი ფორმენი შემოუტევდა, მაშინვე გაურბოდა, რითაც აწამებდა, აგიუებდა, თვითონ კი მშვიდი და აუღელვებელი რჩებოდა, თითქოს სპარინგ-მატჩს ატარებს და ხალათის გახდა არც არის აუცილებელიო, მატადორის მოძრაობით ურტყამდა თავში ფორმენს და ხარს მაშინდა ეშვებოდა, როცა ხუთივე სავალდებულო დახვეწილი პოზიცია დაჭერილი ჰქონდა. ის მხოლოდ ერთხელ შეუყოყმანდასავით, თითქოს გადაამლაშა, ზედმეტად გაა-

ნორმან მეილერი
ბრძოლა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯავრა მეტოქე და ფორმენში რაღაც შეინძრაო, როგორც ეს ჩვეულია ხარს, რომელიც უცაბედად მთელ არენას გადაჰკვეთს და წითელ ნაჭერს კი არა, თვით მატადორს ეცემა და კუთხიდან ალის ვიღაცამ დაუყვირა, როგორც ტორეროს უყვირიან: „ყურადღებით! ყურადღებით!“ — და ალიმ მოასწრო ბაგირს მინდობოდა სულ უკანასკნელ წამს, როცა ფორმენმა დაარტყა. ეს იყო პირველი მისი უძლიერესი მარცხენა გვერდითი ექვსდარტყმიანი სერიისა, რაც მარჯვენათი დააგვირგვინა. ეს იყო კულმინაცია და ამაზე მეტი ფორმენს არაფერი შეეძლო — მარცხენა მუცელში, მარცხენა თავში, მარცხენა მუცელში, მარცხენა თავში, მარცხენა მუცელში და მარცხენა ისევ მუცელში და ყველა ეს დარტყმა ალიმ გააუვნებლა, მუცელი იდაყვით, თავი ხელთათმნით დაიფარა და მორიალე გველებივით მოქანავე ბაგირს მიეწება. მარცხენათი დარტყმებისთვის ის შემზადებული იყო. მზად არ იყო სერიის უკანასკნელი მარჯვენა ხელით დარტყმისთვის. ფორმენის მძლავრმა დარტყმამ მიზანს უწია. რინგის დგარები აჭრიალდნენ. ალიმ იყვირა: „ეგ არაფერი!“ ალბათ, ეს იყო ყველაზე ძლიერი დარტყმა, რომელიც მას იმ ღამით მოხვდა. მაგრამ ამ დარტყმას ათი სხვაც მოჰყვა. ფორმენმა კუნთები დაწყვეტამდე დაჭიმა. იგი მძინვარებით აღვსებულიყო, მთელი თავისი ძალა მუშტში ჩააგუბა და რაუნდის ბოლოს უკვე წუთში ორმოცჯერ, შესაძლოა, ორმოცდაათჯერაც კი დაარტყა და ყოველ დარტყმაში იმხელა ძალა იყო ჩადებული, რომ მის მეტოქეს მთელი სისხლი ფეხებისკენ წაუთქრიალდა. მაგრამ ეტყობა, რაღაცამ გაქრობა იწყო მისი ნგოლოდან, ცხრებოდა მისი უსაშველო მძინვარება, ალიმ გაუძლო კანონადას, იგი ერთიერთმანეთის მიყოლებით უბრუნებდა ხურდას ფორმენს. იმ დიასახლისს ჰგავდა, დანის წვერით ხორცს რომ ჩხვერს, დაბრაწულია თუ არაო. ფორმენის დარტყმები სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა და ალიმ ბაგირთან ახლო ბრძოლაზე ხელი აიღო, უკანასკნელ ოცდაათ წამში თვითვე უტევდა, ოცჯერ მაინც მოუქნია მეტოქეს და თითქმის ყველა მოარტყა. ამ დარტყმებიდან ზოგიერთი უძლიერესი იყო. ოთხი დარტყმა მარჯვნიდან, დარტყმა მარცხენა გვერდში და კიდევ დარტყმა მარჯვნიდან — ფანტასტიკური სერია იყო. ერთ-ერთი დარტყმისგან ფორმენის თავი უნებლიედ ოთხმოცდაათი გრადუსით შეტრიალდა, და ალიმ მარჯვენა ურისავით ბრეგვა ყბაში. ფორმენს თავი, უეცველია, გასკდომაზე ჰქონდა და ტვინი ულაყდებოდა. იგი ბარბაცებდა, ორიენტაცია დაკარგა და ალის ცარიელი თვალებით შეჰყურებდა, როცა ნან შეუტია და ორჯერ კიდევ მოარტყა. ალიმ ამის შემდეგ ფორმენს კისერში ჩაავლო ხელი, თითქოს ის უფროსი ძმაა, რომელსაც გადაუწყვეტია, რომ თავისი მოჩერჩეტო, მაგრამ ბენლეწი უმცროსი ძმა დატუქსოსო და ხალხს გახედა, ეტყობა, თავის მტრებს ან რომელიღაც თავის პირუმტკიც მეგობარს ეძებდა თვალით, ვინც ფიქრობდა, ფორმენი გაიმარჯვებსო. ჯერ კიდევ არ შეეშვა ხელი ფორმენისთვის, რომ ალიმ დაღლისგან გათეთრებული ენა გამოუყო ბუნდინის, რომელიც იქვე, ბაგირთან იდგა და ბედნიერებისგან ჰყვაოდა, როცა გონგს შემოკრეს.

— წარმოუდგენელი, დაუჯერებელი რამ ხდება! — ყვიროდა კომენტატორი ჯიმ ბრაუნი. — უბრალოდ, თვალს ვერ ვუჯერებ! მე მეგონა, ახლა უკვე მორჩა, გათავდა-მეთქი. მეგონა, წაიქცევა და ვერ ადგება-მეთქი. მაგრამ ისეა, თითქოს მისთვის ხელიც არავის დაუკარებიაო. რასაც უნდა, იმას უშვრება ფორმენს. შენ თუ ნახე, თვალი როგორ ჩამიკრა, თუ ნახე?

— თვალი ჩამიკრაო? ენა გამოგიყო.

გასასვლელში კი ალის ძმა რახმანი ბობოქრობდა და ჰენრი კლარკს სულს აძრობდა:

— აბა, შენის აზრით, მოკრივეა ეგა? მოკრივე კი არა, ჩვარია. ჩემი ძმა იმას ბურთივით ათამაშებს! ჩემი ძმა წირვას გამოუყვანს იმ შენს ფორმენს!

●

იგი შემდეგაც ბობოქრობდა და იმავ კლარკს უყვიროდა:

— რაო, ჰენრი, შენს ფორმენს შავი დღე აყარეს თუ არა? საერთოდ, არც არაფერი შეუძლია. ეგ უნდა მიუშვა და ბიჭ-ბუჭებთან აჩხუბო. კარგი, ჰო, ჰენრი, მე არაფერი მოკრივე ვარ, შენთან ხომ ვერ მოვალ და ვერ მოვალ, მაგრამ გულზე ხელი დაიდე და გამოტყდი — მუჰამედმა შენი ფორმენი ხომ გულიანად მიგიტყეპა.

ურტყა, მაგრამ ვერ გალახა. ჯერ ვერ გალახა. კიდევ ორი რაუნდი ჩათავდა. ეს ორი რაუნდი ამ ბრძოლის ყველაზე მოსაწყენი რაუნდები იყო. სიცხე მატულობდა და მატულობდა. ახლა ჰენრი ყოველ წუთში უფრო და უფრო მეტად დანესტიანდება — ტროპიკებია. თავის კუთხეში მიმჯდარი ალი მძიმედ სუნთქავდა, თითქოს რაღაც სტკივაო. თირკმელი ხომ არ აწუხებს? იქნებ ნეკნები სტკივა? დანდი რაღაცას ეჩურჩულებოდა, ალი არ ეთანხმებოდა, თავს უარის ნიშნად აქნევდა. ფორმენისგან განსხვავებით, სახე არ გამოშტერებია. ისევ ისეთი ცოცხალი, მთლად ციყვივით მოძრავი თვალები ჰქონდა. გონგმა მერვე რაუნდის დაწყება აუწყა ხალხს.

ალი აუჩქარებლად მოძრაობდა, გაზრებულად იხევდა ხოლმე უკან და გულდასმით შემზადების შემდეგღა ურტყამდი მეტოქეს, და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რტყმასა და დარტყმას შორის ზუსტ დროით ინტერვალს იცავდა, დიდხანს უმიზნებდა, ექვსჯერ მოარტყა გულიანად ორივე ხელით. თითქოს მარაგში ცოტა დარტყმაღა დარჩენოდა და ყოველ მათგანს მკაცრად განსაზღვრული ამოცანა უნდა შეესრულებინა. თავისიანებს მოწყვეტილი ჯარისკაცი ითვლის ასე ტყვიებს, ვიდრე ისროდეს.

ფორმენი ახლა რინგზე მოუქნელად მოძრაობდა. ასე ცხენი დადის ქვებით დახერგილ გზაზე. მას ახლაც, ალბათ, მეახეჯერ, — ძლიერი მუშტი მოხვდა და მარცხენით ისეთი მაგარი, ისეთი მაგარი პასუხი დაუბრუნა ალის, რომ თვითონ ფორმენი კატაპულტმა მაღლა აისროლა, და ლამის ბაგირს იქით გადააფრინა. წამით დაუცველი დაურჩა. ზურგი და კისერი და ალიმ ხელი აიქნია, მაგრამ თავი შეიკავა და არ დაარტყა, თითქოს ყველას უჩვენა, რომ არ აპირებდა ბრძოლის გაფუჭებას აკრძალული ხერხებით (ვთქვათ, კეფაში მორტყმა), რომლებსაც ფორმენი იყენებდა ნორტონთან, რომანთან, ფრეიზერთან ბრძოლის დროს.

ბაგირებისგან უკუგდებული ფორმენი ალის ისე გაეკიდა, თითქოს გაქცეული კატა უნდა დაეჭიროსო. უკანასკნელმა ირიშმა ფორმენს თავისი თავის რწმენა დაუბრუნა და მან ძალის კვლავ მოქცევა, მოზღვავება იგრძნო, მერე რა, რომ დარტყმები მიზანს სცდებოდა. ამ მოქნეულ მუშტებს დამანგრეველი ძალა ჰქონდა. შესაძლოა, ფორმენი კვლავ ძალის ის საოცრება ხდებოდა, როგორადაც თავი იქცია. ბაგირები ისევ ამაგაგდნენ და მათ იქ მყოფთ შეახსენეს მეხუთე რაუნდის დიადი ბრძოლა. და ალი ახლაც ალიზიანებდა მეტოქეს, — მისი და ფორმენის უსიტყვო დიალოგი გრძელდებოდა. „მოდი, მოდი, — ეუბნებოდა ალი, — თუ სულ ტყუილად ამბობენ შენზე მაგარი დარტყმა აქვს. მენ ხომ, უბრალოდ, ერთი ჭიაყელა ვინმე ხარ. შენ ხომ უკვე ქანცი გამოგელია". ფორმენს ირიშება კი უფერულდებოდა, მიცხრა და მისი ქლოშინი უფრო გარკვევით ისმოდა, ვიდრე ხელთათმნების ჯახაჯუხი. „ახლოს ნუ მიდიხარ! — ისევ და ისევ უყვიროდნენ ალის კუთხიდან. — ხიე და გაათავე!" ფორმენს ამ რაუნდისთვის გამოზოგილი ძალის მარაგი გამოელია. იგი ალის ეგლასუნებოდა ტანზე და ამ დროს ორმეტრიან ბაგშვს ჰგავდა, რომელიც მხოლოდ იმიტომ იქნევდა ხელებს, რომ მათ ვერ იმორჩილებდა.

ალი შეტევაზე რომ გადავიდა, რაუნდის დამთავრებას ოცი წამი აკლდა. მთელი ბრძოლის მანძილზე რინგის კიდეს პირველად მიეჯაჭვა ფორმენი. ალიმ ისეთივე ელვისებური დარტყმების სერია ჩაატარა, როგორც პირველ რაუნდში, მაგრამ ახლა მისი დარტყმები უფრო გაბედული და ძლიერი იყო — ჯერ სამჯერ მძლავრად შემოკრულმა მარჯვენამ შესძრა ფორმენი, შემდეგ მარცხენაც მოხვდა და ამ წამს ფორმენის სახემ ნათელყო, რომ მან იგრძნო, თუ რამხელა საფრთხე ემუქრებოდა და მიხვდა, რომ თავის გადასარჩენად უკიდურესი საშუალებისთვის უნდა მიემართა. მეტოქე უტევდა და მის ზურგს უკან ბაგირი აღარ იყო. ყველაფერი აირია, მოირღვა ის ბურჯები, რომლებსაც მისი სამყარო ეფუძნებოდა! ახლა თვითონ ფორმენი აღმოჩნდა ბაგირზე! და ამ დროს, თითქოს ფორმენის ცნობიერებაში დიდი ჭურვი გასკდაო, თითქოს ზუსტად მოკრივის ხელთათმნისხელა რაკეტა ეძგერაო — ეს იყო მთელი იმ ღამის საუკეთესო დარტყმა, დარტყმა, რომლისთვისაც ალი რინგზე ყოფნის მთელი წლების მანძილზე ემზადებოდა. ფორმენს, პარაშუტით გადმომხტარ კაცსავით, ხელები ჩამოუცვივდა. წელში გამართვა ვერ შესძლო და სცადა როგორმე მილასლასებულიყო რინგის ცენტრამდე. მისი თვალები ალის მისციებოდა და ამ თვალებში მრისხანება სულაც არ იყო, თითქოს ფორმენს მთელ მსოფლიოში უკეთესი მეგობარი არა ჰყავს და სწორედ ის მეგობარი მოსულაო მასთან, მომაკვდავთან გამოსათხოვებლად. ჯორჯ ფორმენის თავი უკვე ვერ თავობდა და მის თვალწინ ყველაფერი ლივლივებდა. ადრინდებურად მთელი თავისი წარმოუდგენელი პოზით თითქოს მოწიწებას გამოხატავდა, რაც აიძულებდა ადრინდებურად ქედი მოეხარა მის წინაშე, ადრინდებურად თვალს ვერ სწყვეტდა მუჰამედ ალის. მუხლი ეკეცებოდა, ფეხზე ვეღარ დგებოდა, მეტი ვეღარ შესძლო, თანდათან წაფერდდა... ო, როგორ არ უნდოდა ეს, როგორ არ უნდოდა! მისი სული ზევით მიწევდა, მის სულს მაგნიტივით ზეეზიდებოდა მაღალი მიზანი, — წყურვილი ჩემპიონობისა, ნაგრამ სხეულს მიწა სწყუროდა. იგი მთელი ორი წამი ეცემოდა და ამ ორ წამში მისთვის ყველაფერი დანაკუწდა, დაიშალა, იგი, ჩემპიონი, ეცემოდა, ინგრეოდა, ხოლო ალი თითქმის ზედ იყო მასზე მიკრული, ირგვლივ უტრიალებდა და მზად იყო, ერთხელაც მოერტყა, მაგრამ ამის საჭიროება უკვე აღარ ჩანდა—იმდენად ინტიმური იყო ეს ძირს დაშვება, რომელსაც ესკორტი არ სჭირდებოდა.

რეფერიმ ალი კუთხეში გაიყვანა. იგი იდგა რაღაც ფიქრებში ჩაძირული. ფეხებით რამდენიმე სწრაფი მოძრაობა გააკეთა, თითქოს ბოდიშობსო, რომ ამ საღამოს არ წაუცეკვა და უყურებდა, ფორმენი როგორ ცდილობდა ამდგარიყო. თითქოს ლოთიაო, რომელსაც უნდა, მაგრამ ტანი ვერ აუწევია ლოგინიდან და სამსახურში ვერ მიდის, იატაკზე მწოლიარე ფორმენი გადაბრუნდა და

ნორმან მეილერი
გრძელა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძიმე-მძიმედ, ტანჯვა-წამებით ცდილობდა თავისი მძლავრი, ვეებერთელა სხეულის წამოწევას, სხეულისა, რომელიც მას ღმერთმა მიამადლა, და თვლა, შესაძლოა, არც ესმოდა. ფეხზე დადგა წამის რაღაც ნაწილში მას შემდეგ, რაც გაისმა „ათი", მაგრამ წინააღმდეგობის გაწევის სურვილი უკვე აღარ ჰქონდა და როცა ზაკ კლეიტონმა მხარზე ხელი დაადო და კუთხისაკენ წაყვანა დაუპირა, ფორმენი მორჩილად მიჰყვა. იქ მას მური ელოდა. იქ ელოდა სედლერი, მისი მწვრთნელი. შემდეგ ცნობილი გახდა, რაც ილაპარაკეს:

— როგორა ხარ, არა გიშავს?

— არა მიშავს, — მიუგო ფორმენმა.

— დამშვიდდი. ახლა ყველაფერი ეს უკვე ისტორიაა.

— ეგრეა.

— მთავარი ისაა, რომ ცოცხალი და მრთელი ხარ. დანარჩენს ეშველება.

●

რეპორტიორებისთვის ბრძოლა ახლა იწყებოდა. ალის გასახდელში უნდა შეეღწიათ როგორმე. ნორმანი ამას ღირსების საქმედ მიიჩნევდა. როგორ შეაღწია გასახდელში, ამას შემდეგში თვითონაც ვერ გეტყოდათ, მხოლოდ, ის კი ახსოვს, რომ ამასთან რაღაცა დამოკიდებულება ჰქონდა კარგა გრძელ ლანძღვა-გინებასა და კარის მცველ ჯარისკაცთა შუაგულში ჯგლეთასა და ჯაჯგურს. ვისაც მიზნის მიღწევა უნდოდა, ენერგიულად უნდა ემუშავა მთელი სხეულით, მაგრამ იმასაც წინასწარ უნდა შერიგებოდა, რომ შეიძლებოდა მისთვის კონდახებით გვერდები დაელილავებინათ. ასე იყო თუ ისე, თავისი თავისდა გასაოცრად, ნორმანი ერთადერთი რეპორტიორი აღმოჩნდა ალის გასახდელში.

იგულისხმება, რომ თავისი ანგარიშის წერას ნორმანი რამდენიმე თვეს მოანდომებს და კიდევ ნახევარი წელი გავა, ვიდრე ეს ანგარიში დაიბეჭდება, ასე რომ, ნორმანს უახლოეს ათ წუთში ტელეფონთან მირბენა სულაც არ სჭირდებოდა. დავუშვათ, რომ ოკეანის გაღმა, რედაქციაში, ტელეფონთან ისხდნენ და მის ზარს ელოდებოდნენ. ნორმანი მაინც ვერ მოიქცეოდა სხვაგვარად, თუ არა ისე, როგორც მოიქცა. იგი ალისთან ინტერვიუს ასაღებად კი არა, თავისი აღფრთოვანების გამოსახატავად შევიდა. ბოლოს და ბოლოს, ნორმანის ცხოვრებაში არც ისე ბევრი წუთი ყოფილა, როცა ირონიის გრძნობა მთლიანად უქრებოდა.

ალი სამასაჟე მაგიდაზე იჯდა, ხელები მუხლებზე ჩამოეყარა და კარგად ჩავლილი წვეულებით ბედნიერ, დაღლილ მასპინძელს ჰგავდა. სახე სუფთა დაურჩა, მხოლოდ ღაწვთან ჰქონდა ცოტაზე ლილისფრად შეშუპებული. შესაძლოა, იგი ასე ლამაზი არც არასდროს ყოფილა. ბავშვის გამოხედვა ჰქონდა. „ჯემის ქილა დავითრიე, — თითქოს ამას ამბობდა მისი თვალები, — გემრიელი ყოფილა". მის თვალებში სხივი კიაფებდა, ისევე, როგორც ბრძოლის დაწყების წინ. ღმერთმანი, ალი მშვენიერი იყო, მშვენიერი იყო იმ ციხე სიმაგრესავით, რომლის ყველა კუნჭული შუქით გაუჩახჩახებიათ.

— შენ ყველაფერი ისე გააკეთე, როგორც გვპირდებოდი, — უთხრა ნორმანმა და მილოცვის უფრო დახვეწილი ფორმა არც უძებნია.

— აჰა. კარგი დამე იყო. — არცერთს კრინტი არ დაუძრავს იმაზე, რომ ალის არ უცეკვია. ეტყობა, სწორედ ეს იყო მის მიერ შემზადებული სიურპრიზი.

—ფანტასტიკა იყო, — თქვა ნორმანმა. — მოგეწონება, ფირზე რომ ნახავ!

ალიმ ამოიხვნეშა. შემდეგ წყნარად ჩაილაპარაკა:

— ჰო, შესაძლოა, ახლა მაინც აღიარონ, რომ მე კრივის პროფესორი ვარ.

თარგმნა ჯუმბერ თითბერიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურული ცხოვრების ქრონიკა

ამერიკა

ზარბაზანზეც უკრავს

კალიფორნიელი ჩარლი მარშის, მეტსახელად, „ბუმ-ბუმის", მუსიკალური რეპერტუარი ფართო არ არის. იგი მხოლოდ ერთი ნოტისაგან შედგება და ჩარლი მარში მას... ზარბაზანზე ასრულებს. როგორც ამერიკული გაზეთი „ინტერნეშნელ ჰერალდ ტრიბიუნი" იუწყება, ჩარლი თურმე დარწმუნებულია, რომ მუსიკალური ნაწარმოების შესრულების დროს, რომელიც ცხარე ბრძოლებზე მოგვითხრობს (ვთქვათ, ბეთჰოვენის „ველინგტონის გამარჯვება"), აუცილებელია ზარბაზნის რამდენიმე გასროლა, მუსიკალური თემის კანვაში რომ ჩაერთვებოდა. 62 წლის ინჟინერ-ელექტრიკოსის (და არა მუსიკოსის) ამ რწმენას ბევრი ამერიკელი დირიჟორიც იზიარებს და ჩარლი მარშს სთავაზობს მისი „საკრავით" მონაწილეობა მიიღოს მათი ორკესტრების გასტროლებზე. მაგრამ ამ ორკესტრების მიერ შესრულებული მუსიკალური ნაწარმოებები ვერ დაატკბობს მელომანების ნატიფ სმენას. ყველაზე დიდი სიძნელე მაინც ზარბაზნის გადატან-გადმოტანა გახლავთ. აბა, თავად განსაჯეთ საკმარისია, მევიოლინემ თავისი ვიოლინო და ხემი ჩალითაში ჩადოს და, ასე ვთქვათ, მსუბუქად გაემგზავროს გასტროლებზე. მარშს კი თავისი ინსტრუმენტისათვის ტრაილერი სჭირდება, შეიძლება ორი ტრაილერიც კი დასჭირდეს.

მზის სისტემის მეათე კლანეტა

ადრე მეცნიერები ფიქრობდნენ, მზის სისტემის ყველაზე შორეული, მეცხრე პლანეტის ზომა და მოცულობა ჩვენი პლანეტის ზომა-წონას უახლოვდებაო. მაგრამ შარშან ამერიკელმა ასტრონომმა ჯეიმს კრისტიმ აღმოაჩინა პლუტონის პატარა თანამგზავრი. სწავლულებმა გამოიანგარიშეს პლუტონის მოცულობა და დაადგინეს, რომ იგი თანამგზავრთან ერთად 400-ჯერ ნაკლებია დედამიწაზე, ხოლო დიამეტრი არ აჭარბებს სამი ათას კილომეტრს.

რადგან პლანეტის მასა .ძალიან მცირეა, რათა გავლენა მოახდინოს მეზობელი პლანეტების ნეპტუნისა და ურანის მოძრაობაზე, ხოლო ცვლილებები მათ ორბიტებში დიდი ხანია შემჩნეულია, ასტრონომები ვარაუდობენ, რომ უნდა არსებობდეს მზის სისტემის კიდევ ერთი, მეათე პლანეტა. თავისი ზომითა და მასით იგი დედამიწის ოდენა უნდა იყოს. მეცნიერების აზრით, სწორედ იგი ამრუდებს ნეპტუნისა და ურანის მოძრაობის ორბიტას.

ინგლისი

გორილა ლაპარაკს სწავლობს

ფრენსაინ პატერსონი სტენფორდის უნივერსიტეტის უკანასკნელ კურსზე სწავლობს, მაგრამ უკვე ახლა მისი სადიპლომო შრომა დიდი მეცნიერების ყურადღებას იქცევს. გამოკვლევის თემაა ადამიანის მსგავს მაიმუნებთან ურთიერთობის მეთოდები.

ასეთი ურთიერთობის შესაძლებლობას ამტკიცებს შვიდი წლის გორილა კოკო. 6 წლის დაუღალავი შრომის შედეგად სტუდენტმა გორილას ასწავლა ყრუმუნჯთა ანბანი. შემოწმებით გამოირკვა, რომ გორილამ 155 სიტყვა იცის, საერთოდ კი, მისი მასწავლებლის სიტყვით, გორილას ლექსიკონი 375 სიტყვას მოიცავს. კოკო და მისი 4 წლის მეგობარი გორილა მაიკლი ერთმანეთს ხანდახან ყესტის ენაზეც „ელაპარაკებიან".

შემდგომ ეტაპზე პატერსონი შეეცდება ასწავლოს კოკოს კლავიშიანი კომპიუტერის გამოყენება სიტყვების წარმოსათქმელად. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა სტენფორდის უნივერსიტეტში სპეციალური აპარატი.

ინდოეთი

გასაოცარი აღმოჩენა

შვიდ ათასწლეულს იყო ჩამარხული მიწაში ბრინჯის მარცვლები, რომლებიც უძველესი ნამოსახლარის გათხრების დროს იპოვეს ინდოეთში, უტარპრადეშის შტატის ქალაქ ალაჰაბადის სამხრეთ-დასავლეთის ოთხმოცდამეხუთე კილომეტრზე. როგორც „პრეს ეიშა ინტერნეშნელის" საინფორმაციო სააგენტო იუწყება, მეცნიერები, ვინც ნამოსახლარი გათხარეს და ბრინჯის მარცვლები გამოიკვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიეს, ვარაუდობენ, რომ ეს ალმოჩენა საშუალებას იძლევა ინდოეთი პირველ ქვეყანად მიიჩნიონ, სადაც ბრინჯის მოყვანა დაიწყეს.

ITALIA

PIANINOს წინაპრები

ITALIELI ოსტატის ბარტოლომეო კრისტოფორის სახელი ისე ცნობილი არ არის, როგორც სტრადივარიუსის სახელი, თუმცა იგი გამომგონებელი გახლავთ არანაკლებ გავრცელებული საკრავისა, ვიდრე ვიოლინოა.

ფორტეპიანო, როიალი, პიანინო — როგორც არ უნდა ვუწოდებდეთ ამ საკრავს, ის ჩვენთვის ბავშვობიდანვე ნაცნობია. მისი ყველაზე უძველესი წინაპარი მართკუთხა ხის ერთსიმიანი ყუთი იყო. ჩვენს დროში, ფიზიკის გაკვეთილზე ამდაგვარ ყუთს იყენებენ სიმთა რხევის კანონების შესასწავლად. მონოქორდი ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში იყო ცნობილი, სადაც მას მუსიკალური წყობის დადგენისა და მუსიკის თეორიის შესასწავლად იყენებდნენ პითაგორა და სხვა მეცნიერები. ჩვენი წელთაღრიცხვის მე-2 საუკუნეში ეს საკრავი ასე თუ ისე გაუმჯობესდა: ერთის ნაცვლად ორი სიმი ება. მას „ჰელიკონის“ სახელით იცნობდნენ მოსეტიალე მსახიობები.

ფინიკიელმა და ბერძენმა ვაჭრებმა დასავლეთ ევროპაში შეიტანეს მართკუთხა, სამკუთხა და ტრაპეციული ფორმის მუსიკალური საკრავები, ზემოდან სიმები რომ ჰქონდათ გადაჭიმული. ამ საკრავებზე თითებით ან განსაკუთრებული ჯოხებით უკრავდნენ. ეს „ყუთები“ გახლდათ მერმინდელი კლავიშიანი საკრავების — კლავირისა თუ კლავიკორდის წინაპრები („კლავი“ — ლათინურად „გასაღები“ და „კორდი“ — ბერძნულად „სიმი“). კლავიკორდს თავდაპირველად ოცდოდე კლავიში ჰქონდა, ამასთან სიმების რაოდენობა ბევრად ნაკლები იყო, რადგან ერთი სიმი რამდენიმე ბგერას გამოსცემდა. ძირითადი ტონების კლავიშებს შავი წიფლის ხისგან აკეთებდნენ, ნახევარტონების კლავიშებს კი ძვლის პერანგი ჰქონდათ. ფერთა ასეთმა განლაგებამ კლავიატურაზე თითქმის მე-19 საუკუნის დამდეგამდე გასტანა.

ფორტეპიანოს მეორე წინაპარი კლავიციმბალია. იგი პირველად 1385 წელს იხსენიება, გავრცელებული იყო ესპანეთში. შესახედავად საკრავი თანამედროვე როიალს ჩამოგავდა.

მუსიკალურ ცხოვრებაში იყო ჩაქუჩებიანი ფორტეპიანო, რომელიც ბარტოლომეო კრისტოფორიმ 1711 წელს გამოიგონა. მის მექანიკაში გათვალისწინებული იყო თანამედროვე საფორტეპიანო მექანიკის უმთავრესი ნაწილები. პადუაში, ოსტატის სამშობლოში, მისი გარდაცვალების 150 წლის შემდეგ, მადლიერმა პიანისტებმა მას ძეგლი დაუდგეს.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი ნაბეჭდი თაბახისა.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი: მთავარი რედაქტორი — **99-85-81**, მთ. რედაქტორის მოადგილე — **72-26-32**, მდივანი — **72-44-78**, განყოფილებათა გამგეები — **72-26-35**, პროზის — **72-26-30**, ლიტერატურული თანამშრომლები — **72-47-62**, „ცისკრის“ დამატება — **72-17-01**, ხაკორექტორი — **72-43-75**.

გადაეცა ასაწყობად 20. 12. 78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20. II. 79 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ. თაბახი 15.35. შეკვ. № 3421. უე 00648. ტრაჟი 34.500.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ*

«ЦИСКАРИ»

**ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ**

ИНДЕКС 76236